

საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2024 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

სარჩევი

შესავალი 8

1.კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა 20

1.1.უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობა 21

1.2.გადაადგილების თავისუფლების საკითხი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები 22

1.3.განათლების უფლება 24

1.4.ჯანმრთელობის დაცვის უფლება 27

1.5.საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა 27

2. სიცოცხლის უფლება 29

2.1.შესავალი 29

2.2.სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობა ოკუპაციის კონტექსტში 29

2.3.შოვის ტრაგედიის საქმეზე მიმდინარე გამოძიება 30

2.4.ფემიციდი - გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების შემთხვევები 35

3. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება 41

3.1. შესავალი 41

3.2. პრაქტიკა, რომელიც უტოლდება არასათანადო მოპყრობას 43

3.3.არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი ფაქტორები 57

3.4. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება 73

3.5. გაზაფხულისა და ზამთრის საპროტესტო აქციები - არასათანადო მოპყრობა და სხვა უფლებადარღვევები 77

4. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება 119

4.1. შესავალი 119

4.2. თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა 120

4.3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის თაობაზე განჩინების გასაჩივრების პრაქტიკა 121

4.4. ადმინისტრაციული დაკავებები 122

4.5. პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა 123

4.6. ამნისტიის შედეგები 127
5.სამართლიანი სასამართლოს უფლება 130
5.1.შესავალი 130
5.2.სასამართლოში არსებული ინსტიტუციური პრობლემები 131
5.3.საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება 137
5.4.სამართლიანი სასამართლოს უფლება პატიმართა სასჯელისგან გათავისუფლების მექანიზმების ფარგლებში 141
5.5.ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება 145
5.6.დაცვის უფლების ხელყოფა და დაცვის მხარისთვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრება 146
5.7.მოსამართლეთა უცვლელობის პრინციპი 148
5.8.ნასამართლობის ვადის ათვლა 149
5.9.ექსტრადიციის დასაშვებობა 149
6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 153
6.1. შესავალი 153
6.2. პენიტენციურ კოდექსში 2024 წლის 17 სექტემბერს შეტანილი ცვლილებები 154
6.3. გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში 157
6.4. გარე სამყაროსთან კონტაქტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ალტერნატიულ საცხოვრისებში 163
6.5.გარე სამყაროსთან კონტაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში 164
7.გამოხატვის თავისუფლება 168
7.1. შესავალი 168
7.2.მედიის წარმომადგენელთა დაცულობა 168
7.3.საკანონმდებლო ცვლილებები 173
7.4.კანონმდებლობის არასათანადო გამოყენება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისთვის 174
8.ინფორმაციის თავისუფლება 177
9. შეკრების თავისუფლება 181
9.1.შესავალი 181
9.2.მშვიდობიანი შეკრების შეწყვეტის შემთხვევები 181
9.3.საკანონმდებლო ცვლილებები 183
10. უფლებადამცველები 187

11.საკუთრების უფლება 189
11.1.შესავალი 189
11.2.კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა საკუთრების უფლება 189
11.3.უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეებზე აღსრულების უკიდურესად გაჭიანურების პრობლემა 191
11.4.საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში 193
12.რწმენისა და რელიგიის თავისუფლება 197
12.2.„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი 198
12.3.თავდაცვის კოდექსი 199
12.4.სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები 200
12.5.სამშენებლო ნებართვების მოპოვების პრობლემა 200
12.6.რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები 200
13. თანასწორობის უფლება 203
13.1.შესავალი 203
13.2.სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეები არჩევნებისა და საპროტესტო აქციების კონტექსტში 203
13.3.ჟურნალისტური საქმიანობის გამოწვევები საქართველოს პარლამენტში 205
13.4.ქალთა თანასწორუფლებიანობა 207
13.5.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 208
13.6.ლგბტქი+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა 209
13.7.დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში 211
13.8.სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება 211
13.9.დისკრიმინაციის წახალისება 212
14.გენდერული თანასწორობა 215
14.1.შესავალი 215
14.2.ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ეკონომიკური გაძლიერება 215
14.3.ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება 220
14.4.ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები 222
14.5.ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა 224
14.6.ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება 229
15.კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება 233
16. გარემოს დაცვის უფლება 237

16.1. წყალზე უფლება 237
16.2.კატასტროფის რისკები და გამოწვევები 240
16.3.საზოგადოების მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში 243
16.4.გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 245
16.5.ინფრასტრუქტურული პროექტების ზეგავლენა 246
16.6. ცხოველებთან დაკავშირებული გამოწვევები 247
16.8. აკუსტიკური ხმაურის კონტროლი 248
16.9.ხე-ტყის მოპოვების გამოწვევები 249
17.ჯანმრთელობის უფლება **254**
17.1.შესავალი 254
17.2.პაციენტის უსაფრთხოება 254
17.3.პირველადი ჯანდაცვის სისტემა 256
17.4.დიაბეტის მქონე ბავშვთა საჭიროებების შეფასება 258
17.5.ონკოლოგიური პაციენტების უფლებები 260
17.6.აღკვეთის სინდრომის მართვა 261
18. შრომის უფლება **264**
18.1 ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებები 264
18.2.საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საჩივრების განხილვის შედეგად გამოვლენილი შრომის უფლების დარღვევის ფაქტები 267
19. სოციალური უზრუნველყოფის უფლება **270**
19.1.მიზნობრივი სოციალური დახმარება 271
19.2.სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოების პროგრამაზე ხელმისაწვდომობა 272
20. სათანადო საცხოვრებლის უფლება **274**
20.2.საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამები და სოციალურ საცხოვრისებში არსებული მდგომარეობა 275
21.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები **280**
21.1.შშმ პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა 281
21.2.2024 წლის საპარლამენტო არჩევნები 283
21.3.ფსიქიკური ჯანმრთელობა 285
21.4.2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა 286

21.5.საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა 288
21.6.შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენა 290
21.7.სათემო სერვისებში არსებული მდგომარეობა 292
22.ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 300
22.1.შესავალი 300
22.2.განათლების უფლება 301
22.2.1. ადრეული და სკოლამდელი განათლება 301
1.2.2. ზოგადი განათლება 302
22.3. ბავშვთა დაცვა ძალადობისგან 305
22.3.1. ოჯახში ძალადობა 306
22.3.2. სექსუალური ძალადობა 307
22.4. ბავშვთა სიღარიბე 310
22.5. სახელმწიფო და ალტერნატიულ ზრუნვის სისტემაში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა 312
22.5.1. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა 313
22.5.2. ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა 314
22.5.3. დედათა და ბავშვთა სახელმწიფო თავშესაფრების ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა 315
22.5.4. ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა 315
22.6 კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 316
23.ხანდაზმულ პირთა უფლებები 320
23.1.ხანდაზმულთა სადღეღამისო დაწესებულებების მონიტორინგის გამოწვევები 321
23.2.ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა 323
24. ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია 326
24.1. შესავალი 326
24.2. ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა 327
24.3. წვდომა საჯარო სერვისებზე 331
24.4. განათლების უფლება 333
24.5. მედიის ხელმისაწვდომობა 340

24.6. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა 341
25.იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა **348**
25.1.დევნილთა განსახლება 348
25.2.სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება 350
26.ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა **352**
26.1.ეკომიგრანტთა განსახლება 352
26.2.ეკომიგრაციის პრევენცია 353
27.თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და მიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა **356**
27.1.შესავალი 356
27.2.უცხოელთა საქართველოში შემოსვლა და მათი ქვეყნიდან გაძევება 357
27.3.ინტეგრაცია 359
28.ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში **362**
28.1.შესავალი **362**
28.2.არასათანადო მოპყრობისგან დაცვა 362
28.3.საცხოვრებელი და სამუშაო პირობები 363
28.4.კვება და სასმელი წყალი 364
28.5.სახანძრო უსაფრთხოება 364
28.6.სამედიცინო მომსახურება 365
28.7.ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები 365
28.8.თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი 366
29. ადამიანის უფლებათა სწავლება **369**
29.1.შესავალი 369
29.2.ადამიანის უფლებათა სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა 369
29.3.სკოლამდელი განათლება 370
29.4. ზოგადი განათლება 372
29.5. პროფესიული განათლება 374
29.6. უმაღლესი განათლება 375
30.სახალხო დამცველის რეკომენდაციების და მათ საფუძველზე პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა **380**

30.1. საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარება 380

30.2.პარლამენტის 2024 წლის დადგენილების მიღმა დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა 386

დანართი - სახალხო დამცველის და აპარატის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული ვიზიტები **388**

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის შესაბამისად.

ანგარიშში წარმოდგენილია 2024 წელს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და პროგრესი. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2024 წელს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მასში გაანალიზებულია ის პრობლემებიც, რომლებიც მანამდე წარმოიშვა და საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ 3780 განცხადება შემოვიდა. მათ შორის, 2390 შემთხვევაში განცხადება დასაშვებად იქნა ცნობილი და აპარატმა დაიწყო საქმეების არსებითად განხილვა, ხოლო 1120 განცხადება დაუშვებლად/ნაწილობრივ დაუშვებლად იქნა ცნობილი. სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ 24 საათის განმავლობაში მიიღონ ინფორმაცია, ან განაცხადონ უფლებადარღვევის შესახებ. 2024 წლის განმავლობაში ცხელ ხაზზე 14295 ზარი შემოვიდა.

წინამდებარე ანგარიშში გამოვლენილი უფლებადარღვევების აღმოსაფხვრელად სახალხო დამცველის აპარატმა სახელმწიფო უწყებებს 82 რეკომენდაცია/წინადადებით მიმართა. 2024 წლის განმავლობაში მომზადდა 16 სპეციალური ანგარიში და 1 ალტერნატიული ანგარიში საერთაშორისო ორგანოებში წარსადგენად, 2 კონსტიტუციური სარჩელი, 11 სასამართლო მეგობრის მოსაზრება, და 4 კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის. უფლებადარღვევებისა და გამოწვევების გამოსავლენად და მათ შესასწავლად, სახალხო დამცველის აპარატმა სხვადასხვა დაწესებულებაში არაერთი ვიზიტი განახორციელა, რაც დეტალურად არის ანგარიშში მიმოხილული.

სახალხო დამცველის 2024 წლის საპარლამენტო ანგარიშის შესავალში მოკლედ წარმოგიდგენთ ანგარიშის ძირითად მიგნებებს იმის თაობაზე, თუ რა საყურადღებო ტენდენციები გამოიკვეთა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, და რაც, საჭიროებს ხელისუფლების მხრიდან სათანადო და დროულ რეაგირებას.

საანგარიშო პერიოდში ერთი წელი შესრულდა საოკუპაციო რეჟიმის მიერ თამაზ გინტურის მკვლელობიდან. ამ დრომდე დაუსჯელები არიან 2014 წელს - დავით ბაშარულის, 2016 წელს - გიგა ოთხოზორიას, 2018 წელს - არჩილ ტატუნაშვილის და 2019 წელს ირაკლი კვარაცხელიას მკვლელობაში უშუალოდ მონაწილე საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება. სამწუხაროდ, საოკუპაციო ხაზზე უკანონო დაკავებები და გახშირებული უკანონო პატიმრობის შემთხვევები, ასევე საოკუპაციო ხაზზე გადაადგილება კვლავ გამოწვევად რჩება. ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას არ ეძლევა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა. კვლავ გრძელდება საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი. საკუთრების უფლების დარღვევა ყოველდღიურ გამოწვევად რჩება საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის.

ოკუპაციის შედეგად საკუთარ ქვეყანაში დევნილად ქცეული მოსახლეობის უფლებების დაცვა კი უფრო მეტ ძალისხმევას საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან. საანგარიშო წელს მცირედით შემცირდა გრძელვადიანად განსახლებული ოჯახების რაოდენობა, საგულისხმოა ისიც, რომ 2024 წელს არცერთი ე.წ. ნგრევადი ობიექტი არ დახურულა. ამასთანავე, 2025 წლის ბოლომდე დაგეგმილმა დევნილთა მასშტაბური განსახლების ვადამ, თბილისში, ზუგდიდში, რუსთავსა და ბორჯომში 2026 წლამდე გადაიწია. ასევე, არ შეცვლილა დევნილი ოჯახებისათვის გათვალისწინებული ქირის ოდენობა - 300 ლარი. კვლავაც გამოწვევად რჩება ე.წ. სოფლად სახლის განსახლების პროგრამაში ჩასართავად გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება.

2024 წელი საპროტესტო აქციებზე უფლებადარღვევის კონტექსტში განსაკუთრებით მძიმე და დასამახსოვრებელი იყო, რაც, პირველ რიგში, კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გარანტირებული ღირსების ხელშეუვალობის უფლების, წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პრინციპის დარღვევის ინტენსივობამ განაპირობა. მძიმე უფლებადარღვევათა წყობა, ძირითადად, 2024 წლის აპრილი-მაისის საპროტესტო აქციებზე დაიწყო. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან მოქალაქეთა ცემისა და ძალადობის გარდა, ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა უცნობი პირების მხრიდან სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, საჯარო ფიგურების დევნასა და მათზე ძალადობას, ორგანიზებული სატელეფონო მუქარებს და სხვადასხვა სახით გამოხატულ ძალადობრივ შეუწყნარებლობას.

2024 წლის 15 აპრილიდან 2025 წლის 1 მარტამდე პერიოდში სახალხო დამცველმა და მისმა წარმომადგენლებმა მოინახულეს საპროტესტო აქციებზე დაკავებული და დაშავებული 624 პირი. მათგან არასათანადო მოპყრობაზე 360 პირი მიუთითებდა (57.7%). უფრო კონკრეტულად, 2024 წლის აპრილსა და მაისში გამართულ საპროტესტო აქციებზე დაკავებული და დაშავებული 182 მონახულებული პირიდან 93 საუბრობდა არასათანადო მოპყრობის შესახებ (51.1%). ხოლო 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე მონახულებული 442 პირიდან არასათანადო მოპყრობაზე 267 პირი (60%) მიუთითებდა.

გაზაფხულის საპროტესტო აქციებზე ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის პასუხისმგებლობის დაუკისრებლობამ, ასევე, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობამ (მაგალითად, სპეცრაზმელების ამოსაცნობი ნიშნებით აღუჭურველობამ), ზამთრის საპროტესტო აქციებზე არაპროპორციული ძალისა და არასათანადო მოპყრობის უფრო მასშტაბური გამოყენების წინაპირობა შექმნა. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის საპროტესტო აქციებზე არასათანადო მოპყრობის ჩადენისათვის დღემდე არცერთი სამართალდამცავი არ არის პასუხისგებაში მიცემული.

2024 წელს განსაკუთრებით აქტუალური იყო კანონის უზენაესობის და სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. 2024 წელი სხვადასხვა მასშტაბის და ფორმის პოლიტიკური შეკრებების სიმრავლით გამოირჩეოდა. მათი სახეობების, ადგილმდებარეობების, სიხშირის, ხანგრძლივობისა და მონაწილეთა რაოდენობის ცვალებადობასთან ერთად, განსხვავებული იყო საპოლიციო ძალების მხრიდან გამოყენებული რეაგირებების მეთოდები და, შესაბამისად, უფლებაში ჩარევის

ინტენსივობაც. სახალხო დამცველის შეფასებით, ამ პროცესში, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მანიფესტანტთა მცირე ნაწილის ძალადობრივ ქმედებებზე ინდივიდუალური რეაგირების ნაცვლად, სამართალდამცავების მიერ მთლიანი შეკრებების დაშლაზე მიღებული გადაწყვეტილებები იყო, როდესაც ამის აუცილებლობა არ ყოფილა. მსგავს შემთხვევებში, საპოლიციო ღონისძიებების გამოყენების ფორმალური საფუძვლის არსებობის მიუხედავად, უფლება არაპროპორციულად იზღუდებოდა. ამავე დროს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ შეკრების შეწყვეტის და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებები საპოლიციო მართვის ფარგლებში მიიღება, რომელთა მართლზომიერებას - როგორც მმართველობით გადაწყვეტილებას - სახალხო დამცველი აფასებს დამოუკიდებლად იმისგან, სახეზეა თუ არა ამგვარი ღონისძიებების ფარგლებში, სამართალდამცავთა მხრიდან შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა.

საყურადღებოა ისიც, რომ ხარვეზიანი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, რომელიც უმეტესად ვერ პასუხობს აუცილებლობის მოთხოვნას და უფლებაში თვითნებურ ჩარევას იწვევს, კვლავ სერიოზულ გამოწვევად დარჩა შეკრების მონაწილეთა დაკავების მავნე პრაქტიკა. გარდა ამისა, შეკრების თავისუფლების დაცვის მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა 2024 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმაც.2024 წელს, ქვეყანაში პირველად ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემით, ასევე, მასშტაბურად დაინერგა საარჩევნო უბნებზე ელექტრონული ტექნოლოგიები. საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ და მშვიდობიან გარემოში ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციისთვის. ამდენად, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმართ განსაკუთრებით მაღალი იყო საზოგადოებრივი ინტერესი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 200-ზე მეტი[1] სავარაუდო დარღვევის ფაქტი გამოავლინა როგორც წინაასაარჩევნო პერიოდში, ისე კენჭისყრის დღესა და შემდეგ დღეებში. მონაცემების მოგროვება/დამუშავება, უფლებადარღვევათა საკუთარი ინიციატივის შესწავლის საფუძველზე, ეყრდნობოდა მედიასაშუალებებითა და საჯარო წყაროებით გავრცელებულ ინფორმაციას. შედეგად, აპარატი, შესაბამისი უწყებებისთვის მიმართვის, ინფორმაციის გამოთხოვის, სამართლებრივი საკითხების დამუშავებისა და, რიგ შემთხვევებში, საჯარო განცხადებებით გამოხმაურების გზით ახდენდა რეაგირებას.

ანგარიშში ასახულია აპარატის მიერ გამოვლენილი ის ძირითადი გამოწვევები და ტენდენციები, რომლებიც ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება, მათ შორისაა, ძალადობრივ დანაშაულებთან, პოლიციის მხრიდან ძალადობასთან, ამომრჩეველთა მიმართ სავარაუდო მუქარასთან/ზეწოლასთან, ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვასთან, შესაძლო გაყალბებასთან, ინვენტარის დაზიანებასთან, კამპანიის შეხვედრების ხელშეშლასთან, საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებასთან, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სტატუსის განსაზღვრასთან, ნების

[1] 139 სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტი/საქმე; 72 სხვა სახის სავარაუდო დარღვევის ფაქტი.

თავისუფალ გამოვლენასა და ფარულ კენჭისყრასთან, კენჭისყრის პროცედურებთან, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთანავე, შესაძლო დანაშაულებრივ ფაქტებზე დეტალური ინფორმაცია/შეფასებები წარმოდგენილია სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2024 წლის ანგარიშში.

2024 წელს, მედიისა და გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა მზღუდავმა საკანონმდებლო ცვლილებებმა. ასევე პრობლემური იყო მედიის წარმომადგენლების მიმართ ქვეყანაში არსებული საფრთხის შემცველი გარემო, რაც განსაკუთრებული სიმწვავით საპროტესტო შეკრებების მიმდინარეობისას გამოვლინდა. 2024 წლის შემოდგომა-ზამთრის აქციების დროს სამართალდამცველების განსაკუთრებული აგრესიის მსხვერპლები, აქციის მონაწილეებთან ერთად, გახდნენ ჟურნალისტები. ჟურნალისტების მიმართ ადგილი ჰქონდა როგორც არასათანადო მოპყრობას, ისე მათ პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას.

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა, რომ ჟურნალისტების საქმიანობას აფერხებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი მოძველებული კანონმდებლობა, რომელიც არ უზრუნველყოფს უფლების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობას. დამატებით, ევროკომისიის შეფასებით, მედიის თავისუფლებას, პლურალიზმს და ჟურნალისტების უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნა მაღალი თანამდებობის პირებისა თუ პოლიტიკოსების მხრიდან წარმოებულმა ნეგატიურმა რიტორიკამ. ამავე დროს, ევროკომისიამ ქართული მედიისთვის ერთ-ერთ დიდ გამოწვევად პოლარიზაცია დაასახელა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვის რეგულირება, რაც ნაწილობრივ პრობლემურად მიიჩნია სახალხო დამცველმა.

ასევე საგულისხმოა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, აღსანიშნავია ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული წესების ხარვეზიანობა. აუცილებელია დაიწყოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების რეფორმების გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესი, რომლის შედეგადაც გადაიხედება: იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთა გამოსაძიებლადაც დაუშვებელია ფარული საგამოძიებო ღონისძიებების გატარება; ფარულ საგამოძიებო ღონისძიებათა ჩატარების ვადები და ამ ვადების გაგრძელების მაქსიმალური ზედა ზღვარი; ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების ვადები და ამ ვადების გაგრძელების მაქსიმალური ზედა ზღვარი.

ასევე საგულისხმოა წინა საანგარიშო პერიოდში შოვში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებული დეტალები, რომელსაც 32 ადამიანი ემსხვერპლა. ამ ტრაგედიამ ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში კატასტროფების მართვის სხვადასხვა მიმართულებით არსებული გამოწვევები გამოავლინა, მათ შორის, სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, არც 2024 წელს განახლებულა საქართველოს კატასტროფის რისკების შემცირების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2017-2020 წლებისთვის იყო დამტკიცებული.

სიღარიბე კვლავ ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა ქვეყანაში, რაც, თავის მხრივ, ადამიანის ყველა უფლების რეალიზაციაზე ახდენს უარყოფით გავლენას და კიდევ უფრო ამძიმებს მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობას.

სახალხო დამცველი, წლებია, ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მთავარ პრობლემაზე - ბავშვთა სიღარიბეზე. სახალხო დამცველის აპარატის მიერ ბავშვის შესაძლო უფლებადარღვევის შესწავლილი საქმეებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი, 2024 წელსაც, სწორედ ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სიღარიბესა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა 369,924-ს შეადგენს, აქედან საარსებო შემწეობას იღებს 270,712.

სიღარიბე უარყოფით გავლენას ახდენს ხანდაზმულთა უფლებების რეალიზაციაზეც. საქართველოში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში, გასულ წელთან შედარებით, 2024 წლის მონაცემებით, 15.6%-დან 16.2%-მდე გაიზარდა. რაოდენობის ზრდასთან ერთად, საგულისხმოა, რომ მაღალია ხანდაზმულ პირთა სოციალურად დაუცველთა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა მაჩვენებელი. ამის გამო, ქვეყანაში ხანდაზმულები მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან.

ხანდაზმულთა უფლებების ჭრილში ასევე საგულისხმოა, რომ ხანდაზმულთა ზრუნვის დაწესებულებების უმეტეს ნაწილში არ იყო უზრუნველყოფილი ,,სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების'', მათ შორის, ძალადობის სტანდარტის აღსრულება. სერვისის მიმწოდებლები ვერ ასრულებენ ბენეფიციარების ძალადობისაგან დაცვის ვალდებულებას. სათანადოდ არ ხორციელდება ძალადობის გამოვლენის, შეფასებისა და საჭირო რეაგირების ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა ფარული იყოს, რაც შეუძლებელს ხდის მის გამოვლენას.

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული მიმართულებით მცირედი გაუმჯობესების მიუხედავად, ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი ხედვა უსახლკარობის თავიდან ასაცილებელ ნაბიჯებთან დაკავშირებით, შეუსწავლელია უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები და მისი მასშტაბები, არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზა. წლების განმავლობაში გაცემული წინადადებებისა და რეკომენდაციების მიუხედავად, ჯერაც არ არის შემუშავებული სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის ხელშემწყობი ჩარჩო კანონმდებლობა და უსახლკარო პირის საკანონმდებლო განმარტება. ვითარება კრიტიკული რჩება სოციალურ საცხოვრისებში, სადაც მკვეთრად არასათანადო გარემოა და მათ ნაწილში ცხოვრება სიცოცხლისთვის ან/და ჯანმრთელებისთვის საფრთხის შემცველია. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ისიც, რომ კანონმდებლობა უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილი სოციალური საცხოვრებლის მოწყობის მინიმალურ სტანდარტებს კვლავ არ ითვალისწინებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისათვის კვლავ დიდი სამუშაოა გასაწევი. დღემდე არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა. არ

არსებობს სტანდარტი ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე შშმ პირთა წვდომის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უშლის მათი სხვა უფლებების სათანადო რეალიზებას.

შშმ პირთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს შორისაა პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, პაციენტთა მართლმსაჯულებაზე წვდომა, ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა რეაბილიტაციის სერვისების ნაკლებობა და ხარისხი. კვლავ იკვეთება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა. დღემდე არ დამტკიცებულა ამბულატორიული ფსიქიატრიული სერვისების სტანდარტები და სათანადოდ არ კონტროლდება მიწოდებული სერვისების მოცულობა და ხარისხი. ისევ იკვეთება ხარვეზები ინკლუზიური განათლების მიწოდებაში. კვლავ გამოწვევაა განათლების მიღმა დარჩენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სრულყოფილად გამოვლენა და სათანადო სერვისებში გადამისამართება.

სამწუხაროდ, ენობრივი და ინფორმაციული ბარიერები ის უმთავრესი საკითხებია, რომლებიც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს, წლებია, აბრკოლებთ არაერთი მიმართულებით. 2023 წლისგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა იმ სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების დაწესებულებების რიცხვი, სადაც ბილინგვური განათლების პროგრამა მოქმედებს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელსაც გაგრძელდა სახელმწიფო ენის სწავლების გასაუმჯობესებლად რიგი სასწავლო რესურსების განახლება და ბილინგვური განათლების სპეციალისტების გადამზადება. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სრული სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ენის სწავლება გაძლიერდეს როგორც სკოლამდელი განათლების, ისე ზოგადი განათლების ეტაპზე. ასევე, აუცილებელია გაიზარდოს ბილინგვური განათლების დანერგვის გეოგრაფიული არეალი, შემუშავდეს საჭირო ორენოვანი სახელმძღვანელოები და სხვ. ასევე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მეტი პოპულარიზაცია გაეწიოს სახელმწიფო ენის სწავლების იმ პროგრამას, რომელიც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი და რომელსაც სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა უზრუნველყოფს.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირება ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებთან და სხვა საჯარო სერვისებთან, ისე ხელმისაწვდომ მედიაპროდუქტებთან დაკავშირებით. ეროვნული უმცირესობების სრულყოფილი სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად, ასევე მნიშვნელოვანია მათი კულტურის დაცვა და პოპულარიზაცია. თუმცა, სამწუხაროდ, სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რიცხვი კვლავ დაბალია.

სამწუხაროდ, უკვე არაერთი წელია, რაც არ გადადგმულა სათანადო ნაბიჯები უსახლკარო ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად, რაც, როგორც დედაქალაქისთვის, ისე რეგიონებისთვის, სერიოზული გამოწვევაა. ასევე საგულისხმოა, რომ მნიშვნელოვანია ახალი სათანადო საკანონმდებლო რეგულაციების მიღება ცხოველთა პოპულაციის ეფექტიანად და ჰუმანურად სამართავად, რომლითაც განისაზღვრება ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მოვლა-პატრონობის ერთიანი წესები, ვალდებულებების

დარღვევისთვის დადგინდება მკაცრი პასუხისმგებლობა, შემუშავდება ზედამხედველობის და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმები.

წლების განმავლობაში, უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. გასული წლების მსგავსად, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება დაწესებულებების გადატვირთულობა და არაფორმალური მეთოდებით მმართველობის ცალკეული შემთხვევები. საანგარიშო პერიოდში, რიგ შემთხვევებში კვლავ პრობლემური იყო დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრების ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსება, რაც, სახალხო დამცველის შეფასებით, სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას უტოლდება. საანგარიშო პერიოდში ასევე გამოწვევა იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, პატიმართა ადეკვატური სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა და პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკური გარემო.

სამწუხაროდ, კვლავ გადაუჭრელია პატიმართა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის მნიშვნელობაზეც სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს. კერძოდ, მოქმედი პრაქტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო ვერ ადგენენ ერთიან, განჭვრეტად და მკაფიო საფუძვლებს იმისა, თუ ვის ეკუთვნის საკანონმდებლო შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა. აუცილებელია დაიხვეწოს ნორმატიული ბაზა და პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში უფრო მეტ კრიტერიუმს მიექცეს ყურადღება, მათ შორის, ისეთ ასპექტებს, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება.

ასევე საგულისხმოა, რომ სასჯელის გადასინჯვის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის. სამწუხაროდ, კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის წინადადება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადის რამდენიმე წლით შემცირებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დაკავებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, 2024 წელს დაკავებული პირების ნაწილი კვლავ საუბრობდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ძალის გადამეტებისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე. პრობლემურია დაკავებულებისთვის უფლებების განმარტება, ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა, ოჯახის ინფორმირება. გამოწვევად რჩება სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობა, აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოება. სამწუხაროდ, პოლიციის სივრცეები, სადაც დაკავებულს უწევს ყოფნა, ვიდეომეთვალყურეობის სისტემებით სრულად კვლავ არ არის დაფარული.

არ შეინიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სადაც პაციენტები კვლავ ხდებიან ძალადობის მსხვერპლები და უგულებელყოფილია მათი სამართლებრივი დაცვის გარანტიები. მიუხედავად კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრული უფლებისა, ნებაყოფლობითი სტატუსის მქონე პაციენტები საკუთარი

ნებით სტაციონარს ვერ ტოვებენ. კვლავ პრობლემურია ფსიქიკური დაწესებულებების გადატვირთულობა და სიმჭიდროვე. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დიდი ზომის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

წლებია, გადაუჭრელ პრობლემად რჩება დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი. ეს აქტუალური საკითხია როგორც ფსიქიატრიული დაწესებულებების, ისე შშმ პირთა დაწესებულებების შემთხვევაში. კერძოდ, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტების ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია. პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, სათემო სერვისების სიმწირის და იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვთ, დაწესებულებას ვერ ტოვებენ. აუცილებელია გაიზარდოს სათემო სერვისების რიცხვი და გეოგრაფიული დაფარვის არეალი. სამწუხაროდ, კვლავ არ შემუშავებულა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის გეგმა.

სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეული ნაწილი კვლავ დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში ცხოვრობს. ამ პირთათვის განკუთვნილი საცხოვრისი სერვისები კი, თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფს ოჯახური გარემოს შექმნასა და მათი პირადი ავტონომიის პატივისცემას. არასაკმარისია შშმ პირთა მცირე საოჯახო ტიპის მომსახურებების გეოგრაფიული დაფარვა. სისტემურ დონეზე არ გაიწევა სათანადო ძალისხმევა სერვისით მოსარგებლეთა მხარდამჭერი სოციალური წრის ჩართულობის გასაზრდელად.

რაც შეეხება ქვეყანაში თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, საგულისხმოა, რომ ქვეყანაში თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით არსებული გამოწვევები განპირობებული იყო რიგი საკანონმდებლო ცვლილებებითა და მძიმე პოლიტიკური პროცესებით. საგულისხმოა, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდი საარჩევნო წელს დაემთხვა, რაც, თავის მხრივ, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის. წინა წლების მსგავსად არსებით გამოწვევას წარმოადგენდა სხვადასხვა დაუცველი ჯგუფების, მათ შორის, ქალების, შშმ პირების, ლგბტქ+ თემის წარმომადგენლების, თანასწორობის დაცვის საკითხები. ამასთან შრომით ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები კვლავაც იმ დავების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა შესახებაც მოქალაქეები ყველაზე ხშირად მიმართავენ სახალხო დამცველს.

2024 წელს საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით კვლავ არაერთი გამოწვევა გამოვლინდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში განგრძობითად გამოკვეთილმა სწავლის მიტოვების მზარდმა მაჩვენებელმა იკლო. მიუხედავად ამისა, სწავლის მიტოვებისა და სტატუსის შეჩერების სტატისტიკა მაინც მაღალია. კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ძალადობის ფაქტების დროული გამოვლენა, კოორდინირებული, ინტერდისციპლინური მიდგომა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს სისტემური გაუმჯობესების აუცილებლობას. ძალადობის პრევენციის გაძლიერება კრიტიკულად მნიშვნელოვანია და

საჭიროებს, ერთი მხრივ, ბავშვებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებელი უწყებებისადმი ნდობის ჩამოყალიბებასა და ბავშვზე მორგებულ მიდგომას, რაც ძალადობის შემთხვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების აუცილებელი წინაპირობაა.

სამწუხაროდ, ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. არასაკმარისი საკანონმდებლო რეგულირების გამო, სტატისტიკის და სათანადო რეაგირების მიღმა რჩება მშობლების ინიციატივით ბავშვთა ნიშნობის შემთხვევები, რაც ბავშვის მთელ რიგ ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს. გამოწვევაა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლების ეფექტიანი განხორციელება და სერვისებზე წვდომა. ასევე საგულისხმოა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დამტკიცდა მსხვერპლთა კომპენსაციის გაცემის წესი, პრაქტიკაში პრობლემად გამოიკვეთა კომპენსაციის გაცემის სპეციალური რეგულაციების არარსებობა მოძალადის გარდაცვალების ან შეურაცხადობის შემთხვევაში. ამ პროცედურების არარსებობა ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის მსხვერპლთა მიერ სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიღებას. გასათვალისწინებელია, რომ სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, ამ წესში კონკრეტული ცვლილებები არ შესულა.

გენდერული თანასწორობის ჭრილში ასევე საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების - ფემიციდის პრევენცია და ამგვარ საქმეებზე მართლმსაჯულების და სამართალდაცვითი ფუნქციების ეფექტიანი აღსრულება კვლავ გამოწვევად რჩება. 2024 წელს გამოვლენილი 25 ქალის მკვლელობის ფაქტიდან , 16 - ოჯახური დანაშაულის ნიშნით, 9 კი - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით არის ჩადენილი. ქალის მკვლელობის მცდელობის გამოვლენილი 17 შემთხვევიდან - 12 ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი, 4 - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით, ხოლო 1 ოჯახური და არაოჯახური დანაშაულის ნიშნით. საერთო სტატისტიკური მონაცემიდან, პროკურატურამ ფემიციდი გამოკვეთა 16 შემთხვევაში, ხოლო ფემიციდის მცდელობა - 13 შემთხვევაში. მიმდინარე საანგარიშო წელს, შემზარავი იყო ტრანსგენდერი ქალის, კესარია აბრამიძის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში ბრალდების შესახებ დადგენილებაში პროკურატურამ მიუთითა გენდერისა და გენდერული იდენტობის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივზე. თუმცა, საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის მიერ ფემიციდის მონიტორინგის ფარგლებში გაანალიზებული საქმეებიდან კვლავ პრობლემად იკვეთება გენდერული ნიშნის იდენტიფიცირება, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო ეტაპზე.

რაც შეეხება რწმენისა და რელიგიის თავისუფლებას, ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ კვლავ გამოწვევად რჩება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების საკითხი, სამწუხაროდ, დღემდე არ გადადგმულა ნაბიჯი, რომლის შედეგადაც საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა აღიწერებოდა და შეფასდებოდა.

როგორც წესი, ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვა დიდწილად დამოკიდებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველი/პასუხისმგებელი ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებაზე. სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მქონე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მნიშვნელობაზე. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ქვეყანაში მოქმედი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი გარანტიები.

რაც შეეხება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების არაერთი მცდელობის მიუხედავად, საქართველოში სასამართლოს სისტემაში, როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ დონეზე, კვლავ შენარჩუნებულია ხარვეზები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად სახალხო დამცველის 2024 წლის საპარლამენტო ანგარიშში მსჯელობა, მათ შორის, განვითარებულია ჯანმრთელობის უფლების ჭრილში არსებული გამოწვევების შესახებ. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ პაციენტის განცხადების/საჩივრების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის ხარისხიანად და უსაფრთხოდ დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და შესაბამის უწყებას დაევალა საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ახალი ნორმების/სტანდარტის შემუშავება, რომლითაც დადგინდება სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესაფასებლად მომზადებული სარეცენზიო დოკუმენტაციის პროფესიული განვითარების საბჭოსთვის განსახილველად დროულად და სრულყოფილად წარდგენის ვალდებულება, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული, რაც საფრთხეს უქმნის პაციენტთა უფლებების ეფექტიანად დაცვას.

საპარლამენტო ანგარიშში ასევე განვითარებულია მსჯელობა შრომის უფლებასთან დაკავშირებით. 2024 წელს, შრომის უფლების დაცვაზე განსაკუთებით უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს პარლამენტის მიერ ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს შეტანილმა ცვლილებებმა, რომლებიც ასევე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირებზეც. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ეს ცვლილებები არ შეესაბამება ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებს და, გარდა ამისა, არც ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებს პასუხობს. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო პროცესი დაჩქარებული წესით, დაინტერესებული საზოგადოების და შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობის გარეშე წარიმართა.

ასევე საგულისხმოა, რომ ქვეყანაში შრომის ღირსეული ანაზღაურების უფლების სათანადოდ უზრუნველსაყოფად ამ დრომდე არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები. ასევე, მოქმედი შრომის კანონმდებლობით კერძო დამსაქმებელს დღემდე არ აქვს მშობლისთვის ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლისთვის შვებულების ანაზღაურების ვალდებულება. გასული წლების მსგავსად, გამოწვევად რჩება შშმ პირთა

შრომის უფლების რეალიზება, მათი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და ღია შრომის ბაზარზე დასაქმება.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა სწავლების კუთხით არსებულ მდგომარეობას, ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ 2024 წელს განათლების მიმართულებით მთავარ გამოწვევად პოლიტიკის დოკუმენტებში ადამიანის უფლებათა საკითხების ფრაგმენტული ინტეგრირება რჩება. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ადამიანის უფლებათა სწავლების გაფართოებისკენ მიმართული აქტივობები მხოლოდ ზოგადი განათლების სისტემას მიემართება.

საპარლამენტო ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებასაც. სახალხო დამცველი უკვე წლებია მიუთითებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სათანო საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება-მიღების საჭიროებაზე. საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის დარგში არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ყველა შესაბამისი თემის ადეკვატურად ასახვის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის შემუშავების აუცილებლობაზე ასევე მიუთითებს კულტურის სტრატეგია 2025. თუმცა, სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, ხსენებული პროექტი პარლამენტში არც საანგარიშო წელს წარდგენილა.

ცალკე თავი ეთმობა საკუთრების უფლებასაც. 2024 წლის საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოიკვეთა სახელმწიფო საშინაო სავალო ვალდებულებების შეუსრულებლობის და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეებზე აღსრულების უკიდურესად გაჭიანურების საკითხი.

ასევე საგულისხმოა თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა. ამ ჭრილში აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ცალკეული განმცხადებლები თავშესაფრის პროცედურებზე წვდომის შეზღუდვაზე მიუთითებდნენ და აცხადებდნენ, რომ მიუხედავად საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისა, უარი ეთქვათ თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციასა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე. ასევე საგულისხმოა, რომ 2023 წელს შემუშავებული იმიგრანტთა ინტეგრაციის „ერთიანი მიდგომების დოკუმენტის“ სამუშაო ვერსია კვლავაც არ არის დამტკიცებული. მდგომარეობა არც ინტეგრაციის პროგრამების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირების თვალსაზრისით გაუმჯობესებულა. სოციალურ ქსელში ისევ არ ახლდება ინფორმაცია საინტეგრაციო პროგრამებსა თუ აქტივობებზე. ხოლო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ვებგვერდზე ინფორმაცია მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი, რაც ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას.

საპარლამენტო ანგარიშში მსჯელობა ასევე განვითარებულია ეკომიგრანტთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მხრიდან პრევენციული ღონისძიებების გატარებას კვლავაც არათანმიმდევრული ხასიათი აქვს, რაც, საბოლოო ჯამში ზრდის ოჯახების განსახლების გადაუდებელი აუცილებლობის საჭიროებას. სამწუხაროდ, არც 2024 წელს გაზრდილა თითოეული დაზარალებული ოჯახისათვის საცხოვრებლის შესასყიდად გათვალისწინებული ფინანსების ლიმიტი, ასევე არ დასრულებულა 2004-2012 წლებში

განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი აფასებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 1 ნოემბერს მიღებული დადგენილებით სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე უწყებების მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობას. სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე პარლამენტმა 2023 წლის დადგენილებაში სხვადასხვა ცენტრალური, ავტონომიური თუ მუნიციპალური უწყებების მიმართ 277 დავალება გასცა (მათ შორის, 19 დავალება მუნიციპალიტეტის ორგანოებს, ხოლო 1 დავალება საჯარო უწყებათა ყველა თანამდებობის პირს მიემართებოდა). საქართველოს პარლამენტმა სრულად გაიზიარა სახალხო დამცველის 208 რეკომენდაცია, ნაწილობრივ გაიზიარა 30 რეკომენდაცია, არ გაიზიარა 22, ხოლო არსებითი ცვლილებების გამო გაზიარებულად არ მიიჩნევა 20. იმ 258 დავალებიდან, რომლის შესრულებაც სახალხო დამცველის აპარატმა შეაფასა, შესრულდა 49 დავალება (19%), ნაწილობრივ შესრულდა 61 დავალება (24%), არ შესრულებულა 89 (34%), უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შეუძლებელია შეფასდეს 12 (5%), რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას (8%), რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა 24 (9%), ხოლო არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არცერთი რეკომენდაციიდან/დუბლირებული დავალებაა/დაკარგა რელევანტურობა - 3 დავალება (1%).

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე აფასებს 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში მის მიერ სახელმწიფო უწყებებისადმი გაცემული იმ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას, რომლებიც პარლამენტის დადგენილების მიღმა დარჩა ან არსებითად სახეცვლილი ფორმულირებით აისახა დადგენილებაში. ჯამში 44 ისეთი რეკომენდაცია იყო, რომლებიც პარლამენტმა დადგენილებაში არ ასახა. მათგან შესრულდა 1, არ შესრულებულა 32, ნაწილობრივ შესრულდა 3, ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას 8. გარდა ამისა, იყო ისეთი 32 რეკომენდაცია, რომლებიც პარლამენტის დადგენილებაში არსებითად სახეცვლილი ფორმულირებით მოხვდა. მათგან არ შესრულებულა 31 რეკომენდაცია, ხოლო ობიექტური გარემოების გამო არ ექვემდებარება შეფასებას 1 რეკომენდაცია.

1.კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

2024 წელი კვლავ სირთულეებით აღსავსე იყო კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობისთვის, როგორც ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად, ისე ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ოკუპირებული აფხაზეთის სოფელ საბერიოში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა,[2] რომელსაც 5 მცირეწლოვანი ბავშვის გარდაცვალება მოჰყვა, კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მძიმე ყოველდღიურობას.[3]

საანგარიშო პერიოდში ერთი წელი შესრულდა საოკუპაციო რეჟიმის მიერ თამაზ გინტურის მკვლელობიდან.[4] ამ დრომდე დაუსჯელები არიან 2014 წელს დავით ბაშარულის, 2016 წელს გიგა ოთხოზორიას, 2018 წელს არჩილ ტატუნაშვილის და 2019 წელს ირაკლი კვარაცხელიას მკვლელობაში უშუალოდ მონაწილე საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლები, რაზეც პასუხისმგებლობა რუსეთის ფედერაციას ეკისრება.[5]

საოკუპაციო ხაზზე უკანონო დაკავებები და გახშირებული უკანონო პატიმრობის შემთხვევები, ასევე საოკუპაციო ხაზზე გადაადგილება კვლავ გამოწვევად რჩება. დე ფაქტო ორგანოებისა და რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ძალების მიერ დადგენილი ფორმალური რეჟიმი, ხელოვნური მიზეზების დასახელებით ხღუდავს ადგილობრივ მკვიდრთა გადაადგილებას და პერიოდულად სრულად იკეტება ე.წ. გამშვები პუნქტები.

ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას არ ეძლევა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, რის გამოც ორივე რეგიონში ყოველწლიურად იკლებს მოსწავლეთა რაოდენობა. კვლავ გრძელდება საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი. საკუთრების უფლების დარღვევა ყოველდღიურ გამოწვევად რჩება საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისათვის.

საოკუპაციო რეჟიმი ცდილობს, აღნიშნული უკანონო პროცესი ე.წ. სახელმწიფო საზღვრის მოწყობად წარმოაჩინოს და ოკუპირებული რეგიონები ე.წ. დამოუკიდებელ სუბიექტებად დაამკვიდროს.

---

[2] საბერიოში მომხდარი ტრაგედიის გამო ოკუპირებულ აფხაზეთში გლოვა გამოცხადდა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://shorturl.at/csRnN [15/02/2025].

[3] საქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის 5 იანვრის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://shorturl.at/BfWZl [15/02/2025].

4 საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 6 ნოემბრის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/u1ivza [20/02/2024]/

[5] ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2021 წლის 21 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც ცალსახად დაადასტურა რუსეთის ფედერაციის ეფექტიანი კონტროლი საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე და ადგილზე ადამიანის უფლებების დარღვევების გამო პასუხისმგებლობა რუსეთს დააკისრა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://shorturl.at/tCVZ6 [20/02/2024].

1.1.უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობა

ოფიციალური მონაცემებით, 2024 წელს საოკუპაციო ხაზზე, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით - 36 პირი (აქედან, 34 კაცი, 1 ქალი და 1 არასრულწლოვანი), ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 34 პირი დააკავეს (აქედან, 29 კაცი, 1 ქალი და 1 არასრულწლოვანი).[6] აღნიშნული შემთხვევები ნათლად წარმოაჩენს, რომ საოკუპაციო რეჟიმი კვლავ განაგრძობს ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის პირთა დაკავებების უკანონო პრაქტიკას.

ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთას, როგორც წესი, თან სდევს ამ პირთა უკანონო პატიმრობა. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო პატიმრობაში რჩებოდა 14 მოქალაქე. მათგან 11 - ოკუპირებულ ცხინვალში და 3 - ოკუპირებულ აფხაზეთში.[7]

საანგარიშო პერიოდში ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. უზენაესმა სასამართლომ, კახა მურადოვს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ბრალი წაუყენეს „სახელმწიფო ღალატში“ და სამხედრო საიდუმლოს საქართველოსთვის გადაცემაში.[8] ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პროკურატურის განცხადებით, მურადოვი აფხაზეთის მოქალაქეა, თუმცა მისი დაკავების დროს დე ფაქტო უსაფრთხოების სამსახურმა განაცხადა, რომ მას საქართველოს პასპორტიც აქვს.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, საოკუპაციო რეჟიმის მსგავსი უკანონო ქმედებები უხეშად არღვევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაშვების აუცილებლობას.[9]

წლების განმავლობაში უმნიშვნელოვანესი გამოწვევა იყო ოკუპირებული რეგიონების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში პატიმრებისა და მსჯავრდებულების მოთავსების პირობები, რაზეც სახალხო დამცველი ყოველწლიურად საუბრობდა საპარლამენტო ანგარიშებში.[10] ამ საკითხზე საგულისხმოა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ომბუდსმენის ანგარიში, რომლის თანახმად,[11] ოკუპირებული აფხაზეთის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებული პირობები პატიმრებისა და მსჯავრდებულებისთვის წამებას, არაადამიანურ მოპყრობასა და დასჯას უთანაბრდება.

---

[6] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2024 წლის 30 დეკემბრის №SSG12400313128 წერილი.

[7] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2024 წლის 30 დეკემბრის №SSG12400313128 წერილი.

[8] აფხაზეთის ე.წ. უზენაესმა სასამართლომ „საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის“ დაკავებულ კახა მურადოვს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/ncvylm [10/02/2025].

[9] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 22 აპრილის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/p7my3e [10/02/2025].

[10] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/f2piy2 [22/02/2025].

[11] ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. სახალხო დამცველის ანგარიში „ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი, აფხაზეთის იძულებითი დაკავების ადგილებში“. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/6zut41 [11/02/2025].

ანგარიშის თანახმად, ძირითად პრობლემებს განეკუთვნება: სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების არარსებობა, სანიტარიული ნორმების დაუცველობა, საკნებში საწოლების სიმცირე, არასათანადო საკვები; პატიმრებს ეზღუდებათ ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია, ექვემდებარებიან ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ძალადობას. უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს არასრულწლოვან და ქალ მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. ოკუპირებულ აფხაზეთში არ არსებობს ქალთა და არასრულწლოვანთა სასჯელის მოხდის სპეციალური დაწესებულება, რის გამოც ქალ და არასრულწლოვან პატიმრებს დე ფაქტო შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაქვემდებარებულ სოხუმის წინასწარი დაკავების იზოლატორებში ათავსებენ. ქალების საკნები იმავე სართულზეა განთავსებული, რომელზეც მამაკაცების.

იმ პირობებში, როცა საქართველოს სახალხო დამცველს არ აქვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე წვდომა, შექმნილი ვითარება კიდევ ერთხელ მიუთითებს ოკუპირებულ რეგიონებში საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების დაშვების აუცილებლობაზე, ადგილზე არსებული მდგომარეობის სრულყოფილად შესასწავლად და უფლებრივი დარღვევების აღსარიცხად.

უკანონო დაკავებებთან და პატიმრობასთან დაკავშირებით, უმნიშვნელოვანესია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2024 წლის 9 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ კიდევ ერთხელ დააკისრა რუსეთის ფედერაციას პასუხისმგებლობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის გამო.[12] კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება) დარღვევას წარმოადგენს საოკუპაციო ხაზის გადაკვეთის გამო ეთნიკური ქართველების ნებისმიერი დაკავება/პატიმრობა.

1.2. გადაადგილების თავისუფლების საკითხი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები

წინა წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი პირადად იმყოფებოდა ორივე მიმართულებით[13] არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე და ადგილზე ეცნობოდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული მოსახლეობის საჭიროებებს.[14] ადგილობრივი მოსახლეობისთვის მთავარი პრობლემა კვლავ დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ე.წ. გამშვები პუნქტების გაუფრთხილებლად და ხელოვნური მიზეზებით ჩაკეტვაა.

ოკუპირებული ახალგორის ე.წ. გამშვები პუნქტი, წინა წლის მსგავსად, თვეში მხოლოდ 10 დღით, ყოველი თვის 20-დან 30 რიცხვამდე იხსნება. თუმცა, საყურადღებოა, რომ

12 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, საქართველო რუსეთის წინააღმდეგ IV. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://hudoc.echr.coe.int/#{%22itemid%22:[%22001-232000%22]}.

13 ოკუპირებული ცხინვალის და ოკუპირებული აფხაზეთის.

14 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://shorturl.at/einA4 [20/02/2024].

საპარლამენტო არჩევნების დროს, 26 ოქტომბერს, დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ე.წ. გამშვები პუნქტი სრულად ჩაიკეტა.[15]

2024 წელს, გამონაკლისის სახით, ე.წ. გამშვები პუნქტი აღდგომის დღეებში, 3 დღით გაიხსნა.[16] სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს, ადგილობრივ მცხოვრებთა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ არც უსარგებლიათ ამ სამდღიანი გახსნით, რადგან მუდმივად აქვთ შიში, რომ დე ფაქტო ადმინისტრაცია გაუფრთხილებლად ჩაკეტავს ე.წ. გამშვებ პუნქტს და ისინი ველარ მოახერხებენ უკან დაბრუნებას.

ოკუპირებული ახალგორის მსგავსად, საპარლამენტო არჩევნების დროს, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაკეტილი იყო ენგურის ხიდზე არსებული ე.წ. გამშვები პუნქტიც.[17]

საყურადღებოა, რომ წინა წლების მსგავსად, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, გადაადგილებაზე დაწესებული ხელოვნური შეზღუდვები უმეტესად დღესასწაულებს ემთხვევა. ამის თაობაზე სახალხო დამცველი საუბრობს როგორც წლიურ ანგარიშებში,[18] ასევე საჯარო განცხადებებში.[19]

რაც შეეხება დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ საკითხს, წინა წლის მსგავსად, ამ ეტაპზე, ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე გადაადგილება დაიშვება შემდეგი დოკუმენტაციით: 1) დე ფაქტო (ახალი) პასპორტი;[20] 2) ე.წ. ბინადრობის მოწმობა; 3) 14 წლამდე პირებისთვის - დაბადების მოწმობა; 4) ქართული პასპორტით იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა (ე.წ. ვიზა).

ოკუპირებული ახალგორის შემთხვევაში, გადაადგილებისათვის აუცილებელია ე.წ. „საშვი“, რომელსაც დე ფაქტო უშიშროების სამსახური გასცემს. დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სახალხო დამცველი 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში საუბრობდა. [21]

2024 წელს ოკუპირებულ რეგიონებში გაცემული დე ფაქტო დოკუმენტების ზუსტი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. თუმცა, საანგარიშო წლის თებერვლიდან,

---

[15]ოკუპირებული ცხინვალი, საქართველოში არჩევნების გამო ე.წ. საზღვარს არ გახსნის. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/a9giuk

[16]ოკუპირებული ახალგორის გზა სააღდგომოდ გახსნეს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/rh1ac4 [11/02/2025].

[17] საქართველოში არჩევნების გამო ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. მთავრობა ენგურის ხიდს ჩაკეტავს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/3bhjqb [11/02/2025].

[18] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/f2piy2 [11/02/2025].

[19] სახალხო დამცველის განცხადება ენგურის ხიდის და საბერიო-ფახულანის ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვასთან დაკავშირებით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://shorturl.at/wKQW4 [11/02/2025].

[20] ძველი დე ფაქტო პასპორტები 2014 წელს ჩამოერთვათ.

[21] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/f2piy2 [11/02/2025].

ოკუპირებულ აფხაზეთში უკვე გაცემული ხუთწლიანი ე.წ. ბინადრობის მოწმობის მოქმედების ვადა ათ წლამდე გახანგრძლივდა.[22] მიუხედავად ვადის გახანგრძლივებისა, ე.წ. ბინადრობის მოწმობა, არ ანიჭებს ამ დოკუმენტის მქონე პირებს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, ამ მოწმობით ადამიანებს ასევე არ შეუძლიათ ე.წ. ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. გარდა ამისა, გალელთა დიდი ნაწილი კვლავ ეწინააღმდეგება ე.წ. ბინადრობის მოწმობის აღებას, რომელიც მათ უცხოელის სტატუსს ანიჭებს საკუთარ მიწაზე. ამ საკითხზე სახალხო დამცველი 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში დეტალურად საუბრობს.[23]

სახალხო დამცველის წარმომადგენლები აქტიურად განაგრძობენ გადაადგილების თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლას და მონიტორინგს ახორციელებენ ორივე ოკუპირებული რეგიონის მიმართულებით არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტებზე.[24]

1.3.განათლების უფლება

წლიდან წლამდე იკლებს მოსწავლეების რაოდენობა ოკუპირებულ რეგიონებში. მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობა კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება. ოკუპირებული გალისა და ახალგორის ყველა სკოლაში დაწყებით კლასებში სრულად აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება და მშობლიური ენა, უცხო ენისა და ლიტერატურის საგნად გადაკეთდა.

2024-2025 სასწავლო წლის მონაცემებით, ოკუპირებული გალის რაიონში 30 სრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 9 სკოლამდელი დაწესებულება, 5 სახელოვნებო სკოლა ფუნქციონირებს.[25] სკოლებში, 2024 წლის იანვრის მდგომარეობით, მოსამზადებლიდან მე-11 კლასის ჩათვლით, 3348 მოსწავლე ირიცხება.[26] მათი რიცხვი 2023-2024 სასწავლო წლის მონაცემებით 3443 იყო.[27] 30-ვე სკოლაში დასაქმებულია 948 მასწავლებელი.[28] საბავშვო

[22] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2024 წლის 27 დეკემბრის წერილი NGOV2147.

[23]საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/f2piy2 [11/02/2025].

[24] 27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://shorturl.at/einA4 [20/02/2024].

[25]აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროს გალის რესურსცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შეიარაღებულ კონფლიქტებამდე, ოკუპირებული გალის რაიონში ფუნქციონირებდა 58 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელთაგან 52 სკოლაში სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლებში ირიცხებოდა 13 180 მოსწავლე.


[26] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2025 წლის 15 იანვრის №MES 2 25 0000007427 წერილი.

[27] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/f2piy2 [14/02/2025].

[28] 2023 წელს მათი რიცხვი 970-ს შეადგენდა.

ბაღებში ირიცხება 410-მდე აღსაზრდელი.[29] 2023-2024 წლებში ეს რიცხვი 500-ს აღემატებოდა.[30]





მშობლიურ ენას, ოკუპირებული გალის სკოლებში რიგითი საგნის სტატუსი აქვს. სკოლებში, წინა წლების მსგავსად, ყველა საგანი რუსულ ენაზე და რუსეთის ფედერაციის სკოლებისთვის დაბეჭდილი სახელმძღვანელოებით ისწავლება. რუსულ ენას, კვირაში, პირველიდან - მეთერთმეტე კლასის ჩათვლით, 79 საათი ეთმობა. კლასგარეშე ღონისძიებებიც რუსულ ენაზე ტარდება. პედაგოგებს და მოსწავლეებს ეკრძალებათ ურთიერთობა ქართულ საგანმანათლებლო სივრცესთან. იძულებითი რუსულენოვანი აღზრდა - განათლება მიმდინარეობს საბავშვო ბაღებსა და სახელოვნებო სკოლებშიც.[31]

რაც შეეხება ოკუპირებულ ახალგორს, მშობლიურ ენაზე განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. საანგარიშო წელს მოსწავლეების არარსებობის გამო ბოლო ქართული სკოლაც დაიხურა.[32] აღსანიშნავია, რომ ქართული სკო-


[29] აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის 2025 წლის 15 იანვრის №MES 2 25 0000007427 წერილი.
[30] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://rb.gy/f2piy2 [11/02/2025].
[31] აფხაზეთის ა/რ განათლების სამინისტროს გალის რესურსცენტრის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია 12/01/2025.
[32] ოკუპირებულ ახალგორში უკანასკნელი ქართული სკოლა დაიხურა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://shorturl.at/3fhCj [14/02/2025].

ლები ეტაპობრივად დაიხურა: ჯერ გაუქმდა დაწყებითი კლასები, შემდეგ ყოველწლიურად თითო კლასი. 2024 წელს სკოლა ბოლო კურსდამთავრებულებმა დაამთავრეს.

ოკუპირებულ ახალგორში, ამ ეტაპზე, ფუნქციონირებს მხოლოდ 5 სკოლა. აქედან, 4 სკოლაში ქართული ენა, როგორც საგანი, მხოლოდ მე-11 კლასში ისწავლება. 2024-2025 სასწავლო წლის მონაცემებით, ახალგორის სკოლებში, ჯამურად 50 მოსწავლე ირიცხება და 79 პედაგოგია დასაქმებული.[33]

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების გაუვლელად საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლება მიენიჭა 192 აბიტურიენტს (179 სტუდენტი - ოკუპირებული აფხაზეთიდან, 13 სტუდენტი - ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან). ასევე, 2024 წელს განათლების სამინისტროში მოქმედი სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხული 6 სტუდენტი, რომლებიც ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე სწავლობდნენ ბოლო ორი წლის განმავლობაში და მიიღეს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.[34]

კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გაცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომების აღიარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. დე ფაქტო ხელისუფლებები არ აღიარებენ ამ დიპლომებს. შესაბამისად, ახალგაზრდებს უჭირთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დასაქმება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ისინი დამკვიდრებას თბილისში ან სხვა ქალაქებში ცდილობენ, რაც ხელს უწყობს ოჯახების ხელოვნურად გაყოფას.



33 სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი 2025 წელი.

[34] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 27 იანვრის MES 2 25 0000062417 წერილი.

1.4.ჯანმრთელობის დაცვის უფლება

კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე პაციენტების გადმოყვანის საკითხი. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ოკუპირებული ახალგორის რეგიონში. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე პაციენტის გადმოსაყვანად საჭიროა რამდენიმე ეტაპის გავლა: 1.ოკუპირებული ცხინვალის ექიმების ჯგუფის შეკრება და მათი თანხმობა; 2. ახალგორის ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ექიმების თანხმობა, რომ პაციენტი გადაიყვანონ ცხინვალში; 3. ცხინვალში გადაყვანის შემდეგ, პაციენტის მდგომარეობის შეფასება ცხინვალის ექიმების მიერ; 4. ექიმების ნებართვის მერე, ოჯახს აქვს უფლება, პაციენტის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსაყვანად „საშვის“ მისაღებად მიმართოს დე ფაქტო უწყებებს; 5. ბოლო ეტაპზე ერთვება წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც მოჰყავს ავადმყოფი ერგნეთამდე.

ე.წ. გამშვები პუნქტის ჩაკეტვა და ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის მიერ დაწესებული ხელოვნური ბარიერები, ძალიან მძიმედ აისახება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობაზე. ამის ნათელი მაგალითია, 2019-2020 წლის განმავლობაში, სამედიცინო სერვისებზე არასათანადო ხელმისაწვდომობის გამო, არაერთი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა. ამ ფაქტებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი, ჯერ კიდევ 2020 წელს, დეტალურად საუბრობდა თავის სპეციალურ ანგარიშში.[35]

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი „რეფერალური მომსახურების“ პროგრამა ჯანმრთელობის დაცვისათვის. 2024 წლის განმავლობაში, ამ პროგრამის ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან 1417 პაციენტი დაფინანსდა. აქედან, 1133 პირი ოკუპირებული აფხაზეთიდან და 284 ოკუპირებული ცხინვალიდან.[36]

1.5.საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

წინა წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი მუდმივად ახორციელებდა ვიზიტებს როგორც შიდა ქართლის, ისე სამეგრელოს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში და პირადად ეცნობოდა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებს.[37]

---

[35] სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://shorturl.at/VqqEs [22/02/2025].

[36] ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებზე გამოყოფილი თანხა 3.343.892.00 ლარს შეადგენდა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2024 წლის 30 დეკემბრის №100040302401384561 წერილი.

[37] 2024 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველი იმყოფებოდა საოკუპაციო ხაზთან სოფელ დიცში, ქორდში, ფლავში, ფლავისმანში, მერეთში, ჯარიაშენში, ქვეშში, გორაკაში, საკორინთლოში, კარბში, რიყესა და რუხში.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ 16 წელზე მეტი გავიდა და ქვეყანაში აქტიური შეიარაღებული მოქმედებები აღარ მიმდინარეობს, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა დღემდე მწვავედ განიცდის ომის დამანგრეველ შედეგებს. სახალხო დამცველთან საუბრისას, მოსახლეობამ ძირითად გამოწვევად დაასახელა - უკანონო ე.წ. ბორდერიზაციით საკუთრების უფლების დარღვევა; სოფლებიდან მიგრაცია; სამუშაო ადგილების სიმცირე; ზოგიერთ სოფელში სარწყავი წყლის არარსებობა; ამბულატორიების გახსნა; აფთიაქებსა და სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა; საცხოვრებლად აუცილებელი ინფრასტრუქტურული პირობების არარსებობა, მათ შორის, კულტურის სახლისა და სხვადასხვა სერვისცენტრის გახსნა. მოსახლეობის ნაწილი ასევე შეეხო საგანმანათლებლო დაწესებულებების და საზოგადოებრივი ცენტრების აშენება-რეაბილიტაციის მნიშვნელობას, რაც, მათი აზრით, ნაკლებად გამოიწვევს სოფლებიდან ახალგაზრდების გადინებას.

საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის უდიდესი გამოწვევაა ფიზიკური უსაფრთხოება. მცოცავი ოკუპაციის პირობებში, მოსახლეობის ნაწილმა არ იცის, სად გადის საოკუპაციო ხაზი და ხშირია შემთხვევები, როცა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლები, ე.წ. „სახელმწიფო საზღვრის“ დარღვევის ბრალდებით აკავებენ ადამიანებს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო ფორმატის გამოყენებით, რათა საოკუპაციო რეჟიმებმა, საოკუპაციო ხაზის მთელ პერიმეტრზე უკანონო შეზღუდვების მოხსნით და ე.წ. გადასასვლელების შეუფერხებელი მუშაობით, დაიცვან მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება;
- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაუშვას საერთაშორისო მონიტორების სრული და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- გაგრძელდეს ქართული ენის სწავლება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ან დაფინანსებულ საზაფხულო ბანაკებსა და საზაფხულო სკოლებში ოკუპირებულ ტერიტორიიდან მონაწილე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის; სტუდენტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის პარალელურად, შეეთავაზოთ ქართული ენის სასწავლო პროგრამები.

2. სიცოცხლის უფლება

2.1.შესავალი

2024 წელს, კვლავ უშედეგოდ მიმდინარეობდა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის - თამაზ გინტურის მკვლელობის გამოძიება. სიცოცხლის უფლების თავში ყურადღება გამახვილდება ასევე 2023 წელს შოვის ტრაგედიის შედეგად პირთა გარდაცვალების გამოძიების ეფექტიანობის შეფასებაზე. ამავე თავში განხილული იქნება ფემიციდის შემთხვევები, სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში და სხვ.

2.2.სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართულებით არსებული მდგომარეობა ოკუპაციის კონტექსტში

თამაზ გინტურის საქმე

2023 წლის 6 ნოემბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალთან, რუსმა სამხედროებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს საქართველოს მოქალაქე - თამაზ გინტური, ხოლო ერთი პირი გაიტაცეს. საქართველოს მოქალაქის მკვლელობისა და ერთი პირის გატაცების ფაქტებთან დაკავშირებით, დაიწყო გამოძიება.[38]

2023 წლის მსგავსად, სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდშიც გამოითხოვა საგამოძიებო ორგანოდან ინფორმაცია, რათა დაედგინა გამოძიების პროგრესი მოცემულ ეტაპზე.[39] სამწუხაროდ, გამოძიება, 1 წლის შემდეგაც უშედეგოდ გრძელდება.[40]

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა აპარატს აცნობა, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობდა სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატში, მათ შორის, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში, თამაზ გინტურის მკვლელობაში დამნაშავე პირის/პირების მიმართ სამართლის აღსრულების საკითხის მოთხოვნას.[41] თუმცა საოკუპაციო ძალის წარმომადგენლები კვლავ უარს ამბობენ დამნაშავე პირების დასჯასა და მათ მიმართ სამართლის აღსრულებაზე.[42]

სახალხო დამცველი კვლავ საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება გამოიყენოს დამნაშავეთა დასასჯელად.

---

[38] გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით.

[39] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 6 ნოემბრის №2024/6135 და 2025 წლის 6 იანვრის №25/432 წერილები.

[40] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 12 ნოემბრის MIA 0 24 03446354 და 2025 წლის 27 იანვრის MIA 3 25 00212916 წერილები.

[41] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის 21 თებერვლის SSG 8 24 00040100 წერილი.

[42] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2025 წლის 19 მარტის SSG 2 25 00059707 წერილი.

2.3.შოვის ტრაგედიის საქმეზე მიმდინარე გამოძიება[43]

2023 წლის 3 აგვისტოს, შოვში, სტიქიური მოვლენის შედეგად 32 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 1 პირის ცხედარი აღმოჩენილი არ არის და დღემდე დაკარგულად მიიჩნევა. გამოძიება მიმდინარეობს ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის; ასევე, სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია. 2024 წლის ივლის-აგვისტოსა და სექტემბერში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, აპარატს, საგამონაკლისო წესით,[44] უფლება მისცა გასცნობოდა ხსენებულ საქმეს.[45]

საქმის გაცნობის შედეგად, სიცოცხლის უფლების დაცვის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოიკვეთა.

სიცოცხლის უფლების დაცვის ევროპული კონვენციით გარანტირებული სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, „სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, რაც პირველ რიგში გულისხმობს სახელმწიფოს მოვალეობას შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, საკონტროლო მექანიზმები და გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები.[46] იმ პირობებში, როდესაც ადამიანების დაღუპვა ან მათი სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა განპირობებულია ბუნებრივი კატასტროფებით, სახიფათო აქტივობების კონტექსტში და სხვ., როდესაც ადგილი არ აქვს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან სიცოცხლის უფლების დარღვევის განზრახ ქმედებებს, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად გამოიყენება შემდეგი ტესტი: მიიღო თუ არა სახელმწიფომ ყველა ზომა, რაც შეეძლო, რათა თავიდან აეცილებინა ადამიანის სიცოცხლის რისკი[47] და ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სასიკვდილო საფრთხის შესახებ.[48] კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა შეიძლება იყოს სიცოცხლის საფრთხის გამო პასუხისმგებელი პირებისთვის ბრალის წაუყენებლობა ან დაუსჯელობა.[49]

---

[43] წინამდებარე თავში განხილული საკითხების შესახებ ინფორმაცია და სიცოცხლის უფლების დაცვის კონტექსტში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის საფუძვლების დეტალური მიმოხილვა ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[44] სახალხო დამცველის აპარატს, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, არ აქვს მიმდინარე გამოძიების მასალებზე წვდომის უფლებამოსილება.

[45] სისხლის სამართლის საქმე №059030823001.

[46] Öneryıldız v. Turkey [GC], 2004, §101; Brincat and others v. Malta, საჩივარი №60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11 and 62338/11, 24.07.2014 წ. პარა. 105-106.

[47] L.C.B. v. the UK განაცხადი №14/1997/798/1001, 09.06.1998 წ. პარა. 36.

[48] Öneryıldız v. Turkey [GC], 2004, პარა. 101; Brincat and others v. Malta, საჩივარი №60908/11, 62110/11, 62129/11, 62312/11 and 62338/11, 24.07.2014 წ. პარა. 105-106.

[49] Öneryıldız v. Turkey [GC], განაცხადი №48939/99, 30.11.2004 წ. პარა. 93; Budayeva and others v. Russia, განაცხადი №15339/02, 21166/02, 20058/02, 11673/02, 15343/02, 20.03.2008 წ. პარა. 140; Kolyadenko and others v. Russia,

ბუნებრივ საფრთხეებთან დაკავშირებით და გადაუდებელი დახმარების სფეროში, სადაც სახელმწიფო უშუალოდ არის ჩართული ბუნებრივი საფრთხის შერბილების გზით სიცოცხლის უფლების დაცვაში, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება იმდენად, რამდენადაც კონკრეტული შემთხვევის გარემოებები მიუთითებს ბუნებრივი საფრთხის გარდაუვალობაზე, რომელიც აშკარად გამოკვეთილი იყო და განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ეხებოდა განმეორებით მოვლენას, რომელიც განვითარდა სხვადასხვა საცხოვრებელ ზონაში. ევროპული სასამართლო, როგორც წესი, განიხილავს კატასტროფების პრევენციისა და მოსახლეობის ასეთი მოვლენების ზემოქმედებისგან დაცვის ვალდებულების საკითხებს.[50]

ე.წ. შოვის საქმის გამოძიების პროცესში გამოვლენილი პრობლემური საკითხები

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების/შეუსრულებლობის დადგენა

სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ამ საქმის გამოძიებისას სახელმწიფომ უპირველეს ყოვლისა უნდა დაადგინოს, გახდა თუ არა შოვში ბუნებრივი კატასტროფის შედეგად ადამიანების გარდაცვალების მიზეზი სახელმწიფოს უმოქმედობა. ამ თვალსაზრისით, გამოძიებამ უნდა გაარკვიოს სახელმწიფოში მოქმედი ეროვნული სამართლებრივი რეგულაციების არსებობის საკითხი და გამოკვეთოს, გატარდა თუ არა პრევენციული ღონისძიებები. ამავე დროს, უმნიშვნელოვანესია დადგინდეს ადრეული გაფრთხილებისა და განგაშის სისტემების არსებობა-არარსებობის საკითხი და მიზეზები.

სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის გამოძიებას არ დაუდგენია, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს მოსალოდნელი სტიქიის შესახებ, რათა სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებებით თავიდან აერიდებინა ადამიანების სიცოცხლის უფლების დარღვევა. გამოძიებას ასევე არ მოუპოვებია დეტალური ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ადრეული გაფრთხილებისა და განგაშის სისტემების დამონტაჟების კუთხით სახელმწიფოს ვალდებულებებისა და მათი შესრულების თაობაზე.

ამ კუთხით, საყურადღებოა, რომ შოვის ტრაგედიამდე, 2019-2022 წლებში, გარემოს ეროვნული სააგენტო საინფორმაციო ბიულეტენებში ყურადღებას ამახვილებდა კატასტროფების რისკის წინასწარი გამოვლენის და შემცირების მნიშვნელობაზე, აუცილებლობასა და ადრეული შეტყობინების სისტემების გაზრდის მიზნობრიობაზე.[51] საქმის მასალების თანახმად, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განაცხადა, რომ სამომავლოდ იგეგმება ადრეული გაფრთხილების და განგაშის სისტემების დამონტაჟება.

განაცხადი №17423/05, 20534/05, 20678/05, 23263/05, 24283/05, 35673/05, 28.02.2012 წ. პარა. 190; M. Özel and others v. Turkey, განაცხადი №14350/05, 15245/05,16051/05, 17.11.2015 წ. პარა. 188.

[50] M. Özel and others v. Turkey, განაცხადი №14350/05, 15245/05,16051/05, 17.11.2015 წ. პარა. 172.

[51] ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენები მოიცავს საქართველოში კონკრეტულ წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებსა და პროგნოზს მომდევნო წლისთვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის დოკუმენტში ადრეული გაფრთხილების სისტემის შესაქმნელად შესაბამისი ფინანსური რესურსიც იყო გათვალისწინებული. ამასთანავე, ჯერ კიდევ 2018 წელს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადრეული გაფრთხილების გამართული სისტემა 2-3 წელიწადში დამონტაჟდებოდა.[52] მიუხედავად ამისა, გამოძიებას არ დაუდგენია/არ გაურკვევია, რატომ არ დამონტაჟდა ეს სისტემა.

გამოძიებამ უკრიტიკოდ გაიზიარა გარემოს ეროვნული სააგენტოს პოზიცია, რომ ბიულეტენებში მითითებული ინფორმაცია შოვში ღვარცოფის და მეწყრის მაღალი საშიშროების რისკის შესახებ ეხებოდა მდ. ჭანჭახის ხეობას და მდ. ბუბას ხეობა და მყინვარი ბუბა შესწავლილი არ ყოფილა, რადგან ბუბას ხეობაში მანამდე მსგავსი მოვლენები არ შემჩნეულა და მოსალოდნელიც არ ყოფილა. თუმცა გამოძიების მოპოვებული და საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია საპირისპიროზე მეტყველებს.

საგულისხმო გარემოებაა, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო 2019-2022 წლების ბიულეტენებში რაჭა-ლეჩხუმის მხარეში პერიოდული „გლაციალური“ ღვარცოფების შესახებაც მიუთითებდა. ამავე მონაცემების თანახმად, უშუალოდ შოვი უხვი ნალექით ხასიათდებოდა და მიეკუთვნებოდა მაღალი რისკის ზონას ღვარცოფისა და მეწყერის განვითარებისთვის.

ამდენად, სახალხო დამცველის შეფასებით, შესწავლილი საქმის მასალებით იკვეთება რამდენიმე ფაქტორი, რაც მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის სიცოცხლისთვის სახიფათო მდგომარეობის შესაძლო ცოდნაზე ან/და იმ გარემოებაზე, რომ ასეთი ინფორმაცია სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია გამოძიებამ გამოკვეთოს, სტიქიის რისკების შესამცირებლად ახდენდა თუ არა სახელმწიფო რაიმე სახის რეაგირებას ამ მონაცემებზე დაყრდნობით, და თუ არა - რატომ.

საგულისხმოა, რომ სწორედ სტიქიის შემდეგ, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ უცხოურ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება 22 მყინვარის, მათ შორის, მყინვარ ბუბას შესასწავლად. ამავე დროს, უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭომ დაიწყო ადრეული გაფრთხილების სისტემების კონცეფციის შექმნაზე მუშაობა. ეს გარემოებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, შეესწავლა მყინვარებიდან მომდინარე საფრთხეები.

პროცედურული მხარე

მოცემულ ეტაპზე, გამოძიებას არ აქვს მოპოვებული ინფორმაცია, არსებობდა თუ არა საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა, რომელსაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავებენ და ამტკიცებენ საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის სუბიექტები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით.

[52] https://shorturl.at/RqX7W [ბოლოს ნანახია 27/03/2025].

მართალია, საგანგებო შტაბს დაევალა სიტუაციისთვის ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე ორგანიზების და კოორდინაციის გაწევა, თუმცა კონკრეტული მოქმედების გეგმა, ტაქტიკა და ქმედებები შს მინისტრის მ/შ-ის ბრძანებაში ან გამოძიების მიერ მოპოვებულ სხვა დოკუმენტაციაში განსაზღვრული არ არის. გამოძიებას ეს ინფორმაცია არც შტაბის წევრების გამოკითხვის დროს დაუზუსტებია. შტაბის წევრები გადაწყვეტილებას იღებდნენ მყისიერად, ერთობლივად, ზეპირად და არანაირი დოკუმენტი არ შედგენილა. ამასთანავე, გამოძიებას არ დაუსვამს კონკრეტული კითხვები, თუ რა საშუალებით გადაეცემოდა დავალებები მორეაგირე ჯგუფებს, რათა შემდეგ ეს მონაცემი მოეპოვებინათ.

რაც შეეხება მაშველების მონაწილეობას, მოცემულ ეტაპზე, გამოძიებას არ გამოუკვლევია რატომ არ მონაწილეობდა 3-4 აგვისტოს ღამეს სამაშველო პროცესში მაშველთა სრული შემადგენლობა.[53]

საგულისხმოა, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს, 15:07 საათზე, 112-ზე პირველი შეტყობინება შევიდა და დადასტურდა ვერტმფრენის მოთხოვნაც. თუმცა ვერტმფრენი სტიქიის ზონაში თითქმის 3 საათის შემდეგ, 18 საათზე ჩავიდა თბილისიდან, ხოლო მე-2 – 19 საათზე. ცხადია, საგანგებო სიტუაციის დროს, შემთხვევის ადგილზე, მეწყერში მოყოლილი ადამიანების სამაშველო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ვერტმფრენის ჩაფრენის 3-საათიანი დრო, საქართველოს ტერიტორიის ფართობის გათვალისწინებით, არაგონივრულია.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ ღონისძიებაში საგანგებო სიტუაციების 5 დრონი მონაწილეობდა, თუმცა არცერთი დრონის ოპერატორს არ ჩაუწერია დათვალიერების პროცესში ფოტო ან ვიდეომასალა, გარდა ამბროლაურის განყოფილებისა, რომელმაც 18-19 საათამდე გადაიღო რამდენიმე ფოტო და ვიდეო და შტაბში გადააგზავნა. შესაბამისად, საქმეში არ მოიპოვება სხვა ნეიტრალური მტკიცებულებები და მხოლოდ დრონის ოპერატორების ჩვენებით დასტურდება, რომ მთელი ღამით „live" რეჟიმში მიმდინარეობდა დათვალიერება და არ აღმოუჩენიათ ან დაუნახავთ ადამიანი.

ცხედრების აღმოჩენისას, გამომძიებლებს არ დაუთვალიერებიათ შემთხვევის ადგილი, ხოლო სამაშველო ღონისძიების მიმდინარეობისას, მაშველებს, ცხედრის აღმოჩენის შემდეგ, არ შეუდგენიათ დოკუმენტი მათი აღმოჩენის გარემოებების აღწერით (როგორიცაა: მეწყრის/ღვარცოფის ზედაპირი, სიღრმე, მანძილი და სხვ.), რაც მნიშვნელოვანია გარდაცვალების გარემოებების დასადგენად. მაშველები აღმოჩენილ ცხედრებს უღებდნენ ფოტოებს (თუმცა არა ყველა შემთხვევაში) და ნიშნავდნენ ლოკაციას (კოორდინატები), რასაც შტაბში აგზავნიდნენ. თუმცა არანაირ მაიდენტიფიცირებელ ნიშანს (მაგ., ნომერი და სხვა) არ ურთავდნენ, რის გამოც კონკრეტულ თარიღში ნაპოვნი რამდენიმე ცხედრის აღმოჩენის ადგილმდებარეობის ზუსტად დადგენა გამოძიებისთვის

[53] ჩვენებების მიხედვით, უშუალოდ სტიქიის ზონაში მაშველთა ძირითადი ნაწილი სამაშველო ოპერაციაში ჩაერთო 4 აგვისტოს გამთენიიდან, ხოლო 3 აგვისტოს დღისა და 3-4 აგვისტოს ღამის განმავლობაში ოპერაციას ატარებდა მხოლოდ ადგილზე ჩასული მაშველების ნაწილი.

შეუძლებელი აღმოჩნდა. ცხედრების დათვალიერება მიმდინარეობდა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში.

სტიქიის დროს გარდაცვლილი და აღმოჩენილი 32 პირიდან (დამატებით, 1 ბავშვი დღემდე დაკარგულად მიიჩნევა) სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებია 11 ცხედარს. რამდენადაც გამოძიება გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს დამატებით განუმარტავდა, რომ თუ სიცოცხლე ჰქონდათ დაზღვეული, კომპენსაციის მისაღებად საჭირო იყო ექსპერტიზის ჩატარება, რასაც ოჯახის მხრიდან უარი მოსდევდა. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, გარდაცვლილის ახლო ნათესავების პოზიციას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს და ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილების შესრულება სავალდებულოა, სამწუხაროდ, გამოძიების ამგვარი ქმედებით, 11 პირის სიკვდილის უშუალო მიზეზი ვერ დადგინდა.

სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია, გამოძიებამ ყველა ზემოხსენებულ კითხვას გასცეს ამომწურავი და სრულყოფილი პასუხი და დაადგინოს სტიქიის და სამაშველო ღონისძიების დროს სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების პოზიტიური ვალდებულების შესრულების ან შეუსრულებლობის საკითხი. შესაბამისად, საჭიროა, დადგინდეს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა).

ამასთანავე, ეფექტიანი გამოძიების ჩატარებისთვის, საჭიროა კვალიფიკაციის დაზუსტება და გამოძიების წარმართვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით - სამსახურებრივი გულგრილობა, ე. ი. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

საგულისხმოა, რომ ხსენებული დანაშაულის გამოძიება მიეკუთვნება პროკურატურის უწყებრივ საგამოძიებო ქვემდებარეობას, რაზეც სახალხო დამცველი გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის ნაწილში 2023 წელსვე მიუთითებდა.[54] გარდა ამისა, გამოძიების საგანი უნდა გახდეს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების, მათ შორის, ხელმძღვანელი პირების ქმედებების შეფასება.

ამ კუთხით აღსანიშნავია ისიც, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მიერ გამოძიების წარმოება ისეთ საქმეზე, რომელშიც ერთ-ერთი საკითხი ამავე სამინისტროს სხვა საქვეუწყებო დაწესებულების ქმედებების დადგენა და შეფასება უნდა იყოს, ხელყოფს გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპს. ამასთანავე,

[54] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 19-20 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი", გვ. 32-33.

სტიქიურ უბედურებაზე რეაგირებისთვის საგანგებო შტაბი შს მინისტრის მ/შ-ს ბრძანებით შეიქმნა.

ამის გათვალისწინებით, საქმის სრულყოფილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქმის გამოძიება უნდა წარმართოს საქართველოს პროკურატურამ.

2.4.ფემიციდი - გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების შემთხვევები

ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების - ფემიციდის თავიდან აცილება და ამგვარ საქმეებზე მართლმსაჯულების და სამართალდაცვითი ფუნქციების ეფექტიანი აღსრულება კვლავ გამოწვევად რჩება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით[55], 2024 წელს გამოვლენილი ქალის მკვლელობის 25 ფაქტიდან[56], 16 - ოჯახური დანაშაულის ნიშნით, 9 კი - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით არის ჩადენილი. ქალის მკვლელობის მცდელობის გამოვლენილი 17 შემთხვევიდან[57] - 12 ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი, 4 - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით, ხოლო 1 ოჯახური და არაოჯახური დანაშაულის ნიშნით. საერთო სტატისტიკური მონაცემიდან, პროკურატურამ ფემიციდი გამოკვეთა 16 შემთხვევაში, ხოლო ფემიციდის მცდელობა - 13 შემთხვევაში. მისასალმებელია, რომ 2024 წლის მონაცემებით, ქალთა მკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტებზე გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის საქმეებიდან, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩაერთნენ 22 სისხლის სამართლის საქმეში.

მიმდინარე საანგარიშო წელს, შემზარავი იყო ტრანსგენდერი ქალის, კესარია აბრამიძის დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში ბრალდების შესახებ დადგენილებაში პროკურატურამ გენდერისა და გენდერული იდენტობის ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივზე მიუთითა.[58]

სახალხო დამცველის მიერ ფემიციდის მონიტორინგის ფარგლებში გაანალიზებული საქმეებიდან[59] კვლავ პრობლემად იკვეთება გენდერული ნიშნის დადგენა, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო ეტაპზე[60]. ასევე, ცალკეულ შემთხვევაში, პრობლემად

[55] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 4 თებერვლის წერილი №13/6033.

[56] მათ შორის, ოჯახური დანაშაულის ნიშნით 1 ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი და არა ოჯახური დანაშაულის ნიშნით, 1 ქალის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

[57] მათ შორის, ოჯახური დანაშაულის ნიშნით 3 ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის და 1 ქალის არაოჯახური დანაშაულის ნიშნით თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტი.

[58] საქმე №2024-1300.

[59] სახალხო დამცველის აპარატმა გააანალიზა 2023 წელს მომხდარი ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეთა სრული სისხლის სამართლის საქმის მასალები.

[60] მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/15-23; თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/292-23; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს საქმე №1/118-2023; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/527-24; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს საქმე №1/23-23; თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7452-23.

იკვეთება საპროცესო შეთანხმების გაფორმება[61] და წინარე ძალადობის შემთხვევაზე სასამართლოს მიერ რისკების არასათანადოდ შეფასება.[62]

სამწუხაროდ, 2024 წელსაც ვლინდება შემთხვევები, როდესაც, შესაძლო ძალადობის შესახებ სახელმწიფოს ინფორმირებულობის მიუხედავად, ქალის მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა.[63] განსაკუთრებით პრობლემური იყო ამნისტიის შედეგად პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ, დამცავი ორდერის პირობებში, ყოფილი მეუღლის მკვლელობა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს მოძალადეთა რეაბილიტაციის და რისკების სწორად შეფასების სასიცოცხლო აუცილებლობაზე[64].

ფემიციდის შემთხვევებზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგად იკვეთება, რომ ფემიციდს საფუძვლად უდევს საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ დისკრიმინაციული და სტერეოტიპული შეხედულებები, თუმცა, ამავე დროს, საგულისხმოა, რომ წლების განმავლობაში განხორციელებული დაკვირვებით, ფემიციდის დანაშაული, დაკავშირებულია განათლების და დასაქმების პრობლემასთანაც, რაც ადასტურებს პრობლემის კომპლექსურ ხასიათს და, შესაბამისად, ეს საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში[65].

სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სომატური ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობის კუთხით, სამწუხაროდ, შენარჩუნებულია არაერთი პრობლემა. კერძოდ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ გამოწვევაა ანტიფსიქოზური მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე გაწერილია

[61] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/527-24; მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/15-23;
[62] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23 - ოჯახში ძალადობის და სიცოცხლის ხელყოფით მუქარის (რასაც დაზარალებული რეალურად აღიქვამდა) საქმეზე, პროკურატურის მიერ პატიმრობის შუამდგომლობის მიუხედავად, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო გამოიყენა, რის შემდგომაც ბრალდებულს მიეცა შესაძლებლობა დაზარალებული თვითმკვლელობის ცდამდე მიეყვანა. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არც სამართალდამცავ უწყებას გამოუყენებია ყველა ზომა მსხვერპლის დასაცავად. საქმეზე გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი, თუმცა არ ყოფილა გამოყენებული ელექტრონული ზედამხედველობის შესაძლებლობა.

[63] საქმე №75/24, №2024-1679, საქმე №2024-1865, შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 9 25 00708291, 10/03/2025.
[64] აღნიშნულ საქმეზე დეტალები იხ. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ქვეთავში.
[65] ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მათ შორის ფემიციდის მიმართულებით არსებულ პრობლემებზე რეკომენდაციები დამატებით იხილეთ გენდერული თანასწორობის თავში.

მისი მნიშვნელობა და მოცემულია პაციენტთა ფიზიკური და ბიოქიმიური პარამეტრების კვლევის სავარაუდო სიხშირის ცხრილი.[66]

2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების კომპონენტი მოიცავს იმ პაციენტების გადაუდებელი ქირურგიული და თერაპიული სტომატოლოგიური, ასევე სამედიცინო მომსახურებით და წამლის გვერდითი ეფექტების კონტროლის უზრუნველყოფას, რომლებიც გადიან სტაციონარულ მომსახურებას. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით განსაზღვრულია გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, გეგმური სამედიცინო მომსახურება კი თანადაფინანსებას ითვალისწინებს, რაც ისედაც ფინანსური რესურსის არმქონე პაციენტებისთვის დამატებითი ხარჯია.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ამ საკითხებს დროულად შეისწავლიან და გადაიდგმება პრაქტიკული ნაბიჯები ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული იმ პაციენტებისთვის დროული და სათანადო სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად, რომლებსაც ჯანმრთელობის სომატური (ფიზიკური) პრობლემები აღმოაჩნდათ.

წინა წლების მსგავსად, ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებულ პაციენტებს უტარდებათ ცალკეული ანალიზები, თუმცა მხოლოდ ეს ვერ უზრუნველყოფს გვერდითი ეფექტების მართვას. საანგარიშო პერიოდში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობს პროტოკოლების გადახედვა გვერდითი მოვლენების გამოსავლენად და მათ სამართავად საჭირო კვლევების გამოსაკვეთად. ამის შემდეგ, სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო შეძლებს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.[67]

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დაწესებულებაში, სადაც პრევენციული ვიზიტები განხორციელდა, უზრუნველყოფილი იყო ექიმი თერაპევტის მომსახურება, რომელიც კონსულტაციითა და სიმპტომური მკურნალობით შემოიფარგლებოდა. დამატებითი გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის კი, სხვა სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიმართონ, რაც პაციენტისთვის დამატებით ხარჯებს უკავშირდება. დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული დანიშნული მედიკამენტების შეძენაც, რადგან ადგილზე მხოლოდ გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტები მოიპოვება.[68]

რაც შეეხება სტომატოლოგიურ მომსახურებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია მხოლოდ გადაუდებელი თერაპიული და ქირურგიული

[66]შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), თავი 4.2; იქვე, შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში - კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაცია (გაიდლაინი), თავი 4.7.

[67] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 17 იანვრის წერილი MOH 1 25 00043043.

[68] აღსანიშნავია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში ადგილზე არსებულ აფთიაქში შეუძლიათ პაციენტებს მედიკამენტების შეძენა.

სტომატოლოგიური მომსახურება, სხვა შემთხვევაში კი თავად პაციენტი ანაზღაურებს მომსახურების საფასურს.[69]

დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და დროული მკურნალობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება. ამისთვის კი აუცილებელია, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგ პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება.[70] სომატური ჯანდაცვის სერვისების ხელმიუწვდომლობა ან შეზღუდული ხელმისაწვდომობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას მნიშვნელოვნად აუარესებს, რაც, შესაძლოა, პაციენტის გარდაცვალების მიზეზიც გახდეს.

აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემურია გარდაცვლილი პაციენტების შესახებ ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება. ფსიქიატრიული დაწესებულებები არ აღრიცხავენ იმ პაციენტთა გარდაცვალებას, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაყვანილები იყვნენ სხვა საავადმყოფოში. ამის მიზეზად კვლავ სახელდება ის, რომ პაციენტის გაწერის შემდეგ, დაწესებულებას აღარ აქვს პაციენტის მდგომარეობის მონიტორინგის ვალდებულება.

სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას,[71] რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ პრობლემურია პაციენტთა გარდაცვალების ზუსტი მიზეზების დადგენა, რადგან არ ტარდება ექსპერტიზა. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დაცული ჩანაწერები, ამ თვალსაზრისით, კვლავ არაინფორმატიულია და მითითებულია სიკვდილის სხვა დაუზუსტებელი და არაზუსტად განსაზღვრული მიზეზები.[72]

აღსანიშნავია, რომ სამინისტრო გეგმავს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვალების ცნობაში მიზეზების სწორად შევსების მიზნით ტრენინგის ჩატარებას. ასევე იგეგმება აუდიტის ჯგუფის შექმნა, რომელიც განიხილავს საეჭვო შემთხვევებს, რეგულირების სააგენტო კი შეისწავლის პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხს. ამის შედეგად კი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს

[69] შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ქუთაისის ფსიქიატრიული კლინიკიდან სტომატოლოგიური მომსახურების მისაღებად პაციენტი ოჯახის წევრს/ახლობელს მიჰყავს, სხვა დაწესებულებები თავად უზრუნველყოფენ სტომატოლოგიურ კლინიკაში პაციენტის ტრანსპორტირებას. შპს „თერჯოლამედის“ ფსიქიატრიულ განყოფილებაში კი სტომატოლოგი ადგილზე ჰყავთ, თუმცა მისი მომსახურება პაციენტისთვის როგორც გეგმურ, ისე გადაუდებელ შემთხვევებში ფასიანია.

[70] 2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, დანართი 1 - დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 27 03 02 01). პროგრამა გულისხმობს შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფებისთვის საშვილოსნოს ყელის კიბოს, ძუძუს კიბოს, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგს.

[71] 2024 წელს თერჯოლამედში გარდაიცვალა 1 პაციენტი, ქუთაისის ფსიქიატრიულ კლინიკაში - 2 პაციენტი, სენაკის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში - 1 პაციენტი.

[72] ICD10 კლასიფიკატორი არის R99. იხ. ბმული
<https://classifications.moh.gov.ge/Classifications/Pages/ViewICD10.aspx> [ბოლოს ნანახია:28.01.2025].

ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის დასმას. ამას გარდა, რეგულირების სააგენტო გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს სტატისტიკის არასწორად წარმოების შემთხვევაში.[73]

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროკურატურას:

- უზრუნველყონ თამაზ გინტურის მკვლელობისა და საქართველოს მოქალაქის თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის პასუხისმგებელ პირთა მიმართ ეფექტიანი გამოძიების წარმოება, სისხლისსამართლებრივი დევნის წარმართვისა და საერთაშორისო ძებნის გამოცხადების მიზნით.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

- გაგრძელდეს სამართლის აღსრულების საკითხის მუდმივი დაყენება ყველა საერთაშორისო ფორმატსა და ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფის შეხვედრების ფორმატში.

საქართველოს პროკურატურას:

- დაზუსტდეს შოვის ტრაგედიის საქმის კვალიფიკაცია და გამოძიება დამატებით წარიმართოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილითაც;
- უზრუნველყოს შოვის ტრაგედიის საქმის გამოძიების პროკურატურისთვის დაქვემდებარება და ეფექტიანი გამოძიების წარმოება.

საქართველოს მთავრობას:

- კრიტიკულად გააანალიზოს პრევენციის არსებული სისტემა ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის საქმეებთან დაკავშირებით და საკვანძო უწყებების, მათ შორის, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროების მონაწილეობით იმუშაოს პრევენციის სისტემის დახვეწაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

[73] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის სპეციალური ანგარიში.

- ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სრულად და დროულად უზრუნველყოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით, მკაფიოდ განისაზღვროს გეგმური სამედიცინო მომსახურების სრულად ანაზღაურების საკითხი;
- უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების, მათ შორის სტომატოლოგიური მომსახურების მიწოდების სტანდარტის შემუშავება. მისი დანერგვის შემდეგ დააკვირდეს, თუ როგორ ასრულებენ მას ფსიქიატრიული დაწესებულებები;
- უზრუნველყოს დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;
- შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და ფსიქიატრიული დაწესებულებიდან გადაყვანილი პაციენტის გარდაცვალების ყველა შემთხვევა, დაადგინოს, რა გახდა გარდაცვალების მიზეზი და რამდენად დროულად გადაიყვანეს პაციენტი შესაბამის დაწესებულებაში. მიღებული შედეგების საფუძველზე კი, პაციენტთა გარდაცვალების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად, გაატაროს ღონისძიებები;
- დაავალოს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და თანმდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკა.

3. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება[74]

3.1. შესავალი

წინამდებარე თავში მიმოხილულია პენიტენციურ დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და შშმ პირთა საცხოვრისებში გამოვლენილი არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, შესაბამისი რისკფაქტორები და საკანონმდებლო ხარვეზები.

მოცემული თავი სამი ქვეთავისგან შედგება: 1) პრაქტიკა, რომელიც უტოლდება ან შესაძლოა გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობას, 2) არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი რისკფაქტორები, და 3) სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება.

საგულისხმოა, რომ 2024 წელი განსაკუთრებით მძიმე იყო არასათანადო მოპყრობის მასშტაბურობის და მოქალაქეების მიმართ ღირსების ხელშეუვალობის აბსოლუტური უფლების დარღვევის კუთხით. ამ თვალსაზრისით ყველაზე განგრძობადი დარღვევების გამო, 2024 წლის საპროტესტო აქციების კონტექსტში, საკითხს დეტალურად მიმოვიხილავთ და შევაფასებთ წინამდებარე ანგარიშის ქვეთავში.

გასულ წელს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების ან/და წინადადებების მნიშვნელოვანი ნაწილი, საანგარიშო პერიოდში, სამწუხაროდ, არ შესრულებულა. პენიტენციური სისტემის ჭრილში, საგულისხმოა, რომ 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა პენიტენციური კოდექსით გათვალისწინებული ახალი რეგულაციები, რომელთა საფუძველზეც გაიწერა ექიმის ვალდებულება, პატიმრის მიმართ შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ეჭვის შემთხვევაში, აღნუსხოს პატიმრის დაზიანებები და გადაუგზავნოს საგამოძიებო ორგანოს, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა სავარაუდო მსხვერპლი დოკუმენტირებასა და შეტყობინებაზე.[75] ამ ახალი ნორმის აღსრულების მიზნით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს შეეტანა ცვლილებები 2020 წლის 20 ნოემბრის №663 ბრძანებაში („პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“) პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლთან

[74] გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს საქართველოში. წინამდებარე თავში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ანალიზი, იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიშში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[75] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2024, გვ. 59.

მისასადაგებლად, რისთვისაც პენიტენციური კოდექსითვე ერთწლიანი მაქსიმალური ვადა იყო დადგენილი. სამწუხაროდ, შესაბამისი ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა.

ასევე, №17 პენიტენციურ დაწესებულებაში დღემდე არ გაუქმებულა ე.წ. „ბარაკული" ტიპის საერთო საცხოვრებლები და შეუძლებელია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, ხოლო მსჯავრდებულთა უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი 4 კვ. მ. პირადი საცხოვრებელი ფართობით.

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს განსაკუთრებული რისკისა და დახურული ტიპის დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზეც. ამ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები, მათთვის საინტერესო აქტივობების გარეშე, 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში და მხოლოდ 1 საათით გადიან სასეირნო ეზოებში, რომელთა მწირი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვას და რეკრეაციას. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის წინადადება პატიმრის სუფთა ჰაერზე გასეირნების მინიმალური დროის გაზრდასთან დაკავშირებით, კვლავ არ გაუთვალისწინებიათ.

გასული წლების მსგავსად, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება დაწესებულებების გადატვირთულობა და არაფორმალური მეთოდებით მმართველობის ცალკეული შემთხვევები. საანგარიშო პერიოდში, რიგ შემთხვევებში კვლავ პრობლემური იყო დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრების ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსება, რაც, სახალხო დამცველის შეფასებით, სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას უტოლდება. საანგარიშო პერიოდში ასევე გართულებული იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, პატიმართა ადეკვატური სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა და პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკური გარემო.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში დაკავებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, 2024 წელს დაკავებული პირების ნაწილი კვლავ საუბრობდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ძალის გადამეტებისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე. პრობლემურია დაკავებულებისთვის უფლებების განმარტება, ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა, ოჯახის ინფორმირება. გამოწვევად რჩება სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობა, აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოება. სამწუხაროდ, პოლიციის სივრცეები, სადაც დაკავებულს უწევს ყოფნა, ვიდეომეთვალყურეობის სისტემებით სრულად კვლავ არ არის დაფარული.

არ შეინიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სადაც პაციენტები კვლავ ხდებიან ძალადობის მსხვერპლები და უგულებელყოფილია მათი სამართლებრივი დაცვის გარანტიები. მიუხედავად კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრული უფლებისა, ნებაყოფლობითი სტატუსის მქონე პაციენტები საკუთარი ნებით სტაციონარს ვერ ტოვებენ. კვლავ პრობლემურია ფსიქიკური დაწესებულებების

გადატვირთულობა და სიმჭიდროვე. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დიდი ზომის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

ზემოაღნიშნულის გარდა, დამატებით საგულისხმოა, რომ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი კომპონენტია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირება, თუმცა ამ კუთხით საანგარიშო პერიოდშიც არაერთი ხარვეზი გამოვლინდა.

დამატებით აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლითაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევა დადგინდა 2019 წლის 20-21 ივნისს, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან რეზინის ტყვიების გამოყენებასა და შეკრების მონაწილეთა მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე არაეფექტიანი გამოძიების გამო.

3.2. პრაქტიკა, რომელიც უტოლდება არასათანადო მოპყრობას

წინამდებარე ქვეთავში მიმოვიხილავთ დახურულ დაწესებულებებში გამოვლენილ არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს. ასევე მიმოვიხილავთ ამ სისტემებში არსებულ გარემო პირობებს და პრაქტიკებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, იწვევენ ასეთ მოპყრობას.

დაწესებულებების თანამშრომლების/სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილი ძალადობა

2024 წელს სახალხო დამცველის აპარატმა პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მხრიდან სავარაუდო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ცალკეული შემთხვევების შესახებ მიიღო ინფორმაცია.[76]

დაწესებულებების თანამშრომლების მიერ პატიმართა მიმართ ჩადენილი ძალადობის კუთხით, საყურადღებოა მსჯავრდებულ ბ. ლ.-ს შემთხვევა. დეესკალაციის ოთახში მყოფმა ამ მსჯავრდებულმა სახალხო დამცველის რწმუნებულებს აცნობა, რომ ამავე დაწესებულების თანამშრომელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. შეხვედრისას მსჯავრდებულს ხილულად აღენიშნებოდა დაზიანება ცხვირის არეში შეშუპებისა და მოწითალო-მოყვითალო ფერის სისხლნაჟღენთის სახით. სახალხო დამცველის აპარატმა ფაქტის შესახებ ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიაწოდა.[77] წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან ბ. ლ.-ს მიმართ განხორციელებული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე.

[76] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიშის, „თანამშრომელთა მიერ პატიმრების მიმართ ძალადობის" ქვეთავი.

[77] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის 2024 წლის 24 მაისის შეტყობინება; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 27 მაისის №2024/1406 წერილი.

საქართველოს სახალხო პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა, №2 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს, ორის საყურადღებო ფაქტის შესახებ მიიღო ინფორმაცია.[78] ხოლო, ცალკეულ შემთხვევებში, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა ასევე მიიღო შეტყობინებები ხელის კვრისა და უხეში მოპყრობის შესახებ.

სამწუხაროდ, პატიმრების მსგავსად, რიგ შემთხვევებში, არც ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტები არიან სრულად დაცულნი ძალადობისგან. პრევენციული ვიზიტების დროს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაწესებულების პერსონალის მხრიდან პაციენტზე სავარაუდო ძალადობის შესახებ მხოლოდ ერთი შეტყობინება მიიღო. კერძოდ, სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში მყოფი პაციენტის განცხადებით, დაწესებულების დაცვის თანამშრომელმა მას სახეში რამდენჯერმე დაარტყა ხელი, როდესაც ის კარს ხელებს ურტყამდა და სახლში წასვლას ითხოვდა. პაციენტები კვლავ საუბრობდნენ პერსონალის მხრიდან უხეშ და ხმამაღალ მიმართვაზე. ასევე, რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს პაციენტების დაშინებას და ინექციებით მუქარას.[79]

რაც შეეხება საცხოვრისებში არსებულ მდგომარეობას, საგულისხმოა, რომ სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პერსონალის მხრიდან ბენეფიციარების მიმართ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის ერთეულ შემთხვევებზე მიიღო ინფორმაცია. კერძოდ, სახალხო დამცველს წარმოებაში აქვს 2 საქმე ბედიანის შშმ პირთა პანსიონატში პერსონალის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის შესახებ. ასევე, შპს „იმერეთში“ მიღებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ყოფილი თანამშრომლის წინააღმდეგ, რომელმაც ბენეფიციარზე სავარაუდოდ იძალადა. მიღებული ინფორმაციით, პერსონალი, ყველა ტიპის საცხოვრისის სერვისში (გარდა მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა) უხეშად მიმართავს და უყვირის პაციენტებს.[80]

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, აღსანიშნავია, რომ 2024 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებსა და პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული პრევენციული ვიზიტების დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს გამოკითხული პირებისგან არ მიუღიათ ინფორმაცია პოლიციელების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ.[81]

---

[78] მაგ., მიღებული ინფორმაციით, ერთ-ერთ პატიმარს თანამშრომლებმა ზურგს უკან დაადეს ხელბორკილი, პირქვე დააწვინეს იატაკზე და ზურგზე აჭერდნენ ფეხს. ამავე დაწესებულებაში მიღებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთ პატიმარს დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივი დროით ედო ხელბორკილი, ითხოვდა საპირფარეშოთი სარგებლობას, თუმცა დაწესებულების თანამშრომლებმა არ მოხსნეს ხელბორკილი და ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება იქვე, შეზღუდულ მდგომარეობაში მოუწია.

[79] მაგ., ქუთაისის ფსიქიატრიულ კლინიკაში მიღებული ინფორმაციით, ერთ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის თანამშრომელი გამოიძახეს და ადგილზე გამოცხადდა იმ მიზნით, რომ პაციენტი შეეშინებინათ და ინექცია პოლიციის თანამშრომლის შიშით გაეკეთებინა.

[80] დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიშში.

[81] ვიზიტები განხორციელდა 2024 წლის 29 ივლისიდან 2024 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.

ამასთანავე, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი ინფორმაცია მიიღო პოლიციელების მიერ დაკავებისას არაპროპორციული, ძალის გამოყენების და დაკავების შემდეგ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ. 2024 წელს პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის მეთოდებიდან, ძირითადად იკვეთება ხელ-ფეხის დარტყმა, ხელბორკილის მოჭერა, ხელების დაგრეხა, წაქცევა.

საანგარიშო პერიოდში, პრევენციული ვიზიტების შედეგად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და იმერეთის რეგიონში, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 132 საეჭვო შემთხვევა გამოავლინა.[82] ეს შემთხვევები მოიცავს როგორც ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა, ისე სისხლის სამართლის საქმეებს. მონაცემების თანახმად, ამ 132-დან 52 (39.4%) შემთხვევაში, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების განმარტებით, დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს. რაც შეეხება დინამიკას წლების მიხედვით, 2023 წელს ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა სხეულის დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი საეჭვო შემთხვევების 31.8%-ში, 2020 წელს - 34.4%, 2021 წელს - 26%, 2022 წელს - 27%. დამატებით საგულისხმოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2024 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებული იყო 14998 პირი, რომელთაგან 9860 (65,7%) შემთხვევაში დაკავებულს აღენიშნებოდა დაზიანება.[83] ეს მონაცემი 2023 წელს 64,3%-ს შეადგენდა.[84]

ასევე საგულისხმოა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრში არსებული მდგომარეობა. სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა იქ განთავსებული 4 პირისგან მიიღო ინფორმაცია მათ მიმართ განხორციელებული სავარაუდო წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის შესახებ.[85] გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ცენტრში განთავსებული პირების მითითებით, დაწესებულების ხელმძღვანელი პირების მხრიდან, ცალკეულ შემთხვევებში, ადგილი აქვს უხეშ

[82] პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები ამოწმებენ ვიზიტის დღემდე შესახლებული ყველა დაკავებულის პირად საქმეს. მითითებული დაკავების გარემოებებმა, დაზიანების ლოკალიზაციამ, რაოდენობამ და ხასიათმა, მონიტორინგის ჯგუფს ეჭვი გაუჩინა პირების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე. შემოწმება ჩატარდა სამეგრელოს, კახეთის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებულ პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

[83] ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://info.police.ge/page?id=233> [ბოლოს ნანახია: 27.01.2025].

[84] 2023 წელს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული იყო 15907 პირი, რომელთაგან დაზიანება 10238 პირს აღენიშნებოდა.

[85] კერძოდ, ისინი უთითებდნენ, რომ ხელმძღვანელის კაბინეტში სხვადასხვა დროს, ხელბორკილით შეიყვანეს, ცემეს ხელებით და ფეხებით და შეასხეს წიწაკის სპრეი. მათგან ორი პირი ასევე მიუთითებდა გაუპატიურების და სხვა სექსუალური ხასიათის, დამამცირებელი ქმედებების მუქარაზე. განთავსებულ პირთა განმარტებით, მათ აღენიშნებოდათ დაზიანებები, სახის და სხეულის არეში, სისხლნაჟღენთების და ჰემატომების სახით, თუმცა ექიმს მათი დაზიანებები არ აღუწერია. განთავსებული პირები მიუთითებდნენ, ცენტრის თანამშრომლების მიერ მათთან ერთად განთავსებული კიდევ ერთი პირის სავარაუდო ცემის შემთხვევაზე, თუმცა ამ პირს ცენტრი უკვე დატოვებული ჰქონდა.

მიმართვას და სიტყვიერ შეურაცხყოფას. სახალხო დამცველის აპარატმა, განთავსებული პირების თანხმობით, რეაგირების მიზნით მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.[86]

პატიმრებს/პაციენტებს შორის ძალადობა

2024 წელს კვლავ პრობლემური იყო პატიმართა და პაციენტთა შორის ძალადობის შემთხვევებიც. ვითარების ერთიანი ანალიზიდან ჩანს, რომ პენიტენციური დაწესებულებები, ისევე როგორც ფსიქიატრიული დაწესებულებები, სათანადოდ ვერ უმკლავდებიან ამ კუთხით გამოვლენილ პრობლემებს.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა შორის ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად კვლავ რჩება ცალკეული პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა, ასევე, იქ არსებული არაფორმალური მმართველობა. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ვერ ხერხდება ბრალდებულების და მსჯავრდებულების ერთმანეთისგან განცალკევებით მოთავსება,[87] რაც, ხშირად, მათ შორის კონფლიქტის მიზეზი ხდება. წინა წლების მსგავსად, პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ არ არის შესაბამისი რაოდენობის პერსონალი, რომელიც საკმარისი იქნებოდა დაწესებულებებში წესრიგის შესანარჩუნებლად და პატიმართა შორის ძალადობის ფაქტების თავიდან ასაცილებლად. ასე მაგალითად, №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს[88], მსჯავრდებულთა საცხოვრებელი კორპუსების თითოეულ ფლიგელში, სადაც მოთავსებული იყო 40-100 პატიმარი, მორიგეობდა სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მხოლოდ 2 თანამშრომელი. რაც შეეხება არაფორმალურ მმართველობას, ის პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება. ძალადობის მსხვერპლი პატიმრები, ხშირად, მოსალოდნელი ანგარიშსწორების თავიდან არიდების მიზნით, გაურბიან დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სამედიცინო პერსონალთან დაზიანების წარმოშობის რეალურ მიზეზებზე საუბარს.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, სამწუხაროდ, კვლავ ხშირია პაციენტებს შორის კონფლიქტები. პაციენტებს შორის კონფლიქტების მიზეზი ძირითადად საყოფაცხოვრებო საკითხებია. არ ხდება ძალადობის შემთხვევების პრევენცია, დაპირისპირებების გამომწვევი მიზეზების შესწავლა, კონფლიქტების დოკუმენტირება და მათზე სათანადო რეაგირება. სათანადო რეაგირების არარსებობის პირობებში, ფიზიკური

[86] სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან მიღებული 2024 წლის 23 ოქტომბრის SIS 0 24 00019401 წერილის თანახმად, განთავსებულ პირებთან გასაუბრებისას არ გამოკვეთილა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, თუმცა, მათ მიუთითეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე. ამ საქმეზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2025 წლის 12 თებერვლის MIA 0 25 00408989 წერილის თანახმად, ამჟამად, მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით.

[87] №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულები და მსჯავრდებულები ისევ ერთად არიან განთავსებულები.

[88] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2024 წლის 4, 5, 6, 11, 12 და 28 ივნისს, ასევე 2, 3 და 4 ივლისს პრევენციული ვიზიტები განახორციელეს №8 პენიტენციურ დაწესებულებაში.

დაპირისპირებების ან თვითდაზიანების შედეგად პაციენტებმა, შესაძლოა, მძიმე დაზიანებებიც კი მიიღონ. ასევე საგულისხმოა, რომ ძალადობის მსხვერპლ პაციენტებს არ სთავაზობენ ფსიქოლოგიურ დახმარებას. ინფორმაცია არ მიეწოდება საგამოძიებო ორგანოს. პაციენტთა შორის კონფლიქტების და ძალადობის შემთხვევების უყურადღებოდ დატოვება ზრდის კონფლიქტების განმეორების რისკებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ შშმ პირთა საცხოვრისის სერვისებში ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ბენეფიციარებს შორის კონფლიქტებს და ძალადობას.

დამატებით, საგულისხმოა, რომ როგორც პენიტენციურ, ისე ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და საცხოვრისებში არ არის საკმარისი რაოდენობის პერსონალი დაწესებულებებში წესრიგის შესანარჩუნებლად და პატიმართა/პაციენტთა შორის ძალადობის ფაქტების თავიდან ასაცილებლად.

პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, შშმ პირთა საცხოვრისებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრანტთა განთავსების ცენტრში არსებული შეზღუდვები

პენიტენციურ დაწესებულებებში, ისევე როგორც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს, რიგი შეზღუდვები უწესდებათ. მათგან, გარკვეული შეზღუდვების გამოყენება, ამ უკანასკნელთა შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა, არასათანადო მოპყრობას გაუტოლდეს. კერძოდ, განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედი შემზღუდველი რეჟიმი,[89] ინციდენტების მართვის პრაქტიკა,[90] საჭიროებებზე მორგებული აქტივობების არარსებობა,[91] პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა[92] და პატიმრების საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებულ პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსება[93] უარყოფით გავლენას ახდენს პატიმრების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის პატიმრების მიმართ

[89] მითითებული პენიტენციური დაწესებულებების მართვა ძირითადად ეფუძნება სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებს, რაც გულისხმობს მაქსიმალურად მკაცრი შეზღუდვების, აკრძალვების, რეჟიმის დაწესებას და არ არის ორიენტირებული მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიური ცვლილებისკენ.

[90] პატიმრების მიმართ აქტიურად გამოიყენება გარე სამყაროსთან კონტაქტის შემზღუდველი დისციპლინური სახდელები და უსაფრთხოების ღონისძიებები, მათ შორის, სამარტოო საკნებსა და დეესკალაციის ოთახებში იზოლირება, სადაც პატიმრებს დამატებით ეზღუდებათ საკუთარ ნივთებზე წვდომა, ასევე შხაპის მიღების და გასეირნების უფლება.

[91] პატიმრები მათთვის საინტერესო აქტივობების გარეშე 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში და მხოლოდ 1 საათით გაჰყავთ სასეირნო ეზოებში, რომელთა მწირი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვას და რეკრეაციას; არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა და სათანადოდ არ ხორციელდება მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამები.

[92] პატიმრების საკნებში განაწილების დროს, კვლავ ყურადღების მიღმა რჩება პატიმრის პიროვნული თვისებები, ჩვევები, ქცევა, რისკები. შედეგად, განსხვავებული კატეგორიისა და მსოფლმხედველობის პატიმრებს ერთ საკანში უწევთ თანაცხოვრება, რაც დახურული სივრცის პირობებში ხშირად ხდება პატიმართა შორის უთანხმოების მიზეზი.

[93] ოჯახის წევრები ძირითადად, პატიმართან კონტაქტს სატელეფონო კავშირით ამყარებენ და მათ მიმართ დისციპლინური სახდელის სახით, სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა, პრაქტიკულად, გარე სამყაროსთან კონტაქტის სრულ შეზღუდვას უტოლდება.

ძალადობის რისკებს, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს[94] და შეიძლება გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.[95]

ამ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები მათთვის საინტერესო აქტივობების გარეშე, 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში და მხოლოდ 1 საათით გადიან სასეირნო ეზოებში, რომელთა მწირი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვას და რეკრეაციას. ამ ნაწილში აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის წინადადება პატიმრის სუფთა ჰაერზე გასეირნების მინიმალური დროის გაზრდასთან დაკავშირებით, კვლავ არ გაუთვალისწინებიათ.

პენიტენციურ დაწესებულებებში დამკვიდრებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, ასევე აღსანიშნავია დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრების მოთავსების პრაქტიკა. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრების ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსება, უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. საგულისხმოა, რომ, გასული წლების მსგავსად, №6, №8, №18 დაწესებულებებში, პატიმრებს დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში, უმეტეს შემთხვევაში, კვლავ მაქსიმალური ვადით ათავსებენ და კვლავ, ადგილი აქვს ერთი და იმავე პირის ფაქტობრივად უწყვეტ მოთავსებას, რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში, წუთებისა და საათების ინტერვალებით.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა №2 და №8 დაწესებულებებში არასრულწლოვნების დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო საკანში მოთავსების ფაქტებსაც. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, დაუშვებელია სამარტოო (უსაფრთხო) საკანსა და დეესკალაციის ოთახში არსებულ არასათანადო პირობებში, და მით უმეტეს, ხანგრძლივი დროით, არასრულწლოვნის მოთავსება. ამგვარი პრაქტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნებს, ბავშვის უფლებათა კონვენციის სულისკვეთებას და მათ მიმართ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად მიიჩნევა.[96]

საგულისხმოა, რომ პენიტენციურ სისტემაში კრიზისული სიტუაციების მართვისთვის საჭირო რესურსების და ფსიქოსოციალური მხარდამჭერი სერვისების არარსებობის ფონზე, დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში მოთავსება კვლავაც ხშირად

[94] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 21-ე ზოგადი ანგარიში, CPT/info(2011) 28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 52, ხელმისაწვდომია:<https://bit.ly/3icl98K>[ბოლოს ნანახია: 06.02.2025].

[95] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/info (2019) 16, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2019, პუნქტი 72, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680945eca>[ბოლოს ნანახია: 06.02.2025].

[96] არასრულწლოვნის განცალკევება, მისი ხანგრძლივობისა და მიზნის (უსაფრთხოება ან დისციპლინური დასჯა) მიუხედავად, წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. იხ. წამების საკითხებში გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2015 წლის ანგარიში, პარა. 44. ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.un.org/record/793910?ln=en&v=pdf> [ბოლოს ნანახია: 19.03.2024].

და ხანგრძლივი ვადით გამოიყენება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების მიმართ.[97]დეესკალაციის ოთახები და სამარტოო (უსაფრთხო) საკნები არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი. პენიტენციურ დაწესებულებებში წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, ზოგჯერ ადგილი აქვს დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში მყოფი პატიმრების, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევებს, და ამ დროს მათ მიმართ დამატებით, ხელბორკილები გამოიყენება. მაგალითად, №2, №6, №8, №18 დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში მოთავსებული პატიმრების მიერ სხვადასხვა ნივთის გადაყლაპვის, სხეულზე ნაკაწრების მიყენების და კედლებზე ხელების და თავის დარტყმის შედეგად სხეულის დაზიანების შემთხვევებს.

სახალხო დამცველი, წლებია, მოითხოვს დეესკალაციის ოთახში მოთავსების ვადის 24 საათამდე შემცირებას. თუმცა, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით, დეესკალაციის ოთახში პატიმრის ერთჯერადად მოთავსების მაქსიმალური ვადა კვლავ 72 საათით განისაზღვრება. კვლავაც არ არის ნორმატიულად დადგენილი დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსების უკიდურესობის დასაბუთების და ამ ზომის გამოყენებამდე სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებების გამოყენების ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში დეესკალაციის ოთახების 72-საათიანი ვადით ხშირი გამოყენების პრაქტიკა დე ფაქტო დასჯად შეაფასა.[98]

დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებთან დაკავშირებით, დამატებით აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაცია უსაფრთხო გარემოს შექმნის თაობაზე, რაც, მათ შორის, გამოიხატება რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთებაში.

ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა ხელბორკილების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხი. საანგარიშო პერიოდში, გასული წლებისგან განსხვავებით, რამდენიმე პატიმარი, მათ შორის, არასრულწლოვანი, მიუთითებდა ბადრაგირების პროცესში, სატრანსპორტო საშუალებაში ხელბორკილის გამოყენების თაობაზე. სპეციალური საშუალების - ხელბორკილების გამოყენების პროცესში ინდივიდუალური გარემოებების შესწავლა, დადგენა და დასაბუთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რასაც პირდაპირ უკავშირდება ხსენებული ფაქტის დოკუმენტირების საკითხი. პენიტენციური კოდექსი და

[97] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის თემატური ანგარიში - „ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში: ინსტიტუციური და კლინიკური ასპექტები" (2024 წელი). ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/20250221142506848 47.pdf [ბოლოს ნანახია: 05.03.2025].

[98] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 101, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/1680945eca> [ბოლოს ნანახია:24.01.2025].

სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ავალდებულებს სპეციალური საშუალების გამომყენებელ პირს შესაბამისი დოკუმენტის - ოქმის შედგენას, მათ შორის, საბადრაგო ჯგუფის/კოლონის ან სპეციალური დანიშნულების ჯგუფის მიერ სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ ოქმს ადგენს ჯგუფის/კოლონის უფროსი. თუმცა უშუალოდ ბადრაგირების წესი, არ შეიცავს ამგვარ მოთხოვნას. სწორედ ხსენებულ ბრძანებაზე მითითებით, პენიტენციური დეპარტამენტის ესკორტირებისა და სპეციალური ღონისძიებების მთავარი სამმართველო პატიმართა ბადრაგირების პროცესში სპეციალური საშუალების - ხელბორკილის გამოყენების შესახებ ოქმს არ ადგენს. შესაბამისად, სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს მიმართა წინადადებით[99] პატიმართა უფლებების თაობაზე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში მკაფიო რეგულაციების განსაზღვრის თაობაზე. სამწუხაროდ, წინადადება არ იქნა გაზიარებული.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, წინა წლებთან შედარებით, დაწესებულებებში შემცირებულია ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების დოკუმენტირებული შემთხვევების რაოდენობა.[100] თუმცა, სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, პრაქტიკაში შეზღუდვის გამოყენებისას, ხშირად უგულებელყოფილია ეროვნული საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული გარანტიები, ასევე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები.[101] ასეთ პირობებში, შეზღუდვის მეთოდების გამოყენება, შესაძლოა, გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობასაც.გასული წლების მსგავსად, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში აგზნებული ან აგრესიული პაციენტის ქცევის სამართავად კვლავ აქტიურად გამოიყენება პაციენტის სწრაფი ტრანკვილიზაცია, რომელიც თავისი არსით ქიმიური შეზღუდვაა.[102] ქიმიური შეზღუდვა გამოიყენება კომბინირებულად მექანიკურ ან/და მანუალურ შეზღუდვასთან ერთად. ასევე საგულისხმოა, რომ სამედიცინო ჩანაწერებს არ ერთვის დასაბუთება, იყო თუ არა პაციენტის მიმართ გამოყენებული ინექცია მისი ნების საწინააღმდეგოდ, თუ რატომ გახდა მისი გამოყენება აუცილებელი და იყო თუ არა ეს უკიდურესი ზომა. თვითნებობის რისკების თავიდან ასაცილებლად, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პირის მიმართ მკურნალობაზე უარის თქმის უფლების შეზღუდვის და სწრაფი ტრანკვილიზების შემთხვევაში, მნიშნელოვანია გადაისინჯოს მკურნალობის სტატუსი, როგორც ეს

[99] სახალხო დამცველის 2024 წლის 26 დეკემბრის N2024/7699 წინადადება.

[100] თუმცა, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პაციენტებთან გასაუბრებისას და სხვადასხვა დოკუმენტაციის გაცნობისას მიიღო ინფორმაცია ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ცალკეულ შემთხვევებზე, რომლებიც არ იყო მითითებული შეზღუდვის ე.წ. „ფიქსაციის" ჟურნალებში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფიზიკური შეზღუდვის ყველა შემთხვევა არ აღირიცხება.

[101] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები „ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ზრდასრულთა შეზღუდვის მეთოდების თაობაზე", ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/16807001c3 > [ბოლოს ნანახია: 23.01.2025].

[102] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები „ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ზრდასრულთა შეზღუდვის მეთოდების თაობაზე", ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3texFLj> [ბოლოს ნანახია: 19.02.2023].

გათვალისწინებულია „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით.

სამწუხაროდ, დაწესებულებების მართვის პოლიტიკა სიტუაციის ესკალაციის რისკების მინიმუმამდე დაყვანისკენ არ არის მიმართული. პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ინტენსივობა არსებითად არ შეცვლილა და არ შეინიშნება ძალისხმევა შეზღუდვის მეთოდების გამოყენების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. კვლავ არ განახლებულა შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ინსტრუქცია და წესები,[103] რაც მნიშვნელოვნად დაიცავდა პაციენტებს პერსონალის თვითნებობისგან.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ, 2023 წლისგან განსხვავებით, 2024 წლის განმავლობაში სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არ მიუღია ინფორმაცია პაციენტთა იზოლირების შესახებ. თუმცა, 2023 წლის ანგარიშში მითითებული პრობლემა, რომელიც ბათუმის სამედიცინო ცენტრსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში პაციენტების სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკას ეხებოდა,[104] სამინისტროს ჯერ კიდევ არ შეუსწავლია და, შესაბამისად, არც ზომები მიუღია მის აღმოსაფხვრელად.[105]

ამ ნაწილში ასევე საყურადღებოა შშმ პირთა საცხოვრისებში არსებული მდგომარეობა. ეროვნული კანონმდებლობით შეზღუდვის მეთოდების გამოყენება მხოლოდ ფსიქიატრიულ სტაციონარშია ნებადართული.[106] მიუხედავად ამისა, ბედიანის და ძევრის შშმ პირთა პანსიონატებში, ცალკეულ შემთხვევებში, მაინც იყენებენ როგორც ფიზიკურ, ისე ქიმიურ შეზღუდვას. ასევე საგულისხმოა, რომ, გარდა სენაკის ალტერნატიული საცხოვრისისა, ყველა ტიპის საცხოვრისის სერვისში მოქმედებს თითქმის იდენტური შინაგანაწესი, რომელიც ითვალისწინებს ბენეფიციარის მიმართ ფიზიკური შეზღუდვის გამოყენების შესაძლებლობას. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ყველა დაწესებულების შინაგანაწესი დაუყოვნებლივ უნდა მიესადაგოს ეროვნულ კანონმდებლობას.

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრანტთა განთავსების ცენტრში არსებული მდგომარეობაც. აღსანიშნავია, რომ გამოწვევებთან გამკლავებას დაწესებულების ადმინისტრაცია პენიტენციური დაწესებულებისთვის დამახასიათებელი ღონისძიებების გატარებით ცდილობს, კერძოდ, განთავსებული პირების განცალკევებით მკაცრი ზედამხედველობის ოთახში, სადაც საცხოვრებელ ფლიგელთან შედარებით ბევრად მძიმე პირობებია. დაწესებულებაში ადგილი აქვს არასრულწლოვანი პირების

[103] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №92/ნ ბრძანება „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

[104] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლიური ანგარიში, თბილისი, 2024, გვ. 113.

[105] ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 17 იანვრის წერილის MOH 1 25 00043043 თანახმად, „პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკის მონიტორინგის მექანიზმების შემუშავების შემდეგ, შეიქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განახორციელებს ყველა ფსიქიატრიული სტაციონარის შემოწმებას, სადაც პაციენტები იმყოფებიან გრძელვადიან მკურნალობაზე“. როგორც ირკვევა, სამინისტრო, მონიტორინგის მექანიზმის შექმნამდე, არ აპირებს ამ საკითხის შესწავლას.

[106] ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონი. მუხლი 16.

იზოლირების პრაქტიკასაც, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნებს, ბავშვის უფლებათა კონვენციის სულისკვეთებას და მათ მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობაა.[107] ასევე, მიღებული ინფორმაციით, ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა იზოლირებული არასრულწლოვნის მიმართ ხელბორკილის გამოყენებას.[108] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ხელბორკილის გამოყენებას მაქსიმალურად უნდა მოერიდონ და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, მხოლოდ ინდივიდუალური რისკის შეფასების საფუძველზე უნდა გამოიყენონ და არა პრევენციულად.

პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში, №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ამ დაწესებულებებში პატიმრების პირველადი შესახლების, ასევე, დაწესებულებიდან გაყვანის და დაწესებულებაში დაბრუნების დროს, გასული წლების მსგავსად, 2024 წელსაც შენარჩუნებული იყო მათი სრული გაშიშვლების და ბუქნების გაკეთების პრაქტიკა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრული შემოწმების დროს, პირს არ უნდა მოეთხოვებოდეს სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლება.[109] ამ სტანდარტის საპირისპიროდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მთლიანად გაშიშვლების შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება ბუქნების გაკეთების მოთხოვნის პრაქტიკას, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მას არ ითვალისწინებს. ამგვარი პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობაა.

სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და შშმ პირთა საცხოვრისებში

სამწუხაროდ, 2024 წელს პრობლემური იყო არასათანადო მკურნალობა, გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურება, ექიმისა და პაციენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დარღვევა, არასათანადო მკურნალობის მონიტორინგის მექანიზმის გაუმართაობა, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის არსებითი გაჭიანურება, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და პრევენციული ჯანდაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა.

---

[107] პენიტენციური დაწესებულებების კონტექსტშიც კი, არასრულწლოვნის განცალკევებით მოთავსებას, როგორც უსაფრთხოების ღონისძიებას, დაუშვებლად მიიჩნევს ევროპის საბჭოს ციხის ევროპული წესები. ციხის ევროპული წესები 60.6ა. ხელმისაწვდომია: https://search.coe.int/cm#{%22CoEIdentifier%22:[%2209000016809ee581%22],%22sort%22:[%22CoEValidationDate%20Descending%22]} [ბოლოს ნანახია: 26.02.2025].

[108] მიღებული ინფორმაციით, არასრულწლოვანი პირის მიმართ რამდენიმეჯერ გამოიყენეს ხელბორკილი, როგორც კრიზისული შემთხვევის დასაწყისში, ასევე ექიმთან ვიზიტებისას, და ამ დროს ხელბორკილის ერთი მხარე სკამზე იყო მიმაგრებული.

[109] ევროპის საბჭო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთში ვიზიტის შესახებ (2014 წლის 1-10 აპრილი, პარა. 85), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35cCmvq> [ბოლოს ნანახია: 08.03.2023].

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი საქმე შეისწავლა, სადაც კონკრეტული პატიმრებისთვის არადროული ან არასათანადო სამედიცინო მომსახურების მიწოდების ფაქტი დასტურდება, რამაც მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია.[110]

სამედიცინო რეფერალის არადროული განხორციელების შემთხვევები პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგების დროსაც გამოვლინდა. სამედიცინო რეფერალის ვადების დარღვევა განსაკუთრებით პრობლემური იყო აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე დაწესებულებებში მოთავსებული პატიმრებისთვის. დარღვეული იყო როგორც გეგმური ამბულატორიული, ასევე, სტაციონარული მომსახურების ვადები. საყურადღებოა სასწრაფო დაყოვნებული წესით გადაყვანის შემთხვევები, რასაც, რიგ შემთხვევებში, 1 თვე ან მეტი სჭირდებოდა.[111]

პენიტენციური ჯანდაცვის კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში ინტეგრაცია, რაზეც მიუთითებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც.[112] დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მისაღებად ასევე მნიშვნელოვანია ექიმ-სპეციალისტებთან კონსულტაციების დაუყოვნებელი ჩატარება. 2024 წელს კვლავ პრობლემა იყო პაციენტის კონსულტაციამდე მოცდის დროის დადგენა, რადგან დოკუმენტაციიდან არ ჩანს, პაციენტი კონსულტაციაზე როდის ჩაეწერა. საყურადღებოა, რომ გასაუბრების დროს პატიმართა ნაწილი აღნიშნავდა, რომ ხშირად 1 თვე ან მეტი უწევთ ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების ჩატარებისთვის ლოდინი.

პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ გამოწვევად რჩება პატიმართა ფსიქიატრთან დროული გადამისამართებაც. კვლავ არ მიმდინარეობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგი. ხშირ შემთხვევაში კვლავ ჭიანურდება პატიმართა ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსება, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურებასთან. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნიდან მის ჩატარებამდე პერიოდი 2-3 თვეს მოიცავს.

[110] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[111] მაგ., ერთ-ერთი მსჯავრდებული კუჭის წყლულის სავარაუდო დიაგნოზით 2024 წლის თებერვალში დარეგისტრირდა გასტროსკოპიის ჩასატარებლად გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებაზე, ასევე, ერთ-ერთი მსჯავრდებული დაძაბვის სტენოკარდიის დიაგნოზით 2024 წლის თებერვალში დარეგისტრირდა ფუნქციური დატვირთვის ტესტის ჩასატარებლად გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებაზე; ერთ-ერთი მსჯავრდებული ქვედა ყბის ოსტეომიელიტის დიაგნოზით სასწრაფო დაყოვნებული წესით დარეგისტრირდა კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე, თუმცა 2024 წლის ივლისისთვის არცერთი ეს პირი გაყვანილი არ ყოფილა სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

[112] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში 2014 და 2018 წელს განხორციელებული ვიზიტების ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გარდა, საგულისხმოა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება, წინა წლების მსგავსად, კვლავ არ შეესაბამება თანამედროვე ბიოფსიქოსოციალურ მიდგომას და მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციითა და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება. არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, აღსანიშნავია, რომ ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებისას, პაციენტებს უტარდებათ სისხლის და შარდის საერთო, „C" ჰეპატიტის, სიფილისის და გლუკოზის ანალიზები, საჭიროების შემთხვევაში კი ეს ანალიზები უტარდებათ განმეორებით. მხოლოდ ამ ანალიზების ჩატარება კი ვერ უზრუნველყოფს გვერდითი ეფექტების მართვას. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დაწესებულებაში, სადაც პრევენციული ვიზიტები განხორციელდა, უზრუნველყოფილი იყო ექიმი თერაპევტის მომსახურება, რომელიც კონსულტაციითა და სიმპტომური მკურნალობით შემოიფარგლებოდა. დამატებითი გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის კი სხვა სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიმართონ, რაც პაციენტისთვის დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული დანიშნული მედიკამენტების შეძენაც, რადგან ადგილზე მხოლოდ გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტებია.[113]

ზემოაღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგ პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება.

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა შშმ პირთა საცხოვრისებში არსებული მდგომარეობა. ყველა ტიპის საცხოვრისის სერვისებში მოთავსებული ბენეფიციარები სარგებლობენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით. ის ბენეფიციარები, რომელთა პაკეტი თანადაფინანსებას ითვალისწინებს, სამედიცინო მომსახურებაში იხდიან დამატებით გადასახადს, რაც ხშირ შემთხვევაში მათთვის დამატებითი ხარჯია. ამასთანავე, დამატებითი ხარჯია დანიშნული მედიკამენტების შეძენაც. დაწესებულებების უმრავლესობაში ადგილზე აქვთ გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტების მარაგი,[114] მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრისის სერვისის მიმწოდებლისთვის სტანდარტით არ არის განსაზღვრული ვალდებულება, სერვისში იქონიოს გადაუდებელი თერაპიული მედიკამენტების მარაგი. დაწესებულებების ნაწილის განმარტებით, გადაუდებელი მედიკამენტების შეძენა დაწესებულების ბიუჯეტიდან ხდება, ნაწილი კი განმარტავს, რომ დაწესებულების მენეჯმენტი მედიკამენტებს საკუთარი ფინანსური სახსრებით ყიდულობს. მართვის მენეჯერები ბენეფიციარების პენსიიდან ყიდულობენ გადაუდებელ მედიკამენტებს, ზოგიერთ შემთხვევაში კი სხვა ბენეფიციარებისთვისაც იყენებენ ამ

[113] აღსანიშნავია, რომ პაციენტებს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განთავსებულ აფთიაქში შეუძლიათ მედიკამენტების შეძენა.
[114] ანტიჰიპერტენზიული, ტკივილგამაყუჩებელი და სხვ.

მედიკამენტებს, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბენეფიციარებს არ აქვთ არანაირი შემოსავალი.[115]

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პაციენტთა არანებაყოფლობითი მკურნალობა

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში დანერგოს ნულოვანი იძულების პოლიტიკა.[116] სტაციონირების და მკურნალობის პროცესში პაციენტის ნების უგულებელყოფა, სამართლებრივი გარანტიების გარეშე პაციენტის სტაციონირება და მედიკამენტების იძულებით მიცემა, შესაძლოა, არასათანადო მოპყრობას გაუტოლდეს.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და საპატრულო ეკიპაჟების ჩართულობით პირის სტაციონარში ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანა, პირის თავისუფლების შეზღუდვა და არანებაყოფლობითი სტაციონირების საწყისი ეტაპია და მას ამ ეტაპიდანვე, მისთვის გასაგები ფორმით უნდა განემარტოს თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი და უფლებები.

სამწუხაროდ, ფსიქიატრიული დაწესებულებები არანებაყოფლობითი სტაციონარული დახმარებისთვის აუცილებელი სამართლებრივი პროცედურების ამოქმედებას თავს არიდებენ. მათგან თავის არიდების მიზნით, დაწესებულებები პაციენტებს ფორმალურად, ნამდვილი ნების გამოვლენის გარეშე აწერინებენ ხელს ინფორმირებულ თანხმობაზე და დე ფაქტო უზღუდავენ თავისუფლებას. პრევენციული ვიზიტების დროს, არცერთ დაწესებულებაში, ერთი პირიც კი არ ყოფილა არანებაყოფლობითი მკურნალობის სამართლებრივი სტატუსით, მაშინ როდესაც არაერთი პაციენტი ღიად გამოთქვამდა დაწესებულების დატოვების სურვილს.

ასევე საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევაში, პაციენტები არანაირად არ მონაწილეობენ საკუთარი მკურნალობის დაგეგმვასა და შეფასებაში. მათი უმეტესი ნაწილისთვის უცნობია მკურნალობის სქემა, მედიკამენტების სახელწოდებები და მათი გვერდითი ეფექტები. სტაციონში მოთავსებაზე პაციენტის თანხმობა კვლავ გაიგივებულია მკურნალობაზე თანხმობასთან, რაც სამართლებრივად გაუმართლებელია[117] და გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პაციენტმა თანხმობა განაცხადოს სტაციონირებაზე, მაგრამ არ ეთანხმებოდეს შეთავაზებულ მკურნალობას ან კონკრეტული

---

[115] შესაძლოა, ბენეფიციარი არ სარგებლობდეს სოციალური პაკეტით ან, შესაძლოა, სარგებლობდეს სოციალური პაკეტით, თუმცა ბარათი, რომელზეც თანხა ირიცხება, ჰქონდეს მხარდამჭერს ან ოჯახის წევრს.

[116] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს შესახებ. 2023 წლის 18 აპრილი. პარა. 30. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3P7EAAo > [ბოლოს ნანახია: 23.01.2024]; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის სახელმძღვანელო Mental health, human rights and legislation: guidance and practice, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3vbjWIK> [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

[117] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წელს განხორციელებული ვიზიტის ანგარიში საქართველოს მთავრობას. პარა. 142. ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/1680945eca > [ბოლოს ნანახია: 24.01.2024].

მკურნალობის მეთოდებს. მნიშვნელოვანია სტაციონირებაზე თანხმობის მიღების შემდეგ, სტაციონარმა პაციენტს მიაწოდოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების ბიოფსიქოსოციალურ კომპონენტებზე და თითოეულ კომპონენტზე მიიღოს პაციენტის გაცნობიერებული თანხმობა. ამისათვის ასევე მნიშვნელოვანია ფსიქიატრიულ დახმარებაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა იყოს სპეციფიკური, სადაც ასევე იქნება გათვალისწინებული ფსიქოსოციალური კომპონენტები.

ზემოაღნიშნული გამოწვევების ფონზე, პრაქტიკაში ვლინდება ისეთი შემთხვევები, როცა, პაციენტის მიერ კონკრეტული მედიკამენტების მიღებაზე უარის შემთხვევაში, მედიკამენტი მას დაფხვნილი სახით, იძულებით მიეწოდება ან ნების საწინააღმდეგოდ უკეთდება ინექცია, მათ შორის, სხვა პაციენტების თვალთახედვის არეში. საგულისხმოა, რომ თანხმობის გარეშე პაციენტის მკურნალობამ, შესაძლოა, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ზღვარსაც კი მიაღწიოს.[118]

მნიშვნელოვანია, ყველა პაციენტს, მუხედავად მათი ნებაყოფლობითი თუ არანებაყოფლობითი სტატუსისა, მიეცეს შესაძლებლობა უარი თქვას მკურნალობაზე ან სხვა სამედიცინო ჩარევაზე. ამ პრინციპიდან ნებისმიერი გამონაკლისი კანონით განსაზღვრული და ნათელი უნდა იყოს.[119] ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლის[120] ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ექიმის უფლებას, უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით პაციენტს შეუზღუდოს უფლება - უარი თქვას მკურნალობაზე. ეს სრულიად ეწინააღმდეგება ნებაყოფლობითი მკურნალობის არსს.[121]

ზემოაღნიშნულის გარდა, გასული წლების მსგავსად, კვლავ გადაუჭრელი პრობლემაა პაციენტთა ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ წლებთან ერთად მცირდება იმ პაციენტების რიცხვი, რომლებიც წასასვლელის არქონის გამო ვერ ტოვებენ დაწესებულებას. საყურადღებოა, რომ შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში" მყოფი პაციენტების დაახლოებით 30 პროცენტი არ საჭიროებს აქტიურ სტაციონარულ მკურნალობას, მაგრამ სურვილის მიუხედავად, სტაციონარს ვერ ტოვებენ წასასვლელის არქონისა და თემში სათანადო სერვისების ნაკლებობის გამო.

---

[118] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში გენერალური ასამბლეის წინაშე, A/63/175, 2008 წლის 28 ივლისი, პარა. 63, ხელმისაწვდომია, < https://digitallibrary.un.org/record/635981?ln=en >, [ბოლოს ნანახია: 03.02.2025].

[119] ამონარიდი წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-8 ზოგადი ანგარიშიდან - „არანებაყოფლობით მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში" პარა. 41. ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/16806cd43e > [ბოლოს ნანახია: 12.01.2024].

[120] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი.

[121] სახალხო დამცველმა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 ზემოაღნიშნული ნორმატიული შინაარსი საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა: სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3TNQdxw > [ბოლოს ნანახია: 15.01.2024]. საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის 19 აპრილს საოქმო ჩანაწერით კონსტიტუციური ჩანაწერი ამ ნაწილში არსებითად განსახილველად მიიღო (საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=16455 > [ბოლოს ნანახია 18.03.2025].

3.3.არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი ფაქტორები

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლებააღკვეთილი/შეზღუდული პირები, კანონმდებლობის დონეზეც და პრაქტიკაშიც, უზრუნველყოფილნი იყვნენ სამართლებრივი დაცვის მინიმალური გარანტიებით. ამ გარანტიების ნორმატიულ დონეზე არსებობა და მათი ეფექტიანი აღსრულება ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკებს, რადგან შესაძლებელი ხდება უკანონო ქმედების გამოვლენა და მასზე რეაგირება. დამატებით, წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ არსებულ გარემო პირობებს, რომლებიც ქმნიან არასათანადო მოპყრობის საფრთხეს ან, რიგ შემთხვევაში, იწვევენ ასეთ მოპყრობას.

არასათანადო მოპყრობის გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზები

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზების გარეშე მიმდინარეობდეს როგორც ამგვარი მოპყრობის გამოვლენის, ისე დოკუმენტირების პროცესი. სამწუხაროდ, 2024 წელს, გასული წლების მსგავსად, ეს საკითხი პრობლემური იყო როგორც პენიტენციური და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემების, ისე ფსიქიატრიული დაწესებულებების, ასევე, შშმ პირთა საცხოვრისების შემთხვევაშიც.

პენიტენციური დაწესებულებების კონტექსტში, პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ გასული წლის საანგარიშო პერიოდში პენიტენციური კოდექსით განისაზღვრა, რომ თუკი ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი შეამჩნევს მას რაიმე ფიზიკურ დაზიანებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს ამ პაციენტის მიმართ შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ეჭვს აღუძრავს, ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო შემოწმება უტარდება მისი თანხმობის გარეშეც. ამ ახალი ნორმის აღსრულების მიზნით, აუცილებელი იყო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში შესულიყო შესაბამისი ცვლილებები, და ამისთვის ერთწლიანი მაქსიმალური ვადა იყო დადგენილი. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 20 ნოემბრის №663 ბრძანებაში ცვლილებები წინამდებარე ანგარიშის მომზადების დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო შეტანილი.

სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენის და დოკუმენტირების ხარვეზიან პრაქტიკას, წინა წლების მსგავსად, ასევე განაპირობებს ექიმების პატიმართან კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის პრინციპის დარღვევა. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი პრაქტიკის თანახმად, დაწესებულების თანამშრომელი, როგორც წესი, ესწრება ექიმისა და პაციენტის შეხვედრას, მიუხედავად იმისა, მომდინარეობს თუ არა, ან შესაძლოა თუ არა, რომ მომდინარეობდეს საფრთხე კონკრეტული პატიმრისგან.

სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზიანი პრაქტიკის გამომწვევ მიზეზებს შორის ასევე საგულისხმოა ექიმების მიერ ძალადობის შემთხვევების არასათანადო დოკუმენტირება, სამედიცინო პერსონალის

დამოუკიდებლობის (იგულისხმება ინსტიტუციური დამოუკიდებლობის არარსებობა, რადგან სამედიცინო პერსონალი დასაქმებულია და ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს და არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს) და მათ მიმართ პატიმრების ნდობის დაბალი ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების კონტექსტში კვლავ პრობლემური იყო დაზიანების დოკუმენტირების დროს შესაბამისი ფორმის შევსების ხარვეზები. კერძოდ, ფორმაში არ იყო მითითებული დაზიანების ლოკალიზაცია დიაგრამაზე, არ იყო მითითებული დაზიანების ფერი და ფორმა, არც დაზიანების მიღების მეთოდი. გარდა ამისა, არ იყო დადგენილი შესაბამისობა დაზიანებასა და ამ დაზიანების მიღების მეთოდს შორის.

ამასთან ერთად, ასევე საგულისხმოა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[122] 2024 წელს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა დაზიანებების დოკუმენტირება დაზიანების აღრიცხვის წესის შესაბამისად.[123] ასევე აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,[124] სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების მიერ, პატიმრების მიმართ ჩადენილი სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის 175 ფაქტზე მიიღო შეტყობინება და გამოძიება დაიწყო 16 სისხლის სამართლის საქმეზე.[125] ამ 175 შეტყობინებიდან მხოლოდ 7 შეტყობინება გაიგზავნა პენიტენციური დაწესებულების ექიმის მიერ.[126] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების ექიმები ამ მექანიზმს სრულყოფილად არ იყენებენ.

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მსჯავრდებულ ბ. ლ.-ს საქმე, რომლის ფარგლებშიც ვლინდება, რომ საგამოძიებო ორგანოში შეტყობინება გაიგზავნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის რწმუნებულებმა გამოავლინეს ფაქტი და მორიგე ექიმის ყურადღება მიაპყრეს ბ. ლ.-ს სხეულის დაზიანებასა და მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე. მანამდე კი, სამედიცინო მუშაკები და სხვა

[122] სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული 2025 წლის 11 თებერვლის №38987/01 პასუხი.

[123] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №663 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი“.

[124] 2025 წლის 17 იანვრის SIS 2 25 00001429 პასუხი.

[125] ზემოხსენებული 16 სისხლის სამართლის საქმიდან, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ ჩადენილი სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, 2 სისხლის სამართლის საქმეზე კი გამოძიება შეწყდა.

[126] 92 შეტყობინება გაიგზავნა პატიმრის მიერ, 35 შეტყობინება - პენიტენციური დაწესებულებიდან, 33 - სახალხო დამცველის აპარატიდან, 7 - იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, 6 - ადვოკატის მიერ და 21 განცხადება სხვა წყაროებიდან.

პერსონალი, მსჯავრდებულის სხეულის დაზიანებას, მიუხედავად იმისა, რომ ის ხილული იყო, უგულებელყოფდნენ.[127]

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემასთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით, გაუმჯობესებულია პოლიციის დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოება, თუმცა პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებული 14 დაწესებულებიდან 2 დაწესებულებაში მაინც გამოვლინდა დოკუმენტაციის წარმოების ხარვეზები.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ შესწავლილი და დამუშავებული 132 შემთხვევიდან 12%-ში (16 შემთხვევა) დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია იზოლატორებში არსებულ სამედიცინო ჩანაწერებში. ცხადია, ამ შემთხვევებში ჩნდება პრეზუმფცია, რომ დაკავებული პირი, შესაძლოა, პოლიციის კონტროლქვეშ დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ასევე საგულისხმოა, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორების ექიმების მიერ დაზიანებების მიღების გარემოებების სრულყოფილად აღწერის კუთხით ბოლო წლებში მცირედი გაუმჯობესება შეინიშნება. თუმცა, სამწუხაროდ, 2024 წელსაც კვლავ მაღალია იმ შემთხვევების ხვედრითი წილი, სადაც დაზიანების მიღების გარემოებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ აღიწერება. 2024 წელს შესწავლილი 132 საქმიდან, რომელიც პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საეჭვოდ მიიჩნია, დროებითი მოთავსების იზოლატორების ექიმებს დაზიანებები სრულყოფილად ჰქონდათ აღწერილი საქმეების 60%-ში, ხოლო 40%-ში არასრულყოფილად ან საერთოდ არ ჰქონდათ.

ზემოთქმულის გარდა, მნიშვნელოვანია დაზიანებების ფოტოგრაფირებასთან დაკავშირებული ხარვეზებიც. სამწუხაროდ, დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმები იშვიათად იყენებენ ამ შესაძლებლობას და ფოტოების გადაუღებლობის პრაქტიკას დაკავებული პირის უარით ხსნიან. ასევე აღსანიშნავია, რომ 2024 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ ნანახი ფოტოების ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი, კერძოდ, ფოტოები იყო ბუნდოვანი, არასაკმარისი ან ზედმეტი განათების პირობებში გადაღებული. იქიდან გამომდინარე, რომ ექიმებს არ ჰქონდათ მიღებული ფოტომასალის შენახვის ინსტრუქცია, ხშირად კომპიუტერში არ ჰქონდათ გამოყოფილი კონკრეტული საქაღალდე, სადაც ყველა ექიმი მოათავსებდა გადაღებულ ფოტომასალას სახელების, გვარებისა და თარიღების მითითებით. ამის გამო რთულია გადაღებული ფოტოების მოძიება.

ასევე საგულისხმოა, რომ წინა წლების მსგავსად, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს აღენიშნებოდა დაზიანებები, სპეციალურ

[127] საქმესთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება არ გაგზავნილა. 2024 წელს დამუშავებული 132 შემთხვევიდან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება გაგზავნილია 114 (86%) შემთხვევაში, 18 (14%) შემთხვევაში კი არ არის გაგზავნილი. მათ შორის არის შემთხვევები, როდესაც დაკავებულს დაზიანება აღენიშნება სახესა და თვალბუდის არეში და დაზიანებების ხარისხი და ფერი მიანიშნებს, რომ სავარაუდოდ ძალადობის შედეგად, ახლად მიღებული დაზიანებებია.

დაკავებულ პირთა შესახებ დოკუმენტაციის წარმოების თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ როგორც ბრალდებულის დაკავების, ისე ადმინისტრაციული დაკავების ოქმები საჭიროებს განახლებას, სადაც მნიშვნელოვანია გამოიყოს გრაფები შემდეგი ინფორმაციისთვის: ადგილი ჰქონდა თუ არა დაკავების დროს დაკავებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევას; მიმართეს თუ არა იძულების ზომას და რა ფორმით.

2024 წელს კვლავ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც იზოლატორის თანამშრომლები შეღებული კარის მიღმა დგანან და შეუძლიათ დაკავებულისა და ექიმის საუბრის მოსმენა. იშვიათ შემთხვევაში, მესამე პირის დასწრება დოკუმენტირებულია სამედიცინო შემოწმების ფორმაში, თუმცა დასაბუთებული არ არის. ამასთანავე, სახალხო დამცველი ბოლო წლებია ანგარიშებში უთითებს, რომ იზოლატორის სამედიცინო ოთახებში ვიდეომეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება შეხვედრის კონფიდენციალურობის კუთხით პრობლემურია. მართალია, ექიმის კაბინეტები აღიჭურვა შირმით, რათა დათვალიერების დროს ვიდეოკამერის ხედვის არეალში არ მოექცეს დაკავებულის სხეული, თუმცა ოთახში კამერის არსებობამ და ხმის მოსმენის შესაძლებლობაზე ეჭვმა, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს დაკავებული პირის გახსნილობაზე, რაც შეაფერხებს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენას და დოკუმენტირებას.

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრში არსებული მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრმა შეასრულა სახალხო დამცველის ყველა რეკომენდაცია, კერძოდ, სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად დაამტკიცა დაზიანების აღწერის ფორმები, შეიძინა ფოტოაპარატი და დაამტკიცა ფოტოგადაღების წესი, ექიმებს არასოდეს გასჩენიათ ეჭვი, რომ განთავსებული პირის მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან შესაძლოა განხორციელებულიყო რაიმე სახის ძალადობა ან ძალის გადამეტება დაკავებისას, დაკავების შემდეგ ან ცენტრში განთავსების შემდგომ.[128] დაზიანების ჟურნალში აღწერილი ზოგიერთი დაზიანება, რომლის წარმოშობის წყაროდაც მითითებულია საყოფაცხოვრებო ტრავმა, ზოგიერთ შემთხვევაში დაზიანების

[128] დაზიანების აღრიცხვის ჟურნალის მიხედვით, 2024 წლის 10 ოქტომბრისთვის აღნუსხულია 73 დაზიანება, მათგან საყურადღებო იყო განთავსებული პირების სხეულზე არსებული დაზიანებები ჰემატომის, სისხლნაჟღენთების სახით, მათ შორის, თვალბუდის არეში, რომელიც ექიმის მითითებით, უკავშირდებოდა განთავსებულებს შორის კონფლიქტებს, თვითდაზიანებებს ან საყოფაცხოვრებო ტრავმებს.

ლოკალიზაციის კუთხით აჩენს ეჭვს, რომ დაზიანება შესაძლებელია სხვა პირის მიერ ყოფილიყო მიყენებული.[129]

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ, სამწუხაროდ, არცერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არ არის მიღებული საკმარისი ზომები პაციენტთა არასათანადო მოპყრობისგან დასაცავად. სამწუხაროდ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და საცხოვრისებში კვლავ არ არის დანერგილი პაციენტის/ბენეფიციარის მიმართ ჩადენილი შესაძლო ძალადობის დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმი. დაზიანებების შესახებ დოკუმენტაცია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ქაოსურად ან საერთოდ არ იწარმოება. ასევე საგულისხმოა, რომ პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების აქტიურად გამოყენების მიუხედავად, ყველა ეს შემთხვევა არ დოკუმენტირდება. ყველა დაწესებულებაში ასევე პრობლემურია გამოყენებული შეზღუდვის მეთოდების დასაბუთება, რაც ზრდის თვითნებობის რისკს. არც 2024 წელს და არც გასულ წლებში, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს პრევენციული ვიზიტების დროს, არასდროს უნახავს სამედიცინო ბარათში განთავსებული დოკუმენტირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილება პაციენტის უფლების შეზღუდვის შესახებ.

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს სათანადო ზედამხედველობა,[130] პროაქტიულად გამოავლინოს და აღკვეთოს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის და უფლებების დარღვევის ფაქტები, რადგან ეს მის პოზიტიურ ვალდებულებას განეკუთვნება.[131] ჯერ კიდევ არ არის მიღებული მინისტრის ბრძანება, რომელსაც მონიტორინგის/შეფასების წესი, პირობები და მონიტორინგის ჯგუფის შემადგელობა უნდა დაემტკიცებინა.[132]

სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია და რაოდენობა

2024 წელს, წინა წლების მსგავსად, როგორც პენიტენციურ სისტემაში, ისე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, გამოწვევა იყო პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია და რაოდენობა, რაც ამ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის რისკებს წარმოშობს.

[129] ასე მაგალითად: დაზიანება მარჯვენა თვალის უპეში - თავბრუ დაეხვა და წაიქცა; დაზიანება მარცხენა ქუთუთოს არეში - შემთხვევით მოხვდა იატაკის ჯოხი; დაზიანება (ნაკაწრი) მარცხენა თვალბუდეზე - შემთხვევით, თამაშისას.

[130] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, „ვ. ს. იტალიის წინააღმდეგ“ (V.C. v. Italy) no. 54227/14, პარა. 89-95, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/2Lq2skO >, [ბოლოს ნანახია: 03.02.2025]. იხ. ასევე საქმე, „ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Osman v. the UnitedKingdom).

[131] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენცია, მუხლი 14.2.

[132] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 261-ე მუხლის, მე-5 პუნქტი.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ პრობლემური იყო სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა.[133] სამედიცინო პერსონალი არსებული დიდი მოთხოვნის გამო ძლიერ დატვირთულია, განსაკუთრებული დატვირთვა კი მორიგე პერსონალზე მოდის. სახალხო დამცველის რეკომენდაცია ექთნების რაოდენობის გაზრდისა და ვაკანტური[134] ადგილების უმოკლეს ვადებში შევსების თაობაზე სამწუხაროდ არ შესრულებულა.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა უარყოფითად აისახება გაწეული ფსიქიატრიული დახმარების ხარისხსა და პაციენტებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში რეაგირების ეფექტიანობაზეც. ასევე, გამოწვევაა პერსონალის კვალიფიკაცია, უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულება, მოტივაციის ნაკლებობა, დაბალი ანაზღაურება და არახელსაყრელი სამუშაო პირობები. პერსონალის არაკვალიფიციურობა (ასევე, შესაბამისი სპეციალური გადამზადების არარსებობა), მათ შორის, პრობლემურია შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, როდესაც იზრდება პაციენტის დაზიანების რისკები. 2024 წელს პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალს კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში გადამზადება არ ჩატარებიათ.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, სამედიცინო პუნქტი, 2024 წლის მდგომარეობით, ფუნქციონირებდა დროებითი მოთავსების 23 იზოლატორში, თუმცა სამედიცინო პერსონალი 24 საათის განმავლობაში მხოლოდ 16 იზოლატორში მორიგეობდა. 7 დროებითი მოთავსების იზოლატორში კვლავ არ არის სამედიცინო პუნქტი და დაზიანებების დოკუმენტირებას ახდენენ სასწრაფო დახმარების ექიმები. მნიშვნელოვანია გაიზარდოს იმ იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი და დასაქმებულია ექიმი.

მოთხოვნა/საჩივარი - გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები

არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობა. სამწუხაროდ, 2024 წელს კვლავ გამოწვევა იყო პენიტენციურ დაწესებულებებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და შშმ პირთა საცხოვრისებში არსებული გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობა.

---

[133] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) 2007 წელს საბერძნეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში უთითებს, რომ ერთ ექიმზე - 300, ხოლო ერთ ექთანზე 50 პატიმარზე მეტი არ უნდა მოდიოდეს. საქართველოში, დიდ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებისა და ექთნების რაოდენობის თანაფარდობა მაღალია და შესაბამისად, საჭიროა საშუალო სამედიცინო პერსონალის დამატება.

[134] №1 დაწესებულებაში იყო ექთნის 2, სტომატოლოგის 1, მორიგე ექიმის 1 ვაკანსია; №2 დაწესებულებაში ექთნის 3 და სტომატოლოგის 1 ვაკანსია; №5 დაწესებულებაში მორიგე ექიმის 1 და ექთნის 1 ვაკანსია; №6 დაწესებულებაში ექთნის 1 ვაკანსია; №8 დაწესებულებაში ექიმის 1, მორიგე ექიმის 1 და ექთნის 4 ვაკანსია; №10 დაწესებულებაში ექთნის 1 ვაკანსია; №12 დაწესებულებაში ექთნის 1 ვაკანსია, №14 დაწესებულებაში მორიგე ექიმის 1 ვაკანსია; №16 დაწესებულებაში მორიგე ექიმის 2, ექიმის 1 და ექთნის 2 ვაკანსია; №17 დაწესებულებაში ექთნის 1 ვაკანსია; №18 დაწესებულების სხვადასხვა განყოფილებებში ექთნის 6 ვაკანსია.

2024 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგისას კვლავ გამოვლინდა, რომ პატიმრებისთვის გასაჩივრების უფლების რეალიზებას აბრკოლებს პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედი პატიმართა არაფორმალური იერარქია. არაფორმალური მმართველობის გავლენის გამო, წინა წლების მსგავსად, პატიმრები კვლავ თავს იკავებენ საჩივრების გაგზავნისგან. პატიმართა 42% სასჯელს სწორედ ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში[135] იხდის, თუმცა, 2024 წელს სახალხო დამცველის აპარატში პატიმრებისგან შემოსული ზარებიდან არცერთი არ განხორციელებულა ნახევრად ღია ტიპის ისეთი დაწესებულებებიდან, როგორიცაა №14, №15 და №17 დაწესებულებები.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ №6 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში, პატიმრის მიერ საჩივრის ყუთებით სარგებლობა კვლავ იძლევა მისი ვინაობის დადგენის შესაძლებლობას, რადგან კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების მიღება კვლავ დაწესებულების პერსონალზეა დამოკიდებული. ამ ნაწილში საგულისხმოა, რომ, მართალია, საჩივრის შინაარსი დაწესებულებებისთვის უცნობი რჩება, თუმცა თავად საჩივრის დაწერის ფაქტმაც კი, შეიძლება პრობლემა შეუქმნას პატიმარს და ამის გამო თავი შეიკავოს კონფიდენციალური საჩივრის კონვერტის მოთხოვნისა და გაგზავნისგან.

დამატებით, საგულისხმოა, რომ გასაჩივრების მექანიზმების ეფექტიანად გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია პატიმრების სათანადო ინფორმირება. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ უცხოენოვანი პატიმრები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილნი იყვნენ თარჯიმნის მომსახურებით, ასევე, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდებოდეთ ინფორმაცია, ზოგადად, დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ.

პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, ხარვეზიანი იყო ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული გასაჩივრების მექანიზმიც. წინა წლების მსგავსად, ამ მხრივ არსებული მდგომარეობა 2024 წელსაც სამწუხარო იყო. დაწესებულებებში საჩივრის ყუთები ან საერთოდ არ არის, ან სრულიად უფუნქციოდ არის დატოვებული. პაციენტებს ასევე არ აქვთ ინფორმაცია სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებთან დაკავშირების შესაძლებლობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მსგავსად, პაციენტებს ხელი არ მიუწვდებათ იურიდიულ კონსულტაციაზე.

რაც შეეხება საცხოვრისებში არსებულ ვითარებას, სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტებიდან გამოვლინდა, რომ დაწესებულებების უმრავლესობაში არ იყო განთავსებული საჩივრის ყუთი. ყუთის განთავსების შემთხვევაში, კი, მხოლოდ დეკორაციული ხასიათი ჰქონდა და ბენეფიციარებს ინფორმაციაც არ ჰქონდათ, თუ რისთვის გამოიყენებოდა. ე.წ. უკუკავშირის ჟურნალი კი დაწესებულებების მიერ აღიქმება მადლიერების ჟურნალად, რომელსაც ბენეფიციარს ან მის ახლობელს მხოლოდ

[135] 2024 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში თვის განმავლობაში საშუალოდ 10 045 პატიმარი იყო, აქედან №14 დაწესებულებაში თვის განმავლობაში საშუალოდ 840, №15 დაწესებულებაში 1 786, ხოლო №17 დაწესებულებაში 1 564.

იმ შემთხვევაში გადასცემენ შესავსებად, თუ მას დადებითი შეფასების ჩაწერა სურს. მონიტორინგიდან ასევე ირკვევა, რომ ბენეფიციარებს არ აქვთ ინფორმაცია არც საკუთარი უფლებების და არც უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საოჯახო ტიპის სახლებში და შშმ პირთა სათემო სახლებში, სადაც ბენეფიციარები მეტნაკლებად ფლობენ ინფორმაციას სერვისის შესახებ და გამოკრულია სახალხო დამცველის ცხელი ხაზის და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ნომრები, თუმცა დარღვეული უფლების გასაჩივრების გზები მათთვისაც უცნობია.

პენიტენციური დაწესებულებების არაფორმალური მმართველობა

პატიმრების ძალადობისგან დაცვის თვალსაზრისით, კვლავ გამოწვევად რჩება ცალკეულ დაწესებულებებში პრივილეგირებული პატიმრების (ე.წ. მაყურებლების) მიერ პენიტენციური დაწესებულებების მართვაში არაფორმალური მონაწილეობა, რაც არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს და ხშირად, პატიმრებს შორის ძალადობასა და ჩაგვრასაც იწვევს. პრივილეგირებული პატიმრების მიერ პენიტენციური დაწესებულებების მართვაში არაფორმალური მონაწილეობა ხშირად პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება.

საგულისხმოა, რომ №17 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს მუდმივად თან დაჰყვებოდნენ კონკრეტული პატიმრები, რაც სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, მოესმინათ ჯგუფის წევრების მიერ სხვა პატიმრებისთვის დასმული კითხვების შინაარსი და გაცემული პასუხები, მეორე მხრივ კი, თავიანთი იქ ყოფნით, პატიმრებზე გავლენა მოეხდინათ, რათა მათ თავი შეეკავებინათ დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზე საუბრისგან. აღსანიშნავია, რომ №15 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში პრივილეგირებული პატიმრების მიერ დაწესებულების მართვაში არაფორმალური მონაწილეობა დაადასტურეს სხვადასხვა დაწესებულებებში მყოფმა იმ პატიმრებმა, რომლებსაც 2024 წლის განმავლობაში მოუწიათ ზემოაღნიშნულ პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნა.

ამ ნაწილში ასევე ნიშანდობლივია, რომ №17 და №14 პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების არაფორმალური იერარქიის აშკარა ნიშნების არსებობაზე 2023 წლის ოქტომბერში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში საუბრობს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ქვეკომიტეტიც.[136] საგულისხმოა, რომ არაფორმალური ლიდერებისთვის უფლებამოსილების დელეგირების ფაქტზე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2019 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშშიც უთითებდა.[137] ასევე აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მაისში, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი *ad hoc* ვიზიტით საქართველოს

[136]ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, შემდეგ ელ. მისამართზე: <https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%2FOP%2FGEO%2FROSP%2F1&Lang=en > პარა. 42 [ბოლოს ნანახია: 05.03.2025].

[137] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის 10-21 სექტემბრის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 53, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/1680945eca> [ბოლოს ნანახია: 05.02.2025].

სპეციალურად ეწვია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესამოწმებლად. შემოწმების შედეგად 2022 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საგანგებოდ მიუთითა იერარქიის მაღალ და საბალ საფეხურზე მდგომი პატიმრებისათვის განსხვავებული საცხოვრებელი პირობების, ე.წ. „საერთოს“ შეგროვებისა და პატიმართა გაჩუმების პრაქტიკაზე, ასევე, მოჩვენებით წესრიგზე.[138] ამავე ანგარიშში კომიტეტმა აღნიშნა, რომ პენიტენციური დაწესებულებების მენეჯმენტსა და იერარქიის წარმომადგენელ პატიმრებს შორის არსებობდა ერთგვარი შეთანხმება, რომ პატიმრებს შორის ნებისმიერი კონფლიქტი თავდაპირველად არაფორმალურად, ადმინისტრაციის ფორმალურად გაუფრთხილებლად უნდა მოგვარებულიყო.[139]

პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა, რაც საქართველოს პენიტენციური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. 2024 წლის დეკემბრის მონაცემებით, 14 პენიტენციური დაწესებულებიდან 5 დაწესებულებაში[140] მოთავსებული იყო პატიმრების საერთო (9098 პატიმარი) რაოდენობის 77%. №2,[141] №8[142] და №15[143] პენიტენციურ დაწესებულებებში კი დარღვეული იყო პატიმართა განთავსების დადგენილი რაოდენობრივი ლიმიტი. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მძიმე მდგომარეობა ამ კუთხით №15 დაწესებულებაში გამოვლინდა,[144] სადაც

---

[138] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2021 წლის 17-21 მაისის საქართველოში ad hoc ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2022) 11), პარა. 12, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < >[ბოლოს ნანახია: 01.02.2023].

[139] იქვე, პარა. 20.

[140] №8 დაწესებულებაში - 2 266, №17 დაწესებულებაში - 1 499, №15 დაწესებულებაში - 1 600, №2 დაწესებულებაში - 938, №14 დაწესებულებაში - 741 პატიმარი.

[141] №2 დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 1 068. პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს 2024 წლის 8 თვის განმავლობაში აღემატებოდა: თებერვალი +3.0% (+32), მარტი +4.9% (+52), აპრილი +6.8% (+73), მაისი +4.7% (+50), ივნისი +7.0% (+75), ივლისი +8.7% (+93), აგვისტო +9.7% (+104), სექტემბერი +2.6% (+28).

[142] №8 დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 2 426 (2325 ბრალდებული/მსჯავრდებული (თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ); 101 ბრალდებული/მსჯავრდებული (თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11) პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს 2024 წლის 10 თვის განმავლობაში აღემატებოდა: იანვარი +5.3% (+129), თებერვალი +10.1% (+244), მარტი +9.7% (+235), აპრილი +8.5% (+205), მაისი +9.0% (+218), ივნისი +11.0% (+266), ივლისი +3.8% (+91), აგვისტო +5.3% (+129), სექტემბერი +5.3% (+128), ოქტომბერი +3.3% (+81).

[143] №15 დაწესებულებაში პატიმართა განთავსების ლიმიტია 1 388. პატიმართა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს 2024 წლის ყველა თვის განმავლობაში აღემატებოდა: იანვარი +31.0% (+430), თებერვალი +32.1% (+446), მარტი +34.0% (+472), აპრილი +32.1% (+446), მაისი +30.8% (+427), ივნისი +31.8% (+441), ივლისი +36.7% (+509), აგვისტო +36.0% (+499), სექტემბერი +34.2% (+475), ოქტომბერი +14.0% (+194), ნოემბერი +15.9% (+221), დეკემბერი +15.3% (+212).

[144] 2023 წლის 8-14 ოქტომბერს წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღნიშნა, რომ ქსნის №15 დაწესებულება გადატვირთული იყო და იქ მყოფ პატიმართა რაოდენობა განთავსების ლიმიტს 143%-ით აღემატებოდა. ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, შემდეგ ელ. მისამართზე: <https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%2FOP%2FGEO%2FROSP%2F1&Lang=en > პარა. 71 [ბოლოს ნანახია: 13.02.2025].

საანგარიშო პერიოდის პირველი 9 თვის განმავლობაში მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტს დაახლოებით ერთი მესამედით აღემატებოდა.

სახალხო დამცველი, წლებია, გასცემს რეკომენდაციას იუსტიციის მინისტრის მიმართ, შეიმუშაოს პენიტენციურ დაწესებულებებში გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმა და გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ ერთი თანამშრომელი. ევროპის საბჭოს მონაცემებით, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის თანაფარდობა 2.9-დან 12.9-მდე მერყეობს და 1:15 თანაფარდობის უზრუნველყოფის რეკომენდაცია სწორედ ამ მონაცემებს ეფუძნება.[145]

ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტთა უფლებების თვითნებური შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,[146] ექიმი უფლებამოსილია უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით პაციენტის რიგი უფლებები საკუთარი გადაწყვეტილებით შეზღუდოს.[147] ბუნდოვანია, რას გულისხმობს უსაფრთხოების მიზნით უფლების შეზღუდვა, ასევე გაურკვეველია, რა სახის უსაფრთხოების საფუძვლით აქვს ექიმს პაციენტის უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა. თვითნებობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს თითოეული უფლების შეზღუდვის მაქსიმალური დრო, კრიტერიუმი და გასაჩივრების პროცედურები.[148]

ფიზიკური გარემო

2023 წელს, ფიზიკური გარემო პრობლემური იყო როგორც დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ისე პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და შშმ პირთა საცხოვრისებში.

სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია დროებითი მოთავსების იზოლატორების ორ ან მეტ ადგილიან საკნებში ნახევრად იზოლირებული სანიტარიული კვანძები.

საანგარიშო წელსაც, ყველა დროებითი მოთავსების იზოლატორის საკანში მიმდინარეობს მუდმივი ვიდეომეთვალყურეობა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მაღალია თვითდაზიანების ან სუიციდის რისკი, ვიდემეთვალყურეობა, შესაძლოა, განხორციელდეს მხოლოდ რეალური და იმწუთიერი

[145] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიში.
[146] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი.
[147] ექიმს შეუძლია შეუზღუდოს ისეთი უფლებები, როგორიცაა: მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია თავისი დაავადების და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ; გაეცნოს მის შესახებ არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციას; უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე; მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში; მიიღოს და გაგზავნოს წერილი, გზავნილი შემოწმების გარეშე; სტაციონარის შინაგანაწესის თანახმად, ისარგებლოს ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით და სხვა უფლებებით.
[148] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, გვ. 166-170; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 53.

რისკის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია საკნის ინფრასტრუქტურაც. როგორც აღინიშნა, იზოლატორების უმრავლესობაში ნახევრად ღია საპირფარეშოებია, რომლებიც, შესაძლოა, ვიდეომეთვალყურეობის არეალში მოექცეს, რაც დაკავებული პირის პირადი სივრცის უხეში ხელყოფაა და, შესაძლოა, დაკვალიფიცირდეს დამამცირებელ მოპყრობად.[149]

სამწუხაროდ, ფიზიკური გარემო პრობლემურია ფსიქიატრიულ დაწესებულებებშიც. 2024 წელს, წინა წლების მსგავსად, პრობლემური იყო გადატვირთულობა და სიმჭიდროვე. პაციენტები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილნი სტანდარტით დადგენილი 8კვ. მ. ფართობით. ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია შპს „ნარკომანიის პრევენციის და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“ და შპს „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“, სადაც პაციენტთა რაოდენობა თითქმის მუდმივად აჭარბებს დადგენილ ლიმიტებს. ასევე, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა და დახუთული, მძიმე სუნი შეუძლებელს ხდის პაციენტთათვის ღირსების დაცვის პირობებში ფსიქიატრიული დახმარების გაწევას.

რაც შეეხება საცხოვრისებში არსებულ მდგომარეობას, საგულისხმოა, რომ იმ საცხოვრისების უმეტეს ნაწილში, სადაც პრევენციული ვიზიტები განხორციელდა, საყოფაცხოვრებო პირობები და ზოგადი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ზოგიერთ საცხოვრისში არსებული პირობები ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციართათვის კეთილმოწყობილ, სუფთა და, რიგ შემთხვევებში, უსაფრთხო გარემოს. ეს ფაქტორი განსაკუთრებით აღსანიშნავია ძევრის და ბედიანის შშმ პირთა პანსიონატებში, სადაც დაწესებულებების ზომის, ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის[150] და პერსონალის სიმცირის გამო, სრულყოფილად ვერ ხერხდება სანიტარიული პირობების დაცვა.[151]

პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკურ გარემოზე საუბრისას, პირველ რიგში, საგულისხმოა №17 პენიტენციური დაწესებულება, სადაც დღემდე არ გაუქმებულა ე.წ.

---

[149] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, CASE OF GORLOV AND OTHERS v. RUSSIA Applications nos. 27057/06 and 2 others. ასევე, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მოუწოდებს იტალიის მთავრობას პენიტენციურ დაწესებულებაში ვიდეომეთვალყურეობა განახორციელოს ისე, რომ გარანტირებული იყოს პრივატული გარემო პატიმრის მიერ საპირფარეშოთი სარგებლობის დროს. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2016 წლის 8-12 აპრილის იტალიაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში. CPT/Inf (2017) 23, პარა. 62, ხელმისაწვდომია: <https://www.ecoi.net/en/file/local/1406598/1226_1505200729_16807412c2-rep.pdf>, [ბოლოს ნანახია: 28.02.2024].

[150] ამ ინსტიტუციებში იმყოფებიან მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბენეფიციარები და საჭიროებენ დამხმარეს თვითმოვლის პროცესში.

[151] ბედიანის შშმ პირთა პანსიონატის საძინებელ ოთახებსა და სველ წერტილებში ინფრასტრუქტურა დაზიანებულია სიძველისგან და ნესტისგან. ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან საკმარისი რაოდენობის სეზონის შესაფერისი ტანსაცმლით და ფეხსაცმლით. ბედიანის და ძევრის შშმ პირთა საცხოვრისებში პრობლემურია ტანსაცმლის, თეთრეულის და საცვლების ერთად გარეცხვის პრაქტიკა. გარდა ამისა, ბედიანის საცხოვრისში ვიზიტის დროს რამდენიმე ბენეფიციარს სხეულზე აღენიშნებოდა მწერების ნაკბენები, რაც გამოწვეული იყო პედიკულოზით. ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა განყოფილებებში დეზინფექციის და დეზინსექციის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

„ბარაკული“ ტიპის საერთო საცხორებლები და შეუძლებელია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა, ხოლო მსჯავრდებულთა უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი 4 კვ. მ. პირადი საცხოვრებელი ფართობით. პატიმრების 4 კვ. მ. საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა პრობლემაა №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებშიც.

დროებითი განთავსების ცენტრში არასრულწლოვნების განთავსების პირობები

საგულისხმოა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, საიმიგრაციო ცენტრში ბავშვის, მათ შორის, ზრდასრულთან მყოფი ბავშვის, განთავსება მხოლოდ უკიდურესი ზომა უნდა იყოს და ისიც, რაც შეიძლება ხანმოკლე პერიოდით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად ადგენს კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას არასრულწლოვნის საიმიგრაციო დაკავების ადგილებში განთავსების შემთხვევებში, მაშინაც კი, როდესაც განთავსების იგივე პირობები და დაკავების ხანგრძლივობა სრულწლოვანთან მიმართებით, შესაძლოა, არ შეფასდეს მე-3 მუხლის დარღვევად.[152]

საანგარიშო პერიოდში სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებული პირებიდან 11 იყო არასრულწლოვანი. სამწუხაროდ, მათ არ შეეთავაზებათ არანაირი აქტივობები და მხოლოდ ტელევიზორის ყურება შეუძლიათ. დროებითი განთავსების ცენტრში ადგილზე არ არის სოციალური მუშაკი, ხოლო ფსიქოლოგი კვირაში რამდენიმე დღე დადის. ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მითითება, რომ დაწესებულებაში, სადაც იმყოფება თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი, მუდმივად უნდა იმყოფებოდნენ სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი, რომლებიც პირადად ეკონტაქტებიან არასრულწლოვანს.[153]

დაკავებული პირის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები

დაკავებულის ინფორმირება - პოლიციის მიერ პირის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ, წინა წლების მსგავსად, პრობლემური იყო 2024 წელსაც. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ

[152] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-3 მუხლის დარღვევის შეფასებისას მხედველობაში იღებს სამ კრიტერიუმს - ბავშვის ასაკი და მოწყვლადობა, მატერიალური პირობები განთავსების ცენტრში და ხანგრძლივობა. მატერიალურ პირობებში შეფასდა ხმაურიანი გარემო და ის ფაქტი, რომ ოჯახების განთავსების ფლიგელი გამჭვირვალე მინით იყო გამოყოფილი სრულწლოვანების საერთო სივრცისგან, ასევე ის ფაქტი, რომ უსაფრთხოების ზომების ხასიათი დაკავების/საპატიმრო დაწესებულებების მსგავსი იყო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, N.B. and Others v. France, 31 მარტი 2022, application no. 49775/20 და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, M.D. et A.D. c. France 22 July 2021, application no 57035/18, para: 41-50 ხელმისაწვდომია: https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-211122

[153] ევროპის საბჭო, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT), დაცვის გარანტიები თავისუფლებააღკვეთილი არალეგალი მიგრანტებისათვის, ამონაწერი მე-19 საერთო ანგარიშიდან, გამოქვეყნდა 2009 წელს, პარა. 99.

დაკავებულ პირებს, უმეტეს შემთხვევებში, არც დაკავებისას და არც გამოკითხვის წინ, ან საერთოდ არ უმარტავენ უფლებებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აწვდიან ინფორმაციას.

ადვოკატის ხელმისაწვდომობა[154] - სამწუხაროდ, ადვოკატთან დაკავშირების მოთხოვნა არც პოლიციის დაწესებულებებში აღირიცხება და არც დროებითი მოთავსების იზოლატორებში. ადვოკატებს ძირითადად დაკავებულების ოჯახის წევრები უკავშირდებიან. პრობლემურია პოლიციის დაწესებულებებში ადვოკატთან კონფიდენციალური გასაუბრების შესაძლებლობაც, ვინაიდან დაწესებულებების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს გამოყოფილი ოთახი ადვოკატთან შესახვედრად. დაკავებულები ადვოკატს ძირითადად ღია, სამუშაო სივრცეში ხვდებიან, სადაც პოლიციის თანამშრომლები იმყოფებიან და ამდენად, კონფიდენციალური საუბარი პრაქტიკულად შეუძლებელია.

ოჯახის ინფორმირება - დაკავებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ერთეული შემთხვევების გარდა, სისხლის სამართლის წესით დაკავების შემთხვევაში, ოჯახი ინფორმირებულია მათი დაკავების თაობაზე. თუმცა, საგულისხმოა, რომ გასულ წლებში პირის დაკავების შესახებ მესამე მხარის დროული ინფორმირების ტენდენციის მიუხედავად, 2024 წლის 29 ნოემბრის შემდეგ პერიოდში, საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით დაკავებული პირების უმრავლესობის განმარტებით, მათი დაკავების ფაქტის და ადგილსამყოფელის შესახებ პოლიციელები არ ატყობინებდნენ ოჯახის წევრებს ან ახლობლებს. რაც შეეხება 2024 წლის 29 ნოემბრამდე პერიოდს, ადვოკატებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევაში ოჯახის წევრებს დაკავებულის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდებოდათ და ცდილობდნენ ადვოკატის საშუალებით დაედგინათ, სად იმყოფებოდა დაკავებული. ასევე საგულისხმოა, რომ 2024 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების ადგილსამყოფელის დადგენის თხოვნით, სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე 233 შეტყობინება შემოვიდა.

აუდიო-ვიდეო ჩანაწერების წარმოება - სახალხო დამცველი ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით, წლებია გასცემს რეკომენდაციებს ნორმატიული აქტით დასარეგულირებელ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, მოქალაქეებთან ურთიერთობისას სამხრე კამერებით და პოლიციის ავტომანქანაში დაკავებულის ყოფნისას ვიდეოგადაღების ვალდებულება და გონივრული ვადით მასალის შენახვა. ასევე, გასცემს რეკომენდაციებს პოლიციის დაწესებულებების ვიდეოინფრასტრუქტურით სრული აღჭურვის და დაკავებული პირის გადაადგილების არეალის სრული დაფარვის შესახებ. სამწუხაროდ, 2024 წელს, ნორმატიულ დონეზე, ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა. კერძოდ, პატრულ ინსპექტორებს/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს, მოქალაქეებთან ურთიერთობისას

[154] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიშსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

ვიდეოგადაღების ვალდებულება არ აქვთ. პატრულ ინსპექტორების გარდა, არცერთ შემთხვევაში არ არის გაწერილი ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები.[155] პრაქტიკაში პატრულ ინსპექტორები/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღებას იშვიათად იყენებენ.

სამწუხაროდ, პოლიციის დაწესებულებებში კვლავ არ მიმდინარეობს დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდი-ვიდეო ჩაწერა. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მითითებით, მნიშვნელოვანია, პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ნებისმიერი გამოკითხვა/გასაუბრება ვიდეო და აუდიო ტექნიკური საშუალებებით იწერებოდეს, იქვე უნდა მიეთითოს გამოკითხვის/გასაუბრების დაწყების და დასრულების დრო და მიეთითოს ჩანაწერში მონაწილე ყველა პირის სახელი და გვარი.[156] განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ წინა წლებთან შედარებით, არსებითად არ გაზრდილა პოლიციის სამმართველოებსა და დეპარტამენტებში შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერების რაოდენობა. თერჯოლის რაიონულ სამმართველოში გარე პერიმეტრზე არცერთი კამერა არ არის განთავსებული, ხოლო ქუთაისის საქალაქო სამმართველოში კამერა არ არის არც შიდა და არც გარე პერიმეტრებზე. 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს ვიდეოკამერების რაოდენობა გაიზარდა აჭარის პოლიციის დეპარტამენტში, ჭიათურის (გარე პერიმეტრი) და ზესტაფონის რაიონულ სამმართველოებში, ხოლო მათი რაოდენობა შემცირდა ქობულეთის, ჭიათურის (შიდა პერიმეტრი) და საჩხერის რაიონულ სამმართველოებში. შემოწმებულ დანარჩენ პოლიციის დაწესებულებებში განთავსებული ვიდეოკამერების რაოდენობა არ შეცვლილა.

ვიდეოსამეთვალყურეო კამერებთან დაკავშირებული პრობლემა, კერძოდ კი, ვიდეოჩანაწერების დაარქივებასთან დაკავშირებული პრობლემა, ასევე იკვეთება პენიტენციური დაწესებულებების შემთხვევაშიც და „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში". სახალხო დამცველი საპარლამენტო ანგარიშებში[157] არაერთია წელია მიუთითებს, რომ დახურულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს ვიდეოჩანაწერების შენახვისა და დაარქივების ვადა, რომელიც თავდაპირველად 24 საათს შეადგენდა, შემდეგ 5 დღემდე, ხოლო მოგვიანებით 30 დღემდე გაიზარდა, რაც დადებითად შეაფასა როგორც სახალხო

[155] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანება, მუხლი 121.

[156] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 28-ე საერთო ანგარიში, 2019 წ, პარა. 81, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://rm.coe.int/16809420e3 >, [ბოლოს ნანახია: 27.02.2024].

[157] საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2015, გვ. 43-44; საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2016, გვ. 9; საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2017, გვ. 20; საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2018, გვ. 44; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2019, გვ. 43; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, გვ. 29.

დამცველმა, ისე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა.[158] ამის ფონზე განსაკუთრებით უარყოფითად უნდა შეფასდეს ის, რომ, წინა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილების შედეგად, მიმდინარედ პენიტენციურ უწყებაში ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადა 10 დღემდეა შემცირებული. ეს ცვლილება მნიშვნელოვნად აუარესებს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობას მათ მიმართ არასათანადო მოპყრობისა ან/და მათი უფლებების სხვაგვარი დარღვევის პრევენციის მიმართულებით.[159]

ასევე საგულისხმოა, რომ 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა ისიც, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის №3, №11 და №8 დაწესებულების ნაწილში,[160] ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების განახლებამდე, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეომასალის შენახვის ვადად, კვლავ განსაზღვრული იყო არანაკლებ 120 საათი.[161] დღეის მდგომარეობით, დასახელებულ დაწესებულებებში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განახლებითი სამუშაოები დაწყებული არც არის.[162]

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა 3 საქმე შეისწავლა, რომლებშიც განმცხადებლების გადმოცემით, ადგილი ჰქონდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ პაციენტების მიმართ თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტს. არცერთ ზემოაღნიშნულ ფაქტზე, თანამშრომლის/თანამშრომლების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, რაც, მეტწილად შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დაარქივება/შენახვის ფუნქციის არქონასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემაზე სახალხო დამცველმა ყურადღება 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც გაამახვილა და რეკომენდაციაც გასცა, თუმცა რეკომენდაცია საანგარიშო პერიოდში არ შესრულებულა. სახალხო დამცველის შეფასებით, აუცილებელია „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა“

[158] იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2019 წლის 4-6 ივნისს გამართულ 1348-ე შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება, აბზაცი 5, ხელმისაწვდომია < https://bit.ly/3TgsMgx > [ბოლოს ნანახია: 15.03.2024].

[159] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 20 ოქტომბრის №941 ბრძანება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

[160] №8 პენიტენციური დაწესებულების ნაწილი, რომელიც განთავსებულია თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11.

[161] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 30 იანვრის №23854/01 წერილი.

[162] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2025 წლის 27 იანვრის №21931/01 წერილი.

უზრუნველყოს ვიდეოჩანაწერების დაარქივება და გონივრული ვადით შენახვა, რაც ნორმატიულად უნდა დარეგულირდეს.[163]

მოსამართლის როლი - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, როცა კი მოსამართლეს ეჭვი გაუჩნდება, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ჩადენილია წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისთვის შესაბამის გამოძიების ორგანოს მიმართავს.[164] ამ სახის ვალდებულება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველ მოსამართლესაც აქვს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთან მიმართებით.[165] საგულისხმოა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკით, 2024 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებმა შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსთვის მიმართვის ეს შესაძლებლობა 148 შემთხვევაში გამოიყენეს.[166]

დაკავებულთა სამართლებრივი გარანტიების ჭრილში, სახალხო დამცველი, წლებია, უარყოფითად აფასებს მოწმის სტატუსით პოლიციაში მყოფი პირების დაკავების პრაქტიკას. 2023 წელსაც, დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნის შემოწმებით, დაკავებულებთან და ადვოკატებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ იკვეთება ცალკეული შემთხვევები, როდესაც პირი დაწესებულებაში შესვლის დროს არ იყო დაკავებული და ის მოგვიანებით დააკავეს, თუმცა წინასწარვე განსაზღვრული იყო, რომ პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის და გასაუბრების შემდეგ მას დააკავებდნენ. როგორც წესი, პოლიციის დაწესებულებაში მისვლისთანავე პირს ჩამორთმეული აქვს მობილური ტელეფონი, შეზღუდული აქვს გადაადგილების უფლება და არ შეუძლია სურვილისამებრ დატოვოს პოლიციის დაწესებულება. ამ პერიოდში, პოლიციის თანამშრომლები ცდილობენ მოიპოვონ მოწმედ დაბარებული პირისგან ის ინფორმაცია, რომელსაც მისსავე წინააღმდეგ გამოიყენებენ. ამ პერიოდს, რიგ შემთხვევებში, თან სდევს მუქარა და დაშინებაც. მსგავსი შემთხვევები არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის კუთხით, სარისკო პრაქტიკაა, ვინაიდან ოფიციალურად დაკავებამდე, დასაკავებელ პირს არ აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სამართლებრივი დაცვის გარანტიებით, მაშინ როდესაც დაკავებამდეც დე ფაქტო და უკანონოდ შეზღუდული ჰქონდა თავისუფლება და პოლიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.[167]

დაკავებული პირის გარანტიების ჭრილში, ასევე საგულისხმოა სტანდარტიზებული და გამართული დოკუმენტაციის წარმოების მნიშვნელობა. ეს მნიშვნელოვანია, რათა

[163] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[164] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.
[165] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 238[1] მუხლი.
[166] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 24 თებერვლის წერილი №3-61-25.
[167] I.I. v. Bulgaria (Application №44082/98) ხელმისაწვდომია < https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-69313> [ბოლოს ნანახია: 28.02.2024].

დეტალურად და დროში სინქრონულად აღირიცხოს დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება. ფაილური სახით დოკუმენტაციის წარმოება შექმნის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მეტ გარანტიას, ვინაიდან პოლიციის თანამშრომლები ვალდებულები იქნებიან დროში სინქრონულად, სისტემაში შეიყვანონ დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება და ვერ შეძლებენ მის თვითნებურად შეცვლას და გადაკეთებას. სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოების დანერგვასთან ერთად, მნიშვნელოვანია დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალების და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადასაყვან პირთა აღრიცხვის ჟურნალების გამართული წარმოება, ისევე როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა პოლიციის დეპარტამენტისთვის, სამმართველოსა და განყოფილებისთვის ერთიანი ჟურნალის ფორმის შემუშავება, სადაც აღინუსხება მოქალაქეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების თარიღი და დრო, ასევე შესვლის მიზანი; პოლიციის დაწესებულებების შიდა და გარე პერიმეტრების აღჭურვა ვიდეომეთვალყურეობის სისტემებით იმისთვის, რათა შესაძლებელი იყოს ზემოთ ნახსენებ დოკუმენტაციაში მითითებული მონაცემების ვიდეოკამერების საშუალებით გადამოწმება.

არასათანადო მოპყრობისგან დაცვის სამართლებრივი გარანტიების კონტექსტში ასევე საგულისხმოა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობაც. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული 132 საეჭვო შემთხვევიდან 114 შემთხვევაში გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი დროებითი მოთავსების იზოლატორში პირს ადგილზე მისვლით ან დისტანციურად შეხვდა 35 (30.7%) შემთხვევაში, რაც, წინა წლებთან შედარებით, შემცირებული მაჩვენებელია.[168]

3.4. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება

არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ამ დანაშაულის თავიდან ასარიდებლად. სამწუხაროდ, 2024 წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით არაერთი გამოწვევა გამოვლინდა.

პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი წლებია მიუთითებს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მქონე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მნიშვნელობაზე. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს ქვეყანაში მოქმედი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი გარანტიები. აუცილებელია გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ნუსხა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დარჩეს მხოლოდ სამსახურის ძირითადი მანდატის შესაბამისი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება. მისასალმებელია, რომ 2024 წლის მაისში მიღებული ცვლილებების შედეგად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი გავრცელდა პროკურორების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ

[168] 2023 წელს ეს მაჩვენებელი იყო 37.7%, 2022 წელს - 47,4%, 2021 წელს - 70%.

ასევე მოიცვას გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილი დანაშაულებიც.

დანაშაულების კვალიფიკაციის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით[169] გათვალისწინებული დანაშაულები - წამება, წამების მუქარა, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა სრულად და ამომწურავად მოიცავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს. სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმები კი ქმედებათა ფართო სპექტრს გულისხმობს, ხოლო მისი მაკვალიფიცირებელი გარემოებები, კერძოდ, უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება იარაღით, ძალადობით, ღირსების შეურაცხყოფით, მოპყრობის ხარისხის, ინტენსივობის, ხანგრძლივობის და მიყენებული ტანჯვის შესაბამისად, შესაძლებელია გვაძლევდეს როგორც წამების, ისე, მინიმუმ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის შემადგენლობას. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის პრევენციული ეფექტის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობა ნათლად, არაორაზროვნად, ამომწურავად ახდენდეს არასათანადო მოპყრობის კრიმინალიზაციას მხოლოდ სპეციალური ნორმებით და პრაქტიკაში გამორიცხავდეს ამ დანაშაულების სხვა მუხლებით კვალიფიკაციის შესაძლებლობას.

არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის საკითხი მნიშვნელოვანია პროპორციული სასჯელის დაკისრების და აღსრულების თვალსაზრისითაც. სამოხელეო დანაშაულის ფაქტებისგან განსხვავებით, არასათანადო მოპყრობის სპეციალურ მუხლებზე არ გამოიყენება: ხანდაზმულობის ვადები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისათვის,[170] ასევე, განრიდება;[171] დაუშვებელია სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ[172] საპროცესო შეთანხმების დადებისას.

ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველი/პასუხისმგებელი ინსტიტუტების გასაძლიერებლად ასევე უმნიშვნელოვანესია გაიზარდოს თავად საქართველოს სახალხო დამცველის მანდატი. სახალხო დამცველი წლებია მიმართავს საქართველოს პარლამენტს არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე გამოძიების მასალების გამოძიების დასრულებამდე გაცნობის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით, რათა ძირითადი უფლებების დაცვის საკითხს ეფექტიანი ზედამხედველობა გაეწიოს.

ამ ნაწილში დამატებით ცალკე გამოვყოფთ საქართველოს გენერალური პროკურატურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიმართ გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კონკრეტულ მაჩვენებლებს. 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით,

[169] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-144^3 მუხლები.
[170] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 71, ნაწ. 5^1.
[171] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 168^1 , ნაწ. 2.
[172] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 218, ნაწ. 8; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 73^1 .

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, 2024 წელს საქართველოს პროკურატურაში გამოძიება არ დაწყებულა, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, 2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ. 4 პირი ცნობილია დაზარალებულად.[173] რაც შეეხება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, სამსახურმა 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 140 სისხლის სამართლის საქმეზე.[174] ამ საქმეებიდან საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 სისხლის სამართლის საქმეზე, დაზარალებულად ცნობილია 98 პირი 8 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, ხოლო გამოძიება შეწყდა 17 სისხლის სამართლის საქმეზე.[175]

დამატებით, საგულისხმოა, რომ 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, 2024 წელს საქართველოს პროკურატურაში გამოძიება არ დაწყებულა, ხოლო პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, 2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ, ხოლო 6 პირი ცნობილია დაზარალებულად.[176] რაც შეეხება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების მიერ, პატიმრების მიმართ ჩადენილი სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 16 სისხლის სამართლის საქმეზე. აღნიშნულ 16 სისხლის სამართლის საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, დაზარალებულად ცნობილი არავინ არის, ხოლო გამოძიება შეწყდა 2 სისხლის სამართლის საქმეზე.[177]

ტენდენციის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების სავარაუდო დანაშაულების გამოძიებას, როგორც პროკურატურა, ისე სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც, ძირითადად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით - უფლებამოსილების გადამეტების საფუძვლით იწყებენ. აღსანიშნავია, რომ განსახილველი საქმეებიდან 144^1 მუხლის (წამება) საფუძველზე გამოძიება როგორც პროკურატურას, ისე სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, არცერთ შემთხვევაში არ დაუწყია. რაც შეეხება 144^3 მუხლის (არასათანადო მოპყრობა) საფუძველზე დაწყებულ გამოძიებას, განსახილველი საქმეებიდან

[173] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 19 თებერვლის წერილი №13/10019.
[174] საქათველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2025 წლის 13 თებერვლის წერილი №SIS 0 25 00002804.
[175] იქვე.
[176] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 19 თებერვლის წერილი №13/10019.
[177] საქათველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2025 წლის 13 თებერვლის წერილი №SIS 0 25 00002804.

პროკურატურას ამ მუხლის საფუძველზე გამოძიება არ დაუწყია, ხოლო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მხოლოდ 14 შემთხვევაში დაიწყო.

ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში, აპარატის მიერ შესწავლილ რამდენიმე საქმეში გამოიკვეთა პოლიციელების მხრიდან სავარაუდო დანაშაულის ნიშნების შემცველ განცხადებებთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყების ან დაწყებაზე უარის გადაწყვეტილების მიღებამდე არაგონივრულად ხანგრძლივი დროით საკითხის შესწავლის შემთხვევები. კანონით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან დაიწყონ გამოძიება.[178] შესაბამისად, პროკურატურის ამგვარი პრაქტიკა, როცა რამდენიმე თვიდან - 1 წელზე მეტი ვადით აჭიანურებს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შესწავლას, შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს, გამოძიების დაწყების შემდეგ, მის ეფექტიანად წარსამართავად.[179]

გენერალური ინსპექციები/შიდა მონიტორინგის მექანიზმები

სამართალდამცავი სტრუქტურების ფარგლებში ისეთი სამსახურის არსებობა, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილებათა ჯეროვანი შესრულების მონიტორინგი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამავე უწყებებს პროაქტიული მონიტორინგის გარდა, ასევე ევალებათ საკუთარი თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება.

საგულისხმოა, რომ 2024 წელს სახალხო დამცველის აპარატმა გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში,[180] რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციების, ასევე სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზების ანალიზი, კერძოდ, სამართალდამცავ სტრუქტურებში დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი საკანონმდებლო და პრაქტიკული კუთხით მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირების პრობლემაზე მიუთითებს; სამართალდამცავ უწყებებში სამსახურებრივი გადაცდომების შიდა კონტროლის მოქმედი ინსტიტუციური მოწყობა, გარე კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის არარსებობის გამო, საჭიროებს სილრმისეულ ცვლილებებს; აუცილებელია, სამართალდამცავ სტრუქტურებში შიდა კონტროლის მექანიზმის გარდაქმნა იმგვარად, რომ ის პასუხობდეს დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის და ეფექტიანობის კრიტერიუმებს; მკაფიოდ უნდა გაიწეროს დისციპლინური წარმოების ნათელი წესები, რომელიც საჩივრის განხილვაში ჩართულ პირებს თუ საზოგადოებას გაუჩენს პროცესისადმი ნდობის და სამართლიანობის განცდას და სხვ. რაც შეეხება უშუალოდ პრაქტიკის კვლევისას გამოვლენილ ხარვეზებს, ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ხარვეზების

[178] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 100.

[179] დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[180] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, გენერალური ინსპექციების საქმიანობის საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი, 2024. ანგარიში ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/vPH4m [ბოლოს ნანახია: 23.01.2025].

მნიშვნელოვანი ნაწილი უკავშირდება ეფექტიან და დროულ ღონისძიებებს შესწავლის ფარგლებში. ზემოხსენებული ტიპის სამართალწარმოების ფარგლებში ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რათა გადაცდომის დადასტურება ცალმხრივად არ იყოს დამოკიდებული თავად დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩამდენი პირის აღიარებაზე. ამის მიუხედავად, გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, სადაც არ ჩანდა უწყების მხრიდან ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების მცდელობა. აგრეთვე, პრობლემურ საკითხად გამოვლინდა მომჩივნის ინფორმირებულობის საკითხიც.

3.5. გაზაფხულისა და ზამთრის საპროტესტო აქციები - არასათანადო მოპყრობა და სხვა უფლებადარღვევები[181]

2024 წელი საპროტესტო აქციებზე უფლებადარღვევების კონტექსტში განსაკუთრებით მძიმე და დასამახსოვრებელი იყო, რაც, პირველ რიგში, ღირსების ხელშეუვალობის უფლების, წამებისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პრინციპის დარღვევის ინტენსივობამ განაპირობა.

მძიმე უფლებადარღვევათა წყება, ძირითადად, 2024 წლის აპრილი-მაისის საპროტესტო აქციებზე დაიწყო (გაზაფხულის აქციები). გაზაფხულის საპროტესტო აქციებზე ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის პასუხისმგებლობის დაუკისრებლობამ, ასევე, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობამ (მაგალითად, სპეცრაზმელების ამოსაცნობი ნიშნებით აღუჭურველობამ), 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ მარტამდე საპროტესტო აქციებზე (ზამთრის აქციები) არაპროპორციული ძალისა და არასათანადო მოპყრობის კიდევ უფრო მასშტაბური გამოყენების წინაპირობა შექმნა.

შესაბამისად, ზამთრის აქციებზე გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდნენ. სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საპროტესტო აქციების დაშლის დროს დაკავებულებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ წლიდან წლამდე არასათანადო მოპყრობის მზარდი ტენდენცია იკვეთება: მაგალითად, სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული 2019 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირებიდან 30.2 % მიუთითებდა არასათანადო მოპყრობის შესახებ; 2023 წლის 7-9 მარტის აქციებზე - 20.8%; 2024 წლის აპრილ-მაისის აქციებზე - 51.1%; 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული პირებიდან არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა 60%; ამასთანავე, ზამთრის აქციების დაშლის პირველ დღეებში - 2024 წლის 29 ნოემბრიდან - 2 დეკემბრის პერიოდში, მონახულებული პირებიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე 79.5%, ხოლო 2025 წლის 2-3 თებერვლის შეხვედრებისას 25 პირიდან 22, ე.ი. 88% აცხადებდა, რომ არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა.[182]

[181] ამ თავთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[182] სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებულ პირთა რაოდენობების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან მოქალაქეთა ცემისა და ძალადობის გარდა, ამავე პერიოდში ადგილი ჰქონდა უცნობი პირების მხრიდან სამოქალაქო აქტივისტების, ჟურნალისტების, საჯარო ფიგურების დევნასა და ძალადობას, ორგანიზებულ სატელეფონო მუქარებს და სხვადასხვა სახით გამოხატულ ძალადობრივ შეუწყნარებლობას. სამწუხაროდ, დღემდე, წლის განმავლობაში გამართული აქციების კონტექსტში, არცერთი სამართალდამცავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, მაშინ როდესაც ძალადობის ორ ეპიზოდში, რომლებიც სხვადასხვა ვიდეოჩანაწერში იყო აღბეჭდილი, მოძალადე სამართალდამცავი პირები შეუნიღბავები იყვნენ და შესაძლებელი იყო მათი ამოცნობა. ამის საპირისპიროდ, საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების რაოდენობამ რამდენიმე ასეულს მიაღწია.[183] დამატებით, დაკავებულთა გადმოცემით, მათთვის ტელეფონებისა და პირადი ნივთების კანონსაწინააღმდეგო ჩამორთმევის მასშტაბური შემთხვევებიც იკვეთება.

სახალხო დამცველის აპარატი, საგამონაკლისო წესით, გაეცნო გაზაფხულის აქციებთან დაკავშირებით სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე ორი სისხლის სამართლის საქმის[184] გამოძიების მასალებს. საქმის მასალების გაცნობის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მიმდინარე გამოძიება არ წარმოებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების შესაბამისად. სახალხო დამცველმა, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და გენერალურ პროკურატურას კონკრეტული საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარებისა და კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე, წინადადებით მიმართა.

როგორც გაზაფხულის, ისე ზამთრის საპროტესტო აქციებთან კავშირში სახალხო დამცველის აპარატმა შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოკვეთა:

- სავარაუდო არასათანადო მოპყრობა, მათ შორის, წამება და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, როგორც გაზაფხულის, ასევე, ზამთრის აქციების მონაწილეთა მიმართ იყო სისტემური და ცალკეულ შემთხვევებში, მასშტაბური
- რამდენიმე ათეული მსხვერპლი მიუთითებს სპეცრაზმის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსგავსი, ერთნაირი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებაზე
- შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის (გდდ) თანამშრომლები არ ატარებენ რაიმე მაიდენტიფიცირებელ ნიშანს, რაც არსებითად უშლის ხელს პასუხისმგებელი პირების გამოვლენას და მნიშვნელოვნად აზიანებს გამოძიების პროცესს. რაც, თავის მხრივ, ახალისებს დაუსჯელობას
- შინაგან საქმეთა სამინისტრო, გარკვეულ შემთხვევებში, უარს ამბობს ეთანამშრომლოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს კონკრეტული პირების ამოცნობაში. ამით, გამოძიებას, ხელი ეშლება ადამიანის უფლებათა დარღვევაზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენაში
- არასათანადო მოპყრობის ჩამდენ პოლიციელთა მიმართ პასუხისმგებლობის დაყენების საკითხი იმ შემთხვევაშიც არ დამდგარა, როდესაც მათი ამოცნობა

[183] სტატისტიკა საპროტესტო აქციების მიხედვით შესაბამის ქვეთავებშია ჩაშლილი.

[184] ერთ-ერთი საქმე (ე.წ. ლეონიძის ქუჩის საქმე) არ ეხებოდა უშუალოდ აქციაზე მომხდარ დანაშაულს, თუმცა, ეხებოდა აქციების პარალელურად და შეკრების მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ არასათანადო მოპყრობას.

შესაძლებელი იყო (მაგალითად, ორ შემთხვევაში, დეპუტატ ალექსანდრე ელისაშვილის მიმართ, და ლეონიძის ქუჩაზე მომხდარი ძალადობის ფაქტების დროს, როდესაც პოლიციელებს არ ეკეთათ ნიღბები და შესაძლებელი იყო მათი სახეზე ამოცნობა)

- სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიება არ არის ეფექტიანი
- გამოძიება ეპიზოდურია და მიმდინარეობს მხოლოდ ცალკეული თანამშრომლების შესაძლო პასუხისმგებლობის გამოვლენის ირგვლივ და არ შეისწავლის მოვლენებს სისტემურად, მათ შორის ხელმძღვანელი პირების მხრიდან შესაძლო ბრძანებისა თუ მდუმარე თანხმობის გამოვლენისა და სრული სურათის აღსადგენად
- გამოძიება არ მიმდინარეობს წამების, წამების მუქარის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მუხლებით. გამოძიება როგორც გაზაფხულის, ისე ზამთრის აქციების ეპიზოდებზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების მუხლებით მიმდინარეობს, რაც სათანადოდ არ ასახავს გავრცელებული არასათანადო მოპყრობის ინტენსივობასა და სიმძიმეს
- გამოძიებამ თითქმის ვერ მოიპოვა რელევანტური ვიდეოჩანაწერები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან თუ კერძო ობიექტიდან, ასევე პოლიციელების სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერები და ე.წ. რაციების აუდიოჩანაწერები, მათ შორის, დაუსაბუთებელი ან ურთიერთგამომრიცხავი განმარტებებით
- სახელმწიფო კვლავ არათანმიმდევრულად და თვითნებურად იყენებს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 156-ე მუხლს (დევნა შეუწყნარებლობის მოტივით) და პოლიტიკური ან/და განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დევნის მსგავს შემთხვევებს სხვადასხვა მუხლით აკვალიფიცირებს
- გაზაფხულის აქციების პერიოდში აქტივისტებსა და პოლიტიკოსებზე ფიზიკურად მოძალადე სხვადასხვა ჯგუფიდან/პირიდან პასუხისგებაში მიცემული თითქმის არავინ არის. ასევე დაუსჯელები არიან ზამთრის აქციებისას ე.წ. შავნიღბიანი ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც სასტიკად დაესხნენ თავს, მათ შორის, ჟურნალისტებს
- არ არის გამოვლენილი გაზაფხულის აქციებისას მოქალაქეებზე მიმდინარე სატელეფონო მუქარების, შეურაცხყოფების სავარაუდო ორგანიზატორები და ამსრულებლები
- დაკავებულებს თვითნებურად და შაბლონურად უხანგრძლივდებათ დაკავების 24 საათი 48 საათამდე, რაც განზრახ უკანონო დაკავებაზე შეიძლება მიანიშნებდეს
- პროტესტის მონაწილეთა ოფიციალური დამკავებელი პირები არ არიან ფაქტობრივად დამკავებელი პირები, რაც პოლიციელთა მხრიდან მტკიცებულების ფალსიფიკაციაზე შეიძლება მიანიშნებდეს
- გამოკითხული დამკავებლად გაფორმებული პოლიციელები, როგორც წესი, მიუთითებენ, რომ დაინახეს კონკრეტული პირის მხრიდან სამართალდარღვევა, თუმცა, ამავე დროს, ხალხმრავლობასა და ხმაურზე მითითებით, ვერ ხედავდნენ ამავე მოქალაქეების მიმართ ჩადენილ არასათანადო მოპყრობას
- აქციების დროს სამართალდამცველების მხრიდან არაერთი ჟურნალისტი გახდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, მათ ხელს უშლიდნენ პროფესიულ საქმიანობაში

- გაზაფხულის საპროტესტო აქციების დროს მხოლოდ რამდენიმე პირი მიუთითებდა ტელეფონისა და ნივთების წართმევაზე, ხოლო ზამთრის საპროტესტო აქციების დროს ათეულობით დემონსტრანტი აღნიშნავდა მობილური ტელეფონისა და პირადი ნივთების წართმევის, ასევე, ტელეფონში არსებული ინფორმაციის შემოწმების შესახებ
- ზამთრის საპროტესტო აქციების დროს გაიზარდა იმ ქალთა რაოდენობა, რომლებიც მიუთითებდნენ სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური ძალადობის და სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ
- გამოიკვეთა სავარაუდო არასათანადო მოპყრობა არასრულწლოვნებისა და შშმ პირის მიმართ
- შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ამ დრომდე არ დაუყენებია რომელიმე პოლიციელის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მოქალაქე და დაკავებული მიუთითებდა სხვადასხვა უფლებადარღვევასა თუ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე
- აქციების მონაწილეთა მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოება მიმდინარეობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომელიც სრულად არ ითვალისწინებს სამართლიანი სასამართლოს უფლების შესაბამის გარანტიებს. უფლებრივი გარანტიების არარსებობის ფონზე, პარლამენტმა არსებითად გაამკაცრა შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელები
- ორ საქმეში, სადაც ბრალდებულები ნარკოტიკული საშუალების ე.წ. ჩადებაზე და მათ უკანონო დაკავებაზე მიუთითებენ, პოლიციას ჩხრეკა-ამოღების განხორციელების პროცესში არც კი უცდია ნეიტრალური მტკიცებულებები მოეპოვებინა
- სახალხო დამცველის აპარატისათვის გართულებულია დაკავებული პირების მოძიება და ადგილსამყოფელის დადგენა დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებამდე

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, საპროტესტო აქციების ფარგლებში გამოვლენილი უფლებადარღვევები, სპეციფიკისა და, განსაკუთრებით, მასშტაბურობის გათვალისწინებით, მრავალ ასპექტს მოიცავს. საპროტესტო აქციების კონტექსტში ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობის, თავისუფლების უფლების, საქმის სამართლიანი განხილვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევებს, რასაც წინამდებარე ქვეთავში, ქვემოთ, მოკლედ მიმოვიხილავთ.

3.5.1. არასათანადო მოპყრობა საპროტესტო აქციებზე

3.5.1.1. არასათანადო მოპყრობა გაზაფხულის აქციებზე

ფაქტობრივი გარემოებები და არასათანადო მოპყრობის ფორმები

სახალხო დამცველმა, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისგან (სსს), 2024 წლის აპრილისა და მაისის საპროტესტო აქციებზე მონაწილეთა მიმართ ჩადენილი არასათანადო

მოპყრობის ფაქტებზე დაწყებულ გამოძიების მასალებზე საგამონაკლისო წესით დაშვება მოითხოვა,[185] რაც დაკმაყოფილდა.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიება მიმდინარეობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ ცალკეული თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი შესაძლო დანაშაულის გამოვლენის მიზნით, სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას გულისხმობს.

სახალხო დამცველის შეფასებით მომხდარი სისტემური არასათანადო მოპყრობის „უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებით“ კვალიფიცირება არ ასახავს მომიტინგეთა მიმართ გამოყენებული ძალადობის ხასიათს, ინტენსივობასა და მასშტაბურობას. ძალადობის მეთოდები და ინტენსივობა, ძალადობის აშკარა მიზანი, თითქმის ყველა შემთხვევაში მიანიშნებს არაადამიანურ, დამამცირებელ და ღირსების შემლახავ მოპყრობაზე და მეტიც, რიგ ეპიზოდებში წამების ხარისხსაც აღწევს.

საქმის გაცნობის შედეგად, სახალხო დამცველმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსსა და საქართველოს გენერალურ პროკურორს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების, მოქალაქის დაზარალებულად ცნობის და კვალიფიკაციის შეცვლის შესახებ დეტალური წინადადებით მიმართა.[186]

გამოძიების მასალების მიხედვით, იკვეთება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ძალადობის ფორმები, მეთოდები მათი გამოვლენის ხერხები, მსხვერპლებში იწვევდა ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილსა თუ მორალურ ტანჯვას, რაც თითქმის ყველა შემთხვევაში, წარმოადგენდა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ხოლო რამდენიმე პირის მიმართ, აქციებში მონაწილეობის გამო მათი დასჯის მიზნით ჩადენილი ძალადობა თავისი ინტენსივობის, ხასიათის, ხანგრძლივობის გათვალისწინებით, სისასტიკის ხარისხით წამებას უტოლდებოდა. მაგალითისთვის, ერთ-ერთ შემთხვევაში, მსხვერპლის მიმართ ხანგრძლივი სასტიკი ძალადობის გარდა, მისივე გადმოცემით, ადგილი ჰქონდა გდდ-ს წევრების მხრიდან მოხრჩობის გზით მკვლელობის მცდელობის იმიტაციას. აუტანელ ტკივილს თან ახლდა უმწეობის შეგრძნება, დამცირების განცდა და მძიმე სულიერი ტანჯვა. მოცემულ ეტაპზე არსებული საქმის მასალებით, აპარატისთვის შესაძლებელი გახდა წამების თვალსაჩინო და აშკარა რამდენიმე შემთხვევის გამოკვეთა.

მომიტინგეთა გამოკითხვების ოქმების მიხედვით, მათ მიმართ შავნიღბიანი სპეცრაზმელების მიერ არასათანადო მოპყრობას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ დაკავების დროს, არამედ დაკავების შემდეგაც - ე.წ. ცოცხალ დერეფანსა და მანქანებში. ისინი დაკავებულებს ურტყამდნენ ხელებს, ფეხებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელკეტებს. არის

[185] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატი უფლებამოსილია მხოლოდ იმ საქმის მასალებს გაეცნოს, რომელზეც დამდგარი განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული.
[186] სახალხო დამცველის 2025 წლის 7 მარტის №25/1903 წინადადება.

ჩვენება აირწინაღისა და ფარის განზრახ დარტყმის თაობაზე. ურტყამდნენ ხელებაწეულ და ძირს დაცემულ/დაგდებულ ადამიანებსაც, რომლებიც არანაირ წინააღმდეგობას არ უწევდნენ პოლიციას. ძალადობა გრძელდებოდა რამდენიმე წამიდან - რამდენიმე წუთამდე დროის პერიოდში. დარტყმები იყო რამდენიმედან რამდენიმე ათეულამდე (40-50 დარტყმა), ძალადობდნენ ძირითადად ჯგუფურად, რამდენიმე სპეცრაზმელი ერთდროულად. დაკავებულებს თავის არეში ურტყამდნენ იმდენად ძლიერად, რომ რამდენიმემ გონება დაკარგა და ტვინის შერყევა მიიღო, რამდენიმე პირს ჰქონდა სისხლდენაც. დაკავებულთა ჩვენებების მიხედვით, გარდა ფიზიკური ძალადობისა, პარალელურად აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას უკიდურესად დამამცირებელი და დისკრიმინაციული ლექსიკით, რაც დაკავებულებისთვის მორალურად და ემოციურად მძიმე იყო.

დაკავებულებზე ძალადობა გამოძიების მასალებში არსებულ ვიდეოჩანაწერებშიც[187] იკვეთება. ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში ჩანს ოპოზიციონერ პოლიტიკოსზე ძალადობა ათამდე სპეცრაზმელის მხრიდან. კადრების თანახმად, ერთ-ერთ სპეცრაზმელს დაჭერილი აქვს მისი მარჯვენა ხელი, ხოლო მეორე სპეცრაზმელი მარცხენა ხელს უჭერს და უწევს მაღლა, რათა ვერ შეძლოს თავის დაცვა. შემდეგ ძირს დაგდებულს წიხლებს ურტყამენ სახეში და სხეულის სხვა ნაწილებზე. სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, ამ პოლიტიკოსს, სხვა დაზიანებებთან ერთად, აღენიშნებოდა თვალბუდის ფსკერისა და ცხვირის ძვლების მოტეხილობა.

დაკავებული არასრუწლოვნებიც მიუთითებენ მათ მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ. არის ქალების ჩვენებები მათ მიმართ ძალადობის თაობაზე. საპროტესტო აქციაზე მყოფი სასულიერო პირები ასევე მიუთითებენ წიწაკის სპრეის სახეში შესხმასა (ასახულია ტელევიზიით გასულ კადრებშიც) და 3-4-ჯერ ფეხის დარტყმაზე.

ამასთანავე, იკვეთება პოლიციელების მხრიდან დაკავებული კაცის მიმართ გაუპატიურების მუქარაზე მითითება.

რაც შეეხება აქციაზე მყოფ ჟურნალისტებს, ისინიც დაექვემდებარნენ ზემოაღნიშნული ფორმების გამოყენებით მსგავს ფიზიკურ ძალადობას, მიუხედავად იმისა, რომ იდენტიფიცირებადნი იყვნენ როგორც ჟურნალისტები, რომლებიც პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდნენ. ჟურნალისტების ჩვენებით, შავნიღბიანი პოლიციელები ხელიდან ართმევდნენ ტექნიკას, რომლითაც იღებდნენ მიმდინარე მოვლენებს, დამიზნებით ასხურებდნენ წიწაკის სპრეის ყოველგვარი გაფრთხილების, მითითების და საჭიროების გარეშე.

დაკავებული პირების სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, დაკავებულ პირებს დაზიანებები აღენიშნებოდათ სისხლნაჟღენთების, ჰიპერემიების სახით სხეულის

[187] ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმები.

სხვადასხვა არეში, მათ შორის, იკვეთება ცხვირის ძვლების, თვალბუდის ფსკერის, ყვრიმალისა და ზედა ყბის ძვლების მოტეხილობა, თავის ტვინის შერყევა, გულმკერდის ტრავმა, ქალა-სარქველის ოსტეომა და სხვ.

სრული სურათის აღდგენის საჭიროება და ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობა

როგორც უკვე აღინიშნა, გამოძიება არ არის ორიენტირებული აქციების დაშლის საპოლიციო ღონისძიების ფარგლებში არასათანადო მოპყრობის ათეულობით და დროში განგრძობადი ფაქტების სრული სურათის დადგენაზე, არამედ ინდივიდუალურ და კონკრეტულ ფაქტებზე კონცენტრირდება.

სახალხო დამცველის პოზიციით, გამოძიება უნდა წარიმართოს ზედმიწევნით და სრულყოფილად: საჭიროა დადგინდეს შეკრების უსაფრთხოების სამოქმედო გეგმით[188] გაწერილი გარემოებები, ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები, შეკრების დაშლის, სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების, აქციის დაშლისას სამინისტროს თითოეული თანამშრომლის (ხელმძღვანელი პირებიდან რიგითამდე) მოქმედების სრული სურათი (დროისა და ადგილის განსაზღვრით), არასათანადო მოპყრობის შესაძლო ორგანიზების, წაქეზების, ბრძანების/მითითების გაცემის, მდუმარე თანხმობის, ამსრულებლობის, თანამონაწილეობის და დახმარების ფორმით ჩამდენი პირების გამოვლენის და შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი პროცედურული ვალდებულების შესასრულებლად აუცილებლად მიიჩნევს: შემოწმდეს, იყო თუ არა საპოლიციო ღონისძიება/ოპერაცია სათანადოდ რეგულირებული და ორგანიზებული ისე, რომ მინიმუმამდე დაეყვანა ადამიანისთვის სერიოზული ზიანის მიყენების რისკი;[189] აქციის დაშლის მთლიანი სურათის დადგენისა და მოვლენების სისტემური ანალიზის ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში, 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლის საქმეზეც.[190]

---

[188] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №1002, მუხ. 5. და 8. ხსენებული დანაწესის თანახმად, შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლის დროს სპეციალური ღონისძიებების ჩატარების უსაფრთხოების სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს გდდ, სამინისტროს შესაბამის დანაყოფებთან კოორდინაციით და ამტკიცებს მინისტრი (ან მის მიერ უფლებამოსილი პირი), განისაზღვრება ღონისძიების ხელმძღვანელი, ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირი; განსაზღვრულია შეკრების დაშლისას, სპეციალური საშუალებების (წიწაკის სპრეი, რეზინის ტყვია და ცრემლსადენი გაზი) გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი პირი. ხოლო სპეციალური საშუალების გამოყენების მართლზომიერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება გადაწყვეტილების მიმღებ პირს.

[189] Muradova v. Azerbaijan, საჩივარი №22684/05 02.04.2009 წ. პარა. 113-114.

[190] Tsaava v. Georgia, საჩივარი №13186/20, 07.05.2024 წ. პარა. 221.

ზემდგომი თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ბრძანება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არასათანადო მოპყრობის გასამართლებლად.[191] უკანონო ბრძანების შესრულებაზე ანალოგიურ დებულებებს იცნობს ქართული კანონმდებლობაც.[192]

ამასთანავე, სახელმწიფო თანამდებობის პირის უმოქმედობა იწვევს პასუხიმგებლობას მის დაქვემდებარებაში მყოფი სამართალდამცველების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ქმედებების ხშირი შემთხვევების აღსაკვეთად სათანადო ზომების გამოუყენებლობის გამო. თანამდებობის პირების მიერ გატარებული ღონისძიება უნდა იყოს იმ მასშტაბის, რაც საკმარისია ამ ქმედებების გამეორების დასასრულებლად ან ამგვარი სისტემის შესაწყვეტად.[193]

გამოძიებამ ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ გდდ-ს თანამშრომლებს არ ჰქონდათ/აქვთ მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ტარების ვალდებულება. საგულისხმოა, რომ მაიდენტიფიცირებელი ნიშნების ტარების ვალდებულების დაწესება და შემდეგ მისი პრაქტიკაში აღსრულება არ მოითხოვს რაიმე განსაკუთრებულ რესურსს და ნების შემთხვევაში მისი პრაქტიკაში გატარებაც ზედმეტი ძალისხმევის გარეშე შეიძლება. ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა ისეთ შემთხვევებში, როცა ვერ მოხერხდა სპეციალიზებული ნიღბიანი პოლიციელების იდენტიფიცირება მასობრივი პროტესტის კონტექსტში. განმასხვავებელი ნიშნები უზრუნველყოფდა შემდგომში მათ ამოცნობასა და დაკითხვას ჩატარებულ ოპერაციასთან დაკავშირებით.[194] მსგავსი პრობლემა აღნიშნა ევროპულმა სასამართლომ საქართველოში, 2019 წლის 20-21 ივნისს შეკრების დაშლისას მოქმედი შსს-ს გდდ-ს წევრების საიდენტიფიკაციო ნიშნების არარსებობის გამოც.[195]

აქციის დაშლისას შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მოქმედების დასადგენად საჭიროა გამოიკითხოს სამინისტროს ხელმძღვანელი პირები, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსი და გდდ-ს წევრები; დაესვათ კონკრეტული და დეტალური შეკითხვები, როდის, რომელ ლოკაციაზე და რა ამოცანით იყვნენ განთავსებულები; რა ქმედებები განახორციელეს უშუალოდ მათ, მათ დაქვემდებარებაში არსებულმა დანაყოფებმა და საპოლიციო ღონისძიებისას რა კონკრეტული მობილური ტელეფონის ნომრით და მობილური აპლიკაციით სარგებლობდა თითოეული მათგანი, რათა შემდგომში შემხვედრი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შედეგად შესაძლებელი იყოს ხსენებული მოწყობილობებიდან საქმისთვის შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება.

[191] გაეროს „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია“, მუხლი 2, პუნქტი 3.
[192] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 48.
[193] Georgia v. Russia, საჩივარი №13255/07, 03.07.2014 წ. პარა. 124.
[194] Hentschel and Stark v. Germany, საჩივარი №47274/15, 09.11.2017 წ. პარა. 91; İzci v. Turkey, საჩივარი №42606/05, 23.07.2013 წ. პარა. 68-69.
[195] Tsaava v. Georgia, საჩივარი №13186/20, 07.05.2024 წ. პარა. 223.

საქმის შესწავლის შედეგად გამოვლენილი ზემოხსენებული ხარვეზების გამო გამოძიება ვერ პასუხობს კონვენციის მე-3 მუხლით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების პროცედურულ ასპექტს და ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს.

ვიდეოჩანაწერების პრობლემა

სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოძიებამ ვერ მოიპოვა გამოძიებისთვის საინტერესო პერიოდის ამსახველი უმეტესი ვიდეო-აუდიო ჩანაწერი (მათ შორის, ხელის რადიოსადგურების ჩამწერები/ე.წ. რაციები), ვერც სახელმწიფო უწყებებიდან და ვერც პარლამენტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული კერძო ობიექტებიდან, სხვადასხვა მიზეზზე, მათ შორის ურთიერთგამომრიცხავ მიზეზებზე მითითებით.

მაგალითად, ერთ-ერთმა საჯარო დაწესებულებამ სამი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას. კერძოდ, თავდაპირველად განმარტეს, რომ გამოძიებისთვის საინტერესო ვიდეომასალა ინახებოდა 30 დღის ვადით, მოგვიანებით აცნობეს, რომ ვიდეოკამერები არ აქვთ და, შესაბამისად, არც ვიდეოჩანაწერები ინახება, ხოლო მესამედ განმარტეს, რომ გამოძიებისთვის საინტერესო ლოკაციაზე ვიდეოკამერები აქვთ დამონტაჟებული, თუმცა ხარვეზის გამო ჩაწერა არ მიმდინარეობდა.

სუს-ის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წერილის თანახმად, საგამოძიებო ორგანოს მიერ მოთხოვნილი ხელის რადიოსადგურების გამოყენებით გადაცემული შეტყობინებების ჩანაწერები (2024 წლის 15 აპრილიდან - 15 მაისამდე ჩანაწერები) სააგენტოში არ ინახება, რადგან ამღ პერიოდში სისტემა ხარვეზებით ფუნქციონირებდა და არ იწერდა ხელის რადიოსადგურების გამოყენებით გადაცემულ კომუნიკაციას.

ანალოგიური პრობლემა გამოიკვეთა პოლიციელების სამხრე კამერების ვიდეოჩანაწერების მოპოვების დროსაც. კერძოდ, გამოკითხული პოლიციელები მიუთითებენ ვიდეოჩანაწერების არარსებობის სხვადასხვა მიზეზზე (ტექნიკური ხარვეზი, თან არქონა, დაუჯდა, გაუფუჭდა და სხვ.).[196]

იმ ფონზე, როდესაც ვიდეოჩანაწერების მოპოვება სისტემატურად ვერ ხდება ობიექტებისგან სხვადასხვა მიზეზზე მითითებით და იმ პირობებში, როდესაც ვიდეოჩანაწერები წარმოადგენს მაღალი სანდოობისა და სარწმუნოობის მქონე ნეიტრალურ მტკიცებულებას, გამოძიება არ უნდა დასჯერდეს შაბლონურ პასუხებს, მით უმეტეს, საჯარო უწყებების მხრიდან და გადადგას ქმედითი ნაბიჯები, თუნდაც იმის

[196] სახალხო დამცველის მრავალწლიანი რეკომენდაციაა პოლიციელებისთვის სავალდებულო იყოს საპოლიციო ღონისძიებისას სამხრე ვიდეოკამერის გამოყენება. ასევე, 2022 წელს სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, სადაც მიუთითებს, რომ პატრულ-პოლიციელის დისკრეცია, რომლის მიხედვითაც, შეუძლია, არ გამოიყენოს სამხრე კამერა, როდესაც შედის მოქალაქესთან ურთიერთობაში, არღვევს ადამიანის კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებას, დაცული იყოს წამებისა და არასათანადო მოპყრობისაგან, და, ამგვარად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. < https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14806 >

გამოსავლენად, რომ არ მდება ვიდეოჩანაწერების გამიზნულად განადგურება, დამალვა ან სხვა არაკეთილსინდისიერი ხერხებით ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.

სპეციალური საშუალებების გამოყენება (წიწაკი სპრეი, ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები)

საგულისხმოა, რომ რამდენიმე მოქალაქე მიუთითებდა (ცრემლსადენი გაზის გარდა) რეზინის ტყვიების სროლის თაობაზე. ერთ-ერთი მათგანის თქმით, კლინიკაში გაუკეთეს ოპერაცია. სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, პაციენტს ჰქონდა ლოყისა და საფეთქელ-ქვედაყბის ღია ჭრილობა, რბილ ქსოვილებში დარჩენილი იყო უცხო სხეული, რომლის მოსაცილებლად ჩატარდა ოპერაცია. საგამოძიებო ორგანომ კლინიკიდან რეზინის ტყვია ამოიღო.[197] სხვა მოქალაქე კი აცხადებდა, რომ რეზინის ტყვიამ გაიარა აირწინაღში და მოხვდა წარბის არეში. გარდა ამისა, რეზინის ტყვიების მოხვედრაზე მიუთითებდა კიდევ ორი მოქალაქე. ერთ-ერთი - ჩაფხუტსა და ფეხის თითზე (ფეხსაცმელიც გაუხვრიტა); ხოლო მეორე - ჩანთაზე (ჩანთა დაზიანდა), ასევე, ხორცი ამოგლეჯილი ჰქონდა და სასწრაფომ დაუმუშავა.

საგულისხმოა, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა წერილობით მიმართა[198] შინაგან საქმეთა სამინისტროს და გამოითხოვა ინფორმაცია 1-2 მაისს გამოყენებული სპეციალური საშუალებების შესახებ. კერძოდ, რომელი სპეციალური საშუალებები გამოიყენეს და რომელმა დანაყოფებმა. იყო თუ არა რეზინის ტყვიები გამოყენებული, ვინ მიიღო გადაწყვეტილება, ვის დაევალა და რა გახდა რეზინის ტყვიების გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველი.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით ეცნობა,[199] რომ 1-2 მაისს გამოყენებული იყო წყალსატყორცნი, ცრემლსადენი გაზი და ხელის სპრეი (წიწაკის შემცველობით). ხოლო შეკითხვა რეზინის ტყვიებისა და დანაყოფების შესახებ უპასუხოდ დატოვა.

დეპუტატის დაკავება და არასათანადო მოპყრობა

2024 წლის 17 აპრილს საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას ადმინისტრაციული წესით დააკავეს პარლამენტის იმჟამად მოქმედი წევრი ალექსანდრე ელისაშვილი.[200] დაკავებისას ალექსანდრე ელისაშვილზე ფიზიკურად იძალადეს და ამ ფაქტის ამსახველი ვიდეოკადრები მედიასაშუალებებით საჯაროდაც გავრცელდა.

---

[197] 2024 წლის 12 ივნისის ამოღების ოქმი.
[198] 9 მაისის წერილი.
[199] 18 ივნისის წერილი.
[200] შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს აცნობა,[200] რომ ალექსანდრე ელისაშვილი 2024 წლის 17 აპრილს დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით.

ალექსანდრე ელისაშვილზე ძალადობის კადრებში გამოკვეთილი პირების ვიდეოკადრებიდან ამოჭრილი ფოტოსურათებით სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ თანამშრომლების ამოცნობის მიზნით მიმართა.[201] თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ კითხვაზე არ უპასუხია. [202]

ალექსანდრე ელისაშვილი დაკავების მომენტისათვის იყო საქართველოს პარლამენტის მოქმედი წევრი, ის დააკავეს ადმინისტრაციული წესით და, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია პარლამენტის თანხმობის გარეშე დეპუტატის დაკავების ერთადერთ საგამონაკლისო შემთხვევას (დანაშაულზე წასწრებას).

გარდა ამისა, განსახილველ საქმეში, დამკავებელ პირებად გაფორმებული პოლიციელები გამოკითხვის დროს აღიარებდნენ, რომ ისინი უშუალო დამკავებლები არ იყვნენ და მიუთითებენ, რომ ადგილზე არსებული აურზაურისა და ჩოჩქოლის გამო, ზუსტად ვერ დაინახეს, უშუალოდ ვინ დააკავა ალექსანდრე ელისაშვილი. მათი თქმით, წინ მდგომ პოლიციელებს სთხოვეს მისი დაკავება, თუმცა ეს ოქმში არ მიუთითებიათ. ასევე, საეჭვო გარემოებას ქმნის ის ფაქტი, რომ ეს ორი პოლიციელი მიუთითებს ალექსანდრე ელისაშვილის მხრიდან უწმაწურ ჟესტიკულაციაზე, რომელიც ხალხის სიმრავლისა და არეულობის მიუხედავად შეამჩნიეს, თუმცა არცერთს არ დაუნახავს მის მიმართ ჩადენილი ძალადობა, როგორც თავად ამბობენ, აგრეთვე ხალხის სიმრავლისა და არეულობის გამო.

სახალხო დამცველის აპარატმა წინადადებით მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და გენერალურ პროკურატურას და კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისკენ მოუწოდა. ასევე აღნიშნა, რომ პოლიციელების მხრიდან, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას ისევე, როგორც განზრახ უკანონო დაკავებას.

ლეონიძის ქუჩაზე მომხდარი ძალადობა

2024 წლის 10 მაისს მასობრივი მედიის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია ი. წ.-ს მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი ძალადობის თაობაზე. ეს ეპიზოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ გავრცელებულ ვიდეოკადრებში ასახულ ძალადობაში მონაწილე ერთ-ერთი პოლიციელი სახით ჩანდა და მისი ამოცნობა შესაძლებელი იყო.[203] სახალხო დამცველის აპარატმა დაუყოვნებლივ მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში ასახული ძალადობის შემთხვევაზე განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, ხოლო მოგვიანებით სახალხო დამცველმა მოცემულ სისხლის სამართლის საქმის მასალებზე საგამონაკლისო წვდომა ითხოვა, რაც სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ამ შემთხვევაშიც დააკმაყოფილა.

[201] 2024 წლის 15 მაისის წერილი.
[202] 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით.
[203] სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ლეონიძის ქუჩაზე მომხდარ ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო, რადიო თავისუფლება, 11,05,2024, < https://www.radiotavisupleba.ge/a/32942057.html > [27.03.2025].

გამოძიების ფარგლებში, სსს-მა შსს-ს ვიდეოკადრებში ასახული პოლიციის თანამშრომლის ვინაობისა და ზუსტი სამუშაო ადგილის, პოზიციისა და თანამდებობის დადგენის მიზნით მიმართა, სამინისტროს ეს ინფორმაცია საგამოძიებო ორგანოსათვის არ მიუწოდებია. ამასთანავე, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და გენერალურ პროკურატურას არც სხვა გზებისთვის მიუმართავს პოლიციელის ვინაობის დასადგენად. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღინიშნა, ი. წ.-ზე ძალადობა ცალსახად დასტურდებოდა, ი. წ. საქმის ფარგლებში დაზარალებულად არ იყო ცნობილი, ხოლო გამოძიება უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებით მიმდინარეობდა.

ამ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში აშკარა იყო, რომ ი. წ.-ს მიმართ არ ყოფილა გამოყენებული რაიმე ლეგიტიმური ძალა, რომელსაც შემდგომ „გადამეტება" მოჰყვა. ი. წ.-ს მიმართ არ ხორციელდებოდა რაიმე იძულების ღონისძიება, არ ხდებოდა მისი დაკავება ან განრიდება. ამდენად, მის მიმართ ადგილი არ ჰქონია უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას, არამედ, ადგილი ჰქონდა თვითნებურ ძალადობას, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შემადგენლობას ქმნის.

ამგვარად, სახალხო დამცველმა, საგამოძიებო სამსახურისა და პროკურატურის მიმართ გაცემულ წინადადებაში[204] მიუთითა, რომ ხსენებული არასათანადო მოპყრობის ეპიზოდის სწორად კვალიფიკაციისათვის, მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი და კვალიფიკაცია მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3-ე მუხლით, რაც დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს და შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლის ირგვლივ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას. წინადადების შედეგად, პროკურატურამ ი. წ. საქმეზე დაზარალებულად ცნო, მაგრამ საქმის კვალიფიკაცია არ შეცვალა, და მიუთითა, რომ „ამ ეტაპზე არ არსებობს კვალიფიკაციის შეცვლის საჭიროება".[205]

ზოგადად, სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, აგრეთვე გამოძიების არსებით სირთულებთანაა დაკავშირებული, პირველ რიგში, იმის გამო, რომ სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირები, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურად არაიდენტიფიცირებადნი არიან სამსახურებრივი ფორმის (მათ შორის, ნიღბის), აგრეთვე, მაიდენტიფიცირებელი ნიშნების არარსებობის პირობებში. თუმცა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც არასათანადო მოპყრობა არაერთ ვიდეოკადრშია აღბეჭდილი, სავარაუდო დამნაშავე კი ფიზიკურად იდენტიფიცირებადია, გამოძიებას ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება, მიიღოს ყველა გონივრული ზომა პასუხისმგებლობის გამოსაკვეთად, მსხვერპლის უფლებების აღსადგენად, საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ თანამშრომლებში სავარაუდოდ არსებული ან პოტენციურად გავრცელებადი დაუსჯელობის გარანტიის აღმოსაფხვრელად.


[204] სახალხო დამცველის 2025 წლის 7 მარტის №25/1903 წინადადება.
[205] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 5 იანვრის №13/18 წერილი.

წინაალმდეგ შემთხვევაში, ისეთ ვითარებაშიც კი, როდესაც ხალხმრავალ ადგილას, მრავალი მოწმისა და ვიდეოკამერების თანდასწრებით ჩადენილ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტს არ ახლავს შემხვედრი მყისიერი ზომები და საგამოძიებო მოქმედებები, ხოლო გამოძიებას შედეგად არ მოჰყვება პასუხისმგებელი პირების გამოვლენა, არა მხოლოდ განსაკუთრებულად საზიანო გავლენას ახდენს საგამოძიებო ორგანოს მიმართ საზოგადოებრივ ნდობაზე, არამედ, დამატებით აძლიერებს კიდეც ძალოვანი სტრუქტურების რიგებში დაუსჯელობის რწმენას და თვითნებობისა და მომავალი უკანონო ქმედებებისათვის მეტ შესაძლებლობას იძლევა.

3.5.1.2. არასათანადო მოპყრობა ზამთრის აქციებზე

ფაქტობრივი გაემოებები და არასათანადო მოპყრობის ფორმები

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის თანახმად, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 3-4 დეკემბრის ღამის ჩათვლით და 6-7 დეკემბრის ღამეს მშვიდობიანი საპროტესტო აქციების უკანონო დაშლისას, ასევე, 2025 წლის 2 თებერვალს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრების მხრიდან სავარაუდო წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას დაექვემდებარა თითქმის ყველა დაკავებული.



საგულისხმოა, რომ 2024 წლის გაზაფხულის აქციებზე დაკავებულთა მიმართ მოპყრობის მეთოდები და ხერხები შემოდგომა-ზამთრის აქციების დროსაც განმეორდა, თუმცა ამჯერად გდდ-ს მხრიდან არასათანადო მოპყრობას ჰქონდა უფრო სისტემური და მასშტაბური ხასიათი. მათ შორის, აგრესიით გამოირჩეოდნენ ჟურნალისტების მიმართ.

სპეცრაზმი არასათანადო მოპყრობის განხორციელებას არ ერიდებოდა საჯაროდ და მეტიც - მასმედიის და ვიდეოკამერების წინაშე არაერთი სასტიკი მოპყრობის ფაქტი იკვეთება.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 4 და 5 დეკემბერს და ასევე, 7 დეკემბრის შემდეგ პერიოდში, როცა აქციები არ დაუშლიათ, მოქალაქეებს აკავებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფების წარმომადგენლები და, შესაბამისად, 5 და 6 დეკემბერს, ასევე, 7 დეკემბრის შემდეგ პერიოდში აპარატის წარმომადგენლების მიერ მონახულებული პირები არასათანადო მოპყრობაზეც შედარებით იშვიათად მიუთითებდნენ.

სახალხო დამცველი აქციების მიმდინარეობისას საჯარო განცხადებებით არაერთხელ გამოეხმაურა არასათანადო მოპყრობის ფაქტებს, შეშფოთება გამოთქვა პოლიციის მხრიდან გამოყენებული ძალადობრივი ქმედებების მეთოდებსა და ფორმებზე, გავრცელებულ ფაქტობრივი დაუსჯელობის გარანტიაზე, საგანგებოდ მიუთითა მაიდენტიფიცირებელი ნიშნების აუცილებლობაზე, გამოძიების სწორი კვალიფიკაციით წარმართვის საჭიროებაზე და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და პროკურატურას ეფექტიანი გამოძიების ჩატარების და ყველა დამნაშავის გამოვლენისა და დასჯისკენ მოუწოდა.

არასათანადო მოპყრობის, რომელიც მოიცავს წამებას, წამების მუქარას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, სისტემურობაზე მეტყველებს რამდენიმე გარემოება: რამდენიმე ათეული მსხვერპლი, რომელიც მათ მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის მსგავს მეთოდებზე, ხერხებსა და ფორმებზე მიუთითებს. მათი მონათხრობიდან იკვეთება გდდ-ს ქმედებებისთვის დამახასიათებელი ერთგვაროვანი ხელწერა. კერძოდ, დაკავებულები აღნიშნავდნენ დაკავებისას ძირს დაგდებას (მათ შორის, დარტყმით), დაგდებულის/წაქცეულის წრეში მოქცევა და დერეფნებში გატარება, რა დროსაც ჯგუფურად, ხელებით და ფეხებით მრავალჯერად დარტყმებს აყენებდნენ და მიკროავტობუსები, სადაც გრძელდებოდა სასტიკი ძალადობა, მიზანმიმართული დაზიანებების მიყენება სახისა და თავის არეში, რაც, ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლებს ვიზუალურადაც ემჩნეოდათ. ეს გარემოებები შეიძლება მიუთითებდეს, რომ არასათანადო მოპყრობის ერთნაირი მეთოდები წინასწარ იყო შემუშავებული.

სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაცია

დაკავებულების გადმოცემით, არასათანადო მოპყრობას ჩადიოდნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრები (მათ მოიხსენიებდნენ სპეცრაზმელებად, რობოკოპებად, შავნიღბიანებად და ა.შ.), თუმცა, საჩივრები შემოსულია არასათანადო მოპყრობაზე სამინისტროს სხვა დანაყოფების მხრიდანაც.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მონახულებული დაკავებულებისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად: გდდ-ს წევრები მათ ურტყამდნენ ჯგუფურად, მათ შორის, 3-15 პირის ჩათვლით და ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ურტყამდნენ წიხლებს, ხელებს, ფეხებს, მუშტებს, ხელკეტებს, ფარს, ჩაფხუტს სხეულის სხვადასხვა არეში; დაკავებულებს დაზიანებები თვალხილულად ძირითადად თავისა და სახის არეში აღენიშნებოდათ. დაკავებულები აღნიშნავდნენ დამცირების მიზნით ფეხის საჯდომის არეში ამორტყმის

შესახებ. რამდენიმე დაკავებულმა კაცმა გდდ-ს წევრების მხრიდან ხელკეტით გაუპატიურების მუქარის შესახებ მიუთითა.

დაკავებულების განმარტების მიხედვით, გდდ-ს მწკრივებად განლაგებული წევრებისგან მოწყობილი იყო ერთგვარი „დერეფანი“, სადაც ატარებდნენ დაკავებულებს და სპეცრაზმელები ჯგუფურად ძალადობდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ; გდდ-ს წევრები დაკავებულებს ფიზიკურად ჯგუფურად და სასტიკად უსწორდებოდნენ მიკროავტობუსებშიც: ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს. მიკროავტობუსში ყოველი ახალი დაკავებულის შეყვანისას ყველას ცემდნენ და ეს რამდენჯერმე მეორდებოდა; რამდენიმე დაკავებული აღნიშნავს, რომ მიკროავტობუსში შეასხეს წიწაკის სპრეი და კარი დაუხურეს.

გამოიკვეთა შემთხვევები, როცა მომიტინგეები მიუთითებდნენ ახლო ნათესავების ერთმანეთის წინ ცემის შესახებ; ძალადობის სასტიკი ფორმების გამოყენებაზე მიუთითებენ პოლიტიკური მოტივითაც; რამდენიმე პირი მიუთითებდა საყურის ყურიდან ჩამოგლეჯის შესახებ.

2025 წლის 2 თებერვლის აქციაზე დაკავებულები მიუთითებდნენ, რომ გდდ-ს ხელმძღვანელმა დაიწყო მოქალაქეთა გინება, ხოლო სპეცრაზმმა - დაკავებები. ერთ-ერთი პირი აცხადებდა, რომ ხსენებული პირი სპეცრაზმელებს აძლევდა მითითებებს ეცემათ დაკავებულები; არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა შშმ პირი, რომელსაც ვიზუალურადაც აღენიშნებოდა დაზიანებები.

რაც შეეხება შსს სხვა დანაყოფების მხრიდან ჩადენილ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებს: სისხლის სამართლის წესით დაკავებულებიდან ერთი ბრალდებული მიუთითებდა პოლიციის განყოფილებაში ფიზიკური ძალადობის შესახებ;

ადმინისტრაციული წესით დაკავებული 3 პირი მიუთითებდა პოლიციის განყოფილების შენობაში, შესასვლელ სივრცეში, 10-მდე ადამიანის თანდასწრებით სრულად გაშიშვლებაზე და ბუქნების გაკეთებაზე, რაც დამამცირებელი იყო; ერთი პირი მიუთითებდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შენობაში გინებაზე, სთხოვდნენ ტელეფონის კოდის მოხსნას, თავში ურტყამდნენ ტელეფონს და ლაზერს.

ბათუმში დაკავებულები მიუთითებდნენ პოლიციის უფროსის მხრიდან სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე, ქალი დაკავებული მიუთითებდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და პოლიციის უფროსის მხრიდან შეფურთხებაზე. არასრულწლოვანი გოგონა მიუთითებდა, რომ პოლიციელმა თმებით მოქაჩა და უხეში ფორმით დააკავეს. თბილისში დაკავებული ქალები ასევე საუბრობდნენ პოლიციის მხრიდან ძალადობის თაობაზე; ქალები ასევე მიუთითებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, დამცინავ და ცინიკურ მოპყრობაზე. სხვა დაკავებული ქალის თქმით, თმაში ჩაავლეს ხელი და ისე შეათრიეს. საგულისხმოა, რომ აქციის რამდენიმე ასეული მონაწილე ადმინისტრაციული წესით პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის (ასევე, წვრილმანი ხულიგნობის) საბაბით დააკავეს. შესაბამისად, მათი მხრიდან პოლიციისთვის ფიზიკური

წინააღმდეგობა[206] თეორიულადაც გამოირიცხება და სწორედ ამიტომ მათ მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენების საფუძველი ჰიპოთეტურადაც კი არ არსებობდა.

ვიზუალურად შესამჩნევი დაზიანებები და სპეციალური საშუალებები

დროებითი მოთავსების იზოლატორში (დმი) განთავსებულ დაკავებულებს და კლინიკაში მონახულებულ მომიტინგეებს აღენიშნებოდათ მრავლობითი დაზიანებები, განსაკუთრებით, სახის და თავის არეში. არაერთი დაკავებულის ტანსაცმელი ძალადობის შედეგად სისხლიანი იყო. ერთ-ერთ პირს სახის ძვლის მოტეხილობის გამო ჩაუტარდა ოპერაცია. გამოითქვა თხოვნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების თაობაზე, თუმცა მოქალაქის მტკიცებით, არ გამოუძახებიათ.

სახალხო დამცველის რწმუნებული კლინიკაში ვერ გაესაუბრა 2 პირს, რადგან ექიმის განმარტებით, მათივე ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, არ იყო რეკომენდებული პაციენტებთან გასაუბრება, ხოლო ერთი პირი ისეთ სტრესში იყო, გამართულად ვერ საუბრობდა. სხვადასხვა დროს, კლინიკაში მონახულებული პირებიდან, ერთ-ერთი დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებოდა, თავი და სახე ჰქონდა შეხვეული და ეტლში იჯდა, ქვედა კიდურებს ვერ ამოძრავებდა. ასევე, 21 წლის ბიჭს ჩაუტარდა ოპერაცია მრავლობითი დაზიანებით, პაციენტი არ იყო კონტაქტური და რამდენიმე დღე ხელოვნურ კომაში იმყოფებოდა. ფიზიკური ძალადობის გარდა, აქციების დაშლისას შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებდა აქტიურ სპეციალურ საშუალებებს, მათ შორის, წიწაკის სპრეის, არალეტალურ იარაღს - ცრემლსადენ გაზის კაფსულებს, წყლის ჭავლს.

სახალხო დამცველის აპარატმა,[207] შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართა. მათ შორის, აპარატი დაინტერესდა, რა სახისა და რა ოდენობის სპეციალური საშუალებების (ცრემლსადენი გაზი, ე.წ. წიწაკის სპრეი, არალეტალური იარაღი, ე.წ. რეზინის ტყვიები და სხვ.) გამოყენებას ითვალისწინებდა უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა; რამდენმა თანამშრომელმა, რა დროს, რა ლოკაციაზე, რა სახეობის და რაოდენობის სპეციალური საშუალება გამოიყენა; გაიარა თუ არა შემოწმება/ექსპერტიზა კონკრეტულმა სპეციალურმა საშუალებამ, რა გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე; რა სახის და ტიპის ქიმიური ნივთიერებები გამოიყენეს და რა პროპორციით და სხვ. აპარატს ეს ინფორმაცია დღემდე არ მიუღია.

საჯარო წყაროებით გავრცელებული ინფორმაცია და ვიდეომასალა

საჯაროდ გავრცელებულ კადრებში ჩანს არაერთი არასათანადო მოპყრობის ფაქტი, ასევე, არაერთმა პირმა, მათ შორის ქალებმა, მიუთითა სპეცრაზმის მხრიდან ძალადობის შესახებ მაგალითად:

[206] პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია.
[207] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 6 დეკემბრის №2024/6973 და 2025 წლის 26 თებერვლის №25/1616 წერილები.

- ვიდეოჩანაწერში ასახულია სისასტიკე, სადაც ძირს დაგდებულ ახალგაზრდა ბიჭს ჯერ ერთმა სპეცრაზმელმა ამოარტყა სახეში ქუსლი, ხოლო შემდეგ მეორემ დაარტყა ფეხი სახის არეში;[208]
- ვიდეო ჩანაწერში ასევე ასახულია ფაქტი, თუ როგორ დაუნდობლად უსწორდებიან სამართალდამცველების ცოცხალ დერეფანში პოეტ ზვიად რატიანს, რომელსაც ჯგუფურად აყენებენ მრავალჯერად დარტყმებს, მათ შორის, თავის არეში და მთელ პერიმეტრზე გადაადგილებისას მის მიმართ ძალადობა გრძელდება;[209]
- არაერთ ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ აგდებენ ძირს მომიტინგეებს და ჯგუფურად ძალადობენ მათზე;[210] ასევე, არაერთი მოქალაქე მიუთითებს მის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე;[211]
- ერთ-ერთ ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ რამდენიმე პირს ხელმძღვანელთან მიჰყავს დაკავებული, რომლის მიმართულებით გდდ-ს ხელმძღვანელი იქნევს ფეხს და მისი მოძრაობის ტრაექტორიიდან და დაკავებულამდე მცირე მანძილის გათვალისწინებით, რჩება მკაფიო შთაბეჭდილება, რომ დაკავებულს ურტყამს ფეხს სახის ან სხეულის არეში.[212]

გამოძიება

კანონმდებლობის შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი არასათანადო მოპყრობის თაობაზე საგამოძიებო ორგანოს ატყობინებს მხოლოდ პირის თანხმობის[213] საფუძველზე. სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას არაერთმა პირმა მიუთითა არასათანადო მოპყრობის შესახებ, თუმცა არ ისურვა სამართლებრივი რეაგირება. მათ საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინებაზე უარის მიზეზად დაასახელეს გამოძიებისადმი უნდობლობა; ასევე, აცხადებდნენ, რომ ნიღბიანი დამნაშავეების ამოცნობას ვერ

---

[208] იხ. შესაბამისი ვიდეო ჩანაწერები განთავსებული ონლაინ პლატფორმაზე: <https://www.youtube.com/shorts/8wEwR4rR3rQ> <https://www.facebook.com/share/v/19oSsMTXks/> [31.03.2025]

[209] დაკავებისას ნაცემ ზვიად რატიანს 8-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა სასამართლომ, რადიო თავისუფლება, 02.12.2024 <https://www.radiotavisupleba.ge/a/33224078.html> [31.03.2024]. იხ. შესაბამისი ვიდეო ჩანაწერი განთავსებული ონლაინ პლატფორმაზე: <https://www.youtube.com/shorts/4O6gU2wnr6E> [31.03.2025]

[210] მაგალითისთვის იხ. შესაბამისი ვიდეო ჩანაწერი განთავსებული ონლაინ პლატფორმებზე: <https://www.facebook.com/share/v/1AwE7GpKmk/> <https://www.instagram.com/reel/DDINxIXIS2C/?> <https://www.instagram.com/reel/DDIfQGQCerH/?> <https://www.facebook.com/share/v/19cditNStT/> <https://www.facebook.com/share/v/1EJscp8mpH/> <https://www.facebook.com/share/v/14TaPubAMu/> <https://www.facebook.com/share/v/15SDBHEsgk/> <https://www.facebook.com/share/v/15jAJ4s6M5/> [31.03.2025]

[211] „კედელზე მიმანარცხა და მერე თავში მირტყა“ - სალომე ზანდუკელის ცემის ამბავი, რადიო თავისუფლება, 02.12.2024. < https://www.radiotavisupleba.ge/a/33223836.html> მაგალითისთვის იხ. შესაბამისი ვიდეო ჩანაწერი განთავსებული ონლაინ პლატფორმებზე: <https://www.facebook.com/share/p/14dk5nGaMz/> < https://www.youtube.com/watch?v=HPTs2wPI7Lg> <https://www.facebook.com/share/p/19p3w3EAPQ/ > <https://www.facebook.com/share/p/1AkdW9eKM5/> < https://www.facebook.com/watch/?v=495065682900768 > [31.03.2025]

[212] მაგალითისთვის იხ. შესაბამისი ვიდეო ჩანაწერი განთავსებული ონლაინ პლატფორმებზე: <https://www.youtube.com/watch?v=cqAC8781qoM> <https://www.youtube.com/shorts/AyVswzXGbto> [12.03.2025].

[213] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 20, პუნქტი 2.

შეძლებდნენ და, შესაბამისად, აზრს ვერ ხედავდნენ. რამდენიმე პირმა შურისძიების შიშიც ახსენა.

გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როცა დაკავებულები პრეტენზიას არ აცხადებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ არ ახსოვდათ სად და როდის მიიღეს დაზიანება. ცალკე გამოვყოფთ ერთ-ერთ დაკავებულს, რომელსაც სახეზე ფაქტობრივად არ ჰქონია დაუზიანებელი , ცხვირიც გახეთქილი ჰქონდა, თუმცა აცხადებდა, რომ დაზიანებები დაცემის შედეგად მიიღო.

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლების ყველა ზემოაღნიშნული განცხადება ცალსახად ადასტურებს, რომ საგამოძიებო ორგანოსთვის მიმართვის სურვილის არქონას უმეტესწილად განაპირობებს წინარე პერიოდში განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტიანი გამოძიება და სამართალდამცავების დაუსჯელობის დამკვიდრებული პრაქტიკა.

სამწუხაროდ, ზამთრის აქციების დროს ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზეც, გაზაფხულის აქციების მსგავსად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური გამოძიებას აწარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაციით, მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველების მხრიდან ათეულობით ადამიანის - აქციის მონაწილეებისა და დაკავებულების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები თავისი ძალადობის ხასიათით, ხარისხით და ინტენსივობით არ არის მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტება და აშკარად მიუთითებს, რომ მსხვერპლების მიმართ ადგილი ჰქონდა სავარაუდო წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ქმედებებს. სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას გამორიცხავს და არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებს მსხვერპლების ჩვენებებსა და არაერთ შემთხვევაში - ადასტურებს მასმედიით გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებში ასახული დანაშაულებრივი ფაქტები, როგორიცაა დაკავებულების შეთრევა სპეცრაზმელების დერეფანში, სადაც მათ ხელებისა და ფეხების მრავალჯერადი დარტყმებით, ჯგუფურად ფიზიკურად უსწორდებოდნენ რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე პერიოდში; ასევე, ფიზიკური ძალადობა, რომელიც ჩვენებების თანახმად გრძელდებოდა პოლიციის მინივენებშიც, იმავე მეთოდებით. საგულისხმოა, რომ არასათანადო მოპყრობის უშუალო განზრახვაზე ცალსახად მიუთითებს მსხვერპლებისთვის თავის და სახის არეში გამიზნულად მიყენებული დაზიანებებიც.

ხსენებულ ფაქტებზე სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმით გამოძიების დაწყება და წარმოება ვერ შეფასდება ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ვალდებულების შესრულებად.[214] უშუალოდ შეკრება-მანიფესტაციების კონტექსტში,

[214] წამებასა და არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას შორის არსებულ განსხვავებაზე დეტალური მსჯელობა იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში; ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი".

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად აფასებს სამართალდამცველების მიერ დემონსტრანტებისთვის ხელკეტების დარტყმებს, ასევე, მათ მიმართ ცრემლსადენი გაზის გამოყენებას;[215] პოლიციის მხრიდან მომიტინგეების მიმართ არააუცილებელი ძალის მიზანმიმართული გამოყენება დემონსტრაციებში მონაწილეობის გამო, მათ შორის, დარტყმები რეზინის და/ან პლასტმასის ხელკეტებით საჯაროდ, წარმოადგენდა არასათანადო მოპყრობას, ხოლო რამდენიმე მომჩივნის შემთხვევაში უთანაბრდებოდა წამებას.[216]

ამდენად, იკვეთება, რომ 2024 გაზაფხულსა და ზამთარში, მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა, დაკავებულთა და ჟურნალისტების მიმართ სამართალდამცველების მხრიდან ადგილი ჰქონდა სავარაუდო არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ხოლო რამდენიმე ადამიანის მიმართ არასათანადო მოპყრობის სისასტიკის ხარისხი მათი დასჯის მიზნით ჩადენილ სავარაუდო წამებას უთანაბრდება. შესაბამისად, საჭირო და აუცილებელია გამოძიების სწორი კვალიფიკაციით - სსკ-ის 144^1, 144^2 და 144^3 მუხლებით წარმართვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია სხვა პოლიციელების უმოქმედობით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიებაც. პოლიციელები აქციებზე განლაგებულები იყვნენ გდდ-ს მწკრივის უკან, ხედავდნენ და ესმოდათ რამდენიმე მეტრის დაშორებით მყოფი პირის მხრიდან სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლინება, მათი დავალებით/თხოვნით და მათ თვალწინ აკავებდნენ მოქალაქეებს, დერეფანში ატარებდნენ, მანქანაში სვამდნენ, თუმცა ვერცერთი მათგანი ვერ ხედავდა დაკავებულების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. ამის საპირისპიროდ, მსხვერპლების ჩვენებებით, მათ ფიზიკურად სასტიკად უსწორდებოდნენ. დაკავებულების ჩვენებებს ადასტურებს სამედიცინო დოკუმენტებში მითითებული დაზიანებების კვალი და მასმედიით გავრცელებულ კადრებში ასახული მოქალაქეებზე სპეცრაზმის მხრიდან განხორციელებული ძალადობის არაერთი ფაქტი. ამდენად, ხსენებული პოლიციელები უმოქმედობით მონაწილეობდნენ არასათანადო მოპყრობაში და არ აღკვეთდნენ დანაშაულს, მიუხედავად იმისა, რომ ევალებოდათ და შეეძლოთ კიდეც აღეკვეთათ.

პოლიციელთა უმოქმედობა იკვეთებოდა ასევე რიგ შემთხვევებში სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებში, სადაც ჩანს, რომ მოქალაქეები საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს კონკრეტულ ნიღბიან პირებზე უთითებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ეს პირები მოქალაქეებს ცემდნენ და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. თუმცა ამას საპატრულო პოლიციის თანამშრომლების შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

ისევე, როგორც 2024 წლის გაზაფხულის აქციების გამოძიების პროცესში, შემოდგომა-ზამთრის აქციების დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების პროცესშიც, აუცილებელია გამოძიებამ დაადგინოს საპროტესტო აქციის დაშლის მთლიანი სურათი, გადაწყვეტილების მიმღები და ამსრულებელი პირები, სამინისტროს ხელმძღვანელებიდან

[215] İzci v. Turkey, საჩივარი №42606/05 23.07.2013 წ. პარა. 7-8, 75.
[216] Shmorgunov and others v. Ukraine, საჩივარი №15367/14, 21.01.2021, პარა. 364-374, 392-396, 418-422, 429-433.

- რიგით თანამშრომლებამდე, თითოეული მათგანის როლი და ფუნქცია დანაშაულში. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოძიება ეფექტიანად ვერ ჩაითვლება.

ჟურნალისტები

2024 წლის შემოდგომა-ზამთრის აქციების დროს სამართალდამცველების განსაკუთრებული აგრესიის მსხვერპლები, აქციის მონაწილეებთან ერთად, გახდნენ ჟურნალისტები. ჟურნალისტების მიმართ ადგილი ჰქონდა როგორც არასათანადო მოპყრობას, ასევე, მათ პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას.

2024 წლის შემოდგომა-ზამთრის აქციების მიმდინარეობისას, სხვადასხვა დროს მასმედიით გავრცელდა ინფორმაცია და ვიდეოჩანაწერები ჟურნალისტებისა და ოპერატორების მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელების, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების, საქმიანობაში ხელშეშლისა და ტექნიკის დაზიანების თაობაზე; ასევე, დაშავების შესახებ, მათ შორის, ცრემლსადენი გაზის გამოყენებით.

აქციების დროს, სამწუხაროდ, არაერთი ჟურნალისტი თუ მედიის წარმომადგენელი დაშავდა, რამდენიმე მათგანს სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურება დასჭირდა, მათ ფიზიკურ უსაფრთხოებას და სიცოცხლეს შეექმნა საფრთხე.

აქციების დაშლის პირველივე დღეს გდდ-ს წევრის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა ჟურნალისტი გურამ როგავა, რომელსაც პირდაპირ ეთერში მუშაობის დროს თავს დაესხა სპეცრაზმელი.

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა განმარტა, რომ მოულოდნელად, სრულიად უსაფუძვლოდ დააკავეს ნიღბიანმა პოლიციის თანამშრომლებმა. მისი თქმით, დაკავების დროს, ძირს დააგდო დაახლოებით, ათზე მეტმა სამართალდამცველმა, რომლებიც ურტყამდნენ ხელებს და ფეხებს სახისა და სხეულის სხვადასხვა არეში. მას აღენიშნებოდა დაზიანებები სხვადასხვა არეში. გავრცელებული ინფორმაციით, ჩადენილი ძალადობის შედეგად, მას ცხვირი ოპერაცია დასჭირდა. გარდა ამისა, პირდაპირი რეპორტაჟის დროს, დაშავდა ჟურნალისტი მარიამ გაფრინდაშვილი, რის გამოც საჭირო გახდა მისი კლინიკაში გადაყვანა.[217]

საჭიროა ყველა ამ შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება და შესაბამისი პირების პასუხისგებაში მიცემა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჟურნალისტების საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.[218] სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ არცერთ დანაშაულებრივ ფაქტზე გამოვლენილი და დასჯილი არ არის შესაბამისი დამნაშავე.

[217] მაგალითისთვის იხ. შესაბამისი ვიდეო ჩანაწერი განთავსებული ონლაინ პლატფორმებზე: <https://www.facebook.com/share/v/1GXc4gYThr/> < https://www.facebook.com/share/v/1GXc4gYThr/ > [12.03.2025].

[218] იხ. სახალხო დამცველის ბრიფინგი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, 10.12.2024. < https://shorturl.at/HemKc > [12.03.2025]

3.5.2. 2024 წლის გაზაფხულის აქციების პარალელურად გამოვლენილი ინდივიდუალური და განმეორებადი დანაშაულებრივი ქმედებები

პოლიტიკური და მოსაზრების ნიშნით დევნა

2024 წლის გაზაფხულის აქციების პარალელურად მასობრივი მედიის საშუალებებით რეგულარულად ვრცელდებოდა ინფორმაცია უცნობი პირების მიერ პოლიტიკურად აქტიური პირებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ ჯგუფური თავდასხმების თაობაზე.

მათ შორის, იყო ცნობილი პედაგოგი ლადო აფხაზავა, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალაქ ლანჩხუთში რამდენიმე ადამიანი თავს დაესხა და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. ამავე ინფორმაციით, თავდასხმა უკავშირდებოდა მის მიერ საჯაროდ გამოთქმულ პოზიციას „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით და მის მონაწილეობას საპროტესტო აქციებში. ამ ფაქტზე გამოძიება შსს-მ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1^1 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ ძალადობას გულისხმობს. გამოძიების ფარგლებში ორი პირი დაზარალებულად არის ცნობილი, ერთი პირის მიმართ კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.[219] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ დაუწყია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით, რაც შეუწყნარებლობის მოტივით, ძალადობით დევნას გულისხმობს.

საპირწონედ, გასათვალისწინებელია, რომ ალექსანდრე ელისაშვილს ბრალი სწორედ სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში წარედგინა, რაც ადამიანის სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ძალადობის ან ძალადობის მუქარით დევნას გულისხმობს.

გაუგებარია, ერთ შემთხვევაში მსხვერპლის ჩვენებით აღწერილი სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელიც მის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული, რა მიზეზით აღმოჩნდა საკმარისი პოლიტიკური ნიშნით დევნად კვალიფიკაციისათვის მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში ქმედება მხოლოდ ძალადობით დაკვალიფიცირდა და შეუწყნარებლობის ნიშანი, ამგვარად, გამოირიცხა.

სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების შესწავლის შედეგად, სადაც განმცხადებლები მიუთითებდნენ მათ მიმართ განხორციელებულ დევნასა და შეურაცხყოფებზე, რომელიც უკავშირდებოდა მათ პროფესიულ, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მოღვაწეობას, სახალხო დამცველმა გამოავლინა სახელმწიფოს ბუნდოვანი და, შეიძლება ითქვას, თვითნებური მიდგომა.

[219] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 მაისის №13/32005 წერილი.

სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით,[220] მნიშვნელოვანია, სახელმწიფო არ ტოვებდეს ლეგიტიმურ პასუხგაუცემელ კითხვებს სპეციალური მუხლის - სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით.

სატელეფონო მუქარები

2024 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების კვალდაკვალ, საპროტესტო აქციების მონაწილეებსა და აქტივისტებს უცნობი ნომრებიდან მასობრივად ურეკავდნენ, რასაც თან ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის განცხადებით,[221] მოქალაქეების მიმართ უცხო ნომრებიდან ხშირი დარეკვის, სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებისა და შესაძლო მუქარის შემთხვევები ატარებდა წინასწარ განსაზღვრულ და ორგანიზებულ ხასიათს. განცხადების თანახმად, სამსახურმა ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული ყველა განცხადება და შეტყობინება რეაგირებისა და გამოძიების დაწყების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს პროკურატურას გადაუგზავნა.

სახალხო დამცველის აპარატს პროკურატურის წერილით ეცნობა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიმართვა, საქართველოს პროკურატურიდან შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქმეზე დაზარალებულად და ბრალდებულად ცნობილი კი არავინ იყო.[222]

3.5.3. 2024 წლი ზამთრის აქციების პარალელურად გამოვლენილი ინდივიდუალური და განმეორებადი დანაშაულებრივი ქმედებები

მოძალადე ჯგუფების თავდასხმები

მასმედიით არაერთი ინფორმაცია გავრცელდა კერძო პირების მიმართ მოძალადე ჯგუფების მხრიდან ჩადენილი ძალადობის თაობაზე. მათ შორის, ერთ-ერთი შემთხვევა იყო ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძეზე და მის ოპერატორ გიორგი შეწირულზე სასტიკი თავდასხმა.[223] გარდა ამისა, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ვიდეოკადრებში ჩანს,

---

[220] დეტალური ინფორმაცია იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[221] განცხადება მოქალაქეებთან სატელეფონო ზარების განხორციელების შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 24.05.2024 < https://shorturl.at/meLPv > [31.03.2025]

[222] 2025 წლის 25 თებერვლის №13/11484 წერილი.

[223] "შაბათის ეთერის" ჟურნალისტს, მაკა ჩიხლაძეს ტიტუშკები თავს დაესხნენ - მძიმედ დაშავდა ოპერატორი, TV პირველი, 07.12.2024 < https://shorturl.at/4lfMC > იხილეთ შესაბამისი ვიდეო ჩანაწერები ონლაინ პლატფორმაზე: <https://www.facebook.com/share/v/15bpnD88ne/> <https://www.facebook.com/share/v/17oabroN8Q/> [31.03.2025 წ.].

რომ, შესაძლოა, ნიღბებიან და ე.წ. შაოსან დაჯგუფებასთან მიმდებარე ლოკაციაზე იყვნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები,[224] თუმცა მაკა ჩიხლაძის განცხადებით, მათ შემთხვევის ადგილი რეაგირების გარეშე დატოვეს.[225]

სხვა შემთხვევაში, პოლიცია შეესწრო ნიღბიანი პირის მხრიდან მუქარის ფაქტს, დაინახა, რომ ერთ-ერთს ხელში ეჭირა ხელკეტი, თუმცა ნაცვლად დაკავებისა ან შეჩერებისა, კადრში ჩანს, რომ პოლიციის თანამშრომელი ნელი სვლით გაჰყვა მითითებულ პირებს და შემდეგ უკან დაბრუნდა.[226] სხვა ვიდეოჩანაწერის აღწერაშიც მითითებულია, რომ ცისფერ გალერეასთან აქციის გაშუქებისას, „პუბლიკას“ ჟურნალისტს ფიზიკურად გაუსწორდნენ, პოლიციამ კი მოძალადე არ დააკავა.[227]

სიტყვიერი შეურაცხყოფა და სხვა უფლებადარღვევები

ფიზიკური ძალადობის გარდა, დაკავებულები მიუთითებდნენ სამართალდამცველების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ. მომიტინგეების მიმართ გინებით, უცენზურო და შეურაცხმყოფელი სიტყვებით გამოხატული ვერბალური აგრესია დასტურდება სატელევიზიო პირდაპირი ეთერით გავრცელებულ ვიდეო/აუდიო მასალაშიც.[228]

დამატებით, საჯაროდ გავრცელდა ქალების განცხადებები და ვიდეოჩანაწერები, სადაც სამართალდამცველები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ ქალებს, დამამცირებელ მიმართვებს და სიტყვებს იყენებენ მათი მისამართით.[229] 1 ქალი ასევე საუბრობდა პოლიციელების მხრიდან სექსუალური შევიწროების შესახებ.[230] საჯაროდ ისაუბრა დაკავებულმა ქალმა პოლიციის მხრიდან სექსუალური შინაარსის სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე.[231]

ტელეფონები შემოწმება და პირადი ნივთების წართმევა

დაკავებულები მიუთითებდნენ, რომ 2024 წლის შემოდგომა-ზამთრის აქციების დროს, გდდ-ს წევრები მათი კუთვნილი მობილური ტელეფონებისა და სხვა პირადი ნივთების ჩამორთმევა/წართმევას და პირადი ინფორმაციის დათვალიერება/შემოწმებას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და პროცედურის გარეშე ახორციელებდნენ.

---

[224] იხ. შესაბამისი ვიდეო ონლაინ პლატფორმაზე: < https://shorturl.at/0BwNo > [12.03.2025].

[225] "შაბათის ეთერის" ჟურნალისტს, მაკა ჩიხლაძეს ტიტუშკები თავს დაესხნენ - მძიმედ დაშავდა ოპერატორი, TV პირველი, 07.12.2024 < https://shorturl.at/4lfMC > [31.03.2025]

[226] იხ. შესაბამისი ვიდეო ონლაინ პლატფორმაზე: < https://www.facebook.com/share/v/1B85E8kzAH/ > [9.12.2024].

[227] იხ. შესაბამისი ვიდეო ონლაინ პლატფორმებზე: < https://www.facebook.com/share/v/1APKPeoo3B/ > [9.12.2024].

[228] იხ. შესაბამისი ვიდეო ონლაინ პლატფორმებზე: < https://www.facebook.com/watch/?v=27589165020731888 > <https://www.youtube.com/watch?v=o0C11ZfiZqs>

[229] "ტინდერის ასლარიანო ბოზებო", - პოლიციელების უხამსობა და ძალადობა ქალ დემონსტრანტებზე, რადიო თავისუფლება, [07.02.2025] <https://www.radiotavisupleba.ge/a/33306780.html>

[230] იხ. შესაბამისი ვიდეო ონლაინ პლატფორმებზე: <https://www.youtube.com/watch?v=uTRn9myonLU> [31.03.2025]

[231] ბეა გაზდელიანი: განყოფილებაში მეუბნებოდნენ, შენზე ვიცით, სტრიპტიზს რომ ცეკვავ ჩახდილიო, პუბლიკა, 10.12.2024. < https://shorturl.at/0rQv7 > [31.03.2025]

საგულისხმოა, რომ ამგვარ პრაქტიკაზე გაზაფხულის აქციების დროს რამდენიმე ადამიანი მიუთითებდა, ხოლო ზამთრის აქციების დროს დაკავებულთა მხრიდან ნივთების ჩამორთმევის თაობაზე პრეტენზიამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

სახალხო დამცველის აპარატმა,[232] ყველა შემთხვევაში, სადაც დაკავებულები რეაგირების სურვილს გამოთქვამდნენ, მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩამორთმეული ნივთების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად. თუმცა სამინისტროს აპარატისთვის პასუხი, ერთი შეთხვევის გარდა, ჯერაც არ მოუწოდებია.[233]

უნდა აღინიშნოს, რომ გდდ-ს თანამშრომლებს არ აქვთ უფლებამოსილება ჩაატარონ საგამოძიებო მოქმედებები,[234] მათ შორის, არც ნივთების ამოღება და არც ინფორმაციის გამოთხოვა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით,[235] ნივთების ამოღება დასაშვებია სასამართლოს განჩინებით ან, გადაუდებელი აუცილებლობისას, გამომძიებლის დადგენილებით (შემდგომი სასამართლო კონტროლით).

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფების პოლიციელების მხრიდან ტელეფონების იძულებით გახსნის, ასევე, პაროლის მოთხოვნის და ინფორმაციის დათვალიერებისა და ხმოვანი შეტყობინებების მოსმენის თაობაზე მიუთითებდნენ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით დაკავებულებიც. სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატისთვის დღემდე არ მოუწოდებია ინფორმაცია დაკავებულებისთვის ნივთების, მათ შორის, მობილური ტელეფონების ჩამორთმევის საფუძვლების თაობაზე. ამასთანავე, სამართალდამცველების მიერ დაკავებულებისთვის ტელეფონებისა და პირადი ნივთების წართმევა/ჩამორთმევისა და ტელეფონებსა და კომპიუტერულ მოწყობილობებში არსებული ინფორმაციის შემოწმება/დათვალიერების თაობაზე დაკავებულთა მიერ გადმოცემული ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის (ძარცვა/ყაჩაღობა), ისე, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის და პერსონალური მონაცემების ხელყოფის (სსკ-ის 157-157[1] მუხლები) დანაშაულის ნიშნებს, თუკი დადგინდება, რომ ხსენებული ქმედებები სამართლებრივი საფუძვლის გარეშე განხორციელდა.

---

[232] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 დეკემბრის №2024/7028 და №2024/7070, 2024 წლის 10 დეკემბრის №7090 და №2024/7118, 2024 წლის 11 დეკემბრის №2024/7157, №2024/7158 და №2024/7162, 2024 წლის 12 დეკემბრის №7207, 2024 წლის 17 დეკემბრის №2024/7322 და №2024/7323, 2024 წლის 19 დეკემბრის №2024/7411, 2024 წლის 20 დეკემბრის №2024/7455, 2025 წლის 17 იანვრის №25/388 წერილები.

[233] მოცემულ საქმეში, ადვოკატი განმარტავდა, რომ დაკავებულს ჩამოართვეს პირადი ნივთები: ნიღაბი, ხელთათმანი, ტყავის საფულე, ფულადი თანხა, ცალი პლასტიკური ბარათები, მართვის მოწმობა, პირადობის მოწმობა, მაჯის საათი, მიკროფონი, სამაჯურები, ჯვრები, მობილური ტელეფონები, ხოლო დმი-დან გათავისუფლების შემდეგ არ დაუბრუნეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ეს ნივთები სასამართლოს განჩინების საფუძველზე ამოღებულია და ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, რომლის გამოძიება ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მონაწილეობის სავარაუდო ფაქტზე მიმდინარეობს.

[234] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის №30 ბრძანება.

[235] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლ. 111-112, 119-120, 136.

3.5.4. თავისუფლების უფლება

უკანონო დაკავება გაზაფხულის აქციებზე

2024 წლის აპრილსა და მაისში ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს, დაუსაბუთებლად, 48 საათამდე გაუგრძელეს ადმინისტრაციული დაკავების ვადა.[236] 24 საათის გასვლამდე პოლიციამ დმი-ის გაუგზავნა შაბლობური წერილები, სადაც მითითებული იყო, რომ საქმეზე მიმდინარეობს მტკიცებულებების მოპოვება და მიზანშეწონილია დაკავების ვადის კიდევ 24 საათით გაგრძელება. ბევრ წერილში დაკავებულთა სახელი და გვარიც კი არ ეწერა და მხოლოდ პირადი ნომრები იყო მითითებული.

მოცემულ შემთხვევებში, როდესაც პირი დაკავებული, იდენტიფიცირებული და შემთხვევის ადგილს ფიზიკურად განრიდებულია, ადმინისტრაციულად დაკავებულის სახით იზოლატორში გატარებული აქვს 24 საათი, გაუგებარია, რას ემსახურება დამატებით 24 საათის განმავლობაში დაკავების ვადის გახანგრძლივება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ქმედებებში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები (განზრახ უკანონო დაკავება), რისი გამოძიების საჭიროებაზეც სახალხო დამცველმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და გენერალური პროკურატურისთვის გაგზავნილ წინადადებაში მიუთითა.

უსაფუძვლო დაკავებები ზამთრის აქციებზე

სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა დაკავებულთა გადმოცემულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, მათ აკავებდნენ გდდ-ს თანამშრომლები, შემდეგ დაკავებულებს გადასცემდნენ სხვა თანამშრომლებს, რომლებსაც ასევე არ ჰქონიათ სპეციალური ამოსაცნობი ნიშნები, რის შემდეგაც მათ გადასცემდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს. საპატრულო პოლიციას ისინი გადაჰყავდა პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც იწყებოდა მათი ადმინისტრაციული წესით დაკავების შესახებ დოკუმენტაციის შედგენა. დაკავებულთა ნაწილის განცხადებით, დამკავებლები უთითებდნენ მცდარ მონაცემებს, კერძოდ კი, იმ პოლიციელებს, რომელთაც ისინი უშუალოდ არ დაუკავებიათ. სახალხო დამცველის აპარატი წლებია მიუთითებს საპროტესტო აქციაზე მოქალაქეთა დაკავებისას ამ სახის მავნე პრაქტიკაზე, რაც ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების უხეში დარღვევაა და სასამართლოების შეცდომაში შეყვანის საფუძველს ქმნის.[237]

[236] დაკავების ვადა 48 საათამდე, საქმის მასალების მიხედვით, მინიმუმ, 70 პირს გაუხანგრძლივდა.
[237] სახალხო დამცველის რწმუნებულებმა აქციაზე დაკავებულები მოინახულეს, 29.11.2024 < https://shorturl.at/q8xU4 > [ბოლოს ნანახია: 12.03.2025 წ.].

ასევე, სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ათეულობით მოქალაქის დაკავების კანონიერი საფუძვლები არ არსებობდა.[238]

გამოკითხვაზე „გადაყვანა" და დაცვის უფლება

მასმედიით და სოციალური ქსელებით ვრცელდებოდა ინფორმაცია და ვიდეოჩანაწერები,[239] საიდანაც ირკვევა, რომ პოლიციელებს მოქალაქეები „გადაყავდათ გამოკითხვაზე". გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც სოციალურ ქსელებისა თუ მედიასაშუალებებით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ადვოკატებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა დასწრებოდნენ ჩხრეკის პროცედურებს და მათ არ უშვებენ პოლიციის განყოფილებებში გადაყვანილ მოქალაქეებთან/დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან.

საპროცესო კანონმდებლობით, გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და მოწმეს ეკისრება მხოლოდ სასამართლოში დასაკითხად გამოცხადების ვალდებულება. კანონმდებლობა პირის „გამოსაკითხად გადაყვანის" შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. ამგვარი ქმედება წარმოადგენს უკანონო დაკავებას, რადგან ასეთ ვითარებაში მოქალაქეებს ეზღუდებათ მიმოსვლის თავისუფლება და იმყოფებიან პოლიციის ექსკლუზიური უფლებამოსილების ქვეშ. დაკავება კი - დასაშვებია სასამართლოს განჩინებით ან კანონით მკაფიოდ განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში.

ამასთანავე, აუცილებელია, სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური გარანტიის - დაცვის უფლების შესაბამისად, მოქალაქეებს მიეცეთ ადვოკატთან დაუყოვნებლივი და კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა. დაუშვებელია დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელებისთვის ხელის შემშლელი შეზღუდვების დაწესება.

3.5.5. საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი და გამკაცრებული სახდელები

მრავალი წელია, სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის მიმართ გასცემს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, როგორც არასრულყოფილი ნორმატიული აქტის შეცვლის, ახალი კოდექსის შემუშავებისა და მიღების აუცილებლობის თაობაზე რეკომენდაციას.[240] სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაცია დღემდე შეუსრულებელია. პირიქით, საკანონმდებლო ორგანომ 2024 წლის დეკემბერსა და 2025 წლის თებერვალში, გაამკაცრა სახდელები: ჯარიმა 5000-6000, ხოლო რიგ შემთხვევებში 10 000 ლარამდე გაიზარდა და ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 60

[238] დეტალური ინფორმაცია იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[239] მაგალითად, იხ. შესაბამისი ვიდეო ჩანაწერი ონლაინ პლატფორმაზე: <https://www.facebook.com/watch/?mibextid=wwXlfr&v=866571169017747 > [31.03.2025]

[240] იხ. 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 281; 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 404; 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 469; 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 117; 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 109; 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 161; 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 147; 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 118; 2022 წლის ანგარიში, გვ. 131; 2023 წლის ანგარიში, გვ. 130.

დღემდე გახანგრძლივდა იმ ფონზე, როცა კანონი სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს სრულად არ ითვალისწინებს.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, ეუთო/ოდირმა ამ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით კრიტიკული დასკვნა გამოაქვეყნა და მიუთითა მათ შეუსაბამობაზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან. დასკვნის თანახმად, არაპროპორციული სანქციები, შესაძლოა, თავისთავად იყოს საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს მშვიდობიანი შეკრების უფლების დარღვევა. მკაცრი ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სანქციები უნდა იყოს გაუქმებული ან არსებითად შეცვლილი.[241]

მტკიცებულებათა სავარაუდო ფალსიფიკაცია ადმინიტრაციულ საქმეზე

როგორც უკვე აღინიშნა, დამკავებელი პირი, თითქმის ყველა შემთხვევაში, არის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი, ხოლო დაკავების ოქმების შემდგენი პირები, როგორც წესი, არიან საპატრულო პოლიციის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა და უკონტაქტო პატრულირების სამმართველოს ტურისტული უსაფრთხოების სამმართველო ინსპექტორები. შესაბამისად, რეალურად დამკავებელი პირები და ოქმში დამკავებლად გაფორმებული პირები სხვადასხვა პოლიციელები არიან. საგულისხმოა, რომ ჩვენებებში არც პოლიციელები უარყოფენ ამ გარემოებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლი ითვალისწინებს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის მონაწილის ან მისი წარმომადგენლის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაციას მოცემულ შემთხვევებში, იკვეთება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან მტკიცებულების, ანუ დაკავების ოქმის, შესაძლო ფალსიფიკაციის ნიშნები ოქმებში მათ მიერ არასწორი ინფორმაციის და მონაცემების შეტანის გამო. ამგვარად, სახალხო დამცველმა წინადადებაში მიუთითა, რომ გამოძიება ამ მუხლით უნდა დაიწყოს.[242]

ნეიტრალური მტკიცებულებების პრობლემა სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების საქმეებში

ორი სისხლის სამართლის საქმის მასალების (რომელიც ჯამში მოიცავს 50 ტომზე მეტს) შესწავლამ გამოკვეთა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დამკვიდრებული მავნე პრაქტიკა. კერძოდ, პირადი ჩხრეკა ჩატარდა ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნისა და მისი მოპოვების მცდელობის გარეშე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის პასუხისგებაში მიცემისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეებზე პირებს ბრალი

[241] იხ. ეუთო/ოდირმა შეკრებებისა და მანიფესტაციების კანონში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით დასკვნა გამოაქვეყნა, 17.03.2024. < https://shorturl.at/yjbul > [31.03.2025]
[242] საქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის 7 მარტის № 25/1903 წინადადება.

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობის დროს ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის აქვთ წაყენებული. გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდება ეყრდნობა მხოლოდ დამკავებელი პოლიციელების ჩვენებასა და პოლიციელების მიერ ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმს.

განხილული საქმეების შედეგების საფუძველზე სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ორი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით (Amicus Curiae) მიმართა.[243]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე
- გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ნუსხა და მხოლოდ სამსახურის ძირითადი მანდატის შესაბამისი დანაშაულები დარჩეთ ქვემდებარეობაში (სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა ნუსხიდან ამოღებულ იქნას სსკ-ის 153-159, 162-163 და 164 [4]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები)
- 2024 წელს შევიდეს ცვლილება პენიტენციური კოდექსის 94-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ზ" ქვეპუნქტში და განისაზღვროს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად არანაკლებ 2 საათისა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება და სტაციონარში მოთავსების თაობაზე ინფორმირებული თანხმობა და მკურნალობის თაობაზე ინფორმირებული თანხმობა მკაფიოდ გაიმიჯნოს
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებით უზრუნველყოს უსაფრთხოების მიზნით ექიმის მიერ პაციენტის უფლებების შეზღუდვის მკაფიო პროცედურა სამართლებრივი დაცვის გარანტიების არსებობის პირობებში (განისაზღვროს, თითოეული უფლების შეზღუდვა რა კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში დაიშვება, რა ვადით დაიშვება თითოეული უფლების შეზღუდვა და როგორ შეიძლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება)
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს, რომ პაციენტის მიმართ იძულებითი სწრაფი ტრანკვილიზებისას, უნდა გავრცელდეს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლში (პაციენტის მიმართ შეზღუდვის გამოყენება) მოცემული მოთხოვნები და გარანტიები

[243] 2025 წლის 24 თებერვლის №25/1549 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით მკაფიოდ განისაზღვროს ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში დაწესებულებების მიერ სავალდებულოდ გასატარებელი ღონისძიებები და პაციენტის მკურნალობის სამართლებრივი საფუძვლის გადასინჯვის პროცედურები და, მათი დაუცველობის შემთხვევაში, შესაბამისი სანქცია
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ, ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების ვალდებულება, რათა დაწესებულებებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები
- სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად, მოქალაქეთა საჩივრების გამჭვირვალედ და სამართლიანად განსახილველად, დაიწყოს მსჯელობა გენერალური ინსპექციების სიღრმისეულ რეფორმაზე, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურებრივ გადაცდომებზე სისტემის შიდა სამსახურებრივი შემოწმების შედეგების გადამოწმებას გარე ეფექტიანი მექანიზმით, სასამართლოს კონტროლის მეშვეობით.
- მიიღოს ახალი, ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უწყებრივი საგამოძიებო ქვემდებარეობა გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიებაზე.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს პატიმრების რაოდენობის შემცირებას და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის N R (99) 22 რეკომენდაციები ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, გენერალური დირექტორის მიერ მომზადებული PC-CP (2015) 6 rev 7 დოკუმენტი ციხის გადატვირთულობის შესახებ
- გაკეთდეს სისტემური ანალიზი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომდევნო 10 წლის განმავლობაში, ფსიქიატრიულ სტაციონარულ საწოლებზე სავარაუდო მოთხოვნის თაობაზე და შემუშავდეს კონკრეტული გეგმა,

რომელიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა ლოკაციაზე სათანადო ფსიქიატრიული დახმარების მიწოდებაზე, მათ შორის, ამბულატორიული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის შესაძლებლობაზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2025 წელს, უზრუნველყოს №2 და №8 დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე, ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში
- პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ 1 თანამშრომელი
- დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსებისას უზრუნველყოს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად
- 2025 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი
- 2025 წელს, №2 და №8 პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში არასრულწლოვნის მოთავსება დაუშვებელია
- 2025 წელს, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვნები იმყოფებიან, მოეწყოს სპეციალური სივრცე, რომელშიც იქნება ბავშვზე მორგებული გარემო და უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი მულტიდისციპლინური მუშაობა კრიზისის დაძლევის მიზნით. ამ სივრცეში ყოფნის ხანგრძლივობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე საათს და ამ სივრცის გამოყენების პროცედურა განისაზღვროს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დებულებით
- 2025 წელს, დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთებით
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების პერიოდში პატიმარს მიეცეს სატელეფონო საუბრის შესაძლებლობა
- 2025 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით:
    - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში ხანგრძლივად მოთავსების, ხელბორკილების გამოყენების და

ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით

- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით

- 2025 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილებების შეტანით განისაზღვროს პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა, ასევე, განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულება, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანით აიკრძალოს სრული შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით, გამოავლინოს და აღმოფხვრას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ მოთხოვნის პრაქტიკა და განახორციელოს თანმდევი რეაგირება
- არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგია და მომზადებული დოკუმენტი გაუზიაროს სახალხო დამცველის აპარატს
- №17 დაწესებულებაში გაუქმდეს ე.წ. „ბარაკის“ ტიპის საცხოვრებლები
- პენიტენციურ დაწესებულებებში, თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს, სულ მცირე, 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობით
- პენიტენციურ დაწესებულებებში, დასაქმებული ექთნების რაოდენობა კალენდარული წლის ბოლომდე გაიზარდოს მინიმუმ ორჯერ
- უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების სიხშირე იმგვარად, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას
- უზრუნველყოს გეგმური სამედიცინო რეფერალის განხორციელება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის №381 ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში
- უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფებისთვის სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება
- შევიდეს ცვლილება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და განისაზღვროს, რომ სამედიცინო პერსონალის პატიმრებთან შეხვედრისას მესამე პირის დასწრება დასაშვები იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექიმი, თავისი ან პაციენტის უსაფრთხოების რეალური და იმწუთიერი რისკებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს დაწესებულების მოსამსახურის დასწრებას, რაც აუცილებლად უნდა დასაბუთდეს წერილობით (მოსალოდნელი საფრთხეები დეტალურად უნდა აღიწეროს დოკუმენტაციაში); ასეთ

საგამონაკლისო შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პირების მიერ საუბრის მოსმენის გარეშე, მათ მიერ გონივრული დისტანციის დაცვით

- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებისთვის პენიტენციურ სისტემაში დაინერგოს ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემა
- პენიტენციურ დაწესებულებებში შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი
- პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა; ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს ფსიქიატრიული მუდტიდისციპლინური გუნდის ვალდებულება:
    - შეაფასოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც არ ესაჭიროებათ სტაციონარული მკურნალობა
    - შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაონ ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება
- დეესკალაციის ოთახში მოთავსების გახანგრძლივების საჭიროებისას, პატიმარი დაუყოვნებლივ გადაიყვანონ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების საჭიროებებზე მორგებულ გარემოში
- უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისთვის, რომელთაც დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტები, რეგულარული ფიზიკური ჯანმრთელობის შემოწმება, მათ შორის შესაბამისი კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკვლევის შესაბამისად;[244]
- საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2020 წლის 20 ნოემბრის №663 ბრძანება („პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“) პრიორიტეტულად, უმოკლეს ვადაში, მიუსადაგოს პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლს
- სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტით, პენიტენციურ დაწესებულებებში, ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადად განისაზღვროს სულ მცირე 30 დღე
- 2025 წელს ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ

[244] “ფსიქოზი და შიზოფრენიის მართვა“, დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკვლევი, იხ. ბმული < https://shorturl.at/U0uE5 > [ბოლოს ნანახია:29.03.2025].

- 2025 წელს, პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 20%
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს დაავალოს სისტემური შემოწმების ჩატარება №8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გასეირნების უფლებით სარგებლობის საკითხის შესასწავლად და შემოწმების შედეგების და გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობოს სახალხო დამცველს
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ ახლად მოთავსებული ბრალდებულებისთვის სატელეფონო ბარათების გადაცემამდე, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, ცხელ ხაზთან ბრალდებულის დაკავშირებას, კონფიდენციალურობის დაცვით უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია
- 2025 წელს, არანაკლებ ორჯერ გაიზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა
- დახურულ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში უზრუნველყოს სასეირნო ეზოების მოწყობა მიწის დონეზე,[245] სადაც შესაძლებელი იქნება განტვირთვა და რეკრეაცია
- „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სამედიცინო შემოწმებაზე პასუხისმგებელ ყველა ექიმს ჩაუტარდეს ტრენინგი პატიმრის დაზიანებათა სრულყოფილად აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და ფოტოგადაღების შესახებ, ამასთანავე, შესაბამისმა სამსახურმა ზედამხედველობა გაუწიოს ამ ტრენინგების საფუძველზე მიღებული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებასლობა
- 2025 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ დისციპლინური სახდელის სახით სამარტოო საკანში მოთავსებისა და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის, ასევე უსაფრთხოების ღონისძიების სახით დეესკალაციის ოთახში მოთავსებისა და სამარტოო საკანში არაუმეტეს 24 საათით მოთავსების პერიოდში პატიმრებს უნდა მიეცეთ ტელეფონით ადვოკატთან და ცხელ ხაზზე დაკავშირების შესაძლებლობა
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში განისაზღვროს, რომ გამომძიებლის/პროკურორის მიერ ბრალდებულისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, თუკი ბრალდებული მოითხოვს, მის ადვოკატთან დაკავშირებას უზრუნველყოფს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია
- 2025 წელს, ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პატიმრების იდენტიფიცირების, შეფასებისა

[245] სასეირნო ეზოების დიზაინსა და მიწის დონეზე მოწყობაზე საუბრობდა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2014 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის დროს. პარა. 75, ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/09000016806961f8>[ბოლოს ნანახია: 05.01.2025].

და მკურნალობის, მათ შორის, კომუნიკაციისა და რისკის საკითხებში გადამზადდეს პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის არანაკლებ 50%, რომელსაც პატიმართან აქვს შეხება

- 2025 წელს, პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და არ გამჟღავნდეს კონვერტის მიმღები პატიმარი. ამასთანავე, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცეთ შესაძლებლობა საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი
- 2025 წელს, პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 20%
- 2025 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა, რომ დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება წარმოადგენს უალტერნატივო ღონისძიებას. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამარტოო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედაებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა.
- უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული ბრალდებული და მსჯავრდებული არასრულწლოვნისთვის სრულწლოვანებისგან განცალკევებული, მათზე მორგებული გარემო, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების და დოკუმენტური ფორმით უფლებების შესახებ ინფორმაციის გადაცემის პროცესის ტექნიკური (აუდიო-ვიდეო) საშუალებებით ჩაწერა და გონივრული ვადით შენახვა
- პოლიციის დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელდეს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით
- უზრუნველყოს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სივრცის მოწყობით
- 2025 წელს, გაიზარდოს იმ იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგები იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების

სტამბოლის პროტოკოლით დოკუმენტირების, ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის შესახებ

- 2025 წელს, ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანებით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება. ვიდეოგადაღების ვალდებულება დაწესდეს შემდეგ შემთხვევებში: პირის იდენტიფიკაცია; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, პირის დაკავება
- პოლიციის ავტომანქანები ეტაპობრივად აღიჭურვოს ავტომანქანის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემით
- ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეოგადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით ანნ მისი არარსებობის შემთხვევაში, სამხრე კამერით
- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში გაიზარდოს ვიდეოკამერების რაოდენობა და დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა
- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება
- შევიდეს ცვლილება 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №625-ე ბრძანებაში და №9 დანართით დამტკიცებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; რა ვითარებაში მოხდა დაკავება; ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოიყენეს თუ არა იძულების ზომა და რა ფორმით
- პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის შემცველი სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოება, სადაც დეტალურად და დროში სინქრონულად აღირიცხება დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება, მათ შორის, დაკავება, დაწესებულებაში შემოყვანა და გაყვანა, სხეულის დათვალიერება, დაკავებულის მიერ ადვოკატთან/ექიმთან/ოჯახთან დაკავშირების მოთხოვნა და მისი უზრუნველყოფა, დაკავებულის გათავისუფლების ან სხვაგან გადაყვანის ზუსტი დრო და მიზეზები, ზუსტი ინფორმაცია, თუ სად იმყოფებოდა პირი იმ პერიოდში, როდესაც დაკავებული იყო

- გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლოს დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნების გამართული წარმოების საკითხი
- რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით
- გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლოს მოწმედ დაბარებული პირებისთვის დე ფაქტო თავისუფლების შეზღუდვის და შემდგომ დაკავების პრაქტიკა და მიიღოს შესაბამისი ზომები ამ პრაქტიკის აღმოსაფხვრელად
- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების რეგულარული სწავლება ადამიანის უფლებებსა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე
- მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებული არასრულწლოვნებისთვის:
    - უზრუნველყოს არასრულწლოვანთა და მცირეწლოვან ბავშვთა საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნა
    - ცენტრში არასრულწლოვნის ყოფნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დაწესებულებაში მუდმივად ყოფნა და არასრულწლოვნებთან პირდაპირი და ხშირი კონტაქტის შესაძლებლობა
    - გაიზარდოს არასრულწლოვანთა სუფთა ჰაერზე გასეირნების დრო და შეეთავაზოთ მათ არასრულწლოვნებზე მორგებული აქტივობები, მათ შორის, საგანმანათლებლო აქტივობები
    - უზრუნველყოს მათთვის გასაგებ, მარტივ ენაზე უფლებებისა და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება (მათ შორის, ბუკლეტებისა და სხვა საშუალებებით)
- მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრისთვის შემუშავდეს კონფლიქტების პრევენციის და მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტი
- აღმოფხვრას მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის სტანდარტული სამოქმედო პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №231 ბრძანების 25-ე მუხლით გათვალისწინებული მკაცრი ზედამხედველობის ოთახში პირის ხანგრძლივი განთავსება და აწარმოოს რეესტრი, სადაც აღირიცხება მკაცრი ზედამხედველობის ოთახში პირის მოთავსების და გამოყვანის ზუსტი დრო
- აკრძალოს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის სტანდარტული სამოქმედო პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №231 ბრძანების 25-ე მუხლით გათვალისწინებული მკაცრი ზედამხედველობის ოთახში არასრულწლოვნების მოთავსება;
- შემუშავდეს და დამტკიცდეს დაზიანების დოკუმენტირების ფორმა, რომელსაც შეავსებს საქართველოს ესკორტის ექიმი, თუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის

შესახებ თავად დასაბრუნებელი პირი განაცხადებს ან ექიმს წარმოეშობა ეჭვი ასეთი მოპყრობის შესახებ; ასევე, განისაზღვროს ექიმის მიერ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების წესი;

- უზრუნველყოს გდდ-ს თანამშრომლების ამოსაცნობი ნიშნებით აღჭურვა და განახორციელოს ნიშნების გამოყენების სავალდებულოობის ნორმატიული მოწესრიგება;
- ითანამშრომლოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან მოძალადე პოლიციელებისა თუ მოწმე პოლიციელების იდენტიფიცირების პროცესში. ასევე, მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია გამოყენებული სპეციალური საშუალებების შესახებ;
- სავალდებულო გახდეს სამხრე ვიდეოკამერების გამოყენება საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებისას ;
- ჩატარდეს ჯეროვანი და სრულფასოვანი სამსახურებრივი შემოწმებები პოლიციელების მხრიდან არაეთიკური ქმედებების, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და სხვა უფლებადარღვევის ფაქტებზე;
- ჩატარდეს ეფექტიანი გამოძიება გაზაფხულის აქციების პარალელურად განხორციელებული ე.წ. სატელეფონო მუქარების საქმეზე, მათ შორის, ორგანიზატორების გამოვლენის მიზნით;
- ჩატარდეს ეფექტიანი გამოძიება ე.წ. შავნიღბიანი მოძალადე ჯგუფების მიერ მოქალაქეებსა და პოლიტიკოსებზე თავდასხმის ფაქტებზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარების გზით, გამოავლინოს და აღკვეთოს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის ფაქტები;
- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია, რომელიც უნდა მოიცავდეს პაციენტის უფლებების დაცვისა და ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს;
- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია, სადაც ასევე იქნება გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლი პაციენტებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება;
- შემუშავდეს და დაინერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი იმისთვის, რათა დაწესებულებებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები;

- სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციის გზით, განახლდეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია;
- შეისწავლოს და აღმოფხვრას ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკა;
- ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შეიქმნას დასამშვიდებელი ოთახები, სადაც უზრუნველყოფილი იქნება თერაპიული გარემო და პაციენტს ექნება ნებაყოფლობით განმარტოების შესაძლებლობა და დასამშვიდებელი სენსორული სტიმულაციების შესაძლებლობები[246];
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან (112) შემოსული ფსიქიატრიული შემთხვევების თაობაზე შეტყობინებებზე რეაგირებისთვის გაგზავნილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებისთვის შეიმუშაოს დარწმუნების გზით პაციენტის ფსიქიატრიულ დახმარებაზე დაყოლიების, ფსიქიატრიულ სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების საჭიროების განსაზღვრისა და პაციენტის უფლებების განმარტების შესახებ დეტალური ინსტრუქცია;
- შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაუყოვნებლივ გაწერონ სტაციონარიდან ის პაციენტები, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი;
- ცვლილებები შევიდეს მინისტრის ბრძანებაში,[247] რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული (№IV-300-12/ა) ფორმის შევსება;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა;
- შემუშავდეს ბიოფსიქოსოციალური მიდგომის ფსიქიატრიულ დახმარებაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა;

[246] კომფორტის ოთახის მნიშვნელობის, დანიშნულების და მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მითითებულ ბმულზე: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, Quality Rights: Freedom from coercion, violence and abuse. WHO Quality Rights Core training: mental health and social services. Topic 8: Supportive environments and the use of comfort rooms. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/329582/9789241516730-eng.pdf> [ბოლოს ნანახია: 03.02.2025].

[247] ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №87/ნ, 2007 წლის 20 მარტი, თბილისი.

- ბრძანებით განისაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, სტაციონირებაზე თანხმობის მიღების შემდეგ, პაციენტს მიაწოდოს ზუსტი და ამომწურავი ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების ბიოფსიქოსოციალურ კომპონენტებზე და თითოეულ კომპონენტზე მიიღოს პაციენტის გაცნობიერებული თანხმობა;
- სამინისტრომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარების გზით გამოავლინოს და აღკვეთოს ნების საწინააღმდეგოდ ან/და ძალის გამოყენებით ინექციების გაკეთებისა და მედიკამენტების მიცემის ფაქტები;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან სტაციონარის ხანმოკლე ვადით დატოვების შესაძლებლობა, სტაციონარიდან გაწერის გარეშე, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- უზრუნველყოს სტაციონარში 6 თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება, მათი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების მიზნით;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ რეგულარულად უზრუნველყოს პაციენტის გასაგები ენით, ზეპირი და წერილობითი ინფორმირება სტაციონარის შინაგანაწესის და პაციენტის უფლებების თაობაზე;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის მისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები;
- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდგომ სტატუსის გადასინჯვის საკითხი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში;
- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა;
- შემუშავდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოების სპეციფიკური წესები, სადაც გათვალისწინებული იქნება პაციენტთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების წესები;
- შეიქმნას ფსიქიატრიული დახმარების უზრუნველყოფის ჰოსპიტალგარე სახელმწიფო ზედამხედველობის და ფსიქიატრიული მომსახურების ხარისხისა და უფლებების დაცვის მონიტორინგის მექანიზმი, რომლის კომპეტენციაც იქნება ფსიქიატრიული სერვისების მომხმარებლებისგან, მათი წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისგან კონფიდენციალური/ღია საჩივრების მიღება ფსიქიატრიული სერვისების ხარისხისა და უფლებების კუთხით გამოვლენილ

დარღვევებზე და ფსიქიატრიული სერვისების მიმწოდებლების რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი;

- უზრუნველყოს დაწესებულებების თანამშრომელთა სწავლება, რათა მათ შეძლონ, ამოიცნონ „კლოზაპინის“ გვერდითი ეფექტები, რომლებმაც, შესაძლოა, ლეტალური შედეგი გამოიწვიონ;
- სამინისტრომ უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სწავლების ჩატარება, სულ მცირე, შემდეგ საკითხებზე: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტთა უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პერსონალის მიერ ფსიქიატრიული დახმარების ბიოფსიქოსოციალური მოდელის მნიშვნელობის გააზრებას და პრაქტიკაში განხორციელებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- შშმ პირთა საცხოვრისის სერვისებისთვის შემუშავდეს ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია;
- დაიხუროს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის თავშესაფარი, ასევე ბედიანის და ძევრის შშმ პირთა პანსიონატები და ბენეფიციარები გადაიყვანონ ალტერნატიული ზრუნვის ისეთ მომსახურებებში, სადაც ისინი თემში, ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში იქნებიან;
- შეისწავლოს შშმ პირთა საცხოვრისის სერვისებში ბენეფიციარების ნების საწინააღმდეგოდ საცხოვრისებში მოთავსების შემთხვევები და მოახდინოს თანმდევი რეაგირება;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში ბენეფიციარების უფლებების დაცვის ეფექტიანი მექანიზმის შესაქმნელად, შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს თავშესაფრებისა და შშმ პირთა საცხოვრისის სერვისებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის მისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური პროცედურა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ამ უფლების რეალიზების ყველა საკითხი;
- სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებული მოდელი შეიცვალოს ისე, რომ ნებისმიერი ტიპის საცხოვრისის სერვისში მოთავსებულ ბენეფიციარებს სრულად და დროულად მიუწვდებოდეთ ხელი უფასო სამედიცინო მომსახურებაზე;
- უზრუნველყოს ბენეფიციარებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფებისთვის სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;
- საცხოვრისის სერვისებში უზრუნველყოს მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით;
- ყველა ტიპის საცხოვრისის სერვისის მიმწოდებლისთვის განისაზღვროს ვალდებულება ადგილზე იქონიოს გადაუდებელი მედიკამენტების მარაგი;

- დაავალდებულოს სერვისის მიმწოდებლები მოახდინონ შშმ პირთა საცხოვრისის სერვისებში მყოფ ბენეფიციართა ინფორმირება მათი უფლებების და უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ;
- გაუწიოს ზედამხედველობა შშმ პირთა საცხოვრისის სერვისების მიმწოდებლების მიერ ბენეფიციართა უფლებების და უფლების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმირებას;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა.

სპეციალურ საგამოძიებო სამახურსა და საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

- სრულყოფილად შესრულდეს სახალხო დამცველის 2024 წლის 17 დეკემბრის №2024/7325 წინადადება ი. წ.-ს საქმეზე (ლეონიძის ქუჩის ეპიზოდი) და 2025 წლის 7 მარტის №25/1903 წინადადება გაზაფხულის აქციებთან დაკავშირებით;
- ზამთრის აქციებზე გამოძიება ჩატარდეს ეფექტიანად. შეიცვალოს კვალიფიკაცია და გამოძიება ასევე წარიმართოს არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით. გამოძიებამ სრულად გააანალიზოს მოვლენები და გამოკვეთოს ყველა პირის (ხელმძღვანელიდან რიგითამდე) პასუხისმგებლობა, როლი და ფუნქციები;
- ჩატარდეს გამოძიება ზამთრის აქციებზე მოქალაქეების პირადი ნივთების შესაძლო უკანონო დაუფლების ფაქტებზე, ასევე პირად ელექტრონულ მოწყობილობებში კანონშეუსაბამოდ შეღწევისა და ინფორმაციის გაცნობის/მოპოვების სავარაუდო ფაქტებზე.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს

- ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა სსკ-ის 156-ე მუხლით (დევნა) კვალიფიკაციის მიმართულებით და, საჭიროების შემთხვევაში, ამ მიზნით, შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტი;
- ჩატარდეს ეფექტიანი გამოძიება ე.წ. შავნიღბიანი მოძალადე ჯგუფების მიერ მაკა ჩიხლაძესა და გიორგი შეწირულზე თავდასხმის ფაქტზე.

საქართველოს პროკურატურას:

- საქმეები, სადაც ვლინდება/გამოვლინდება დევნის ნიშნევი, დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 156-ე მუხლით და უწყებრივი ქვემდებარეობის შესაბამისად, დაექვემდებაროს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ან პროკურატურას.

საერთო მოსამართლეებს

- სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე არ დააფუძნოს გადაწყვეტილებები მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებს, ნეიტრალური მტკიცებულებების არარსებობის პირობებში.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“:

- სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტით, ვიდეოჩანაწერების დაარქივების ვადად განისაზღვროს სულ მცირე 10 დღე; შეისწავლოს და შესწავლის შედეგების საფუძველზე დაგეგმოს დაარქივების ვადის 30 დღით განსაზღვრის საკითხი;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა მძიმე სედაციური ფსიქოტროპული მედიკამენტების დიდი დოზებით მიწოდება არ განხორციელდეს რუტინულად, ყველა ახლად მიღებული პაციენტის შემთხვევაში. ასეთი ფარმაკოთერაპიული ჩარევა განხორციელდეს მხოლოდ ფრთხილი ინდივიდუალური შეფასების შემდეგ, პერორალურად მიღებულ მედიკამენტებთან ერთად, ისეთი დოზებით, რაც არ იწვევს გადამეტებულ სედაციას ან სერიოზული გვერდითი მოვლენების რისკს.

4. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

4.1. შესავალი

წინამდებარე თავში მიმოხილულია საანგარიშო პერიოდში თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დაცვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვები, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრობლემები; უკანონო ადმინისტრაციული დაკავებები; პატიმრების, მათ შორის, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა, გათავისუფლების მექანიზმების გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული საკითხები მიმოხილულია სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც, თუმცა, საანგარიშო პერიოდში, გასულ წელს გამოვლენილი ხარვეზები არ აღმოფხვრილა. მეტიც, ადმინისტრაციულ დაკავებებთან მიმართებით, კიდევ უფრო გაიზარდა ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის თვითნებობის რისკები.

დასანანია, რომ გასული წლების მსგავსად, კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაცია. მათ შორის, ნორმატიულად არ განსაზღვრულა სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი. ასევე საგულისხმოა, რომ კვლავ არ შესულა ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და არ განსაზღვრულა ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების ვალდებულება და სხვ.

სახალხო დამცველი, წლებია, საპარლამენტო ანგარიშში გასცემს წინადადებას პარლამენტის მიმართ, რომლის გაზიარების შემთხვევაში, დაუშვებლად იქნება ცნობილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმისწარმოებისათვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.[248] სამწუხაროდ, სახალხო დამცველის ეს წინადადება დღემდე შეუსრულებელია, ხოლო პრობლემის აღმოფხვრის დამატებითი ადვოკატირების მიზნით, სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი[249] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ამ დრომდე არსებითად არ განხილულა.

[248] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 107; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 96; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 91; დამატებით, სახალხო დამცველმა 2021 წლის 7 დეკემბერს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს - საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 7 დეკემბრის №15-2/11520 წინადადება.

[249] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 12 იანვრის №1808 კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

4.2. თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა

საანგარიშო პერიოდში კვლავ გაგრძელდა სამართალდამცავი ორგანოების უკანონო პრაქტიკა, როდესაც პირებს, რომელთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, გამომძიებლის სიტყვიერი მითითებით, უსაფუძვლოდ ეზღუდებათ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა 2 ასეთი საქმე შეისწავლა.[250]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საანგარიშო პერიოდში შესწავლილ ერთ საქმეში აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ა.ს.-ს და მისი ოჯახის წევრებს 2024 წლის 18 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა არ მისცეს შესაძლებლობა გადაეკვეთათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თბილისის აეროპორტში, თურქეთის რესპუბლიკის გავლით, ბოსნია და ჰერცოგოვინაში გამგზავრების მიზნით. ხოლო, მეორე საქმეში, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვ.ს. 2023 წლის 28 სექტემბერს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გავლით, გეგმავდა გამგზავრებას თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ანტალიაში, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გამგზავრების შესაძლებლობა არ მისცეს. ორივე ამ შემთხვევაში სახალხო დამცველმა გამოძიების დაწყების მოთხოვნით გენერალურ პროკურორს მიმართა.[251] ორივე შემთხვევაში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის[252] ნიშნებით დაიწყო.[253]

რაც შეეხება წინა წლებში გამოვლენილ პრაქტიკას,[254] 2021-2023 წლებში სახალხო დამცველის აპარატმა 5 ფაქტი შეისწავლა, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მითითების საფუძველზე, კონკრეტულ პირებს საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა არ მიეცათ. საქმის შესწავლის შედეგების საფუძველზე, სახალხო დამცველმა შესაბამისი წინადადებებით მიმართა საქართველოს გენერალურ

[250] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.

[251] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 9 ოქტომბრის № 2024/5317 და 2024 წლის 6 ივნისის № 2024/1671 წინადადებები.

[252] საქართველოში კანონიერად მყოფისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის ან საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

[253] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 17 იანვრის №13/1892 და 2024 წლის 26 ივნისის №13/41420 წერილები.

[254] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 82; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 90; საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 96.

პროკურორს და გამოძიების დაწყება მოითხოვა.[255] მითითებული 5 ფაქტიდან გამოძიება დაიწყო 3-ზე, თუმცა დღემდე უშედეგოდ მიმდინარეობს და მოცემული დროისთვის, შესაბამისი გამოძიების ფარგლებში დაზარალებულად და ბრალდებულად, კონკრეტული პირი ცნობილი არ არის.[256] ხოლო 2 ფაქტზე გამოძიება საერთოდ არ დაწყებულა.[257]

4.3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის თაობაზე განჩინების გასაჩივრების პრაქტიკა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება დაუყოვნებლივ იმსჯელოს აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე და არა საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, განაჩენთან ერთად. სახალხო დამცველის შეფასებით, ამგვარი პრაქტიკა აზრს უკარგავს აღკვეთის ღონისძიების განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას, ვინაიდან საქმის განხილვის დასრულების შემდეგ საქმეზე განაჩენის მიღების დროს პირის მიმართ გამოტანილი აღკვეთის ღონისძიება თავისთავად წყვეტს მოქმედებას. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წინადადებით მიმართა. სამწუხაროდ, პარლამენტს სახალხო დამცველის ეს წინადადება არც საანგარიშო პერიოდში გაუთვალისწინებია.[258]

საგულისხმოა, რომ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა საანგარიშო პერიოდში, წინა წლებთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბრალდებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების ძირითადი სახე კვლავ პატიმრობა ან გირაოა. აღკვეთის სხვა ღონისძიებები, წინა წლების მსგავსად, როგორც წესი, იშვიათად გამოიყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2024 წელს, აღკვეთის ღონისძიება, ჯამში 10658 პირს შეეფარდა.[259] მათგან პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი 41%-ს შეადგენს - 4379 შემთხვევა. 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, გაიზარდა პატიმრობის პროცენტული წილი აღკვეთის ღონისძიებებთან

[255] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 16 მაისის № 15-2/2829, 2022 წლის 30 მაისის № 15-12/5499, 2022 წლის 7 დეკემბრის № 15-12/12194, 2022 წლის 21 ნოემბრის № 15-4/11654 და 2024 წლის 20 მაისის № 2024/1178 წინადადებები.

[256] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 3 თებერვლის №13/5579, 2025 წლის 3 თებერვლის №13/5451, 2025 წლის 3 თებერვლის №13/5452 წერილები.

[257] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 26 სექტემბრის №13/65124 და 2024 წლის 22 იანვრის №13/3590 წერილები. გენერალური პროკურატურის პოზიციით, მასალების შესწავლის შედეგად არ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ფაქტები.

[258] შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მკაფიო ვალდებულებად განისაზღვრება აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე დაუყოვნებლივ მსჯელობის ვალდებულება.

[259] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 24 თებერვლის წერილი № პ-61-25.

მიმართებით. კერძოდ, 2023 წელს, აღკვეთის ღონისძიება ჯამში გამოიყენეს 11830 პირის მიმართ, აქედან პატიმრობა შეეფარდა 4479 პირს - 37.86 %.[260]

რაც შეეხება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, საგულისხმოა, რომ 2024 წელს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება გამოიყენეს 6279 პირის მიმართ, მათ შორის, არასაპატიმრო ღონისძიების სახით გირაო/გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით განესაზღვრა 6189 პირს. შესაბამისად, გირაოს გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 2024 წელს გამოყენებულ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებით 98.6%-ს შეადგენდა. ტენდენცია წლების განმავლობაში ფაქტობრივად უცვლელია. 2023 წელს, გირაოს ხვედრითმა წილმა ასევე შეადგინა არასაპატიმრო ღონისძიებების 98.6%, 202 წელს - 98%, 2021 წელს - 97.2%, 2020 წელს - 96.7%, ხოლო 2019 წელს - 96.3%.[261]

4.4. ადმინისტრაციული დაკავებები

ადმინისტრაციული დაკავებების ჭრილში, პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ კვლავ პრობლემურია კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, რომლებზეც საქართველოს სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს.[262] კერძოდ, პრობლემურია ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების უფლებამოსილების საკითხი. როდესაც პირი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლის წინაშე სადავოდ ხდის ადმინისტრაციულ დაკავებას, მოსამართლე არ ამოწმებს დაკავების კანონიერებას და ამას ცალკე სამართალწარმოების ფარგლებში განიხილავს. სამწუხაროდ, ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული წინადადება დღემდე შეუსრულებელია. საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების ადმინისტრაციული წესით დაკავების, დაკავების ვადის 48 საათამდე უსაფუძვლო გახანგრძლივებისა და ამ ფორმით გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის არასწორი პრაქტიკა.[263]

ამ ფონზე, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ 2024 წლის დეკემბერში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შეუსაბამო რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება. მათ შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიციელისთვის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნით, პირის ადმინისტრაციული დაკავების, პირადი და ნივთების გასინჯვისა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის უფლებამოსილების მინიჭება.[264]

ცვლილებით არ არის განსაზღვრული პრევენციული დაკავების კონკრეტული საფუძველი და არც მისი გამოყენებისთვის რაიმე მტკიცებულებითი სტანდარტის (კონკრეტული ფაქტი

[260] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 5 მარტის წერილი №3-19-24.
[261] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2024, გვ. 98.
[262] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 98; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 88; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, გვ. 81; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 103-104.
[263] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.
[264] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, 13/12/2024, 169-Iმს-XIმპ.

ან ინფორმაცია) მოთხოვნაა დაწესებული. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული დაკავების 48-საათიანი ვადის და დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის არარსებობის პირობებში, პრევენციული ადმინისტრაციული დაკავების შემოღება ადამიანის უფლებებთან შეუსაბამო კოდექსის მოქმედების პირობებში, კიდევ უფრო ზრდის ადამიანის თავისუფლების უფლებაში ჩარევის თვითნებობის რისკებს. ანალოგიურად, საკანონმდებლო ცვლილებები ბუნდოვანი და არაგანჭვრეტადია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნით პირადი გასინჯვის, ნივთების გასინჯვისა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის თვალსაზრისითაც.[265]

4.5. პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა[266]

2024 წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემური იყო მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა და ამ საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. მოქმედი პრაქტიკა და საკანონმდებლო ბაზა ვერ ადგენენ ერთიან, განჭვრეტად და მკაფიო საფუძვლებს იმისა, თუ ვის ეკუთვნის საკანონმდებლო შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა. პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ პრობლემურია მსჯავრდებულის შეფასების კრიტერიუმების არასრულყოფილი ჩამონათვალი. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დაიხვეწოს ნორმატიული ბაზა და პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისას უფრო მეტ კრიტერიუმს მიექცეს ყურადღება, მათ შორის, ისეთ ასპექტებს, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება. საკანონმდებლო ბაზის ხარვეზიანობასთან დაკავშირებით, დამატებით, აღსანიშნავია, რომ, თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს მსჯავრდებულისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მისი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად, იგი ატარებს ზეპირ მოსმენას. თუმცა, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, თუ როდის და რა შემთხვევებშია მიზანშეწონილი პატიმრისგან დამატებითი ინფორმაციის მიღება, რაც საბჭოს სუბიექტური ან თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უქმნის. სამწუხაროდ, ეს პრობლემა არც ახალი პენიტენციური კოდექსის ამოქმედების შემდეგ აღმოფხვრილა.

სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში გამოითხოვა ექვსივე ადგილობრივი საბჭოს, ასევე, ქალ მსჯავრდებულთა საქმეების განმხილველი ადგილობრივი საბჭოს მიერ 2024 წლის აპრილში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მესამე ადგილობრივი საბჭოს, დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საბჭოსა და არასრულწლოვანთა საქმეების

[265] საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით დეტალური ანალიზი იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[266] დეტალები ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

განმხილველი ადგილობრივი საბჭოს მიერ 2024 წლის ოქტომბერში მიღებული ყველა გადაწყვეტილების ასლი.[267]

გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციები. შენარჩუნებულია გასული წლის დადებითი ტენდენცია და შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ძირითადად, დასაბუთებულია და ამ მიმართულებით სისტემური ხარვეზები არ იკვეთება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში გამოავლინა არა ერთეული საქმეები, სადაც დასაბუთების პრობლემა კვლავ იკვეთება. კერძოდ, ზოგიერთ უარყოფით და ასევე დადებით გადაწყვეტილებაში საბჭოს მიერ შემოთავაზებული დასაბუთება პრობლემურია და განსხვავდება არსებული პრაქტიკისგან.[268]

რაც შეეხება საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლენილ უარყოფით ტენდენციებს, ამ მხრივ, პირველ რიგში, გამოვყოფთ ძირითადი კრიტერიუმების შეფასების არაერთგვაროვან პრაქტიკას. ადგილობრივი საბჭოები მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის განხილვისას შეფასების ხუთი ძირითადი კრიტერიუმით[269] ხელმძღვანელობენ.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებებში იკვეთება ისეთი დადებითი გადაწყვეტილებები, სადაც მსჯავრდებულის პირადი საქმე არ განსხვავდება სხვა პატიმრების პირადი საქმეებისგან, ვის მიმართაც უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, თუმცა, საბჭოები ამ შემთხვევაში, იმავე კრიტერიუმებს განსხვავებულად აფასებენ. საბჭოს გადაწყვეტილებებიდან არ ჩანს, ამ კრიტერიუმის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ისეთი რა განმასხვავებელი ფაქტორები იკვეთებოდა მოცემულ საქმეებში, რომ განსხვავებული შეფასება განაპირობა.

დამატებით, სახალხო დამცველის აპარატმა გამოავლინა საბჭოების მიერ ცალკეული კრიტერიუმების შეფასების პრობლემურობა. მაგალითად, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი არის ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელსაც ადგილობრივი საბჭოები აფასებენ მსჯავრდებულთან მიმართებით. ადგილობრივი საბჭოს მიერ დანაშაულის ხასიათზე მსჯელობისას არ იკვეთება რაიმე სახის გრადაცია/განსხვავება იმის მიხედვით, თუ რა კატეგორიის დანაშაულია სახეზე, არის თუ არა ის ძალადობრივი, არის თუ არა ის განზრახი/გაუფრთხილებელი დანაშაული. საბჭო, ხშირად ერთ სიბრტყეზე აქცევს ყველა დანაშაულებრივ ქმედებას და არ იკვეთება ამ კრიტერიუმის მიხედვით ჩადენილი ქმედების ინდივიდუალური შეფასება. იგივე შეიძლება ითქვას შეფასების

[267] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 28 ნოემბრის № 2024/6735 წერილი.

[268] დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[269] დანაშაულის ხასიათი; მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა; ოჯახური პირობები; მსჯავრდებულის პიროვნება.

ისეთ კრიტერიუმზე, როგორიცაა ოჯახური პირობები. კერძოდ, უარყოფითი გადაწყვეტილებების უმეტესობაში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მსჯავრდებული ოჯახურ მდგომარეობას დადებით კონტექსტში აღწერს და აღნიშნული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დახასიათებიდანაც დასტურდება, საბჭოები ამ კრიტერიუმს უარყოფითად აფასებენ იმ მიზეზით, რომ კონკრეტული „მოცემულობა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე უკვე არსებობდა და ფაქტია, ოჯახი ვერ გახდა შემაკავებელი და მსჯავრდებულის ქცევის განმსაზღვრელი“ და ა.შ. ასევე საგულისხმოა, რომ ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მსჯავრდებულის სოციალურ აქტივობებში ჩართულობას, როგორც ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ, რიგ შემთხვევებში, მსჯავრდებულის სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ ან/და სხვა ტიპის აქტივობაში მონაწილეობის მიუხედავად, საბჭო ამას ამა თუ იმ მიზეზის გამო დადებითად არ აფასებს, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, არ არის დასაბუთებული და სამართლიანი.[270] ამასთანავე, საბჭო არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მსჯავრდებული, სურვილის მიუხედავად, აქტივობებში კონკრეტული ხელშემშლელი გარემოებების გამო არ იყო ჩართული.

ასევე ნიშანდობლივია საბჭოების მსჯელობის ბუნდოვანება მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულ წახალისებასთან მიმართებით. კერძოდ, გადაწყვეტილებებიდან ჩანს, რომ ერთ შემთხვევაში, საბჭომ შეიძლება თეორიულად განმარტოს, რომ მოკლებულია შესაძლებლობას, მხოლოდ რამდენიმე წახალისების ღონისძიებით (ფორმის მიუხედავად) დადებითად შეაფასოს კონკრეტული კრიტერიუმი. მეორე შემთხვევაში, შესაძლოა, ის დადებითად არ შეაფასოს მხოლოდ წახალისების კონკრეტული ფორმის გამო. დამატებით, აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულის პიროვნების შეფასებისას, სხვა გარემოებებთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, საჭიროებს თუ არა მსჯავრდებული განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან, თუმცა, საგულისხმოა, რომ ამ კომპონენტზე საბჭო ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ საშიშროების მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულების საქმეების განხილვისას, ხოლო საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებულებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებში, ეს კომპონენტი დადებით კონტექსტში არ აღიწერება.

საბჭო მსჯავრდებულის მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების თაობაზე დაზარალებულის თანხმობის საკითხსაც არაერთგვაროვნად აფასებს. რიგ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდებულს დაზარალებულის თანხმობა წარმოდგენილი არ აქვს, საბჭო უარყოფითად აფასებს და მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულის შერიგება მნიშვნელოვანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართლიანობის აღდგენის მიზნებიდან გამომდინარე. ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული მსჯავრდებულის მიმართ შეღავათის გავრცელებაზე თანახმაა, საბჭო მიუთითებს, რომ დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ვერ გახდება მსჯავრდებულისაგან მომდინარე საფრთხის

[270] დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

აღმოფხვრისა და გათავისუფლების შემდგომ ახალი დანაშაულის თავიდან აცილების გარანტი.

ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებების შესწავლით ასევე ირკვევა, რომ გადაწყვეტილებების დასაბუთებისას, თითოეულ კრიტერიუმზე მსჯელობისას საბჭოები შაბლონურ ტექსტებს იყენებენ. არაერთი გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში ისეთ უარყოფით გარემოებაზე მიეთითება, რომელიც მსჯავრდებულის პირად საქმეს არ შეესაბამება და ამდენად, აცდენილია რეალობას. ასევე იკვეთება, რომ ზოგიერთ გადაწყვეტილებაში, საბჭოების სამომავლო მოლოდინები ამა თუ იმ მსჯავრდებულთან მიმართებით განჭვრეტადი არ არის. როდესაც საბჭოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი პოზიტიური კონტექსტის ქცევა და მის მიერ განხორციელებული აქტივობები არ არის საკმარისი მისი რესოციალიზაციისთვის, აპარატის მოსაზრებით, აუცილებელია ამ მოსაზრების სიღრმისეული დასაბუთება, რათა მსჯავრდებულისთვის განჭვრეტადი იყოს, რა შეიძლება გააკეთოს მომავალში.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა საანგარიშო პერიოდშიც გაუარესებულია. კერძოდ, 2019 წელს პირობით ვადამდე 1279 მსჯავრდებული გათავისუფლდა, 2020 წელს - 830, 2021 წელს - 829,[271] 2022 წელს - 635[272], ხოლო 2023 წელს - 434. ეს სტატისტიკური მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდშიც გაუარესდა - 2024 წელს სასჯელის მოხდისგან 342 მსჯავრდებული გათავისუფლდა.[273]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაუარესების ტენდენცია შეინიშნება სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკაშიც. კერძოდ, 2019 წელს სასჯელი 236 მსჯავრდებულს შეეცვალა, 2020 წელს - 545-ს, 2021 წელს 440,[274] ხოლო 2022 წელს 388-ს.[275] 2023 წელსაც შენარჩუნდა გაუარესების ტენდენცია და ამ შეღავათით მხოლოდ 274 მსჯავრდებულმა ისარგებლა. რეგრესი გამოიკვეთა 2024 წელსაც და სასჯელი მხოლოდ 202 მსჯავრდებულს შეეცვალა.[276]

სასჯელის მოხდის ვადამდე ადრე გათავისუფლების მექანიზმებისა და არასაპატიმრო სასჯელების აქტიურად გამოყენების პარალელურად, საუკეთესო მოტივატორი მსჯავრდებულებისთვის იქნება ისეთი აქტივობების შეთავაზება, რომლებიც უშუალოდ აისახება დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მექანიზმი აქტიურად გამოიყენებოდეს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული მსჯავრდებულების მიმართ, რათა, ერთი მხრივ, დაფასდეს მათი ძალისხმევა/შრომა და, მეორე მხრივ, ასეთმა მიდგომამ შექმნას მყარი მოტივაცია იმ

[271] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, 56.
[272] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის №381189/01 და 2023 წლის 16 თებერვლის №43214/01 წერილები.
[273] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2025 წლის 24 იანვრის №20774/01 წერილი.
[274] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 56.
[275] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი 2022 წლის 30 დეკემბრის №381189/01 და 2023 წლის 16 თებერვლის №43214/01 წერილები.
[276] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2025 წლის 24 იანვრის №20774/01 წერილი.

მსჯავრდებულებისთვის, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, ციხეში არსებული არაფორმალური იერარქიის გავლენით, უჭირთ სამეურნეო სამსახურში ჩართვის გადაწყვეტილების მიღება. მსჯავრდებულებისთვის, საზოგადოებაში დაბრუნების იმედთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რეჟიმის არსებობა. 2023 წლის ანგარიშში სახალხო დამცველი მიესალმა №16 დაწესებულებაში ციფრული სწავლების[277] დანერგვას.[278] დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს ციფრული სწავლება დაინერგა №5 პენიტენციურ დაწესებულებაში. ასევე, ციფრული სწავლებისთვის სრულად აღიჭურვა №1, №2 და №8 პენიტენციური დაწესებულებები,[279] რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ 2025 წლიდან №1, №2 და №8 დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს უკვე ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ სწავლის ამ მეთოდით და გაგრძელდება მუშაობა სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში ციფრული სწავლების დასანერგად.

4.6. ამნისტიის შედეგები

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ".[280] დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ამნისტიის კანონპროექტის საკომიტეტო განხილვაში სახალხო დამცველის აპარატიც მონაწილეობდა.[281]

სამწუხაროდ, „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონი კვლავ არ შეხებია უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირებს. კანონით რაიმე შეღავათი ასევე არ ყოფილა გაწეული იმ პირების მიმართ, რომელთაც ქრონიკული ან/და განუკურნებელი დაავადებები აქვთ. სახალხო დამცველის აპარატი იმედს გამოთქვამს, რომ პარლამენტი სამომავლოდ იმსჯელებს ამ მიმართულებით. ასევე საგულისხმოა, რომ საქართველოს პარლამენტში პირველ მოსმენაზე განსახილველად წარდგენილი კანონპროექტის თანახმად, მსჯავრდებულზე ამნისტიის გავრცელებისთვის აუცილებელი იყო, რომ თითოეულ დაზარალებულს კანონის აღსრულებისას, გამოძიების ორგანოს ან სასამართლოს წინაშე თანხმობა განეცხადებინა მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის გავრცელების თაობაზე.[282] ამავე დროს, კანონპროექტის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილი იყო ოჯახურ

[277] ციფრული სწავლება მსჯავრდებულ სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, დისტანციურად ჩაერთონ საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში, დაესწრონ ონლაინ ლექციებს და ინტერაქტიული კომუნიკაცია ჰქონდეთ ლექტორებთან.

[278] „ციფრული უნივერსიტეტი" ციხისა და სასჯელაღსრულების სისტემების ევროპულმა ორგანიზაციამ (Europris) 3 საუკეთესო პროექტს შორის დაასახელა. Europris-ის ყოველწლიურ ჯილდოზე ევროპის ქვეყნების 37 პროექტი იყო წარდგენილი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://sps.gov.ge/news/4458?type= >

[279] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიში.

[280] 2024 წლის 17 სექტემბრის საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ".

[281] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.

[282] კანონპროექტის თანახმად, დაზარალებულის თანხმობასთან ერთად, პირს თანხმობა უნდა გამოეხატა, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მის მიმართ ძალადობის განმეორების რისკის შეუფასებლად, გამოცემული ყოფილიყო დამცავი ორდერი იმ ვადით, რა ვადითაც პირს ამნისტიის შედეგად შეუმცირდა სასჯელი, თუმცა არაუმეტეს 9 თვისა.

დანაშაულში მსჯავრდებული პირის მიმართ ამნისტიის გავრცელების საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განეხილა.

სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, კანონპროექტის ზემოაღნიშნული ვერსიის ფარგლებში არ გამოირიცხებოდა საფრთხე, რომ პირის მიმართ ამნისტიის გავრცელებისთვის აუცილებელი თანხმობის მოპოვების მიზნით, დაზარალებული, მსჯავრდებული პირის ან მხარის მხრიდან, შესაძლოა, გარკვეულ ზეწოლას დაქვემდებარებოდა და ამდენად, მის მიერ გამოთქმული თანხმობა, შესაძლოა, არ ყოფილიყო მისი ნამდვილი ნების გამოვლენის შედეგი. სახალხო დამცველის პოზიციით, ყველა ამ ჩამოთვლილი რისკის თავიდან ასაცილებლად, დაზარალებულს თანხმობა უშუალოდ სასამართლოს წინაშე უნდა დაედასტურებინა და სასამართლო თავად უნდა დარწმუნებულიყო დაზარალებულის ნების ნამდვილობაში. მისასალმებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა ეს პოზიცია გაითვალისწინა და მეორე მოსმენაზე წარდგენილ კანონპროექტში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, ოჯახური დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირის მიმართ ამინისტიის გავრცელების საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლე დაზარალებულის პოზიციას არკვევს ზეპირი მოსმენით გამართულ სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულის, მსჯავრდებულის და მისი ადვოკატის დაუსწრებლად. ეს დებულება აისახა კანონის საბოლოო რედაქციაშიც.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებად განისაზღვრება;
- „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლს დაემატოს 12[1] პუნქტი, რომლითაც დაუშვებლად იქნება ცნობილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმის წარმოებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში
- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მკაფიო ვალდებულებად განისაზღვრება აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე დაუყოვნებლივ მსჯელობის ვალდებულება
- პენიტენციური კოდექსით განისაზღვროს ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენების ჩატარების სავალდებულო კრიტერიუმები. ამავე დროს, ადგილობრივ საბჭოს შეუნარჩუნდეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ჩაატაროს ზეპირი განხილვა.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- 2025 წელს ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი
- სამხრე კამერებით აღიჭურვოს სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე ყველა სამართალდამცავი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დადგენილ შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება
- უზრუნველყოს ციფრული უნივერსიტეტის დანერგვა №3, №6, №10, №12, №14, №15, №17 და №18 პენიტენციურ დაწესებულებებში
- მსჯავრდებულების სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, შეიქმნას და დაინერგოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე
- 2025 წელს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგოს ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები, ასევე გაიზარდოს რესოციალიზაციის ღონისძიებებისა და მათში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობა არანაკლებ 50%-ით
- უცხოენოვანი მსჯავრდებულების სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის მიზნით, უზრუნველყოს 2025 წელს ყველა იმ პატიმრის აღრიცხვა, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და ყველა მათგანს შეეთავაზოს ქართული ენის შესწავლა. ამასთანავე, უზრუნველყოფილ იქნას მათი ჩართვა ისეთ აქტივობებში, სადაც ქართული ენის არცოდნა არ ქმნის არსებით ბარიერს მონაწილეობისთვის. გარდა ამისა, მიზანშეწონილია განიხილონ შესაბამისი ჯგუფებისთვის უცხო ენაზე აქტივობის ჩატარების ან თარგმანის უზრუნველყოფის საკითხიც. ასევე, შესაძლებელია დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულების გადამზადება, რათა მათვე შეძლონ ქართული ენის არმცოდნე პატიმრებთან ქართული ენის შემსწავლელი კურსის ჩატარება.

5.სამართლიანი სასამართლოს უფლება

5.1.შესავალი

სასამართლო ხელისუფლების გამართული ფუნქციონირება წინამდებარე ანგარიშში განხილული ყველა ფუნდამენტური უფლების დაცვის აუცილებელი წინაპირობაა. სამწუხაროდ, საქართველოში, არაერთი მცდელობის მიუხედავად, სასამართლო ხელისუფლების, როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციური გამართულობა, კვლავ გამოწვევად რჩება.

საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, კვლავ შენარჩუნდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ისეთი ფორმები, როგორიცაა: გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებების საფუძველზე; ადვოკატის საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობისთვის არდაშვება; დაცვის მხარისთვის კონკრეტული დასაბუთებისა და ფარგლების გარეშე საქმის მასალების გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრება; ექსპერტიზის გაჭიანურება, რაც ხელს უშლის დაცვის მხარეს სასურველი მტკიცებულებები წარადგინოს სასამართლოში და სხვ.; კიდევ უფრო მწვავედ გამოვლინდა საქმის სამართლიანი განხილვის უფლების სტანდარტების დარღვევა მასობრივი აქციების დროს დაკავებულ პირთა სასამართლო პროცესებზე.

2024 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს მიმართ 6 საქმეზე დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. ისინი ძირითადად შეეხებოდა საქმეთა გაჭიანურებას,[283] ხოლო ორ შემთხვევაში მოსამართლეთა აცილების საკითხს.[284] დამატებით, უნდა აღინიშნოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ", რომელშიც მომჩივანი - ყოფილი მოსამართლე, დავობდა, რომ მას საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლედ ხელახალ გამწესებაზე უარი დისკრიმინაციული მოტივით უთხრა, სასამართლო სისტემის მიმართ კრიტიკული შეხედულებებისა და მისი როლის გამო მოსამართლეთა გაერთიანებაში, „მოსამართლეთა ერთობა". ამ საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველმა მესამე მხარის ინტერვენცია (სასამართლოს მეგობარი) წარადგინა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყოფილი მოსამართლის, ბაქრაძის ხელახლა არჩევის პროცესში, სხვა გარემოებებთან ერთად, მისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმული კითხვები ქმნიდა *prima facie* დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველს, რაც ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ გამოიკვლიეს.[285] სასამართლომ დაადგინა მომჩივანის მიმართ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვის) დარღვევა მე-10 (გამოხატვის თავისუფლებისა) და მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებასთან) მუხლებთან ერთობლიობაში. ამ საქმემ, მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურების სამართლიანობის და გამჭვირვალობის

[283] ეს საქმეებია: „ქაძანია საქართველოს წინააღმდეგ"; „მგელაძე საქართველოს წინააღმდეგ"; „ი.ბ. საქართველოს წინააღმდეგ"; „ხაჭაპურიძე და ხაჩიძე საქართველოს წინააღმდეგ".

[284] ეს საქმეებია: „კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ" და „წულუკიძე და რუსულაშვილი საქართველოს წინააღმდეგ".

[285] „ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ", ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, №20592/21, პარა. 84-85.

გაზრდის კუთხით, შესაძლოა, არა მხოლოდ საქართველოზე, არამედ ევროპული საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაზე იქონიოს ზეგავლენა.[286]

საყურადღებოა, რომ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების ჭრილში, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტისადმი გაცემული წინადადებების მნიშვნელოვანი ნაწილი, კვლავ შეუსრულებელია,[287] მათ შორის, აღსანიშნავია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. დანანებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2024 წელს სასამართლო სისტემაში დისტანციური სხდომების გამართვის პროგრამაში (Cisco Meeting Server (CMS)) ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის ფუნქციონალი კვლავ არ დანერგილა, კვლავ არ ქვეყნდება დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მიღებული დასკვნები, შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია საკანონმდებლო ცვლილების შესახებ, რომლითაც მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდის ოქმში ასახულ საიდუმლო ოპერატიულ ინფორმაციაზე პატიმრის წვდომის ბლანკეტური შეზღუდვა გაუქმდება და სასამართლოს დაეკისრება ყოველ ინდივიდუალურ საქმეში ინფორმაციის მსჯავრდებულისთვის გაცნობის შესაძლებლობაზე მსჯელობის ვალდებულება. ასევე შეუსრულებელია პატიმართა ადმინისტრაციული სარჩელების განხილვის ხანგრძლივი ვადით გაჭიანურების სისტემური პრობლემის აღმოსაფხვრელად გაცემული რეკომენდაციებიც, კერძოდ, საკანონმდებლო ან პრაქტიკული ღონისძიებები არ გატარებულა მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის ან ვიწრო სპეციალიზაციის შემოღების სახით.

5.2.სასამართლოში არსებული ინსტიტუციური პრობლემები

წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ 2024 წლის იმ ძირითად მოვლენებს, რომლებიც სასამართლო სისტემაში ინსტიტუციურ და მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის კუთხით არსებულ გამოწვევებს ადასტურებს.

5.2.1.მოსამართლეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულია თანამდებობის პირთა, მათ შორის, მოსამართლეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის პროცედურა. მისი მიზანია წარმოდგენილი ქონებრივი დეკლარაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა.[288] 2024 წლის 3 აპრილს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში მიმდინარეობს ცალკეული მოსამართლეების[289] საქმის განხილვა, რომლითაც ისინი ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 8 დეკემბრის №72 ბრძანების და ამ ბრძანებით განსაზღვრული, 2024 წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისთვის შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის 2024 წლის 12 იანვრის №1 სხდომის ოქმის ბათილად ცნობას ითხოვენ.

[286] Volkan Aslan, Bakradze v. Georgia: A Landmark Shift in the Burden of Proof for Judicial Appointments, Strasburg Observers, 21.02.2025. < https://bit.ly/3Qw0Rbx > [25.02.2025].
[287] სახალხო დამცველის 2023 საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2024, გვ. 130-131.
[288] „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის 18[1] მუხლი.
[289] მიხეილ ჩინჩალაძის, ლევან მურუსიძის, სერგო მეთოფიშვილისა და ვასილ მშვენიერაძის.

სასამართლოში საქმისწარმოების დაწყების პარალელურად, უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებულია აქტის მოქმედების შეჩერება.[290] შედეგად, დღეის მდგომარეობით, ამ მოსამართლეთა ქონების დეკლარაციის გადამოწმების პროცესი შეჩერებულია, ხოლო მოსამართლეთა შემოწმების თაობაზე საქმეების განხილვის მიმდინარეობისას დარღვეულია კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადები.[291]

სახალხო დამცველი სასამართლო ხელისუფლებას ზემოხსენებული მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეების პრიორიტეტულად განხილვისკენ მოუწოდებს.

სასამართლო ხელისუფლების სისტემაში კორუფციის რისკების შემცირების ხელშესაწყობად, გასულ წელს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს მოუწოდა, კანონმდებლობაში შეეტანა ცვლილებები და დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის სავალდებულო გაეხადა ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნება.[292] სამწუხაროდ, ეს წინადადება საანგარიშო პერიოდში არ შესრულებულა.

5.2.2.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტება

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, გაუქმდა პრეზიდენტის 2024 წლის 15 ივლისის განკარგულება, რომლითაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არამოსამართლე წევრი დანიშნა[293] და პრეზიდენტს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრად ამავე საქმეზე მოსარჩელის დანიშვნა დაევალა.[294]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნა საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებაა,.[295] „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 47-ე მუხლის 11^1 ნაწილის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს ნიშნავს კონკურსის საფუძველზე. კონკურსის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია ოფიციალურ ვებგვერდზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით. ამასთანავე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია „საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშვნისა და თანამდებობებიდან გათავისუფლების

[290] საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ადმინისტრაციის უფროსის 2024 წლის 3 აპრილის წერილი №00005414.

[291] ანტიკორუციული ბიუროს 2025 წლის 7 თებერვლის წერილი №0002029, რომლის თანახმადაც 2025 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოსამზადებელი სხდომა სერგო მეთოფიშვილის საქმეზე გაიმართა 2025 წლის 22 იანვარს, ლევან მურუსიძის საქმეზე კი - 2025 წლის 24 იანვარს. რაც შეეხება მოსარჩელეების - მიხეილ ჩინჩალაძისა და ვასილ მშვენიერაძის საქმეებს, სასამართლო სხდომა ამ დრომდე არ ჩატარებულა.

[292]სახალხო დამცველის 2023 საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2024, გვ. 111.

[293] ინტერპრესნიუსი, პრეზიდენტმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრად კახა წიქარიშვილი დანიშნა, 15.07.2024 https://shorturl.at/6UuLX > [26.02.2025].

[294] სასამართლომ იუსტიციის საბჭოში წიქარიშვილის დანიშვნა ბათილად ცნო და ადმინისტრაციას კაკოჩაშვილის დანიშვნა დაავალა, პუბლიკა, 12,03,2025 < https://shorturl.at/VJT5t > 13.03.2025.

[295] საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

უფლებამოსილებებთან, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა"–„დ", „ვ" და „თ" ქვეპუნქტებით ... " განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 12 მარტის ეს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს საკითხებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისგან.[296] მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2014 წლის განჩინებით, ისევე როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ 2025 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, გაიზიარა მოსაზრება, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის შერჩევასთან დაკავშირებული განკარგულების კანონიერების შემოწმება სასამართლო კონტროლს მხოლოდ პროცედურული ნორმების დაცვის თვალსაზრისით ექვემდებარება. ამ შემოწმების ფარგლებში, სასამართლომ შემდეგი მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა აპელანტის არგუმენტზე - პრეზიდენტის მხრიდან კანდიდატის შერჩევის პროცესში შერჩევის ისეთი კრიტერიუმის დარღვევასთან დაკავშირებით, როგორიცაა შერჩეული კანდიდატის პროფესიული კვალიფიკაცია: „კანდიდატის შერჩევის თავისუფლების ფარგლები გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, კანდიდატის შერჩევა მიეკუთვნება საქართველოს პრეზიდენტის დისკრეციას, რის გამოც გამორიცხულია სასამართლოს მხრიდან მასში რაიმე სახით ჩარევა... კანდიდატის შეფასება სცდება სასამართლოს კომპეტენციას".[297]

თუმცა განსხვავებით ზემოაღნიშნული 2025 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებისგან, თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2014 წლის 24 ოქტომბრის განჩინებაში დაასკვნა, რომ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ის ამ შემთხვევაში რჩება ადმინისტრაციული მოწესრიგების სფეროს მიღმა და სარგებლობს განსაკუთრებული დისკრეციით, რაშიც სასამართლოს ჩარევა, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელია.[298] ამის საფუძველზე სასამართლომ შეუძლებლად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის განხილვა-გადაწყვეტა, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს პრეზიდენტის დავალდებულებას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად დაენიშნა კონკურსის მონაწილე, რომელიც პრეზიდენტის განკარგულებით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა.[299]

[296] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, №3ბ/-14.
[297] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, №3ბ/-14, გვ. 21.
[298] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, №3ბ/-14, გვ. 16.
[299] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 მარტის №ბს-779-765(კ-14) განჩინება.

ზემოთ განხილული სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის განჩინებისგან განსხვავებით, ამ საქმეზე, 2025 წლის სამართალწარმოებისას, თბილისის საქალაქო სასამართლოს წინაშე პრეზიდენტის წარმომადგენლებმა ცნეს სარჩელი.[300] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმე მორიგებით დაამთავროს, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.“ გამომდინარე აქედან, სარჩელის ცნობა ავტომატურად არ იწვევს მოთხოვნის დაკმაყოფილებას. სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს მოთხოვნათა იურიდიული გამართულობა და მხოლოდ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება.[301] შეზღუდვის მიზანია განსაკუთრებულ სიტუაციაში გამოირიცხოს მხარის ინიციატივით ადმინისტრაციული პროცესის დამთავრება საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევის გარეშე. აღნიშნული წინაპირობა კონტროლს ახორციელებს ადმინისტრაციული პროცესის წარმართვაზე და ქმნის დავის საფუძვლიანად გამოკვლევის გარანტიას.[302]

დამატებით, ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებების სამართლებრივ ბუნებაზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „კონსტიტუცია იცნობს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს, რომლებიც მოქალაქეობის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით, კანონისმიერი რეგულირების დათქმით შემოფარგლული არ არის, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მსგავსი უფლებამოსილების განხორციელებისას პრეზიდენტის დისკრეციის ფარგლები განსაკუთრებით ფართოა“.[303] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან დაკავშირებით, კონსტიტუცია, განსხვავებით სხვა ზოგიერთი უფლებამოსილებისგან, მაგალითად, მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებით, არ მიუთითებს, სხვა კანონმდებლობით დადგენილ პროცედურაზე. რაც, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, აქცევს იმ უფლებამოსილებათა ნუსხაში, რომლის სარგებლობისას პრეზიდენტს განსაკუთრებულად ფართო დისკრეცია აქვს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ წინამდებარე ქვეთავში განხილული საქმე სასამართლომ სამართალწარმოებაში 2024 წლის 22 ივლისს მიიღო. შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის 7 თვეზე მეტი იყო გასული, რითაც დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ვადები.[304] შედეგად, ამ ხნის განმავლობაში, საბჭოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრის გარეშე უწევდა საქმიანობა.

---

[300] სასამართლომ იუსტიციის საბჭოში წიქარიშვილის დანიშვნა ბათილად ცნო და ადმინისტრაციას კაკოჩაშვილის დანიშვნა დაავალა, ტაბულა, 12.03.2025. < https://shorturl.at/6luzf > [21.03.2025].

[301] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, ვაჩაძე, თორდია, ტურავა, წკეპლაძე, 2005, გვ. 27.

[302] ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, კოპალეიშვილი, სხირტლაძე, ქარდავა, ტურავა, 2008, გვ. 22.

[303] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 7 მარტის №3/3/1601 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-35.

[304] ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მესამე ნაწილით, საქმის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლოა, გაგრძელდეს 5 თვემდე.

5.2.3. სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა

სახალხო დამცველი მიესალმება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში 2023 წლის 13 ივნისს შეტანილ ცვლილებებს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის ნაწილში. ახალი რეგულაციით, აქტების ხელმისაწვდომობის სრულიად ახალი, ბევრად გამარტივებული მოდელი დადგინდა, რომლის ამოქმედების ვადად 2024 წლის 1 იანვარი განისაზღვრა. ამავე დროს, კანონმდებლობის დონეზე გამარტივდა სასამართლოს გადაწყვეტილებების საჯარო ინფორმაციის სახით მიღება.[305]

სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის არ არის ამოქმედებული ზემოაღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციები აქტების პროაქტიულად გამოქვეყნების ნაწილში. მიუხედავად საკანონმდებლო რეგულაციისა, საანგარიშო პერიოდში, სასამართლო აქტები სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებების გამოქვეყნებისთვის შექმნილ სპეციალურ ვებგვერდზე: http://ecd.court.ge/ არ გამოქვეყნებულა.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეეზღუდათ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დასწრება.[306] სახალხო დამცველმა მიმართა საბჭოს ამ შეზღუდვის დასაბუთების თაობაზე,[307] თუმცა საბჭოს ამ საკითხზე ინფორმაცია არ წარმოუდგენია.[308]

5.2.4.მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და იძულებითი მივლინება

სახალხო დამცველი მიესალმება 2024 წლის 29 მაისს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ. ზ“ ქვეპუნქტში შეტანილ ცვლილებებს, რომლითაც დისციპლინური პასუხისმგებლობისგან გამონაკლისად დადგინდა „სასამართლო რეფორმის შესახებ, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესების თაობაზე ან/და სამართლის განვითარების სხვა საკითხზე მოსამართლის მეცნიერული ან/და ანალიტიკური მსჯელობა“. ამ ნაბიჯით, საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია.[309] ამასთანავე, საგულისხმოა, რომ არსებული დისციპლინური პასუხისმგებლობების ჩამონათვალი ისედაც ზღუდავს მოსამართლეს პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვისგან, მათ შორის, პოლიტიკური შეხედულებების საჯაროდ გამოხატვისგან.[310] გამომდინარე აქედან, სახალხო დამცველი პრაქტიკაში დააკვირდება, დისციპლინური სამართალწარმოების განმავლობაში, თუ რამდენად

[305] სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობა: პროგრესი და საკვანძო გამოწვევები, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2024, გვ. 16. https://idfi.ge/public/upload/Analysis/Accessibility%20of%20Geo.pdf

[306] ინტერპრესნიუსი, საია-ს და „სასამართლოს გუშაგის“ წარმომადგენლები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე არ შეუშვეს. < https://shorturl.at/puWgE > [04.03.2025].

[307] სახალხო დამცველის 2025 წლის 31 იანვრის №25/1028 წერილი.

[308] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 17 თებერვლის №130/244-03-ო წერილი.

[309] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FOLLOW-UP OPINION TO PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2023)033, 2023, პარა. 31-33 < https://shorturl.at/jzHIZ > [05.02.2025].

[310] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.ე.“ ქვეპუნქტი.

სათანადოდ იქნება დაცული მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები.

დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული რეფორმის ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორად, ამ მიმართულებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობის ტემპიც უნდა განიხილებოდეს. ამ მხრივ, საბჭოს მუშაობა, გასული წლებისგან განსხვავებით,[311] 2024 წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა. საბჭომ 2024 წელს 391 დისციპლინური საქმე განიხილა,[312] რითაც ჯამურად გადააჭარბა წინა სამ წელიწადში განხილული საქმეების რაოდენობას.[313]

სახალხო დამცველი გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში უარყოფითად აფასებდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში 2021 წლის დეკემბრის ბოლოს შეტანილ ცვლილებებს, რომელთა საფუძველზეც, მათ შორის, მოსამართლის თანხმობის გარეშე მივლინების მაქსიმალური ვადა 1-დან 4 წლამდე გაიზარდა.[314] 2024 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, თანხმობის გარეშე მივლინების საერთო ვადა 4 წლიდან შემცირდა 3 წლამდე, რაც პოზიტიური ნაბიჯია, თუმცა არა საკმარისი.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, 2023 წლის მსგავსად, საბჭოს არ გამოუყენებია მოსამართლის თანხმობის გარეშე სხვა სასამართლოში მივლინების უფლებამოსილება.[315] რაც შეეხება თანხმობით მივლინებებს, საერთო ჯამში საბჭომ, 2024 წელს, მათივე თანხმობით, 6 მოსამართლის მივლინების თაობაზე იმსჯელა და გამოსცა განკარგულება. ყველა მივლინება დასაბუთებული იყო მოსამართლეთა ნაკლებობით. თუმცა ორი მივლინება ურთიერთგამომრიცხავი დასაბუთებით განხორციელდა: საბჭომ 30 იანვარს 2 განკარგულება გამოსცა - ერთი განკარგულებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ეკატერინე ელიაძე მიავლინა მცხეთის რაიონულ სასამართლოში, რადგან მცხეთის რაიონულ სასამართლოში მოსამართლეთა ნაკლებობისა და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭომ საჭიროდ მიიჩნია სხვა მოსამართლის მივლინება.[316] ამავე დროს კი, იმავე დღეს, საბჭომ მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, რომან კუპატაძე რუსთავის საქალაქო სასამართლოში მიავლინა.[317]

[311] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 114.
[312] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 17 თებერვლის №130/244-03-0-ო წერილი.
[313] შედარებისთვის იხ. სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 114.
[314] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 100-102; სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 111-112; სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 115.
[315] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 17 თებერვლის №130/244-03-0-ო წერილი.
[316] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 იანვრის განკარგულება №1/6.
[317] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 იანვრის განკარგულება №1/5.

5.3.საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება

5.3.1.საქმეთა განხილვა საერთო სასამართლოების სისტემაში

საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვა, გასული წლების მსგავსად, სასამართლოში დაუძლეველ პრობლემად რჩება. ამასთანავე, კანონმდებლობის მოთხოვნის[318] მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოები არ აგროვებენ თავიანთ სასამართლოში არსებული საქმისწარმოების ვადების დაცვასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს. შესაბამისად, არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რამდენი საქმე დასრულდა კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით და რამდენი დარღვევით.[319]

სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე, 2024 წლის სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით შემდეგნაირად გამოიყურება:

	სულ განხილული საქმეების რაოდენობა (2024 წ.)	კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (სისხლის სამართლის საქმეები)			
		2024 წ.	2023 წ.[320]	2022 წ.[321]	2021 წ.[322]
თბილისის სააპელაციო სასამართლო	1429	17,28 %	20.4%	17,6%	31%
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	921	23,12%	20,9%	16,8%	18,7%

[318] „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი: 1. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე: ე) ორგანიზებას უწევს სასამართლოს მუშაობას, შეისწავლის და განაზოგადებს საქმეთა ნაკადის მართვის შესახებ ინფორმაციას (მათ შორის, საქმეთა შემოსვლისა და დასრულების მაჩვენებლებს, საქმისწარმოების ვადებს, სხდომების გადადებისა და საქმისწარმოების შეფერხების მიზეზებს) და ამ ინფორმაციას წელიწადში ერთხელ მაინც აწვდის მოსამართლეებსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს; თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ზომებს საქმისწარმოების შეფერხების სისტემური მიზეზების აღმოსაფხვრელად.

[319] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 12 თებერვლის №49/2025 წერილი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 13 თებერვლის №83 - 2/10.

[320] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 117.

[321] სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 115.

[322] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 104.

უზენაესი სასამართლო[323]	1502	0,13%	0,52%	1,04%	22,7%

სისხლის სამართლის საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვის უფლების დარღვევის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია ექსპერტიზის გაუმართლებელი გაჭიანურება. ერთ-ერთი საქმის[324] შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ექსპერტიზა ნაცვლად კანონმდებლობით გათვალისწინებული 365 დღისა, დასრულდა და დასკვნა მომზადდა მისი დანიშვნიდან 3 წლის შემდეგ.[325] სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ინფორმაციით, გაჭიანურება საექსპერტო დაკვეთის მოცულობისა და ადამიანური რესურსის ფაქტორებით იყო გამოწვეული.[326]

სახალხო დამცველს, გასულ წლებშიც არაერთი საქმე აქვს შესწავლილი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ სამედიცინო ექსპერტიზის გაჭიანურებასთან დაკავშირებით.[327] სამწუხაროა, რომ სისხლის სამართლის ექსპერტიზის დასრულებისა და დამკვეთისთვის გადაცემის გაჭიანურების პრობლემა შენარჩუნებულია.

	სულ განხილული საქმეების რაოდენობა (2024 წ.)	კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეები)			
		2024 წ.	2023 წ.[328]	2022 წ.[329]	2021 წ.[330]

[323] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 24 თებერვლის წერილი №3-61-25.
[324] სისხლის სამართლის №170300820001 საქმე.
[325] ამ საქმეზე დეტალური მონაცემები იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[326] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 9 ივნისის №2024/1723 წერილი.
[327] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 2024, 195-201. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, 2024, 39-40.
[328] სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, გვ. 118.
[329] სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში, გვ. 115-116.
[330] სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, თბილისი, 2022, 105.

თბილისის სააპელაციო სასამართლო	1409	32,4%	16,39%	15,5%	56%
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	703	36,4%	33,1%	51,6%	35%
უზენაესი სასამართლო[331]	1471	94,54%	93,4%	95,6%	99,9%
უზენაესი სასამართლო (დასაშვებობის ეტაპი)	1151	64.03%	54,08%	54,6%	77%

სამწუხაროდ, საქმეთა განხილვის ვადების მხრივ, არათუ გაუმჯობესდა სიტუაცია, არამედ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კუთხით, გაუარესდა კიდეც. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მცირედით, ხოლო თბილისის სააპელაციოში არსებითად გაიზარდა კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით განხილულ საქმეთა პროცენტული რაოდენობა.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდშიც, გასული წლების მსგავსად, კვლავ გამოვლინდა პატიმართა სარჩელების სასამართლოში განხილვის გაჭიანურების შემთხვევები. [332] ერთ-ერთ საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამზადებელი სხდომა სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 9 თვეზე მეტი პერიოდის შემდეგ დაინიშნა.[333]

5.3.2.საერთო სასამართლოებში თავმჯდომარეთა არჩევის წესი

თბილისის საქალაქო სასამართლო, გასული წლის მსგავსად, კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, არ ამუშავებს სტატისტიკურ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რამდენი საქმე აქვს თითოეულ მოსამართლეს წარმოებაში, წლის განმავლობაში რამდენი ახალი საქმე ეწერებათ მათ და რამდენი საქმის განხილვის დასრულებას ახერხებენ.

დამატებით, სახალხო დამცველი, წლებია, ითხოვს სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის დემოკრატიული წესის შემოღებას, რომლის მიხედვითაც მოსამართლეები

[331] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2025 წლის 24 თებერვლის წერილი №3-61-25.
[332] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" 2020 წლის ანგარიში, გვ. 136-137; 2021 წლის ანგარიში, გვ. 104-106; 2022 წლის ანგარიში, გვ. 115-116; 2023 წლის ანგარიში, გვ. 118-119.
[333] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 16 თებერვლის განჩინება (საქმე №3/1075-24).

თავად აირჩევენ თავმჯდომარეებს, ნაცვლად საბჭოს მიერ პირის თანამდებობაზე გამწესებისა. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში არც ეს რეკომენდაცია შესრულებულა.

5.3.3.საქმეთა განხილვის ვადები საკონსტიტუციო სასამართლოში

2024 წლის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლოში 42 კონსტიტუციური სარჩელი და 2 კონსტიტუციური წარდგინება დარეგისტრირდა. მათგან, სასამართლომ მხოლოდ 12 საოქმო ჩანაწერი და 10 განჩინება მიიღო.[334] საანგარიშო პერიოდში სასამართლომ არსებითად განიხილა 17 კონსტიტუციური სარჩელი, რომელთაგანაც ყველა 2018-2023 წლებში იყო წარდგენილი. საერთო ჯამში, 2024 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ 32 საოქმო ჩანაწერი და 56 განჩინება მიიღო.

გასული წლის სტატისტიკური მონაცემი საანგარიშო პერიოდში მცირედით შემცირდა და სასამართლომ საერთო ჯამში 18 გადაწყვეტილება მიიღო. შესაბამისად, წლებია, კვლავ არაერთი საქმე ელოდება გადაწყვეტილების გამოტანას, მიუხედავად იმისა, რომ მათი არსებითი განხილვა დამთავრებულია. ამ ეტაპზე ასეთი საქმეების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

სარჩელის რეგისტრაციის წელი	საქმეთა რაოდენობა, რომელთა განხილვა დასრულებულია და ელოდებიან გადაწყვეტილების გამოტანას
2015	3
2016	10
2017	6
2018	6
2019	6
2020	7
2021	9
2022	4
2023[335]	
2024	0

დღეის მდგომარეობით არსებითი განხილვა დასრულებულია და გადაწყვეტილების გამოცხადებას ელოდება 61 კონსტიტუციური სარჩელი, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში რეგისტრირებულია და განმწესრიგებელი სხდომის ჩანიშვნას ელოდება 70, ხოლო არსებითი სხდომის განხილვას 31 კონსტიტუციური სარჩელი.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით არ არის მკაცრად დარეგულირებული საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვასთან

[334] საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 20 თებერვლის №01/60 წერილი.
[335] 2023 წლის მონაცემები არ წარმოუდგენია სასამართლოს. დანარჩენი მონაცემები აღებულია გასულ წლებში მიღებული წერილებიდან და სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდიდან: https://constcourt.ge/

დაკავშირებული ვადები.[336] სახალხო დამცველის წინადადება,[337] განესაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საპროცესო ვადები ეფექტიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად, საანგარიშო პერიოდში არ შესრულებულა.

5.4.სამართლიანი სასამართლოს უფლება პატიმართა სასჯელისგან გათავისუფლების მექანიზმების ფარგლებში[338]

5.4.1.სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის, ან განაჩენის აღსრულების გადავადება ავადმყოფობის ან ორსულობის საფუძვლით.

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის/ხანდაზმულობის/ორსულობის გამო სასჯელის მოხდის გადავადების ან/და გათავისუფლების საკითხების განხილვისას 2015-2023 წლების სასამართლო პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები და ამ საკითხზე სპეციალური ანგარიში გამოსცა.[339] პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების/გადავადების საქმისწარმოება ხასიათდება არაერთი ხარვეზით, რომელთა ერთიანი სტანდარტით გადასაწყვეტად საჭიროა ცვლილებების შეტანა კანონმდებლობაში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- პენიტენციური სამსახური, როგორც წესი, არ მიმართავს სასამართლოს პროცედურის დაწყების მოთხოვნით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულებს უწევთ სასამართლოსთვის მიმართვა, იმ ფონზე, როდესაც ექსპერტიზას ნიშნავს და ატარებს პენიტენციური სამსახური და არსებობს შესაბამისი მძიმე დასკვნა[340]
- არაერთგვაროვანი პრაქტიკა გვხვდება იმ მსჯავრდებულების სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც მძიმე ავადმყოფობის გამო გამოყენებულია სასჯელის მოხდის გადავადება და ვინც ითხოვს სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას. უმეტეს შემთხვევაში, მსჯავრდებული არ თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან. დადასტურდა მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ ის მსჯავრდებული გაათავისუფლა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან,

[336] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 120.
[337] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 130.
[338] წინამდებარე ქვეთავში მოხმობილი ინფორმაცია დეტალურად ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში. ასევე, შესაბამის სპეციალურ ანგარიშებში.
[339] „ავადმყოფობის, ხანდაზმულობის ან ორსულობის გამო განაჩენის აღსრულების გადავადებისა და სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების მექანიზმები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2024.
[340] კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც სამსახურმა სასამართლოს მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიმართა.

რომლის მიმართაც, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, უკვე გამოყენებული იყო სასჯელის მოხდის გადავადება

- საპროცესო კანონმდებლობა არ აძლევს მხარეს შესაძლებლობას სააპელაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენით განიხილოს ის მტკიცებულება, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული იყო კანონის დარღვევით
- კანონმდებლობით არ არის რეგულირებული, სასჯელის გადავადების ან განთავისუფლების შუამდგომლობით მიმართვამდე რა პერიოდით ადრე უნდა იყოს ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ეს საკითხი არც პრაქტიკით არის დადგენილი
- არ გამოვლენილა არსებითი ხარვეზები ორსულობის ან ბავშვის ერთი წლის ასაკის მიღწევამდე მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოხდის გადავადების მექანიზმის შესწავლის შედეგად.

5.4.2.პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის შეცვლის მექანიზმის მუშაობის ეფექტიანობა, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის და მათი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეები[341]

პენიტენციურ სისტემაში, 2024 წლის 28 ნოემბრის მდგომარეობით, განთავსებული იყო უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული 89 პირი, მათ შორის 86 მამაკაცი და 3 - ქალი. მათგან საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული შეწყალების აქტით, 4 მსჯავრდებულს (მამაკაცს) განსაზღვრული აქვს გათავისუფლების თარიღი.

სახალხო დამცველმა შეისწავლა უვადო მსჯავრდებულების სისხლის სამართლის საქმეები და მათი ისტორია პენიტენციურ სისტემაში სასჯელის მოხდის პერიოდში. შესწავლამ მოიცვა იმ პატიმართა საქმეები, რომლებსაც პენიტენციურ დაწესებულებაში ფაქტობრივად მოხდილი აქვთ 12 წელი.[342] დამატებით გაანალიზდა უვადო თავისუფლების აღკვეთის ირგვლივ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და გათავისუფლების შესაძლებლობის საკანონმდებლო მექანიზმები საქართველოსა და უცხო ქვეყნებში.

---

[341] წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილი საკითხების დეტალური ანალიზი ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, „უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი", 2025.

[342] მოცემული ვადის განსაზღვრა განაპირობა იმან, რომ 2021 წლის 9 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა", რაც სავალდებულოა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისთვის, რომელსაც სურს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება ან დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლა. პროგრამის დაწყების შესაძლებლობა კი აქვს ისეთ მსჯავრდებულს, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა 12 წელი. ამ დროისთვის პენიტენციურ სისტემაში ასეთი 59 უვადოდ მსჯავრდებული პირი იმყოფება, რომელთაგან ერთმა უარი განაცხადა მის შესახებ არსებული ინფორმაციის აპარატისთვის გადაცემაზე. კვლევის ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი სრულად გაეცნო 47 სისხლის სამართლის საქმის მასალებს 58 უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ.

შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები, როგორც სისხლის სამართლის საქმისწარმოებასთან, ისე მსჯავრდებულების მიერ სასჯელის მოხდასთან დაკავშირებით:

- უვადო თავისუფლების აღკვეთისა და საშეღავათო მექანიზმების თაობაზე საქართველოში არსებული მარეგულირებელი ნორმები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს
- შესწავლილ საქმეთა დიდი ნაწილი პროცედურულად და შინაარსობრივად მიესადაგება მათი განხილვის დროს არსებულ კანონმდებლობას. თუმცა მტკიცებულებების მოპოვების ხარისხი და ტექნოლოგიები არ შეესაბამება თანამედროვე შესაძლებლობებს
- გამოიკვეთა დაუსაბუთებლობის პრობლემა რამდენიმე საქმეში, სადაც მტკიცებულებების ერთობლიობა არ ფანტავს გონივრულ ეჭვს პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, რაც არსებითად პრობლემურია, რადგან ამგვარი განაჩენებით პირები უვადო თავისუფლების აღკვეთით არიან მსჯავრდებულები
- ერთ-ერთ საქმეში გამოიკვეთა სასჯელის განსაზღვრისთვის სათანადო დასაბუთების არარსებობა. ასევე, ერთ-ერთ საქმეში სამ მსჯავრდებულს არ მიეცა საქმის სააპელაციო განხილვაში პირადად მონაწილეობის შესაძლებლობა
- 20 საქმეში გამოიკვეთა ახლად გამოვლენილი გარემოებები, რომელთა თაობაზეც მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ ინფორმაცია და, შესაბამისად, არ ჰქონდათ მიმართული სასამართლოსთვის განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. აქედან, 3 მსჯავრდებულის შემთხვევაში სახალხო დამცველის აპარატმა მიიჩნია, რომ არსებობს პატიმრების გათავისუფლების საფუძველი. მათგან 1 მსჯავრდებული, სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობით უკვე გათავისუფლდა პენიტენციური დაწესებულებიდან. კერძოდ, პირი, რომელიც 2004 წლიდან იხდიდა სასჯელს და რომელიც კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შედეგად ჯერ კიდევ 2019 წელს უნდა გათავისუფლებულიყო, შეიძლებოდა პენიტენციურ სისტემაში, კანონშეუსაბამოდ, უვადოდ ყოფილიყო სიცოცხლის ბოლომდე, რომ არა მოცემული ანგარიშის შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის მიერ გამოვლენილი სამართლებრივი გარემოებები. უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირს დაუყოვნებლივ ეცნობა აპარატის მიერ გამოვლენილი საკითხების შესახებ, რის საფუძველზეც მან მიმართა სასამართლოს, ხოლო სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით ჩაერთო საქმის წარმოებაში, შედეგად, მსჯავრდებული სხდომათა დარბაზიდან გათავისუფლდა
- ერთ-ერთი მსჯავრდებულის ბრალდების საქმე, მისი მსჯავრდების შემდეგ აღარ იძებნება პროკურატურასა და სასამართლოებში. საქმის სრული მასალების არარსებობის პირობებში, მსჯავრდებული მოკლებულია შესაძლებლობას იდავოს ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო, ასეთის გამოვლენისა და სურვილის შემთხვევაში
- საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, 4 მსჯავრდებულს არ მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა საქმის ორი ინსტანციის მიერ განხილვის უფლებით
- უვადოდ მსჯავრდებულ 9 პირს, ქმედება, რამაც მისი უვადოდ მსჯავრდება გამოიწვია, 21 წლის ასაკის მიღწევამდე აქვს ჩადენილი.

მიუხედავად იმისა, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებს, კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეეცვალოთ შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან/და გათავისუფლდნენ სასჯელის შემდგომი მოხდისგან, 2024 წლის მდგომარეობით, ასეთი საშეღავათო მექანიზმის გამოყენებით არცერთ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს არ დაუტოვებია პენიტენციური დაწესებულება, მათ შორის, არც იმ 37 მსჯავრდებულს, რომელთაც დასრულებული აქვთ „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა“, რომლის ხანგრძლივობა 2 წელია.[343]

სახალხო დამცველის აპარატისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად,[344] ირკვევა, რომ, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ, შუამდგომლობის/საჩივრების განხილვის დროს მსჯავრდებულის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და შესაბამისად, მისი პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებაზე უარის თქმის ძირითადი საფუძველი არის მსჯავრდებულის მიერ მოხდილი სასჯელის ვადის არასაკმარისად მიჩნევა. განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის პროპორციული სასჯელის მოხდის მოთხოვნა სასამართლოს მხრიდან, ცხადია, შეიძლება სამართლიანი მოთხოვნა იყოს, თუმცა, მნიშვნელოვანია სასამართლომ ასევე საფუძვლიანი ყურადღება დაუთმოს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების ქცევის ცვლილების დინამიკას, გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი პროგრამის ანგარიშს, პატიმრის დადებით დახასიათებას და ყველა კომპონენტის ერთობლივად მხედველობაში მიღებით გამოიტანოს გადაწყვეტილება, რათა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს არ დარჩეთ განცდა, რომ მათ მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაულები მათი გათავისუფლების პერსპექტივას მხოლოდ აბსტრაქტულ ხასიათს ანიჭებს.

2024 წლის განმავლობაში, სასამართლოებმა ერთ-ერთ საქმეზე შუამდგომლობის განხილვისას მსჯავრდებულის პიროვნებისა და სხვა გარემოებების არსებითად განხილვასა და შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე კვლავ უარი თქვეს იმ საფუძვლით, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონკრეტული მსჯავრდებული შეწყალებულია და დადგენილი აქვს გათავისუფლების ვადა, რის გამოც ასეთი მსჯავრდებულები აღარ არიან უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები და, შესაბამისად, მათზე აღარ ვრცელდება

[343] 2024 წლის განმავლობაში განხილული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების/შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის თაობაზე განხილული შუამდგომლობების შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2024 წლის ანგარიშში.

[344] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2025 წლის 24 იანვრის №2070/01 წერილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 23 იანვრის №164 წერილი. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 22 იანვრის №08 წერილი. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 22 იანვრის №22 წერილი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 23 იანვრის №1571 წერილი. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 24 იანვრის №26 გ/კ წერილი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 24 იანვრის №14/2025 წერილი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 24 იანვრის №41-2/10 წერილი.

უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულების მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული საშეღავათო მექანიზმები.[345] აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოებში არ არის ერთგვაროვანი მიდგომა იმ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა საკითხის შეფასებისას, რომელთაც პრეზიდენტის აქტით დადგენილი აქვთ გათავისუფლების თარიღი.[346] საქართველოს პარლამენტს, დღეის მდგომარეობით, არ განუხორციელებია საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პირობით ვადამდე გათავისუფლების/შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის საკითხი, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტით განსაზღვრული აქვს გათავისუფლების ვადა, უნდა განიხილოს საერთო სასამართლოებმა თუ სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისმა ადგილობრივმა საბჭოებმა, კვლავ შუამდგომლობის განმხილველი ორგანოს (სასამართლო, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო) ინდივიდუალური განმარტების შესაბამისად წყდება. ეს კი, კვლავ ქმნის არაერთგვაროვანი პრაქტიკისა და არაერთგვაროვანი მიდგომის საფრთხეს, რამდენადაც ერთი ორგანოს მიერ შუამდგომლობის განხილვის შემთხვევაში, შესაძლოა, კონკრეტული მსჯავრდებულის მდგომარეობა გაუარესდეს, მაშინ, როდესაც მეორე ორგანოს მიერ შუამდგომლობის განხილვის შემთხვევაში მსჯავრდებულმა, შესაძლოა, ისარგებლოს საშეღავათო მექანიზმით.

5.5.ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება[347]

სახალხო დამცველი არაერთი წელია მოუწოდებს სახელმწიფო უწყებებს აღასრულონ საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის პრეცედენტული გადაწყვეტილება,[348] რომელმაც გააუქმა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ჩხრეკის ჩამტარებელ გამომძიებლებს შეეძლოთ, მაგრამ არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[349]

მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს არ უცდიათ, მოეპოვებინათ პირადი ჩხრეკის ამსახველი იმგვარი ნეიტრალური მტკიცებულება, რაც ობიექტურ დამკვირვებელს, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის

[345] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 3 დეკემბრის განჩინება №439/19025 საქმეზე; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 22 მაისის განჩინება №419/22384 საქმეზე.

[346] იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 260.

[347] დეტალური ინფორმაცია იხილეთ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[348] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-104.

[349] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 123. სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 123-125. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 151-153.

ჩადენაში. ჩხრეკის შედეგად ნარკოტიკული საშუალების ამოღების ფაქტს ადასტურებდა მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პოლიციელების ჩვენებები.[350] ეს ხარვეზი არც სააპელაციო და არც უზენაესი სასამართლოს დონეზე არ გამოსწორებულა.[351]

5.6.დაცვის უფლების ხელყოფა და დაცვის მხარისთვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრება[352]

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა უ. ა.-ს მიმართ დაცვის უფლების ხელყოფის გარემოებები მისი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას.[353] აღსანიშნავია, რომ იმ მომენტიდან, როდესაც უ. ა.-ს შეეზღუდა გადაადგილების თავისუფლება და პოლიციელების ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, ის უკვე იყო დაკავებული/ბრალდებული და მას ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება ჰქონდა.

მართალია, კანონით, ადვოკატის დაუსწრებლობა არ აბრკოლებს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის ჩატარებას, თუმცა საგულისხმოა, რომ ბინას მთლიანად პოლიციელები აკონტროლებდნენ, რაც ბინაში არსებული სავარაუდო მტკიცებულებების განადგურების საფრთხეს გამორიცხავდა. საყურადღებოა, რომ ადვოკატები კორპუსის სადარბაზოს შესასვლელ კართან იყვნენ, მაგრამ პოლიციელებმა ისინი დააყოვნეს და არ მისცეს ჩხრეკის პროცესზე დასწრების შესაძლებლობა. საგამოძიებო ორგანოს მოეთხოვებოდა არა ჩხრეკის გადადება, არამედ უკვე დაწყებულ ჩხრეკაზე ადგილზე მყოფი ადვოკატების დასწრების უზრუნველყოფა, რათა მათ დაუბრკოლებლად შეძლებოდათ დაცვის განხორციელება.

გამომდინარე ზემოალნიშნულიდან, იმ ფონზე, როდესაც ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები სავარაუდოდ იყო უ. ა.-ს ბრალდების დამაფუძნებელი სავარაუდო მტკიცებულებები, რომელთა მოსაპოვებლად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკისას ბრალდებულის ადვოკატებისთვის დასწრების შეზღუდვა, შესაძლოა, სწორედ უ. ა.-ს დაცვის განხორციელების ხელშეშლის მიზანს ემსახურებოდა. მით უმეტეს, გაურკვეველია, დაცული იქნა თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტი.[354]

სახალხო დამცველის შეფასებით, დაცვის მხარის დაკავებულ ბრალდებულთან - უ. ა.-სთან 55 წუთის განმავლობაში (ჩხრეკის დასრულებამდე) ადვოკატების შესვლის აკრძალვა

[350] სისხლის სამართლის საქმე №070130821002.

[351] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 14 ნოემბრის განაჩენი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 12 იანვრის განჩინება.

[352] დეტალური ინფორმაცია იხ. სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[353] ტელევიზიების პირდაპირი ეთერის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჩხრეკის მიმდინარეობისას, საცხოვრებელი ბინის კართან მდგომი პოლიციელები ადვოკატებს ბინაში არ უშვებდნენ დაახლოებით 55 წუთის განმავლობაში. ამასთანავე, ადვოკატების შენობაში შესვლიდან 7 წუთში, დაკავებული უ. ა. პოლიციელებმა შენობიდან ჩამოიყვანეს და მანქანაში ჩასვეს.

[354] იხ. წინამდებარე თავის ქვეთავი „ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება“.

ადვოკატების საქმიანობაში უკანონო ჩარევაა, რითაც ბრალდებულის დაცვის განხორციელებას ხელი შეეშალა. შესაბამისად, იკვეთებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში უკანონო ჩარევის ნიშნები.

ამასთანავე, უ. ა.-ს სისხლის სამართლის საქმეში დაცვის მხარეს დაეკისრა გაუთქმელობის ვალდებულება. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ადგენს გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლებს და, როგორც წესი, ამ საქმეშიც, დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულება გავრცელდა სისხლის სამართლის საქმის სრულ ინფორმაციაზე.[355]

უწყებების მიერ გავრცელებული საჯარო განცხადებებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] მუხლით გათვალისწინებული ბრალდების საქმის მასალები შეიცავდა სხვა პირების პირადი ცხოვრების თაობაზე ინფორმაციას. შესაბამისად, ამ ინფორმაციის დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა და გამოსადეგი საშუალება შეიძლება იყოს დაცვის მხარისთვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრება. თუმცა, იმ ფონზე, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ გაავრცელეს ინფორმაცია უ. ა.-ს ბრალდების საქმესთან დაკავშირებით და აგრეთვე, გამოაქვეყნეს მტკიცებულებების ნაწილი, აუცილებელი გახდა ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა, რათა საზოგადოებას სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე არ შექმნოდა შთაბეჭდილება ბრალდებულის დამნაშავეობის თაობაზე. შესაბამისად, საქმისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო ბრალდების მხარის საჯარო განცხადებებსა და გამოქვეყნებული მტკიცებულებების ნაწილთან დაკავშირებით დაცვის მხარეს მისცემოდა საწინააღმდეგო პოზიციის და არგუმენტების გამოთქმის შესაძლებლობა. მით უმეტეს, რომ სასამართლოში სხდომათა უდიდესი ნაწილი დახურული იყო. ამასთანავე, უცნობია, უ. ა.-სთვის წარდგენილი ბრალდების საბრძოლო მასალის - მასრების უკანონოდ შენახვის ნაწილში დაცვის მხარისთვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრების დასაბუთება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო, ბრალდების მხარეს ემსჯელა უ. ა.-ს საქმეში დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის ვალდებულების ფარგლების შესახებ და ვალდებულება გაევრცელებინა სხვა პირების პირადი ცხოვრების შემცველ ინფორმაციაზე, მათი იდენტიფიცირების ნებისმიერი ფორმით გამჟღავნებაზე აკრძალვის დაწესებით. შესაბამისად, სახალხო დამცველმა 2024 წლის 6 ივნისს პროკურატურას მიმართა ბრალდებულ უ. ა.-ს დაცვის უფლების განხორციელებისთვის ხელის შეშლის ფაქტზე გამოძიების დაწყებისა და დაცვის მხარისთვის დაკისრებული გაუთქმელობის

[355]უ. ა.-სთვის წარდგენილი ბრალი მოიცავდა ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვასა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი) და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157[1] მუხლი).

ვალდებულების ფარგლების განსაზღვრის თაობაზე წინადადებით.[356] 2024 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, პროკურატურაში კვლავ მიმდინარეობდა წინადადებაში მითითებული გარემოებების შესწავლა.[357]

5.7.მოსამართლეთა უცვლელობის პრინციპი[358]

წლების განმავლობაში, სახალხო დამცველი თავის საპარლამენტო ანგარიშებში[359] მიუთითებდა, რომ სათადარიგო მოსამართლეები საქმის არსებითი განხილვის დაწყებისთანავე არ ინიშნებოდნენ და უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო შემადგენლობის ცვლილებისას საქმის არსებითი განხილვა თავიდან არ იწყებოდა. განაჩენები კი ეყრდნობოდა იმ მტკიცებულებებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეს უშუალოდ არ ჰქონდა გამოკვლეული.

საგულისხმოა, რომ ამ საკითხზე 2024 წელს მიღებული გადაწყვეტილებით[360], საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება[361], და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის (2021 წლის 29 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სათადარიგო მოსამართლეს, რომელიც არ დაუნიშნავთ საქმის განმხილველი მოსამართლისათვის საქმის გადაცემის ეტაპზე, ართმევს საქმის/ცალკეული მტკიცებულებების თავიდან განხილვის/გამოკვლევის შესაძლებლობას მაშინ, როდესაც: მის მიერ საქმეში ჩართვამდე იქნა გამოკვლეული ისეთი მტკიცებულებები, რომელთა სანდოობის შეფასებაც მოითხოვს მოსამართლის უშუალო, პირად მონაწილეობას; არსებობს კონკრეტული საკითხის/მტკიცებულების დაზუსტების საჭიროება და სათადარიგო მოსამართლე სრულყოფილად ვერ ახერხებს, საქმის მასალების გაცნობის გზით, მის მიერ საქმეში ჩართვამდე გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასებას.

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილების შესრულება აღმოფხვრის საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ბრალდებულებისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი ასპექტის დაცვას.

---

[356] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 6 ივნისის №2024/1670 წინადადება.
[357] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 21 ივნისის №13/40467, 5 აგვისტოს №13/51012 და 20 დეკემბრის №13/82423 წერილები.
[358] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.
[359] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ 2017 წლის ანგარიში, გვ. 105-106, 117; 2018 წლის ანგარიში, გვ. 99, 109; 2019 წლის ანგარიში, გვ. 153, 161; 2020 წლის ანგარიში, გვ. 147.
[360] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 20 ნოემბრის №1/4/1300 გადაწყვეტილება საქმეზე, „გიორგი გულაბერიძე და ბადრი შუშანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
[361] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 29 ნოემბრის №15-5/14782 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

5.8.ნასამართლობის ვადის ათვლა[362]

საანგარიშო პერიოდში შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში, იკვეთება ნასამართლობის ვადის ათვლის სისტემური პრობლემა. ეს საკითხი გავლენას ახდენს როგორც პირისთვის წარდგენილი ახალი ბრალდების კვალიფიკაციაზე და შესაბამისად, სასჯელზე, ასევე, მნიშვნელოვანია საშეღავათო მექანიზმების, მათ შორის, ამნისტიის გამოყენების თვალსაზრისითაც.

სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ნასამართლობის გაქარწყლების განსხვავებული ვადებია დადგენილი პირობით მსჯავრდების შემთხვევაში და მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ. კოდექსის 79-ე მუხლის მიხედვით, პირობითი მსჯავრის შემთხვევაში ნასამართლობა გაქარწყლებულად მიიჩნევა გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ,[363] ხოლო მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის შემთხვევაში – სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ.[364] თუმცა, უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით,[365] დანაშაულის არაერთგზის კვალიფიკაციით მსჯავრდებისას, როცა პირს წარსულში ჩადენილი დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილი პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით დაენიშნა და ნაწილი - ჩაეთვალა პირობითად გამოსაცდელი ვადით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა (აპარატის მიერ შესწავლილ საქმეში - 6 წელი) აითვლება არა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული რეალური სასჯელის მოხდიდან, არამედ გამოსაცდელი ვადის დასრულებიდან.

სამწუხაროდ, ამგვარი პრაქტიკით, ვიღებთ მოცემულობას, როდესაც მსჯავრდებულს, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ნაწილი პირობითად ჩაეთვალა, ნასამართლობის გაქარწყლების ვადის ათვლა უფრო გვიან ეწყება და შესაბამისად, გაქარწყლებისთვის უფრო მეტი დრო უნდა გავიდეს, ვიდრე იმ შემთხვევაში მოუწევდა, თუ მთლიან სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში მოიხდიდა.

5.9.ექსტრადიციის დასაშვებობა[366]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2024 წლის აგვისტოში დაკავებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, ა. ს.-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე საერთო სასამართლოების განჩინებები. შედეგად, სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

---

[362] ამ საკითხზე დეტალური ინფორმაცია იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[363] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 79, ნაწ. 3, ქვეპუნქტ. ა.

[364] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 79. ნაწ. 3, ქვეპუნქტ. დ.

[365] 2021 წლის 26 თებერვლის განჩინება საქმეზე №113-21.

[366] ამ საქმეზე დეტალური ინფორმაცია იხ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ჟურნალისტთა უფლებების დარღვევისა და ჟურნალისტური საქმიანობის გამო უსაფუძვლო სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია საჯარო წყაროებში და ასევე მითითებული იყო სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაშიც, საერთო სასამართლოებმა დასაშვებად მიიჩნიეს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ა. ს.-ს ექსტრადირება ისე, რომ არ უმსჯელიათ იმაზე, რამდენად შესაძლებელი იყო, მის მიმართ ადგილი ჰქონოდა სისხლისსამართლებრივ დევნას მისი ჟურნალისტური საქმიანობის გამო და ხომ არ იყო, ამ მხრივ, სახეზე ექსტრადიციის გამომრიცხველი გარემოება.[367]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგინდეს, რომ საქმეთა კოლეგიური განხილვისას, კოლეგიის შემადგენლობა სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად, საქმეთა განაწილების ელექტრონულმა პროგრამამ განსაზღვროს;
- დადგინდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა;
- მიიღოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განისაზღვროს საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი უწყების ვალდებულება, ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევების გარდა, სასამართლოს წარუდგინოს ნეიტრალური მტკიცებულებები, მათ შორის, ჩხრეკა-ამოღების პროცესის უწყვეტი ვიდეოკადრი ან/და ნეიტრალური მოწმის ჩვენება, რაც დაადასტურებს საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას;
- შეიცვალოს სასამართლოს (კოლეგიის, პალატის) თავმჯდომარეთა არჩევის წესი და კონკრეტული სასამართლოს მოსამართლეებს მიენიჭოთ თავმჯდომარეთა არჩევის უფლებამოსილება;
- შევიდეს ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლში და მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი მივლინების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს ერთი წელი;
- „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში თანამდებობის პირთა ჩამონათვალს დაემატოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი;
- უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა შემცირდეს რამდენიმე წლით;

[367] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის №115 განჩინება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 9 დეკემბრის №211[1]-24 განჩინება.

- პრეზიდენტის მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლების თარიღის დადგენის შემთხვევაში, განისაზღვროს მის მიმართ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების და განხილვის ისეთი წესი, რომლითაც, დაზუსტდება, ეს საკითხი საერთო სასამართლოებმა უნდა განიხილონ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის დადგენილი ზოგადი წესისა და პირობების შესაბამისად, თუ ადგილობრივმა საბჭოებმა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისთვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ხოლო, მეორე მხრივ, არ გაუარესდება მსჯავრდებულის მდგომარეობა. ასევე, შესწავლის შედეგების საფუძველზე მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები;
- განისაზღვროს გონივრული ვადა, რომელიც დაადგენს მაქსიმალურ ზღვარს, რომელზე უფრო ადრე ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც არ იქნება რელევანტური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის მოხდის გადავადების/გათავისუფლების შუამდგომლობის განხილვის პროცესში და რაც გამორიცხავს მსჯავრდებულების მიმართ განსხვავებულ მიდგომას/არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას;
- სააპელაციო სასამართლოს მიენიჭოს უფლებამოსილება, ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო სასჯელისგან გათავისუფლების ან ავადმყოფობის ან ორსულობის საფუძველზე განაჩენის აღსრულების გადავადების საკითხთან დაკავშირებით, საქმეთა განხილვის დროს, მხარის მოთხოვნით საჩივარი ზეპირი მოსმენით განიხილოს და გამოიკვლიოს ის მტკიცებულება, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული იყო კანონის დარღვევით;
- საერთო სასამართლოებს მიენიჭოთ უფლებამოსილება განიხილონ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან იმ მსჯავრდებულის გათავისუფლების საკითხი, რომლის მიმართაც უკვე გამოყენებულია სასჯელის მოხდის გადავადება;
- კანონმდებლობაში მკაფიოდ განისაზღვროს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა მიერ საშეღავათო მექანიზმის გამოყენების საკითხის განსახილველად მოსახდელი სავალდებულო პერიოდის ათვლის დაწყების თარიღი, განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში;
- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და საერთო სასამართლოებს მიეცეთ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ გათავისუფლების კონკრეტული ვადის დადგენის უფლებამოსილება, ასევე, განიხილოს ე. წ. დამზღვევი მექანიზმის[368] შემუშავების საჭიროება;
- შევიდეს ცვლილება კანონმდებლობაში, რომლის თანახმად, მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდში ასახულ საიდუმლო ოპერაციულ ინფორმაციაზე პატიმრის წვდომის ბლანკეტური შეზღუდვა გაუქმდება და სასამართლოს

[368] ე.წ. დამზღვევი მექანიზმის ფარგლებში, თუ სასამართლო უვადო თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდებულს შეუცვლის ვადიანი თავისუფლების აღკვეთით, და მსჯავრდებული მოსახდელ ვადაში მკვეთრად გააუარესებს ქცევას, პენიტენციურ სამსახურს ჰქონდეს სასამართლოსთვის დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილება, საშეღავათო მექანიზმის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დაეკისრება ყოველ ინდივიდუალურ საქმეში ინფორმაციის მსჯავრდებულისთვის გაცნობის შესაძლებლობაზე მსჯელობის ვალდებულება.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- უზრუნველყოს სასამართლო აქტების პროაქტიული გამოქვეყნება კანონმდებლობის დაცვით;
- პერსონალურ მონაცემთა სტანდარტების დაცვით გამოაქვეყნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნები;
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილება შეცვალოს იმგვარად, რომ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში კოლეგიური შემადგენლობის პირობებში საქმის განხილვისას, კოლეგიის სამივე წევრი შეირჩეს შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე;
- გააუმჯობესოს ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურა დისტანციური სასამართლო პროცესებისთვის იმგვარად, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის შესაძლებელი იყოს კომუნიკაციის კონფიდენციალურობა;
- გადახედოს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტებს;
- უზრუნველყოს საკანონმდებლო ან/და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდით ან ვიწრო სპეციალიზაციის შემოღებით, მსჯავრდებულთა ადმინისტრაციული სარჩელების გონივრულ ვადაში განხილვის და საქმისწარმოების გაჭიანურების თავიდან არიდების მიზნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს:

- ყოველწლიურად დაამუშაონ სტატისტიკური ინფორმაცია თითოეული მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობის, ყოველწლიურად მათთვის დაწერილი საქმეების რაოდენობისა და ყოველწლიურად მათ მიერ დასრულებული საქმეების რაოდენობის შესახებ;
- ყოველწლიურად დაამუშაონ სტატისტიკური მონაცემები საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმისწარმოების ვადების დაცვის თაობაზე, რათა ფლობდნენ ინფორმაციას, სასამართლოებში რამდენი საქმე განიხილება კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით და რამდენი დარღვევით.

6. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

6.1. შესავალი

2024 წელს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხით, არსებითი პროგრესი არ გამოკვეთილა. მეტიც, ზოგიერთ ასპექტში უკუსვლა შეინიშნებოდა, რაც ძირითადად კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით არის გამოწვეული. უფრო კონკრეტულად კი, შესაძლებელი გახდა საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში ან ტერორიზმში ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს შეეზღუდოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165[2] მუხლით გათვალისწინებული უფლება (უფლებები), რომელ(ებ)იც დაკავშირებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან.[369] გადაწყვეტილებას ამის თაობაზე იღებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი საკუთარი ინიციატივით ან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართვის საფუძველზე. საყურადღებოა, რომ დაწესებულების დირექტორს არ აქვს უფლებამოსილება გადაამოწმოს უსაფრთხოების სამსახურის მიმართვის საფუძვლიანობა. გამომდინარე აქედან, კანონმდებელმა შექმნა წინაპირობა, რომლის მიხედვითაც, პირს შეიძლება დაუსაბუთებლად შეეზღუდოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.[370]

სამწუხაროა, რომ 2024 წლის 13 დეკემბერს პენიტენციურ კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, ხანმოკლე პაემნის ვიდეოპაემნით ჩანაცვლების შესაძლებლობა მსჯავრდებულებს 2026 წლის 1 იანვრამდე გადაუვადდათ, ვინაიდან იუსტიციის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო ყველა პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური მზადყოფნა.[371] კერძოდ, 2023 წლის ანგარიშში სახალხო დამცველმა გასცა რეკომენდაცია,[372] №2, №3, №6, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღეჭურვათ ვიდეოპაემნისათვის აუცილებელი ინფრასტუქტურით. აღსანიშნავია, რომ №12 დაწესებულებაში მიმდინარეობს ვიდეოპაემნის სივრცის დაპროექტება,[373] ასევე, მისასალმებელია, რომ №2 და №18 დაწესებულებებში ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა უკვე მოეწყო და ამავე დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა ესარგებლათ ვიდეოპაემნის უფლებით. ვიდეოპაემნის ინფრასტრუქტურა ასევე მოეწყო №3 და №6 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებშიც.

---

[369] ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეიძლება შეეზღუდოს მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე პაემნის, ხანგრძლივი პაემნისა და პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლებები. გარდა ამისა, მსჯავრდებულ პირს შეიძლება შეეზღუდოს ვიდეოპაემნისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებები.

[370] დეტალური ინფორმაცია იხ. წინამდებარე თავის შემდეგ ქვეთავში - „პენიტენციურ კოდექსში 2024 წლის 17 სექტემბერს შეტანილი ცვლილებები“.

[371] საქართველოს კანონის პროექტზე, „პენიტენციურ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, განმარტებითი ბარათი, < https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/374853? > [ბოლოს ნანახია 19.02.2025].

[372] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 144.

[373] იუსტიციის სამინისტროს პოზიცია 2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში სამინისტროს მიმართ გაცემული რეკომენდაციების თაობაზე. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე: < https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/zedamxedveloba/adamianisuflebebi/2024/pozicia-iusticia-2.pdf > [ბოლოს ნანახია 18.02.2025].

სახალხო დამცველი მიესალმება გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებას, რომლითაც სრულად გასაჯაროვდა „ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შეტყობინების თაობაზე“ 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება.[374] ამ ნაბიჯით, გენერალურმა პროკურორმა სრულად შეასრულა სახალხო დამცველის გასული წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაცია.[375] 2024 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ წერილობით ეცნობა 1 800 (ათას რვაას) პირს,[376] რაც აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს. კერძოდ, 2023 წელს 1 358 პირს ეცნობა.[377] სახალხო დამცველი დაინტერესდა, თუ რამდენ შემთხვევაში გასაჩივრდა 2023 და 2024 წლებში განხორციელებული შეტყობინების ფაქტები, თუმცა გაირკვა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურა და საერთო სასამართლოები, ამგვარ სტატისტიკას არ აწარმოებენ.[378]

დამატებით, დადებითად არის შესაფასებელი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ, საანგარიშო პერიოდში, არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო ზარებისთვის სასაუბრო დროის დაფინანსება თვის განმავლობაში 60 წუთის ხანგრძლივობით.[379]

წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემდეგი საკითხები: გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა საცხოვრისებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში.

6.2. პენიტენციურ კოდექსში 2024 წლის 17 სექტემბერს შეტანილი ცვლილებები[380]

2024 წელს პენიტენციურ კოდექსს დაემატა 126[1] მუხლი, რომლის შედეგადაც საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში ან ტერორიზმში ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს[381] შესაძლებელია შეეზღუდოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 165[2] მუხლით გათვალისწინებული მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე პაემნის, ხანგრძლივი

[374] საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 4 ნოემბრის ბრძანება №211-გ „ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შეტყობინების თაობაზე“. < https://shorturl.at/nHN8E >[ბოლოს ნანახია 07.03.2025].

[375] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 146.

[376] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 18 მარტის №13/17058 წერილი.

[377] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 142.

[378] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2025 წლის 18 მარტის №13/17058 წერილი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2025 წლის 20 თებერვლის №65/2025 წერილი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ მოგვაწოდა მონაცემები 2025 წლის 20 თებერვლის №99-2/10 წერილით.

[379] არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულები უფასო სატელეფონო სასაუბრო დროით ისარგებლებენ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადება, 18.04.2024. <https://sps.gov.ge/news/4441?type= > [ბოლოს ნანახია 25.02.2025].

[380] დეტალური ინფორმაციისთვის იხ. სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.

[381] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVII ან XXXVIII თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული/მსჯავრდებული პირი.

პაემნისა და პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლებები. გარდა ამისა, მსჯავრდებულ პირს შეიძლება შეეზღუდოს ვიდეოპაემნისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებები. გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი საკუთარი ინიციატივით ან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართვის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება (უფლებები) შეიძლება შეეზღუდოს 3 თვემდე ვადით. შეზღუდვა ასევე შესაძლებელია გახანგრძლივდეს, ან ხელახლა შეიზღუდოს იმდენჯერ, რამდენჯერაც პენიტენციური დაწესებულების დირექტორი მიიჩნევს, რომ არსებობს შესაბამისი საფუძველი. თითოეულ ჯერზე შეზღუდვის ხანგრძლივობა 3 თვეა. გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რაც არ აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენაში ან ტერორიზმში ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, გამართლდეს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვისა და მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით, კონკრეტული ინფორმაციის არსებობისას. თუმცა, კანონპროექტის საკომიტეტო განხილვის ეტაპზე, სახალხო დამცველის აპარატმა, რომელიც მონაწილეობდა საკომიტეტო მოსმენაში, განმარტა, რომ უფლების შეზღუდვა, ერთი მხრივ, უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ ინფორმაციას, მეორე მხრივ კი, გადაწყვეტილების მიმღებ პირს უნდა ჰქონდეს ამ ინფორმაციის სრულფასოვნად განხილვისა და აუცილებელი და პროპორციული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. კანონპროექტით და საბოლოოდ დამტკიცებული კანონის რედაქციით, ეს რთულად წარმოსადგენია, რამდენადაც გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტად განსაზღვრულია პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, რომელსაც შეუძლია პატიმარი უფლებებში შეზღუდოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. თუმცა, იქვე, კანონმდებლობა აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია უსაფრთხოების სამსახურმა „ისეთი ფორმით“ უნდა მიაწოდოს, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფო საიდუმლოებასა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ინტერესებს. ამ ნაწილში აპარატს მიაჩნია, რომ კანონმდებლობის ჩანაწერი ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ დაწესებულების დირექტორს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან მიეწოდოს მხოლოდ ზოგადი მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია კონკრეტული ბრალდებული/მსჯავრდებული პირი შეიზღუდოს უფლებებში და ამ ინფორმაციის შინაარსობრივად შემოწმების შესაძლებლობა გადაწყვეტილების ფორმალურად მიმღებ პირს - ციხის დირექტორს - ვერ ექნება. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, აპარატმა საქართველოს პარლამენტს შესთავაზა, რომ უფლების შემზღუდავ სუბიექტად განესაზღვრა სასამართლო, რომელსაც სრული წვდომა ექნებოდა როგორც ოპერატიულ-სამძებრო, ისე სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება კი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მინიჭებოდათ. სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის პოზიცია.

შესაბამისად, პრობლემურია, რომ უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა შეიძლება მიიღოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართვის საფუძველზე, თუმცა ამ მიმართვის უკან რა კონკრეტული ინფორმაცია და საფრთხე დგას, ამის გადამოწმების მექანიზმს კანონი არ ითვალისწინებს.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პენიტენციური სამსახურის ფუნქცია არ არის სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვაზე ზრუნვა და დაწესებულების გარეთ დანაშაულის ჩადენის პრევენცია, რაც ამ ცვლილების მიზანია. შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი არ უნდა იყოს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები, რელევანტური პირი. ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლების (უფლებების) შეზღუდვის ხარისხისა და დაცვის ობიექტის გათვალისწინებით, როგორც უკვე აღინიშნა, უმჯობესი იქნებოდა, გადაწყვეტილება, სპეციალური პენიტენციური სამსახურის/დაწესებულების დირექტორის ან/და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი მიმართვისა და წარდგენილი ინფორმაციის განხილვის საფუძველზე, თავიდანვე სასამართლოს მიეღო.

გარდა ამისა, არც პენიტენციური კოდექსის 126[1] მუხლი, და არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165[2] მუხლი არ გამორიცხავს გარე სამყაროსთან კონტაქტის ყველა საშუალების ერთდროულად შეზღუდვის შესაძლებლობას. ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა მიხედვითაც კომუნიკაციის საშუალებები და პაემნები შეიძლება შეიზღუდოს გამოძიებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან, დანაშაულის პრევენციის ან მსხვერპლთა დასაცავად, თუმცა სასამართლოს მიერ მიღებული შეზღუდვების შემთხვევაშიც კი, შენარჩუნებული უნდა იყოს მინიმალური კონტაქტის შესაძლებლობა გარე სამყაროსთან.[382] მინიმალური კონტაქტის შენარჩუნების მნიშვნელობაზე მიუთითებს თავად პენიტენციური კოდექსი, რომელიც დისციპლინური სახდელების დაკისრებისას დაუშვებლად მიიჩნევს სატელეფონო საუბრის, პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლებისა და ხანმოკლე პაემნის უფლების ერთდროულად შეზღუდვას.[383] აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კანონმდებლობამ არც სხვა შემთხვევებში დაუშვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული იზოლაცია.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებებმა ხსენებული რისკები წარმოშვა, მისასალმებელია, რომ პრაქტიკაში ამ ცვლილებებს არსებითი ნეგატიური გავლენა პატიმრების უფლებებზე ჯერჯერობით არ მოუხდენია. კერძოდ, ამ დროისთვის მხოლოდ ერთი მსჯავრდებულის მიმართ, ერთჯერადად, 3 თვის ვადით, იქნა გამოყენებული წინამდებარე ქვეთავში განხილული შეზღუდვა, რაც ანგარიშის შედგენის დროისთვის უკვე გაუქმებული იყო.[384]

[382] ციხის ევროპული წესები. წესი 24.2.

[383] პენიტენციური კოდექსის 72-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი.

[384] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 28 იანვრის №25/854, 2025 წლის 29 იანვრის №25/910, 2025 წლის 29 იანვრის №25/911, 2025 წლის 29 იანვრის №25/908 და 2025 წლის 29 იანვრის №25/909 წერილები. №1 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 31 იანვრის №27879/01 წერილი, №3 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 31 იანვრის №27502/21 წერილი, №6 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 3 თებერვლის №29426/23 წერილი, №8 პენიტენციური დაწესებულების 2025

სახალხო დამცველის აპარატი ამ ცვლილების პრაქტიკაში გამოყენებას მომავალშიც აქტიურად დააკვირდება, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული პატიმრების უფლებები, მათ შორის, გარესამყაროსთან და ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლება.

6.3. გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში

6.3.1. საკანონმდებლო მდგომარეობა

ზემოთ მიმოხილული 2024 წლის საკანონმდებლო ცვლილების გარდა, საკანონმდებლო დონეზე გარე სამყაროსთან პატიმრების კონტაქტის უფლების რეალიზების კუთხით კვლავ არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რჩება. კერძოდ:

- არ გაუქმებულა დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება;
- განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის არ გაზრდილა პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა;
- განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ეზღუდება ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში დაწესებულების დროებით დატოვების უფლება;
- არ გაუქმებულა დისციპლინური სახდელის სახით პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
- არ არის განსაზღვრული პატიმრების დისციპლინური დარღვევის სახეები (ნაკლებად მძიმე დარღვევა, მძიმე დარღვევა და განსაკუთრებით მძიმე დარღვევა) და დარღვევის თითოეული სახის მიმართ შესაბამისი სახდელები (სახდელის სიმკაცრის გრადაცია);
- პროკურორებს/გამომძიებლებს კვლავ რჩებათ შესაძლებლობა, რომ ბრალდებულებს შეუზღუდონ სატელეფონო საუბრის უფლება, რაც, მათ შორის, ადვოკატთან კომუნიკაციის შემთხვევებზეც ვრცელდება;
- უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის არ გაზრდილა ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა;
- ბრალდებულებს კვლავ არ აქვთ ვიდეოპაემნის უფლება;
- კვლავ შესაძლებელია, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს 9 თვეზე მეტი ხნით შეეზღუდოთ გარე სამყაროსთან კომუნიკაცია. ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა გასული წლის საპარლამენტო ანგარიშში ვრცლად მიმოიხილა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება და მის საფუძველზე მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები.[385] სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტს ეს ხარვეზი არ აღმოუფხვრავს.

წლის 3 თებერვლის №29074/01 წერილი და №10 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 30 იანვრის №25930/25 წერილი.

[385] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტოს ანგარიში, გვ. 135-136.

6.3.2. პრაქტიკაში არსებული გამოწვევები

პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგისა და პატიმრების განცხადებების შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ კანონმდებლობაში არსებული პრობლემური ჩანაწერების მიღმა, საანგარიშო პერიოდში გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით, მნიშვნელოვანი ხელშემშლელი გარემოებები პრაქტიკაშიც შენარჩუნდა:

- პატიმრების მიმოწერის უფლების დარღვევა;

საანგარიშო პერიოდში პატიმრების მხრიდან უფლების დარღვევის ფაქტებზე მომართვიანობა შემცირებულია. თუმცა, აპარატმა, ორი მსჯავრდებულის მომართვის საფუძველზე, კორესპონდენციის შესაძლო შეზღუდვის ფაქტები შეისწავლა. შედეგებიდან გამომდინარე, აპარატმა ორივე შემთხვევაში მიმართა იუსტიციის მინისტრს პატიმართა მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების წინადადებით. თუმცა, სამინისტროს ცნობით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა არცერთ შემთხვევაში არ დადასტურებულა.[386]

- მსჯავრდებულების ოჯახის წევრებისგან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსება;[387]

საანგარიშო პერიოდში, გასული წლის მსგავსად,[388] 2024 წელსაც არაერთი პატიმარი ითხოვდა ოჯახთან ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას, რათა შეძლებოდათ ოჯახის წევრებთან შეხვედრა და მათგან ამანათების მიღების უფლებით სარგებლობა. პრობლემა უფრო მწვავეა ქალი პატიმრების შემთხვევაში, ვინაიდან, ერთადერთი, შესაბამისი პენიტენციური (№5) დაწესებულება აღმოსავლეთ საქართველოში (გარდაბნის მუნიციპალიტეტში) მდებარეობს. სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევებში მსჯავრდებულების განთავსებას მათი ან მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილებიდან შორს მდებარე დაწესებულებაში დასაბუთებული საფუძველი არ აქვს და მათ ოჯახთან კომუნიკაცია გაუმართლებლად ეზღუდებათ.

აპარატის წარმოებაში არსებული საქმეების თანახმად, უმეტესად №1 ან №2 პენიტენციურ დაწესებულებებში (ლაითური, ქუთაისი) განთავსებული მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ მათი და მათი ოჯახის წევრების (ახლო ნათესავების) საცხოვრებელი ადგილია საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ესა თუ ის მუნიციპალიტეტი და ამის გამო ითხოვდნენ შესაბამისი ტიპის (რისკის) აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას, რასთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი საქმე შეისწავლა. ამავე პერიოდში აპარატმა შეისწავლა

[386] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[387] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[388] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 138-139.

№10 პენიტენციურ დაწესებულებაში (ქსანი) მოთავსებული მსჯავრდებულის საქმე, რომელიც დასავლეთ საქართველოში, №1 ან №2 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას ითხოვდა.[389]

შესწავლილი საქმეების თანახმად, მსჯავრდებულების ან მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსების კანონმდებლობით გარანტირებული უფლების შეზღუდვა განპირობებული იყო უსაფრთხოების ან გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივით, თუმცა, საგულისხმოა, რომ №1 და №2 პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, №10 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებშიც უზრუნველყოფილია მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის განთავსების და გადაადგილების პირობები. გადატვირთულობის თავიდან არიდების მოტივი №8 პენიტენციურ დაწესებულებასთან მიმართებით უმეტესწილად რეალურია, თუმცა №10 დაწესებულების გადატვირთულობის რისკი დღის წესრიგში არ დგას.

პენიტენციური სამსახურისგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის ივლისის მდგომარეობით, №10 პენიტენციურ დაწესებულებაში გაიზარდა საშტატო ერთეულების რაოდენობა და მიმდინარეობს ვაკანტური ადგილების შევსების პროცესი. გარდა ამისა, გრძელდება დაწესებულების ადმინისტრაციული ნაწილის სამშენებლო სამუშაოები, სადაც მოეწყობა ხანმოკლე/ხანგრძლივი/ვიდეოპაემნებისთვის და დისტანციური ჩართვებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ამ პროცესების დასრულების შემდგომ შესაძლებელი გახდება №10 პენიტენციურ დაწესებულებაში ლიმიტით განსაზღვრულ პატიმართა რაოდენობის მიღება.[390]

ის პატიმრები, რომელთა შესახებაც ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინიტრს ან სახალხო დამცველის აპარატმა - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, კვლავ იმავე პენიტენციურ დაწესებულებებში რჩებიან, საიდან გადაყვანასაც ითხოვდნენ.[391]

- ფოსტის მეშვეობით ამანათის მიღების უფლების შეზღუდვა[392]

გასული წლის საპარლამენტო[393] და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშებში[394] კრიტიკულად შეფასდა 2023 წელს სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების

[389] მაგ., შ. ჩ.-ს საქმე.
[390] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №180010/01 წერილი, 2024 წლის 19 ივლისის №212484/01 წერილი.
[391] ინფორმაცია გადამოწმებულია 2025 წლის 23 იანვარს, ამასთანავე, მსჯავრდებულთა ნაწილი გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან.
[392] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[393] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 139.
[394] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, 186-189.

დებულებებში ამანათის მიღების წესთან დაკავშირებით შესული ცვლილებები (დაწესდა ამანათის მიღების ლიმიტი, აიკრძალა საფოსტო ამანათები (გარდა ფოტოსურათებისა), აგრეთვე, აიკრძალა ამანათით საკვები პროდუქტების შეგზავნა).[395] საანგარიშო პერიოდში ამ ცვლილებებით გამოწვეული უარყოფითი შედეგებიც გამოვლინდა. კერძოდ, ოჯახის წევრების მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, პატიმარს მათგან ამანათის მიღების შესაძლებლობაც წაერთვა, მაშინ როდესაც ოჯახზე არიან დამოკიდებულნი ტანსაცმლისა და სხვა საჭირო ნივთებით უზრუნველყოფის კუთხით. მაგალითად, ერთ-ერთმა პატიმარმა, იმ ფონზე, რომ აღარ აქვს ფოსტის მეშვეობით ამანათის მიღების შესაძლებლობა, ხოლო ოჯახი, პენიტენციური დაწესებულებიდან შორს ცხოვრების გამო, ვერ ახერხებდა დაწესებულებაში მისვლას ამანათის შესაგზავნად, მაღაზიის მეშვეობით სცადა საჭირო ნივთების შეძენა. გაირკვა, რომ მაღაზიაში 2024 წლის ივლისში შეკვეთილი ტანსაცმელი მან 2024 წლის ოქტომბერში მიიღო. სპეციალური პენიტენციური სამსახურის პასუხების თანახმად, შპს „ექსპრეს ქსელი“ ვერ ახერხებს მსჯავრდებულის მიერ შეკვეთილი ტანსაცმლის ბაზარზე მოძიებას,[396] რის გამოც მსჯავრდებულს უწევს თვეობით ლოდინი ან ნაკლებად ხარისხიანი და მისი შეკვეთისგან განსხვავებული ტანსაცმლის მიღებაზე დათანხმება.

როგორც აღინიშნა, აიკრძალა ამანათით საკვები პროდუქტების შეგზავნა, თუმცა სადღესასწაულო დღეებში, გამონაკლისის სახით, პატიმრებს შეუძლიათ ცალკეული პროდუქტების ამანათით მიღება, რის შესახებაც, დადგენილი პრაქტიკით, პატიმრებს წინასწარ ეცნობებათ და მიეწოდებათ დასაშვები პროდუქტების სია. აღსანიშნავია, რომ საგამონაკლისო წესით ამანათის დაშვებისას პატიმრის წინასწარ გაფრთხილების წესი დაწესებულების დებულებით არ რეგულირდება. შესაბამისად, დღესასწაულამდე ერთი დღით ადრე პატიმრების ინფორმირება ამ გამონაკლისის შესახებ, კანონდარღვევად ვერ შეფასდება. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში, მსგავსი საშეღავათო გამონაკლისი არ ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და მისით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცეს როგორც ადგილობრივ, ისე საცხოვრებელი ადგილიდან შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პატიმრებს, მათთვის უფლებებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

- სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დაკავშირება[397]

2021 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ[398] დააკმაყოფილა სახალხო დამცველის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო დისციპლინური სახდელის მოქმედების დროს და სამარტოო

[395] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 2 დეკემბრის №947, №948, №949, №950, №951, №952, №953, №954, №955, №956, №957, №958, №959, №960 ბრძანებები.
[396] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის 2024 წლის 24 ოქტომბრის №319335/01 და 2024 წლის 21 ნოემბრის №350106/01 წერილები.
[397] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.
[398] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 5 ივლისის №1/3/1441 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკანში ყოფნისას სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დარეკვის ბლანკეტური შეზღუდვა. მოგვიანებით კანონმდებლობით დარეგულირდა ცხელ ხაზზე შეუფერხებლად დასაკავშირებლად საჭირო გარანტიები და პროცედურები. შედეგად, სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე პატიმრების სატელეფონო ზარები დაწესებულების ხარჯით ხორციელდება.[399] მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში გაირკვა, რომ სახალხო დამცველის აპარატის სატელეფონო ცხელ ხაზზე - 14 81 დაკავშირებას ტექნიკური ხასიათის პრობლემის გამო ვერ ახერხებენ პატიმრები, რომლებსაც სატელეფონო ბარათი დამზადებული არ აქვთ (ახალშესახლებულები) და რომლებსაც ბარათზე თანხა არ აქვთ.

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პატიმრებს სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა ეძლევათ მას შემდეგ, რაც დამზადდება მათი საბანკო პლასტიკური ბარათები. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სატელეფონო ცხელ ხაზზე - 14 81 დარეკვა უფასოა, სატელეფონო ბალანსზე თანხის არარსებობის შემთხვევაში ზარის განხორციელება ტექნიკურად შეუძლებელია.

სახალხო დამცველის შეფასებით, თანხის სატელეფონო ბარათის ანგარიშზე არარსებობა არ უნდა იწვევდეს პატიმრის შეფერხებას, რათა საკუთარი უფლებების დასაცავად ცხელი ხაზის საშუალებით დაუკავშირდეს ადამიანის უფლებების დაცვის ზედამხედველობაზე უფლებამოსილ კონსტიტუციურ ორგანოს - საქართველოს სახალხო დამცველს.

- ხანმოკლე პაემანი ფიზიკური კონტაქტის გარეშე; [400]

გასული წლების მსგავსად, პენიტენციურ დაწესებულებებში, გარდა №11 (არასრულწლოვანთა) და №16 (დაბალი რისკის) დაწესებულებებისა, ხანმოკლე პაემნები მინის ბარიერის მიღმა, ტელეფონების მეშვეობით ხორციელდებოდა და პატიმრებს არ ჰქონდათ ახლობლებთან ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა.

- სატელეფონო საუბარი არაკონფიდენციალურ გარემოში

№6 დაწესებულებაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სატელეფონო საუბრის უფლების კონფიდენციალურად განსახორციელებლად დაწესებულებაში მოწყობილია იზოლირებული ოთახი, სახალხო დამცველის ან სხვა უწყების ცხელ ხაზზე დასარეკად პატიმრები გაჰყავთ დერეფანში მოთავსებულ ტელეფონებთან, სადაც საუბარს ესწრება დაწესებულების თანამშრომელი და პატიმრებს არ აქვთ კონფიდენციალური საუბრის შესაძლებლობა.[401] რიგ პენიტენციურ დაწესებულებებში, ინფრასტრუქტურა კვლავ იმგვარად არის მოწყობილი, რომ ტელეფონის აპარატები განთავსებულია ან სამორიგეოში ან კაბინაში, რომელსაც არ აქვს ხმის იზოლაცია და პატიმრების საუბარი კაბინის გარეთაც ისმის.

[399] საქართველოს პენიტენციური კოდექსი, მუხლი 116, ნაწ. 9.
[400] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიში.
[401] №6 პენიტენციური დაწესებულების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2024, გვ. 18.

- საზღვარგარეთ მცხოვრებ ოჯახთან დაკავშირების სირთულე

კვლავ პრობლემად რჩება საზღვარგარეთ მყოფ ოჯახებთან დაკავშირების სირთულე. სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, არ გაუქმებულა საერთაშორისო ზარისთვის ლიმიტირებული კვირაში 2 დღე. ასევე, საერთაშორისო ზარების და კორესპონდენციის საფასური შეუსაბამოდ მაღალია.

- ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების არქონა ბრალდებულებისთვის

ბრალდებულებისთვის პენიტენციური კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს ვიდეოპაემნის უფლებას. გაუგებარია, რატომ უზღუდავს კანონი ბრალდებულს ვიდეოპაემნის უფლებას, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ის რისკების გამომრიცხავი სპეციალური წესით ხორციელდება. დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა ჩვენი მოსაზრება და ამ მოთხოვნაში გამოძიების ინტერესებისა და მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლის საფრთხე დაინახა;[402]

- ვიდეოპაემნის მხოლოდ საქართველოს ფარგლებში განხორციელების შესაძლებლობა;

წინა წლების მსგავსად, უცხოელი პატიმრები და მოქალაქეობის არმქონე პირები, ასევე საქართველოს მოქალაქე მსჯავრდებულები, ოჯახის წევრების საზღვარგარეთ ყოფნის გამო ვერც ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობენ, და ვერც ვიდეოპაემნით. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს ვიდეოპაემნების იმგვარად რეგულირების აუცილებლობაზე, რომ ვიდეოზარის განსახორციელებლად საჭირო აღარ იყოს პატიმრის ოჯახის წევრის დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რომელიმე ტერიტორიულ ერთეულში გამოცხადება.[403]

- დისციპლინური სახდელის სახით კონტაქტის შეზღუდვა

გასული წლების მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება დისციპლინური სახდელის სახით პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა. საერთაშორისო სტანდარტები დაუშვებლად მიიჩნევს დისციპლინური სახდელის სახით პატიმრისთვის გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვას.[404] უნდა აღინიშნოს, რომ №2 დაწესებულებაში 2024 წელს პატიმართა მიმართ გამოყენებული დისციპლინური დასჯის საერთო

[402] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 7 მარტის №1/1/1602,1603 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-50.
[403] წამების პრევენციის ქვეკომიტეტი მოუწოდებს საქართველოს გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები გარე სამყაროსთან კონტაქტის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე, შემდეგ ელ. მისამართზე:
<https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%2FOP%2FGEO%2FROSP%2F1&Lang=en > პარა. 92
[404] ნელსონ მანდელას წესები 43.3.

შემთხვევების[405] 58% სამარტოო საკანში მოთავსება იყო. სამარტოო საკანში მოთავსებულ პატიმარს კი კანონით[406] ეკრძალება გარე სამყაროსთან კონტაქტის ისეთი საშუალებები, როგორიცაა ხანმოკლე პაემანი, ხანგრძლივი პაემანი და სატელეფონო საუბარი. რაც შეეხება №8 დაწესებულებას, 2024 წელს გამოყენებული დისციპლინური დასჯის საერთო შემთხვევებიდან 36% იყო სამარტოო საკანში მოთავსება, ხოლო 40% გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა (სატელეფონო საუბრის, მიმოწერის და ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვა).[407]

6.4. გარე სამყაროსთან კონტაქტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ალტერნატიულ საცხოვრისებში[408]

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში სრულად შენარჩუნდა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით არსებული ყველა ის გამოწვევა, რაზეც გასულ წელს სახალხო დამცველი საკუთარ ანგარიშში მიუთითებდა.[409] ეს თანაბრად ეხება, როგორც საკანონმდებლო რეგულაციებს, ამასთანავე, პრაქტიკულ გამოწვევებს. შედეგად, კვლავ იმავე სახით მოქმედებს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის საფუძველზეც ექიმი უფლებამოსილია უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით შეზღუდოს პაციენტის რიგი უფლებები საკუთარი გადაწყვეტილებით, რომლებიც, მათ შორის, უკავშირდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელოვან ასპექტებს.[410]

ამასთანავე, მონიტორინგის შედეგად კვლავაც გამოიკვეთა, რომ:

- პაციენტებისთვის ტელეფონზე დარეკვის შესაძლებლობა ექიმისა და დამხმარე პერსონალის ნებართვასა და კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული;
- პაციენტებს არ ეძლევათ შესაძლებლობა მცირე ხნით, დაწესებულებიდან გაწერის გარეშე დატოვონ სტაციონარი;
- შენარჩუნებულია ამანათების მიღების პრობლემა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (ყოფილ. აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი).

პრობლემები გამოიკვეთა ბენეფიციართა გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით, ალტერნატიულ საცხოვრისებშიც. კონკრეტულად, ტელეფონთან წვდომა შედარებით შეზღუდულია დიდი ზომის ინსტიტუციებში, როგორიცაა შშმპ პანსიონატები და სენაკის ალტერნატიული საცხოვრისები, სადაც მხოლოდ ერთეულ ბენეფიციარებს აქვთ კუთვნილი

[405] 2024 წელს, №2 დაწესებულებაში, სულ 297-ჯერ მიმართეს დისციპლინურ დასჯას.
[406] პენიტენციური კოდექსის 78-ე მუხლი, მეორე ნაწილი.
[407] 2024 წელს, №8 დაწესებულებაში, სულ 894-ჯერ მიმართეს დისციპლინურ დასჯას.
[408] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.
[409] სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, გვ. 140-141.
[410] ექიმს შეუძლია შეუზღუდოს ისეთი უფლებები, როგორიცაა: მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია თავისი დაავადების და განზრახული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ; გაეცნოს მის შესახებ არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციას; უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე; მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში; მიიღოს და გაგზავნოს წერილი, გზავნილი შემოწმების გარეშე; სტაციონარის შინაგანაწესის თანახმად, ისარგებლოს ტელეფონით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით და სხვა უფლებები.

მობილური ტელეფონები. საერთო ჯამში, დაწესებულებების კუთვნილ ტელეფონთან წვდომის და მნახველის მიღების კუთხით არცერთი ტიპის საცხოვრისის სერვისში არ გამოვლენილა პრობლემები, თუმცა ბენეფიციარებს, ვისაც პერსონალის ან დაწესებულებების კუთვნილი ტელეფონით უწევთ დარეკვა, კონფიდენციალურ გარემოში საუბრის შესაძლებლობა არ ეძლევათ.

6.5.გარე სამყაროსთან კონტაქტი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში [411]

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის სტანდარტული სამოქმედო პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №231 ბრძანების 25-ე მუხლის მიხედვით, ცენტრში დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, უცხოელის განთავსება მკაცრი ზედამხედველობის ოთახში არა უმეტეს 10 დღის ვადით არის შესაძლებელი. ბრძანება ითვალისწინებს შესაძლებლობას მკაცრი ზედამხედველობის ოთახში მოთავსების შემდგომ პირს შეეზღუდოს უფლება შეხვდეს სასურველ პირს, ისარგებლოს ტელეფონით, რეკრეაციული ზონით, მიიღოს და გააგზავნოს ამანათი. შესაბამისად, უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, შესაძლოა, ერთბაშად შეეზღუდოს გარე სამყაროსთან კონტაქტის ყველა საშუალება.[412] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლების შეზღუდვა დისციპლინური სახდელის სახით დაუშვებელია.[413]

ამასთანავე, გასული წლის მსგავსად,[414] დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრანტთათვის გამოყოფილ დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი პირებისთვის ხელმისაწვდომია ტელეფონი და ინტერნეტი, ასევე შეუძლიათ მიიღონ მნახველი და ამანათი. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, მათ გარკვეული შეზღუდვები აქვთ გარე სამყაროსთან კონტაქტის კუთხით. კერძოდ, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით სარგებლობა კვლავ დღეში ორჯერ, თითო საათით არის შესაძლებელი. სახალხო დამცველი, წლებია, გასცემს რეკომენდაციას, რომ იმ ფონზე, როდესაც ცენტრში მოთავსებულ პირებს არ შეეთავაზებათ ორგანიზებული აქტივობები და ისინი მოკლებულნი არიან ოჯახთან ხშირი კონტაქტის შესაძლებლობას, მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს ცენტრში დღის განმავლობაში კომპიუტერით სარგებლობის დრო. ამასთანავე, ცენტრში ვიზიტორის მიღება შეიძლება სამშაბათს და პარასკევს - 10:00 – 13:00 საათამდე და მხოლოდ 20 წუთით, რაც შორი მანძილიდან და იშვიათად მოსულ მნახველთან შეხვედრისთვის გაუმართლებელი შეზღუდვაა.

წინადადებები

[411] ვრცლად იხ. სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2024 წლის ანგარიშში.
[412] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის სტანდარტული სამოქმედო პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №231 ბრძანების 25-ე მუხლი.
[413] ვრცლად იხ. პრევენციის ეროვნული მექანიზმის შსს დროებითი განთავსების ცენტრის მონიტორინგის ანგარიში. 2023 წელი. გვ. 11.
[414] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარალამენტო ანგარიში, გვ. 141.

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება პენიტენციური კოდექსის 126[1] მუხლში და ამ ნორმით ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლების შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს სასამართლომ;
- შევიდეს ცვლილება პენიტენციური კოდექსის 126[1] მუხლში და გაუქმდეს მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე პაემნის, ხანგრძლივი პაემნის, საოჯახო პაემნის, ვიდეოპაემნის უფლებების ერთდროულად შეზღუდვის შესაძლებლობა;
- შევიდეს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 165[2] მუხლში და გაუქმდეს მიმოწერის, სატელეფონო საუბრის, ხანმოკლე პაემნის და ხანგრძლივი პაემნის უფლებების ერთდროულად შეზღუდვის შესაძლებლობა;
- შევიდეს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და განისაზღვროს ბრალდებულისთვის ხანმოკლე პაემნის ან/და ხანგრძლივი პაემნის, მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვის შესახებ დადგენილების გახანგრძლივების მაქსიმალური 9-თვიანი ზედა ზღვარი;
- დაიწყოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების რეფორმის გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესი, რომლის შედეგადაც გადაიხედება: ი იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთა გამოსაძიებლადაც დაშვებულია ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება; ი ფარულ საგამოძიებო ღონისძიებათა ჩატარების ვადები და ამ ვადების გაგრძელების მაქსიმალური ზედა ზღვარი; ი ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების ვადები და ამ ვადების გაგრძელების მაქსიმალური ზედა ზღვარი;
- შევიდეს ცვლილებები პენიტენციურ კოდექსში და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს, მათ შორის, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს, გაეზარდოთ პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა;
- შევიდეს ცვლილებები პენიტენციურ კოდექსში და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება;
- შევიდეს ცვლილება პენიტენციურ კოდექსში და მსჯავრდებულებს, რომელთა ოჯახის წევრებიც საზღვარგარეთ ცხოვრების გამო ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის საშუალება;
- შევიდეს ცვლილება პენიტენციურ კოდექსში და ბრალდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება;
- შევიდეს ცვლილება პენიტენციურ კოდექსში და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა;
- განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში დაწესებულების დროებით დატოვების უფლება;

- შევიდეს ცვლილება პენიტენციურ კოდექსში და გაუქმდეს დისციპლინური ღონისძიების სახით სამარტოო საკანში მოთავსებული პატიმრისთვის ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების, სატელეფონო საუბრის, კვების პროდუქტების შეძენის აკრძალვა.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელმა პატიმრებმა, მოქალაქეობის არმქონე პირებმა, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად;
- გაუქმდეს საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და საერთაშორისო ზარის განხორციელება შესაძლებელი გახდეს ყოველდღე, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით;
- გადაიხედოს ვიდეოპაემნის განხორციელების მოქმედი წესი იმგვარად, რომ იმ პატიმრებმა, რომლებსაც ოჯახის წევრები საზღვარგარეთ ჰყავთ, შეძლონ ამ უფლებით სარგებლობა; ასევე დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების განხორციელება;
- №3, №6 და №12 პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ვიდეოპაემნის უფლებით;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა: ა) სისტემური შემოწმების გზით გამოავლინოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტები; ბ) გამოვლენილი დარღვევების შესახებ აწარმოოს სტატისტიკა; გ) დაეკისროთ პასუხისმგებლობა პატიმრების მიმოწერის უფლების შელახვაში დამნაშავე პირებს;
- დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრების სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურ გარემოში წარმართვას;
- ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც: ა) დადასტურებული იქნება ბეჭდით; და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ბ) წერილის ავტორის სახელი და გვარი; გ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; დ) წერილის ჩაბარების თარიღი; ე) წერილის ადრესატი; ვ) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს;
- უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის ბარიერის გარეშე;
- უზრუნველყოს პატიმართა განთავსება ოჯახებთან ტერიტორიულად ახლოს მდებარე დაწესებულებებში;
- უზრუნველყოს დასავლეთ საქართველოში ქალთა მცირე დაწესებულების მოწყობა

- პენიტენციურ დაწესებულებებს განესაზღვროთ ვალდებულება გონივრული ვადით ადრე შეატყობინონ პატიმრებს ამანათების შეგზავნის შეზღუდვების დროებით მოხსნასთან დაკავშირებით.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- მიიღოს ზომები, რათა ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოეწყოს პაციენტის და მასთან მისული პირის შეხვედრისთვის კონფიდენციალური სივრცე;
- გარე სამყაროსთან კონტაქტის ხელშეწყობის მიზნით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა თავშესაფრებსა და ალტერნატიულ საცხოვრისებში, ასევე, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, უზრუნველყოს პაციენტების/ბენეფიციარების მხრიდან ტელეფონებით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შევიდეს ცვლილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის სტანდარტული სამოქმედო პროცედურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №231 ბრძანების 25-ე მუხლში და გაუქმდეს დასჯის მიზნით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა;
- მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში კომპიუტერების რაოდენობის გაზრდით უზრუნველყოს დღის განმავლობაში ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით შეუზღუდავად სარგებლობის შესაძლებლობა;
- მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მყოფი პირებისთვის უზრუნველყოს სამუშაო საათებში მნახველების შეუზღუდავად მიღების შესაძლებლობა და გაზარდოს შეხვედრის დრო მინიმუმ ერთ საათამდე.

7.გამოხატვის თავისუფლება

7.1. შესავალი

2024 წელს, მედიისა და გამოხატვის თავისუფლების მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა მზღუდავმა საკანონმდებლო ცვლილებებმა.[415] ასევე პრობლემური იყო მედიის წარმომადგენლების მიმართ ქვეყანაში არსებული საფრთხის შემცველი გარემო, რაც განსაკუთრებული სიმწვავით საპროტესტო შეკრებების მიმდინარეობისას გამოვლინდა.

დამატებით, ევროკომისიის შეფასებით, მედიის თავისუფლებას, პლურალიზმს და ჟურნალისტების უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნა მაღალი თანამდებობის პირებისა თუ პოლიტიკოსების მხრიდან წარმოებულმა ნეგატიურმა რიტორიკამ.[416] ამავე დროს, ევროკომისიამ[417] ქართული მედიისთვის ერთ-ერთ დიდ გამოწვევად პოლარიზაცია დაასახელა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვის რეგულირება, რაც ნაწილობრივ პრობლემურად მიიჩნია სახალხო დამცველმა. მისი განმაპირობებელი ცალკეული ნორმები 2023 წელს სასამართლოში გასაჩივრდა, სახალხო დამცველმა კი, საქმეში სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა.[418] მოცემული ეტაპისთვის, მითითებული საქმე კვლავ სასამართლოს განხილვაშია.[419]

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში პრაქტიკაში კვლავ ჰქონდა ადგილი გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვის შემთხვევებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, რომელიც მოძველებულია და ადამიანის უფლებების სტანდარტებს არ შეესაბამება.

7.2.მედიის წარმომადგენელთა დაცულობა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცნობით, 2024 წელს, მედიის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების 17 შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება, რაც მოიცავდა, მათ შორის, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას, ძალადობას და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებას.[420] მათგან გამოძიება 1 საქმეზე შეწყდა

---

[415] დამატებით, იხ. - მითითება წინამდებარე ანგარიშის შეკრების თავისუფლებისა და უფლებადამცველების თავებზე.

[416] ევროკომისიის 2024 წლის ევროკავშირის გაფართოების ანგარიში საქართველოს შესახებ - ნაბიჯების/პრიორიტეტების განხორციელების შეფასება, გვ. 8, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4joVpnP > [20.01.2025].

[417] *იქვე*, გვ. 7, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4joVpnP> [20.01.2025].

[418] იხ. სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, 152-53.

[419] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 7 თებერვლის №3/1626-23 წერილი.

[420] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2025 წლის 28 იანვრის №SIS 9 25 00001633 წერილი. 1. 2024 წლის 6 იანვარს, გამოძიება დაიწყო „TV პირველის“ ჟურნალისტის მიმართ პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 2. 2024 წლის 23 იანვარს, გამოძიება დაიწყო თბილისში, კეკელიძის ქუჩის №1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის გამოთავისუფლებისას, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე; 3.

დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო,[421] ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა 5 საქმეში წარიმართა.[422] საგულისხმოა, რომ დევნა არ დაწყებულა სამართალდამცავი

2024 წლის 9 თებერვალს, გამოძიება დაიწყო „TV პირველის“ ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 4. 2024 წლის 4 აპრილს, გამოძიება დაიწყო „მედიამონიტორინგის“ ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 5. 2024 წლის 16 აპრილს, გამოძიება დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე; 6. 2024 წლის 18 აპრილს, გამოძიება დაიწყო ტელეკომპანია „იმედის“, ტელეკომპანია „Postv“-ს და ონლაინ მედია „ინდიგო“-ს ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 7. 2024 წლის 7 მაისს, პროკურორის დადგენილების საფუძველზე, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოდან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ქვემდებარეობით გადაიგზავნა სისხლის სამართლის საქმე, ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 8. 2024 წლის 10 მაისს, გამოძიება დაიწყო „TV პირველის“ ჟურნალისტების პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 9. 2024 წლის 13 მაისს, გამოძიება დაიწყო ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 10. 2024 წლის 31 მაისს, გამოძიება დაიწყო ტელეკომპანია „Postv“-ს ჟურნალისტის და ოპერატორის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და ოპერატორის მიმართ ძალადობის ფაქტზე; 11. 2024 წლის 25 ივლისს, გამოძიება დაიწყო ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 12. 2024 წლის 26 ივლისს, გამოძიება დაიწყო ტელეკომპანია „მედია მონიტორინგის“ ჟურნალისტის და ოპერატორის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 13. 2024 წლის 23 ოქტომბერს, შსს-მ გამოძიება დაიწყო ონლაინ მედია პლატფორმა „ჯემ ნიუსი“-ს ჟურნალისტის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტზე. 2024 წლის 24 ოქტომბერს, საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და გამოძიება გაგრძელდა ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, რის შედეგადაც საქმე გადაიგზავნა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში; 14. 2024 წლის 31 ოქტომბერს, გამოძიება დაიწყო სხვადასხვა ტელეკომპანიის ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; 15. 2024 წლის 19 ნოემბერს, გამოძიება დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე; 16. 2024 წლის 29 ნოემბერს, გამოძიება დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე; 17. 2024 წლის 7 დეკემბერს, გამოძიება დაიწყო „TV პირველის“ ჟურნალისტების და ოპერატორის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე. არაერთ ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე მოგვიანებით კვალიფიკაცია შეიცვალა.

[421] 2024 წლის ნოემბერში, დანაშაულის ნიშნების არარსებობის საფუძვლით, შეწყდა 2024 წლის 6 იანვარს „TV პირველის“ ჟურნალისტის მიმართ პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე დაწყებული გამოძიება.

[422] სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1. 1 პირის მიმართ ტელეკომპანია „TV პირველის“ ჟურნალისტების მიმართ პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით; 2. 1 პირის მიმართ ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალადობა); 3. 1 პირის მიმართ ტელეკომპანია „Postv“-ს ჟურნალისტის და ოპერატორის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და ოპერატორის მიმართ ძალადობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და 154-ე მუხლის პირველი ნაწილით; 4. 2 პირის მიმართ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, მათგან 1 პირის მიმართ დევნა დაიწყო სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (დევნა ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით), ხოლო მეორე პირის მიმართ - 154-ე მუხლის პირველი ნაწილით, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; 5. და 2 პირის მიმართ ტელეკომპანია „მედია მონიტორინგის“ ჟურნალისტის და ოპერატორის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის

ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების არცერთ შემთხვევაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ 2023 წელს დაწყებული გამოძიების მიმდინარეობითაც დაინტერესდა. კერძოდ, გასულ საანგარიშო წელს 9 სისხლის სამართლის საქმეზე[423] დაწყებული გამოძიების შედეგად, დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება 2 საქმეში მოხერხდა.[424] ამ შემთხვევაშიც არ მომხდარა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან 2023 წლის 7-8 მარტს, საქართველოს პარლამენტის შენობასთან გამართული საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას, უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.

საგულისხმოა, რომ სტატისტიკური მონაცემები, შესაძლოა, არ იყოს ყოვლისმომცველი და არ ასახავდეს იმ გამოძიებათა მიმდინარეობას, რომლებიც არა ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის (სსკ-ის 154-ე მუხლი) ან სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული სხვა დანაშაულების ჩადენის ფაქტებზე მიმდინარეობს,[425] არამედ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულებთან დაკავშირებით წარიმართა (მაგალითად, ეს მუხლებია სსკ-ის 126-ე (ძალადობა) და 151-ე (მუქარა) მუხლები, თუ ის ჩადენილი არ არის სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ და 187-ე მუხლი (ნივთის დაზიანება ან განადგურება). სახალხო დამცველმა წარსულში არაერთხელ ისაუბრა ხსენებულ პრობლემაზე, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სამინისტრო მონაცემებს ამუშავებს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების და არა დანაშაულის გარემოებათა (მათ შორის, დაზარალებულის პროფესიული საქმიანობის) მიხედვით.[426]

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს როგორც მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების სრულფასოვანი აღრიცხვის, ისე მათი დროული გამოძიების აუცილებლობაზე. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სრული სურათის

შეშლის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სსკ-ის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

[423] იხ. სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 152. სისხლის სამართლის №199250323001, №199080323001, №199010523001, №199250523001, №199240823001, №199201223002, №199200923002, №199290923002 და №199061023001 საქმეები.

[424] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2025 წლის 28 იანვრის №SIS 9 25 00001633 და 13 თებერვლის №SIS 2 25 00002806 წერილები.

[425] „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 19.

[426] იხ. მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 149; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 172; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 226.

დასანახად, საგამოძიებო ორგანოების რეაგირების ეფექტიანობის სათანადოდ შესაფასებლად და დაუსჯელობის გარემოს აღმოსაფხვრელად.

მსგავსი გამოწვევების დასაძლევად, კარგი შესაძლებლობაა ევროპის საბჭოს ექსპერტის მიერ, სახალხო დამცველის თხოვნის საფუძველზე, მომზადებულ 2023 წლის ტექნიკურ დოკუმენტში - „საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით“ ასახული მიგნებებისა და რეკომენდაციების გაზიარება.[427] მათ შორის, კვლევაში საგანგებოდ არის მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) ახლებურად ჩამოყალიბების საჭიროებაზე. ეს მუხლი, რომელსაც სპეციალური საგამოძიებო სამსახური იძიებს,[428] მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მთავარი სამართლებრივი ინსტრუმენტია, თუმცა იგი სრულად არ ასახავს ყველა იმ დანაშაულს, რომლის ადრესატებიც ჟურნალისტები საკუთარი საქმიანობის გამო ხდებიან (მაგ., მუქარა და ძალადობა). ამავე დროს, კვლევის თანახმად, საჭიროა, გამკაცრდეს მაქსიმალური სასჯელი ხსენებული დანაშაულისთვის, რაც მკაფიოდ მიანიშნებს საზოგადოებას, რომ ჟურნალისტზე თავდასხმა ეწინააღმდეგება დემოკრატიულ სტანდარტებს. მითითებული ხარვეზი რეალურ პრობლემას ქმნის პრაქტიკაში, მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების სათანადო კვალიფიკაციის კუთხითაც. მაგალითად, არჩევნების დღეს, ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ან/და მათი აპარატურის დაზიანების ორ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის საფუძველზე დაიწყო, თუმცა ფიზიკური შეურაცხყოფის ან ნივთის დაზიანების დადასტურების შემთხვევაში, ორივე საქმეში საჭირო იქნება კვალიფიკაციის დაზუსტება.[429]

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ჟურნალისტების უსაფრთხოება განსაკუთრებული პრობლემა იყო შეკრებების მიმდინარეობისას.[430] განსაკუთრებით

[427] ევროპის საბჭოს ექსპერტის, პიტერ ნორლანდერის მიერ მომზადებული ტექნიკური დოკუმენტი - „საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით“, 2023, გვ. 36-42, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4eS1VAX > [20.01.2024]; კვლევის შესახებ მოკლე ინფორმაციისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 148-50.

[428] „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 19, ნაწილი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

[429] დეტალები იხილეთ წინამდებარე ანგარიშის საარჩევნო უფლების თავში.

[430] იხ. სახალხო დამცველის 2024 წლის 17 აპრილის განცხადება 16-17 აპრილის აქციის მონიტორინგის პირველადი შედეგების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3zSxHi0 > [20.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 1 მაისის განცხადება 30 აპრილის აქციაზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3Wu3EVZ > [20.01.2025]; საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 29 ნოემბრის განცხადება 28-29 ნოემბრის აქციის დაშლის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3Ddwtz5 > [20.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 29 ნოემბრის განცხადება მიმდინარე აქციის თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/49JB3Bh > [20.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 30 ნოემბრის განცხადება 29-30 ნოემბრის აქციის დაშლის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/49F7pgw > [20.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 10 დეკემბრის

შემაშფოთებელი იყო სამართალდამცავების მხრიდან ნაწილი ჟურნალისტების მიმართ გამოვლენილი ძალადობისა და სისასტიკის ხარისხი, მათ საქმიანობაში ხელშეშლა და ცალკეულ შემთხვევაში ტექნიკის მიზანმიმართული დაზიანება 2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებული უწყვეტი პროტესტის საპოლიციო მართვის დროს. გამოვლინდა ადგილზე მოვლენების გასაშუქებლად მყოფ მედიის წარმომადგენლებზე სასტიკი თავდასხმა ძალადობრივი ჯგუფის მხრიდანაც. ერთი მხრივ, სამართალდამცავების მიერ გამოხატული აშკარა და განმეორებითი აგრესია ჟურნალისტების მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, სათანადო ეფექტიანი ზომების გაუტარებლობა უცნობი პირების ძალადობრივი ქმედებებისგან მედიის წარმომადგენლების დასაცავად, ქმნის დაუსჯელობის გარემოს, რაც მომავალში კიდევ უფრო მეტ არსებით საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მედიის თავისუფლების ხარისხს და ჟურნალისტების უსაფრთხოებას, შეიცავს საშიშ გზავნილს, რომ მედიის წარმომადგენლები, მათი საქმიანობის გამო, შესაძლოა, ანგარიშსწორებას დაექვემდებარონ.

სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს, რომ შეკრებების მიმდინარეობის დროს კანონმდებლობა ჟურნალისტებისთვის სპეციალური დაცვის რეჟიმს ითვალისწინებს,[431] რაც გამომდინარეობს მედიის წარმომადგენლების განსაკუთრებული როლიდან, შეკრების შესახებ გაავრცელონ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია.[432] მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნისა, მათი დაცვის მექანიზმები კვლავ ხარვეზიანი რჩება. როგორც საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალურ ანგარიშში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)" აღინიშნა, კანონი შეკრების ორგანიზატორებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს უდგენს ვალდებულებას, ხელი არ შეუშალონ პროფესიულ საქმიანობაში მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მქონე ჟურნალისტებს, რომლებიც აშუქებენ შეკრებას.[433] თუმცა კანონი არ განმარტავს, რას

ბრიფინგი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3OXGCmn > [20.01.2025].

[431] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 2, ნაწილი 4.

[432] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისია, შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 206-08; ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს წევრ შერჩეულ ქვეყნებში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგის ანგარიში (მაისი 2017 - ივნისი 2018), 19 სექტემბერი 2019, პარა. 334, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/2ucM3lh > [16.10.2024]; ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2012 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე, Najafli v. Azerbaijan, განმარტა, რომ მედიის როლი გულისხმობს საზოგადოებრივ ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის გავრცელებას; ხოლო, თავის მხრივ, საზოგადოებას გააჩნია ამგვარი მონაცემების და მათ შორის, შეკრების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება (პარა. 66); ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2015 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე, Pentikäinen v. Finland, მიუთითა მედიის უმნიშვნელოვანეს როლზე ხელისუფლების მხრიდან შეკრების მართვის და არეულობის შეკავების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ამგვარად, მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით (პარა. 89).

[433] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)" (შემდგომში, „2020 წლის სპეციალური ანგარიში"), გვ. 32-34, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <bit.ly/42OiNlw > [20.01.2025].

ნიშნავს „მაიდენტიფიცირებელი ნიშანი“, რაც საკმაოდ პრობლემური საკითხია როგორც პოლიციისთვის, გაარჩიოს შეკრების რიგითი მონაწილე ჟურნალისტისგან იძულებითი ღონისძიებების გამოყენების დროს, აგრეთვე პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას. ამდენად, ამ მიმართულებით კანონმდებლობის დახვეწის საჭიროება კვლავ აქტუალურია, რაც აგრეთვე დადასტურდა ევროპის საბჭოს ექსპერტის მიერ მომზადებული ზემოხსენებული ტექნიკური დოკუმენტით.[434]

7.3.საკანონმდებლო ცვლილებები

გასულ წელს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ხელისუფლების წარმომადგენელთა კრიტიკის შესაძლებლობა.[435] კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, მასზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან/და მის მიმართ სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან საქმიანობასთან დაკავშირებით.[436] ამგვარივე შინაარსით გაფართოვდა სამართალდამცავთა შეურაცხყოფის მარეგულირებელი ნორმაც, რომელიც, წლების განმავლობაში, აქტიურად გამოიყენებოდა შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული წესით დაკავების მიზნით.[437] ამასთანავე, მსგავსი სამართალდარღვევებისთვის მაღალი ფულადი ჯარიმები ან ხანგრძლივი ადმინისტრაციული პატიმრობის ვადები განისაზღვრა. ასეთი უპირობო აკრძალვები ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლებაში მართლზომიერი ჩარევის სტანდარტს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მომეტებულად არის დაცული გზავნილები, რომლებიც პოლიტიკური შინაარსისაა, პოლიტიკოსებს მიემართება ან საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხს უკავშირდება; შესაბამისად, კერძო პირებისგან განსხვავებით, ფართოა თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების დასაშვები კრიტიკის ფარგლები.[438] ამის მიზეზია ის გარემოება, რომ დემოკრატიულ სისტემაში ხელისუფლების ქმედებები უნდა

[434] ევროპის საბჭოს ექსპერტის, პიტერ ნორლანდერის მიერ მომზადებული ტექნიკური დოკუმენტი - „საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ჟურნალისტთა დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით“, 2023, გვ. 42.

[435] ცვლილებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3CZJ5ud > [28.02.2025].

[436] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173^{16}-ე მუხლი.

[437] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

[438] იხ. მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ*, პარა. 51; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, *Dickinson v. Turkey*, პარა. 55; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, *Mladina D.D. Ljubljana v. Slovenia*, პარა. 40; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, *Tusalp v. Turkey*, პარა. 45; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Romanenko and Others v. Russia*, პარა. 47; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Mamère v. France*, პარა. 27.

დაექვემდებაროს არა მხოლოდ საკანონმდებლო და სასამართლო, არამედ საზოგადოებრივი აზრის მხრიდან განსჯას.[439] თანამდებობის პირებთან მიმართებით, აღსანიშნავია ისიც, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს წარმომადგენლები გარდაუვლად აყენებენ თითოეულ მათ სიტყვასა თუ ქმედებას საზოგადოების სამსჯავროს წინაშე,[440] რის გამოც, ვალდებულნი არიან, აჩვენონ შემწყნარებლობის მაღალი ხარისხი თუნდაც პროვოკაციულად ან შეურაცხმყოფლად აღქმული კრიტიკის მიმართ,[441] როდესაც ეს არ წარმოადგენს კონტექსტისგან დაცლილ გადამეტებულ პირად თავდასხმას.[442] საყურადღებოა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მსჯელობაც იმის თაობაზე, რომ შეკრების დროს გავრცელებულ ვიზუალურ თუ ხმოვან შეტყობინებებზე შეზღუდვები არ უნდა დაწესდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ძალადობის მყისიერი საფრთხე.[443]

7.4.კანონმდებლობის არასათანადო გამოყენება გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევისთვის

გასულ წლებში არაერთხელ გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავები პირების გამოხატვის თავისუფლებას ხლუდავდნენ ბანერებისა და გამოხატვის სხვადასხვა საშუალების გამოყენების გამო, რაც განპირობებული იყო პოლიტიკური შინაარსის გამოხატვითა თუ ამისთვის შერჩეული სტილით.[444] ამ შემთხვევებში, პოლიცია მზღუდავ ღონისძიებად იყენებდა ადმინისტრაციულ დაკავებას, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) ან/და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებს ეფუძნებოდა. რამდენადაც გამოხატვის თავისუფლება მომეტებულად იცავს პოლიტიკური შინაარსის გზავნილებს, რომლებიც ძალადობის/დაპირისპირების რეალურ და მყისიერ საფრთხეს არ ქმნის, მსგავს საქმეებში, საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად წარადგენდა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებს. ამ ინტერვენციების მიზანი იყო სასამართლოს დახმარება უფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევის თავიდან აცილებაში და იმ სისტემური ხარვეზების პრაქტიკულ

[439] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1999 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Ceylan v. Turkey*, პარა. 34.

[440] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Lingens v. Austria*, პარა. 42.

[441] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 16 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, *Özgür Gündem v. Turkey*, პარა. 60.

[442] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Oberschlick v. Austria*, პარა. 33.

[443] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია), შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 3.3, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3NGvrgT > [19.02.2025].

[444] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 155; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები 2023 წლის 2 ივნისს დაკავებული აქციის მონაწილეების საქმეებზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4h3PHX4 > [20.01.2025].

დონეზე გამოსწორებაში, რომელიც დღესდღეისობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოძველებული დებულებებით არის განპირობებული.

საანგარიშო წელს მსგავსი გაუმართლებელი პრაქტიკა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული განსხვავებული საფუძვლით გაგრძელდა. კერძოდ, 2024 წლის ნოემბერში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო მოძრაობა თავისუფლებისთვის" ორჯერ დააჯარიმა შენობაზე პოლიტიკური შინაარსის საპროტესტო ბანერის განთავსების გამო.[445] ამჯერად, ხსენებული ბანერის განთავსება არასათანადო რეკლამის განთავსებად (გავრცელება) შეფასდა და სამართალდარღვევის ოქმები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159[1]-ე მუხლის საფუძველზე შედგა.

სახალხო დამცველი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მსგავსი შინაარსის პოლიტიკური გზავნილი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით ორგანიზაციის პოზიციის ჩვენებას, სრულად არის დაცული გამოხატვის თავისუფლებით და არ ჯდება კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე სახის „რეკლამის"[446] დეფინიციაში. საყურადღებოა ისიც, რომ სადავო ბანერი განთავსებული იყო ორგანიზაციის აივანზე, ხოლო საპროტესტო ბანერების სპონტანური და ხანმოკლე ვადით განთავსება კერძო საკუთრების ფასადზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე მიჩნეული აქვს დაცულ გამოხატვის ფორმად.[447] ამის გათვალისწინებით, ცალსახად მისასალმებელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილება, ბათილად ეცნო ზემოხსენებული სამართალდარღვევის ოქმები არასამთავრობო ორგანიზაციის საჩივრების საფუძველზე.[448]

ამდენად, საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს ყველა პასუხისმგებელ ორგანოს, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამოყენებით პირთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას და თითოეულ ასეთ შემთხვევაში, გაითვალისწინონ უფლებაში ჩარევის მკაცრი სტანდარტი.

---

[445] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3EhVSIk > [20.01.2025].

[446] „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „რეკლამა" არის საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „არასათანადო რეკლამა" არის არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო, არაეთიკური, შეცდომაში შემყვანი ან სხვა რეკლამა, რომელშიც დარღვეულია მისი შინაარსის, დროის, ადგილის ან გავრცელების წესის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

[447] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე, *ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

[448] ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 21 თებერვლის №ბ36.36250522 ბრძანება.

საქართველოს პარლამენტს:

- ახლებურად ჩამოყალიბდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი, რათა მოიცვას ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ ჩადენილი ყველა დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მათ ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირდება; და გამკაცრდეს ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი;
- გაუქმდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ასახული ფართო და უპირობო აკრძალვები საჯარო მოხელეებისა და თანამდებობის პირების შეურაცხყოფასთან დაკავშირებით.

8.ინფორმაციის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებულია ყველას პირის უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ასევე კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტებს.[449] საქართველოს სახალხო დამცველი წლებია მიუთითებს, რომ საზოგადოების წინაშე საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო საკანონმდებლო გარანტიების შექმნა, მათი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია და ეფექტიანი აღსრულება.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება საჯარო ინფორმაციის გაცემის წესთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობა[450] და უფლების დაცვაზე ეფექტიანი საზედამხედველო ინსტიტუტის არარსებობაა. ,,საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2025 წლის სპეციალურ ანგარიშში[451] დეტალურად არის განხილული ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ბოლო 4 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის შედეგად გამოავლინა.[452] ისევე როგორც გასულ წლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2024 წელს შესწავლილი საჩივრების ანალიზი მიუთითებს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები და საჯარო დაწესებულების ცნების უფრო მეტი სიცხადით ჩამოყალიბება, განსაკუთრებით, საჯარო სამართლებრივი ფუნქციების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედი კერძო სუბიექტების მიმართ. ასევე, დასაკონკრეტებელია, თუ რას გულისხმობს საჯარო ინფორმაციის დამუშავების ფარგლები და გაცემისთვის დადგენილი ვადების გამოთვლის საკითხი. უფლებათა შეპირისპირებისას აუცილებელია კანონმდებლობით გაიწეროს ის გადამწყვეტი კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დამოუკიდებელი და ეფექტიანი საზედამხედველო ინსტიტუტის არსებობა, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილებით უზრუნველყოფს უფლების დროულ და ეფექტიან დაცვას.

,,ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ" ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს, რომ განმცხადებელს საჯარო ინფორმაციის გაუცემლობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ან სასამართლოში, ან დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში და ეს პროცედურა უნდა იყოს სწრაფი და იაფი. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,

[449] საქართველოს კონსტიტუცია (786-რს, 24/08/1995), მუხლი 17, მუხლი 18.

[450] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი III.

[451] იხ. სპეციალური ანგარიში <https://www.ombudsman.ge/res/docs/20250207171214211147.pdf> [11.03.2025].

[452] იქვე. გვ. 5.

სასამართლო ის ერთადერთი საზედამხედველო ინსტიტუტია, რომელსაც შეუძლია საჯარო დაწესებულებას საჯარო ინფორმაციის გაცემა დაავალოს. უფლების დაცვის არსებული საზედამხედველო ინსტიტუტის დროში ეფექტიანობის შესაფასებლად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ყველა საქალაქო და რაიონული სასამართლოდან გამოითხოვა საკითხის შესწავლისთვის აუცილებელი ინფორმაცია.[453] სასამართლოებიდან მიღებული მონაცემების ანალიზით გაირკვა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოები საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით წარდგენილ 50 სარჩელს მინიმუმ 1 წლის განმავლობაში განიხილავდნენ. 2022 წელს მიღებულ მინიმუმ 11 სარჩელზე 2024 წლამდე გაგრძელდა სასამართლო განხილვა. აქედან 4 სარჩელზე 2022 წლიდან 2024 წლის 27 აგვისტომდე პერიოდში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სასამართლო განხილვა. პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან მოწოდებული სტატისტიკა მიუთითებს, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სასარჩელო წარმოება ხანგრძლივია და ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ ხელმისაწვდომობას. ინფორმაციის დროულობა უშუალოდ არის დაკავშირებული მის ღირებულებასთან, რაც, შესაძლოა, გადამწყვეტი იყოს დაინტერესებული პირისთვის, განსაკუთრებით, თუ საჯარო ინფორმაციას მედიასაშუალება/ჟურნალისტი ან უფლებადამცველი ორგანიზაცია ითხოვს. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დროულად მოხდეს „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ“ ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის კონვენციის საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარება და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია.

2024 წლის ბოლოს შეიზღუდა წვდომა სსიპ საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებზე. საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მიზნებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი შეფერხებები დროულად აღმოიფხვრას და უზრუნველყოფილი იყოს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების საჯაროობა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საანგარიშო პერიოდში განხილული საჩივრები:

2024 წელს, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 60 საჩივარი განიხილა. განცხადების/საჩივრის ავტორები იყვნენ როგორც ფიზიკური პირები, ისე მედიასაშუალების და უფლებადამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლები. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვასთან დაკავშირებით 2024 წელს გაიცა 5 რეკომენდაცია[454], ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გაეგზავნა წინადადება ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების

[453] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 27 აგვისტოს №2024/4092 წერილი.
[454]საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები: 10.10.2024 წ. №2024/5375, 30.12.2024 წ. 2024/7782, 30.12.2024 წ. №2024/7783, 05.12.2024 წ. №2024/6935, 09.10.2024 წ. №2024/5326.

სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების კვარტალურად დამუშავებასა და სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით (მათ შორის, 166-ე და 173-ე მუხლის დამრღვევ პირთა დაკავების ფაქტების ამსახველი სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება/გამოქვეყნებაზე, ისე, რომ ირკვეოდეს ინფორმაცია იმ დაკავებულ პირთა რაოდენობის შესახებ, რომლებიც არ მოუთავსებიათ დროებითი მოთავსების იზოლატორებში).[455] შპს ,,საინფორმაციო ცენტრების ქსელის" სარჩელთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა მოამზადა სასამართლო მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) რათა სასამართლოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზების მიზნებისთვის, ემსჯელა ორჰუსის კონვენციით ქვეყნისთვის დადგენილი ვალდებულებების შესრულების და გარემოს მდგომარეობის შესახებ საგამოძიებო უწყებებში დაცული ინფორმაციის გამოცალკევების და დაინტერესებული პირისთვის გადაცემის შესაძლებლობაზე.[456]

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებების/საჩივრების საქმისწარმოების ეტაპზე, დაინტერესებულმა პირებმა მათთვის საინტერესო საჯარო ინფორმაცია მას შემდეგ მიიღეს, რაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების შესახებ ადრესატი უწყებებიდან შესაბამისი განმარტებების წარმოდგენა ითხოვა. აღნიშნული გარემოება ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საჯარო დაწესებულებების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე, ამ შემთხვევებში უსაფუძვლო იყო. საჯარო ინფორმაციის დროული ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით აქტუალურია უფლებადამცველების, მათ შორის, ჟურნალისტებისთვის, რადგან დაგვიანებით გაცემულმა ინფორმაციამ, შესაძლოა, საზოგადოებისთვის დაკარგოს თავდაპირველი ღირებულება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველმა გამოავლინა მედიასაშუალების/ჟურნალისტების ("TOK TV"-ის ჟურნალისტების, შპს ,,გაზეთი ბათუმელების" და შპს ,,საინფორმაციო ცენტრების ქსელის" და შპს ,,საქართველოს ამბების") და უფლებადამცველი ორგანიზაციების (ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), ა(ა)იპ ,,სამოქალაქო ადვოკატირების ცენტრის", ა(ა)იპ ,,სოციალური სამართლიანობის ცენტრის" და ა(ა)იპ ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის") საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვის ფაქტები.[457] გაირკვა, რომ საჯარო დაწესებულებებმა გარკვეულ შემთხვევებში უპასუხოდ დატოვეს მედიასაშუალების და უფლებადამცველი ორგანიზაციების მოთხოვნა საჯარო

[455] იხ. 18.11.2024 წ. №2024/6483 წინადადება <https://www.ombudsman.ge/res/docs/20241120120857185551.pdf > [11.03.2025].
[456] იხ. 07.10.2024 წ. №2024/5216 სასამართლო მეგობრის მოსაზრება <https://www.ombudsman.ge/res/docs/20241128122201643355.pdf> [11.03.2025].
[457] 04.07.2024 წ. №3097/2024, 01.04.2024 წ. №21/2024, 25.06.2024 წ. №2829/2024, 21.02.2024 წ. №2244/24, 23.01.2024 წ. №662/24, 05.04.2024 წ. №343/2024, 09.02.2024 წ. №1811/24, 21.11.2024 წ. №7879/2024, 23.02.2024 წ. №2342/24, 22.03.2024 წ. №3216/24 საჩივრები.

ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით. რიგ შემთხვევებში უფლებადამცველ ორგანიზაციებს/ჟურნალისტებს დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/გაცემაზე, ან არასრულყოფილად/თვეების დაგვიანებით მიეწოდათ მოთხოვნილი ინფორმაცია. საქართველოს სახალხო დამცველს სურს კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღნიშნოს, რომ უფლებადამცველების და მედიის წარმომადგენლებისთვის, როგორც საზოგადოებრივი მეთვალყურის ფუნქციის განმახორციელებელი პირებისთვის, ინფორმაციის შეგროვება საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა მათი „საზოგადოებრივი მეთვალყურის“ ფუნქციის შესრულების ხელშეშლაა, ვინაიდან მათი მუშაობა ხელს უწყობს ცალკეულ საკითხებზე ინფორმირებული საჯარო დებატების გამართვას. ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები საფრთხეს უქმნის მედიასაქმიანობის ეფექტიანობასაც. [458]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2024 წელს შესწავლილი საჩივრების შედეგად გამოვლენილი გამოწვევები კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმის დაწყებისა და ეფექტიანი საზედამხედველო ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობას.

წინადადება

საქართველოს პარლამენტს:

- იმსჯელოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშსა და წინამდებარე თავში წარმოდგენილ საკითხებზე და უფლების დაცვის სათანადო გარანტიების შესაქმნელად, განახორციელოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

რეკომენდაცია

საჯარო დაწესებულებებს:

- უზრუნველყონ ყველა დაინტერესებული პირისთვის, განსაკუთრებით კი მედიასაშუალების/ჟურნალისტის და უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულყოფილი და დროული მიწოდება.

[458] იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; გუსევა ბულგარეთის წინააღმდეგ, § 37; შაპოვალოვი უკრაინის წინააღმდეგ, § 68. Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina, § 86, TÁRSASÁG A SZABADSÁGJOGOKÉRT v. HUNGARY.

9. შეკრების თავისუფლება

9.1.შესავალი

2024 წელი სხვადასხვა მასშტაბის და ფორმის პოლიტიკური შეკრებების სიმრავლით გამოირჩეოდა. მათი სახეობების, ადგილმდებარეობების, სიხშირის, ხანგრძლივობისა და მონაწილეთა რაოდენობის ცვალებადობასთან ერთად, განსხვავებული იყო საპოლიციო ძალების მხრიდან გამოყენებული რეაგირებების მეთოდები და, შესაბამისად, უფლებაში ჩარევის ინტენსივობაც. სახალხო დამცველის შეფასებით, ამ პროცესში, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მანიფესტანტთა მცირე ნაწილის ძალადობრივ ქმედებებზე ინდივიდუალური რეაგირების ნაცვლად, სამართალდამცავების მიერ მთლიანი შეკრებების დაშლაზე მიღებული გადაწყვეტილებები იყო, როდესაც ამის აუცილებლობა არ ყოფილა. მსგავს შემთხვევებში, საპოლიციო ღონისძიებების გამოყენების ფორმალური საფუძვლის არსებობის მიუხედავად, უფლება არაპროპორციულად იზღუდებოდა. ამავე დროს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ შეკრების შეწყვეტის და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებები საპოლიციო მართვის ფარგლებში მიიღება, რომელთა მართლზომიერებას - როგორც მმართველობით გადაწყვეტილებას - სახალხო დამცველი აფასებს დამოუკიდებლად იმისგან, სახეზეა თუ არა ამგვარი ღონისძიებების ფარგლებში, სამართალდამცავთა მხრიდან შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა. ამ მეორე მიმართულებით გასულ საანგარიშო პერიოდში მშვიდობიანი დემონსტრანტების, ჟურნალისტების და დაკავებულების მიმართ სავარაუდო სისტემური არასათანადო მოპყრობა, შეფასებულია წინამდებარე ანგარიშის შესაბამის ქვეთავში.[459]

საყურადღებოა ისიც, რომ ხარვეზიანი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე, რომელიც უმეტესად ვერ პასუხობს აუცილებლობის მოთხოვნას და უფლებაში თვითნებურ ჩარევას იწვევს, კვლავ სერიოზულ გამოწვევად დარჩა შეკრების მონაწილეთა დაკავების მავნე პრაქტიკა. გარდა ამისა, შეკრების თავისუფლების დაცვის მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა 2024 წელს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმაც.

9.2.მშვიდობიანი შეკრების შეწყვეტის შემთხვევები

საანგარიშო წელი გამორჩეული იყო შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ საპოლიციო ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების განსაკუთრებული ინტენსივობით. სახალხო დამცველი დემონსტრანტების წინააღმდეგ არალეგიტიმური ან/და არაპროპორციული ძალის გამოყენების პრობლემას 2024 წლის აპრილში, ნოემბერსა და დეკემბერში საქართველოს პარლამენტთან გამართულ შეკრებებზე გამოეხმაურა.[460]

[459] წინამდებარე ანგარიშის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსება შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვისა და გამოძიების გაზაფხულისა და ზამთრის საპროტესტო აქციების - არასათანადო მოპყრობისა და სხვა უფლებადარღვევების ქვეთავში.

[460] სახალხო დამცველის 2024 წლის 17 აპრილის განცხადება 16-17 აპრილის აქციის მონიტორინგის პირველადი შედეგების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3TqkdRb > [23.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 1 მაისის განცხადება 30 აპრილის აქციაზე განვითარებული მოვლენების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3XHwAeg > [23.01.2025]; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2024

წინა პერიოდის მსგავსად,[461] ამ შემთხვევებშიც სისტემური გამოწვევა იყო სამართალდამცავების მხრიდან მთლიანი შეკრების ძალადობრივად მიჩნევა მაშინ, როდესაც უკანონო ქმედებებში მხოლოდ მონაწილეთა ნაწილი ერთვებოდა. ამგვარი პრაქტიკა ეწინააღმდეგება უფლებრივ სტანდარტს, რაც გულისხმობს, რომ შეკრება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში უნდა შეწყდეს.[462]

ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ რამდენადაც უფლების რეალიზაციას ყველა ადამიანი ინდივიდუალურად ახდენს, ცალკეულ პირთა ან პირთა მცირე ჯგუფების სიტყვიერი ან ფიზიკური აგრესიის თუ ძალადობის აქტები ან სხვა სახის უკანონო ქმედებები არ აბათილებს იმ ადამიანთა შეკრების თავისუფლებას, რომლებიც მშვიდობიან ქცევას განაგრძობენ.[463] წინააღმდეგ შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი შეკრების შეწყვეტის და ათასობით მშვიდობიანი მანიფესტანტის პროტესტის ჩახშობის საფუძველს გახდიდა ნებისმიერი იმ რაოდენობის ინდივიდის ნებისმიერი ისეთი აგრესიული ქცევა, რომლის აღკვეთაც ინდივიდუალური საპოლიციო ღონისძიებების გატარებით არის შესაძლებელი. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში, ნებისმიერი სახის ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონკრეტული ინდივიდების ძალადობრივ ქმედებებზე პასუხს და არა მთელი შეკრების დაშლას,[464] ხოლო თუ მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა ქმედებები მომეტებულად ზემოქმედებს სხვათა უფლებებზე, საპასუხო რეაგირება უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობის მკაცრ მოთხოვნებს.[465] ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს შეკრების წარმატებული მართვისთვისაც, რამდენადაც შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ ძალის ყოველ გამოყენებას, შესაძლოა, მონაწილეთა

წლის 29 ნოემბრის განცხადება 28-29 ნოემბრის აქციის დაშლის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3Ddwtz5 > [23.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 29 ნოემბრის განცხადება მიმდინარე აქციის თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/49JB3Bh > [23.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 30 ნოემბრის განცხადება 29-30 ნოემბრის აქციის დაშლის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/49F7pgw > [23.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 2 დეკემბრის მოწოდება შსს-ს მიმართ, არ გამოეყენებინა სპეციალური საშუალებები მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების მიმართ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4iBlyyh > [23.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 7 დეკემბრის განცხადება რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დაშლასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4gvrUP8 > [23.01.2025]; სახალხო დამცველის 2024 წლის 10 დეკემბრის ბრიფინგი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3OXGCmn > [23.01.2025].

[461] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 160-62; სახალხო დამცველის 2023 წლის 13 მარტის განცხადება რუსთაველის გამზირზე 7-9 მარტს განვითარებული მოვლენების შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3zjmS8w > [23.01.2025].

[462] ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №37 მშვიდობიანი შეკრების უფლების შესახებ, 2020, CCPR/C/GC/37, პარა. 79 და პარა. 85., ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3F5SVZe > [16.10.2024].

[463] იხ. მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Frumkin v. Russia*, პარა. 99; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, *Primov and Others v. Russia*, პარა. 155.

[464] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისია, შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 164, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3NGvrgT > [23.01.2025].

[465] ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №37 მშვიდობიანი შეკრების უფლების შესახებ, 2020, CCPR/C/GC/37, პარა. 79 და პარა. 85, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3F5SVZe > [23.01.2025].

აგრესიული რეაქცია მოჰყვეს, რაც ხელს უწყობს სიტუაციის ესკალაციას[466] და ამდენად, დამატებით სირთულეებს უქმნის ადგილზე წესრიგის უზრუნველსაყოფად მობილიზებულ სამართალდამცავებს.

9.3.საკანონმდებლო ცვლილებები

საანგარიშო პერიოდში მიღებულმა არაერთმა საკანონმდებლო ცვლილებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა უფლების დაცვის ეროვნული სტანდარტი. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ასახული ცვლილება, რომლითაც დემონსტრანტებისთვის სახის ნიღბით ან სხვაგვარი საშუალებით დაფარვის უპირობო აკრძალვა დაწესდა,[467] და რამაც მომეტებულად შეზღუდა შეკრების ფორმის არჩევის უფლება. საგულისხმოა, რომ შეკრების მონაწილეების მხრიდან ნიღბის გამოყენებას, შესაძლოა, ჰქონდეს გამომხატველობითი ფუნქცია, ან სრულიად მშვიდობიან მომიტინგეს სურდეს პროტესტის ანონიმურად გამოხატვა. ასეთი შესაძლებლობის უპირობოდ ჩამორთმევა დაუშვებელია, თუ ნიღბის ტარება მიზნად არ ისახავს იმ ადამიანის ვინაობის დაფარვას, რომლის ქმედებებიც უკანონოა და ქმნის დაკავების შესაძლო საფუძველს.[468] საყურადღებოა, რომ მოქმედი მოწესრიგება აგრეთვე გამორიცხავს ნიღბის ტარებას სამედიცინო მიზნებით, რაც დამატებით მოწმობს შეზღუდვის არაპროპორციულ ხასიათს. ასეთი ბლანკეტური აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალსაც ეწინააღმდეგება.[469]

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული აკრძალვის მასობრივი დარღვევა შეკრების შეწყვეტის ფორმალურ საფუძველს ქმნის[470] იმის მიუხედავად, თუ რამდენად არის დაკავშირებული სახის დაფარვა ძალადობრივი ქმედებების ჩადენასთან. ეს ეწინააღმდეგება უფლების დაცვის მყარ გარანტიებს, რომელთა თანახმადაც შეკრება მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში შეიძლება დაიშალოს, როდესაც ის სრულად ძალადობრივად[471] იქცევა ან

[466] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2016, გვ. 21, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3tCagS7 > [23.01.2025].

[467] ცვლილებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3Wv2Lwo > [23.01.2025].

[468] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარა. 98.

[469] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე, *Ibragimova v. Russia*, პარა. 36.

[470] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13.

[471] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ძალადობა“ გულისხმობს მონაწილეთა მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენებას, რომლის შედეგადაც, მოსალოდნელია გარდაცვალება, ჯანმრთელობის ან საკუთრების სერიოზული დაზიანება. იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარა. 15; იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, *Shmorgunov and Others v. Ukraine*, პარა. 491.

უკანონო ქმედებებით, ერთიანობაში, არათანაბრად და განგრძობითად აზიანებს რაიმე შემხვედრ ლეგიტიმურს ინტერესს.[472]

მოგვიანებით, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებითი ცვლილებები შევიდა, რომლითაც უფლებაში ჩარევის კიდევ უფრო მეტი საფუძველი დაწესდა. მაგალითად, სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, გაუქმებულიყო შეკრების გამართვის ადგილთან დაკავშირებული ბლანკეტური აკრძალვები,[473] გაიზარდა ამგვარ აკრძალვას დაქვემდებარებული ლოკაციების სია.[474] ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნეგატიური ცვლილება იყო შეკრების მონაწილეთა მხრიდან დროებითი კონსტრუქციების (მათ შორის, კარვის) აღმართვის შესაძლებლობის მკვეთრი შეზღუდვაც.[475] მსგავსი შინაარსის ინიციატივა საკანონმდებლო ორგანოს პირველად 2023 წელს წარედგინა, რასაც სახალხო დამცველი გამოეხმაურა და განმარტა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ვერ პასუხობდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ეწინააღმდეგებოდა შეკრების თავისუფლების კონსტიტუციურ სტანდარტს.[476] ამ საკითხის თაობაზე, სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, უარყოფითი დასკვნა მოამზადა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმაც (OSCE/ODIHR), რომელმაც აღნიშნა, რომ კანონპროექტი არ უნდა მიღებულიყო.[477]

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ზემოხსენებულ ცვლილებებს თან სდევდა ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც,[478] რომლითაც, მათ შორის, არსებითად და არაპროპორციულად გაიზარდა შეკრების თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის გათვალისწინებული სახდელები და დაწესდა არაგონივრულად მკაცრი პასუხისმგებლობის ზომები ახალი

[472] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №37 ზოგადი კომენტარი (2020) მშვიდობიანი შეკრების უფლებაზე (მუხლი 21), CCPR/C/GC/37, 17 სექტემბერი 2020, პარა. 85.

[473] იხ. მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 190 და სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)“, გვ. 64.

[474] ცვლილებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4397BTY > [19.02.2025]. იხ. ცვლილებები მე-9 მუხლში.

[475] ცვლილებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4397BTY > [19.02.2025]. იხ. ცვლილებები მე-11 მუხლში.

[476] იხ. სახალხო დამცველის 2023 წლის 4 ოქტომბრის განცხადება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3EnQjs6 > [19.02.2025].

[477] იხ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2023 წლის 6 ნოემბრის სასწრაფო დასკვნა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4jJvrLY > [19.02.2025].

[478] დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. წინამდებარე ანგარიშის გამოხატვის თავისუფლების თავი.

სამართალდარღვევებისთვისაც (როგორებიცაა, მაგალითად, შეკრების მონაწილეების მიერ სახის ნიღბით ან სხვა საშუალებით დაფარვა და დროებითი კონსტრუქციების მოწყობა).[479]

გარდა ძალიან მძიმე ფინანსური ტვირთისა, ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებები განსაკუთრებით პრობლემურია იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედი რედაქცია ვერ აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებებთან თავსებადობის მინიმალურ სტანდარტს.[480] ამ ფონზე, მიღებულ ცვლილებებს სერიოზული მსუსხავი ეფექტი აქვს მშვიდობიანი შეკრების და გამოხატვის თავისუფლებით სრულფასოვან სარგებლობაზე და ქმნის უფლებებში მომეტებული ჩარევის საფრთხეს.

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR) შეაფასა.[481] გამოქვეყნებული სასწრაფო დასკვნა საკმაოდ კრიტიკულია და მიუთითებს ზემოაღნიშნული ცვლილებების შეუსაბამობაზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. დასკვნის თანახმად, ზოგიერთი ახალი საკანონმდებლო ცვლილება, როგორებიცაა სპონტანურ აქციებთან დაკავშირებით დაუყოვნებლივი შეტყობინების ვალდებულების შემოღება, აქციების დახურულ სივრცეებსა და შენობებში მესაკუთრის წერილობითი თანხმობის გარეშე გამართვის ზოგადი აკრძალვა, შეკრების შინაარსობრივი აკრძალვა, დროებითი კონსტრუქციების აღმართვის აკრძალვა, ნიღბით თუ ნებისმიერი სხვა საშუალებით სახის დაფარვის ბლანკეტური აკრძალვა, მკაცრი სანქციები, უნდა იყოს გაუქმებული ან მთლიანად გადახედილი.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- გაუქმდეს შეკრების შინაარსთან დაკავშირებული ბლანკეტური აკრძალვა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში;

[479] ცვლილებები ხელმისაწვდომია ვებგვერდებზე: < bit.ly/4hv6MZW > და < bit.ly/3D6lzdB > [1923.021.2025]. იხ. ცვლილებები 125-ე, 150-ე, 150[2]-ე, 166-ე, 173-ე და 174[1]-ე მუხლებში.

[480] იხ. სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 103-06; სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 157-59; სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 240; სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 188-90; სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 162-64; სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 98-99, 162-63.

[481] იხ. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) 2025 წლის 6 მარტის სასწრაფო დასკვნა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4bJeLkl > [21.03.2025].

- გაუქმდეს დემონსტრანტებისთვის სახის ნიღბით ან სხვაგვარი საშუალებით დაფარვის უპირობო აკრძალვა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში;
- გაუქმდეს შეკრების გამართვის ადგილთან დაკავშირებული ბლანკეტური აკრძალვები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში და უფლებამოსილ უწყებას მიენიჭოს საკითხის ინდივიდუალურად გადაწყვეტის შესაძლებლობა, შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტის შესაბამისად;
- გაუქმდეს დროებითი კონსტრუქციების მოწყობასთან დაკავშირებული შეზღუდვა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში.

10. უფლებადამცველები

2024 წლის მაისში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონით, არასამთავრობო და მედიაორგანიზაციებს, რომელთა შემოსავლის გარკვეული ნაწილი უცხოეთიდანაა მიღებული, ახალი, მასტიგმატიზებელი სტატუსი მიენიჭათ და ფინანსური ანგარიშგების ვალდებულება დაეკისრათ, ხოლო შესაბამისი მონაცემები გასაჯაროებას დაექვემდებარა. ამავე დროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, უფლებამოსილ პირს მიანიჭა მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობა მსგავსი სუბიექტების გამოსავლენად და მათი მხრიდან კანონის მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად.

სახალხო დამცველმა ამგვარი მოწესრიგება ჯერ კიდევ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის პირველად ინიცირების დროს გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ის შეუთავსებელი იყო თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად პრინციპებთან.[482] დამატებით, სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ კანონი არ წარმოადგენდა დეკლარირებული მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას, აჩენდა მასში ასახული მოწესრიგების ფართოდ ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, არ აკმაყოფილებდა „კანონის განსაზღვრულობის“ მოთხოვნებს და სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობის მაღალ რისკს ქმნიდა.[483] სახალხო დამცველის შეფასებით, თუკი კანონის მიღების მიზანი საქართველოსთვის განკუთვნილი საგარეო დახმარების ნაკადების გამჭვირვალობის და მიმღები ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების გაზრდა იყო, ამის მიღწევა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებებითა და საგარეო დახმარების შესახებ არსებული მონაცემთა ბაზის მოდიფიცირებითაც შესაძლებელი იქნებოდა.[484]

მოგვიანებით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდა, ხოლო საქართველოს სახალხო დამცველმა მიმდინარე დავის ფარგლებში, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარადგინა.[485]

საყურადღებოა, რომ კანონის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, 2024 წლის 1 აგვისტოს №1019 ბრძანება გამოსცა. ამ კანონქვემდებარე აქტის თანახმად, რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციების მიერ საფინანსო დეკლარაციაში ასასახი, როგორც დასაქმებულთა, ისე მოკლევადიანი შრომითი ურთიერთობის

[482] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 17 თებერვლის განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/40uKNv9 > [25.01.2025].
[483] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/40xfKyD > [25.01.2025].
[484] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 11 აპრილის განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/40NebhG > [25.01.2025].
[485] საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/40xfKyD > [25.01.2025].

ფარგლებში დაქირავებული ექსპერტების, ბენეფიციარების და სხვა პირთა პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საბანკო ანგარიშის ნომერი და სხვ.) საჯაროდ გამოქვეყნებას დაექვემდებარა. სახალხო დამცველმა ამგვარი გადაწყვეტილება გაუმართლებლად და დამაზიანებლად მიიჩნია, რადგან ინდივიდების პერსონალური მონაცემების დიდი მოცულობით გასაჯაროება კანონის შემბოჭველ და მასტიგმატიზებელ ეფექტს ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მიმართ კიდევ უფრო აძლიერებდა. შედეგად, სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის მინისტრს 2024 წლის 30 აგვისტოს №2024/4184 წინადადებით მიმართა, დეკლარაციებში მითითებულ ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემები საჯაროდ გამოქვეყნებას არ დაქვემდებარებოდა.[486] იუსტიციის მინისტრმა ნაწილობრივ გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და შესაბამის ბრძანებაში ცვლილებები შეიტანა, რის შედეგადაც, არ საჯაროვდება საფინანსო დეკლარაციებში დასაქმებულთა, ასევე სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მყოფ პირთა თუ ბენეფიციართა და სხვა პირთა პირადი ნომრები, საბანკო ანგარიშის ნომრები და საფინანსო ინსტიტუტები.[487] მიუხედავად იმისა, რომ ამ პირთა სახელები და გვარები კვლავ ხელმისაწვდომია, სახალხო დამცველის რეკომენდაციის შედეგად, ცალკეული ინდივიდების პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართ ახალი რეგულაციების ნეგატიური ეფექტი მნიშვნელოვნად შემცირდა.

რეკომენდაციები:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, უფლებადამცველების შესახებ გაეროს 1998 წლის დეკლარაციისა და უფლებადამცველების შესახებ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, განსაზღვროს უფლებადამცველების ცნება და აწარმოოს სტატისტიკა მათ მიმართ ჩადენილი ყველა იმ დანაშაულებრივი ქმედების თაობაზე, რომელიც მათ საქმიანობას უკავშირდება.

თანამდებობის პირებს:

- კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს, დაიცვან უფლებადამცველთა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. მათ შორის, არ მოხდეს უფლებადამცველთა დისკრედიტაცია და ხელი შეეწყოს მათ საქმიანობას.

[486] საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4aucSHD > [25.01.2025].
[487] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/4hxVcgF > [25.01.2025].

11.საკუთრების უფლება

11.1.შესავალი

საკუთრების უფლება აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით[488] და ეროვნული კანონმდებლობით. ამასთანავე, მისი დაცვა ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.[489] 2024 წლის საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოიკვეთა სახელმწიფო საშინაო სავალო ვალდებულებების შეუსრულებლობის და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეებზე აღსრულების უკიდურესად გაჭიანურების საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას საკუთრების უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვისა და ადმინისტრაციული წესით დაკავებულისთვის საკუთრების დროული დაბრუნების საკითხები.

11.2.კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა საკუთრების უფლება

უკვე მრავალი წელია საქართველოს სახალხო დამცველი ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშებში[490] საუბრობს სახელმწიფო საშინაო სავალო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობაზე. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ საქართველოს რეგიონებში ვალდებულების შესრულების მიზნით, ბოლო 9 წლის განმავლობაში ქმედითი ღონისძიება არ განხორციელებულა. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშში საქართველოს მთავრობას მიეცა რეკომენდაცია[491] საქართველოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით აღიარებული საშინაო ვალის ანაზღაურების წესის შემუშავების, მათ შორის, პირველ რიგში დასაკმაყოფილებელ პირთა რიგითობის განსაზღვრის და დაზარალებული მოსახლეობის წინაშე აღიარებული ვალდებულებების შესრულების ეფექტიანი მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშის თაობაზე საქართველოს

---

[488] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 19.

[489] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის №1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარა. 1.

[490] „საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 557.
„საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 821-823.
„საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 178.
„საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 168.

[491] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში. გვ. 173 ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/hNQZp>[11.03.2025].

პარლამენტის მიერ 2024 წლის 27 ივნისს მიღებული (4332-XIVმს-Xმპ) დადგენილების მე-13 პუნქტით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით აღიარებული საშინაო ვალის ანაზღაურების საკითხის განხილვა. თუმცა, ამავე სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[492] „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის №108 დადგენილებით შექმნილ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას, იმ პირთა მიმართ, რომლებიც განეკუთვნებიან „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად (მათ შორის, ყოფილ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება) აღიარებულ სავალო კატეგორიებს, სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებით რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები ამ ეტაპზე არ მიუღია. შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით,[493] წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით საქართველოს მუნიციპალიტეტებში კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა რიცხვი არ შეცვლილა და კვლავ 2801-ს უტოლდება.

თბილისის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით,[494] წინა წლის საპარლამენტო ანგარიშში აღინიშნა, რომ მუნიციპელიტეტის საზღვრებში კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა რიცხვი 1192 შეადგენდა. თუმცა, წელს ამავე სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[495] ამჟამინდელი მონაცემებით დაზარალებულთა რიცხვი 1783-ს უტოლდება. წინა მცდარი მაჩვენებლის მოწოდება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ტექნიკური ხარვეზით ახსნა. შესაბამისად, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ინფორმაციის მიუხედავად,[496] 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე 390 დაზარალებულის უძრავი ქონებით უზრუნველყოფის შესახებ, თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში დაზარალებულთა რიცხვი კვლავ მაღალია. პრობლემის ხანდაზმულობიდან გამომდინარე, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირების მიმართ აღებული ვალდებულების დროულად შესასრულებლად, მნიშვნელოვანია ეფექტიანი, კონკრეტულ დროში გაწერილი ზომების მიღება და ყველა ასეთი პირის დროული დაკმაყოფილება.

[492] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 5 თებერვლის №08-02/6912 წერილი.
[493] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 5 თებერვლის №08-02/6912 წერილი.
[494] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 12 თებერვლის №08-02/10484 წერილი.
[495] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2025 წლის 5 თებერვლის №08-02/6912 წერილი.
[496] სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 29 იანვრის №61-01250293562 წერილი.

11.3.უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეებზე აღსრულების უკიდურესად გაჭიანურების პრობლემა

გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოიკვეთა უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეებზე აღსრულების გაჭიანურების საკითხი. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[497] 2024 წლის განმავლობაში აღსრულების პოლიციის სამმართველოს წარმოებაში იყო სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის 2160 სააღსრულებო საქმე. ამავე პერიოდში ბიუროში დარეგისტრიდა 626 ახალი საქმე, ხოლო დასრულდა 329 სააღსრულებო საქმე. დასრულებულ საქმეებსა და წარმოებაში მიღებულ ახალ საქმეებს შორის სხვაობა მოწმობს, რომ სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ეფექტიანად არ იყენებს ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ'' საქართველოს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისთვის შეუსაბამოდ დიდ დროს ხარჯავს. მართალია, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნის მიუხედავად სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ მოუწოდებია ინფორმაცია სააღსრულებო საქმეებზე წარმოების დაწყების თარიღების შესახებ, მაგრამ წარმოდგენილი განცხადებები ადასტურებს აღსრულების პროცესის წლობით გაჭიანურების ფაქტს. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, მოქალაქეთა არაერთი განცხადების საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველმა რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით რეკომენდაციებით[498] მიმართა სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების შემჭიდროებულ ვადებში აღსრულება და მესაკუთრეთათვის უძრავი ქონების გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში გადაცემა. ერთ-ერთი საქმის[499] გარემოებების მიხედვით, კრედიტორი მხარე ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ცხოვრობს სხვის საკუთრებაში არსებულ ბინაში და მის სახელზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით არ ირიცხება სხვა საცხოვრებელი უძრავი ქონება, მასთან ერთად ცხოვრობენ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ოჯახის წევრები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, და, ამასთანავე, საქმეში არსებობს სააღსრულებო ფურცელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, რაც ადასტურებს განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულების ინტერესს და ამავე გადაწყვეტილების აღსრულების პრიორიტეტულობას. მოქალაქეთა სხვა განცხადებით[500] ასევე დადგინდა, რომ მათ საქმეებზე სააღსრულებო საქმის წარმოება დაიწყო 2022-2023 წლებში, თუმცა, მოწოდებული ინფორმაციით,[501] არცერთ ზემოაღნიშნულ საქმეზე აღსრულების პროცესი 2025 წლის თებერვლის მონაცემებით

[497] სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2025 წლის 30 იანვრის №5113 წერილი.

[498] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 23 მაისის №2024/1308 რეკომენდაცია;
საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 17 ივნისის №2024/1979 რეკომენდაცია.

[499] მ. ხ.-ს 2024 წლის 5 აპრილის №212/2024 განცხადება.

[500] რ. ხ.-ს 2024 წლის 5 აპრილის №140/2024 განცხადება; ვ. კ.-ს 2024 წლის 27 მაისის №1775/2024 განცხადება; თ. ხ.-ს 2024 წლის 4 ივნისის №2058/2024 განცხადება; თ. მ.-ს 2023 წლის 12 დეკემბრის №14872/23 განცხადება.

[501] სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2025 წლის 7 თებერვლის №7635 წერილი.

დასრულებული არ არის. ამ მხრივ, საგანგაშო სტატისტიკა გამოიკვეთა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებულ მონაცემებში,[502] რომელთა თანახმად, ამავე უწყებას ჯერ კიდევ წარმოებაში აქვს და არ აღუსრულებია 2018 წელს დაწყებული 120, 2019 წელს დაწყებული 207, 2020 წელს დაწყებული 176 და 2021 წელს დაწყებული 211 სააღსრულებო საქმე.

ამის გამო, უძრავი ქონების მესაკუთრეები გაუმართლებლად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოკლებულნი არიან საკუთრებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობას, რაც მათვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის მომტანია. ამდენად, სააღსრულებო წარმოების არაგონივრული ვადით გაჭიანურების აღმოსაფხვრელად აუცილებელია განხორციელდეს აღსასრულებელ საქმეთა პრიორიტეტიზაცია, მათ შორის, ისეთ საქმეთა პრიორიტეტული აღსრულება, რომლებშიც წარმოდგენილია სასამართლოს შესაბამისი განჩინებები გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, ან სადაც სააღსრულებო ფურცელში აღნიშნული უძრავი ქონება კრედიტორის ერთადერთი საცხოვრებელია.

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციით,[503] 2023 წლის 17 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა საქართველოს პარლამენტს ახალი სერვისის - ,,სასყიდლიანი ხელშეკრულების რეგისტრაციის'' პროექტი გააცნო, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, რომლის ფარგლებშიც მხარეები აცხადებენ თანხმობას, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ გასცეს სააღსრულებო ფურცელი. პროექტი მოქალაქეებს საშუალებას მისცემს ქირავნობის ხელშეკრულება დაარეგისტრირონ საჯარო რეესტრში, სადაც მითითებული იქნება, რომ, თუკი მოქირავნე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, აღსრულების ეროვნული ბიურო მას გამოასახლებს და ამაზე მხარეები წინასწარ იქნებიან შეთანხმებულები. ეს ინიციატივა დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან მისი განხორციელების შემთხვევაში, მესაკუთრე ხანგრძლივი სასამართლო პროცესების გვერდის ავლით შეძლებს დარღვეული საკუთრების უფლების დროულად და სრულფასოვნად აღდგენას. თუმცა, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[504] ხსენებული პროექტის დაანონსებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგაც, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა ცალკეული დებულებების საბოლოოდ დასახვეწად და შემდგომი მოქმედებების განსახორციელებლად.

[502] სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2025 წლის 10 თებერვლის №7725 წერილი.
[503] ხელმისაწვდომია: <https://nbe.gov.ge/news/665?locale=ka>[11.03.2025].
[504] სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2025 წლის 7 თებერვლის №7635 წერილი.

11.4.საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში[505]

გასული წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა კანონმდებლობის ხარვეზზე, რომლის გამოც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიერ მოპოვებული/ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების - სატრანსპორტო საშუალების ავტოსადგომზე შენახვის ხარჯების გადახდა, საქმეში მათი სტატუსის მიუხედავად, სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს ეკისრებათ.[506] ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სახალხო დამცველმა, საქართველოს პარლამენტს, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, „112"-ის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე წინადადებით მიმართა. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის ეს წინადადება ამ დრომდე შეუსრულებელია.[507]

საანგარიშო პერიოდში, მოქალაქეთა განცხადებების შესწავლის საფუძველზე, სახალხო დამცველმა გამოავლინა სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში სამართალდამცავი ორგანოების მიერ საკუთრების უფლების დარღვევისა და უსაფუძვლო შეზღუდვის შემდეგი შემთხვევები:

საკუთრების უფლების უკანონო შეზღუდვა გამოძიებისას
სისხლის სამართლის საქმის მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გამომძიებელმა მოწმეს სატელეფონო გასაუბრებით აუკრძალა საკუთრებად დარეგისტრირებული უძრავი ქონების განკარგვა, გასხვისება, მიწაზე არსებული შენობის დემონტაჟი, რომლის თაობაზეც შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობისგან განმცხადებელს მოპოვებული ჰქონდა სათანადო ნებართვა[508], ან/და მისი სურვილისამებრ, საკუთრებით სარგებლობა, რის გამოც ვერ განახორციელა საკუთრებაზე მისთვის სასურველი სამეწარმეო საქმიანობით შემდგომი შემოსავლის მიღება.[509]

საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საკუთრების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას მხოლოდ ყადაღის დადების გზით ითვალისწინებს.[510] გადაუდებელი აუცილებლობისას ყადაღა დაიდება პროკურორის დადგენილებით, რომლის კანონიერებაც შემდგომ სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხოლო

[505] ეს საკითხი დეტალურად იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[506] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელს", გვ 171. https://shorturl.at/MCO9l
[507] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 11 მარტის №15-2/2465 წინადადება; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელს" https://shorturl.at/MCO9l გვ 173); სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, < https://shorturl.at/jplCk > გვ. 278 – 282.
[508] თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 17 აპრილის №ბ124.1242410811 ბრძანება.
[509] №6819/2024, №7212/2024 და №8023/2024 განცხადებები.
[510] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 151.

ჩვეულებრივ შემთხვევებში - მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, უშუალოდ სასამართლო იღებს განჩინებას ყადაღის დადების საკითხზე.[511]

მოცემულ შემთხვევაში გამომძიებელმა სატელეფონო გასაუბრების ოქმით შეუზღუდა მოწმეს მისი უძრავი ქონების განკარგვა და სარგებლობა, რაც დე ფაქტო ყადაღაა. გამომძიებლის მიერ საკუთრების უფლების კანონდარღვევით შეზღუდვასთან დაკავშირებით მოქალაქემ საჩივრით მიმართა პროკურატურას. მარნეულის რაიონულმა პროკურატურამ არ გააუქმა სატელეფონო გასაუბრების ოქმი და მიუთითა, რომ ის გამოძიების ინტერესებიდან მომდინარე რეკომენდაციული მნიშვნელობის განმარტება იყო.[512] პროკურატურის მითითებით, ამგვარი განმარტების გაკეთებას გამომძიებელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ უკრძალავს და, შესაბამისად, არც კანონდარღვევას წარმოადგენს.[513]

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, გამოძიების მწარმოებელ ორგანოს, კანონითვე დადგენილი წესით, მხოლოდ იმ მოქმედებების განხორციელების ვალდებულებას უწესებს, რაც უშუალოდ არის გათვალისწინებული კოდექსით. შესაბამისად, კანონმდებლობა გამოძიების მწარმოებელ ორგანოს გამოძიების მიმდინარეობისას არ ანიჭებს იმ ქმედებათა განხორციელების უფლებამოსილებას, რაც პირდაპირ არ არის აკრძალული საპროცესო კანონმდებლობით. ამდენად, ქონებაზე ყადაღის დადების უფლებამოსილება გამომძიებელს არ ჰქონია, პროკურორისა და სასამართლოს ზედამხედველობის გარეშე.

რაც შეეხება პროკურატურის რეაგირებას, მან საკუთრების უფლების შემზღუდველი ოქმი სამართლებრივი რეაგირების გარეშე დატოვა და არ გააუქმა გამომძიებლის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დარღვევით მოქალაქისთვის საკუთრების უფლების შემზღუდველი სატელეფონო გასაუბრების ოქმი.

მოცემულ ეტაპზე, მარნეულის რაიონული პროკურატურის პოზიციით, მოქალაქეს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, გამოძიების მხრიდან არ აქვს აკრძალული შეუზღუდავად განკარგოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.[514]

ადმინისტრაციული დაკავებისას ჩამორთმეული ნივთების დაბრუნების პრობლემა

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციული წესით 5 დღით დაკავებული პირისთვის იზოლატორიდან გათავისუფლების შემდეგ არ დაუბრუნებიათ პოლიციის განყოფილებაში ჩხრეკისას ჩამორთმეული მობილური ტელეფონი და ქამარი. საგულისხმოა, რომ ეს ნივთები პოლიციის განყოფილებაში ინახებოდა და შინაგან საქმეთა

[511] იქვე, მუხ. 155; იქვე, 154-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[512] მარნეულის რაიონული პროკურატურის 2024 წლის 15 ივლისის №13/14-46243 წერილი.
[513] იქვე.
[514] მარნეულის რაიონული პროკურატურის 2025 წლის 5 მარტის N13/14-13544 წერილი.

სამინისტროს სახალხო დამცველისთვის არ წარმოუდგენია მათი ჩამორთმევის კანონიერების სამართლებრივი დასაბუთება.[515]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, თუ ნივთი არ არის სამართალდარღვევის ობიექტი ან საგანი, იგი იზოლატორში უნდა ინახებოდეს და დაკავებულს გათავისუფლებისთანავე უნდა უბრუნდებოდეს. ვინაიდან ზემოხსენებული ნივთები სამართალდარღვევის უშუალო ობიექტი ან საგანი არ ყოფილა, სამართალდამცველები ვალდებულები იყვნენ, ისინი იზოლატორში გადაეტანათ, სადაც დაკავებული მათ გათავისუფლებისთანავე მიიღებდა. ამის საპირისპიროდ, პირს, გათავისუფლების შემდეგ, ნივთების მისაღებად პოლიციის განყოფილებაში მისვლა დასჭირდა.

ზემოაღნიშნულის გამო, სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოქალაქის უფლებების დარღვევისთვის, პოლიციის შესაბამის თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების წინადადებით მიმართა.[516]

წინადადება

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონის 71 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში და სისხლისსამართლებრივი პროცესის მონაწილეებს არ დაეკისროთ ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული/ამოღებული სატრანსპორტო საშუალების ხარჯების ანაზღაურება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შეიმუშაოს საქართველოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით აღიარებული საშინაო ვალის ანაზღაურების წესი, მათ შორის, განსაზღვროს პირველ რიგში დასაკმაყოფილებელ პირთა რიგითობა და დაზარალებული მოსახლეობის წინაშე აღიარებული ვალდებულებების შესრულების ეფექტიანი მექანიზმი.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- 2025 წლის განმავლობაში უზრუნველყოს ,,სასყიდლიანი ხელშეკრულების პროექტის“ საბოლოო ვერსიის მომზადება და პარლამენტისთვის წარდგენა.

სსიპ აღსრულების ეროვნულ სააგენტოს:

[515] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 12 თებერვლის №32400421870 წერილი.
[516] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 15 ივლისის №2024/2833 წინადადება.

- უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის (გამოსახლების) საქმეებთან დაკავშირებული გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მესაკუთრეთა საკუთრების უფლების რეალიზებისა და წარმოებაში არსებულ მიმდინარე საქმეთა რაოდენობის შესამცირებლად, შეიმუშაოს წარმოების რიგითობის განმსაზღვრელი წესი და პრიორიტეტულად აღასრულოს ის სააღსრულებო საქმეები, რომლებშიც წარმოდგენილია სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, ასევე, სადაც, გამოსათავისუფლებელი უძრავი ნივთი კრედიტორის ერთადერთ საცხოვრებელს წარმოადგენს.

12.რწმენისა და რელიგიის თავისუფლება

12.1.შესავალი

წინამდებარე თავი ეთმობა 2024 წლის განმავლობაში რწმენისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევების მიმოხილვას, მათ შორის, 2024 წელს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რელიგიური ნიშნით ჩადენილ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს, სალოცავი დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხს და უმცირესობათა რელიგიური დანიშნულების ძეგლებს.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში, გასულ წელს გაცემული რეკომენდაციების ან/და წინადადებების შესრულების მხრივ, პროგრესი არ გამოკვეთილა. საქართველოში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისათვის არ შემუშავებულა სახელმძღვანელო მითითებები იმ მეთოდების/პრეპარატების გამოყენების დაშვებისა და ინსტრუქციის თაობაზე, რომლებითაც შესაძლებელია ჰემოტრანსფუზიის პროცედურის ჩანაცვლება; გამოწვევად რჩება საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ნაგებობების ისტორიული მესაკუთრეებისთვის დაბრუნების საკითხიც. სამწუხაროდ, დღემდე არ გადადგმულა ნაბიჯი, რომლის შედეგადაც საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა აღიწერებოდა და შეფასდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტი იზიარებს სახალხო დამცველის წინადადებას და გასცა დაპირება აღნიშნულის აღსრულების თაობაზე,[517] დღემდე არ შემუშავებულა საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც არამართლმადიდებელი მოსახლეობისთვის, მათი რელიგიური დღესასწაულის დროს, სურვილის შემთხვევაში, გარანტირებული დასვენებით სარგებლობის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა.

საკანონმდებლო საქმიანობის თვალსაზრისით, 2024 წელს მიღებული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" უარყოფით გავლენას ახდენს რწმენისა და რელიგიის თავისუფლებაზე.

2024 წლის 8 მარტს ადიგენის მუნიციპალიტეტში განვითარებული ძალადობრივი მოვლენების შედეგად ადგილობრივი მუსლიმი თემის ნაწილს შეეზღუდა ლოცვის შესაძლებლობა.[518] აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული კერძო საკუთრების გამოყენება სალოცავი ან/და საგანმანათლებლო მიზნებისთვის. კერძოდ, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასწავლებლის გახსნისთვის რაიმე ნებართვას სახელმწიფოს მხრიდან. აკრედიტაცია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სურვილის შემთხვევაში სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის გზით გაიცემა.[519] ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ადგილზე არ მიმდინარეობდა

[517] იხილეთ ვრცლად, სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 174-175.

[518] სახალხო დამცველი ადიგენში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება, სახალხო დამცველის განცხადება, 9 მარტი, 2024. < http://bit.ly/3Q6P1nT > [05.02.2025].

[519] „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1-ლი ოქტომბრის №99/ნ ბრძანების 1-ლი დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი; ადამიანის უფლებათა

სამშენებლო ან სარეკონსტრუქციო სამუშაოები. შესაბამისად, მათ არ სჭირდებოდათ სპეციალური ნებართვა სახელმწიფოსგან.[520]

ადიგენის მუნიციპალიტეტში სავარაუდოდ ღვთისმსახურების უკანონოდ ხელშეშლის ზემოაღნიშნულ ფაქტზე, რასაც თან ახლდა კერძო საკუთრების ტერიტორიაზე ძალის გამოყენებით შესვლა და შეურაცხმყოფელი/დამაშინებელი შეძახილები, სახელმწიფო ვალდებულია აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება. ამაში იგულისხმება ძალადობრივი ინციდენტების განმაპირობებელი შესაძლო სიძულვილის მოტივის გამოვლენა და პასუხისმგებელი პირების ადეკვატურად დასჯა.[521] გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთხელ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა სახალხო დამცველის აპარატის წერილები ამ დრომდე პასუხგაუცემელი რჩება. [522]

12.2.„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი

საანგარიშო პერიოდში პარლამენტმა სახალხო დამცველის მოწოდების მიუხედავად, მხარი დაუჭირა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს. კანონის მიხედვით, ორგანიზაციებს, რომლებიც უცხოურ დაფინანსებას იღებენ, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი“ ორგანიზაციის სტატუსი ენიჭებათ, რაც უარყოფითი შინაარსის მატარებელია და ამ ორგანიზაციების დისკრედიტაციას ემსახურება. ამგვარი სტატუსის მინიჭებით, ეს ორგანიზაციები ასოცირდებიან უცხოეთის კონტროლქვეშ მყოფ ორგანიზაციებთან, რაც უნდობლობას აჩენს ქართულ საზოგადოებაში და მასტიგმატიზებელ ეფექტს შეიცავს.

ზემოაღნიშნული კანონის მოქმედება, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის მსგავსად, ასევე ვრცელდება რელიგიური ორგანიზაციების ნაწილზეც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის კუთხით მოქმედი კანონმდებლობა მკვეთრად ლიბერალურია. მათ სრული თავისუფლება აქვთ გადაწყვიტონ გაიარონ თუ არა სახელმწიფო რეგისტრაცია. იმ შემთხვევაში, თუ აირჩევენ საქმიანობის რეგისტრირებულ ფორმას, შეუძლიათ დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად (ა(ა)იპ).[523] აღნიშნულ საკანონმდებლო შესაძლებლობას, არაერთი რელიგიური ორგანიზაცია იყენებს და ა(ა)იპ-ის ფორმით ეწევა საქმიანობას.[524] ამასთანავე, რელიგიური ორგანიზაციები

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ (საჩივარი №24225/19), პარა. 87.

[520] საქმიანობის ის სახეები, რომლებიც კვალიფიცირდება მშენებლობად და მისი წარმოებისთვის სავალდებულოა შესაბამისი ნებართვა, ამომწურავად ჩამოთვლილია „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №255 დადგენილების დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით.

[521] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარა. 93.

[522] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 18 აპრილის №2024/433 და 4 აგვისტოს №2024/3481 წერილები.

[523] სამოქალაქო კოდექსის 1509[1] მუხლის მეორე ნაწილი.

[524] მაგ., სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოს შემადგენლობაში შედიან, მათ შორის, ა(ა)იპ „თბილისის საენტოლოგიური ეკლესია“ და ა(ა)იპ „ასურელთა წმინდა სამოციქულო კათოლიკე აღმოსავლეთის ეკლესია საქართველოში“.

დასახელებული ფორმის იურიდიულ პირებს საკუთარი საქველმოქმედო მიზნებისთვისაც ქმნიან.[525] შესაბამისად, მარგინალიზაციის ის რისკები, რაც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემდგომ შეიქმნა, ყველა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მსგავსად, თანაბრად გავრცელდა რელიგიურ ორგანიზაციებზეც.[526]

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მხარდაჭერა იწვევს იმ რელიგიური ორგანიზაციების სტიგმატიზებასა და მათი საქმიანობის ხელშეშლას, რომლებმაც საქმიანობის ა(ა)იპ ფორმა აირჩიეს.[527]

აღსანიშნავია, რომ ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტმა[528] ზემოაღნიშნული კანონის პროექტი შეაფასა და მიუთითა, რომ ის შეშფოთებას იწვევდა გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის თვალსაზრისით.

12.3.თავდაცვის კოდექსი

2025 წლის პირველ იანვარს სრულად ამოქმედდა ახალი თავდაცვის კოდექსი. სახალხო დამცველმა გასული წლის ანგარიშში ვრცლად მიმოიხილა კოდექსის მიერ შემოთავაზებული ის საკანონმდებლო სიახლეები, რომლებიც ბადებს კითხვებს ადამიანის უფლებათა სამართლის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.[529] მათ შორის, ერთ-ერთი სიახლეა სამობილიზაციო რეზერვის ელექტრონულ სისტემაში მობილიზაციას დაქვემდებარებული ყველა პირის შესახებ ისეთი პერსონალური მონაცემის წარმოება, როგორიცაა პირის აღმსარებლობის შესახებ ჩანაწერი.[530] საანგარიშო პერიოდში თავდაცვის სამინისტროს ვთხოვეთ დაეზუსტებინა ლეგიტიმური მიზნები, რომლითაც ხელმძღვანელობდა ზემოაღნიშნული ცვლილებების შემუშავებისას.[531] სამინისტროს პასუხები[532] ბუნდოვანია და არ იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს, რამდენად საკმარისი და პროპორციულია სახელმწიფოს მიერ მოხმობილი არგუმენტები პირთა რწმენისა და რელიგიის თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად.

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის წინადადება თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში აღმსარებლობის შესახებ ჩანაწერის გაუქმების თაობაზე, კვლავ შეუსრულებელია.

---

[525] მაგ., კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლების დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“.

[526] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[527] იხ. სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონთან დაკავშირებით, < https://shorturl.at/znSZH > [4.02.2024].

[528] ADVISORY COMMITTEE ON THE FRAMEWORK CONVENTION FOR THE PROTECTION OF NATIONAL MINORITIES, Fourth opinion of Georgia, ,ACFC/OP/IV(2023)2, 26 ივნისი, 2024, პარა. 8. < https://rm.coe.int/4th-op-georgia-en/1680b08a31 > 07.02.2025.

[529] სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 175-179.

[530] თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი.

[531] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 31 ივლისის №2024/3369 წერილი.

[532] თავდაცვის სამინისტროს 2024 წლის 13 აგვისტოს №MOD 7 24 01022840 წერილი.

12.4.სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

მისასალმებელია, რომ საქართველოს პროკურატურა განაგრძობს შეუწყნარებლობის მოტივით და, მათ შორის, რელიგიური ნიშნით მოტივირებული დანაშაულებების თაობაზე მონაცემების გამოქვეყნებას.[533] პროკურატურის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2024 წელს არსებითად გაიზარდა რელიგიური შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. კერძოდ, 2022 და 2023 წელს - 2-2 პირს, ხოლო 2024 წელს 6 პირს წაეყენა ბრალი დასახელებული საფუძვლით. 2024 წელს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა 14 პირს. პროკურატურის მონაცემებით, 2022-2024 წლების განმავლობაში დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა ჯამში 33 პირს, მათგან დაზარალებულთა ძირითადი ნაწილი იეჰოვას მოწმეა (23 პირი), 5 პირი მართლმადიდებელი ქრისტიანია, 4 - მუსლიმი და ერთი დაზარალებული - იურიდიული პირია.

2024 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატში, რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით 7 განცხადება დარეგისტრირდა, რომელთაგან 2 შეეხება შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულს (1 იეჰოვას მოწმეების, ხოლო მეორე მუსლიმი თემის მიმართ). დანარჩენი 5 განცხადებიდან დისკრიმინაცია არ დადგინდა 4 შემთხვევაში, ხოლო ერთ საქმეზე წარმოება კვლავ გრძელდება.

12.5.სამშენებლო ნებართვების მოპოვების პრობლემა

2024 წელს კვლავ არ გადაჭრილა ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხი. 2017 წელს დაწყებულ დავაზე უზენაესმა სასამართლომ 2023 წლის 25 მაისს საქმე ისევ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა განსახილველად.[534] საყურადღებოა, რომ ბათუმის მერის გადაწყვეტილების კანონიერება სახალხო დამცველმა 2017 წელს შეისწავლა და დაადგინა, რომ გადაწყვეტილება საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისა და სათანადო დასაბუთების გარეშე იყო მიღებული. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ბათუმის მერიას და მშენებლობის ნებართვაზე უარის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გათვალისწინებით, ახალი დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.[535]

12.6.რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

სახალხო დამცველის ინტერესის საგანია, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაციის და ამ ძეგლების კონსერვაციის ან/და რესტავრაციის მიზნით.

---

[533] ინფორმაცია ხელმისაწვდომია გენერალური პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე < https://pog.gov.ge/Crimes-motivated-by-intolerance > [07,02,2025].

[534] აღსანიშნავია, რომ ბათუმის ახალი მეჩეთის საქმეზე 2017 წელს დაწყებული დავა უზენაესმა სასამართლომ 2023 წლის 25 მაისს ისევ სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნა განსახილველად. იხ. ბათუმის ახალი მეჩეთის საქმე, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2023, < https://shorturl.at/qORV5 > [06.02.2024].

[535] სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 150.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ გასულ წელს შეისყიდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევაშენში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, მეჩეთის, სარეაბილიტაციო (დროებითი გამაგრება) სამუშაოები და 2024 წლის 29 აგვისტოს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, რომელმაც უკვე დაასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. გარდა ამისა, სააგენტომ გასულ წელს განახორციელა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, მეჩეთის, დროებითი გადახურვის სამუშაოები.[536] ამასთანავე, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ იგეგმება ახალციხეში გურამიშვილის ქუჩაზე მდებარე სინაგოგის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.[537]

წლის განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატისთვის, მონიტორინგის შედეგად, დამატებით, ცნობილი გახდა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სოფელ ზვარესა და სოფელ ძენწმანში მიმდინარეობს მეჩეთების რეაბილიტაცია.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებულ 25 მეჩეთს შორის 15 მეჩეთი ნაწილობრივ ან მძიმედ ავარიულია,[538] მათგან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 5 ჯამეს (ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი გულები, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი მახუნცეთი, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი ბზუბზუ, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭინკაძეები, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვედა დაგვა (ღაღაიშვილები)). სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ამ ეტაპზე არ ეწევა ამ 5 ძეგლის რეაბილიტაციას და აღნიშნული, არც 2025 წელს არის დაგეგმილი.[539]

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით მრავალი ეკლესია თუ მეჩეთი, რომელსაც მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, სავალალო მდგომარეობაშია და საჭიროებს რეაბილიტაციას.[540]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება თავდაცვის კოდექსში და გაუქმდეს თავდაცვის კოდექსის 97-ე მუხლის მე-5 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტში აღმსარებლობის შესახებ ჩანაწერი;

[536] საქართველოს კულტურის სამინისტროს 2025 წლის 6 თებერვლის წერილი №00004984.
[537] საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2024 წლის 9 ივლისის №00024161 წერილი.
[538] იხ. ქართული ისლამური არქიტექტურის ნიმუშები აჭარაში (ხის მეჩეთების ვიზუალური და ფიზიკური მდგომარეობის ფიქსაცია), ქრისტინე მუჯირი, სოლიდარობის თემი, გვ. 13. 2024. < https://shorturl.at/WXHQa > [24.02.2024].
[539] საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2024 წლის 11 ნოემბრის №00039205 წერილი.
[540] მაგ., მუღნის „სურბ გევორგი“ (ეკლესია); შამხორეცოც „კარმირ ავეტარანი“ (ეკლესია); თანდოიან „სურბ ასტვაწაწინი“ (ბაზილიკა); „სურბ ნშანი“ („სურბ ნიკოღაიოსი“), (ეკლესია); ერევანოც „სურბ მინასი“ (ბაზილიკა).

- საქართველოს შრომის კოდექსში გაიწეროს ალტერნატიული საკანონმდებლო დათქმა, რომელიც არამართლმადიდებელ მოსახლეობას მათი რელიგიური დღესასწაულის დროს, სურვილის შემთხვევაში, გარანტირებული დასვენების შესაძლებლობას მისცემს;
- სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავდეს რესტიტუციის შესახებ კანონი, რომელიც საბჭოთა პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისათვის ჩამორთმეული ქონების ისტორიული მესაკუთრისათვის დაბრუნების წესს, კრიტერიუმებს, პასუხისმგებელ უწყებებსა და ვადებს განსაზღვრავს;
- შევიდეს ცვლილება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონში და არ გავრცელდეს მისი მოქმედება რელიგიურ და მათ მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- აღრიცხოს საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- საქართველოში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისათვის შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები იმ მეთოდების/პრეპარატების გამოყენების დაშვებისა და ინსტრუქციის თაობაზე, რომლებითაც შესაძლებელია ჰემოტრანსფუზიის პროცედურის ჩანაცვლება.

საქართველოს კულტურის მინისტრს:

- დააჩქაროს რელიგიურ უმცირესობათა რელიგიური დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის პროცესი.

13. თანასწორობის უფლება

13.1.შესავალი

2024 წელი თანასწორობის უფლების რეალიზაციის მხრივ უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდებოდა, რაც განპირობებული იყო რიგი საკანონმდებლო ცვლილებებითა და მძიმე პოლიტიკური პროცესებით. ასევე, საარჩევნო წლის გათვალისწინებით, აქტუალური იყო ვითარება ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სავალდებულო გენდერული კვოტირების გაუქმება.[541]

13.2.სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეები არჩევნებისა და საპროტესტო აქციების კონტექსტში

საანგარიშო წელი დატვირთული იყო ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესებით. განსაკუთრებით საყურადღებოა სამი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებიც თანასწორობის უფლებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვის კუთხით, არსებითი გამოწვევა იყო. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი აქტიურ ზედამხედველობას უწევდა ამ პროცესში თანასწორობის დარღვევის სავარაუდო ფაქტებს და მათზე რეაგირებას პროაქტიულად ახდენდა.

(1) საანგარიშო წელს პარლამენტში კვლავ დაინიცირდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) პროექტი. 2024 წლის 30 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა პერსონალური მონაცემების დისკრიმინაციული ხელყოფის თავიდან აცილების თაობაზე, ზოგადი წინადადებით მიმართა.[542] 2024 წლის 20 სექტემბერს იუსტიციის მინისტრმა ნაწილობრივ გაითვალისწინა სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება. სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა აღნიშნული ცვლილებები, ვინაიდან მნიშვნელოვნად ამცირებს ინდივიდების მიმართ რეგულაციების ნეგატიურ ზეგავლენას, თუმცა სრულად ვერ ასახავს და არ მიიღწევა სახალხო დამცველის მიერ გაცემული წინადადების მიზანი, ვინაიდან რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციების მიერ წარდგენილ დეკლარაციის ფორმებში კვლავ რჩება მითითებული ფიზიკურ პირთა სახელები და გვარები.[543] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უმნიშვნელოვანესია, იუსტიციის სამინისტრომ გაცემული რეკომენდაცია სრულყოფილად შეასრულოს.

(2) მიმდინარე საანგარიშო პერიოდი საარჩევნო წელს დაემთხვა, რაც, თავის მხრივ, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის რისკებს

[541] დამატებით იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2024 წლის სპეციალური ანგარიში.

[542] სახალხო დამცველის 2024 წლის 30 აგვისტოს ზოგადი წინადადება იუსტიციის მინისტრს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DCBSzQ

[543] სახალხო დამცველის 2024 წლის 30 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4iO0B4j

მნიშვნელოვნად ზრდის.[544] ქვეყანაში არსებული მძიმე პოლარიზაციის ფონზე, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებისა და სამოქალაქო პოზიციის საჯაროდ გამოხატვა პირებს დისკრიმინაციული მოპყრობის მარტივ სამიზნეებად აქცევდა და მოქალაქეებიც აქტიურად მიუთითებდნენ, პოლიტიკური შეხედულების ნიშნით, სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებზე.

წინა საარჩევნო წლებისგან განსხვავებით, პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამსახურებიდან გათავისუფლების ან/და სამსახურებრივად შევიწროების შესახებ განცხადებით მოქალაქეებს აპარატისთვის არ მოუმართავთ. თუმცა, აპარატი საკუთარი ინიციატივით, პროაქტიულად რეაგირებდა, მედიით თუ სხვადასხვა საჯარო წყაროს მიერ გავრცელებულ ყველა სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეზე.[545] სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია და თანასწორი გარემოს უზრუნველყოფა დემოკრატიული პროცესის სიძლიერისა და ლეგიტიმურობის ფუნდამენტური წინაპირობაა. შესაბამისად, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის პრევენცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვის, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოს მდგრადობისთვისაც.

(3) მას შემდგომ, რაც ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დააყენებდა ევროკავშირთან მოლაპარაკების გახსნის საკითხს,[546] საჯარო სამსახურში დასაქმებული არაერთი მოხელე მიღებულ გადაწყვეტილებას საჯაროდ გაემიჯნა და ხელისუფლებას ევროპული კურსის შენარჩუნებისკენ მოუწოდა.[547] ამას მალევე მოჰყვა გამოხმაურება ადგილობრივი და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებისგან,[548] რის შემდეგაც დაინიცირდა „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომელსაც სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ იგი მნიშვნელოვნად ამცირებს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტიებს და ეწინააღმდეგება თავად საჯარო სამსახურის პრინციპებს.[549] საგულისხმოა ისიც, რომ საკანონმდებლო პროცესი დაჩქარებული

[544] საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება წინასაარჩევნო პერიოდში ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PaV1eM

[545] დეტალურად იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2024 წლის სპეციალური ანგარიში.

[546] ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/33219304.html

[547]ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yb638fut; https://tinyurl.com/2jp4jx7a; https://tinyurl.com/43284w2h; https://tinyurl.com/2sbs3e27; https://tinyurl.com/5n6v3ybx; https://tinyurl.com/3nuz8xu7; https://tinyurl.com/4ddc5df5; https://tinyurl.com/4msuuxa9; https://tinyurl.com/52hb7b8p; https://tinyurl.com/2mkdnw3m; https://tinyurl.com/5n6b3xeh; https://tinyurl.com/mucaj38x; https://tinyurl.com/5yf94p3s; https://tinyurl.com/mumdvvf8; https://tinyurl.com/2e3npmfy; https://tinyurl.com/4vr8yz4p; https://tinyurl.com/26jstknk; https://tinyurl.com/2pcb7sra

[548] ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/25nc9ncb , https://bit.ly/4go1Tl2, https://tabula.ge/ge/news/726736-kaladzem-tbilisis-multipunktsiuri-bibliotekebis

[549] განცხადება ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/5n7rcv58

წესით, დაინტერესებული საზოგადოების თუ შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობის გარეშე წარიმართა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს რეგულაცია, ასევე გავრცელდა საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, ანალოგიურ საფეხურზე დასაქმებულ პირებზეც. ამგვარი საკანონმდებლო ინტერვენციები სერიოზულ საფრთხეს უქმნის საჯარო სამსახურის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას.

საჯარო მოხელეების მხრიდან პოზიციების ღიად დადასტურებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მოსმენით მიღების შემდგომ, შრომითი ურთიერთობის დასრულების თაობაზე არაერთი ინფორმაცია გავრცელდა.[550] თითოეული მათგანი გათავისუფლებული შრომითი ურთიერთობის დასრულების საფუძვლად ქვეყნის ევროინტეგრაციის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებით კრიტიკული პოზიციის ღიად გამოხატვას მიუთითებდა.

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად მიიჩნია საჯარო განცხადება გაევრცელებინა და საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელებისთვის თანასწორობის პრინციპისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის აუცილებლობაზე მიეთითებინა.[551] სახალხო დამცველი ცალსახად აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ თუ სხვა საკითხზე ღიად გამოხატული სამოქალაქო პოზიციის გამო პირთა სამსახურიდან გათავისუფლება ეწინააღმდეგება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, საფრთხეში აგდებს დემოკრატიული ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებას. შესაბამისად, აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებების დაცვის მყარი მექანიზმები და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკა, რათა თავიდან აიცილოს დისკრიმინაციის რისკები და ხელი შეუწყოს თანასწორობის პრინციპების დაცვას.

13.3.ჟურნალისტური საქმიანობის გამოწვევები საქართველოს პარლამენტში

საანგარიშო წელს არაერთხელ გამოიკვეთა ჟურნალისტებისთვის პარლამენტის ტერიტორიაზე მუშაობის შეზღუდვის პრაქტიკა. პარლამენტში რამდენჯერმე ამოქმედდა ე.წ. „უსაფრთხოების ყვითელი დონე“, რომლის მოქმედების პერიოდშიც, ონლაინ მედიის წარმომადგენლებს პარლამენტის სასახლეში შესვლა ეზღუდებოდათ.

სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს ონლაინ მედიის განსაკუთრებულ როლზე თანამედროვე სამყაროში. მაშინ, როდესაც ინტერნეტმა, ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით, მოსახლეობის დიდი ნაწილის ყოველდღიურობაში, ფაქტობრივად, განუყოფელი ადგილი დაიკავა, შეიძლება ითქვას, სწორედ ონლაინ გამოცემებმა

[550]ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/nyncvhda; https://tinyurl.com/4ktjx94r; https://tinyurl.com/nha7jtet; https://tinyurl.com/2s36phbs; https://tinyurl.com/bdc35b4w; https://tinyurl.com/mrt87wmc; https://tinyurl.com/y5u2rmhf; https://tinyurl.com/48vkvkme; https://tinyurl.com/4wk4fpyh; https://tinyurl.com/muefd57f; https://tinyurl.com/yc6rssvc; გათავისუფლებულების შესახებ ვრცელი ინფორმაცია ასახულია: https://tinyurl.com/msxkf9ea

[551] სახალხო დამცველის 2024 წლის 11 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3P8HLYd

შეითავსეს საზოგადოებისთვის ინფორმაციის სწრაფი და ეფექტიანი გზით მიწოდების არსებითი როლი. ამის გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც, როგორც შესაფასებელი პრაქტიკის დანერგვის პერიოდში თავად პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავდა, საქართველოს პარლამენტში აკრედიტებული 340 ჟურნალისტიდან 290 ტელევიზიის წარმომადგენელი იყო, ხოლო ონლაინ გამოცემების ჟურნალისტები - „სულ რამდენიმე ათეული".[552] ამგვარი მცირე რაოდენობა, ერთი მხრივ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მათი მხრიდან პარლამენტში მიმდინარე პროცესების ინტერნეტ მომხმარებელზე მორგებული ფორმით გაშუქებას, ხოლო, მეორე მხრივ, ნაკლებად სავარაუდოდ წარმოაჩენს მათი მხრიდან საპარლამენტო საქმიანობის უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენების პერსპექტივას. ამასთანავე, ერთეულ შემთხვევებში, პროტესტის გამოხატვა[553] ან/და რესპონდენტისთვის დისკომფორტის შექმნა,[554] რაც ნებისმიერი მედიის წარმომადგენელმა შეიძლება განახორციელოს, ქმედების საქმიანობის პლატფორმის მიხედვით (მხოლოდ ონლაინ მედიაზე) განზოგადებას ვერ გაამართლებს.

ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაშია ასევე[555] „ფორმულას", „მთავარი არხისა" და „ტვ პირველის" ცალკეული წარმომადგენლებისთვის ერთი თვით ან ექვსი თვით საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტის აკრედიტაციის შეჩერების საქმეები, პარლამენტის წევრის მიერ ინტერვიუს ჩაწერაზე უარის თქმის მიუხედავად, ინტერვიუს ჩაწერის მცდელობის გაგრძელების საფუძვლით.[556] პარლამენტში აკრედიტაციის წესი, რომელსაც ხსენებულ შემთხვევებში, ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციების შეჩერება დაეფუძნა, სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის დამაბრკოლებელ საკითხთა შორის აისახა.[557] წესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა 2023 წელს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაც წარადგინა.[558]

სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჟურნალისტების მიმართ გატარებული ნებისმიერი ღონისძიება თანასწორობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს და იმედოვნებს, რომ მომავალ საანგარიშო წელს საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვის პრაქტიკა, რომელიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, სრულად აღმოიფხვრება.

[552] იხ. შალვა პაპუაშვილის 2024 წლის 16 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DL7GCS.
[553] იხ. შალვა პაპუაშვილის 2024 წლის 16 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3DL7GCS.
[554] იხ. პარლამენტის თავმჯდომარის 2024 წლის 25 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4h3kB1l.
[555] №2194/2024, №2196/2024, №2230/2024 და №2376/2024 განცხადებები.
[556] „საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის 2023 წლის 6 თებერვლის №1/31/23 ბრძანება, მუხ. 15.2(„გ").
[557] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, გვ. 152-153.
[558] სახალხო დამცველის 2023 წლის 7 ივნისის №04-2/5436 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

13.4. ქალთა თანასწორუფლებიანობა

საანგარიშო წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა კვლავ არსებით გამოწვევად რჩება. საარჩევნო წლის გათვალისწინებით, აქტუალური იყო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით არსებული ვითარება, რაც, გენდერული კვოტირების გაუქმების გათვალისწინებით, ცალსახად, უარყოფითად უნდა შეფასდეს.

სექსუალური შევიწროება

2024 წელს სექსუალური შევიწროების ფაქტები დადგინდა სხვადასხვა სივრცეში - საგანმანათლებლო დაწესებულებაში, დასაქმების ადგილზე და მომსახურების მიღების პროცესში. აგრეთვე აღსანიშნავია საგამოძიებო უწყების წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმეები.[559]

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა მოამზადა კვლევა „სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში“,[560] რომელშიც შესწავლილი და გაანალიზებულია მთელი საქართველოს მასშტაბით, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების თაობაზე საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (დადგენილებები), რომლებიც სასამართლოებმა 2019 წლის 3 მაისიდან - 2023 წლის 20 იანვრამდე პერიოდში მიიღეს.

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სივრცეში ჩადენილ სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირება, უპირველესად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულებაა, განსაკუთრებით პრობლემურია შემთხვევები, როდესაც სექსუალური შევიწროების სავარაუდო ჩამდენები სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები არიან. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი შეისწავლის, მათ შორის, საპროტესტო აქციაზე დაკავებული ქალების მიმართ, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მხრიდან სავარაუდო სექსუალური შევიწროებისა და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების გამოვლენის შემთხვევებს.[561]

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

ქალთა თანასწორობის მიღწევის გზაზე უკან გადადგმულ ნაბიჯი იყო საარჩევნო სიებში სავალდებულო გენდერული კვოტირების დროებითი მექანიზმის გაუქმება. საკითხს სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით[562] გამოეხმაურა და მიუთითა მსგავსი ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების საჭიროებაზე იმ უხილავი ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც ქალები ყოველდღიურად აწყდებიან. ასევე, სახალხო

[559] დამატებით იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2024 წლის სპეციალური ანგარიში.
[560] კვლევა განხორციელდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4235kt1.
[561] დამატებით იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2024 წლის სპეციალური ანგარიში.
[562] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 2 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BXtKtx.

დამცველის მიმართვის საფუძველზე,[563] ეუთო/ოდირმა სამართლებრივი დასკვნა მოამზადა გენდერული კვოტების გაუქმებასთან დაკავშირებულ ორგანულ კანონებზე, უარყოფითად შეაფასა ისინი და პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნია.[564]

სქესის ნიშნით დისკრიმინაციისა და გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობა კიდევ ერთხელ გამოკვეთა გენდერული კვოტირების გაუქმების საკითხის საკანონმდებლო განხილვამაც, რომლებიც ქალი დეპუტატების მისამართით უხამსი და შეურაცხმყოფელი რეპლიკების ფონზე მიმდინარეობდა.[565] სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ „აუცილებელია ქალების ხმა მკაფიოდ ისმოდეს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსა და პოლიტიკის განმსაზღვრელ სხვა უწყებებში, რათა დღის წესრიგში იდგეს ქალთა საჭიროებები და გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებები.“[566]

13.5.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად, სახელმწიფოს მიერ, ბოლო წლების განმავლობაში გატარებული გარკვეული პოზიტიური ღონისძიებების მიუხედავად, კვლავაც რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები. საერთაშორისო ვალდებულებების აღიარებისა და ეროვნული კანონმდებლობის დახვეწის კვალდაკვალ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური ინკლუზიისა და თანასწორობის უზრუნველყოფის მიმართულებით საკმარისი პროგრესი არ შეინიშნება.

პრობლემები ხელშესახებია შრომის უფლების რეალიზების მიმართულებით, გამოწვევას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და მათი ღია შრომის ბაზარზე დასაქმება.[567] შეფერხებით მიმდინარეობს ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვაც და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკურ გარემოზე, ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებზე, სამედიცინო და სხვადასხვა სერვისზე წვდომა.

---

[563] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 23 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4hdbMCr

[564] "Opinion on Two Organic Laws of Georgia Amending the Election Code and the Law on Political Unions of Citizens in Relation to Gender Quotas," Warsaw, 11 June 2024, Opinion-Nr.: ELE-GEND-GEO/501/2024 [ELD/NS]. იხ. ეუთო/ოდირის სამართლებრივი დასკვნა ინგლისურ ენაზე: https://bit.ly/4jBzPMY
შესაბამისი კანონპროექტები საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებულად, 4 დღეში განიხილა და ამა წლის 4 აპრილს საბოლოო, მესამე მოსმენით მიიღო, მოგვიანებით, 15 მაისს კი მათთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოყენებული ვეტოც დაძლია.

[565]იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 3 აპრილის საჯარო განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4j1NGw1.

[566] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის 2 აპრილის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BXtKtx.

[567] სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, გვ. 255, ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/4petws8x

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების სრულფასოვანი რეალიზებისთვის, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ინკლუზიური პოლიტიკის ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურისა და სერვისების მისაწვდომობა, დასაქმების წახალისება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სტიგმის შემცირება, რასაც ამ დრომდე სახელმწიფო ეფექტიანად ვერ უზრუნველყოფს. ამავე დროს, აუცილებელია, ამ პროცესში წვლილი კერძო კომპანიებმაც შეიტანონ და ხელმისაწვდომი სამუშაო გარემო შექმნან. კოორდინირებული ძალისხმევის შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შესაძლებელი გახდება უფლებების სრულფასოვნად რეალიზება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

13.6.ლგბტქი+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა

ქვეყანაში დისკრიმინაციასთან ბრძოლის და თანასწორობის დაცვის პოლიტიკა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საანგარიშო წელს განსაკუთრებით აღსანიშნავია „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი,[568] 18 ნორმატიულ აქტში შეტანილ თანხმლებ ცვლილებებთან ერთად.

ამ საკანონმდებლო პაკეტის ინიცირების შემდეგ, კანონპროექტზე საკუთარი პოზიცია რომ გამოეხატა, საქართველოს სახალხო დამცველმა შეხვედრები გამართა საქართველოს პარლამენტში. განხილული საკითხები მოიცავდა, მათ შორის, გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების შესაძლო შეზღუდვას, აკადემიურ თავისუფლებაზე გავლენას და სახალხო დამცველის მანდატისა და უფლებამოსილების განხორციელების საკითხებს.

კანონპროექტში შესწორებები შევიდა, რაც გულისხმობდა „პოპულარიზაციის“ განსაზღვრების დამატებას და კანონის მე-11 მუხლის დაზუსტებას, რაც პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა სახალხო დამცველის მანდატის განხორციელებას. ასევე, კანონის მოქმედება არ გავრცელდა იმ შემთხვევებზე, სადაც სამოქალაქო რეესტრში პირის სქესი, რომელიც განსხვავდებოდა მისი ბიოლოგიური სქესისგან, უკვე იყო მითითებული.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონში მოცემული „პოპულარიზაციის“ ცნების განმარტება ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით დადგენილ განჭვრეტადობის მოთხოვნას და თვითნებობის მაღალ რისკს ქმნის.

კანონის ლეგიტიმური მიზნის პრობლემურობას დამატებით ადასტურებს ტერმინის, „პოპულარიზაცია“, ფართო და განუჭვრეტელი ბუნება.[569] კანონი შეიცავს ტერმინის - „პოპულარიზაციის“ განმარტებას და აღწერს მას, როგორც დადებითად ან მისაბაძად წარმოჩენას. მიუხედავად ამისა, ხსენებული ნორმები ვერ აკმაყოფილებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამწესებელი კანონისთვის კონსტიტუციითა და კონვენციით დადგენილ - განჭვრეტადობის მოთხოვნას და ქმნის თვითნებობის მაღალ რისკს. ნორმის ბუნდოვანების და განუსაზღვრელობის გამო,

[568] საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, 17/09/2024: https://bit.ly/3ZVKedk

[569] საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, მუხლი 3.

დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობის სუბსუმფცია შეიძლება გავრცელდეს აკადემიური, სახელოვნებო, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებაზე, წიგნების გამომცემლობის და სხვა კანონით დაშვებულ საქმიანობაზე. დაუშვებელია, ნორმის შემფარდებლის განმარტებაზე იყოს დამოკიდებული კონკრეტული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების (შეკრება, გამოხატვა, შემოქმედების თავისუფლება, პირადი ცხოვრება და თავისუფალი განვითარების უფლება) რეალიზებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დაკისრების შესაძლებლობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის, მით უმეტეს, როდესაც სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით. გარდა ამისა, კრიმინალიზებულია ადამიანის ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით მისთვის ქირურგიული ოპერაციის ჩატარება ან მის მიმართ სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის გამოყენება და ქირურგიული ოპერაციის ჩატარების ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის გამოყენებისას 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. კანონმდებელმა დანაშაულად გამოაცხადა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის[570] გამო სახდელის დადების შემდეგ, ისეთი ქმედებების განმეორებით ჩადენა, როგორიცაა: რეკლამის გავრცელება, (უმაღლეს) საგანმანათლებლო პროგრამაში ინფორმაციის შეტანა ან/და თანამშრომლის მიერ ინფორმაციის გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.

ამდენად, კანონით კრიმინალიზებულია სრულწლოვანი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება და გავრცელება, თუ ეს ზემოაღნიშნული ქმედებების პოპულარიზაციისკენ მიმართულად ჩაითვლება.

გარდა ამისა, კანონი ასევე ეხება აკადემიურ სივრცეებსაც. კანონით იკრძალება „ლგბტ+ პროპაგანდის" წარმოება საგანმანათლებლო დაწესებულებებში - კერძოდ, ინფორმაციის გავრცელება, რომელიც „მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ". რაც წარმოადგენს ბარიერს გენდერული საკითხების, ადამიანის უფლებების კვლევისა და სხვა აკადემიური დისციპლინების განვითარებისა და სწავლებისთვის.

მნიშვნელოვანია მიეთითოს კანონის გავლენაზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების მიმართ. კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, იკრძალება ადამიანისთვის მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით

[570] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[10] მუხლი.

ქირურგიული ოპერაციის ჩატარება ან მის მიმართ სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის გამოყენება. ეს შეზღუდვა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქირურგიული ოპერაციებით და ვრცელდება ყველა სახის სამედიცინო ჩარევაზე, რაც სერიოზულ გამოწვევებს უქმნის სქესის შეცვლის პროცესში მყოფ პირებს, ვინაიდან მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, რაც საფრთხის წინაშე დადგება, თუ სამედიცინო პერსონალი უარს იტყვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, კანონთან შეუსაბამობის მოტივით. ჯანმრთელობის უფლება კი გულისხმობს აუცილებელი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას დისკრიმინაციის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 24 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარუდგინა კომუნიკაცია იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ.[571]

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გაატაროს პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ლგბტიქ+ ადამიანებისთვის თანასწორი გარემოს შექმნას და მათ სრულფასოვან მონაწილეობას სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

13.7. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

შრომით ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევები კვლავაც იმ დავების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა შესახებაც მოქალაქეები ყველაზე ხშირად მიმართავენ სახალხო დამცველს. განმცხადებლები მიუთითებენ ქმედებებზე, როგორიცაა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, სამსახურებრივი ფუნქციებიდან ჩამოშორება, ვიქტიმიზაცია, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და სხვ. წინა წლების პრაქტიკის შესაბამისად, დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებად განმცხადებლები ძირითადად ასახელებენ განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვასა და პროფკავშირულ საქმიანობას. ამასთანავე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც განმცხადებლები შრომითი უფლებების შეზღუდვას უკავშირებდნენ სახალხო დამცველის აპარატისთვის კონკრეტული ინფორმაციის მიწოდებას.

2024 წელს მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სხვადასხვა სექტორში დასაქმებულთა საპროტესტო გამოსვლებსა და გაფიცვებს.[572]

13.8. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების მიმართულებით, გასული წლის მსგავსად, კვლავ იკვეთება პრობლემები სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების პროცესში. ამას, საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოწყვლადი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის პოზიტიური ვალდებულებების

[571] "Communication of the Public Defender of Georgia concerning Identoba group cases, made under Rule 9(2) of the Rules of the Committee of Ministers for the Supervision of the Execution of Judgments and of the terms of Friendly Settlements", 24 February 2025.

[572] დამატებით იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2024 წლის სპეციალური ანგარიში.

არასათანადო შესრულება და, მეორე მხრივ, პრობლემურია სამართალდამცავთა მხრიდან შეურაცხმყოფელი და ჰომოფობიური ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევებიც.

ამ პრობლემებზე მიუთითებს სახალხო დამცველის აპარატში სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით შემოსული განცხადებები. ეს საქმეები უკავშირდებოდა რელიგიურ მრწამსს, პოლიტიკურ შეხედულებებს, სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას (სოგი), პროფესიულ საქმიანობასა და საზოგადოებრივ აქტივობას.[573]

13.9. დისკრიმინაციის წახალისება

წინა წლების მსგავსად, მიმდინარე საანგარიშო წელსაც გამოვლინდა დისკრიმინაციის წახალისების სხვადასხვა შემთხვევა, რაც თანასწორი და ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებაზე ნეგატიურად აისახება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური რიტორიკა კვლავაც აქტიურად გამოიყენებოდა, რაც მიზნად ისახავდა მათი როლის დაკნინებას და საზოგადოებრივ დისკურსში მათი მონაწილეობის შეზღუდვას. ასევე, წინასაარჩევნო პერიოდში თვალსაჩინო იყო ჰომოფობიური ნარატივების გავრცელება. გარდა ამისა, გამოიკვეთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ სტიგმის შემცველი განცხადებებიც.[574] ეს შემთხვევები ნათლად მიუთითებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ უფრო აქტიური და პრინციპული ბრძოლის საჭიროებაზე.

წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებისთანავე, სახალხო დამცველმა პოლიტიკური პარტიის წევრებს ღიად მოუწოდა სიძულვილის ენისგან თავისუფალი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისა და საქმიანი, საარჩევნო პროგრამებზე ორიენტირებული დისკუსიის წარმართვისკენ.[575] გავრცელებულ განცხადებაში სახალხო დამცველმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის წახალისება და სიძულვილის ენის გამოყენება არათუ არღვევს თანასწორობისა და დემოკრატიის პრინციპებს, არამედ ძირს უთხრის სამართლიანი საარჩევნო პროცესის ლეგიტიმურობას. პოლიტიკური მიზნებისთვის, სიძულვილის ენის გამოყენება დაუშვებელია და მის აღმოფხვრაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც პოლიტიკურ აქტორებს, ისე მედიას, რომელთაც საერთო ძალისხმევით თანასწორი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს ფორმირებას უნდა შეუწყონ ხელი.

წინადადება

საქართველოს პარლამენტს/საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს:

- საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანოს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან მისასადაგებლად;

[573] სახალხო დამცველის აპარატის სამართალწარმოებაში არსებული კონკრეტული საქმეების თაობაზე დამატებით იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2024 წლის სპეციალური ანგარიში.

[574] დისკრიმინაციის წამახალისებელი კონკრეტული შემთხვევები იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2024 წლის სპეციალურ ანგარიშში.

[575] სახალხო დამცველის 2024 წლის 2 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/49PHov0

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის სასახლეში, უსაფრთხოების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 4 სექტემბრის №1/259/23 ბრძანების შესაბამისად, „უსაფრთხოების ყვითელი დონის" მოქმედებისას, მედიის წარმომადგენლებს, საქმიანობის პლატფორმის მიუხედავად, მიეცეთ პარლამენტის სასახლეში შესვლისა და საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოს ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში რეალური შესრულება ქმედითი მექანიზმის ფარგლებში და პარლამენტის წევრების მხრიდან დისკრიმინაციის წამახალისებელი ენის გამოყენების შემთხვევაში, გაატაროს ეთიკის კოდექსით დადგენილი დისციპლინური სანქციები.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებს:

- საქართველოს პარლამენტმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ სპეციალური დროებითი ღონისძიებების - გენდერული კვოტების აღდგენა ან საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული სხვა ეფექტიანი მექანიზმების დაწესება, პარლამენტსა და საკრებულოებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- ცვლილებები შეიტანოს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების, საფინანსო დეკლარაციის წარდგენისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" იუსტიციის მინისტრის 2024 წლის 1 აგვისტოს №1019 ბრძანებაში ისე, რომ რეგისტრაციის ვალდებულების მქონე ორგანიზაციების მიერ წარდგენილ დეკლარაციებში მითითებულ ფიზიკურ პირთა, მათ შორის, დასაქმებულთა სახელი და გვარი საჯაროდ გამოქვეყნებას არ დაექვემდებაროს.

საქართველოს პროკურატურას:

- უზრუნველყოს შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად თანამშრომელთა განგრძობადი გადამზადება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ინტენსიური და განგრძობადი გადამზადება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საკითხებზე;
- შეიმუშაოს შიდა რეგულაციები/დანერგოს პრაქტიკა, რის შედეგადაც, უზრუნველყოფილი იქნება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების მსხვერპლების ინფორმირება შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შედეგების თაობაზე.

საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- გამოიკვლიოს სამედიცინო დაწესებულებებისა და მათ მიერ შეთავაზებული სერვისების შეზღუდული შესაძლებლობის, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მისაწვდომობის საჭიროებები. ასევე, უზრუნველყოს სამედიცინო საქმიანობაში ჩართული პირების მნიშვნელოვანი ნაწილის გადამზადება ნებისმიერი შეზღუდვის, განსაკუთრებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებთან სათანადო კომუნიკაციის ასპექტებზე.

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს:

- გააძლიეროს მუშაობა დამსაქმებელთა ცნობიერების ამაღლების, მათ შორის, გონივრული მისადაგების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით; სამუშაო ადგილებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური მხარდაჭერის სერვისების/თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგების დანერგვისა და დროებითი წამახალისებელი მექანიზმების შემუშავების მიმართულებით.

14. გენდერული თანასწორობა

14.1. შესავალი

საქართველოში, გენდერული თანასწორობის მისაღწევად და არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, წლების განმავლობაში არაერთი რეფორმა გატარებულა. თუმცა საანგარიშო წელს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა, მეტიც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სავალდებულო გენდერული კვოტირების გაუქმება, რომელიც უარყოფითად აისახება პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობაზე, განსაკუთრებით იმ დადებითი შედეგების გათვალისწინებით, რაც 2020 წელს მის შემოღებას მოჰყვა, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე.

ქალების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისით, პრობლემად გამოიკვეთა დემონსტრაციების დროს სამართალდამცავი პირების მიერ ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობა.[576]

საანგარიშო პერიოდში გამოწვევა იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეების სრულყოფილი შესწავლა და მისი თავიდან არიდება. გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების თავიდან არიდების პრობლემაზე მიუთითებს ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობების მუდმივად მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, 2024 წელს 25 ქალის მკვლელობის ფაქტი გამოვლინდა, საიდანაც 16 შემთხვევაში მკვლელობა ოჯახის წევრის მიერ იყო ჩადენილი. ხოლო მკვლელობის მცდელობის 17 ფაქტიდან ოჯახის წევრმა ჩაიდინა 12.[577]

აღსანიშნავია, რომ გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის თანახმად, 2024 წელს ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მაჩვენებლით, საქართველო 68-ე ადგილიდან 54-ე ადგილზე დაწინაურდა.[578]

ასევე, ქალთა მონაწილეობის გაძლიერების მიმართულებით მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში, ინსტიტუციურ დონეზე, მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. თუმცა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალების სიმცირე და სოფლად მცხოვრებ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. საყურადღებოა, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში შიდა უწყებრივ დონეზე განხორციელებულ დადებით ცვლილებებს ხელშესახები ეფექტი არ აქვთ დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

14.2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ქვეყანაში, ქალთა მონაწილეობა როგორც პოლიტიკაში, ისე გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, კვლავ გამოწვევად რჩება.

---

[576] დეტალური ინფორმაცია იხ. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვისა და გამოძიების გაზაფხულისა და ზამთრის საპროტესტო აქციების - არასათანადო მოპყრობისა და სხვა უფლებადარღვევების ქვეთავში.

[577] დეტალური ინფორმაცია იხ. სიცოცხლის უფლების თავში.

[578] მისაწვდომია: https://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2024.pdf

2024 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის მიხედვით, საქართველომ, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მაჩვენებლით, მცირე პროგრესი განიცადა და 91-ე ადგილიდან 88-ე ადგილზე გადაინაცვლა.[579] პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების მიხედვით, საქართველო 34 ქალით პარლამენტში, 128-ე ადგილიდან 106-ე ადგილზე გადავიდა.[580]

აღსანიშნავია, რომ 2021 წლიდან სავალდებულო გენდერული კვოტის დაწესების შედეგად, ქალთა წარმომადგენლობა საკრებულოებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, 2017 წელთან შედარებით, 11%-ით გაიზარდა და 24,5% შეადგინა.[581] განსაკუთრებით თვალსაჩინოა გენდერული კვოტის შედეგები ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, სადაც ქალები ან საერთოდ არ იყვნენ წარმოდგენილნი, ან მცირე რაოდენობით. მაგალითად, მარნეულის მუნიციპალიტეტში 2017 წელს არცერთი ქალი დეპუტატი არ ყოფილა არჩეული, 2021 წელს კი, ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალთა წარმომადგენლობა 700%-ით გაიზარდა (აირჩიეს 7 ქალი დეპუტატი). ასევე, აბაშაში ქალთა წარმომადგენლობა 400%-ით გაიზარდა (1-დან 5-მდე გაიზარდა), ხოლო ქედაში - 200%-ით (1-დან 3-მდე გაიზარდა).[582] ქალთა წარმომადგენლობა გაიზარდა დიდ ქალაქებშიც - თბილისში, 2021 წელს, ქალთა წარმომადგენლობა 2017 წელთან შედარებით 20%-ით გაიზარდა (10-დან 12-მდე), [583]ქუთაისში - 140%-ით (5-დან 12-მდე გაიზარდა), ბათუმში 233%-ით (3-დან 10-მდე), რუსთავში 450%-ით (2-დან 11-მდე გაიზარდა).[584]

ზემოხსენებული სტატისტიკა მოწმობს, რომ რაოდენობის ზრდის მიუხედავად, ქალები კვლავ არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი წარმომადგენლობით ორგანოებში. ამ ფონზე

---

[579] მისაწვდომია: https://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2024.pdf, გვ. 185

[580] მონაცემები ასახულია 2024 წლის 1-ლი დეკემბრის მდგომარეობით, მისაწვდომია: https://data.ipu.org/women-ranking/?date_year=2024&date_month=12 [ბოლოს ნანახია: 12.02.2025]. მისაწვდომია: https://www.parliament.ge/parliament-members მნიშვნელოვანია, რომ მეათე მოწვევის პარლამენტში 176 წევრიდან 38 იყო ქალი. https://www.parliament.ge/parliament-members; თუმცა აღსანიშნავია, რომ ცალკეული პოლიტიკური პარტიების მიერ საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატებზე უარის თქმის შემდეგ, ეს ციფრი არსებითად შემცირდა და ამჟამად, საქართველოს პარლამენტში მხოლოდ 14 ქალი დეპუტატია.

[581]სახალხო დამცველის აპარატმა მუნიციპალიტეტებიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2017 და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად საკრებულოებში არჩეული ქალი და კაცი დეპუტატების რაოდენობის შესახებ. მოხმობილი სტატისტიკური ინფორმაცია მათგან მოწოდებულ ინფორმაციას ეფუძნება და წარმოადგენს ჯამურ მაჩვენებელს.

[582] ასევე, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც 2017 წელს მხოლოდ 2 ქალი დეპუტატი იყო არჩეული, დინამიკა ამგვარია - ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ქალების წარმომადგენლობა გაიზარდა 50%-ით, ახალქალაქში, ნინოწმინდასა და მესტიაში - 250%-ით, რუსთავში - 450%-ით, დედოფლისწყაროსა და ჩხოროწყუში - 150 %-ით, შუახევში - 50%-ით, ხულოში - 100%-ით და დმანისში - 200%-ით.

[583] მნიშვნელოვანია, რომ 2017 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეული იყო 10 ქალი და 40 კაცი დეპუტატი. საარჩევნო პერიოდში, საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა 3 ქალ და 13 კაც დეპუტატს, ადგილმონაცვლედ შემოვიდა 3 ქალი და 8 კაცი დეპუტატი. 2021 წელს კი არჩეული იყო 12 ქალი და 38 კაცი დეპუტატი. საარჩევნო პერიოდში საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდა 7 კაც დეპუტატს. ადგილმონაცვლედ შემოვიდა 3 ქალი და 4 კაცი დეპუტატი.

[584] ასევე, 2021 წელს ქალთა წარმომადგენლობა 2017 წელთან შედარებით თელავში გაიზარდა 200%-ით (3-დან 9-მდე), ზუგდიდში - 86%-ით (7-დან 13-მდე გაიზარდა), გორსა და ახალციხეში - 57%-ით (7-დან 11-მდე გაიზარდა).

სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს გენდერული კვოტების სისტემის გაუქმებას, რადგან სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმი ერთი-ერთი ეფექტიანი საშუალებაა პოლიტიკაში არსებითი გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, ეუთო/ოდირმა სამართლებრივი დასკვნა[585] მოამზადა გენდერული კვოტების გაუქმებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, უარყოფითად შეაფასა ისინი და პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნია. დასკვნის თანახმად, საქართველოში გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ ცვლილებების დასაბუთება არ ემყარებოდა კონკრეტულ მტკიცებულებებს, მონაცემებსა და ფაქტებს, გენდერული კვოტირების მექანიზმების მოქმედების სიღრმისეულ ანალიზს, ან შესაძლო ალტერნატიულ, ქმედით ღონისძიებებს, ვერ ასაბუთებს საარჩევნო გენდერული კვოტების გაუქმების აუცილებლობას და პოლიტიკური პარტიების ფინანსური წახალისების სისტემის გაუქმების საჭიროებას.

2024 წლის მონაცემებით, დაბალია მინისტრების პოზიციაზე ქალების მაჩვენებელიც და მხოლოდ 16.67%-ს შეადგენს.[586] 2024 წლის მონაცემებით, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელე ქალების ჯამური რაოდენობა[587] (56.4%) აღემატება კაცების რაოდენობას, ამის მიუხედავად შედარებით დაბალია გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე დასაქმებული ქალების პროცენტული წილი (45.7%). .[588]

გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა სიმცირესთან ერთად, კვლავ პრობლემურია ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ეს, რიგ შემთხვევაში უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების შესახებ ცნობიერების, ასევე, ქალთა ჩართულობის გასაზრდელად ინიციატივების ან პროგრამების ნაკლებობას.[589]

გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის თანახმად, 2024 წელს ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მაჩვენებლით, საქართველო 68-ე

[585] მისაწვდომია: https://shorturl.at/mlDrO

[586] მისაწვდომია: https://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2024.pdf

[587] აღნიშნული ჯამური რაოდენობა არის სამინისტროები შინაგან საქმეთა სამინისტროს გარეშე, სადაც დასაქმებულთა მხოლოდ 19.3 პროცენტი არის ქალი.

[588] საჯარო სამსახურის ბიუროს წერილი № გ227; 24.03.2025. შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუროსთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია გენდერულ ჭრილში უმაღლესი თანამდებობის პირების რაოდენობის შესახებ, შესაბამისად, ეს მონაცემი არ არის აღნიშნული.

[589] შეხვედრები კარალეთის, სკრის, ვერხვების, ბერბუკის დევნილთა დასახლებაში, ასევე, შეხვედრები კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაკასა და თვაურებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცსა და არბოში, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანსა და წილკანში, შეხვედრა წყალტუბოში მცხოვრებ დევნილ ქალებთან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ეწერსა და ხურჩაში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავასა და ჭალეში, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში, ასევე, შეხვედრა თეთრიწყაროში, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანსა და ვაზიანის დასახლებაში მცხოვრებ დევნილ ქალებთან. დადებითად უნდა აღინიშნოს ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანაში მცხოვრები ქალების გამოცდილება, რომელთაც აღნიშნეს, რომ აქტიურად არიან ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ადგილიდან 54-ე ადგილზე დაწინაურდა.[590] ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება, რაც ცალსახად მისასალმებელია.[591] აღსანიშნავია, რომ სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით რამდენიმე მიმართულებით მუშაობს, მათ შორის, პრიორიტეტი ენიჭება ქალი მეწარმეების ცოდნისა და ინფორმირებულობის გაზრდას სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ 2024 წელს რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრების პროექტის[592] ფარგლებში, სხვა აქტივობებთან ერთად, ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულებით გადამზადდა 201 ქალი, მათ შორის 140 ქალი მეწარმე სუბიექტი.

ასევე აღსანიშნავია, რომ მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2024 წელს დადასტურებული სესხების რაოდენობის 60% და მოცულობის 59% ქალ მეწარმეებზე მოდის, ან ისეთ მეწარმე სუბიექტებზე, რომელთა 100% წილის მფლობელი ქალია..[593] ფინანსური მხარდაჭერის მსგავსი ინიციატივების ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქალებისთვის ბიზნესის დაწყების მთავარი გამოწვევა სწორედ ფინანსურ რესურსზე მიუწვდომლობაა.[594]

ეკონომიკური მონაწილეობა განსაკუთრებით პრობლემურია სოფლად მცხოვრები, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის, რასაც სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამართული შეხვედრებიც მოწმობს.[595] ქალები მრავალგზის აღნიშნავდნენ სოციალური და ეკონომიკური სერვისების ნაკლებობას, რაც უხღუდავთ შესაძლებლობას,

[590] მისაწვდომია: https://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2024.pdf, გვ 185.

[591] ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი №19/635 - 31.01.2025; სოფლის განვითარების სააგენტოს წერილი №5/224 - 24.01.2025.

[592] მსოფლიო ბანკის დაფინანსების ფარგლებში, სააგენტომ შეიმუშავა რეგიონალური საკონსულტაციო ცენტრების პროექტი, რომლის შესაბამისადაც, 2024 წელს ფუნქციონირებდა 3 საკონსულტაციო ცენტრი - სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარისა და კახეთის რეგიონებში. მომავალში კი იგეგმება ცენტრის გახსნა ყველა რეგიონსა და დედაქალაქში. რეგიონული საკონსულტაციო ცენტრების საკონსულტაციო კომპონენტის ფარგლებში, სააგენტო უზრუნველყოფს 5%-ით გაზრდილ დაფინანსებას იმ მეწარმე სუბიექტებისთვის, რომელთა 50%-ზე მეტი წილის მფლობელი ქალი მეწარმეა.

[593] მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქალ მეწარმეებს შეღავათიანი საპროცენტო პირობებით შეუძლიათ მიკრო სესხებით სარგებლობა, რომლის 80%-მდე გარანტიის უზრუნველყოფას და საპროცენტო ხარჯის სუბსიდირებას სააგენტო ახორციელებს. წყარო: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წერილი - 31.01.2025, № 19/635.

[594] ანგარიში „ქალ მეწარმეთა გამოკითხვა საქართველოში“ https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-05/Survey%20of%20Women%20Entrepreneurs%20in%20Georgia%20ENG.pdf

[595] შეხვედრებში ჯამში 194 ქალმა მიიღო მონაწილეობა. შეხვედრები ჩატარდა კარალეთის, სკრის, ვერხვების, ბერბუკის დევნილთა დასახლებაში, ასევე, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაკასა და თვაურებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცსა და არბოში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანაში, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანსა და წილკანში. შეხვედრა გაიმართა წყალტუბოსა და ქუთაისში მცხოვრებ დევნილ ქალებთან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ეწერსა და ხურჩაში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავასა და ჭალეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქარძამსა და პერევში, ასევე, თეთრიწყაროში, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანში და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის დასახლებაში.

დაიკმაყოფილონ საჭიროებები.[596] ქალების თქმით, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ქალებისთვის პროფესიული გადამზადების ტრენინგებს არ აქვს სტაბილური და გრძელვადიანი ხასიათი. საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, რეგიონში კვლავ პრობლემაა ტრანსპორტი და საბავშვო ბაღები, რაც აფერხებს ქალების და გოგოების წვდომას განათლებასა და დასაქმებაზე.[597] გასული წლების მსგავსად, ამჯერადაც სახელდება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პრობლემები[598] და ზრუნვის პასუხისმგებლობები, რაც ასევე აფერხებს ქალთა ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

დადებითად უნდა აღინიშნოს საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, რომლებიც არაერთ პროექტს ახორციელებდნენ სახელმწიფო უწყებებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით. [599]

კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კაცების მიერ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობის შესახებ დაბალი ცნობიერება.[600] შესაბამისად, მცირეა კაცების მიერ ამ უფლებით სარგებლობის მაჩვენებელიც. საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემით, 2024 წელს სამინისტროში დასაქმებულმა 1-მა კაცმა ისარგებლა ანაზღაურებადი დეკრეტული

[596] მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცში მცხოვრებმა ქალებმა განმარტეს, რომ მიუღიათ მონაწილეობა აგრო და მცირე ბიზნესის დაფინანსების პროექტებში, თუმცა დაფინანსება ვერ მოიპოვეს სხვადასხვა მიზეზის გამო. გულისტკივილით აღნიშნეს, რომ დაფინანსებას ისევ მსხვილი ფერმერები იღებენ, მათ კი, ვისაც ასევე სჭირდება ხელშეწყობა, უარს ეუბნებიან მხარდაჭერასა და დაფინანსებაზე. სოფელ არბოში მცხოვრებმა ქალებმა ასევე აღნიშნეს, რომ არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ მიიღეს ბიზნეს დაფინანსება, ქალებს სურთ მეტი ინფორმაცია და ხელშეწყობა ჰქონდეთ.

[597] მაგალითად, სკრის დევნილთა დასახლებაში აღინიშნა, რომ ტრანსპორტი არ არის მორგებული სამუშაო საათებზე; სოფელ გორაკაში ქალს სურდა ემუშავა, თუმცა ვერ დასაქმდა, რადგან უტრანსპორტობის გამო ყოველ დღე რამდენიმე კილომეტრის გავლა ფეხით მოუწევდა; სოფელ წილკანიდან ტრანსპორტი მხოლოდ თბილისში დადის, როდესაც ადგილობრივი მცხოვრები სხვა ქალაქში მიდის, ჯერ მაინც თბილისში უწევს წასვლა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში ტრანსპორტი ყოველდღიურად არ გადაადგილდება, რაც ქალებს ხელს უშლის დასაქმების მიზნით გადაადგილებაში. რაც შეეხება საბავშვო ბაღებს - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაკაში არ არის საბავშვო ბაღი, ბაღი მდებარეობს ქვემო ჭალაში, ტრანსპორტი არ ემსახურებათ, რის გამოც ბავშვები რეგულარულად ვერ დაჰყავთ ბაღში. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ არბოში, ასევე არ არის საბავშვო ბაღი, ბავშვები დადიან მეზობელ სოფელში. ქალებს სურთ, რომ სოფელში იყოს საბავშვო ბაღი. მათი თქმით, ეს ახალ სამუშაო ადგილებსაც შექმნიდა და დედებიც შეძლებდნენ მუშაობას.

[598] მაგალითად, ბერბუკის და სკრის დევნილთა დასახლებაში, ასევე, სოფელ გორაკაში აქვთ სარწყავი წყლის პრობლემა. ჩორჩანაში, ასევე არ აქვთ სასმელი და სარწყავი წყალი.

[599] შეხვედრები ქალებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან..

[600] კაცების მეოთხედი და ქალების მესამედი ფლობს ინფორმაციას შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილების შესახებ, რაც კაცებს აძლებს საშუალებას, ისარგებლონ ბავშვის მოვლის გამო შვებულებით. გამოკითხულთა ნახევარი ამბობს, რომ არ იცის ასეთი კანონი არსებობს, თუ არა, ხოლო მეხუთედი აფიქსირებს, რომ ასეთი კანონი არ არსებობს. „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ (ISSA) კვლევა : „IMAGES: კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება“, გვ, 44. მისაწვდომია: https://shorturl.at/zplww; ბოლოს ნანახია: 25.03.2025

შვებულებით, რაც შეეხება სხვა საჯარო სამსახურებს, 11-მა კაცმა ისარგებლა ანაზღაურებადი, ხოლო 1-მა ანაზღაურების გარეშე შვებულებით.[601]

14.3.ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

„ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა"[602] მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვასა და მათი როლის გაძლიერებას მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში.

საქართველოს სახალხო დამცველმა მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული მანდატის ფარგლებში, ამ გეგმის მონიტორინგი განახორციელა,[603] რომლის შედეგებით, ქალთა მონაწილეობის გაძლიერების მიმართულებით მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში, ინსტიტუციურ დონეზე, მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. პასუხისმგებელმა უწყებებმა შექმნეს ადამიანური რესურსების მართვის არაერთი შიდა დოკუმენტი, მათ შორის, გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმები.[604] უწყებებში ასევე რეგულარულად მიმდინარეობს სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება და შედეგების ანალიზი, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალების მონაწილეობის გასაზრდელად მშვიდობისა და უსაფრთხოების პროცესებში.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ქალების პროცენტული წილი 36%-ია,[605] ხოლო ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წარმოდგენილ მონაწილეთა შორის ქალების რაოდენობამ 15% შეადგინა.

---

[601] საჯარო სამსახურის ბიუროს წერილი № გ227; 24.03.2025. შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუროსთვის არ მიუწოდებია შვებულებით სარგებლობის მაჩვენებელი, შესაბამისად, სტატისტიკაში არ არის ასახული შსს-ს მონაცემი.

[602] „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022–2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის" დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №510, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5598617?publication=0

[603] „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის" მონიტორინგის ანგარიში.

[604] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი №MOD 6 24 00863649 - 10/07/2024, შსს-ს წერილი №MIA 9 24 02419327 - 08/08/2024, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი №01/23275 - 22/07/2024, შრომგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი GOV №1252 - 16/07/2024, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი №SSG 0 24 00160145 - 17/07/2024. მონაცემები 2024 წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით.

[605] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, წერილი №01/23275 - 22/07/2024: 2024 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა მოლაპარაკებების ორი რაუნდი, მე-60 რაუნდი - მონაწილე დელეგაციის 11 წევრიდან 3 იყო ქალი, რაც პროცენტულად 27%-ს შეადგენს; 61-ე რაუნდი - მონაწილე დელეგაციის 11 წევრიდან 4 იყო ქალი, რაც პროცენტულად 36%-ს შეადგენს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, წერილი № 01/2377 – 24.01.2024: 2023 წელს ჩატარდა 57-ე რაუნდი - დელეგაციის 11 წევრს შორის იყო 3 ქალი რაც შეადგენს 27%-ს; 58-ე რაუნდი - დელეგაციის 10 წევრს შორის იყო 1 ქალი რაც შეადგენს 10%-ს; ხოლო 59-ე რაუნდი - დელეგაციის 11 წევრს შორის იყო 3 ქალი რაც შეადგენს 27%-ს.. .

შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის პროცესში, იმართებოდა შეხვედრები ქალთა საინფორმაციო პლატფორმის წევრებთან, რეგულარული დიალოგის მექანიზმის ფარგლებში ასევე გაიმართა სემინარები და შეხვედრები ქალებთან და ახალგაზრდებთან.[606] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, საინფორმაციო შეხვედრები იმართებოდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების თქმით, ქალთა ჩართულობის საკითხები სამშვიდობო პროცესებში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. მოწოდებული ინფორმაციით, ქალების მონაწილეობა ხშირად კონკრეტულ საჭიროებებზე საუბრით შემოიფარგლება, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ქალების ჩართულობა კვლავ დაბალია.

ამასთანავე, კვლავ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისეთი სისტემის საჭიროება[607], რომელიც უზრუნველყოფს კონფლიქტის, კრიზისის ან ძალადობის რისკების გამოვლენას და მათზე რეაგირებას, განსაკუთრებით, ქალების უფლებების დაცვის და უფლებადარღვევაზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, რაც ყველაზე მეტადმნიშვნელოვანია საოკუპაციო ხაზის მიმდებარე დასახლებებში.

ქალებსა და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და პრევენციის ხელშეწყობა ეროვნული სამოქმედო გეგმის მეორე მოქმედების სფეროა. მოწოდებული ინფორმაციით, რეგულარულად იმართებოდა საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრები დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან,[608] თუმცა აქვე, საგულისხმოა ამ შეხვედრების გეოგრაფიული დაფარვა, რადგან დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია სახელმწიფო სერვისებზე, რაც ართულებს მათთვის განკუთვნილი დახმარების მიღებას. კვლავ ვლინდება მოსახლეობაში სტერეოტიპული შეხედულებები და სამართალდამცავი უწყებისადმი უნდობლობა.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველსაყოფად და ლოკალიზაციის პროცესის გასაუმჯობესებლად, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობით, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მართავდა შეხვედრებს

606 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი GOV №1252 - 16/07/2024.

607 გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების მექანიზმები.

608 შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წერილი GOV №1252 - 16/07/2024; შიდა ქართლის ადმინისტრაციის წერილი № 07/4792 - 22/10/2024; მონაწილეობა მიიღო 232 ქალმა და 75 კაცმა. საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ასევე გაიმართა 5 შეხვედრა, მათ შორის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2 გასვლითი სხდომა. იურიდიული დახმარების სამსახურის წერილი №LA 3 24 00023911 - 11/07/2024, საანგარიშო პერიოდში, სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ და საკუთრებისა და მეწარმეობის სამართლებრივ საკითხებზე, ჩატარდა 11 შეხვედრა.

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად.[609] საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში ამოქმედებულია „მობილური იუსტიციის სახლი“.[610]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს დაბრუნებული დევნილი და მიგრანტი ქალების დაფინანსებისა და შემოსავლის წყაროს გაჩენის საკითხები.[611] რიგი სამიზნე მუნიციპალიტეტი, შეღავათიან აგრო და მცირე ბიზნეს გრანტებზე ხელმისაწვდომობის მიზნით, უზრუნველყოფს საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრების გამართვას ქალებთან და ახალგაზრდებთან.[612]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება წვდომა ჯანდაცვის, მათ შორის, ფსიქოლოგის სერვისებზე და ამ კუთხით ინფორმაციის ნაკლებობა. აღინიშნა, რომ არსებული სერვისები არ არის საკმარისად ადეკვატური მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ბავშვთა მოვლა და განათლება. ასევე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია ფართო მასშტაბის ცნობიერების ამაღლება და სერვისებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების გამარტივება.

სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია წვდომა სასმელ და სარწყავ წყალზე, ასევე, სანიაღვრე სისტემის გაუმართაობა, წვდომა ტრანსპორტზე, ხანდაზმულების საჭიროებებზე მორგებული სერვისების არარსებობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ძირითადად შიდა უწყებრივ საქმიანობის ფარგლებში შესრულდა და მისი ზეგავლენა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ცხოვრების ხარისხზე მნიშვნელოვნად არ ასახულა.

14.4.ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით მდგომარეობის შესაფასებლად.

---

[609] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პრემიერ-მინისტრის მრჩევლის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში წერილი №GOV 6 24 00019978 - 16/07/2024.

[610] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი №8206 - 19/07/2024. დღეის მდგომარეობით, საქართველოში 123 იუსტიციის სახლის ფილიალია.

[611] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო წერილი №MOH 1 24 01235211 - 21/11/2024, პარტნიორი უწყება: სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო წერილი №IDP 2 24 00901120 - 26/08/2024. შემოსავლის წყაროს გაჩენის და თვითდასაქმების მიზნით, საანგარიშო პერიოდში სააგენტოს განცხადებით მომართა 1304 ბენეფიციარმა საიდანაც 722 არის ქალი. მიმდინარეობს განცხადებების დამუშავება, გამარჯვებულების გამოვლინების მიზნით.

[612] დამატებით ინფორმაცია იხ. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და ეკონომიკური გაძლიერების ქვეთავში.

საქართველოს რეგიონებში ჩატარებულმა საინფორმაციო შეხვედრებმა კვლავ გამოკვეთა ინფორმირებულობის დაბალი დონე და წვდომა არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული წესის მიხედვით[613], რომელიც არ ითვალისწინებდა ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების მისაღებად მე-13 კვირის შემდეგ მიმართვის საგამონაკლისო შესაძლებლობას, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესასრულებლად, ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გამონაკლისი შემთხვევები განიხილება კონფიდენციალურობის დაცვით, ინდივიდუალური მიდგომით და დამატებით შესაძლებელია დაფინანსდეს „რეფერალური მომსახურების" პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით შექმნილი კომისიის მიერ.[614] თუმცა სახალხო დამცველისთვის უცნობია კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ქალებსა და გოგოებს მიეცემათ ამ სერვისით გამონაკლისის სახით სარგებლობის შესაძლებლობა. [615]

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მიზნით პაპილომა ვირუსის (HPV) საწინააღმდეგო ვაქცინაციის უფასო სერვისს, რომლითაც სარგებლობენ როგორც ქალები, ისე კაცები. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის უწყება[616] მართავდა შეხვედრებს, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში. სამოქალაქო სექტორი[617] წლის განმავლობაში ასევე მუშაობდა საინფორმაციო კამპანიის კუთხით, თუმცა ვაქცინაციის შესახებ ინფორმირებულობა მოსახლეობაში კვლავ დაბალია. კვლავ იკვეთება ვაქცინაციასთან დაკავშირებით მცდარი შეხედულებები, როგორც მოსახლეობაში, მათ შორის, ექიმებშიც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გააფართოოს საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა გეოგრაფიული დაფარვის გზით.

საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ქალებისთვის კვლავ მიუწვდომელია უფასო აბორტის სერვისი.[618] კვლავ პრობლემურია კანონმდებლობაც, რომლის მიხედვითაც, ორსულობის 12 კვირის შემდეგ, ძალადობის შედეგად დამდგარი ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ არის შესაძლებელი.

---

613 კერძოდ, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ქვეპროგრამა.

614 ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №MOH 5 25 00141606 - 07.02.2025.

615 საქართველოს სახალხო დამცველი სწავლობს საქმეს N25-76, 13 წლის ორსული არასრულწლოვნის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ცენტრის წერილით N SCA 6 25 00203322, 21.02.2025 გვეცნობა, გამომდინარე იქიდან, რომ არასრულწლოვანმა და მისმა ოჯახმა ორსულობის ამბავი შეიტყვეს გვიან, ორსულობის 6 თვის ვადაზე, არასრულწლოვნის ანტენატალური მეთვალყურეობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა ვერ მოხერხდა,

616 ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი №MOH 9 25 00174505 - 17.02.2025.

617 არასამთავრობო ორგანიზაცია ,,თანადგომა".

618 იუსტიციის სამინისტროს წერილი №893 - 30.01.2025, სამედიცინო ჩვენების გარეშე აბორტის დაფინანსების საკითხი იუსტიციის სამინისტროს მიერ ამ ეტაპზე არ განიხილება.

14.5.ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

საანგარიშო პერიოდში, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისა და პრევენციის გაუმჯობესებისთვის არსებითი ნაბიჯები არ გადადგმულა და ამ მიმართულებით მდგომარეობა კვლავ უცვლელი რჩება. კვლავ გამოწვევად სახელდება საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა და გაუპატიურების დეფინიციაში თავისუფალი თანხმობის კომპონენტის არარსებობა. ასევე, კანონი კვლავ არ ითვალისწინებს დაზარალებულის დაკითხვის დისტანციურად ჩატარების ან ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებების გაზიარების შემდეგ „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონში გარკვეული ცვლილებები[619] შევიდა, აღსანიშნავია, რომ რიგი საკითხები კვლავ პრობლემად დარჩა.[620] პრაქტიკაში, განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ 2024 წელს, ამნისტიის შედეგად პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ, მოძალადემ ყოფილი მეუღლე დამცავი ორდერის პირობებში მოკლა.[621] ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს საკითხის პრობლემურობასა და მისი კომპლექსურად გადაჭრის აუცილებლობაზე.

პრობლემად გამოიკვეთა სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე[622] სამართალდამცავი პირების არასაკმარისი და არაეფექტიანი რეაგირება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს გენდერული ნიშნით ჩადენილი

---

[619] მაგალითისთვის, სახალხო დამცველის პოზიციის წარდგენის შემდგომ დაემატა ქალის მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულები. ასევე, ქალის მიმართ გენდერის ნიშნით და ოჯახური დანაშაულების განხილვისას სავალდებულო გახდა მოსამართლის მიერ დაზარალებულის პოზიციის მოსმენა.


[620] სახალხო დამცველი მიიჩნევდა, რომ ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე ამნისტია უნდა გავრცელებულიყო იმ პირებზე, რომლებსაც ძალადობრივი ქცევის კორექციის კურსი გავლილი ჰქონდათ. დამატებით, პრობლემურია ჩანაწერი, რომელიც მოსამართლეს ავალდებულებს დამცავი ორდერი რისკის შეფასების გარეშე გამოსცეს. ეს სიტუაციის სრულყოფილად შეფასების, შესაბამისად, მოსამართლის მიერ ბრალდებულისთვის შეზღუდვების არაობიექტურად დაწესების საფრთხეს ქმნის.

[621] საქმე 32024-1865.

[622] სახალხო დამცველის აპარატმა ეს პრობლემა არაერთ შესწავლილ საქმეში აღმოაჩინა. ამ საკითხებზე ასევე საუბრობდნენ თავშესაფრის მონიტორინგის პროცესში გამოკითხული ბენეფიციარებიც. მაგალითისთვის, ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარი აღნიშნავდა, რომ პოლიციელი მისი მეუღლის ახლობელი იყო და აშინებდა, რომ პირიქით მას შეექმნებოდა პრობლემები, ასევე არ უჯერებდა, როდესაც განცდილ ძალადობაზე უყვებოდა. მისი თქმით, პოლიციელები მხოლოდ მაშინ დაეხმარნენ, როდესაც თავის მოკვლა სცადა და ამ ფაქტზეც მხოლოდ შემაკავებელი ორდერი გამოსცეს. საქმე №5744/2024 - განმცხადებელი უთითებდა არასრულწლოვნების თანდასწრებით ჩადენილი სისტემატური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის თაობაზე, ასევე აღნიშნავდა, რომ ძალადობის ერთ-ერთი ფაქტის დროს მოძალადემ მუხლებზე დააყენა და მეზობლის თანდასწრებით დაარტყა. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ პოლიციელებს არაერთხელ მიმართა, თუმცა არ რეაგირებდნენ და ბოლოს მხოლოდ შემაკავებელი ორდერი გამოსცეს. განმცხადებელი ასევე უთითებდა მისი და მისი არასრულწლოვანი შვილების გამოკითხვისას გამოვლენილ დარღვევებზე და პოლიციელების შესაძლო გულგრილობაზე. თუმცა, ხსენებულ ფაქტებზე რეაგირება არ სურდა. საქმე №53/24 - ქალი გენდერის ნიშნით სისტემატური ძალადობის მსხვერპლი იყო მეზობლის მხრიდან. ამბობდა, რომ პოლიცია სათანადოდ არ აღწერდა მის მიმართ განცდილ ძალადობას და ურეაგირებოდ ტოვებდა. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ქალი დაზარალებულად სახალხო დამცველის მიმართვის შემდგომ ცნო.

დანაშაულების ყოველმხრივ გამოძიებასა და დაზარალებულების ეფექტიან დაცვას. გარდა ამისა, კვლავ პრობლემად რჩება კანონის არასწორი განმარტების გამო გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე რისკის შეფასებასა და შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე უარის თქმა.[623] შემაშფოთებელია ქალის გაუპატიურების საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაჭიანურება და არაეფექტიანი, არათანმიმდევრული გამოძიება, რაც შესაძლო დამნაშავეს დაუსჯელს ტოვებს და ვერ იცავს დაზარალებული ქალის უფლებებს.[624] დამატებით, სტატისტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საანგარიშო წელს შემცირებულია ოჯახში ძალადობის/ოჯახურ დანაშაულებზე გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი.

ოჯახში ძალადობის/ოჯახური დანაშაულების სტატისტიკა[625], [626]



დამატებით, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმებზე მონაცემთა შეგროვების ინტეგრირებული სისტემისა და ერთიანი მეთოდოლოგიის არარსებობა

[623] საქმე №1257/24; №1677/24; №4608/2024. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა მინისტრს ზოგადი წინადადებით მიმართა.

[624] საქმე №3017/2024. ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე ქალი მის მიმართ შესაძლო გაუპატიურების ჩადენისთვის დაზარალებულადაც არ არის ცნობილი, შესაბამისად, არ აქვს წვდომა სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილ მასალებზე. ასევე, სრულყოფილად არ არის გამოძიებული მის მიმართ სხვა გენდერული ნიშნით ჩადენილი შესაძლო დანაშაულები.

[625] სტატისტიკა მოიცავს როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი პირის მიმართ ჩადენილ ოჯახურ დანაშაულებს. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან სტატისტიკური ინფორმაცია ასაკისა და სქესის მიხედვით სეგრეგირებული სახით არ მოგვწოდა. საქართველოს გენერალური პროკურატურა აწარმოებს სეგრეგირებულ სტატისტიკას ბრალდებულებისა და დაზარალებულების ასაკის მიხედვით. თუმცა, სტატისტიკის გაანალიზება, მაგალითად, იმის დასადგენად, სულ რამდენი პირია სრულწლოვანი ქალის მიმართ ოჯახური დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული, რთულდება.

[626] დანაშაულის მიხედვით სეგრეგირებული ინფორმაცია ასევე არ მოგვეწოდა იმ საქმეებზე, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები იყვნენ ჩართულები. სამინისტროს ინფორმაციით, 2024 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები 550-მდე სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთნენ. წერილი MIA 5 25 00378807 - 10.02.2025, საქართველოს გენერალური პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩაერთნენ 1721 საქმეში, სახალხო დამცველის აპარატს ეს ინფორმაცია დანაშაულის მიხედვით სეგრეგირებული სახით მიეწოდა. წერილი №13/6552 - 06.02.2025.

მნიშვნელოვნად აფერხებს დანაშაულებზე ერთიანი სურათის შექმნას,[627] რაც, თავის მხრივ, ამცირებს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ აისახება ქალების მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკის შეგროვებაზე.[628] ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტის (ეროვნული რეფერალური მექანიზმი) ზოგადი ხასიათი ვერ უზრუნველყოფს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვისათვის სახელმწიფო უწყებების მიერ გადასადგმელ კოორდინირებულ მოქმედებას.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ცხადყოფს, რომ 3-წლიანი სამოქმედო გეგმა სიღრმისეული პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელ ქმედით ნაბიჯებს არ სახავს, რაც არსებულ გამოწვევებს მოუგვარებელს ტოვებს და კიდევ უფრო ამწვავებს. ამის პარალელურად, სამოქმედო გეგმის აქტივობის ინდიკატორების გარკვეული ნაწილი ზედმეტად ზოგადია და სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასების შესაძლებლობას არ იძლევა, რაც დამატებით, ახალი ქმედითი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესსაც აფერხებს.[629]

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სამოქმედო გეგმა სათანადოდ არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა დაზარალებულთა სოციალური რეაბილიტაცია და ეკონომიკური გაძლიერება. დამატებით, სამოქმედო გეგმა ნაკლებადაა ფოკუსირებული გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაზე და ამ მიმართულებით მხოლოდ ერთ აქტივობას[630] ითვალისწინებს. მაშინ როდესაც მოსახლეობაში კვლავ გავრცელებულია გენდერული სტერეოტიპები ოჯახურ ცხოვრებასა[631] და

[627] მონაცემებს აგროვებს სხვადასხვა ორგანო, მათ შორის, პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო და სხვა ინსტიტუტები, თუმცა ვერ ხერხდება მათი ცენტრალიზება. ეს საკითხი პრობლემად სახელდება სახალხო დამცველის ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების მონიტორინგის ანგარიშშიც, რომელშიც, ამ პრობლემის გამო, სექსუალური ძალადობის სტატისტიკის სრულყოფილი ანალიზი ვერ ხერხდება.

[628] მაგალითისთვის, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არის ცალკე მუხლად გამოყოფილი ზემოაღნიშნული ქმედება, სააგენტო შესაბამის სტატისტიკას არ აწარმოებს. წერილი N 2/22835; 18.03.2025

[629]ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის" შესრულების მონიტორინგის ანგარიში.

[630] აქტივობა 1.1.2 -ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით პროფესიული სტუდენტების ცნობიერების ამაღლება

[631] ყოველ მეორე ადამიანს (52%) სჯერა, რომ ოჯახში ბოლო სიტყვა კაცს ეკუთვნის და ბავშვის ზრუნვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა უფრო დედის პასუხისმგებლობაა. მოსახლეობის უმრავლესობა (56%) ეთანხმება იმას, რომ თუკი ბავშვი ავად გახდება, მის მოსავლელად სამსახურიდან დასვენების დღე დედამ უნდა აიღოს და არა მამამ. კვლევაში გამოჩნდა გარკვეული განსხვავება ინდივიდუალურ დამოკიდებულებებსა და, რესპონდენტების აღქმით, საზოგადოებაში არსებულ ნორმებს შორის. გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევა საქართველოში. გვ. 7-8, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/loHTn; ბოლოს ნანახია: 25.03.2025

დასაქმებაზე,[632] რაც თავის მხრივ გენდერული ნიშნით ძალადობის გამომწვევი ძირეული პრობლემაა.

მიუხედავად იმისა, რომ დამტკიცდა მსხვერპლთა კომპენსაციის გაცემის წესი, პრაქტიკაში პრობლემად გამოიკვეთა კომპენსაციის გაცემის სპეციალური რეგულაციების არარსებობა მოძალადის გარდაცვალების ან შეურაცხადობის შემთხვევაში. ამ პროცედურების არარსებობა ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის მსხვერპლთა მიერ სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიღებას. გასათვალისწინებელია, რომ სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, ამ წესში კონკრეტული ცვლილებები არ შესულა.[633]

მისასალმებელია, რომ 2024 წელს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დამატებითი თავშესაფარი და კრიზისული ცენტრები გაიხსნა. თუმცა, აქვე გასათვალისწინებელია, რომ თავშესაფრის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას ყურადღების მიღმა დარჩა თავშესაფრების რეგიონული დაფარვის საკითხი. ასევე, ახლად გახსნილი დაწესებულებები შშმ პირებისთვის არ არის ადაპტირებული, რაც მათ სერვისებზე წვდომის დამატებით ბარიერს უქმნის. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში პრობლემად გამოიკვეთა თავშესაფრებში თავისუფალი ადგილების არარსებობა.[634] სისტემატურ პრობლემად რჩება თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ვაკანტურ პოზიციებზე თანამშრომელთა დროულად აყვანა და თავშესაფრით მოსარგებლე პირების სათანადო რეაბილიტაცია.[635]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენცია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით პირველად შეაფასა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებები.[636] მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობისა

[632] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (83%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ანაზღაურებადი სამუშაო საუკეთესო საშუალებაა ქალისთვის, იყოს დამოუკიდებელი, თითქმის ყოველ მეორე ადამიანს (48%) მიაჩნია, რომ სამუშაო ადგილების სიმწირის შემთხვევაში კაცების დასაქმება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე ქალების. გარდა ამისა, მოსახლეობის უმრავლესობას (75%) სჯერა, რომ არსებობს პროფესიები, რომელთა შესრულებაც ქალებს არ შეუძლიათ. ასევე, ყოველი მეორე ადამიანი (54%) ფიქრობს, რომ მომსახურების სფეროში სამუშაო ქალებს უფრო მეტად შეეფერებათ. მოსახლეობის უმეტესობა საქართველოში ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალები ნაკლებს უნდა მუშაობდნენ და მეტ დროს უთმობდნენ ოჯახზე ზრუნვას (71%). გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევა საქართველოში. გვ. 6-7 ანგარიში მისაწვდომია ბმულზე https://shorturl.at/loHTn; ბოლოს ნანახია 25.03.2025

[633] აქვე, აღსანიშნავია, რომ 2024 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, სადაც სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები ამ წესში შესაბამისი ცვლილებების შეტანაზე იმუშავებენ. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სამუშაო ჯგუფი გაითვალისწინებს მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

[634] ამ პრობლემაზე მიუთითებენ თავად სააგენტოს თანამშრომლები და აღნიშნავენ, რომ წლის განმავლობაში იყო პერიოდები, როდესაც ქვეყანაში ყველა თავშესაფარი სავსე იყო და ბენეფიციარებისთვის სერვისის მიღებაზე უარის თქმა უწევდათ.

[635] ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში 2024

[636] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „საქართველოში 2022-2023 წლებში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების საბაზისო შეფასება“- - მონიტორინგისას შეფასდა პრევენციის 4 ძირითადი მიმართულება: ინფორმირებულობა, განათლება, სპეციალისტების პროფესიული მომზადება და პრევენციული ინტერვენცია და სამკურნალო პროგრამები.

და ქალთა გაძლიერების მიზნებისთვის კამპანიები თითქმის არ იწარმოება.[637] ამასთანავე, სახელმწიფო უწყებებისა და მუნიციპალიტეტების უმრავლესობა, შეცდომით აიგივებს საინფორმაციო შეხვედრებს ყოვლისმომცველ კამპანიებთან. მათ მიერ ჩატარებულ შეხვედრებს კამპანიური ხასიათი არ აქვს და ხშირად გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრებით შემოიფარგლება, რაც, თავის მხრივ, გრძელვადიან ცვლილებებს ვერ უზრუნველყოფს.[638]

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანასწორობისა და ძალადობის საწინააღმდეგო ქცევების გამყარება და პიროვნებათაშორის ურთიერთობებში კონფლიქტების ძალადობის გარეშე მოგვარების სწავლება. აქედან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ხსენებული საკითხების განათლების სისტემაში სრულყოფილი ჩართვა. სამწუხაროდ, სკოლებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხები სისტემურად და სტრუქტურირებულად არ არის ინტეგრირებული, რაც საქართველოს სხვადასხვა სკოლასა და რეგიონში თემის არათანაბარი და შერჩევითი დაფარვის რისკს ქმნის.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი საკვანძო უწყებების (მაგალითად, სასამართლო, ჯანდაცვის სამინისტრო) მიერ სპეციალისტების პროფესიული გადამზადება შეზღუდულად ხორციელდება. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ მცირეა პროფესიული მომზადების პროგრამების რაოდენობა.[639] ამის პარალელურად, მათი განხორციელების ვადების სიმცირიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგება მათი ეფექტიანობის საკითხიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულ პრობლემად იკვეთება ტრენინგების/პროფესიული მომზადების პროგრამის შემდგომი გრძელვადიანი შეფასების არარსებობა.[640] ამასთანავე, პროფესიული გადამზადება ძირითადად სრულად ან ნაწილობრივ საერთაშორისო დონორული დაფინანსებით ხდება. ყოველივე ეს სახელმწიფოს მხრიდან უფრო ყოვლისმომცველი და კოორდინირებული მიდგომის დანერგვისა და მეტი პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობაზე მიუთითებს.

საანგარიშო პერიოდში პრობლემად სახელდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსჯავრდებულების ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამაში ჩართვა, ასევე, აღნიშნული პროგრამების გეოგრაფიული დაფარვაც. კრიტიკულად მნიშვნელოვანია ჩართულობის გასაზრდელად წახალისების ეფექტიანი მექანიზმის დანერგვაც. გამოწვევად იკვეთება სქესობრივ დანაშაულში მსჯავრდებული პირებისთვის პროგრამის არარსებობა. დამატებით, ასევე არ შემუშავებულა პროგრამა იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც დამცავი ორდერია გამოცემული.

---

[637] ეს საკითხი განიხილეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე ჩატარებული შეხვედრების ფარგლებში.

[638] ამ მხრივ, გამონაკლისია გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიდგომა, რომლებიც სხვა უწყებებთან შედარებით, კამპანიური ხასიათის ღონისძიებებს აწარმოებენ.

[639] დამატებით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სამოქმედო გეგმის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ფოკუსირებულია განხორციელებული ტრენინგების რაოდენობაზე და ყურადღების მიღმა ტოვებს ხარისხობრივ კომპონენტს, რის გამოც რთულია შეფასდეს ჩატარებული ტრენინგების გავლენა და ეფექტიანობა.

[640] გარკვეულ უწყებებში ფასდება ჩატარებული ტრეინინგები (მაგალითად, პრე/პოსტ ტესტების მეშვეობით). თუმცა, აღნიშნულს არ აქვს სისტემური ხასიათი და უწყებაში სათანადოდ არაა ინტეგრირებული.

14.6. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინება

სამწუხაროდ, ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. არასაკმარისი საკანონმდებლო რეგულირების გამო, სტატისტიკის და სათანადო რეაგირების მიღმა რჩება მშობლების ინიციატივით ბავშვთა ნიშნობის შემთხვევები, რაც ბავშვის მთელ რიგ ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს.[641]

მისასალმებელია, რომ მიმდინარე წელსაც შემცირებულია არასრულწლოვანთა ორსულობის და მშობიარობის რიცხვი[642], თუმცა მაჩვენებელი მაინც მაღალია. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2024 წელს 427 არასრულწლოვანი ორსული დარეგისტრირდა[643], ხოლო არასრულწლოვან მშობლად კი 365პირი[644].

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი ბავშვთა ქორწინების/ნიშნობის შემთხვევების მიხედვით, კვლავ იკვეთება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ზრუნვის სააგენტოს შორის კოორდინირებული მუშაობის და არსებული დაცვის და დახმარების მექანიზმების ეფექტიანი გამოყენების პრობლემები.[645] მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებელი უწყებებიდან მხოლოდ სააგენტოს აქვს დამტკიცებული „სოციალური მუშაკებისთვის ბავშვთა და ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევათა მართვის შესახებ" პრაქტიკული სახელმძღვანელო დოკუმენტი, შესწავლილი ინდივიდუალური საქმეებიდან კვლავ იკვეთება სოციალურ მუშაკთა მხრიდან არაეფექტიანი რეაგირება, რაც, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის თემის მიმართ წინასწარი განწყობებითა და სტერეოტიპული

[641] საქართველოს სახალხო დამცველმა 2023 წელის საპარლამენტო ანგარიშში (გვ. 206) გასცა რეკომენდაცია - ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანით, კრიმინალიზებული გახდეს არასრულწლოვანის ნიშნობა", თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ ასახულა „2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა 2025 წელს დაიწყება და რელევანტური უწყებები ქმედით ნაბიჯებს გადადგამენ არასრულწლოვანთა ნიშნობის წინააღმდეგ ეფექტური მექანიზნების შესაქმნელად.

[642] არასრულწლოვანთა ორსულობის და მშობიარობის რიცხვი 37%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით.

[643] შედარებისთვის, 2023 წელს 679 არასრულწლოვანი ორსული დარეგისტრირდა, არასრულწლოვან მშობლად კი - 409 პირი. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს წერილი №HA 7 25 00085299 - 28/01/2025.

[644] მათ შორის, არასრულწლოვანი დედა 347, არასრულწლოვანი დედა და მამა 7, არასრულწლოვანი მამა 11. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წერილი N 51999, 11.03.2025

[645] სახალხო დამცველის შესწავლილი საქმეებიდან აღსანიშნავია საქმე №2964/24, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობდა გამოძიება 16 წლის ასაკს მიუღწეველი გოგოს სხეულში სექსუალური შეღწევის ფაქტზე, ვერ მოხერხდა განმეორებით ამავე დანაშაულის პრევენცია, რასაც შედეგად მოჰყვა არასრულწლოვანი გოგოს ორსულობა. ასევე, საქმე №498/ო25, სადაც ვერ მოხერხდა სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვანი გოგოს სათანადო მხარდაჭერა, შედეგად არასრულწლოვანი გოგო ბავშვობის ასაკში მეორედ დაქორწინდა.

დამოკიდებულებითაა გამოწვეული.[646] ასევე, პრობლემურია ბავშვობის ასაკში შესაძლო ქორწინების ფაქტებზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.[647]

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით ჩადენილ 184 შესაძლო დანაშაულზე დაიწყო გამოძიება და 74 შემაკავებელი ორდერი გამოიცა[648], პროკურატურის მონაცემებით, არასრულწლოვანთან ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დაზარალებულად ცნეს 50 ბავშვი, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა 45 პირის მიმართ დაიწყო.[649]

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ქორწინების მიზეზით 43 მოსწავლეს (38 გოგო 5 ბიჭი) შეუწყდა ან შეუჩერდა მოსწავლის სტატუსი.[650] თუმცა სტატისტიკური მონაცემი, შესაძლოა, რეალურ სურათს არ ასახავდეს, რადგან სწავლის მიტოვების საფუძვლები ხარვეზულად მიეთითება. განსაკუთრებით პრობლემურია „მშობლის განცხადების" საფუძველზე მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა, რომლის უკან, რიგ შემთხვევაში, სწორედ ბავშვთა ქორწინების მოტივი დგას.[651]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სათანადოდ უზრუნველსაყოფად, გაითვალისწინოს ეუთო/ოდირის რეკომენდაციები სავალდებულო გენდერული კვოტირების მექანიზმის ხელახლა შემოღებასთან და, მათ შორის, პოლიტიკური პარტიების ფინანსური წახალისების მექანიზმთან დაკავშირებით;
- დამტკიცდეს საკანონმდებლო პაკეტი სექსუალური ძალადობის კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან მისასადაგებლად;

---

[646] მაგალითად, ბავშვთა ქორწინების ერთ-ერთ საქმეზე - №25-182, სოციალური მუშაკის მოხსენებით ბარათში ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით გამოთქმული იყო არაერთი სტერეოტიპული ფრაზა და მითითება - *„გოგონა მხნედ და თამამად გამოიყურებოდა ოჯახში, სადაც იგი ამ ეტაპზე იმყოფება"; „მიუხედავად იმისა, რომ გოგოს და მისი მეუღლის მშობლები მხარს არ უჭერენ ადრეულ ქორწინებას, გაგებით ეკიდებიან შვილების გადაწყვეტილებას"; „ოჯახის წევრები თავს ევლებიან"; „ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევის მართვის ფარგლებში, ჩემ მიერ არ გამოკვეთილა ეჭვის საფუძველი მისი უფლებების დარღვევის შესახებ, რაც შემდგომ რეაგირების საფუძველი გახდებოდა".*

[647] საქმეები: №2314/ო2024; №25-182.

[648] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 8 25 00356453 - 07/02/2025.

[649] საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/6551 - 06/02/2025.

[650] განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი - MES 5 25 0000216680, 28.02.2025. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ქორწინების მოტივით 38-მა არასრულწლოვანმა მიატოვა სკოლა.

[651] ეს პრობლემა განხილულია სახალხო დამცველის გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებშიც, ამასთანავე, მიმდინარე საანგარიშო წელს, ბავშვობის ასაკში ქორწინების ერთ-ერთ საქმეზე - №2964/24, სკოლამ გვაცნობა, რომ არასრულწლოვანს „მშობლის განცხადების" საფუძველზე შეუწყდა მოსწავლის სტატუსი და, შესაბამისად, აღარ ირიცხებოდა სკოლაში. მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანი ფაქტობრივ ქორწინებაში იმყოფებოდა.

- სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას დაზარალებულის დაკითხვის დისტანციურად ჩატარება ან ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას:

- შემუშავდეს ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და მისი თანმდევი დანაშაულების თავიდან ასარიდებლად;
- განახორციელოს ცვლილებები ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესში, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას;
- დახვეწოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ეროვნული რეფერირების მექანიზმი, შესაბამისი ინსტრუმენტების დანერგვისა და განხორციელების პროცესში პასუხისმგებელი უწყებების კოორდინირებული მონაწილეობით, რათა პრაქტიკაში ქმედით და ეფექტიან ინსტრუმენტად იქცეს;
- უზრუნველყოს გენდერული თანასწორობის მიმართულებით ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის ინკლუზიურობა ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და მათთვის სათანადო დროისა და რესურსების გამოყოფით და გათვალისწინებით;
- უზრუნველყოს, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სამომავლო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებელ ფართომასშტაბიან კამპანიას, რომელიც მიმართული იქნება გენდერული ძალადობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდასა და სტერეოტიპების შემცირებაზე;
- კოორდინაცია გაუწიოს უწყებებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისთვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) შემუშავებისა და განახლების პროცესში.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- გადადგას ქმედითი ნაბიჯები ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამების გასაუმჯობესებლად და მოძალადე მსჯავრდებულთა ჩართულობის გასაზრდელად, მათ შორის, ეფექტიანი წახალისების სისტემის დანერგვით;
- შეიმუშაოს ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი ქალებისთვის სხვა გინეკოლოგიური/რეპროდუქციული სერვისის მსგავსად, აბორტის სერვისის მიწოდება გახდეს უფასო.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს ბავშვთა ქორწინების შემთხვევებზე ერთიანი ოპერაციული პროცედურების (სახელმძღვანელო წესები) შემუშავება, რომელიც დამტკიცდება შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით;
- პოლიციელებისთვის ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რისკის შეფასების დოკუმენტის შევსების წესებსა და მისი შევსების აუცილებლობაზე. ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სრულყოფილად შესწავლის მიზნით.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის ერთიანი სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ) ბავშვთა ქორწინების შემთხვევების გამოვლენის, ეფექტიანი რეაგირებისა და გადამისამართების შესახებ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს:

- აწარმოონ სამშვიდობო პროცესებში ქალების მიერ დასახელებული საკითხების გადაწყვეტის სტატისტიკა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- გაზარდოს საინფორმაციო კამპანიების გეოგრაფიული დაფარვა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისთვის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და რესურსების შესახებ;
- შექმნას და გაზარდოს საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რეპროდუქციული და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამები;
- აწარმოოს ინტენსიური ცნობიერების ამაღლების კამპანია პაპილომა ვირუსის ვაქცინაციის მნიშვნელობაზე, მათ შორის, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს:

- გაზარდოს სოფლად მცხოვრებ ქალებთან, როგორც დამწყებ, ისე გამოცდილ მეწარმეებთან, მეწარმეობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრებისა და ტრენინგების რაოდენობა, მათ შორის, გეოგრაფიული დაფარვის გზით.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- სისტემატურად გადამზადდნენ სოციალური მუშაკები ბავშვთა ქორწინებისა და მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

15.კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება

საქართველოს კონსტიტუცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზრუნვას ადამიანის ძირითად უფლებად და სოციალური სახელმწიფოს პრინციპის ნაწილად აღიარებს.[652]

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1-ლი ივლისის №303 დადგენილებით დამტკიცებული „კულტურის სტრატეგია 2025" ამ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით სხვადასხვა სპეციფიკურ ამოცანას განსაზღვრავს[653], მათი განხორციელების კოორდინაციაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელ უწყებად კი, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადგენს (ამჟამად, საქართველოს კულტურის სამინისტრო).[654]

საქართველოს კულტურის სამინისტროს პოზიციით, „კულტურის სტრატეგია 2025-ის" მონიტორინგი და მისი შესრულების შეფასება ვერ ხორციელდება პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის[655] შესაბამისად, რამდენადაც, 2016 წელს დამტკიცებული „კულტურის სტრატეგია 2025" არ მოიცავს მიზნებისა და ამოცანების შესრულების საბაზო და სამიზნე ინდიკატორებს.[656]

კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს კულტურის სტრატეგია ათწლიანია, საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას და განახლებას დასახული მიზნების მისაღწევად; ყოველწლიურად უნდა შემუშავდეს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა შეფასდეს ყოველი წლის ბოლოს, ხოლო შემდგომი წლის სამოქმედო გეგმაში განახლდეს აქტივობები. ამავე დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიის განხორციელების პროცესის შუალედურ (2020 წლისათვის) და

---

[652] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 20, პუნ. 4; მუხ. 5, პუნ. 6.

[653] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1-ლი ივლისის №303 დადგენილებით დამტკიცებული „კულტურის სტრატეგია 2025", დანართი 1, გვ. 28-32. ამოცანებს შორისაა მაგ: კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაციისა და კატეგორიზაციის სისტემის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განსაზღვრებების გათვალისწინება; კულტურული მემკვიდრეობის გაციფრულება, კატალოგების შექმნა/განვითარება; თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევებით აღჭურვილი ექსპერტიზის, სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიის ჩამოყალიბება; მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვა (რესტავრაცია, კონსერვაცია, რეაბილიტაცია) საერთაშორისო სტანდარტებსა და შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოებისა და მისი მოვლა-პატრონობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ერთიანი ინსტრუქციების, გზამკვლევების და პროგრამების შემუშავების და გავრცელების გზით და სხვ.

[654] იქვე, გვ. 40.

[655] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის" დამტკიცების შესახებ.

[656] საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს 06/06/2024, №00019709 წერილი საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს. საქართველოს კულტურის სამინისტროს 5/02/2025, №00004658 წერილი საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს; უწყების განმარტებით, კულტურის სტრატეგიის პრიორიტეტები და ამოცანები ყოველწლიურად ინტეგრირებულია სამინისტროს საბიუჯეტო პროგრამებში, დარგობრივი პოლიტიკა ხორციელდება პროგრამული დაფინანსების პრინციპით, რაშიც ინტეგრირებულია „კულტურის სტრატეგია 2025-ით" განსაზღვრული პრიორიტეტები და ამოცანები. ხოლო კულტურის სფეროში სახელმწიფოს სტრატეგია ასახულია 2021 წელს დამტკიცებულ სამთავრობო დოკუმენტში, „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგიაში".

დასკვნით ფაზებში (2025 წლისთვის) მიღწეული შედეგების შესაფასებლად, მომზადდება სტრატეგიის განხორციელების შუალედური და საბოლოო ანგარიშები.[657]

სახალხო დამცველის შეფასებით, ვინაიდან, კულტურის სტრატეგია ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი ღირებული დოკუმენტია, რომლის შემუშავებას ხანგრძლივი და მრავალმხრივი სამუშაოები უძღოდა წინ,[658] მნიშვნელოვანია „კულტურის სტრატეგია 2025-ის“ დოკუმენტის იმგვარად განახლება, რაც შესაძლებელს გახდიდა მის სრულფასოვან აღსრულებასა და შესაბამის მონიტორინგს.

საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველი უკვე წლებია მიუთითებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სათანო საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება-მიღების საჭიროებაზე.[659] საერთაშორისო შეთანხმებების გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის დარგში არსებული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისა და ყველა შესაბამისი თემის ადეკვატურად ასახვის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის შემუშავების აუცილებლობაზე ასევე მიუთითებს კულტურის სტრატეგია 2025.[660] გასული წლების მსგავსად, არც საანგარიშო წელს წარდგენია საქართველოს პარლამენტს ხსენებული კოდექსის პროექტი. საქართველოს კულტურის სამინისტროს განმარტებით, უწყება მუშაობს კანონის პროექტებზე კულტურის სფეროს სხვადასხვა მიმართულებით.[661]

ასევე, არაერთი წელია არ შექმნილა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი. სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას კულტურული მემკვიდრეობის მართვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ოფიციალური ვებგვერდის შექმნისა და ყველა საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის საჭიროებაზე.[662] იმავე მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდი კვლავ საჭიროებს განახლებას.[663] მხოლოდ სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გამოქვეყნება საკმარის და სათანადო საშუალებად ვერ მიიჩნევა. ამ ფორმით

[657] იქვე.

[658] მათ შორის, 2015 წელს შემუშავდა და საზოგადოებას წარედგინა „საქართველოს კულტურის სტრატეგის გზამკვლევი“, ასევე, სამინისტროში შეიქმნა სტრატეგიის შემუშავებასა და მისი განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობის, კოორდინაციის მიზნით ჩამოყალიბდა კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფი, უწყებათაშორისი კომისია და სამუშაო ჯგუფი, გატარდა სხვა ღონისძიებებიც. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1-ლი ივლისის №303 დადგენილებით დამტკიცებული კულტურის სტრატეგია 2025, დანართი 1, გვ. 48-დან.

[659] ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები, 2020, 330; 2021, 248.

[660] საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1-ლი ივლისის №303 დადგენილება „კულტურის სტრატეგია 2025-ის დამტკიცების შესახებ“, დანართი 1, გვ. 28.

[661] საქართველოს კულტურის სამინისტროს 5/02/2025, №00004658 წერილი.

[662] ვებგვერდი კვლავ განახლების რეჟიმშია: <http://culture.gov.ge/> [11.03.2025]..

[663] იხ. ბმული: <https://www.heritagesites.ge/ka/files/65> [11.03.2025]. ვებგვერდი არ შეიცავს ისეთ საბაზო ინფორმაციასაც კი, როგორიცაა ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და მათი ხელმძღვანელების შესახებ მონაცემები, 2016-2017 წლების შემდგომ, სააგენტოს არცერთი ანგარიში არ არის ხელმისაწვდომი და სხვ. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2023, გვ. 210-211.

გამოქვეყნებული ინფორმაცია არ არის სრულყოფილი, სისტემატიზებული და მარტივად მოსაძიებელი.

უკანასკნელი წლებია, მაღალი საჯარო ინტერესის საგანს წარმოადგენს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან გელათის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებული მოვლენები. 2023 წლიდან გელათის მონასტერში ჩატარებულ სამუშაოებს საქართველოს საპატრიარქო ხელმძღვანელობს. სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, 2024-2025 წლებში, სამინისტროს მხრიდან გაცემულია სანებართვო მოწმობები ძეგლზე სამუშაოების, მათ შორის, კვლევითი სამუშაოების, ასევე, კულტურულ ფასეულობათა გატანა-შემოტანის თაობაზე.[664] უკანასკნელ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებიდან[665] ირკვევა, რომ გაცემულია რამდენიმე სანებართვოს მოწმობა გელათის ღვთისმშობლის ტაძარზე, გუმბათის დროებითი გადახურვის საყრდენი ლითონის კონსტრუქციის მოსაწყობად და სახურავზე საკონსერვაციო სამუშაოებისთვის.[666] ნებართვის მფლობელს (გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი) სამუშაოთა შუალედური ანგარიშგების ვალდებულებები აქვს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი კვლავ მიადევნებს თვალს გელათის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით, სამინისტროს მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შესასრულებელი სამუშაოების ანგარიშგების ვალდებულების შესრულების საკითხს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას, საქართველოს კულტურის მინისტრს:

- უზრუნველყონ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1-ლი ივლისის №303 დადგენილებით დამტკიცებული კულტურის სტრატეგია 2025-ის განახლება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად.

საქართველოს კულტურის სამინისტროს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს:

- უზრუნველყონ კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის პროექტის შემუშავების გამჭვირვალე პროცესი და პროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა;

[664] საქართველოს კულტურის სამინისტროს 07/03/2025, №00010051 წერილით მოწოდებული მასალები.
[665] 2025 წლის 23 იანვარს, 3 თებერვალსა და 17 თებერვალს გაცემული სანებართვოს მოწმობები.
[666] გუმბათის დროებითი გადახურვის საყრდენი ლითონის კონსტრუქციის მოსაწყობად, ტაძრის გუმბათის დასავლეთ მხარეს არსებული ამოქოლილი სარკმლის მონაკვეთის გახსნისა და ამავე მონაკვეთზე შემორჩენილი მხატვრობისა და ნალესობის მოხსნის სამუშაოები; გუმბათის დროებითი გადახურვის საყრდენი ლითონის კონსტრუქციისთვის, გუმბათის გარეთ, ლითონის წრიული სივრცული საყრდენი პლატფორმის მოწყობის სამუშაოები; სახურავზე საკონსერვაციო სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი დამხმარე ხარაჩოს მოწყობა.

- უზრუნველყონ ადმინისტრაციული ორგანოების ოფიციალური ვებგვერდების შექმნა/განახლება და ონლაინ პლატფორმებზე უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა.

16. გარემოს დაცვის უფლება

საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურ ზედამხედველობას უწევს კონსტიტუციით აღიარებული გარემოს დაცვის უფლების რეალიზაციას.

გასული წლების მსგავსად, ფართოვდება გარემოს სფეროს ის საკითხები, რომელთა თაობაზეც აპარატი სისტემურ ანალიზსა და უფლებრივ ჭრილში გამოვლენილ გამოწვევებს სპეციალურ და საპარლამენტო ანგარიშებში ასახავს. აქვე, აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის საკითხებს შორის, აპარატი, წლებია, განაგრძობს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების ზედამხედველობას და ნამდვილად მისასალმებელია მიღწეული პროგრესი, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ კვლავაც აქტიურად განაგრძოს ამ მიმართულებით ღონისძიებების გატარება, რათა სუფთა ჰაერზე უფლება მთელი ქვეყნის მასშტაბით იყოს რეალიზებული.

16.1. წყალზე უფლება

საანგარიშო წელს, სახალხო დამცველის აპარატმა პრიორიტეტულად იმუშავა წყალზე ხელმისაწვდომობის უფლებაზე. აპარატმა, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომებისა და საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, შეიმუშავა სპეციალური მეთოდოლოგია, რის საფუძველზეც საქართველოს რიგ მუნიციპალიტეტებში განხორციელდა მონიტორინგი და მომზადდა სპეციალური ანგარიში.[667] ანგარიში ასახავს წყალზე უფლების საერთაშორისო სტანდარტებს, სახელმწიფოს ვალდებულებებს, უფლების შინაარსობრივ ასპექტებსა და პრინციპებს, ეროვნულ რეგულაციებს, აგრეთვე საქართველოს რიგ მუნიციპალიტეტებში არსებულ გამოწვევებს.

წყალზე უფლებაზე უთითებს გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის (CESCR) №15 ზოგადი კომენტარი.[668] ასევე, სხვადასხვა საერთაშორისო რეზოლუციასა და ანგარიშში ვხვდებით მითითებას წყალზე ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით.[669] 2010 წელს, პირველად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, რეზოლუციით[670] აღიარა ადამიანის უფლება უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე, როგორც

---

[667] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში "წყალზე უფლების რეალიზაცია საქართველოში", 2025.

[668] კომიტეტის განმარტებით, წყლის უფლება იმპლიციტურად ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტის ორი უფლების, ცხოვრების სათანადო დონისა (მე-11 მუხლი) და ჯანმრთელობის უფლებების (მე-12 მუხლი) მუხლებშია ასახული, General Comment №15, E/C.12/2002/11, ხელმისაწვდომია: <https://www2.ohchr.org/english/issues/water/docs/cescr_gc_15.pdf>, [11.03.2025].

[669] UN, Economic and Social Council, Realization of the right to drinking water and sanitation Report of the Special Rapporteur, El Hadji Guissé, Draft guidelines, E/CN.4/Sub.2/2005/25, 2005. იხ. ბმული: <https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Issues/Water/SUb_Com_Guisse_guidelines.pdf>, [11.03.2025].
UN High Commissioner for Human Rights, Report of the United Nations High Commissioner for Human Rights on the scope and content of the relevant human rights obligations related to equitable access to safe drinking water and sanitation under international human rights instruments, 2007, იხ. ბმული: <https://digitallibrary.un.org/record/606139/?v=pdf> [11.03.2025].

[670] UN, General Assembly, The human right to water and sanitation, Resolution, A/RES/64/292, 2010, ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/n09/479/35/pdf/n0947935.pdf>, [11.03.2025].

არსებითი უფლება ცხოვრებით სრულფასოვანი სარგებლობისა და ადამიანის უფლებების რეალიზაციისთვის. შემდეგ კი, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ[671], ასევე, რეზოლუციით დაადასტურა ეს აღიარება და განმარტა, რომ წყალზე უფლება ადეკვატური ცხოვრების დონის უფლებიდან გამომდინარეობს.

წყალი ფართო სპექტრის მიზნებისთვის გამოიყენება, თუმცა ადამიანის უფლება წყალზე გულისხმობს ყველას უფლებას საკმარის, უსაფრთხო, მისაღებ, ფიზიკურად და ეკონომიკურად ხელმისაწვდომ წყალს პირადი და საშინაო (საყოფაცხოვრებო) გამოყენებისთვის. გაეროს კომიტეტის განმარტების თანახმად, პირადი და საშინაო მოხმარება გულისხმობს წყალს სასმელად, პირადი სანიტარიისთვის, ტანსაცმლის გასარეცხად, საკვების მოსამზადებლად, პირადი და საყოფაცხოვრებო ჰიგიენისთვის.[672]

წყალზე უფლება სახელმწიფოს ავალდებულებს პროგრესულად, რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტიანად მოახდინოს წყალზე უფლების სრული რეალიზაცია, მაქსიმალური ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით. სახელმწიფოს აქვს სპეციალური ვალდებულებები წყალზე უფლებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს: პატივისცემას (Respect), დაცვასა (Protect) და შესრულებას (Fulfil).[673]

ამასთანავე, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, წყალზე უფლების სრულფასოვანი დაცვის მთავარი პრინციპებია: დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორობა, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, მონაწილეობა და სახელმწიფოს ანგარიშვალდებულება.

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დეტალურად განიხილავს როგორც წყლის უფლებრივ კომპონენტებსა და ზემოაღნიშნულ სტანდარტებს, ასევე, ადამიანის უფლებების რელევანტურ პრინციპებს ამ უფლების რეალიზაციისთვის. ასევე, წყლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ შიდა ეროვნულ რეგულაციებს.

მაგალითად, საქართველოს ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს გაანალიზების საფუძველზე, სახალხო დამცველის შეფასებით, ეროვნული კანონმდებლობა სასმელი წყლის საკითხებს ძირითადად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონტექსტში განიხილავს და არა მრავალმხრივი უფლებრივი პერსპექტივიდან. მართალია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხები წყლის უფლების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია, ამას მოწმობს საერთაშორისო მიდგომებიც, თუმცა წყალი არ არის მხოლოდ ამ სფეროსთან დაკავშირებული რესურსი. წყალი გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებზე, მასზე წვდომა ღირსების, სათანადო ცხოვრების დონის, კვების და სხვა არაერთი უფლების რეალიზაციის საფუძველიცაა. ასეთი

[671] UN, General Assembly, Human rights and access to safe drinking water and sanitation, Resolution, A/HRC/RES/15/9, 2010, ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g10/166/33/pdf/g1016633.pdf>, [11.03.2025].

[672] გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №15, 2002E/C.12/2002/11, პარა. 12a.

[673] სახელმწიფოს ზოგადი და სპეციალური ვალდებულებები ვრცლად იხ. გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №15, 2002E/C.12/2002/11, თავი 3.

სისტემური და მრავალმხრივი უფლებრივი მიდგომა კი, სახალხო დამცველის შეფასებით, მოქმედ რეგულაციებში ასახული არ არის.

ადგილზე არსებული ვითარების გაცნობის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მონიტორინგი განახორციელეს საქართველოს რამდენიმე რეგიონში[674]/სოფელში,[675] კერძოდ, 5 რეგიონის 15 მუნიციპალიტეტის 35 სოფელში. მათ შორის, იყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული, ასევე, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლები.

მუნიციპალიტეტებისა და სოფლების მიხედვით მეტნაკლებად განსხვავებული სურათის მიუხედავად, ბევრი პრობლემა საერთოა. წყალმომარაგების სისტემა არაერთგვაროვანია. მაგალითად, ზოგიერთი სოფლის მოსახლეობას წყალი მიეწოდება საცხოვრებელ სახლებში[676] (რაც აუცილებლად არ გულისხმობს ცენტრალური მოწესრიგებით წყლის მიწოდებას, ზოგიერთ სოფელში მოსახლეობა საკუთარი სახსრებით ახორციელებს ქსელზე დაერთების სამუშაოებს), ზოგიერთი სოფლის მცხოვრებლებს კი, მხოლოდ საუბნო წყაროებიდან/ონკანებიდან/ჭებიდან უწევთ წყლის მომარაგება.[677] მუნიციპალიტეტების/სოფლების მხოლოდ მცირე რაოდენობას[678] აწვდის წყალს ლიცენზიანტი კომპანია და იმ სოფლების უმრავლესობაში, სადაც აპარატმა შემოწმება

[674] მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი.

[675] მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი და აღდგომელაანთკარი; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: ებნისი, მჭადიჯვარი, მიქელიანი და ციხისუბანი; გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ახალუბანი და აძვი; ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლები ღოღეთი (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან) და თამარაშენი (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან); ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩორჩანა (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან); თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდას დევნილთა დასახლება და სოფელი ჯორჯიაშვილი; მარნეულის მუნიციპალიტეტის ჯანდარის დასახლება და სოფელი ზვარეთი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლები: სულდა და ოკამი; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები: მუგარეთი, ბოგა და ჯულღა; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლები: ლარები, წაღვერი და ყვიბისი; გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები: კაჭრეთი, დარჩიეთი, ჯიმითი და ნანიანი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები: ზემო ქედი და ქვემო ქედი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლები: ქემალო და კაზლარი; გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის დასახლება და სოფელი ახალი კუმისი.

[676] მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მისაქციელი, ნავაზი, აღდგომელაანთკარი; გორის მუნიციპალიტეტის სოფლები: ახალუბანი და აძვი; ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელი ღოღეთი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი კაზლარი (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული); გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები: კაჭრეთი, ჯიმითი და ნანიანი; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები: ზემო ქედი და ქვემო ქედი; ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელი პატარა არაქალი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლები: სულდა და ოკამი; ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლები: მუგარეთი, ბოგა და ჯულღა; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლები: წაღვერი, ლარები და ყვიბისი; თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდის დევნილთა დასახლება და სოფელი ჯორჯიაშვილი; მარნეულის ჯანდარის დასახლება; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: ებნისი და მჭადიჯვარი; გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვაზიანის დასახლება.

[677] ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩორჩანა (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან); ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლელი თამარაშენი (მდებარეობს საოკუპაციო ხაზთან); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ქემალო (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული). ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელი ზვარეთი; დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები: მიქელიანი და ციხისუბანი.

[678]დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები: ზემო ქედი და ქვემო ქედი; ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელი ოკამი.

ჩაატარა, მოსახლეობას არალიცენზიატი მიმწოდებელი ამარაგებს. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობისათვის წყლის საცხოვრებელ სახლებში მიწოდება არ არის წყალზე უფლების სრულყოფილად რეალიზაციის გარანტი და არაერთი გამოწვევა გამოიკვეთა ამ მიმართულებითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლები, სადაც, მართალია, დაქსელვა განხორციელდა, თუმცა მოსახლეობას წყალი თვეების განმავლობაში, ან საერთოდ არ მიეწოდება.[679]

ადგილზე ვიზიტებით პრობლემები გამოვლინდა წყალზე უფლების თითქმის ყველა კრიტერიუმთან დაკავშირებით. მათ შორის, განსაკუთრებულად მწვავეა: არასაკმარისი ოდენობის წყალზე წვდომა; განსხვავებული ოდენობის წყალზე წვდომა, როგორც სხვადასხვა, ასევე ერთ დასახლებაში; დიდი მანძილი საცხოვრებელ სახლსა და საუბნო წყაროს/ონკანს/ჭას შორის; მისასვლელად გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურა; დაუცველი ჯგუფების ინტერესთა გაუთვალისწინებლობა; ალტერნატიული მომარაგება საკუთარი ხარჯებითა და ძალისხმევით; წყლის მიუღებელი ფერი/გემო/სუნი.

წყლის ხარისხის მდგომარეობასთან ერთად, მოსახლეობის ინფორმირების ნაკლებობა გამოვლინდა სხვა მიმართულებითაც, მაგალითად, თბილისისგან განსხვავებით, მოსახლეობას წინასწარ არ ეცნობება წყლის მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ,[680] ინფორმაცია სამუშაოების ხანგრძლივობასა თუ აღდგენის სავარაუდო დროზე კი, ზეპირად მიეწოდება. ასევე, პრაქტიკულად უგულებელყოფილია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპი. როგორც წესი, მოქალაქეებს არ აქვთ ინფორმაცია ამ უფლების შესახებ.

გამოწვევების ერთობლიობაში განხილვა ცხადყოფს, რომ არათანაბარი უფლებრივი მდგომარეობაა არათუ სოფლად და ქალაქად მცხოვრებ მოქალაქეებს შორის, არამედ, თავად სოფლებს, ზოგ შემთხვევაში კი, ერთი სოფლის მცხოვრებთა შორისაც, რაც სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული. მაგალითად, რელიეფით, მოქალაქის საცხოვრებელი სახლის გეოგრაფიული მდებარეობით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და მისგან გამომდინარე განსხვავებული ინდივიდუალური შესაძლებლობებით.

16.2. კატასტროფის რისკები და გამოწვევები

2023 წელს, შოვში მომხდარმა ტრაგედიამ ადამიანის უფლებების დაცვის პერსპექტივიდან გამომდინარე კატასტროფების მართვის სხვადასხვა მიმართულებით არსებული გამოწვევები გამოავლინა, მათ შორის, სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით.

[679] მაგ., საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი კაზლარი და დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ებნისი.

[680] მაგ., გამონაკლისია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლები: ზემო ქედი და ქვემო ქედი.

საქართველო 2015 წლიდან პარიზის შეთანხმების ხელმომწერია. ქვეყანამ შეიმუშავა მნიშვნელოვანი ხედვა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის (NDC)[681] დოკუმენტის სახით, რომელიც საფუძვლად დაედო კლიმატის ცვლილებების სტრატეგიასა (CSAP) და სამოქმედო გეგმას (CAP).[682] ეს დოკუმენტები კლიმატის ცვლილებების შერბილებას მიემართება. თუმცა საქართველოს ამ დრომდე არ აქვს კლიმატის ადაპტაციის ეროვნული გეგმა, რომელმაც უნდა განსაზღვროს კლიმატის ცვლილებებით განპირობებული გამოწვევების დაძლევა შესაბამისი საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვით. ადაპტაციის ეროვნული გეგმის შემუშავების მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი 2024 წელს ბაქოში გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში გამართულ კონფერენციაზე (COP29).[683] ეროვნული ადაპტაციის გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და რეგულარული განახლების მნიშვნელობაზე მიუთითა ევროპულმა პარლამენტმაც, COP29-ის საფუძველზე მიღებულ რეზოლუციაში და ქვეყნებს, რომლებსაც ჯერ არ აქვთ შემუშავებული, 2025 წლისთვის ეროვნული ადაპტაციის გეგმების შემუშავებისა და 2030 წლისთვის - პროგრესის მიღწევისკენ მოუწოდა.[684]

გარდა პარიზის შეთანხმებისა, საქართველო 2015 წლიდან ასევე არის კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ სენდაის ჩარჩო-პროგრამის ხელმომწერი. ქვეყნის კატასტროფების რისკების შემცირების სტრატეგიის/სამოქმედო გეგმის შემუშავება კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის პოლიტიკის ნაწილია.

სამწუხაროდ, არც 2024 წელს განახლებულა საქართველოს კატასტროფის რისკების შემცირების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2017-2020 წლებისთვის იყო დამტკიცებული.[685] დასახელებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების საჭიროება „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარეობს,[686] და მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შესაბამისი სტრატეგია/სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს კატასტროფის რისკების მიმართულებით არსებული პრობლემების გამოვლენასა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრას.

[681] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5147380?publication=0>, [11.03.2025].
[682] ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/en/PublicInformation/32027>, [11.03.2025].
[683] ხელმისაწვდომია: <https://unfccc.int/news/national-adaptation-plans-key-to-unleashing-the-transformative-power-of-resilience-and-protecting>; [11.03.2025], COP UNFCCC-ის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანოა.
[684] European Parliament resolution of 14 November 2024 on the UN Climate Change Conference 2024 in Baku, Azerbaijan (COP29) (2024/2718(RSP)), p. 31, ხელმისაწვდომია: <https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2024-0035_EN.html>, [11.03.2025].
[685] საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №4 დადგენილება.
[686] „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 15, ნაწ.4.

გასული წლის მსგავსად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[687] „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის“[688] განახლება კვლავ დასკვნით ფაზაშია. ამ დოკუმენტის განახლებას უკავშირდება საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაც.[689]

ქვეყანაში კატასტროფების რისკების გამოკვლევა და საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებრივი პერსპექტივიდან, მით უფრო, რომ კლიმატის გლობალური კრიზისების შედეგები საქართველოსთვისაც აქტუალურია და ფუნდამენტური უფლებების არაერთ ასპექტზე ახდენს ზეგავლენას.

კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული გლაციალური და გეოდინამიკური კასკადური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის გამო, და შესაძლო რისკების ასაცილებლად/შესარბილებლად, მნიშვნელოვანია მყინვარული ხეობების დეტალური შესწავლაც, რაც საქართველოსთვის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. ქვეყანას მყინვარული ხეობები შესწავლილი არ აქვს. ეს პროცესი მხოლოდ 2024 წელს დაიწყო. შვეიცარიულმა კომპანიამ,[690] ქვეყნის მასშტაბით, სატელიტური მონაცემების საფუძველზე, მყინვარულ ხეობებში არამდგრადი ფერდობების გამოსავლენად პირველადი შესწავლა განახორციელა. როგორც გვეცნობა, კვლევის შემდგომ ეტაპზე დაგეგმილია რისკის შემცველი არეალებისათვის დეტალური კვლევის ჩატარება და შესაბამისი გასატარებელი საპრევენციო ღონისძიებების შემუშავება.[691]

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ერთ-ერთ აუცილებელ ამოცანად განიხილება ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა, რაც, ამავე დროს, ბუნებრივი საფრთხეების მართვის მნიშვნელოვანი ნაწილიცაა.[692] საანგარიშო წელს, ქვეყნის ტერიტორიაზე დამონტაჟდა დამატებით 73 ერთეული მიწისპირა სტანდარტული ავტომატური ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურ-საგუშაგო.[693] როგორც სახალხო დამცველს ეცნობა, საერთაშორისო დახმარებით მიმდინარეობს სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს მონაცემთა შეგროვების, ამინდის პროგნოზირებისა და ადრეული გაფრთხილებების გავრცელების სისტემები. ასევე, საერთაშორისო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ამინდის ზემოკლევადიანი პროგნოზირების სისტემის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს რამდენიმე საათის წინსწრებით სტიქიური მოვლენების მაღალი ალბათობით პროგნოზირებას და

[687] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის GOV 1 25 00004004, 17/02/2025 წერილი; ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის №344 ,17/02/2025 წერილი.
[688] საფრთხეების განახლებულ რეესტრზე დაყრდნობით, უნდა მომზადდეს „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია“ და სამოქმედო გეგმა.
[689] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №7 24 00003615, 12/02/2024 წერილი.
[690] კომპანია “GEOTEST AG“, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 13.02.2025, №21/1118 წერილი.
[691] იქვე.
[692] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 სექტემბრის №1629 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (2022-2026), გვ. 105.
[693] 06/09/2023-დან 2024 წლის ბოლომდე პერიოდში, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 13.02.2025, №21/1118 წერილი.

ადრეული შეტყობინებების გავრცელებას.[694] ზუსტი და წერტილოვანი პროგნოზების მომზადება აუცილებელია ადრეული შეტყობინების სისტემისთვის.[695]

სახალხო დამცველის მოსაზრებით, არსებული რისკების გამოვლენაზე, შეფასებასა და შესწავლაზე დაფუძნებული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება სახელმწიფოს მხრიდან განგრძობით და ეფექტიან ძალისხმევას მოითხოვს, როგორც ადამიანური მსხვერპლის, ისე ეკონომიკური ზარალის მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად. მყინვარული ხეობების დეტალური შესწავლისა და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვის, ასევე, ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვისა და განვითარების პროცესი შეუფერხებლად და პრიორიტეტულად უნდა წარიმართოს, სათანადო ინსტიტუციური და ფინანსური შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზებით.

16.3.საზოგადოების მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში

გარემოს საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მისი მონაწილეობის მხრივ არსებული გამოწვევები არაერთხელ გამხდარა სახალხო დამცველის შეფასების საგანი.

საანგარიშო პერიოდში, ერთ-ერთი აქტუალური საკითხი იყო ბალდის კანიონის საქმე.[696] კანიონთან დაკავშირებით, გასულ წლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს[697] ხანგრძლივი და განგრძობადი პროტესტი[698] მოჰყვა ადგილობრივ მცხოვრებლებსა და აქტივისტებში. პროტესტი ამ დრომდე, გრძელდება. აღსანიშნავია, რომ 2025 წლის დასაწყისში, ინვესტორი კომპანიის დირექტორი სასამართლომ დამნაშავედ ცნო პროტესტის ერთ-ერთი მონაწილის მიმართ ძალადობრივ დანაშაულში,[699] განხილვაშია სხვა მონაწილის მიმართაც კიდევ ერთი ძალადობრივი დანაშაულის საქმე.[700] სამოქალაქო მოძრაობა „ბალდის კანიონის შესანარჩუნებლად" სახალხო დამცველისთვის აპარატისთვის წარმოდგენილ განცხადებაშიც უთითებენ კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან პროტესტის

[694] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო მონაწილეობს ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამა Horizon 2020-ის გამარჯვებულ პროექტში „MedEWSa - ხმელთაშუა და პან-ევროპული საპროგნოზო და ადრეული გაფრთხილების სისტემები ბუნებრივი საფრთხეების წინააღმდეგ", რომელიც მიზნად ისახავს სტიქიური მოვლენების ადრეული გაფრთხილების სისტემების გაუმჯობესებას ხმელთაშუა ზღვის რეგიონისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 13.02.2025, №21/1118 წერილი.

[695] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 სექტემბრის №1629 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამა, გვ. 113.

[696] სამოქალაქო მოძრაობის, „ბალდის კანიონის შესანარჩუნებლად", №1840/2024 განცხადება.

[697] 2022 წელს გაფორმდა ხელშეკრულება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და შპს „კანიონი 350"-ს შორის, ტურისტული მომსახურების გადაცემის შესახებ და კომპანიას ტურისტულ მომსახურებასთან დაკავშირებული ქონება - ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის ტერიტორიზე არსებული მიწის ნაკვეთები გადაეცა იჯარით 40 წლის ვადით. ხოლო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 1 მარტის №ბ58.58230604 ბრძანებით ამ ტერიტორიაზე ატრაქციონების, კიდული და საცალფეხო ბილიკის, როლერის ატრაქციონის მშენებლობის ნებართვა გაიცა.

[698] ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/Umu47>; <https://shorturl.at/nKRaB>, [11.03.2025].

[699] ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33337086.html>, [11.03.2025].

[700] იქვე.

მონაწილეების მიმართ ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფის, შევიწროვების პრობლემაზე. გარდა კონკრეტული ქმედებების დანაშაულებრივი ხასიათისა, მსგავსი ფაქტები აზიანებს მთლიან პროცესს და შექმნილ კრიზისულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს.

პროტესტში მონაწილე მოქალაქეების ერთ-ერთი მთავარი წუხილი უკავშირდება იმას, რომ ისინი არც ინფორმირებულები ყოფილან დაგეგმილი გადაწყვეტილებების შესახებ, და არც პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა მისცემიათ. გარდა ამისა, ეჭვქვეშ აყენებენ დაგეგმილი საქმიანობის ზეგავლენის საკითხებსაც კანიონის ეკოსისტემასა და ბიომრავალფეროვნებაზე.

ბალდის კანიონი ბუნების ძეგლია, შესაბამისად, დაცული ტერიტორიების კატეგორიას მიეკუთვნება.[701] ბუნების ძეგლის მნიშვნელობიდან და მისი უნიკალური ღირებულებიდან გამომდინარე, კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ მოსახლეობასა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ასეთი ძეგლის, როგორც დაცული კატეგორიის, ამ შემთხვევაში ბალდის კანიონის შემდგომი განვითარების, მოვლა-პატრონობისა და მართვის თუ სხვა სახის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.[702] კანონი ასევე უთითებს ასეთ დაცულ ტერიტორიებზე აკრძალულ საქმიანობებზე[703] და აქვე, განმარტავს, რომ დაცულ ტერიტორიებზე საქმიანობა განისაზღვრება დაცული ტერიტორიების კატეგორიების მიხედვით, საერთაშორისო შეთანხმებებისა და კონვენციების შესაბამისად.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული პოზიციის თანახმად, ბალდის კანიონი ბუნების ძეგლია და ის სამართლებრივი აქტები, რომელთა საფუძველზეც გადაიცემა სარგებლობაში ბუნების ძეგლის ტერიტორია, არ ითვალისწინებს მოსახლეობასთან კომუნიკაციის გამართვის აუცილებლობას, ვინაიდან, ადგილობრივ მოსახლეობას აღნიშნული ღონისძიებით არ ეზღუდება მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შესაბამისმა უწყებებმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა გასწიონ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას მოქალაქეების მონაწილეობითი პროცესის უზრუნველსაყოფად. ვინაიდან, ასეთი ძეგლები საზოგადოებრივი ღირებულებაა და მათი განვითარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფართო საჯარო ინტერესს ეხება. როგორც უკვე აღინიშნა,

[701] „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 3, პუნ. 1: დაცული ტერიტორიების კატეგორიებია: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია.

[702] იქვე, მუხ. 22: მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ: ა) დაცული ტერიტორიების დაარსების, განვითარების, შემცირებისა და გაუქმების გადაწყვეტილებების, მენეჯმენტის გეგმების, ადმინისტრაციების დებულებებისა და სხვა დოკუმენტების განხილვისა და შესწორების პროცესში; ბ) დაცული ტერიტორიებისა და ბუფერული ზონების მოვლა-პატრონობისა და მართვის საქმიანობაში.

[703] „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 20, პუნ. 4.

საზოგადოების მონაწილეობით უფლებაზე მიუთითებს კანონიც. მით უფრო, როდესაც მოსალოდნელია, რომ საზოგადოებაში, შესაძლოა, გაჩნდეს აზრთა სხვადასხვაობა და კითხვები მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობასთან, მიზანშეწონილობასთან, ზეგავლენის ასპექტებთან მიმართებით, საერთო საზოგადოებრივი შეთანხმების მცდელობა ისეთი ტიპის გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც დაცული ტერიტორიების (ბუნების ძეგლის) შემდგომ განვითარებას უკავშირდება, ამასთანავე, ცვლის ადგილობრივ კულტურულ თუ ტრადიციულ ჩვევებს[704] ასეთი ტერიტორიებით სარგებლობასთან დაკავშირებით, აუცილებელია.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით[705] იკრძალება ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა და სახის შეცვლა; ექსპლუატაციის ან რაიმე სხვა მიზნით რომელიმე ბუნებრივი რესურსის განადგურება (ამოწყვეტა), ამოღება (დატყვევება), რღვევა, დაზიანება (დახეიბრება), შეშფოთება და სხვ. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, ბალდის კანიონზე არქიტექტურული პროექტის მომზადებამდე ჩატარდა ჰიდროლოგიური, გეოლოგიური კვლევები. ის საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება დაგეგმილი სამუშაოები კანიონის ბუნებრივ ეკოსისტემას და ხომ არ გამოიწვევს მის რღვევასა და სხვა სახის აკრძალულ ზეგავლენას, ბუნდოვანია. ამ საკითხების შესწავლის შესახებ შესაბამისი კვლევებისა და შეფასების დოკუმენტის გარეშე ამის განსაზღვრა შეუძლებელიც არის.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მოქალაქეების ხანგრძლივ პროტესტს მოჰყვა გადაწყვეტილება ჩატარებულიყო ბიომრავალფეროვნებაზე ზეგავლენის შეფასება.[706] თუმცა როგორც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გვაცნობა, ბალდის კანიონის ბუნების ძეგლის ბიომრავალფეროვნებაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურის ზემოქმედების შეფასების მიზნით შექმნილმა დროებითმა კომისიამ ვერ შეძლო ასეთი შეფასების გაკეთება.[707] უწყების განმარტებით, მინისტრის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ ერთხელ განახორციელა ვიზიტი[708] სოფელ ბალდაში, მაგრამ ადგილობრივების გარკვეული ჯგუფის წინააღმდეგობის გამო, ვერ მოახერხეს დაცულ ტერიტორიაზე შესვლა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება. ამდენად, ასეთი შეფასება ამ დრომდე, არ არსებობს და სამინისტროს საპასუხო კორესპონდენციის გათვალისწინებით, ამ მიმართულებით დამატებითი ძალისხმევაც აღარ გაწეულა.

16.4. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

წელს, სახალხო დამცველის აპარატმა, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის

[704] მოქალაქეები უთითებენ, რომ ბალდის კანიონი სოფლის უშუალო საარსებო გარემოს ნაწილია, ის განსაზღვრავს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ იდენტობას, ცხოვრების წესსა და ეკონომიკურ საქმიანობას.

[705] „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 20, პუნქ. 4.

[706] ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/21597>, [11.03.2025].

[707] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს N1865/01, 17.03.2025 წერილი.

[708] იქვე, კომისია სოფელ ბალდაში 2024 წლის 27 თებერვალს იმყოფებოდა.

შესახებ“ (ორჰუსის) კონვენციის შესრულებასთან მიმართებით, 2021-2024 წლებში უფლებამოსილების ფარგლებში გამოვლენილი გამოწვევების შესახებ, მეშვიდე ეროვნულ ანგარიშში გათვალისწინების მიზნით, დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

სახალხო დამცველმა 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითა, რომ გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ღიაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი იყო სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომზადებული დოკუმენტები სტიქიური გეოლოგიური პროცესების თაობაზე, ყოველწლიურად საჯაროდ გამოექვეყნებინა ელექტრონულად. მისასალმებელია, რომ უწყებამ გაიზიარა სახალხო დამცველის პოზიცია და 2014 წლიდან მომზადებული ყველა ბიულეტენი ვებგვერდზე განათავსა.[709] სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ამგვარი პრაქტიკა მომავალშიც შეუფერხებლად გაგრძელდება.

16.5. ინფრასტრუქტურული პროექტების ზეგავლენა

სახალხო დამცველს არაერთხელ მიუთითებია ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისას მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაზე. მათ შორის, 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში განხილულია აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ფარგლებში საავტომობილო გზების მშენებლობისას გამოვლენილი გამოწვევები (მაგალითად, მოქალაქეთა საკუთრების უფლებაზე ზეგავლენის შეფასებისთვის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის მიმართვის არაერთგვაროვანი პრაქტიკა, არაეფექტიანი კომუნიკაცია საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის), რომელთაც გადამწყვეტი გავლენა აქვთ მოქალაქეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვისა და უფლებების აღდგენის პროცესზე.[710]

საანგარიშო წელს შესწავლილმა ერთ-ერთმა საქმემ[711] კიდევ ერთხელ მიუთითა საკუთრებაზე ზეგავლენისა და მისი გამოსყიდვის გადაწყვეტილების მიღებისას არსებულ პრობლემებზე. განსახილველ შემთხვევაში, მოქალაქის საკუთრება არ დაექვემდებარა გამოსყიდვას იმ არგუმენტით, რომ საცხოვრებელი სახლი არ მდებარეობდა პროექტით გათვალისწინებული გვირაბის თავზე. ამავე საქმეში, სხვაობა იყო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნისა და ინჟინრის მიერ სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის მიწოდებულ მონაცემებშიც, საკუთრებასა და გვირაბამდე

[709] ხელმისაწვდომია: <https://nea.gov.ge/c/Departments/Geology>, [11.03.2025].

[710] ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2023, <https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>, გვ. 224-225.

[711] მოქალაქე შ.მ.-ის №7375/23 განცხადება, საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით. განმცხადებლის საკუთრება არ დაექვემდებარა გამოსყიდვას, ვინაიდან, საცხოვრებელი სახლი არ მდებარეობდა უშუალოდ გვირაბის თავზე.

არსებული დაშორების შესახებ. სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის პოზიციით, მცირე ცდომილების მიუხედავად, აღნიშნულს ვერ მიიღებდნენ საცხოვრებელი სახლის გამოსყიდვის წინაპირობად.

წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ საავტომობილო გზების პროექტების განხორციელება ხშირად იკვეთება მოქალაქეების ინტერესებთან და ინდივიდუალური შემთხვევების სრულფასოვან შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, სახალხო დამცველის შეფასებით, უნდა შეიქმნას ერთიანი წესი შესაბამისი კრიტერიუმებისა და პროცედურების თაობაზე, რომლითაც სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი იხელმძღვანელებს ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში საკუთრებაზე ზეგავლენის შესწავლისა და გამოსყიდვის საკითხის გადაწყვეტისას. ეს მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, ინდივიდუალურ შემთხვევებში მოქალაქეთა ინტერესების უგულებელყოფის მაქსიმალურად თავიდან ასარიდებლად, ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქეებისთვის წინასწარ განჭვრეტადი და მკაფიო კრიტერიუმების/პროცედურის ხელმისაწვდომობისთვის.

16.6. ცხოველებთან დაკავშირებული გამოწვევები

უკვე არაერთი წელია, რაც არ გადადგმულა სათანადო ნაბიჯები უსახლკარო ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად, რაც, როგორც დედაქალაქისთვის, ისე რეგიონებისთვის, სერიოზული გამოწვევაა.[712]

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მონაცემებით, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საქმიანობს, 2024 წლის განმავლობაში, სააგენტოში ცხოველებთან (ძაღლი/კატა) დაკავშირებით 69 600-ზე[713] მეტი შეტყობინება შევიდა. ეს რიცხვი წინა წლების მზარდი ტენდენციის გაგრძელებაა.[714] ასევე, კვლავ გაზრდილია თავშესაფარში გადაყვანილი ძაღლების რაოდენობაც,[715] რომელთაგან ნახევარზე მეტი ბუნებრივ არეალში დაბრუნდა.[716] თითქმის 2 000-მა ცხოველმა დაასრულა სიცოცხლე ბუნებრივი სიკვდილით (1 759) /ევთანაზიით (217). გაზრდილია ცხოველების სტერილიზაციისა და კასტრაციის მაჩვენებელი, რამაც საანგარიშო წელს 8 600-ს გადააჭარბა.[717] სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მონაცემებით, 2024 წელს უწყებამ 393 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გამოავლინა.

სახალხო დამცველი, გასული წლების მსგავსად, ამ მიმართულებით არსებული მასშტაბური გამოწვევების საპასუხოდ, კიდევ ერთხელ მიუთითებს გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული სისტემური მიდგომის საჭიროებაზე. იმისათვის, რათა დადგინდეს ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მოვლა-პატრონობის წესები,

[712] ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2023, გვ. 226-დან.
[713] 69 685 შეტყობინება, სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს №73-0125029399, 29/01/2025 წერილი.
[714] 2023 - 67 623 შეტყობინება; 2022 წელს - 65 922 შეტყობინება; 2021 წელს - 58 314 შეტყობინება.
[715] 2023 - 9 425 ძაღლი, 2024 - 10 998.
[716] 6 824. მცირე რაოდენობა (471) გაჩუქდა, დაუბრუნდა პატრონს (91), მიკედლების სტატუსი (1498), გადაეცა სხვა თავშესაფარს/გავიდა მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (676).
[717] 2024 - 8 619; 2023 - 6 529.

პასუხისმგებლობის საკითხები და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელთა მიზანიც უსაფრთხო გარემოს შემქნა იქნება, როგორც ადამიანებისთვის, ისე თავად ცხოველებისთვის, აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების შემუშავება. 2024 წელს პარლამენტს კვლავ არ მიუღია ასეთი საკანონმდებლო რეგულაციები.

16.8. აკუსტიკური ხმაურის კონტროლი

ბოლო წლებია[718] სახალხო დამცველის აპარატი აქტიურ ზედამხედველობას უწევს გამოწვევებს აკუსტიკური ხმაურის მიმართულებით, რაც, უმეტესად, არაეფექტიანი საკანონმდებლო რეგულაციებით იყო გამოწვეული.

2023 წელს აკუსტიკური ხმაურის ნორმების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა გამკაცრდა,[719] გაფრთხილების ნაცვლად, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისათვის ფიზიკური და კერძო პირებისთვის პასუხისმგებლობის სახედ ფულადი ჯარიმა დადგინდა; გაიზარდა ფულადი ჯარიმის ოდენობა განმეორებითი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში.

2024 წელს აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების სავარაუდო გადამეტებაზე ქალაქ თბილისის მერიის ცხელ ხაზზე 5 570 საჩივარი შევიდა,[720] რაც მცირედ განსხვავდება 2023 წლის მონაცემებისგან.[721] როგორც ირკვევა, საჩივრების უმეტესობა შეეხებოდა სამშენებლო, საგზაო და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, ასევე, ორბელიანის, ათონელის ქუჩებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული გასართობი ობიექტების ფუნქციონირებას. ზარების უმეტესობა შეეხებოდა ისეთი ტიპის ხმაურს, რომელზეც არ ვრცელდებოდა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი (მაგ., ხმამაღალი საუბარი, ყვირილი, ჩხუბი და სხვ.), ამდენად, ასეთ შემთხვევებში, მოქალაქეებს სატელეფონო კომუნიკაციით განემარტებოდათ აღნიშნული გარემოებები. 2024 წელს უწყებამ გამოავლინა 210 სამართალდარღვევა, ხოლო წინა წელს აღნიშნული მონაცემი ორჯერ და უფრო მეტჯერ დიდი იყო.[722] აღსანიშნავია, რომ შედგენილი ოქმების უმეტესობა მიემართება იურიდიულ პირს/ინდივიდუალურ მეწარმეს.[723]

ამდენად, როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს ხმაურთან დაკავშირებული საჩივრების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, მაგრამ დიდი სხვაობაა გამოვლენილ სამართალდარღვევების ოდენობებს

[718] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2022, გვ. 218-დან.
იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2023, გვ. 228-დან.
[719] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხ. 77[1].
[720] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 31.01.2025, №17–01250313807 წერილი.
[721] 2023 წელს - 5836 საჩივარი.
[722] 2023 წელს - 521 სამართალდარღვევა.
[723] 77[1] მუხლის 1-ლი ნაწილი: ფიზიკური პირი - 6 ოქმი, იურიდიული პირი/ინდივიდუალური მეწარმე - 102 ოქმი, 77[1] მუხლის მეორე ნაწილი: ფიზიკური პირი - 2 ოქმი, იურიდიული პირი/ინდივიდუალური მეწარმე - 41 ოქმი, 77[1] მუხლის მესამე ნაწილი: ფიზიკური პირი - 16 ოქმი, იურიდიული პირი/ინდივიდუალური მეწარმე - 43 ოქმი.

შორის, რაც, გარკვეულწილად, შესაძლოა, უკავშირდებოდეს პასუხისმგებლობის გამკაცრებასაც.

იურიდიული პირების/ინდივიდუალური მეწარმეების მიმართ შედგენილი სამართალდარღვევების ოქმები სოლიდურ ფინანსურ სანქციებს გულისხმობს,[724] ამდენად, სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ ობიექტები აქტიურად იზრუნებენ დადგენილი რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე. აპარატი კი, მომავალშიც განაგრძობს აკუსტიკური ხმაურის სფეროში კანონმდებლობისა და მისი აღსრულების მიმართულებით შესაბამისი უწყებების საქმიანობაზე ზედამხედველობას.

16.9.ხე-ტყის მოპოვების გამოწვევები

მრავალი წლის განმავლობაში, ქვეყანაში საშეშე ხე-ტყის მზარდმა მოპოვებამ და უსისტემო ჭრამ შეამცირა ხე-ტყის ხარისხი და ტყის ფართობების დიდი ნაწილის დეგრადირება გამოიწვია.[725] სახალხო დამცველმა 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში ვრცლად ისაუბრა ამ პრობლემაზე.[726]

ვინაიდან, სოციალური ინტერესების დასაკმაყოფილებლად საშეშე მერქნის მოპოვებამ წლების განმავლობაში არაერთი გამოწვევა წარმოშვა, სახალხო დამცველი კვლავ დაინტერესდა ამ მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში გადადგმული ნაბიჯებითა და კონტროლის შედეგებით.

2024 წელს, საქმიანი ეზოების მოწყობის პროცესი გაფართოვდა და ამჟამად, ქვეყნის მასშტაბით სულ მოწყობილია 69 საქმიანი ეზო,[727] რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია.[728]

რაც შეეხება სამართალდარღვევებს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მონაცემებით, 2024 წელს ხე-ტყის უკანონო ჭრის, ტრანსპორტირების, სოციალური ჭრების შედეგად მოპოვებული ხე-ტყის ნებისმიერი ფორმით რეალიზაციის, გამოვლენილი არარეგისტრირებული სახერხი საამქროების შედეგად, გარემოსათვის

[724] 1500 ლარი – 102 ოქმი, 5 000 ლარი – 41 ოქმი, 10 000 ლარი -43 ოქმი.

[725]საქართველოში ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის შესახებ ანგარიში, 2023, გვ. 12, ხელმისაწვდომია: <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53933>, [11.03.2025].

[726] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2023, გვ. 221-დან.

[727] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 17.02.2025, №1060/01 წერილი. ამასთანავე, 2024 წელს გაიმართა საქმიანი ეზოების ღია კარის დღეები, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივ მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია საქმიანი ეზოებიდან მერქნული რესურსის მიღების განახლებული პროცედურებისა და წესების შესახებ; ტყის მერქნული რესურსების სექტორის განვითარების მიზნით შეხვედრები გაიმართა სახერხი საამქროების წარმომადგენლებთანაც და შემუშავდა მათთვის ხე-ტყის პირველადი დამუშავების გზამკვლევი; ფინანსდება 8 ენერგოეფექტიანი ღუმელის მწარმოებლის პროდუქტი და მიმდინარეობს ახალი მწარმოებლების გამოვლენა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება.

[728] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 22.12.2023, №10207/01 წერილი, ამ პერიოდისთვის მოწყობილი იყო 42 ეზო.

მიყენებულმა ზიანმა თითქმის 1 მლნ ლარი შეადგინა,[729] ჯამში კი, 1 750-ზე მეტი დარღვევა გამოვლინდა.[730]

მონაცემების თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ყველაზე დიდი მაჩვენებელი კახეთის რეგიონშია (595), ხოლო სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტების ყველაზე დიდი რაოდენობა (53) სამეგრელო-ზემო სვანეთშია გამოვლენილი. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლში გამოვლენილი სამართალდარღვევების/დანაშაულების რაოდენობა შედარებით ნაკლებია (41/10, სულ 51), გარემოსათვის მიყენებული ზიანის ყველაზე დიდი მაჩვენებელი (354,264.58 ლარი) ამ რეგიონშია, რაც საერთო ზიანის თითქმის მესამედს შეადგენს.

მართალია, 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს ტყის კოდექსი, რომლითაც განისაზღვრა ე.წ. სოციალური ჭრის არსებული სისტემის გაუქმება, თუმცა 2022 წელს მიღებული ცვლილებით, ფიზიკური პირის ინდივიდუალური სოციალური ინტერესების გათვალისწინებით საშეშე მერქნის მოპოვების უფლების ხე-ტყის დამზადების ბილეთის საფუძველზე გაცემის სისტემის გაუქმების ვადამ 2026 წლის 1 იანვრამდე გადაიწია.[731] სახალხო დამცველის წინადადების მიუხედავად, გადახედილიყო აღნიშნული ვადა და მისი შემცირების შესაძლებლობა მსჯელობის საგანი გამხდარიყო, 2024 წელს ამ მიმართულებით არაფერი შეცვლილა.

ვინაიდან, ეკოსისტემისთვის მიყენებული ზიანი განგრძობითია, ე.წ. სოციალური ჭრის სისტემის ჩასანაცვლებლად საჭირო ღონისძიებები, აქტიურად და შემჭიდროვებულ ვადებში უნდა წარიმართოს. გარდა ამისა, სახალხო დამცველს კვლავ საჭიროდ მიაჩნია ახალი სისტემის ამოქმედების ვადის შემცირების განხილვა.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- უზრუნველყოს სპეციალური ანგარიშის - „წყალზე უფლების რეალიზაცია საქართველოში“, თემატურ კომიტეტებში განხილვა და საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გამოყენება, მასში ასახული გამოწვევების დასაძლევად, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სრულფასოვანი საკანონმდებლო გარანტიების შექმნის გზით;

[729] 948,710.44 ლარი, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 12/02/2025, DES 2 25 00006766 წერილით მოწოდებული მონაცემები. აღსანიშნავია, რომ 2020-2023 წლების (4 წელი) განმავლობაში გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 8,9 მლნ ლარს გადააჭარბა. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 15/01/2024, DES 7 24 00002027 წერილით მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები.

[730] სულ 1,752, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების რაოდენობა (სულ 1 556): ხე-ტყის უკანონო ჭრა - 882; ხე-ტყის უკანონო ტრანსპ./ტრანსპ. წესების დარღვევა - 655; სოციალური ჭრების შედეგად მოპ. ხე-ტყის ნებისმიერი ფორმით გასხვისება (რეალიზაცია) – 19; სისხლის სამართლის ნიშნების მქონე ფაქტების რაოდენობა (გადაგზავნილია საგამოძიებო ორგანოებში) (სულ 196): ხე-ტყის უკანონო ჭრა - 101; ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირება - 2; დაურეგისტრირებელი სახერხი საამქროს გამოვლენა (უკანონო სახერხი) - 93.

[731] საქართველოს ტყის კოდექსი, მუხ. 93, ნაწ. 9.

- ცხოველთა პოპულაციის ეფექტიანად და ჰუმანურად სამართავად, 2025 წელს მიიღოს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონი და განისაზღვროს ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მოვლა-პატრონობის ერთიანი წესები, ვალდებულებების დარღვევისთვის დადგინდეს მკაცრი პასუხისმგებლობა, ზედამხედველობის და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმები.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საზოგადოების, ექსპერტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობით, შეაფასოს წყალზე უფლების რეალიზაციის პროგრესი, მათ შორის, „ხედვა 2030, საქართველოს განვითარების სტრატეგიით“ განსაზღვრული ამოცანის (2025/2030 წლებისთვის საქართველოს ქალაქების/მთელი ქვეყნის მოსახლეობის 100%-სთვის სტანდარტთა შესაბამისი წყალმომარაგების უზრუნველყოფა) შესრულებასთან დაკავშირებით; ასევე, შეიმუშაოს არსებულ პრობლემათა გადაჭრის დროში გაწერილი გეგმა, სადაც განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებები და პასუხისმგებელი უწყებები;
- გააძლიეროს თვითმმართველობათა რესურსული შესაძლებლობები, მიზანმიმართულად და შედეგზე ორიენტირებულად, წყალზე უფლების რეალიზაციის ეფექტიანად და თანდათანობით გაუმჯობესებისათვის, ასევე, თანასწორობის უზრუნველსაყოფად ;
- გაზარდოს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საჭირო ფინანსური რესურსები, მთელი ქვეყნის მასშტაბით წყლის ხარისხზე მონიტორინგის ჩასატარებლად და მოქალაქეთა სათანადო ინფორმირებისთვის საჭირო საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად;
- შეისწავლოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის №58 დადგენილებით დამტკიცებული სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისობა ჯანმოს უახლეს (2022 წლის) სახელმძღვანელო მითითებებთან სასმელი წყლის ხარისხის შესახებ; პროგრესული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, განაახლოს შესაბამისი მაჩვენებლები და მომავალშიც განაგრძოს ეროვნულ სტანდარტთა პროგრესული განახლება აღნიშნული სახელმძღვანელოს ცვლილებათა კვალდაკვალ;
- 2025 წელს შემუშავდეს და დამტკიცდეს საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების განახლებული ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს:

- შექმნან ერთიანი პლატფორმა/ბაზა, სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის შედეგებზე საზოგადოების მარტივად, გასაგებად, ხელმისაწვდომად და სათანადოდ ინფორმირებისათვის;
- ონლაინ პლატფორმის გარდა, შექმნან მოქალაქეთა ინფორმირების სხვა მექანიზმებიც, რათა მოსახლეობას სხვადასხვა ეფექტიანი საშუალებით მიეწოდოს ინფორმაცია სასმელი წყლის ხარისხის კონტროლსა და მის შედეგებზე;
- გააფართოონ წყლის ხარისხის კონტროლის მასშტაბები სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით/რესურსების მოძიებით და მაქსიმალურად მოკლე ვადებში უზრუნველყონ წყლის ხარისხის სახელმწიფო კონტროლი მთელ ქვეყანაში.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს:

- 2025 წლის განმავლობაში, შეუფერხებლად გაგრძელდეს მყინვარული ხეობების დეტალური შესწავლა, უზრუნველყოს რისკის შემცველი არეალებისათვის დეტალური კვლევებისა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვა და გატარება;
- 2025 წლის განმავლობაში, შეუფერხებლად გაგრძელდეს ადრეული გაფრთხილების სისტემის დანერგვისა და განვითარების პროცესი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს:

- „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყონ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას მოსახლეობისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მონაწილეობის უფლების დაცვა.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებითა და სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით, უმოკლეს ვადებში დაგეგმონ და გადადგან ქმედითი ნაბიჯები, ყველა მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების ლიცენზირებული მიმწოდებლის მიერ უზრუნველსაყოფად;
- მაქსიმალური ძალისხმევა გაწიონ მოქალაქეების, მათ შორის, ქალების, ხანდაზმულების, შშმ პირებისა და სხვა ჯგუფების საჭიროებათა გამოსაკვლევად და დასაკმაყოფილებლად წყალზე წვდომის კუთხით; ალტერნატიული გზებით უზრუნველყონ იმ მოქალაქეთა წყალმომარაგება, რომელთაც არ აქვთ წვდომა პირადი და საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის საჭირო მინიმალური ოდენობის წყალზე.

სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტს:

- შეიმუშაოს ერთიანი წესი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისას მოქალაქეთა საკუთრებაზე ზეგავლენის შესწავლა-შეფასების, კომპენსირებისა და გამოსყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის მაქსიმალურად ამომწურავი და მკაფიო კრიტერიუმებისა და პროცედურის დასადგენად.

17. ჯანმრთელობის უფლება

17.1. შესავალი

ჯანმრთელობის უფლება საყოველთაოდ არის აღიარებული ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური და კოლექტიური მისწრაფებების რეალიზაციის, გამძლეობისა და ადამიანის ღირსების შენარჩუნებისთვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) განმარტებით,[732] ჯანმრთელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დაავადების არარსებობით, არამედ მოიცავს სრულ ფიზიკურ, გონებრივ და სოციალურ კეთილდღეობას. ასეთი ფართო და მრავალგანზომილებიანი გაგება წარმოშობს მრავალ გამოწვევას, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჯანმრთელობის შედეგებს. სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები ჯანმრთელობის უფლების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანი სამედიცინო საჭიროებების შემთხვევაში.[733]

პაციენტის განცხადების/საჩივრების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვა ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის ხარისხიანად და უსაფრთხოდ დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წელს საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და შესაბამის უწყებას დაევალა საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ახალი ნორმების/სტანდარტის შემუშავება, რომლითაც დადგინდება სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესაფასებლად მომზადებული სარეცენზიო დოკუმენტაციის პროფესიული განვითარების საბჭოსთვის განსახილველად დროულად და სრულყოფილად წარდგენის ვალდებულება,[734] ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად მოწესრიგებული, რაც საფრთხეს უქმნის პაციენტთა უფლებების ეფექტიანად დაცვას.

17.2.პაციენტის უსაფრთხოება

პაციენტის უსაფრთხოება და ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების მიწოდება ფუნდამენტურია ჯანდაცვის სისტემის გასაძლიერებლად და სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. პაციენტის უსაფრთხოება არის კოორდინირებული ძალისხმევის სტრუქტურირებული ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს კულტურის განვითარებას, პროცესების დამკვიდრებას, პროცედურების განხორციელებას, უსაფრთხო ქცევის ხელშეწყობას, ტექნოლოგიების ინტეგრირებას და ჯანდაცვის გარემოს ოპტიმიზაციას. მისი მთავარი მიზანია თანმიმდევრულად და მდგრადად შეამციროს რისკები, შეამსუბუქოს სამედიცინო შეცდომების უარყოფითი შედეგები.[735] პაციენტის

[732] Constitution of the World Health Organization. In: World Health Organization: Basic documents. 45th ed. Geneva: World Health Organization; 2005 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <bit.ly/3SbSmT9> [24.01.2025].

[733] International Covenant on Economic, Social and Cultural Rights (Article 12) ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://u.to/lNJ9lQ> [24.01.2025].

[734] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 6 ნოემბრის დადგენილება „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე".

[735] World Health Organization. Global Patient Safety Action Plan. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/Zs4Ud> [29.01.2025].

უსაფრთხოების მდგრადი სისტემა აუმჯობესებს ჯანმრთელობის შედეგებს სტანდარტიზებული პროტოკოლების, უწყვეტი მონიტორინგის და გამჭვირვალე ანგარიშგების მექანიზმების ხელშეწყობით, რაც ხელს უწყობს არასასურველი სამედიცინო მოვლენების თავიდან აცილებას.[736]

2023 წელს, პაციენტთა უსაფრთხოების მე-5 მსოფლიო მინისტრთა კონფერენციაზე მიიღეს მონტრეს ქარტია პაციენტის უსაფრთხოების შესახებ,[737] რომელიც მიუთითებს გლობალურ ვალდებულებაზე პაციენტის უსაფრთხოების გასაძლიერებლად და ჯანდაცვის სისტემებში ზიანის შესამცირებლად. საქართველომ, როგორც ქარტიის ხელმომწერმა ქვეყანამ, შეიმუშავა პაციენტის უსაფრთხოების პროგრამა[738], ასევე შეიქმნა პაციენტის უსაფრთხოების საბჭო, რომლის ამოცანაა მაღალი სანდოობის ჯანდაცვის სისტემებისა და ჯანდაცვის ორგანიზაციების ჩამოყალიბება, კლინიკური პროცესის უსაფრთხოება, პროფესიული განათლების ხელშეწყობა და ჯანდაცვის სფეროში პაციენტის და მათი ოჯახების ჩართულობის გაძლიერება.[739]

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროგრამებისა და მექანიზმების შექმნა პაციენტის უსაფრთხოების გაუმჯობესების სასიცოცხლო ვალდებულებაა, მათი რეალური გავლენა დამოკიდებულია ეფექტიან და მდგრად განხორციელებაზე. მხოლოდ პროგრამის დამტკიცება არ იძლევა წარმატების გარანტიას - ჯანდაცვის დაწესებულებებმა ეს ინიციატივები უნდა გააერთიანონ ყოველდღიურ პრაქტიკაში, ჩამოაყალიბონ მკაფიო ანგარიშვალდებულების მექანიზმები და განახორციელონ პაციენტის უფლებების დაცვის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება. პაციენტზე ორიენტირებული მიდგომა, რომელშიც პაციენტის უსაფრთხოება სამედიცინო საქმიანობისა და ზოგადად, ინსტიტუციური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, პრევენციული ზიანის მინიმიზაციისა და მაღალი სტანდარტის მოვლის უზრუნველყოფის გარანტიებს ქმნის. რეალური ქმედებების გარეშე, პოლიტიკა რჩება მხოლოდ ფორმალობად და ვერ მოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილება პაციენტებისათვის.

სახალხო დამცველის შეფასებით, პაციენტის უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფისთვის, საჭიროა ეროვნული მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაძლიერება, უსაფრთხოების პროტოკოლების დაცვა და პაციენტთა კმაყოფილების რეგულარული შეფასება. ასევე აუცილებელია ამ მიმართულებით სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განათლება, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და პაციენტებისა და მათი ოჯახების ჩართულობის

[736] To Err Is Human: Building a Safer Health System. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/J8ogYUR> [29.01.2025].

[737] The Montreux Charter on Patient Safety galvanizes action to address avoidable harm in health care. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://lnnk.in/iJgX> [29.01.2025].

[738] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 29 სექტემბრის ბრძანება №69/ნ „საქართველოს 2024-2025 წლების პაციენტის უსაფრთხოების პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

[739] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 ივლისის განკარგულება №1325 „საქართველოში პაციენტთა უსაფრთხოების საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“.

გაძლიერება. დროში განსაზღვრული და გაზომვადი აქტივობების განხორციელებას შედეგად მოჰყვება პაციენტის უსაფრთხოება, სამედიცინო რისკების შემცირება და ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესება.

17.3. პირველადი ჯანდაცვის სისტემა

პირველადი ჯანდაცვა სრულიად საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული მიდგომაა, რომლის მიზანია უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაძლო საუკეთესო მდგომარეობა და ჯანდაცვის რესურსის სამართლიანი გადანაწილება.[740] ის არის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ფუნდამენტური ნაწილი, რომელიც მოიცავს დაავადებების პრევენციას, ადრეულ დიაგნოზს და მარტივი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. ეს სისტემა უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან, როგორიცაა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ღირსეული ცხოვრების უფლება.[741]

ამჟამად, საქართველოში პირველადი ჯანდაცვის მომსახურება უზრუნველყოფილია ოჯახის ექიმების, ექთნებისა და რეგიონული ჯანდაცვის ცენტრების მეშვეობით. თუმცა, როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მიერ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, პირველადი ჯანდაცვის სერვისების ხარისხი, ფინანსური მდგრადობა და რეგიონებს შორის უთანასწორობა კვლავ პრობლემად რჩება.[742,743]

ზოგადად პირველადი ჯანდაცვის სისტემის (PHC) გაძლიერება მოითხოვს არა მხოლოდ ქსელის გაფართოებას, არამედ მომსახურების პაკეტის გაუმჯობესებას. ის, როგორც ჯანმრთელობის საყოველთაო დაფარვის (UHC) ცენტრალური საყრდენი, უნდა უზრუნველყოფდეს ხელმისაწვდომ და ხარისხიან მომსახურებას ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა თუ სხვა პოტენციური ბარიერებისა.[744]

სახალხო დამცველის შეფასებით, საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემა ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი გაუმჯობესება აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოციალური სამართლიანობის გაძლიერებას და ადამიანის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას.

---

[740] WHO Strategic Communications Framework for Effective Communications, 2017, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/R28Y3Rq> [24.01.2025].

[741] Primary health care მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://u.to/UK6KIQ > [24.01.2025].

[742] Rethinking primary health care financing in Georgia. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/OsK9> [24.01.2025].

[743] Health and sustainable development: progress in Georgia. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/tpfdyeE> [24.01.2025].

[744] HEALTH FINANCING GUIDANCE No 1 Health financing country diagnostic: a foundation for national strategy development WHO. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/JLNIzAL> [24.01.2025].

2024 წელს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებისთვის გატარებული ღონისძიებები მოიცავს სტრუქტურულ ცვლილებებს, პერსონალისთვის მინიმალური მოთხოვნების დაწესებას, სახელფასო სარგოს ზრდას, მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, სამედიცინო სერვისების გაფართოებას და მონიტორინგის სისტემების დანერგვას.[745] ამ ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით, მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებაში.

შემოთავაზებული ცვლილებები და ინიციატივები მიუთითებს პირველადი ჯანდაცვის როლის გაძლიერებაზე, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში, რომელთა ნაწილში ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა გართულებულია. ამავე დროს, რეფორმებმა ხელი შეუწყო სისტემის გამჭვირვალობასა და მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას, რაც ხელისუფლებას საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანი ზედამხედველობა გაუწიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ, წინა წლებში, „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობაზე ჩატარებულმა მონიტორინგმა,[746] სერვისების ხელმისაწვდომობასა და ხარისხთან დაკავშირებული არაერთი მწვავე პრობლემა გამოკვეთა. 2024 წელს ჩატარებულმა შემოწმებამ[747] კვლავ დაადასტურა, რომ მოძველებული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი მოთხოვნების მინიმალური სტანდარტების დაცვა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ცალკეული სოფლების სამედიცინო დაწესებულებები არასაკმარისად არის აღჭურვილი, ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხო და მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო მინიმალურ სტანდარტებს. ეს ინფრასტრუქტურული ხარვეზები არა მხოლოდ აფერხებს მომსახურების მიწოდების ეფექტიანობას და უსაფრთხოებას, არამედ ამძაფრებს ჯანმრთელობის უთანასწორობას, განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობისთვის, რომელიც, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ისედაც არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება.

სახალხო დამცველის შეფასებით, რეფორმების სრულფასოვანი განხორციელება და მათი გრძელვადიანი შედეგი დამოკიდებულია რესურსების ადეკვატურ განაწილებაზე, პერსონალის მოტივაციასა და უწყვეტ მონიტორინგზე. ამიტომ, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს

[745] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი № MOH 6 25 00213076 26/02/2025.
[746]ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3k6rfMv> და <https://bit.ly/3Ecx9SY [24.01.2025].
[747] მონიტორინგის შედეგები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეცნობა აპარატის წერილით №2024/4063 26/08/2024.

ჯანდაცვის სისტემის მდგრადი განვითარება და მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის შემდგომი ამაღლება.

17.4.დიაბეტის მქონე ბავშვთა საჭიროებების შეფასება

დიაბეტი გლობალურად ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური დაავადებაა. დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის (IDF) 2021 წლის მონაცემებით, მისი გავრცელება შეადგენს 537 მილიონს, მასთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევები - 6.7 მილიონს.

საქართველოს სახელმწიფოს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში გათვალისწინებულია დიაბეტის მართვის კომპონენტიც, რაც მიზნად ისახავს შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების ამბულატორიული და სტაციონარული მეთვალყურეობის გაუმჯობესებას, შესაძლო გართულებების პრევენციასა და სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფას.[748]

2023 წელს, სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერით, საქართველოს არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის ალიანსმა (NCD Alliance in Georgia) ჩაატარა კვლევა[749], რომლის მიზანიც იყო საქართველოში მცხოვრებ დიაბეტის მქონე ბავშვთა საჭიროებების შეფასება. კვლევამ ასევე შეისწავლა ბავშვებსა და მოზარდებში ტიპი 1 დიაბეტის (ტ1დ) მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც გაკეთდა სათანადო დასკვნები და მომზადდა რეკომენდაციები საქართველოში ჯანდაცვის პოლიტიკაზე გადაწყვეტილებების მიმღებთათვის.

სუსტია ბავშვების და მშობლების ცნობიერების და განათლების კომპონენტი, არ არსებობს ერთიანი საინფორმაციო და სოციალიზაციის პლატფორმა/პროგრამა. ასევე, ტიპი 1 დიაბეტის შესახებ მშობლების ინფორმირებისა და განათლების მიმართულებით, საჭიროა უფრო ეფექტიანი ფორმატის შემუშავება, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, განსაკუთრებით რეგიონებში, მშობლების და ექიმ-სპეციალისტების ტრენინგები და კონსულტაციების ფორმატის გაფართოება.[750] გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ აპარატებთან დაკავშირებული ხარვეზების შესწავლა[751], სასურველია მშობლებისთვის არჩევანის

[748] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილება „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“.

[749] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://u.to/Y9t9lQ> [24.01.2025].

[750] დიაბეტის მქონე ბავშვთა საჭიროებების შეფასება, საბაზო კვლევის ანგარიში, გვ. 26. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/8Kzvz> [11.02.2025].

[751] ამ საკითხთან დაკავშირებით, ბავშვთა ენდოკრინოლოგები ჩაღრმავებული ინტერვიუების დროს აღნიშნავდნენ, რომ მშობლებს არჩევანის საშუალება უნდა ჰქონდეთ გლუკოზის მონიტორინგის აპარატებზე (Libre, მედტრონიკი). მათი თქმით, Guardian 3 მსოფლიოში ძალიან გავრცელებული არ არის. ასევე, ოჯახები, რომლებიც ვერ იყენებენ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ გლუკოზის მონიტორინგის აპარატებს, საკუთარი ხარჯებით ყიდულობენ, რომლის ღირებულებაც არის - Dexcom CGM 3 ცალი - 216 ევროს ექვივალენტი, ხოლო Freestyle Libre 2 ცალი - 130 ევროს ექვივალენტი ლარში. რასაკვირველია, ჩამოთვლილი ხარჯების გაწევას ახერხებენ მხოლოდ ის ოჯახები, რომელთაც აქვთ შესაბამისი ფინანსური რესურსები.

შესაძლებლობის მიცემა, სხვადასხვა მომწოდებლის აპარატებს შორის აირჩიონ მათთვის შესაფერისი და სასურველი.

პრობლემად იკვეთება ბავშვთა ექიმ-ენდოკრინოლოგის ხელმისაწვდომობა და მათი კვალიფიკაცია, განსაკუთრებით რეგიონებში.[752]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საჭიროებაა მულტიდისციპლინური გუნდის არსებობა, რომელიც აერთიანებს ყველა საჭირო სპეციალისტს, მათ შორის, კვლევის შედეგების ანალიზისას, ხშირად ნახსენები ფსიქოლოგისა და ნუტრიციოლოგის ჩათვლით. აუცილებელია პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების ბაზაზე ასეთი გუნდების არსებობა, სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად სისტემური მიდგომების დანერგვა - მაგალითად, ამ მიმართულებით უწყვეტი სამედიცინო განათლების მოდულების შემუშავება. ზოგადად, პირველადი ჯანდაცვის როლის გაძლიერება ამ კუთხით, მეტად მნიშვნელოვანია.[753]

სახელმწიფომ, დიაბეტით დაავადებული ბავშვების მართვის პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს გადაჭრას. მშობლების ინფორმირებულობის გაზრდა და მათი თანამშრომლობა ჯანდაცვის პროვაიდერებთან ძირითადი პრიორიტეტია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა დიაბეტის ეროვნული რეგისტრის შექმნა, რომელიც გაამარტივებს პაციენტების მონაცემების მართვას და თანმხლები დაავადებების კონტროლს. ამ სისტემის დანერგვა მოითხოვს ჯანდაცვის პროვაიდერებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რეგიონებში მომსახურების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა და საჭირო მასალებით (ინსულინი, შპრიცები, ტესტ-ჩხირები) უზრუნველყოფა. ასევე, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური სერვისის დამატება პროგრამაში, რაც მშობლებს დაავადებასთან გამკლავებაში დაეხმარება. გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემებთან დაკავშირებით, მშობლებს სურთ ჰქონდეთ არჩევანის შესაძლებლობა სხვადასხვა მწარმოებლის აპარატებს შორის. ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ საჭიროა მწარმოებლებთან დამატებითი კომუნიკაცია. დიაბეტის სამართავად ასევე მნიშვნელოვანია ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა. ეროვნული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში იმართება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისკენ მიმართული საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები.[754]

[752] დიაბეტის მქონე ბავშვთა საჭიროებების შეფასება, საბაზო კვლევის ანგარიში. გვ. 6. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/8Kzvz> [11.02.2025].
[753] დიაბეტის მქონე ბავშვთა საჭიროებების შეფასება, საბაზო კვლევის ანგარიში. გვ. 25. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/8Kzvz> [11.02.2025].
[754] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი № MOH 8 25 00223897 28/02/2025.

სახალხოს დამცველის შეფასებით, დიაბეტით დაავადებული ბავშვებისთვის ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის უფლების რეალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტია. ამის მისაღწევად, მშობლებს აუცილებლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი კვალიფიციურ სპეციალისტებზე, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებსა და საგანმანათლებლო რესურსებზე. ასევე აუცილებელია დიაგნოსტიკაზე, მკურნალობასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების გატარება, ასევე, პირველადი ჯანდაცვის როლის გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის სამართლიან და თანაბარ უფლებას ჯანსაღ მომავალზე. ეს არა მხოლოდ გააუმჯობესებს პაციენტების ცხოვრების ხარისხს, არამედ მნიშვნელოვნად შეამცირებს დიაბეტის სოციალურ და სამედიცინო ტვირთს ქვეყანაში.

17.5.ონკოლოგიური პაციენტების უფლებები

ონკოლოგიური დაავადებები გლობალური მნიშვნელობის გამოწვევაა ჯანმრთელობისათვის. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერვენციებისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ცალსახა პროგრესის მიუხედავად, კიბოთი მაღალი ავადობა და სიკვდილიანობა კვლავაც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.[755]

2024 წელს საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ ჩატარებული თემატური მოკვლევა, „ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“,[756] ნათლად ასახავს ამ საკითხის აქტუალურობას. კვლევის შედეგები მიუთითებს მიგნებებზე, რომლებიც აღწერენ არსებულ პრობლემებს ონკოლოგიურ მკურნალობაში და აღწერს იმ ღონისძიებებს, რომელთა გატარებაც აუცილებელია სერვისების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად და არსებული ბარიერების დასაძლევად.[757] სახალხო დამცველის შეფასებით, ონკოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მოითხოვს კომპლექსურ და კოორდინირებულ მიდგომას, რომელიც გულისხმობს როგორც სახელმწიფო დონეზე პოლიტიკის განვითარებას, ისე საზოგადოების ჩართულობას და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებას.

[755] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/ceKRe> [24.01.2025].

[756] საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ ჩატარებული თემატური მოკვლევის, „ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, ანგარიში. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/4Q3dD6> [26.02.2025].

[757] არ ფინანსდება ონკოფსიქოთერაპია, რეაბილიტაცია, ნუტრიციოლოგია და რეკონსტრუქციულ-აღდგენითი ოპერაციები, მკურნალობის შემდგომი რეაბილიტაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პაციენტის სრულ გამოჯანმრთელებასა და შრომის ბაზარზე რეინტეგრაციაში. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ ჩატარებული თემატური მოკვლევის, „ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა საქართველოში“, ანგარიში, გვ. 30. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/4Q3dD6> [26.02.2025].

დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფოს მხრიდან ონკოლოგიური პაციენტებისათვის სამედიცინო სერვისების და მედიკამენტებით ფინანსური უზრუნველყოფის ძალისხმევა.[758] მათ შორის, მნიშვნელოვანია ონკოლოგიური მედიკამენტების პაციენტისადმი მიწოდების სქემის[759] და რეფერენტული ფასების[760] დანერგვის ღონისძიებები,[761] ასევე შეიქმნა ონკოლოგიის ეროვნული საბჭო, რომლის მიზანია ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკისა და მართვის უზრუნველყოფა.

მნიშვნელოვანია, კიბოთი დაავადებულ პაციენტებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი აუცილებელ მედიკამენტებზე განურჩევლად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა.[762] დღეს მოქმედი სახელმწიფო პროგრამების მიღმა რჩება გვერდითი მოვლენების მართვის და ფსიქოლოგიური სერვისების დაფინანსების საკითხიც.[763] კიბოს კვლევების საერთაშორისო სააგენტო (IARC) მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კიბოს ყოვლისმომცველი მოვლა უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ფიზიკურ მკურნალობას, არამედ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერასაც პაციენტების ცხოვრების საერთო ხარისხის გასაუმჯობესებლად.[764] აუცილებელია უფრო ინკლუზიური მიდგომის შემუშავება, რომელიც გააერთიანებს ამ კრიტიკულ ასპექტებს ონკოლოგიური დახმარების ერთიან სტრუქტურულ ჩარჩოში.

17.6.აღკვეთის სინდრომის მართვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მესამე მუხლი (წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვა) სახელმწიფოს, ნარკოტიკული დეტოქსიკაციისას, დაკავებული/დაპატიმრებული პირებისთვის სათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევის ვალდებულებას აკისრებს.[765]ადეკვატური მკურნალობის გაუწევლობა არაადამიანურ მოპყრობას უთანაბრდება.[766]

---

[758] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის №136 დადგენილება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[759] საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში შეიცვალა ონკოლოგიური მედიკამენტების ლოჯისტიკა. კერძოდ, ქიმიო, ჰორმონო და იმუნოთერაპიისთვის საჭირო მედიკამენტები პაციენტებისთვის ხელმისაწვდომია ამავე სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში და მათ აღარ უწევთ სააფთიაქო ქსელიდან მედიკამენტების გამოტანა და პროცედურისთვის მისვლა სამედიცინო დაწესებულებებში.

[760] მედიკამენტის გასაყიდი ან საექსპორტო ფასის ზედა ზღვარი, რომელსაც სახელმწიფო ადგენს.

[761] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2024 წლის 18 მარტის ბრძანება MOH 3 24 00000089.

[762] Cancer prevention and control in the context of an integrated approach ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/eyPcf >[24.01.2025].

[763] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 196.

[764] Prevention Strategies for Gastric Cancer: A Global Perspective ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://goo.su/UowsHU> [24.01.2025].

[765] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე დიბეკუ ალბანეთის წინააღმდეგ (Dybeku v. Albania), პარ. 41

[766] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ (Poghosyan v. Georgia), პარ. 47-49.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირებს, რომლებიც არ არიან ჩართული მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში და დაწესებულებაში ყოფნის დროს უვითარდებათ აღკვეთის სინდრომი, სიმპტომურად მიეწოდებათ დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები. სახალხო დამცველმა არაერთხელ მიუთითა დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის[767] მართვისთვის ერთიანი სახელმძღვანელოს შექმნის მნიშვნელობაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და იქნება მკაფიო მითითება, თუ რა შემთხვევაში უნდა მოხდეს დაკავებულის სტაციონარში გადაყვანა.

მართალია შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა დოკუმენტი დროებითი მოთავსების იზოლატორში ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულ დაკავებულ პირთა სიმპტომური მკურნალობისა და მართვის შესახებ, თუმცა 2024 წელს მოწოდებული ინფორმაციით, განხილვის ეტაპზე იყო.[768] განხორციელებული ვიზიტების დროს გამოვლინდა, რომ სამედიცინო პერსონალს არ ჰქონდა ინფორმაცია მსგავსი დოკუმენტის არსებობაზე და არც გადამზადება ჰქონდათ გავლილი აღნიშნულ საკითხზე. მნიშვნელოვანია, რომ დროულად მოხდეს აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება და სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს პირველადი ჯანდაცვის სერვისების განვითარების მკაფიო, დროში გაწერილი, შესრულების ინდიკატორების და მონიტორინგის მექანიზმის მქონე ერთიანი გეგმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც რეგიონალური უთანასწორობის აღმოფხვრას ხელმისაწვდომობისა და მომსახურების ხარისხში, ისე სერვისების დაფინანსების ეფექტიანობის გაუმჯობესებას, პროფესიული კადრების მოზიდვასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც საბოლოოდ გაზრდის სისტემის ეფექტიანობას და პაციენტებზე ორიენტირებულობას;
- დიაბეტის მართვის სახელმწიფო პროგრამის სისტემატური მონიტორინგის ფარგლებში, განსაზღვროს მკაფიო შესრულების ინდიკატორები (პაციენტთა რეგისტრაციის, გლუკოზის კონტროლის, გართულებების პრევენციისა და კმაყოფილების მაჩვენებლები), უზრუნველყოს შედეგების რეგულარული გამოქვეყნება და გამჭვირვალობა, ჯანდაცვის პერსონალს ჩაუტაროს ტრენინგები და

[767] სხვადასხვა შეხამებისა და სიმძიმის სიმპტომთა ჯგუფი, რომელიც აღმოცენდება იმ ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების შეწყვეტის ან შემცირებისას, რომელსაც, ჩვეულებრივ, მოიხმარდნენ დიდი ხნის განმავლობაში და/ან დიდი დოზებით. სინდრომს შესაძლებელია თან სდევდეს ფიზიოლოგიური დარღვევები. იხ. ბმული <https://bit.ly/3aGshWM> [ბოლოს ნანახია: 27.01.2025].

[768] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 1 მარტის წერილი MIA 1 24 00639688.

გაზარდოს პაციენტთა ჩართულობა ინფორმირებულობის კამპანიების საშუალებით;

- მკურნალობასა და მედიკამენტებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ონკოლოგიური პაციენტების ყოვლისმომცველი მხარდაჭერა (გვერდითი ეფექტების მკურნალობისა და ფსიქოლოგიური დახმარების ჩათვლით), ასევე, გაზარდოს მკურნალობის ინოვაციური მეთოდების დაფინასება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალისთვის დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად ერთიანი სახელმძღვანელოს დამტკიცება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მკაფიოდ გაიწერება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სამედიცინო დაწესებულებაში; აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო პერსონალის გადამზადება.

18. შრომის უფლება

2024 წელს, შრომის უფლების დაცვაზე განსაკუთებით ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა საქართველოს პარლამენტის მიერ ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში 2024 წლის 13 დეკემბერს შეტანილმა ცვლილებებმა, რომლებიც ასევე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულ პირებზეც. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ეს ცვლილებები არ შეესაბამება ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებს და, გარდა ამისა, არც ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებს პასუხობს.[769] აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო პროცესი დაჩქარებული წესით, დაინტერესებული საზოგადოების და შესაბამისი დარგის სპეციალისტების ჩართულობის გარეშე წარიმართა.

წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატში შრომითი უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმეები ძირითადად ეხებოდა შრომითი ურთიერთობის დაუსაბუთებელი შეწყვეტის, დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის და შრომით კანონმდებლობასთან შეუსაბამო ხელშეკრულების დადების ფაქტებს, მათ შორის, აპარატი ასევე განიხილავდა განაცხადებს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული დისკრიმინაციის დადგენის შესახებ. დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნებად განმცხადებლები ძირითადად ასახელებდნენ განსხვავებული მოსაზრებების გამოხატვას და პროფკავშირულ საქმიანობას.[770] სახალხო დამცველმა, საქმეთა განხილვის შედეგად, უფლებაში ჩარევა 30 შემთხვევაში დაადგინა.

ქვეყანაში შრომის ღირსეული ანაზღაურების უფლების სათანადოდ უზრუნველსაყოფად ამ დრომდე არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები. ასევე, მოქმედი შრომის კანონმდებლობით კერძო დამსაქმებელს დღემდე არ აქვს მშობლისთვის ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლისთვის შვებულების ანაზღაურების ვალდებულება.[771] გასული წლების მსგავსად გამოწვევად რჩება შშმ პირთა შრომის უფლების რეალიზება, მათი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და ღია შრომის ბაზარზე დასაქმება.[772]

18.1 ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებები

2024 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა კანონპროექტი ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების შესახებ[773], რომლის შედეგადაც:

---

[769] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება < https://shorturl.at/rsCbS > [11.03.2025].

[770] 2024 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ."

[771] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 6 მაისის №1698 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ < https://shorturl.at/rvTW1 > [11.03.2025].

[772] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ,,შშმ შრომისა და დასაქმების უფლება" < https://ombudsman.ge/res/docs/2022091620441847336.pdf > [11.03.2025] . ასევე, 2024 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ."

[773] ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" 2024 წლის 13 დეკემბრის კანონი, 165-Iმს-XIმპ.

- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, რომლებიც ამ ცვლილებებამდე პროფესიული საჯარო მოხელეები იყვნენ, როგორც ფუნქციურად, ისე სტატუსით და ამ პოზიციებს კანონმდებლობით[774] განსაზღვრული კონკურსის წარმატებით გავლის შედეგად უვადოდ იკავებდნენ, დღეს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად მიიჩნევიან,[775] რომლებიც მითითებულ პოზიციებზე, როგორც წესი, კონკურსის გარეშე მიიღებიან დაწესებულების ხელმძღვანელის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ,,საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შესული ცვლილებები ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და არც,,საჯარო სამსახურის შესახებ კანონის" მიზნებს პასუხობს.[776] საყურადღებოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე ნამსჯელი აქვს საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების ფუნქციებთან დაკავშირებით და მათ პროფესიული ბუნებით იდენტიფიცირებად თანამდებობად განიხილავს, რომელზეც პირები მხოლოდ პროფესიულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეირჩევიან და მათი არჩევისას უფლებამოსილი ორგანო არ ხელმძღვანელობს კონკრეტული პირის შერჩევის პოლიტიკური მიზანშეწონილობით. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში მერიის/გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული მსგავსი/იდენტური შინაარსის ჩანაწერი[777] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტთან (2018 წლის 23 მარტამდე მოქმედი რედაქცია) შეუსაბამოდ მიიჩნია და განმარტა, რომ სადავო ნორმა ხელყოფდა გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში საქმიანობის განხორციელების კონსტიტუციურ უფლებას (თანამდებობრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების და თანამდებობიდან უსაფუძვლოდ გათავისუფლების დაცვის დადგენილ გარანტიებს).[778] საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 2024 წლის 13 დეკემბრიდან მოქმედი რედაქცია მნიშვნელოვნად აუარესებს საჯარო მოსამსახურეების სოციალურ გარანტიებს. გარდა ამისა, დაწესებულების ძირითადი ფუნქციების შესრულების მიუხედავად, მათი შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ხელმძღვანელის შეხედულებაზე, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლა საფუძვლად ედება ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტას. ამასთანავე, ხელშეკრულების ვადა ვერ იქნება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადისა და ამ

[774] ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილება.
[775] ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 3, ქვპ. ,,ზ", მუხლი 78, ქვპ. ,,ე".
[776] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება < https://shorturl.at/DYzeM > [11.03.2025].
[777] ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" (2015 წლის 6 თებერვალს მოქმედი რედაქცია).
[778] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/5/626 გადაწყვეტილება, II-50, 53, II-17.

ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ამ დაწესებულების ხელმძღვანელის თანამდებობაზე განწესებული პირის უფლებამოსილების დაწყებამდე პერიოდის ჯამზე მეტი.[779] გარდა ამისა, შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, და ამ დროს, დასაქმებულ პირს მხოლოდ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს 1 ან 2 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.[780]

- ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია რეორგანიზაციის შედეგად უკანონოდ გათავისუფლებულ პირს, მანამდე მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, სამსახურში აღდგენის საშუალებას არ უტოვებს და სანაცვლოდ არასაკმარის და სხვა საფუძვლით საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელეებისგან მნიშვნელოვნად ნაკლებ კომპენსაციას სთავაზობს.[781]

,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის ეს ჩანაწერი დამსაქმებელს ერთგვარ ბერკეტს უქმნის მისთვის არასასურველი საჯარო მოსამსახურეებისა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებული პირების სამსახურიდან რეორგანიზაციით გასათავისუფლებლად. აღსანიშნავია, რომ ეს ნორმა, გარდა იმისა, რომ არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, ასევე შეუსაბამოა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 158-ე კონვენციის მე-10 მუხლით აღიარებულ უფლებასთან - უკანონოდ გათავისუფლებული პირი უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის მიღების უფლებით. ILO-ს ექპერტთა კომიტეტის განმარტებების მიხედვით, უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებების რესტიტუციის მიზნით საუკეთესო გამოსავალი სამსახურში აღდგენაა და აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა განიხილებოდეს ადეკვატური და სამართლიანი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა.[782] რეორგანიზაციის საფუძვლით უკანონოდ გათავისუფლებული პროფესიული საჯარო მოხელის და საჯარო სამსახურის იურიდიულ პირში დასაქმებული პირის უფლებრივი რესტიტუციის სამართლებრივი გარანტიები უფრო სუსტია, ვიდრე ამას მსგავს შემთხვევებში საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსი ითვალისწინებს. კერძოდ, რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლებული პირი, სასამართლოში მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, ვერ აღდგება მანამდე დაკავებულ თანამდებობაზე და მიეცემა მხოლოდ განაცდური თანამდებობრივი სარგო და კომპენსაცია 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ამ საფუძვლით გათავისუფლებული პირები არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სხვა საფუძვლებით გათავისუფლებულ პირებთან შედარებით, სადაც კანონი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღდგენას, ხოლო აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში კომპენსაციის სახით 6 თვის

[779] ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 81, პუნ. 2.
[780] ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 82, პუნ. 2.
[781] ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ, 118, პუნ. 3 და პუნ. 6.
[782] იხ. General Survey, "Protection against Unjustified Dismissal", ILO, 1995, 218-232, <https://webapps.ilo.org/public/libdoc/ilo/P/09661/09661(1995-82-4B).pdf> [11.03.2025].

თანამდებობრივი სარგოს და პროფესიული მოხელისთვის გათვალისწინებულ საკლასო დანამატის გაცემას ითვალისწინებს.

18.2.საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ საჩივრების განხილვის შედეგად გამოვლენილი შრომის უფლების დარღვევის ფაქტები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელს პირველად იმსჯელა სსდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედ კერძო საწარმოში დასაქმებული მსჯავრდებულების შრომითი უფლებების დაცვის მდგომარეობაზე,[783] გამოავლინა მსჯავრდებულის შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტი და დამსაქმებელს შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა.[784] საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დახურული ტიპის დაწესებულებებში, ბრალდებულების/მსჯავრდებულების დასაქმების პროცედურის სპეციფიკის და სამუშაოს შეზღუდული არჩევანის გათვალისწინებით, შესაბამისი საზედამხედველო მექანიზმების არარსებობის პირობებში, განსაკუთრებით მაღალია მათი შრომის უფლებების დარღვევის რისკი. საანგარიშო პერიოდში პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე მოქმედ კერძო საწარმოებში დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შრომითი უფლებების დასაცავად, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის მინისტრს წარუდგინა წინადადება, შეიმუშაონ სათანადო მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ საწარმოებში დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შრომითი უფლებების ეფექტიან დაცვას, რათა დასაქმებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის შრომის უფლების დარღვევის ფაქტის გამოვლენა დამოკიდებული არ იყოს მხოლოდ დასაქმებული პირის საჩივარზე.[785]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საჩივრებიდან ასევე იკვეთება სპეციალური პენიტენციური სამსახურის ტერიტორიაზე სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო დროის აღრიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები. მსჯავრდებულის საჩივრის[786] განხილვის შედეგად, გაირკვა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული პირების სამუშაო დრო კანონმდებლობის შესაბამისად არ აღირიცხებოდა.[787] ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სხვა დასაქმებულებისგან განსხვავებით, ბრალდებულები/მსჯავრდებულები არასამუშაო დროსაც დამსაქმებლის მუდმივი ზედამხედველობის/კონტროლის ქვეშ იმყოფებიან და მიეკუთვნებიან მოწყვლად ჯგუფს. სამუშაო დროის სათანადოდ აღრიცხვა კი უზრუნველყოფს სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული

[783] „სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2023, გვ. 242-244.
[784] საქართველოს სახალხო დამცველის 09.09.2024 წ. №2024/4355 რეკომენდაცია. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/20241128122201945O1.pdf >[11.03.2025].
[785] საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება №2024/7698 26.12.2024 წ. ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/20250219145445162 89.pdf> [11.03.2025].
[786] №5518/2024 საჩივარი.
[787] აღნიშნულ პრობლემაზე საუბარია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2016 წლის ანგარიშშიც, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/20190405132144585 61.pdf> გვ. 116-118 [11.03.2025].

ბრალდებულების/მსჯავრდებულების შრომითი უფლებების დაცვას. ყველა პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების სამუშაო დროის კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს იუსტიციის მინისტრს შესაბამისი წინადადებით მიმართა.[788]

2023 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოავლინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ კულტურის და სპორტის დაწესებულებებში დასაქმებული პედაგოგების/მწვრთნელების შრომითი უფლების დარღვევის ფაქტები, დაკავშირებული დასაქმებულებთან კანონშეუსაბამოდ ხელშეკრულების 1 წელზე ნაკლები ვადით გაფორმებასა და საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული სოციალური გარანტიების შეზღუდვასთან. ამ საკითხთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით 59 ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და 4 თვითმმართველი ქალაქის მერიის პრაქტიკა შეისწავლა და გაირკვა, რომ 13 მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნებულ ზოგიერთ კულტურის და სპორტის დაწესებულებაში ბოლო 10 წლის განმავლობაში პედაგოგები/მწვრთნელები ვერ სარგებლობდნენ ანაზღაურებადი შვებულებით, ვინაიდან მათთან შრომითი ხელშეკრულება ყოველწლიურად 10 თვის ვადით იდებოდა. დაწესებულებათა უმრავლესობაში, ერთსა და იმავე პედაგოგებთან/მწვრთნელებთან ყოველწლიურად ხელახლა ფორმდებოდა შრომითი ხელშეკრულებები (საუბარია ერთ წელზე ნაკლები ვადით გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებზე). გამოვლენილი დარღვევის აღმოსაფხვრელად და დასაქმებული პედაგოგების/მწვრთნელების შრომითი უფლებების აღსადგენად, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შესაბამის საჯარო დაწესებულებებს - შრომითი ხელშეკრულებები შესაბამისობაში მოეყვანათ საქართველოს ორგანულ კანონთან - „საქართველოს შრომის კოდექსთან".[789] მისასალმებელია, რომ ყველა ადრესატმა დაწესებულებამ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია.

2024 წლის დასაწყისში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ერთ-ერთი საჩივრის შესწავლისას, საჯარო სკოლის დირექტორების შესარჩევი კონკურსის მარეგულირებელ წესთან დაკავშირებული მმართველობის ხარვეზიანი პრაქტიკა გამოავლინა.[790] კერძოდ, საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველი კანდიდატის სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის მიზნით, მინისტრის გადაწყვეტილებით შექმნილ კომისიასთან/კომისიებთან გასაუბრებისას, კონკურსანტების შეფასების ქულების დაწერის პროცესში

[788] საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება №2024/7767 28.12.2024 წ. ხელმისაწვდომია <https://www.ombudsman.ge/res/docs/2025021914544841830.pdf> [11.03.2025].

[789] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია №2024/4096 27.08.2024 წ.

[790] საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დადგენის თაობაზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 თებერვლის №36/ნ ბრძანება.

უგულებელყოფილი იყო მინიჭებული ქულის დასაბუთების ვალდებულება. კომისიის წინაშე კანდიდატთა გასაუბრების ოქმი არ შეიცავდა ინფორმაციას კანდიდატისთვის დასმული კითხვების, გაცემული პასუხებისა და ამ პასუხებიდან გამომდინარე მინიჭებული ქულების დასაბუთების შესახებ. ამგვარი გარემოება კანდიდატებისთვის ბუნდოვანს ხდის მათ მიმართ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და გამჭვირვალობის საკითხს, იწვევს ადმინისტრაციული ორგანოსადმი უნდობლობას და აზიანებს სრულ პროცესს. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს წინადადებით მიმართა - კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების უზრუნველსაყოფად შეემუშავებინათ გასაუბრებისას საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველი კანდიდატებისთვის კონკრეტული ქულების მინიჭების კრიტერიუმები და ინდიკატორები. აგრეთვე, უზრუნველყოთ აღნიშნული კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის კანდიდატებისთვის ხელმისაწვდომობა.[791] აღსანიშნავია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გაიზიარა საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება.[792]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა განცხადებების/საჩივრების განხილვის შედეგად, ასევე გამოავლინა აფხაზეთის ა/რ-ს განათლებისა და კულტურის სამინისტროს, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სს ,,საქართველოს რკინიგზის", შპს ,,ილი ჯგუფის" და ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების მხრიდან დასაქმებულთა (მათ შორის დასაქმებული მსჯავრდებულის) შრომითი უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის ფაქტები, და განმცხადებელთა კონსტიტუციური უფლებების აღდგენის მიზნით, ადრესატ უწყებებს შესაბამისი რეკომენდაციებით მიმართა.[793] სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები არ გაუზიარებიათ.

რეკომენდაციები:

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს:

- სსდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიებზე როგორც სამეურნეო სამუშაოებზე, ისე იმავე ტერიტორიებზე კერძო საწარმოებში დასაქმებულ პირთა შრომითი უფლებების დაცვის შემოწმების მიზნით, ყოველწლიურად ჩატარდეს გეგმიური ინსპექტირება.

[791] საქართველოს სახალხო დამცველის წინადადება №04-3/2696 18.03.2024 წ.
[792] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 03.04.2024 წ. NMES 9 24 0000390051 წერილი.
[793] საქართველოს სახალხო დამცველის 24.01.2024 წ. N04-5/966, 21.08.2024 წ. N2024/3953, 20.12.2024წ. N2024/7462, 21.08.2024 წ. N2024/3954 09.09.2024 წ. N2024/4355 და 05.07.2024 წ. N2024/2544 რეკომენდაციები.

19. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

სოციალური უზრუნველყოფის უფლება უმნიშვნელოვანესია თითოეული ადამიანის ღირსების დაცვისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული უფლებებით სრულად სარგებლობის შესაძლებლობის უფლება ერთმევათ.[794]

სოციალური უზრუნველყოფის უფლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიღარიბის შემცირებასა და შემსუბუქებაში, და ხელს უწყობს სოციალური გარიყულობის თავიდან არიდებას.[795] „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის“ მე-9 მუხლი ადგენს, რომ „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყველას უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალური დაზღვევის ჩათვლით“.[796] სოციალური უზრუნველყოფის უფლება პაქტით გათვალისწინებული არაერთი უფლების წინაპირობაა. თუმცა, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, უფლების სრულფასოვნად რეალიზებისთვის აუცილებელია სხვადასხვა ზომის მიღება, მათ შორისაა სახელმწიფოს ვალდებულება, მიიღოს ზომები სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ საბრძოლველად და უზრუნველყოს დამხმარე სოციალური სერვისები.[797]

საქართველოში სოციალური დაცვის ძირითადი ინსტრუმენტია სოციალური დახმარების სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფას.[798] ამ მიზნის მისაღწევად, ქვეყანაში არსებობს „მიზნობრივი სოციალური დახმარების“ - საარსებო შემწეობის პროგრამა.

ქვეყანაში არსებული სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობას და „მიზნობრივი სოციალური დახმარების“ გამოწვევებს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი წლების განმავლობაში უფლებების პერსპექტივიდან აფასებს და განიხილავს პროგრამის მნიშვნელოვან გამოწვევებს. მათ შორის, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველსაყოფად, შინამეურნეობების კვლევაზე დაყრდნობით, აუცილებელია „მიზნობრივი სოციალური პროგრამის“ ეფექტიანობის პერიოდული შეფასება და შედეგების მიხედვით შესაბამისი ზომების მიღება.[799] გამოწვევად რჩება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

---

[794] გაეროს ზოგადი კომენტარი სოციალური უზრუნველყოფის უფლების მუხლის თაობაზე, პარა. 1, ხელმისაწვდომია: <https://digitallibrary.un.o rg/record/618890?ln=en&v=pdf> [26.01.2025წ.].

[795] იქვე, პარა. 3.

[796] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 16/12/1966.

[797] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-11 მუხლი.

[798] საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, 29/12/2006, მუხლი 1.

[799] სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი“, გვ. 245; სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი“, გვ. 300; სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი“, გვ. 288.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი, ბოლო წლებია, სოციალური უზრუნველყოფის უფლების ჭრილში მიმოიხილავს საქართველოს რეგიონებსა და დედაქალაქში შეჭირვებული მოსახლეობისათვის სათანადო კვების უფლებაზე ხელმისაწვდომობის გამოწვევებს.

19.1.მიზნობრივი სოციალური დახმარება

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა არის მასშტაბური ღონისძიება, რომელიც ემსახურება სიღარიბისა და უთანასწორობის აღმოფხვრას ქვეყანაში. სახალხო დამცველის აპარატი, შესწავლილი განცხადებების შედეგებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად აანალიზებს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში პრაქტიკაში გამოვლენილ ხარვეზებს. მიმდინარე წელს შესწავლილი განცხადებების მიხედვით, ახალი სისტემური პრობლემა აპარატს არ გამოუვლენია. თუმცა, სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ისეთ ხარვეზებზე[800], როგორიცაა ადმინისტრირების ეფექტიანი პროცედურები. კერძოდ, საუბარია საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცესის დროში გაჭიანურებაზე. ოჯახის სისტემაში მოხვედრას და შემწეობის თანხის ჩარიცხვას 3 თვემდე სჭირდება.[801] ეს საკითხი კიდევ უფრო ამძიმებს ბენეფიციართა მდგომარეობას, რადგან გარდა უშუალოდ შემწეობისა, მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციარებისათვის გათვალისწინებულია დამატებითი შეღავათები (მაგალითად, უფასო სასადილოებით სარგებლობა, მედიკამენტები, სტუდენტური გრანტები, შეშა, კომუნალური გადასახადების სუბსიდირება) და სერვისები (მაგალითად, სუბსიდიები ტრანსპორტით გადაადგილებისთვის), რომლებიც ებმის საარსებო შემწეობის მიღებას.

2022 წელს დამტკიცდა შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი სატესტო მეთოდოლოგია. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარეობს ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის პროექტზე მუშაობა. 2023 წელს კი, მუშაობდნენ არსებული ფორმულის კრიტერიუმების გადახედვასა და მოდელირებაზე სხვადასხვა პარამეტრით, რათა სისტემას უკეთ დაენახა საჭიროებები და თავიდან აერიდებინა არასაჭირო შემთხვევების ჩართვა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით[802] დგინდება, რომ განახლდა ცვლადების მეთოდოლოგია, რაც გულისხმობს მეთოდოლოგიის მეტ შესატყვისობას თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთან. ამასთანავე, უწყების განმარტებით, განახლებული მეთოდოლოგია, მეტად უზრუნველყოფს მოწყვლადი ოჯახების გამოვლენას და ჩართვას პროგრამაში. თუმცა, ამ ეტაპზე, ახალი მეთოდოლოგიით ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას კვლავ

[800] სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი“, გვ. 301.

[801] „ღატაკ ოჯახს საარსებო შემწეობის მიღების უფლება ეძლევა სარეიტინგო ქულის მინიჭების თვიდან მეორე თვეს (თვეთა ათვლისას სარეიტინგო ქულის მინიჭების მომდევნო თვე ითვლება პირველ თვედ)“. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №145 დადგენილების მე-5 მუხლი, 28/07/2006 წ.

[802] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წერილი №SSA 3 25 00128831 25.02.2025 წ.

სატესტო სახე აქვს. აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველი კვლავ მოუწოდებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, დროულად განაახლოს მოქმედი მეთოდოლოგიის დოკუმენტი იმგვარად, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს შეცდომები და შესაძლებელი გახდეს საჭიროების მქონე, მოწყვლადი ოჯახების გამოვლენა.

19.2.სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოების პროგრამაზე ხელმისაწვდომობა

„2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე" საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა „შეიმუშაოს რეკომენდაციები უფასო სასადილოებით მომსახურების მინიმალური სტანდარტის დასადგენად, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ამ მომსახურების მართვასთან, მენიუს კალორაჟთან, კვების ხარისხთან, უსაფრთხოებასთან, სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან, კვების ბლოკების კეთილმოწყობა-აღჭურვასა და ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები".[803] სამინისტროს განმარტებით[804], უფასო სასადილოების მინიმალურ სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან დაკავშირებით, იძიებს მუნიციპალიტეტებში არსებულ მარეგულირებელ აქტებს. ამ პროცესის დასრულების შემდეგ, დაიწყება მინიმალურ ჰიგიენურ ნორმებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების ჩართულობით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია ითვალისწინებდა უფასო სასადილოთი მომსახურების ერთიანი მინიმალური სტანდარტების დოკუმენტის შემუშავებას, სადაც სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა ერთ-ერთი კომპონენტია. შესაბამისად, სახალხო დამცველის ეს რეკომენდაცია, უცვლელია ამ საპარლამენტო ანგარიშშიც.

2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საქართველოს პარლამენტმა სათანადო კვების უფლებასთან დაკავშირებით გაიზიარა მუნიციპალიტეტების მიმართ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, „შეისწავლონ შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა საჭიროებები, შეაგროვონ სათანადო სტატისტიკური მონაცემები და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით, საჭიროების შესაბამისად, საკვების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად იზრუნონ მუნიციპალიტეტში სახსრების მობილიზებისთვის". სახალხო დამცველმა შეაფასა, თუ რამდენად შესრულდა ეს რეკომენდაცია თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, თელავის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში. სამწუხაროდ, აპარატს სრულყოფილად არ მიეწოდა ინფორმაცია. თუმცა, მიღებული დოკუმენტაციების მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის, ბათუმის და თელავის მუნიციპალიტეტებში 2024 და 2025 წლების მენიუები

[803] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „2022 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", 01/11/2023 წ.

[804] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CAHOJP> [11.02.2025] ჰ[4] რეკომენდაცია.

ერთი და იგივეა, შესაბამისად, არ ანახლებენ უფასო სასადილოების მენიუებს.. სახალხო დამცველის აპარატის მიერ 60-მდე უფასო სასადილოში 2022 წელს ჩატარებული მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ასევე შეეხებოდა მენიუებს, კერძოდ, სერვისის მიწოდებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ბენეფიციართა კვებითი საჭიროებები. რაციონი, ძირითადად, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობაზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად, მენიუში გათვალისწინებული არ ყოფილა სადილის ენერგეტიკული ღირებულება, ბენეფიციართა ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და რელიგიური მრწამსი.[805]

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- 2025 წლის ბოლომდე, შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, უზრუნველყოს შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის დამტკიცება და ამოქმედება;
- უფასო სასადილოებით მომსახურების მინიმალური სტანდარტის დასადგენად შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ამ მომსახურების მართვასთან, მენიუს კალორაჟთან, კვების ხარისხთან, უსაფრთხოებასთან, სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან, კვების ბლოკების კეთილმოწყობა-აღჭურვასა და ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- კალორიების აუცილებელი დღიური ოდენობის და სადილის ენერგეტიკული ღირებულების გათვალისწინებით, უზრუნველყოს მენიუს შედგენა და სეზონის მიხედვით შეცვლა;
- შემუშავდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უფასო სასადილოების მონიტორინგის დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისას საკვების ხარისხის და კალორაჟის კონტროლი.

[805] უფასო სასადილოების პროგრამის განხორციელება საქართველოში, 2022 წ. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/4hXt72C> [28.02.2025].

20. სათანადო საცხოვრებლის უფლება

20.1.შესავალი

საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოწვევად რჩება სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული სისტემური ხასიათის პრობლემები.[806] გარკვეული მიმართულებით მცირედი გაუმჯობესების მიუხედავად, ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი ხედვა უსახლკარობის თავიდან ასაცილებელ ნაბიჯებთან დაკავშირებით, შეუსწავლელია უსახლკარობის გამომწვევი მიზეზები და მისი მასშტაბები, არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზა. წლების განმავლობაში გაცემული წინადადებებისა და რეკომენდაციების მიუხედავად, ჯერაც არ არის შემუშავებული სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის ხელშემწყობი ჩარჩო კანონმდებლობა და უსახლკარო პირის საკანონმდებლო განმარტება. მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ აქვს დამტკიცებული უსახლკარო პირად/ოჯახად რეგისტრაციის წესი,[807] ხოლო, სადაც აქვთ, უსახლკარო პირის ცნება არაერთგვაროვანია. საკითხთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად მისაღებობაზე კი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ისევ არ მიუღია.[808] ზოგიერთ მუნიციპალიტეტში უსახლკაროდ რეგისტრაცია დიდ დროს საჭიროებს, ხოლო დაკმაყოფილების მაჩვენებელი მკვეთრად დაბალია. აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი არ ითვალისწინებს სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ვითარება კრიტიკული რჩება სოციალურ საცხოვრისებში, სადაც მკვეთრად არასათანადო გარემოა და მათ ნაწილში ცხოვრება სიცოცხლისთვის ან/და ჯანმრთელებისთვის საფრთხის შემცველია. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ისიც, რომ კანონმდებლობა უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილი სოციალური საცხოვრებლის მოწყობის მინიმალურ სტანდარტებს კვლავ არ ითვალისწინებს. მუნიციპალიტეტთა ბიუჯეტის ნაწილში გათვალისწინებულია სათანადო საცხოვრებლის საჭიროების მქონე პირთათვის პროგრამები, რომლებიც ძირითადად ქირით უზრუნველყოფაში, დაზიანებული სახლების რეაბილიტაციაში, ერთჯერად დახმარებაში ან ზოგიერთ შემთხვევაში, სახლის შეძენა/აშენებაში გამოიხატება. აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამებში მონაწილეობის კრიტერიუმები არ არის ერთიანი და მუნიციპალიტეტების მიხედვით, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

---

[806] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2019, 2020, 2021, 2022 და 2023 წლის ანგარიშები, თავი: სათანადო საცხოვრებლის უფლება. ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/YmU5p > [12.03.2025].

[807] არსებული მონაცემებით, ამგვარი წესი 27 მუნიციპალიტეტს აქვს დამტკიცებული.

[808] იხ. სახალხო დამცველის 2021 წლის 29 ივლისის კონსტიტუციური სარჩელი, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სხვათა წინააღმდეგ“. ხელმისაწვდომია: <https://shorturl.at/cb5mq> [12.03.2025], სარჩელზე გამწესრიგებელი სხდომა 2023 წლის 29 მაისს გაიმართა.

ამ გამოწვევების ფონზე დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის ინიციატივა უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახ(ებ)ის განსახლების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა მხოლოდ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს ეხება და ამ თვალსაზრისით, ფრაგმენტულია, მსგავსი ინიციატივები სათანადო საცხოვრებლის საჭიროებების მქონე პირთა დაკმაყოფილების რთულ გზაზე მეტად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატი ჩართული იყო უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახ(ებ)ის განსახლების საკითხების შემსწავლელი კომისიის საქმიანობაშიც.[809] სახალხო დამცველის აპარატი კვლავაც მიადევნებს თვალს ამ პროცესს და 2025 წელსაც გამოთქვამს მზაობას ჩაერთოს კომისიის საქმიანობაში.

სათანადო საცხოვრებლის უფლების საერთაშორისო მექანიზმებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ევროპის სოციალური ქარტიის 31-ე მუხლი („უფლება საცხოვრებელ ადგილზე"), რომლის დაცვისა და შესრულების ვალდებულების აღება საქართველოს მხრიდან კრიტიკულად მნიშვნელოვანია. აგრეთვე, მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ 2008 წლის ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება, რათა გაეროს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტში გაჩნდეს საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა.[810]

20.2.საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამები და სოციალურ საცხოვრისებში არსებული მდგომარეობა

20.2.1.მუნიციპალურ დონეზე არსებული პროგრამები

სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტებში არსებული სურათი წინასაანგარიშო წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ძირითად შემთხვევაში, სათანადო საცხოვრებლის საჭიროების დაკმაყოფილების ოპტიმალურ გზად კვლავ ქირის პროგრამით უზრუნველყოფა განიხილება. პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმები უკავშირდება საცხოვრებელი სახლის დაზიანებას (სტიქიის ან უბედური შემთხვევის შედეგად), ავარიულობას, სოციალური შემწეობის მიღების ან საკუთრების დაკარგვის ფაქტს, კრიტერიუმები ზოგჯერ პირდაპირ არ არის გაწერილი, ღიაა და

[809] მოწოდებული ინფორმაციით, 2025 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით, „უსახლკარო/მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახ(ებ)ის განსახლების საკითხების შემსწავლელმა კომისიამ" განიხილა 824 ოჯახის განსახლების საკითხი, საიდანაც დადებითი გადაწყვეტილება გამოიტანა 570, ხოლო უარყოფითი - 254 ოჯახის მიმართ. ამასთანავე, საცხოვრებელი სახლი წარმოდგენილი აქვს 205 ოჯახს, საიდანაც უკვე შესყიდულია 106 სახლი. დანარჩენი ოჯახების მიერ წარმოდგენილ სახლებთან დაკავშირებით, მიმდინარეობს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები (სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 21 თებერვლის IDP 3 25 00200362 წერილი).

[810] სათანადო საცხოვრებლის საერთაშორისო მექანიზმებზე დეტალურად მითითებულია „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშში, გვ. 242, ხელმისაწვდომია < https://shorturl.at/FF7Q6 > [12.03.2025].

უსახლკარო პირების ზოგად საჭიროებებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში არსებული კრიტერიუმები არაერთგვაროვანია და სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განსხვავებულია.[811] არის მუნიციპალიტეტები, რომლებშიც ამგვარი პროგრამა ბიუჯეტით საერთოდ არ არის გათვალისწინებული.[812] სახალხო დამცველის შეფასებით, სათანადო საცხოვრებლით დაკმაყოფილების აუცილებლობა მხოლოდ სტიქიის ან/და უბედური შემთხვევის შედეგად არ შეიძლება დადგეს. ამასთან ერთად, ამგვარი პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს საცხოვრებლის საჭიროების მქონე პირთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასაც. რაც შეეხება ქირის თანხის ოდენობას, იგი, მუნიციპალიტეტების მიხედვით, 150 დან 500 ლარამდე მერყეობს. მაგალითად, თბილისის მუნიციპალიტეტში 500 ლარი არ არის საკმარისი, რაც კიდევ უფრო ართულებს საცხოვრებლით ბენეფიციართა დაკმაყოფილების შესაძლებლობას.[813] აღსანიშნავია, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის (ძირითადად, სახურავის რეაბილიტაცია), ან ახალი სახლების მშენებლობის პროგრამებიც.[814] როგორც წესი, მუნიციპალიტეტებში ყოველწლიურად იზრდება იმ პირთა/ოჯახთა რაოდენობა, რომლებმაც მერიას უსახლკაროდ რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართეს.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ისიც, რომ მუნიციპალიტეტთა უმრავლესობას კვლავ არ აქვს დამტკიცებული უსახლკაროდ რეგისტრაციის წესი,[815] ხოლო, მუნიციპალიტეტთა ნაწილში, სადაც ამგვარი წესი შემუშავებულია, უსახლკაროდ რეგისტრაცია/საცხოვრისით დაკმაყოფილება დიდ დროს საჭიროებს და არსებობს ე. წ. მომლოდინეთა სიები.[816]

---

[811] მაგ., ლენტეხისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში ქირის პროგრამაში ჩართვა სტიქიით დაზარალების ფაქტს უკავშირდება, სიღნაღში უსახლკარობასა და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას თან უნდა ახლდეს ძალადობის მსხვერპლის, შშმ პირის, ან/და მარჩენალდაკარგულობის სტატუსი, ან არასრულწლოვანთან ერთად ცხოვრება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ქირის პროგრამაში ჩართვა დაკავშირებულია ამორტიზებული ფართის ფლობასთან/საკუთრებაში ქონასთან.

[812] მაგ., ქირის პროგრამა არ არის გათვალისწინებული ქ. ბათუმის, ქ. რუსთავის , ქ. ქუთაისისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

[813] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის თანახმად, გამგეობის მიერ გაცემული კომპენსაციის ოდენობა 500 (ხუთასი) ლარია.

[814] დაზიანებული სახლების რეაბილიტაციის ან ახალი სახლების მშენებლობის/შეძენის პროგრამას ითვალისწინებს სამტრედიის, წყალტუბოს, ზუგდიდისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტები, ბორჯომის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ეს ღონისძიებები ხორციელდება სარეზერვო ფონდიდან, მესტიისა და გორის მუნიციპალიტეტები უსახლკაროდ რეგისტრირებულ ოჯახებს/სოციალურად დაუცველ უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს კოტეჯის ტიპის საცხოვრებლით უზრუნველყოფენ.

[815] 2025 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით, უსახლკაროდ რეგისტრაციის წესი შემუშავებული აქვს 27 მუნიციპალიტეტს. ესენია: ბათუმის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ქუთაისის, ბაღდათის, სამტრედიის, ხარაგაულის, ვანის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, მესტიის, ამბროლაურის, გორის, ბოლნისის, დმანისის, რუსთავის, თეთრიწყაროს, დუშეთის, ყაზბეგის, ადიგენის, ბორჯომის, გურჯაანის, სიღნაღის, საგარეჯოს და თბილისის მუნიციპალიტეტები.

[816] ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, სადაც მომლოდინეთა სიაში არიან 2023 წელს რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახები. ქუთაისში დროებითი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას ელოდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 132 ოჯახი, რუსთავში რეგისტრირებული 375 ოჯახიდან მუნიციპალური სერვისით სარგებლობს 64 ოჯახი, ხოლო, ახალი ოჯახების დაკმაყოფილება დამოკიდებულია სოციალურ საცხოვრისებში არსებული ფართების

თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ მერიის გადაწყვეტილებით, უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახების საცხოვრისით უზრუნველყოფის საკითხის სწრაფად და ეფექტიანად მოსაგვარებლად, დამატებით გამოიყოფა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართებიც, რომლებიც მერიას სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დეველოპერული კომპანიებისგან გადმოეცა. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, აპარატმა გამოითხოვა დეტალური ინფორმაცია,[817] საიდანაც ვიგებთ, რომ 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 125 უსახლკარო ოჯახს უკვე გადაეცა საცხოვრებელი ბინა სარგებლობის უფლებით.[818]

20.2.2. ქვეყანაში არსებული სოციალური საცხოვრისები და მსგავსი დაწესებულებები

კვლავ რთულია ვითარება ქვეყანაში არსებულ სოციალურ საცხოვრისებში. გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, გორის, ქუთაისისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების სოციალურ საცხოვრისებში მყოფი პირების ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად კვლავ არ გადადგმულა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და ამ მიმართულებით, არსებითი პროგრესი კვლავ არ შეინიშნება. სახალხო დამცველი რამდენიმე წელია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამ საცხოვრისებში არსებული გარემო მკვეთრად არადამაკმაყოფილებელია, იქ ცხოვრება კი სიცოცხლის/ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია.[819] დამატებით, აღსანიშნავია, რომ თბილისის, გორის, ოზურგეთისა და ქუთაისში არსებული სოციალური საცხოვრისების გარდა, სოციალური საცხოვრისები ფუნქციონირებს მარტვილის (1 სოციალური საცხოვრისი),ზუგდიდის (1 სოციალური საცხოვრისი), ტყიბულის (1 სოციალური საცხოვრისი) ბოლნისის (3 სოციალური საცხოვრისი), რუსთავის (2 სოციალური საცხოვრისი), ადიგენის (1 სოციალური საცხოვრისი), საგარეჯოს (1 სოციალური საცხოვრისი) მუნიციპალიტეტებში. ამასთანავე, მუნიციპალიტეტთა ნაწილში (მაგალითად, თბილისის, ბათუმის, ახალციხის მუნიციპალიტეტები) ფუნქციონირებს ღამის თავშესაფრები. გარდა ამისა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში[820], არსებობს შენობა-ნაგებობები, რომლებიც სოციალურად მოწყვლად პირებს უკანონოდ აქვთ დაკავებული, გამოიყენება საცხოვრებლად და ფაქტობრივად სოციალური საცხოვრისის დატვირთვა აქვთ.

ასევე, საფრთხის შემცველია თბილისში, ორხევში, მუხაძის ქ. №12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისის მდგომარეობა. როგორც 2023 წლის ანგარიშში აღინიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საცხოვრისში მცხოვრები ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფის, და შემდგომში, ბენეფიციარებისთვის

გამოთავისუფლებაზე. რაც შეეხება თბილისის მუნიციპალიტეტს, 2023 წელს მერიას უსახლკაროდ რეგისტრაციისთვის 2341 ოჯახმა, ხოლო 2024 წელს 1151 ოჯახმა მიმართა. ამჟამად მიმდინარეობს 929 ოჯახის განაცხადის განხილვა (მათ შორის, 2023 წლის განაცხადებისაც).

[817] სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 22 ნოემბრის № 2024/6603 წერილი.

[818] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 5 დეკემბრის 15-01243402538 წერილი.

[819] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2021, 2022 და 2023 წლის ანგარიშები, ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/1WGaL > [12.03.2025].

[820] მაგ., ქალაქ ქობულეთის, ქალაქ ქუთაისისა და ფოთის მუნიციპალიტეტები.

საცხოვრებელი ფართების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით. ეს ინიციატივა სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა. ამჟამად, ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, საცხოვრისში რეგისტრირებული 73 ოჯახიდან წარმოდგენილი საჭირო დოკუმენტების საფუძველზე 2025 იანვრისთვის ბინის ქირით უზრუნველყოფილია 53 ოჯახი, ხოლო დარჩენილია 21 ოჯახი. როგორც განიმარტა, საცხოვრისში დარჩენილ ოჯახებს შეეთავაზათ ქირის პროგრამაში ჩართვა და მიეწოდათ ინფორმაცია შენობის ავარიულობის შესახებ, მიუხედავად ამისა, ისინი საცხოვრისს მაინც არ ტოვებენ.[821] სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ორხევის სოციალური საცხოვრისის შენობა ავარიულია და მისი ფუნქციონირება დაუშვებელია,[822] შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ საცხოვრისი დატოვოს იქ მცხოვრებმა ყველა პირმა. საამისოდ კი, აუცილებელია დამატებითი ძალისხმევის გაწევა, ბენეფიციარებთან ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოება, რისკებთან დაკავშირებული ინფორმაციის მათთვის გასაგები ფორმით მიწოდება, და ქირის პროგრამაში ჩართვის მიზნით, ქმედითი და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

წინადადება

საქართველოს პარლამენტს:

- სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად, მიიღოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ჩარჩო კანონმდებლობა, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, კანონმდებლობით განისაზღვროს უსახლკარო პირის ცნება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტები.

გორის, ქუთაისის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიებს:

- სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ადამიანები უზრუნველყონ ადამიანის ღირსეული ცხოვრების შესაბამისი ალტერნატიული საცხოვრებლით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სამგორის რაიონის გამგეობას:

- გამოიჩინოს შესაბამისი ძალისხმევა, მათ შორის, სპეციალისტების დახმარებით წარმართოს ინტენსიური მოლაპარაკებები ორხევში, მუხაძის ქ. №12-ში მდებარე

[821] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის 2025 წლის 31 იანვრის 37-0125031623 წერილი.
[822] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამგორის რაიონის გამგეობის 2023 წლის 9 ნოემბრის 37-01233132970 წერილი და ექსპერტიზის შესაბამისი დასკვნები.

სოციალურ საცხოვრისში ამ დრომდე მყოფ პირებთან შენობის დატოვებასთან და ქირის პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.

21.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

2024 წელს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, ცალკეული მიმართულებით კი შეინიშნება გაუარესება.

გამოწვევად რჩება ფიზიკური გარემოს, მომსახურებების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობა, ვებგვერდებსა თუ აპლიკაციებზე წვდომა, ინდივიდუალური მხარდაჭერის სიმწირე სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დამხმარე მოწყობილობებისა და ციფრული ტექნოლოგიების ჭრილში. დღემდე არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა. არ არსებობს სტანდარტი ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე შშმ პირთა წვდომის უზრუნველსაყოფად, რაც ხელს უშლის მათი სხვა უფლებების სათანადო რეალიზებას.

განხორციელებული აქტივობების მიუხედავად, სისტემურ პრობლემად რჩება შშმ პირთა კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და მათი ღია შრომის ბაზარზე დასაქმება. ისევ იკვეთება ხარვეზები ინკლუზიური განათლების მიწოდებაში. კვლავ გამოწვევაა განათლების მიღმა დარჩენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სრულყოფილად გამოვლენა და სათანადო სერვისებში გადამისამართება.

შეფერხებულია შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დროულად დანერგვის პროცესი. არსებული შეფასების სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სამედიცინო მოდელზე, ვერ ხედავს პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და სახელმწიფოს ყურადღების მიღმა ტოვებს მათ.

გამოწვევაა შშმ პირებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების სიმწირე, მათთვის აუცილებელი აბილიტაცია/რეაბილიტაციის სერვისების მისაწვდომობა, რაც განპირობებულია მომსახურებების გეოგრაფიული დაფარვის, არასაკმარისი დაფინანსების ან/და კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფის კუთხით არსებული პრობლემებით. კვლავ არ არსებობს საჭირო რეაბილიტაციის პროგრამები ზრდასრული შშმ პირებისათვის, მათ შორის, აუტიზმის მქონე ადამიანებისთვის.

გარდა იმისა, რომ პერსონალური ასისტენტის სერვისის მიწოდება დაგვიანებით დაიწყო,[823] მუნიციპალიტეტებს, ამ მომსახურების პროგრამის გაწერის დროს არ გაუთვალისწინებიათ შშმ პირებისა და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა.[824] შესაბამისი საჭიროების მქონე ადამიანები კვლავ არ ფლობენ ინფორმაციას პროგრამის ამოქმედებისა და მასში ჩართვის პროცედურების შესახებ. საყურადღებოა, რომ 18 წლამდე ასაკის შშმ პირები კვლავ არ მოიაზრებიან ამ სახელმწიფო პროგრამის სამიზნე ჯგუფად.

[823] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეს სერვისი 2025 წლის პირველი იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო.

[824] ქალაქების - თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, ფოთის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციით, ბუნდოვანია, რა ფორმით იყვნენ ჩართულები შშმ პირები და მათი ორგანიზაციები პროგრამის შემუშავების პროცესში.

საანგარიშო პერიოდში გაუარესებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. კლინიკების ინფრასტრუქტურული, თერაპიული და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები არ შეესაბამება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის პაციენტების მკურნალობას, მათი ღირსების დაცვის პირობებში.

ხარვეზებით მიმდინარეობს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი.

საანგარიშო პერიოდში რიგი გამოწვევები იკვეთება შშმ პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების რეალიზების მიმართულებით. შეფერხებულია, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, შშმ პირთა საკითხებზე შექმნილი სათათბირო მექანიზმების ეფექტიანი საქმიანობა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს კი, გამოვლინდა ხარვეზები შშმ პირთა მიერ ხმის მიცემის პროცესში.

21.1.შშმ პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა

შშმ პირთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ვალდებულებაა,[825] რომლის ჯეროვანი შესრულება უშუალოდ არის დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის სათანადოდ განხორციელებასთან.

საანგარიშო პერიოდში რიგი გამოწვევები[826] გამოიკვეთა შშმ პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების რეალიზების კუთხით, რაც სახელმწიფოს მხრიდან დროულ რეაგირებას საჭიროებს. სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მთავარი გზავნილია „არაფერი ჩვენს შესახებ ჩვენს გარეშე“, რაც იმთავითვე გულისხმობს პროცესებში შშმ პირთა მონაწილეობის აუცილებლობას. ეს პრინციპი სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებებშიც აისახა და მონაწილე ქვეყნები დაავალდებულა, გადაწყვეტილებები შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიიღონ.[827] სახალხო დამცველი სახელმწიფოს პასუხისმგებელ

[825] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 4(3); მუხლი 33(3) ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/2USRwB9 .

[826] მათ შორის, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების შემდეგ, შშმ პირთა ორგანიზაციების ნაწილმა ვეღარ შეძლო საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელება, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობაზე. ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა კანონის შესაბამისად რეგისტრაციაზე, რაც აბრკოლებს მათ შემდგომ მუშაობას, ამავე კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების რისკის გამო.

[827] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია, მუხლი 4(3): კანონმდებლობისა და კონვენციის განხორციელების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე შშმ პირებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მონაწილე სახელმწიფოები მჭიდროდ ითანამშრომლებენ და აქტიურად ჩართავენ შშმ პირებს მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების საშუალებით. შშმ პირთა უფლებების კომიტეტი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა მონაწილეობას შშმ პირთა ორგანიზაციებით მოიაზრებს და №7 ზოგად კომენტარში მიუთითებს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ შშმ პირთა მოსაზრებებს, რომლებსაც ისინი წარმომადგენელი

სტრუქტურებს მოუწოდებს, იზრუნონ, რათა არასამთავრობო ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიღების პროცესში სავალდებულო ჩართვის გაუქმების ინიციატივამ არ დააზარალოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა, რადგან ამ ვალდებულების უგულებელყოფა, ფაქტობრივად გამორიცხავს კონვენციის ჯეროვანი აღსრულების შესაძლებლობას.

მათ შორის, შეფერხებულია კონვენციის განხორციელების პროცესში შშმ პირთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე არსებული მექანიზმების საქმიანობა. საკითხთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული ინფორმაციით, 2024 წელს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს არცერთი სხდომა არ გაუმართავს.[828] 2025 წლის თებერვლის მდგომარეობით, სათათბირო ორგანოს წევრებისთვის არ გაუგრძელებიათ უფლებამოსილების ვადა, ასევე არ აურჩევიათ ახალი წევრები. თბილისის მერიის ინფორმაციით, საბჭოს რეორგანიზაცია დაგეგმილია 2025 წლისთვის.[829]

2024 წელს არ გამართულა საქართველოს მთავრობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომა.[830] არსებული ინფორმაციით, შშმ პირებისა და შშმ პირთა ორგანიზაციების ნაწილმა დატოვა სათათბირო ორგანოს საკონსულტაციო საბჭო.[831]

საანგარიშო პერიოდში გამოწვევად იკვეთება უწყებათაშორისი კომიტეტის საქმიანობაში შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების აღრიცხვის/დიფერენცირების საკითხიც.[832] როგორც ცნობილია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტი, შშმ პირთა ორგანიზაციებისაგან განასხვავებს ორგანიზაციებს შშმ პირთათვის, რომლებიც ამ პირებს სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობენ და/ან მათი სახელით ადვოკატირებენ. კომიტეტი მიუთითებს, რომ შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, მონაწილე სახელმწიფოებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მოსაზრებებს.[833] ამის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის უწყებათაშორისო კომიტეტის დებულების თანახმად

ორგანიზაციების მეშვეობით გამოხატავენ და უზრუნველყონ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში პრიორიტეტული სწორედ მათი მოსაზრებები იყოს.

[828] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საპასუხო კორესპონდენცია №15-0125028418 - 28/01/2025.

[829] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საპასუხო კორესპონდენცია №15-01250361789 – 05.02.2025.

[830] ჩატარდა მხოლოდ უწყებათაშორის კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში შექმნილი ინკლუზიური განათლების თემატური სამუშაო ჯგუფის წევრების 1 შეხვედრა (წყარო: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი GOV 7 25 00003344 - 10/02/2025).

[831] კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს წევრი შშმ აქტივისტებისა და ორგანიზაციების განცხადება იხ. ბმულზე: https://bit.ly/3EKZH9m 2024 წლის დეკემბერში, ადამიანის უფლებათა დეპარტამენტს საკონსულტაციო საბჭოს წევრი ორგანიზაციების ნაწილმა სტატუსის გაუქმების მოთხოვნით მიმართა. წყარო: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წერილი GOV 7 25 00003344 – (10/02/2025).

[832] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმე №457/2024.

[833] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ზოგადი კომენტარი №7 (2018), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, ბავშვების მონაწილეობა კონვენციის იმპლემენტაციასა და მონიტორინგში, წარმომადგენელი ორგანიზაციების მეშვეობით, გვ. 5-6, პუნქტი 13-14. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XvEWVV .

განისაზღვრა,[834] რომ კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოს წევრების 51%-ს შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციები და შშმ პირები უნდა შეადგენდნენ,[835] ხოლო 49%-ს უნდა იკავებდნენ სხვა ორგანიზაციები.[836] მიუხედავად ამისა, უწყებათაშორისი კომიტეტი არ აღრიცხავს ინფორმაციას იმის შესახებ, საკონსულტაციო საბჭოს წევრი ორგანიზაცია შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციაა თუ სხვა სუბიექტი.[837] ამის გამო, ვერ ხერხდება შეფასება, საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში დაცულია თუ არა დებულებით განსაზღვრული პროპორცია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების მონაწილეობის კუთხით. ამ ინფორმაციის დამუშავება ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს მიმართ, გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციების შესრულების მიზნებისთვისაც.[838]

21.2.2024 წლის საპარლამენტო არჩევნები

შშმ პირთა არჩევნებში მონაწილეობა და აქტიური/პასიური საარჩევნო უფლების რეალიზება, ამ პირთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის მნიშვნელოვანი ბერკეტია. ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ იწარმოება არჩევნებში მონაწილე შშმ პირთა შესახებ სტატისტიკა, ართულებს ამ მიმართულებით არსებული სიტუაციის შეფასებას.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, გამოჩნდა, რომ შშმ პირთა ნაწილისთვის არჩევნებში მონაწილეობის პროცესი კვლავ დაბრკოლებული ან მიუწვდომელია. კერძოდ, უსინათლო პირებისთვის პრობლემაა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის დამოუკიდებლად გამოყენება, რაც ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, უსინათლო პირის მიერ ხმის მიცემის პროცესზე უშუალოდ სახალხო დამცველის დაკვირვების დროსაც გამოვლინდა. ასევე ირკვევა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს არ აქვთ უსინათლო პირთან კომუნიკაციის წესების შესახებ სათანადო ცოდნა. მათ ამომრჩეველს ვერ განუმარტეს ხმის მიცემის პროცედურა და ვერ უპასუხეს მის კითხვებს.[839] უსინათლო პირისთვის ასევე პრობლემური იყო ამომრჩევლის სარეგისტრაციო ქვითარზე დამოუკიდებლად ხელის მოწერა. მათთვის განკუთვნილ

[834] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №552 (2021 წელი) დადგენილება, მუხლი 4. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4jXqRKe .

[835] ორგანიზაცია, რომლის წევრ, ასევე ხელმძღვანელ და წარმომადგენელ ორგანოებში მყოფ პირთა ნახევარზე მეტი შშმ პირია.

[836] სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაცია, შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაცია, შშმ პირთათვის სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაცია და საქართველოში მოქმედი შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაცია.

[837] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საპასუხო კორესპონდენცია: GOV 5 24 00013045 - 02/05/2024; წერილი GOV 6 24 00017240 - 19/06/2024.

[838] შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტი საქართველოს მიმართავს რეკომენდაციით, პრიორიტეტი მიენიჭოს შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციათა ჩართვას და კონსულტაციებს საკონსულტაციო ორგანოებსა და მექანიზმებში, ასევე, მათი მოსაზრებებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას. Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of Georgia, 2023, გვ. 3, პუნქტი 10.

[839] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/433cXjU .

ხელმოსაწერ ჩარჩოსა და ქვითარზე ხელმოსაწერ სივრცეს შორის ზომებში არსებულმა დიდმა სხვაობამ აუცილებელი გახადა პროცესში მესამე პირის ჩართვა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა პრობლემური იყო ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვისაც. ცესკოს მიერ შემუშავებული[840] ტრენინგ-მოდულის მიხედვით გამართული სასწავლო საინფორმაციო შეხვედრების მიუხედავად,[841] სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში მყოფი პირების უმრავლესობამ ვერ შეძლო პასიური საარჩევნო უფლების რეალიზება. შშმ პირთა და ხანდაზმულთა „სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული მომსახურების მიმღები 769 პირიდან 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 76 შშმ პირმა და ხანდაზმულმა. საყურადღებოა, რომ იმ პირთაგან, რომელთაც ვერ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში, 172 პირი საერთოდ არ არის ამომრჩეველთა ერთიან სიაში,[842] რაც მათი პასიური საარჩევნო უფლების შეზღუდვაა. სხვა ხელისშემშლელ გარემოებად იკვეთება სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი პირების რეგისტრაციის მისამართი, რომელიც მათ ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს არ შეესაბამება. დაწესებულებების ადმინისტრაციასა და მხარდამჭერ პირებს, შესაბამისი ზომები პირის ფაქტობრივ მისამართზე რეგისტრაციის მიზნით, უმეტეს შემთხვევაში, არ მიუღიათ.

სახელმწიფო ზრუნვის იმ დაწესებულებებიდან, სადაც ძირითადად მხარდაჭერის მიმღები პირები ირიცხებიან, არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს ერთეულებმა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ მიმართ არსებულ მომეტებულ სტიგმაზე და მხარდამჭერის ვალდებულებების არასათანადო განხორციელებაზე. სახალხო დამცველის მონიტორინგმა ასევე გამოავლინა, რომ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბენეფიციარების დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია არჩევნებში მონაწილეობის უფლების შესახებ.[843]

[840] არჩევნების მისაწვდომობის მიზნით ცესკოს მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია იხ. ანგარიშის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024–2026 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის ქვეთავში.

[841] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წერილი №07/25 - 20/01/2025. „2024 წელს ცესკოსა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული საინფორმაციო-სასწავლო მოდულის სწავლების ცენტრის ტრენერებმა საინფორმაციო სასწავლო შეხვედრის ფარგლებში გადაამზადეს მხარდაჭერის მიმღებ პირთა საკითხებზე მომუშავე 8 არასამთავრობო ორგანიზაციის 14 წარმომადგენელი/თანამშრომელი, რომლებმაც, თავის მხრივ, ამ მოდულის მეშვეობით 170-მდე ბენეფიციარს მიაწოდეს ინფორმაცია არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ. ასევე, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან ერთად, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, ცესკომ გამართა სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრა დუშეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში მცხოვრები პირებისა და თანამშრომლებისთვის. შეხვედრაში მონაწილეობდა 110 პირი“.

[842] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი SCA 8 24 01370455 (25 დეკემბერი 2024).

[843] პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტი სენაკის თავშესაფარში, ბედიანში, კლინიკაში „ლაიფი“.

არსებული გამოწვევების ფონზე, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები კვლევ ვერ ახერხებენ საკუთარი ქმედუნარიანობის განხორციელებას და პოლიტიკური ცხოვრების მიღმა რჩებიან.[844]

შშმ პირთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის მიმართულებით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ცესკოს 2024 წლის 17 დეკემბრის განკარგულებით გაუქმდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში ხდებოდა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის კოორდინაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ შშმ პირები და მათი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ცესკოს ინფორმაციით,[845] ჯგუფი არ გაუქმებულა და მის ხელმძღვანელად განისაზღვრა ცესკოს აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ხოლო ჯგუფის წევრებად დამატებით განისაზღვრნენ ცესკოს აპარატის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები.

შშმ პირებისთვის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია გამოხატვის თავისუფლების რეალიზება. თუმცა რიგი ფაქტორები (ფიზიკურ გარემოზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციაზე წვდომის კუთხით არსებული სისტემური პრობლემები) მათ ამ უფლების რეალიზებისას სერიოზულ ბარიერს უქმნის. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ აქციის მონაწილეთა მიმართ დაგეგმილ თუ განხორციელებულ ყველა საპასუხო ზომაში გაითვალისწინოს ყველა ტიპის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები და შეუქმნას მათ აზრის მშვიდობიანი გამოხატვის თანასწორი პირობები. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა ერთ-ერთი შეკრების დროს ყრუ პირის ცემის თაობაზე, რასაც სახალხო დამცველი თავის განცხადებაში გამოეხმაურა.[846]

21.3.ფსიქიკური ჯანმრთელობა

ქვეყანაში ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდის მიუხედავად, სფეროში არსებული სისტემური პრობლემები კვლავ მოუგვარებელი რჩება, რიგ შემთხვევებში კი მდგომარეობა გაუარესებულია.

ფსიქიატრიულ სტაციონარულ დაწესებულებებში კვლავ მწვავედ დგას საწოლფონდის დეფიციტის პრობლემა.[847] დაწესებულებების უმრავლესობაში არსებული თერაპიული, ინფრასტრუქტურული და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ შეესაბამება ეროვნულ თუ საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტებს და შეუძლებელს ხდის

[844] არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია ძევრის შშმ პირთა პანსიონატის არცერთ ბენეფიციარს, სენაკის თავშესაფრის ბენეფიციარებს, ასევე, ბედიანის შშმ პირთა თავშესაფრის 35 ბენეფიციარიდან, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2-მა პირმა. გამონაკლისია ქედელის სათემო მომსახურება, რომლის ყველა ბენეფიციარმაც მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

[845] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საპასუხო კორესპონდენცია №08/75 - 28/01/2025 და N08/189 – 20.03.2025.

[846] სახალხო დამცველის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/4b6tDZA .

[847] 2024 წლის ბოლოს ფსიქიატრიულ საწოლფონდს დაემატა 20 საწოლი. წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია MOH 2 25 00181988 - 18 თებერვალი, 2025.

პაციენტთა მკურნალობას მათი ღირსების დაცვის პირობებში. უკიდურესად გადატვირთული პალატები არ იძლევა პირადი სივრცის დაცვის შესაძლებლობას, ინფრასტრუქტურა ძირითადად სარემონტოა, სველი წერტილები მეტწილად ამორტიზებული, გაუმართავი და ხშირად არასაკმარისი. გამოწვევებს შორის რჩება ფსიქიკური და სომატური ჯანმრთელობის სრულფასოვანი მკურნალობის პრობლემები, ფსიქიატრიულ სტაციონარულ დაწესებულებებში მყოფ პირთა სათანადო კვებით უზრუნველყოფის, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, ასევე, კონფიდენციალობისა და პაციენტთა პირადი სივრცის დაცვის საკითხები.[848] გამოწვევას წარმოადგენს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, პაციენტთა მართლმსაჯულებაზე წვდომა,[849] ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა რეაბილიტაციის სერვისების ნაკლებობა და ხარისხი.[850] კვლავ იკვეთება ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობა. დღემდე არ დამტკიცებულა ამბულატორიული ფსიქიატრიული სერვისების სტანდარტები და სათანადოდ არ კონტროლდება მიწოდებული სერვისების მოცულობა და ხარისხი.

21.4.2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგია და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა

გასული წლების ანალოგიურად,[851] მნიშვნელოვანი შეფერხებებით წარიმართა 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიის განხორციელების პროცესი. სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების შუალედური შეფასება 2024 წლის მდგომარეობით, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან შესაბამისი ინდიკატორებით გათვალისწინებული ინფორმაცია, უმეტეს შემთხვევებში არ გროვდება. ინფორმაციის ნაწილის აღრიცხვა 2025-2026 წლებიდან იგეგმება.[852] სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი[853] კი ცხადყოფს, რომ საანგარიშო პერიოდში ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს განვითარება გეგმის გვერდის ავლით წარიმართა. მათ შორის, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის, მხარდაჭერისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, არ განხორციელებულა სამოქმედო დოკუმენტით გათვალისწინებული არცერთი აქტივობა.[854] მათ შორის, არ

[848] საქართველოს სახალხო დამცველის ვიზიტები სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში. დეტალური ინფორმაცია იხ. https://bit.ly/4b6tDZA https://bit.ly/4hzVDax https://bit.ly/4bdToav https://bit.ly/4b9F82I https://bit.ly/4b2YR3T

[849] კვლავ არ დამტკიცებულა ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის მისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები.

[850] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია MOH 1 25 00043043 – 17 იანვარი, 2025.

[851] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 254-255; საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 265-266.

[852] ინფორმაცია მისაწვდომია მხოლოდ 1 ინდიკატორის შესახებ: ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე სახელმწიფო დანახარჯების ხვედრითი წილი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ბიუჯეტში: 2024 წ. – 2.8%.

[853] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია MOH 2 25 00181988 - 18 თებერვალი, 2025.

[854] გადაიხედა და დაიხვეწა საქართველოს მთავრობის 2010 წლის №385 დადგენილებით დამტკიცებული ფსიქიატრიული სტაციონარული დაწესებულებების სანებართვო მოთხოვნები. იგეგმება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა რეაბილიტაციის სერვისების სტანდარტის გადახედვა.

შექმნილა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრები და საკონსულტაციო სამსახურები, არ შეფასებულა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა საჭიროებები და არც ზრუნვის სისტემა გაფართოებულა, არ განხორციელებულა ბავშვთა და მოზარდთა ადიქციის პრევენციული პროგრამები, ზოგადი პროფილის საავადმყოფოში არ შექმნილა ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილი 3-4 საწოლიანი კრიზისული განყოფილებები.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და სტიგმის შემცირების მიზნით 2024 წელს განხორციელებული აქტივობები მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულებას.[855] მათ შორის, საანგარიშო პერიოდში არ მომხდარა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში თანასწორთა მხარდაჭერის კომპონენტის ინტეგრირება, არ შემუშავებულა სტიგმის საწინააღმდეგო ღონისძიებების გეგმა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მიმართ საზოგადოების სტიგმის გაზომვის ინსტრუმენტი.

საცხოვრებელთან მაქსიმალურად ახლოს ხარისხიანი ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის (თემში) მიწოდების და ტელეფსიქიატრიის სისტემის დანერგვის მიზნით 2024 წელს განსახორციელებელი აქტივობების მხოლოდ ნაწილია დაწყებული, გაწეული ძალისხმევა კი, არასაკმარისია ამ მიზნის მისაღწევად.[856] ამ ეტაპზე, ტელეფსიქიატრიისა და ტელეკონსულტაციების სისტემა დანერგილი არ არის. კვლავ არ შემუშავებულა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის გეგმა.

ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში ნარკოლოგიური პრობლემების მქონე პირთა ინტეგრირების მიზნით და ამოცანა 2024 წლისთვის შეუსრულებელი რჩება.[857] აქტივობები პრაქტიკულად არ განხორციელებულა არც ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით.[858] მათ შორის, არ შემუშავებულა ფსიქიატრიული სფეროს ექთნებისა და მათი თანაშემწეებისთვის ტრენინგის სტანდარტული კურსი, არ მომხდარა კლინიკური ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების პროფესიის რეგულირება და მათ მიერ სტანდარტიზებული სწავლების გავლა.[859]

[855] უფლებების საკითხებთან დაკავშირებით გადამზადებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში დასაქმებული 24 პირი.

[856] დაწყებულია კრიზისული ინტერვენციის და ფსიქოსოციალური ინტერვენციების სერვისების სტანდარტის გადახედვა და დახვეწის პროცედურები. დღის ცენტრის - კლუბის მოდელზე მუშაობა არ დაწყებულა დონორული დახმარების მოძიების პრობლემების გამო.

[857] 2024 წლის ნოემბერში გაიმართა ნარკოლოგებისა და ფსიქიატრების შეხვედრა. პარლამენტის ჯანმრთელობისა დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ჩართულობით იგეგმება სამუშაო ჯგუფის შექმნა.

[858] ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის №385 დადგენილებაში და ფსიქიატრიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულების ვალდებულებად განისაზღვრა ყველა ექიმისა და ექთნის მონაწილეობა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში ფსიქიატრიული მდგომარეობების მართვის მიმართულებით, ასევე, ყოველწლიურად 20 უპგ ქულის მოგროვება.

[859] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია MOH 2 25 00181988 - 18 თებერვალი, 2025.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის რეგულირების, მართვისა და კონტროლის მიზნით გარკვეული აქტივობები განხორციელდა მხოლოდ სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამებთან დაკავშირებული მონიტორინგის მიზნებისთვის.[860] გარდა ამისა, არ შექმნილა ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში პაციენტთა უფლებების დაცვისა და მომსახურების ხარისხის შეფასების მონიტორინგის ჯგუფი; მედიკამენტების შესყიდვის მექანიზმი არ გაუმჯობესებულა.

21.5.საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024–2026 წლების სამოქმედო გეგმა,[861] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მხრიდან გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას ითვალისწინებს.

სახალხო დამცველის აპარატმა ზემოხსენებული დოკუმენტის შესრულება 2024 წლის მდგომარეობით შეაფასა.[862] მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ნაწილი შესრულებულია, თუმცა რიგი ღონისძიებების დროულად შესრულება ვერ მოხერხდა.

ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით, ინკლუზიური განათლების გაძლიერების, მანდატურის სამსახურში ინკლუზიური განათლების კომპონენტის ტრანზიციის, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაწესებულებების თანამშრომლებისთვის შშმ პირთა უფლებების შესახებ ტრენინგების ჩატარების მიუხედავად, გამოწვევები რჩება პროფესიული განათლების საფეხურზე დამატებითი საჭიროებების მქონე პირების საჭიროებების გამოსავლენი მექანიზმების შემუშავებისა და ამ პირების შეფასების მექანიზმების ყველა საჯარო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დანერგვის მიმართულებით.

---

[860] 2024 წლის 1 აპრილიდან, ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო გარდაიქმნა მონიტორინგისა და ინსპექტირების დეპარტამენტად. გაიზარდა საშტატო რიცხოვნობა და მონიტორინგის ჯგუფს დაემატა 10 შტატგარეშე თანამშრომელი. წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საპასუხო კორესპონდენცია MOH 2 25 00181988 - 18 თებერვალი, 2025.

[861] საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №528 დადგენილება. დოკუმენტი მისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6053557?publication=0> [ბოლოს ნანახია 19.02.2025].

[862]ინფორმაცია გამოვითხოვეთ შემდეგი უწყებებიდან: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“; სს „საქართველოს რკინიგზა“; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტო“; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „იუსტიციის სახლი“; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“; ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტო“; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

შშმ პირთა ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით[863], საანგარიშო პერიოდში მუშაობა მიმდინარეობდა ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტების გარდაცვალების შემთხვევების შესახებ სტატისტიკის წარმოების გასაუმჯობესებლად. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მრავალპროფილური კლინიკების მოდელის დანერგვის, სტაციონარგარე ფსიქიატრიული სერვისების/ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის კომპონენტების გაძლიერებისა და პანსიონური მომსახურების სტანდარტის შემუშავების მიმართულებით, თუმცა აქტივობების დადგენილ ვადაში დასრულება ვერ მოხერხდა. გეგმით 2024 წლისთვის გათვალისწინებული სხვა აქტივობების შესრულების თაობაზე სამინისტროს მხრიდან სრულყოფილი პასუხი არ მიგვიღია.[864]

შშმ პირთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისა და მათთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით,[865] საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის საარჩევნო პროცესების შესახებ ინფორმაცია მისაწვდომი იყო სხვადასხვა ტიპის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირისთვის.[866] ამავე დროს, მხარდაჭერის მიმღები პირების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშესაწყობად, 2024 წელს, პირველად, ამ პირებისთვის მომზადდა გზამკვლევი მარტივად წასაკითხ ფორმატში. სიახლე იყო მხარდაჭერის მიმღები პირების საჭიროებების შესახებ საინფორმაციო-სასწავლო მოდულის შემუშავებაც.[867] გარდა ამისა, ცესკოს ცნობით, შშმ ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, გადამზადება გაიარეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა. მიუხედავად განხორციელებული აქტივობებისა, პრაქტიკაში შშმ პირთა არჩევნებში მონაწილეობის კუთხით არაერთი ხარვეზი გამოვლინდა.[868]

გეგმის შესაბამისად, პასუხისმგებელი უწყებების მხრიდან გარკვეული ღონისძიებები გატარდა შშმ პირთა უფლებების/ღირსების პატივისცემის საკითხებზე ცნობიერების

---

[863] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 19 თებერვლის წერილი - MOH 8 25 00188202.

[864] კერძოდ, სამედიცინო დაწესებულებების შშმ პირთათვის ადაპტირებისა და სამშობიარო/ანტენატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების ექიმებისა და ექთნების გადამზადების საკითხებზე.

[865] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2025 წლის 20 იანვრის №07/25 წერილი.

[866] ინფორმაცია მისაწვდომი იყო უსინათლო/მცირემხედველი, ყრუ/სმენადაქვეითებული, მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადებული ყველა ვიდეორგოლი და ცესკოს მიერ გამართული ყველა საინფორმაციო ბრიფინგი მისაწვდომი იყო ყრუ პირებისთვის ქართულ ჟესტურ ენაზე. უსინათლო და მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის ცესკოს ადაპტირებულ ვებგვერდზე მათთვის მისაწვდომ ფორმატში ასევე განთავსდა ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების შესახებ. ცესკოს მიერ მომზადებულ ყველა საინფორმაციო ფლაერსა და პოსტერზე დატანილ იქნა QR კოდი, რომლის საშუალებითაც ინფორმაცია ყრუ და სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის მისაწვდომი იყო ჟესტურ ენასა და აუდიო ფორმატში.

[867] ამ მოდულის მიხედვით გადამზადდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც, თავის მხრივ, 170-მდე ბენეფიციარს მიაწოდეს ინფორმაცია არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესაძლებლობაზე. სასწავლო შეხვედრა ასევე გაიმართა დუშეთის შშმ პირთა პანსიონატის 110 ბენეფიციართან.

[868] იხ. თავი შშმ პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ.

ასამაღლებლად და შესაბამისი პირების გადასამზადებლად[869], რთული ქცევის მქონე 10-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა რეფერირების პროგრამებში ჩასართავად და შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული ტექნოლოგიური გადაწყვეტის შესამუშავებლად.

21.6. შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენა

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად, სოციალური მოდელის საფუძველზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრა, ამ პირთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებელი წინაპირობაა. ამის საპირისპიროდ, ქვეყანაში მოქმედი შეფასების სამედიცინო მოდელი ვერ ხედავს და სახელმწიფოს ყურადღების მიღმა ტოვებს სხვადასხვა საჭიროების მქონე ბევრ ადამიანს.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან ქვეყანაში ხორციელდება შშმ პირის სტატუსის დადგენის ბიოფსიქოსოციალური (ბფს) მოდელის დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებები,[870] თუმცა, ამ მიზნით შექმნილი სამოქმედო გეგმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს პროცესი დროში ჭიანურდება. სამოქმედო დოკუმენტით გათვალისწინებული აქტივობების დიდი ნაწილის შესრულება დაგვიანებით დაიწყო და მათი დასრულება გეგმით განსაზღვრულ ვადებში ვერ ხერხდება.[871] რიგი აქტივობები, რომლებიც 2023-2024 წლებში უნდა დასრულებულიყო, ჯერ კიდევ არ დაწყებულა.[872]

---

[869] სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ მიერ შეიქმნა თანასწორობისა და ინკლუზიის შესახებ საბაზო ტრენინგ-მოდული და ჩატარდა 50-ზე მეტი ტრენინგი საქართველოს მასშტაბით, რომლებშიც ასევე მიიღო მონაწილეობა 500-ზე მეტმა პირმა; სსიპ „იუსტიციის სახლისა“ და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2024 წლის განმავლობაში, ჟესტური ენის სასწავლო კურსი გაიარა „იუსტიციის სახლის“ წინა ხაზის 80-მა თანამშრომელმა; სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურმა“ შეასრულა გეგმით გათვალისწინებული აქტივობა შშმ პირებთან/შშმ თემთან შეხვედრების ჩატარებისა და ხშირად დასმული კითხვების შესახებ დოკუმენტის აპლიკაციაში განთავსების თაობაზე.

[870] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 9 მარტის №94/ო ბრძანება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური (ბფს) მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

[871] შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების სოციალური მოდელის შემუშავება და დანერგვა მეტწილად დამოკიდებულია დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერაზე. 2024 წელს პარტნიორი ორგანიზაციის პროექტის განხორციელება წლის მეორე ნახევარში დაიწყო, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სხვა ღონისძიებების გადანაცვლება. წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილები: MOH 3 24 01068255 – 8 ოქტომბერი, 2024; MOH 7 25 0009427829 -იანვარი, 2025.

[872] მათ შორის, არ დასრულებულა მუშაობა ბიოფსიქოსოციალურ მოდელთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებაზე; არ გაანალიზებულა სტატუსის დამდგენი სამედიცინო დაწესებულებების საჭიროებები და რესურსები, ასევე, კრიტერიუმები, რომელთაც ეფუძნება პირის შეფასების დაწყება და სტატუსის გადამოწმების პერიოდულობა; სტატუსის დამდგენი დაწესებულებებისთვის არ განსაზღვრულა მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მინიმალური რაოდენობა და შემადგენლობა, გუნდის თითოეული სპეციალისტის დატვირთვა, გუნდის სპეციალისტების ოპტიმიზაციის გეგმა; არ შემუშავებულა მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობის გაიდლაინი, მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების სამუშაო აღწერილობები და აუცილებელი კვალიფიკაცია; არ შემუშავებულა მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მოსამზადებელი სასერტიფიკატო კურსის პროგრამა და არ განხორციელებულა მისი აკრედიტაცია. ღონისძიებები არ

სახალხო დამცველი საგანგებოდ მიუთითებს შეფასების სოციალურ მოდელზე დროულად გადასვლის აუცილებლობაზე. ამასთანავე, მიუთითებს იმ სირთულეების აღმოფხვრის საჭიროებაზე, რომლებიც მოქმედი წესის მიხედვით სტატუსის მინიჭების პროცესს უკავშირდება.

გარდა იმისა, რომ მოქალაქეთა ნაწილს გარკვეული ბარიერები ექმნება სტატუსის დადგენისას,[873] საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა განსხვავებული მიდგომა პირის შესაძლებლობის შეზღუდვის არსებული სტატუსის აღიარებასთან დაკავშირებითაც, რაც მოქალაქეთა ნაწილს აბრკოლებს სხვა უფლების რეალიზების პროცესში.[874] კერძოდ, საქმე ეხება სსიპ საპენსიო სააგენტოსათვის მიმართვისას წარმოქმნილ პრობლემას, რომელიც შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძვლით პენსიის ერთიანი გადახდით დანიშვნის გამო, დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის[875] მოთხოვნისას წარმოიქმნება. ამ მიზნით პირმა უნდა წარადგინოს შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი,[876] მიუხედავად იმისა, რომ ამ პირებს სტატუსი უვადოდ აქვთ განსაზღვრული 2007 წლამდე მოქმედი ბიუროების მიერ. მსგავსი პრობლემების მქონე მოქალაქეები, სქემიდან გასვლის მიზნებისთვის, იძულებულნი ხდებიან შემოწმება თავიდან გაიარონ, რისთვისაც დამატებითი რესურსი (დრო, ფინანსური ხარჯი) უნდა გასწიონ, ან უარი თქვან კანონით გარანტირებული უფლების რეალიზებაზე. აქვე, აღსანიშნავია, რომ ბიუროების მიერ გაცემული დოკუმენტი მათთვის სოციალური პაკეტის დანიშვნის საკმარისი საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ქვეყანაში პირის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარებასთან დაკავშირებით განსხვავებულ მიდგომას.

საკითხთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია, რომ გაეროს შშმ პირთა უფლებების კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს, შესაძლებლობის შეზღუდვის შეფასების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში უზრუნველყოს, რომ მრავალჯერადი შეფასება არ ქმნიდეს ზედმეტ ტვირთს შშმ პირებისათვის.[877] შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შშმ პირებს,

---

გატარებულა სტატუსის დადგენის პროცესის გეოგრაფიული მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. არ მომხდარა ბავშვის მონაწილეობის პროცედურის, გაიდლაინის და კითხვარის პილოტირება და დამტკიცება, ასევე, სრულწლოვანი პირებისთვის თვითშეფასების ინსტრუმენტის შერჩევა. არ მიღებულა ზომები სახელმწიფო სისტემაში პროფესიული ზედამხედველობის (სუპერვიზიის) სამსახურის შესაქმნელად. წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილები: MOH 3 24 01068255 – 8 ოქტომბერი, 2024; MOH 7 25 0009427829 -იანვარი 2025.

[873] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, 2023. გვ. 264.

[874] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმე №2159/2024 (05.06.2024) და საქმე №2777/24 (15.03.2024).

[875] „დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 33. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41wxjAD .

[876] „დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად, შესაძლებლობის შეზღუდვა არის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მდგომარეობა, რომელიც დასტურდება შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის უფლების მქონე შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერით.

[877] Committee on the Rights of Persons with Disabilities Concluding observations on the initial report of Georgia, 2023. გვ. 2. პუნქტი 8 (ბ). ხელმისაწვდომია https://docs.un.org/en/CRPD/C/GEO/CO/1

რომლებსაც სტატუსი 2007 წლამდე ბიუროების მიერ განესაზღვრათ და სურთ დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლა, არ მოეთხოვებოდეთ სტატუსის მინიჭების პროცედურის თავიდან გავლა და ჰქონდეთ უფლება, სტატუსის არსებობა სხვა კანონიერი საშუალებით დაადასტურონ. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო[878] შესაძლებლად მიიჩნევს სოციალური პაკეტით სარგებლობის შესახებ ინფორმაციის წარდგენას.[879]

21.7.სათემო სერვისებში არსებული მდგომარეობა

სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარკვეული ნაწილი კვლავ დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში ცხოვრობს.[880] ამ პირთათვის განკუთვნილი საცხოვრისი სერვისები კი, თავის მხრივ, ვერ უზრუნველყოფს ოჯახური გარემოს შექმნასა და მათი პირადი ავტონომიის პატივისცემას. არასაკმარისია შშმ პირთა მცირე საოჯახო ტიპის მომსახურებების გეოგრაფიული დაფარვა. სისტემურ დონეზე არ გაიწევა სათანადო ძალისხმევა სერვისით მოსარგებლეთა მხარდამჭერი სოციალური წრის ჩართულობის გასაზრდელად.[881]

2024 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შშმ პირთა სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში[882] მოქმედ 19 დაწესებულებაში[883] განხორციელებულმა ვიზიტებმა ცხადყო, რომ მათ მიერ მიწოდებული

---

[878] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის 2024 წლის 2 აპრილის წერილი MOH 02400376981.

[879] ასეთი დოკუმენტის გაცემა შეუძლია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელიც ქვეყანაში აღნიშნული ფულადი გასაცემლის ადმინისტრირების ორგანოა.

[880]საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშით გაცემულია რეკომენდაცია 2023-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ვადაში შესრულების თაობაზე, გვ. 276, დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <bit.ly/4hmgUnc> ბოლოს ნანახია [20.03.2025]. რეკომენდაცია აისახა პარლამენტის დადგენილებაში, „2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე. მნიშვნელოვანია ამ რეკომენდაციის შესრულება და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დროულად და ეფექტიანად წარმართვა.

[881]ამ კუთხით დადებითი პრაქტიკა გამოვლინდა დაწესებულებაში, ა(ა)იპ „მარიკა - ღირსეული სიცოცხლისათვის", სადაც ცალკეა გაწერილი ნათესავებთან ურთიერთობის სტრატეგია. სტრატეგია ასისტენტებისთვის მკაფიოდ განსაზღვრავს როგორ და რა სახით უნდა აწარმოონ კომუნიკაცია ბენეფიციარების ახლობლებთან. ასევე, დადებითი პრაქტიკა იყო ამ კუთხით ა(ა)იპ „ხელი ხელს" (დუშეთი) სერვისში.

[882]ქვეპროგრამა მოიცავს ხანდაზმულთა და შშმ პირთა სათემო მომსახურებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის მცირე საოჯახო ტიპის მომსახურების უზრუნველყოფის კომპონენტებს.

[883]მონიტორინგი ჩატარდა შემდეგ დაწესებულებებში: ა(ა)იპ „სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი"; კლინიკა „ლაიფი"; ა(ა)იპ „ხელი ხელს" (დუშეთი); ა(ა)იპ „მარიკა - ღირსეული სიცოცხლისათვის" (დუშეთი); თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი; ა(ა)იპ „ხელი ხელს" (თბილისის მე-2 ფილიალი); სათემო ორგანიზაცია „თეას სახლი" (წყალტუბო); ა(ა)იპ „იმერეთი"

სერვისი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ვერ უზრუნველყოფს სოციალურ ინკლუზიას, ინდივიდუალურ განვითარებას და შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას. რიგ შემთხვევებში დაწესებულებების მდებარეობა არ იძლევა თემში სათანადოდ ინტეგრაციის საშუალებას. შემოწმებული დაწესებულებების უმეტესობაში ინსტიტუციური ბუნებისთვის დამახასიათებელი დღის რეჟიმის არსებობა ვერ უზრუნველყოფს ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემას და მცხოვრებთა დიფერენცირებული საჭიროებების დაკმაყოფილებას.[884] ზოგიერთ ფსიქიატრიულ საცხოვრისში იგრძნობა სამედიცინო მიდგომა.[885]

აღსანიშნავია, რომ საცხოვრისებში ძირითადად ადგილზეა სტანდარტით გათვალისწინებული დოკუმენტები, თუმცა ჟურნალები რიგ შემთხვევებში ცარიელია[886] ან ფრაგმენტულად იწარმოება. კერძოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე განხორციელებული ინტერვენციის, აქტივობებისა და შედეგების თაობაზე ინფორმაცია სრულყოფილად არ არის დოკუმენტირებული.[887] ზოგან ჟურნალები ფუნქციურად სწორად არ არის გამიჯნული. პრობლემურია ბენეფიციარების პირადი საქმეების წარმოების პრაქტიკა.[888] მომსახურების ინდივიდუალური გეგმების შემუშავებაში მცხოვრებლები სათანადოდ არ არიან ჩართულნი და მათი წარმოების პროცესი ფორმალურია.[889] სერვისით

(წყალტუბო, სოფ. მაღლაკი); ა(ა)იპ „ჩვენი დიდი ოჯახი" (წყალტუბო, ბანოჯა); ა(ა)იპ „იცხოვრე ჩვენთან (წყალტუბო, ქვიტირი); ა(ა) იპ „საქველმოქმედო კავშირი თემი"; ა(ა)იპ „ბროწლიანის სათნოების სახლი"; ა(ა)იპ „თაობათა კერა"; ა(ა)იპ „უზრუნველი სიბერე"; ა(ა)იპ „ქარე"; ა(ა)იპ „მარიკა-ღირსეული სიცოცხლისთვის" (ზუგდიდი); ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „ბარბარე" (ურეკი); ა(ა)იპ „ადაპტი - თანასწორობისა და განვითარების ცენტრი" (ოზურგეთი).

884 ამ მხრივ, დადებითი პრაქტიკის მაგალითია ა(ა)იპ „ხელი ხელს" (დუშეთი, მწითურის ქუჩა №45) და ა(ა)იპ „მარიკა-ღირსეული სიცოცხლისთვის" მიერ მიწოდებული სერვისი, სადაც ბენეფიციარებს აქვთ თავისუფალი რეჟიმი და დღის აქტივობების საკუთარი სურვილისამებრ დაგეგმვის შესაძლებლობა.

885 მაგ., თბილისის_ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის სათემო საცხოვრისში ოთახებს მოიხსენიებდნენ პალატებად, ხოლო მცხოვრებლებს - პაციენტებად. დასახლებული ტიპის საცხოვრისებთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში ნაკლებად იკვეთება გართულებული/კრიზისული შემთხვევები და სტაციონირების, ფიზიკური ან ქიმიური შეზღუდვის გამოყენების საჭიროება. ეს მიუთითებს სტაციონარგარე, სათემო ფსიქიატრიული სერვისების განვითარებისა და სტაციონარების განტვირთვის აუცილებლობაზე, განსაკუთრებით იმ პაციენტებისგან, რომლებიც ხანგრძლივად, სოციალური მიზეზების გამო არიან დაწესებულებებში დაყოვნებულები.

886 იგულისხმება აზრის გამოხატვის პასუხად გატარებული ღონისძიებების, ძალადობის ფაქტების პასუხად გატარებული ღონისძიებებისა და უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალები. რიგ შემთხვევებში ჟურნალში ჩანაწერი არ მოიძებნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრებით შესაბამისი ფაქტები იკვეთებოდა.

887 უმეტეს შემთხვევებზე მითითებულია, რომ ჩატარდა ინდივიდუალური გასაუბრება, თუმცა, ვისი ჩართულობით ან რა შედეგი დადგა, არ ირკვევა.

888 ზოგიერთ საქმეებში არ არის მხარდაჭერის მიმღებად აღიარების შესახებ დოკუმენტი და ნათესავის/საკონტაქტო პირის მონაცემები.

889 ინდივიდუალური განვითარების გეგმები შაბლონურია და ყველა მიზანი, მიუხედავად იმისა, რომ მონიშნულია შესრულებულად, გადატანილია მომდევნო 6-თვიან გეგმაში.

მოსარგებლეები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები საკუთარი უფლებების თაობაზე[890] და თითქმის არ სარგებლობენ ანონიმური უკუკავშირის საშუალებებით.

აღსანიშნავია რომ შშმ პირთა დაწესებულებებში სათანადოდ არ არის დაცული კონფიდენციალობის სტანდარტი.[891] მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლებისთვის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ძირითადად გაწერილია ხელშეკრულებებში, ისინი არ ფლობენ ამ საკითხზე სრულყოფილ ინფორმაციას.[892]

შემოწმებულ დაწესებულებებში შეინიშნება კადრების ნაკლებობა და ფუნქციური გადატვირთვა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია იქ, სადაც თავად პერსონალია დანიშნული მცხოვრებლების მხარდამჭერად.[893] რეგიონებში შეინიშნება კვალიფიციური კადრების მოძიების პრობლემა და ისეთი საკვანძო კადრების დეფიციტი, როგორებიცაა მომვლელი,[894] ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი.[895] კვლავ პრობლემად რჩება კაცი მომვლელების დასაქმება. არასაკმარისია მცხოვრებთა ინტერესების გათვალისწინებით,

[890] გამონაკლისია ა(ა)იპ „სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი“, რომელსაც დიდი ძალისხმევა აქვს გაწეული როგორც პერსონალის, ისე მცხოვრებთა გასაძლიერებლად. მიმწოდებელი ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობდა დონორ ორგანიზაციებთან და საელჩოებთან, რაც დადებითად აისახებოდა ბენეფიციარების კეთილდღეობაზე. სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონით გაწერილი ვალდებულებები საფრთხეს უქმნის, როგორც ამ მხარდაჭერის გაგრძელებას, ისე, ზოგადად სერვისის ფუნქციონირების უწყვეტობას.

[891]რიგ დაწესებულებებში არ არის კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით წერილობითი ფორმები პერსონალისა და ბენეფიციარებისთვის. არის შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარების სამედიცინო საჭიროებებსა და მდგომარეობაზე საუბრობენ ყველას თანდასწრებით. იმ დაწესებულებებშიც კი, სადაც ადგილზეა თანხმობის გამოხატვის ფურცელი, ფორმა არის ზოგადი, კონკრეტულ მასალაზე (რაზეც ვრცელდება თანხმობა), შევსების თარიღზე, მოქმედების პერიოდსა და სხვა მნიშვნელოვან დეტალებზე მიუთითებლად. ბუნდოვანია ასევე, თანხმობა გაცემულია სერვისში ყოფნის ვადით, თუ მიემართება კონკრეტულ ღონისძიებას.

[892] რიგ შემთხვევებში, ცალკეული ღონისძიების ფოტო-ვიდეომასალის განთავსების შემთხვევაში ზეპირი თანხმობა მიიღება ბენეფიციარებისგან, თუმცა ამის დოკუმენტირება არ ხდება.

[893]მხარდამჭერისთვის დაკისრებული ვალდებულების გამო მათ რიგ შემთხვევებში უჭირთ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირველადი ვალდებულებების შესრულება და უწევთ ზეგანაკვეთურად მუშაობა, რაც, საბოლოო ჯამში იწვევს პროფესიულ გადაწვას და უარყოფითად აისახება სერვისის ხარისხზე.

[894] მაგ., ეს ტენდენცია გამოიკვეთა დაწესებულებაში ა(ა)იპ „ბროწლიანის სათნოების სახლი“, სადაც მომვლელების თანაფარდობა, მცხოვრებთა რაოდენობისა და მათი საჭიროებების (დაწესებულებაში ცხოვრობენ ეტლით მოსარგებლე, ასევე, ინტელექტუალური ნიშნით შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირები, რომლებიც შედარებით ინტენსიურ ზრუნვას საჭიროებენ) გათვალისწინებით არასაკმარისია.

[895] ხშირად ეს დაკავშირებულია რეგიონებში კადრების დეფიციტთან და არასაკმარის ფინანსურ რესურსთან. მაგ., თემში, „ქედელი“ ადრე დასაქმებული იყო ფსიქოლოგი, თუმცა, ვიზიტის დროისთვის ეს კადრი უკვე აღარ ემსახურებოდა სერვისს. სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის საჭიროება გამოვლინდა ასევე ა(ა)იპ საქველმოქმედო კავშირში, „თემი“.

ფსიქოსოციალური,[896] პროფესიული ორიენტაციის, დასაქმების მხარდამჭერ სერვისებში ჩართვისა[897] და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გაძლიერებისკენ მიმართული ძალისხმევა.[898] გასაძლიერებელია მუშაობა სერვისში განთავსებულ შშმ პირთა პოლიტიკურ,[899] სპორტულ და კულტურულ ცხოვრებაში ჩასართავად.[900] ზოგიერთ სერვისში ბენეფიციარები დასაქმებულნი არიან დაწესებულების ფარგლებში მოქმედ სოციალურ საწარმოში[901] ან ასრულებენ საყოფაცხოვრებო საქმიანობას ანაზღაურების გარეშე. ზოგჯერ იკვეთება შრომის არათანაბრად გადანაწილების ტენდენცია, შედარებით მაღალფუნქციური მცხოვრებლები უფრო მეტად იტვირთებიან როგორც საერთო სარგებლობის სივრცეების დალაგების, საკვების მომზადების, ისე სხვა ბენეფიციარებზე ზრუნვის კუთხით.[902] ძალაში შესული რეგულაციებისა და დაფინანსების არსებული მოდელის პირობებში მწვავედ დგას პერსონალის გადამზადებისთვის საჭირო რესურსის მობილიზების საკითხი.[903] იკვეთება პერსონალის გადამზადების საჭიროება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების,[904] ქცევის პოზიტიური მართვის, ვერბალური დეესკალაციის ტექნიკების, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, ალკოჰოლური

[896] მაგ., სერვისში, ა(ა)იპ „ბროწლიანის სათნოების სახლი“, არ იყო რეაბილიტაციისთვის ან/და ბენეფიციართა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისთვის საჭირო სივრცე და რესურსი. ვიზიტის დროს, საერთო ოთახში, ტელევიზორი იყო გაფუჭებული.

[897] დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სერვისში, „ხელი ხელს“ (თბილისი, ავჭალა, 1 მუხიანის სამხედრო დასახლება), მცხოვრები დადის პროფესიულ კოლეჯში „მერმისი“ და სწავლობს თექაზე მუშაობას. იგი ყოველდღე დამოუკიდებლად მიდის კოლეჯში, ერთი მცხოვრები გეგმავს პროფესიულ განათლებაში ჩართვას. ასევე, დუშეთში მდებარე სერვისის, ა(ა)იპ „მარიკა ღირსეული სიცოცხლისთვის", მცხოვრები დასაქმებული იყო საავადმყოფოში.

[898] მცხოვრებლები გამოთქვამენ მუსიკით, მხატვრობით ან სხვა აქტივობებით დაკავების სურვილს.

[899]მეტი ინფორმაციისთვის იხ. ქვეთავი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკური ცხოვრებაში ჩართულობა.

[900]მონიტორინგის პროცესში პრობლემად გამოიკვეთა ეტლით მოსარგებლე ბენეფიციართა სრულყოფილად ჩართვა დაწესებულების გარე აქტივობებში. ზოგან მიზეზად სახელდება არაადაპტირებული ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა.

[901] მაგ., ორგანიზაციაში, ა(ა)იპ „სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი“, არის ფერმა, საცხობი და ხის სახელოსნო.

[902]ამგვარი პრაქტიკა გამოვლინდა, მაგალითად, თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის სათემო საცხოვრისში.

[903] სათემო სერვისების წარმომადგენელთა განცხადებით, გადამზადება, ძირითადად, ხდებოდა დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ხოლო, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლა, არსებული მცირე რესურსის პირობებში, საფრთხეს ქმნის.

[904] ვინაიდან შშმ პირთა ჯგუფი არ არის ჰომოგენური, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისა და მიმართულებების (მათ შორის, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე) დაფარვა. საჭიროა სწავლება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა საკითხებზეც.

საშუალებების ჭარბად მოხმარების პრევენციის,[905] მხარდაჭერის ინსტიტუტის მოცულობისა და მისი პრაქტიკული რეალიზების[906] საკითხებზე.

პრობლემაა არსებულ საცხოვრებელ სერვისებში შშმ მცხოვრებთა სომატურ სამედიცინო საჭიროებებზე ზრუნვა. ვინაიდან ქვეპროგრამა ვერ ფარავს ყველა ხარჯს, ბენეფიციარებს, ქრონიკული დაავადებებისა და სტომატოლოგიური პრობლემების შემთხვევაში თავად უწევთ სოციალური პაკეტიდან მედიკამენტებისა თუ საჭირო მანიპულაციებისთვის თანხების მობილიზება.

პრობლემურია ზრუნვის სააგენტოს მხრიდან პოზიტიურ თანამშრომლობაზე ორიენტირებული დამოკიდებულებით სათანადო საინფორმაციო მხარდაჭერის გაწევა სერვისის მიმწოდებლებისთვის (მათ შორის, დოკუმენტაციის სწორად წარმოების ნაწილში), გარე მონიტორინგის ხშირად განხორციელება და დეტალური უკუკავშირის მიწოდება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის საკონსულტაციო საბჭოში შემავალი შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა;
- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომების გამართვა დებულებით გათვალისწინებული პერიოდულობით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყოს შშმ პირთა აზრის მშვიდობიანი გამოხატვის უფლების რეალიზება; აქციის მონაწილეთა მიმართ დაგეგმილ თუ განხორციელებულ ყველა საპასუხო ღონისძიებაში გაითვალისწინოს ყველა ტიპის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები, დაიცვას მათი ფიზიკური უსაფრთხოება. მათ შორის:

[905] გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სიტუაციის მართვა ხდება არაპროპორციულად შემზღუდავი საშუალებებით. მაგ., ერთ-ერთ საცხოვრისში ბენეფიციარი გარეთ გასვლის დროს იღებდა ალკოჰოლურ საშუალებას, რის გამოც, მას 1 თვით შეეზღუდა გასვლის შესაძლებლობა. შემზღუდავი მექანიზმის ალტერნატივა დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო.

[906] განსაკუთრებით აქტუალურია იმ დაწესებულებებში, სადაც მხარდამჭერად დანიშნულ პერსონალს სხვა საკითხებთან ერთად უწევს ბენეფიციართა საბანკო ბარათზე დარიცხული სოციალური პაკეტის განკარგვაში დახმარება. მხარდამჭერ პირებს სჭირდებათ ინფორმაციული გაძლიერება იმის თაობაზე, თუ რა მოცულობითა და ინტენსივობით უნდა ერეოდნენ სენსიტიურ სფეროებში გადაწყვეტილების მიღებაში. ასევე, როგორია მხარდამჭერის როლი იმ შემთხვევებში, როდესაც გარკვეულწილად ადგილი აქვს კოლიზიას ბენეფიციარის სურვილებსა და ინტერესებს შორის. მხარდამჭერებისთვის ასევე ბუნდოვანია მათი მხარდამჭერი ფუნქცია რეპროდუქციულ სფეროებში გადაწყვეტილების მიღებისა და ოჯახური ცხოვრების დაგეგმვის პროცესში.

- პროტესტის დაშლის გამაფრთხილებელი შეტყობინება გავრცელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომი ფორმით;
- შეკრების და დემონსტრაციების დაშლის თუ მონაწილეთა დაკავების დროს, პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყონ, რომ დაკავებულთათვის ნივთების ჩამორთმევის დროს არ ხელყონ შშმ პირთა ისეთი დამხმარე საშუალებები, რაც მათი დამოუკიდებელი გადაადგილებისა ან/და კომუნიკაციის საშუალებას წარმოადგენს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა რეაბილიტაციის სერვისები შეცვალოს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს როგორც ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრების, ისე მომსახურებაში ჩართული ბენეფიციარების რიცხვის მნიშვნელოვანი გაზრდა;
- ფსიქიატრიული სტაციონარული საწოლების დეფიციტის აღმოფხვრის პროცესში უზრუნველყოს მულტიპროფილურ საავადმყოფოებში ფსიქიატრიული განყოფილებების ამოქმედება;
- უზრუნველყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის 2022-2030 წლების სტრატეგიის განხორციელების შემდეგი წლების სამოქმედო გეგმის დროული შემუშავება; ახალ გეგმაში აისახოს 2022-2024 წლების სამოქმედო დოკუმენტით გათვალისწინებული და შეუსრულებელი აქტივობები;
- უზრუნველყოს „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებების ადაპტირება შშპ პირებისთვის;
- უზრუნველყოს სამშობიარო/ანტენატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების ექიმებისა და ექთნების 100%-ის გადამზადება შშმ პირთა სპეციფიკის გათვალისწინებით;
- უზრუნველყოს „ბავშვზე ზრუნვის ერთიანი ტექნიკური რეგლამენტის“ განახლება და სკოლა-პანსიონის ზრუნვის სტანდარტის ინტეგრირების პროცედურების ბოლომდე დასრულება;
- შშმ პირთა აქტიური ჩართულობით, უზრუნველყოს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დადგენილ ვადებში შესრულება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირებისთვის, რომელთაც სტატუსი 2007 წლამდე მოქმედი ბიუროების მიერ უვადოდ აქვთ დადგენილი, უზრუნველყოს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის მოქნილი პროცედურების შექმნა.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- მიიღოს საჭირო ზომები 2025 წლის არჩევნებში სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის:
    - ზედამხედველობა გაუწიოს იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რომელთა გამოც სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ შშმ პირებს დაერღვათ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება;
    - მხარდაჭერის მიმღებ პირთა პასიური საარჩევნო უფლების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოს მხარდამჭერი პირების მიერ ვალდებულებების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი.
- უზრუნველყოს თანამშრომლობაზე ორიენტირებული დამოკიდებულებით სათანადო საინფორმაციო მხარდაჭერის გაწევა სათემო სერვისების მიმწოდებლებისთვის;
- უზრუნველყოს გარე მონიტორინგის მინიმუმ წელიწადში ერთხელ ჩატარება და დეტალური უკუკავშირის მიწოდება სათემო სერვისების მიმწოდებლებისთვის. გარდა ამისა, ზედამხედველობა გაუწიოს სერვისების მიმწოდებელთა მხრიდან მოქმედი სტანდარტით განსაზღვრული დოკუმენტაციის დეტალურად წარმოების წესის დაცვას (განსაკუთრებით ძალადობის ფაქტების პასუხად გატარებული ღონისძიებების წერილობითი აღრიცხვისა და უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალების წარმოებას) და ანონიმური უკუკავშირის მექანიზმის გამართულად ფუნქციონირებას;
- ხელი შეუწყოს შშმ პირთა საცხოვრებელ სერვისებში მცხოვრებ პირთა სოციალურ ინკლუზიას, ინდივიდუალურ განვითარებას, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას, ასევე, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის, პროფესიული/უმაღლესი განათლების პროგრამებში ჩართვისა და შრომით ბაზარზე დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას;
- უზრუნველყოს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის შესახებ პერსონალთა და ბენეფიციართა თანხმობის დეტალური ფორმების შემუშავება. სერვისის მიმწოდებლებისთვის ამ საკითხზე კონსულტაციის გაწევა და სუპერვიზია;
- ხელი შეუწყოს შშმ პირთა საცხოვრებელ სერვისებში მცხოვრებლებთან ინდივიდუალური მიდგომით მუშაობას, მათ შორის, მომსახურების ინდივიდუალური გეგმების წარმოებასთან დაკავშირებით შესაბამისი კონსულტაციის გაწევით;
- ხელი შეუწყოს შშმ პირთა საცხოვრებელ სერვისებში შესაბამისი სპეციალისტების ჩართვას (განსაკუთრებით, მომვლელის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და თერაპევტების) და დასაქმებული კადრების პროფესიული გადაწვის პრევენციას, მომსახურების ეფექტიანობის გასაზრდელად;
- უზრუნველყოს შშმ პირთა საცხოვრის სერვისებში დასაქმებული პერსონალის გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების, ქცევის პოზიტიური მართვის, დეესკალაციის ვერბალური ტექნიკების, პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, ალკოჰოლური საშუალებების ჭარბად მოხმარების პრევენციის, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის, მხარდაჭერის ინსტიტუტის მოცულობისა და მისი პრაქტიკული რეალიზების საკითხებზე;

- უზრუნველყოს სერვისებით მოსარგებლეთა ცნობიერების ამაღლება მათ უფლებებთან და უფლებების დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას:

- უზრუნველყოს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების უწყვეტი გადამზადება შშმ პირებისთვის მისაწვდომი სერვისების შესახებ;
- 2025 წლის არჩევნებისთვის უზრუნველყოს უსინათლო პირთა მიერ პასიური საარჩევნო ხმის უფლების დამოუკიდებლად რეალიზების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოქმედი შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს საქმიანობისთვის კონკრეტული გარანტიების შექმნა და იმგვარი კოორდინაცია, რაც შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფს ეფექტიანი მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს.

იუსტიციის სასწავლო ცენტრს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- უზრუნველყონ შშმ პირთა უფლებების შესახებ ტრენინგების (5 ტრენინგი) ჩატარება საჯარო სკოლების ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისთვის (არანაკლებ 50 პირის მონაწილეობით).

ა(ა)იპ „პროფესიული უნარების სააგენტოს“:

- უზრუნველყოს დამატებითი საჭიროებების მქონე ჯგუფების საჭიროებების შეფასების სისტემის დანერგვა პროფესიული განათლების საფეხურზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას:

- უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მერთან არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭოს ეფექტიანი ფუნქციონირება. მათ შორის:
  - უმოკლეს ვადებში განაახლოს საბჭოს შემადგენლობა;
  - უზრუნველყოს საბჭოს უპირატესად შშმ პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციებით და შშმ პირებით დაკომპლექტება;
  - უზრუნველყოს საბჭოს სხდომების გამართვა დებულებით გათვალისწინებული პერიოდულობით.

22.ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

22.1.შესავალი

2024 წელს საქართველოში ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით კვლავ არაერთი გამოწვევა გამოვლინდა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში განგრძობითად გამოკვეთილმა სწავლის მიტოვების მზარდმა მაჩვენებელმა იკლო. მიუხედავად ამისა, სწავლის მიტოვებისა და სტატუსის შეჩერების სტატისტიკა მაინც მაღალია და წინა წლების მსგავსად, ძირითადად, ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრებას უკავშირდება.

ბავშვთა ძალადობისგან დაცვა მიმდინარე საანგარიშო წელსაც ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ძალადობის პრევენციის გაძლიერება კრიტიკულად მნიშვნელოვანია და საჭიროებს, ერთი მხრივ, ბავშვებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას, ხოლო, მეორე მხრივ, პასუხისმგებელი უწყებებისადმი ნდობის ჩამოყალიბებასა და ბავშვზე მორგებულ მიდგომას, რაც ძალადობის შემთხვევებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების აუცილებელი წინაპირობაა. ამას გარდა, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ძალადობის ფაქტების დროული გამოვლენა, კოორდინირებული, ინტერდისციპლინური მიდგომა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს სისტემური გაუმჯობესების აუცილებლობას.

2024 წელსაც პრობლემა იყო ბავშვთა სარეაბილიტაციო სერვისებისა და სპეციალისტთა რაოდენობის სიმცირე. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში დასაქმებული იყო 278 სოციალური მუშაკი და 30 ფსიქოლოგი.[907] მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა, სოციალური მუშაკების საშტატო ვაკანსიები სრულად კვლავ არ არის შევსებული[908] და, შესაბამისად, არსებულ საჭიროებას ვერ აკმაყოფილებს.

[907] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 1 25 00228023 - 28/02/2025.

[908] იქვე, 2024 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში სოციალური მუშაკის 299 საშტატო ერთეულია. ფაქტობრივად დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა 278 შეადგენს, რომელთაგან 10 შრომითი ხელშეკრულებითაა დასაქმებული. სააგენტოში ფსიქოლოგების 28 საშტატო ერთეულია, ფაქტობრივად კი დასაქმებულია 30 ფსიქოლოგი, მათგან 7 - შრომითი ხელშეკრულებით. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მდგომარეობით, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში გათვალისწინებული იყო სოციალური მუშაკის 283 საშტატო ერთეული, ფაქტობრივად დასაქმებულთა რიცხვი 255 შეადგენდა, რომელთაგან 15 სოციალური მუშაკი დასაქმებული იყო შრომითი ხელშეკრულებით. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში, გასულ საანგარიშო წელს, გათვალისწინებული იყო ფსიქოლოგის 20 საშტატო ერთეული. ფაქტობრივად დასაქმებული იყო 19 ფსიქოლოგი, მათგან 5 შრომითი ხელშეკრულებით. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 278, 279. ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x > [ბოლოს ნანახია: 26/02/2025].

2024 წელს ბავშვთა აზრის გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების რეალიზებასთან, ამ პროცესში მათი ძალადობისგან დაცვასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოიკვეთა. აღნიშნული უკავშირდება ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ დაბალ ინფორმირებულობას, სტერეოტიპებსა და შესაბამის პრაქტიკას.[909]

22.2.განათლების უფლება

22.2.1. ადრეული და სკოლამდელი განათლება

2024 წელს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის 1713 დაწესებულებაში 137 474 აღსაზრდელი ირიცხებოდა.[910] საქართველოს მთავრობის მიერ ჯერ კიდევ 2023 წელს 330 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობისა და 555 ბაღის რეაბილიტაციის პროექტის ინიცირების მიუხედავად, რაც სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა[911], ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2024/2025 წელს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა რაოდენობა მხოლოდ ხუთით გაიზარდა[912]. შესაბამისად, სკოლამდელ განათლებაზე როგორც გეოგრაფიულ, ისე ინფრასტრუქტურულ და ფიზიკურ მისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევები კვლავ აქტუალურია. როგორც წინა წლებში, გამოწვევას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების სკოლამდელ განათლებაზე სრულფასოვანი მისაწვდომობა.[913]

დმანისისა და ონის მუნიციპალიტეტებში, ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, მისასალმებელია, მოცემულ ეტაპზე, ალტერნატიული სკოლამდელი განათლების მოდელის საპილოტე რეჟიმში დანერგვა. თუმცა, ამის პარალელურად, აუცილებელია სათანადო ღონისძიებების განხორციელება ყველა მუნიციპალიტეტში

[909] ამ საკითხთან მიმართებით, ასევე, იხ. სახალხო დამცველის განცხადებები: 2024 წლის 11 მაისის განცხადება: < https://bit.ly/4bK4N2g > [ბოლოს ნანახია: 20/02/2025] და 2024 წლის 3 დეკემბრის განცხადება: < https://bit.ly/4kCIY8J > [ბოლოს ნანახია: 20/02/2025]. აღსანიშნავია, რომ, მნიშვნელოვანია ბავშვები აღქმულ იყვნენ უფლებების მატარებელ სრულფასოვან სუბიექტებად და არ შეეზღუდოთ, ერთი მხრივ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებები დაცული იყოს სწავლების პროცესში მესამე პირების მხრიდან ხელის შეშლისგან.

[910] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ინფორმაცია მისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/7o3De >[ბოლოს ნანახია: 28/02/2025].

[911] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი“, გვ. 263, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/OF9xa> [ბოლოს ნანახია: 28/02/2025]; ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 279, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x > [ბოლოს ნანახია: 26/02/2025].

[912] სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რაოდენობა წლების მიხედვით: 2021/2022 – 1 648; 2022/2023 – 1 668; 2023/2024 – 1 708; 2024/2025 – 1 713;

[913] ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების ადრეულ და სკოლამდელ განათლებაზე მისაწვდომობის შესახებ იხ. წინამდებარე ანგარიშის ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თავის განათლებაზე ხელმისაწვდომობის ქვეთავი.

ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ ეროვნული კანონმდებლობისა და სტანდარტების შესაბამისი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.[914]

1.2.2. ზოგადი განათლება

ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 2086 საჯარო და 206 კერძო სკოლა, რომელთაგან 9 პანსიონური მომსახურებისაა, ხოლო მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა, 2024-2025 სასწავლო წლის მონაცემებით, 640 499-ს შეადგენს .[915]

2024 წელს ჯამურად 10800 მოსწავლეს შეუჩერდა ან შეუწყდა[916] მოსწავლის სტატუსი, რაც 2601 მოსწავლით ნაკლებია 2023 წელთან შედარებით. აქედან 7 599 მოსწავლეს შეუჩერდა, ხოლო 3201 მოსწავლეს შეუწყდა მოსწავლის სტატუსი.[917] 1976 (10800 მოსწავლიდან) უცხოეთის მოქალაქეა, 2 კი მოქალაქეობის არმქონე.[918] სტატისტიკის თანახმად, სტატუსის შეჩერება ყველაზე ხშირად, დაკავშირებულია ისეთ საფუძვლებთან, როგორიცაა „ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ გამგზავრება“, „მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება“, „პროფესიულ კოლეჯში სწავლის გაგრძელება“ და „ზედიზედ გაცდენების ზღვრული რაოდენობა“. ამასთანავე, ტერიტორიული განფენილობის მიხედვით, 2024 წელს სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში (4170), ასევე, ქვემო ქართლისა (1979) და აჭარის (1273) რეგიონებში დაფიქსირდა .[919]

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი, წლებია, უთითებს მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ერთიანი სტატისტიკის სრულყოფისა და დახვეწის აუცილებლობაზე, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს

---

[914] ინფორმაცია მისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/sVyGn> [ბოლოს ნანახია: 26/02/2025].

[915] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია MES 8 25 0000141479, 12/02/2025.

[916] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანების მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია: 1) ზედიზედ 45 სასწავლო დღის გაცდენა; 2) მოსწავლის საზღვარგარეთ გამგზავრება, რის თაობაზეც მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წარადგენს განცხადებას; 3) სკოლაში 12 წლის სწავლის შემდეგ ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შეუძლებლობა და სტანდარტული ვაუჩერის შესაბამისი თანხის გადაუხდელობა; 4) არასრულწლოვანი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, ან სრულწლოვანი მოსწავლის წერილობითი განცხადება სტატუსის შეჩერების შესახებ. მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შესაძლოა იყოს კერძო სკოლაში არსებული ფინანსური დავალიანება, როგორც განსაზღვრულია ზოგადი განათლების შესახებ კანონით. აქვე, აღსანიშნავია, რომ განათლების სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, რიგ შემთხვევებში, ავადმყოფობა, გარდაცვალება, დაოჯახება, მუშაობის დაწყება, მშობლის განცხადება და პროფესიულ კოლეჯში სწავლის გაგრძელება, შესაძლოა იყოს როგორც სტატუსის შეჩერების, ისე შეწყვეტის საფუძველი. გარდა ამისა, სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებს შორის ასევე სახელდება დონის დაძლევით ამორიცხვა და სკოლიდან გარიცხვა.


[917] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია MES 5 25 0000216680, 28/02/2025.

[918] იქვე. გარდა ამისა, განათლების სამინისტროს მიერ წარმოებული სტატისტიკის თანახმად, უცნობია 3 მოსწავლის მოქალაქეობა, ხოლო 13 მოსწავლის შემთხვევაში აღნიშნული სტატისტიკური მონაცემი არ არის მითითებული.

[919] იქვე.

ინფორმაციით, კვლავაც მიმდინარეობს მუშაობა სტატუსის შეჩერების მიმართვების სტატისტიკის დახვეწაზე, მათ შორის, შიდაუწყებრივ რეგულირებაში ცვლილებების კუთხით და პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე.[920]


ცხრილი № 1. *მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის სტატისტიკა*[921]



[920] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია MES 8 25 0000141479, 12/02/2025.

[921] იქვე. ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 281, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x [ბოლოს ნანახია: 26/02/2025].

ცხრილი № *2. მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის საფუძვლები*[922]



დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, 2024 წელს განახორციელა 94 სკოლის სრული და 200-მდე სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, დაასრულა 3 სკოლის სამშენებლო სამუშაოები და ასევე, დაიწყო 11 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პროექტირება/მშენებლობა.[923]

2023 წელს, „სასკოლო კვების პროგრამის“ დამტკიცების მიუხედავად,[924] სამწუხაროდ, ამ მიმართულებით, 2024 წელს ხელშესახები შედეგები არ დამდგარა.[925]

[922] იქვე.

[923] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კორესპონდენცია MES 8 25 0000141479, 12/02/2025.


[924] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 283, ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x > [ბოლოს ნანახია: 26/02/2025].

[925] ამის თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველს გაცემული აქვს რეკომენდაცია, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 295, ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x > [ბოლოს ნანახია: 26/02/2025]. აღნიშნული ასახულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში – „2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“

22.3. ბავშვთა დაცვა ძალადობისგან

წლიდან-წლამდე უცვლელ გამოწვევად რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობის სრულყოფილი, დეტალური სტატისტიკის წარმოება, რაც შესაძლებელს გახდიდა ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის რაოდენობრივი მონაცემების მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეფასებას.[926] სახალხო დამცველის აპარატის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, ეს საკითხი არათუ არ გამოსწორებულა, არამედ სტატისტიკა კიდევ უფრო ზოგადი გახდა და ამჟამად დადგენაც კი შეუძლებელია, ბავშვის მიმართ ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის, გაუპატიურების და სხვა რამდენ შესაძლო დანაშაულზე დაიწყო გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.[927]

ცხრილი № 3[928]



სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ მიმართვების 2024 წლის მონაცემები

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე, გვ. 35, ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/R8w8i > [ბოლოს ნანახია: 20/03/2025].

[926] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული საპასუხო კორესპონდენცია: MIA 5 25 00326273, 05/02/2025.

[927] რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, 2024 წელი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ინფორმაცია მისაწვდომია: < https://bit.ly/4iDk2w0 > [ბოლოს ნანახია 20.03.25]; ოჯახში ძალადობის სტატისტიკა (2024 წელი), შინაგან საქმეთა სამინისტრო: ინფორმაცია მისაწვდომია: < https://bit.ly/4iGRCBm >[ბოლოს ნანახია 20.03.25]; ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი", გვ. 295, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x > [ბოლოს ნანახია: 26/02/2025]; ასევე, იხ. სპეციალური ანგარიში „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება", 2021 წელი, გვ. 94, ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/4bhqKoZ > [ბოლოს ნანახია: 26/02/2025].

[928] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 1 25 00228023, 28/02/2025.

აღსანიშნავია ასევე, ბავშვთა მიმართ სკოლაში სხვადასხვა ფორმით ძალადობის, ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური დასჯის გამოვლენილი შემთხვევები. სამწუხაროდ, ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის საქმისწარმოების შედეგები ცხადყოფს დროში თვეობით, გარკვეულ შემთხვევებში კი, წელიწადზე მეტხანს გაჭიანურებულ რეაგირებას,[929] ეს არა მხოლოდ დაცვის მექანიზმის არაეფექტიანობაზე, არამედ, ბავშვის მიერ დაცვის უფლების სათანადო რეალიზების შეუძლებლობაზეც მიუთითებს. ამასთანავე, დისციპლინური წარმოების პროცესში ბავშვთა ინფორმირებული მონაწილეობა, კონფიდენციალობის უზრუნველყოფა, გაკიცხვისგან დაცვა, ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა და არასრულწლოვანთა უფლებების ეფექტიანი რეალიზება მწვავე პრობლემად რჩება.

22.3.1. ოჯახში ძალადობა

ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის დანაშაულებთან ბრძოლის კუთხით ქვეყანაში კვლავ არაერთი გამოწვევა რჩება, როგორც მათი გამოვლენის, ისე დროული, და ეფექტიანი რეაგირების თვალსაზრისით. ამასთანავე, განგრძობითად პრობლემურია ბავშვებისა და ზრდასრულების დაბალი ინფორმირებულობა. სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად,[930] ყოველივე ზემოჩამოთვლილზე კიდევ უფრო უარყოფითად აისახება ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერაზე, რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სერვისების სიმწირე და პოზიტიური მშობლობის, ქცევის კორექციის პროგრამების არარსებობა.

2024 წელს 2172 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და 608 ბავშვი იქნა დაზარალებულად ცნობილი ოჯახში ძალადობის საფუძველზე.[931] თუმცა, ეს მონაცემი მხოლოდ იმ საქმეთა რაოდენობას აღწერს, სადაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სტატისტიკის წარმოების ხარვეზების გამო, ამ ეტაპზე, შეუძლებელია დადგენა, ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის რამდენი შემთხვევა გადამისამართდა სამართალდამცავ უწყებაში და რამდენზე დაიწყო გამოძიება. ასევე, ვერ დგინდება, რამდენი შემაკავებელი ორდერი გამოიცა ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ბავშვის დაცვის მიზნით. ამჟამადაც, მხოლოდ იმ საქმეების რაოდენობა არის მისაწვდომი, რომელზეც საქართველოს გენერალური პროკურატურა აწარმოებს სტატისტიკას.


---

[929] საქმისწარმოებაში არსებული საქმეები: №2443/2024, №2612/2024, №6095/ო2024, №7619/2024, №8683/2024, №6510/2024, №2230/24, №2881/2024, №3777/24. მითითებული საქმეები წარმოადგენს მაგალითებს, რომლებიც არ მოიცავს დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ ყველა საქმეს, თუმცა ცხადყოფს რეაგირების პროცესში არსებულ დროულობის სისტემურ პრობლემას.

[930] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, გვ. 276, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/OF9xa > [ბოლოს ნანახია: 28/02/2025], ასევე, იხ. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება“. 2023 წელი, გვ. 37-40. ხელმისაწვდომია: < https://shorturl.at/vIfft > [ბოლოს ნანახია: 28/02/2025].

[931] საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული საპასუხო კორესპონდენცია: №13/6671, 06/02/2025.

ცხრილი № 4



2024 წელს, არასრულწლოვანთა მიმართ ოჯახში ძალადობის 155 საქმეზე მიღებულ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ბავშვთა მიმართ ძალადობის საფუძვლით გამოიცა 19 დამცავი ორდერი.[932] აქვე, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ინფორმაციით, 2024 წელს ოჯახში ძალადობის, უგულებელყოფის, ფსიქოლოგიური ძალადობის საფუძვლით ბიოლოგიური ოჯახიდან 297 ბავშვი განცალკევდა.[933] საქმისწარმოების შედეგები კვლავ მიუთითებს ქვეყანაში ბავშვზე ორიენტირებული, მყისიერი რეაგირებისა და გრძელვადიანი გაძლიერების მექანიზმების სიმწირეზე ან არარსებობაზე. მათ შორის, განსაკუთრებით პრობლემურია ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მშობლების მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობა და მანიპულირება ბავშვებზე, რაც სახელმწიფო უწყებათა არაეფექტიანი, დაგვიანებული ინტერვენციის შედეგად, ძირითადად, გადაწყვეტილებათა აღსრულების წლობით გაჭიანურებას იწვევს და ბავშვებისადმი განგრძობით ძალადობის რეალურ რისკს ქმნის.[934]

22.3.2. სექსუალური ძალადობა

ბავშვთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დაცვის კუთხით მისასალმებელია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გადადგმული ნაბიჯები, არსებული პოლიტიკის გამკაცრების, მონიტორინგის მექანიზმის დანერგვის, პრევენციისა და ბავშვების მხარდაჭერის მიმართულებით.[935] მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული

[932] საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია № პ-51-25, 27/02/2025.

[933] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 1 25 00228023, 28/02/2025.

[934] საქმისწარმოებაში არსებული საქმეები: №7075/2024, №7510/2024, №1654/2024, №1395/2024, №2324/24. [934] შეფასება ეფუძნება კონკრეტული საქმეების შესწავლის შედეგად გამოკვეთილ ტენდენციებს, რომლებიც ხაზგასმით მიუთითებს რეაგირების პროცესში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმეები არ წარმოადგენს სრულ ჩამონათვალს, ისინი საკმარისად ასახავს იმ ტენდენციას, რომელიც ბავშვზე ორიენტირებული, მყისიერი და ეფექტიანი ინტერვენციების ნაკლებობას უკავშირდება განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებში.

[935] ინფორმაცია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სპეციალური დეპარტამენტის შექმნის, მსჯავრდებულთა რეესტრისა და მონიტორინგის მექანიზმების ინიცირების, საკანონმდებლო ცვლილებების პროცესის დაწყებისა და პრევენციული შეხვედრების შესახებ, იხ. შემდეგ ბმულებზე: <

ინიციატივები დროულად და ეფექტიანად განხორციელდეს, რათა პრაქტიკული და მდგრადი ცვლილებები გამოიწვიოს ბავშვთა დაცვის მიმართულებით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წინა წლების მსგავსად, ქვეყანაში არ არსებობს სექსუალურ ძალადობაგანცდილი ბავშვების გრძელვადიან რეაბილიტაციასა და მათი ოჯახების მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისები. სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად,[936] დაწესებულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში არ არსებობს ბავშვზე მორგებული სივრცეები, ხოლო, ძალადობაგანცდილ ბავშვთან მომუშავე სპეციალისტების რაოდენობა კვლავ არ შეესაბამება რეალურ საჭიროებას.[937] ამასთანავე, ბავშვების რეაბილიტაციისა და საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ბავშვზე მორგებულ გარემოში წარმართვის მხრივ, ქვეყანაში მოცემულ ეტაპამდე მხოლოდ ერთი - „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი“ ფუნქციონირებს, თბილისში, სადაც 2024 წელს 114 არასრულწლოვანი გადამისამართდა.[938] ეს, ცხადია, ვერ პასუხობს სარეაბილიტაციო სერვისის გეოგრაფიული მისაწვდომობისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნის აუცილებლობას. ასევე, სექსუალურ ძალადობაგანცდილ ბავშვს, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის შემთხვევაში, ამ სერვისის მიღება კვლავ, მხოლოდ თბილისში შეუძლია, რაც არათუ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბავშვზე მორგებულ მიდგომას, არამედ, ცალსახად ქმნის ამ პროცესში ბავშვების დამატებითი ტრავმირების ძალზე დიდ რისკს.

ცხრილი № 5[939]

---


https://rb.gy/b2hdus > ; < https://rb.gy/nnwo3u >; < https://rb.gy/s8pa8s >; < https://rb.gy/1oe2yi >, [ბოლოს ნანახია: 27/03/2025].

[936] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 293, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x [ბოლოს ნანახია: 26/02/2025]; ასევე, იხ. სპეციალური ანგარიში „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება“, 2021 წელი, გვ. 97, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/yQegO [ბოლოს ნანახია: 28/02/2025], ასევე, იხ. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება“. 2023 წელი, გვ. 45, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/vlfft > [ბოლოს ნანახია: 28/02/2025].

[937] აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში - „სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ინტეგრირებული მომსახურების ცენტრი", დასაქმებულია მხოლოდ 3 ფსიქოლოგი და 2 სოციალური მუშაკი. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 1 25 00228023, 28/02/2025.

[938] იქვე.

[939] საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული საპასუხო კორესპონდენცია: №13/6671, 06/02/2025.




	5 წლის ჩათვლით	6-10 წლის	11-15 წლის	16-17 წლის
ბიჭი	1	4	11	3
გოგო	5	35	95	9

სახალხო დამცველის არაერთი წინადადების[940] მიუხედავად, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა ამ დრომდე არსებითად შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან. გაუპატიურების, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების დანაშაულების კვალიფიკაციისას წინაპირობად კვლავ რჩება ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეო მდგომარეობის გამოყენება. კვლავ არ არსებობს ქვედა ასაკობრივი ზღვარი, როდესაც ბავშვთან სექსუალური ხასიათის შეღწევა ავტომატურად გაუპატიურებად დაკვალიფიცირდება. ამასთანავე, სწორედ სამართლებრივი რეგულირების ბუნდოვანებისა და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ბავშვის პროტოკოლით გამოკითხვის ვიდეო-აუდიოჩანაწერი კვლავ არ დაიშვება მტკიცებულებად და სავალდებულოა გამოკითხვის ბეჭდური ოქმის შედგენა. შესაბამისად, „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში“ ბავშვის გამოკითხვის პროცესს ისევ არაერთი პირი ესწრება და დამატებით, ბავშვს უწევს დაყოვნება ბეჭდური ოქმის შედგენისთვის საჭირო დროით.

ცხრილი № 6[941]

[940] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი“, თბილისი, 2023, გვ. 276; ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/43qTwBO > [ბოლოს ნანახია: 28/02/2025], ასევე, იხ. სპეციალური ანგარიში „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება“, 2021 წელი, გვ. 94, ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/4bhqKoZ > [ბოლოს ნანახია: 26/02/2025].

[941] საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მიღებული საპასუხო კორესპონდენციები: №13/6671 - 06/02/2025, №13/5033 – 26/01/2024; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია №3-51-25 - 27/02/2025.




22.4. ბავშვთა სიღარიბე

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ბავშვის შესაძლო უფლებადარღვევის შესწავლილი საქმეებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი, 2024 წელსაც, სწორედ ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სიღარიბესა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა 369,924-ს შეადგენს, აქედან საარსებო შემწეობას იღებს 270,712.[942]

ცხრილი № 7[943]

[942] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენციები №SSA 2 25 00096025 - 30/01/2025 და №SSA 2 25 00137902 - 06/02/2025.

[943] იქვე, ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 279, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x [ბოლოს ნანახია: 26/02/2025].



აღსანიშნავია, რომ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 6,51%-ით გაიზარდა, გარდა ამისა, იმ ოჯახების რიცხვი, სადაც ერთი არასრულწლოვანი მაინც ირიცხება, 125,743-ს გაუტოლდა, ხოლო ბაზაში 2024 წლის განმავლობაში პირველად დარეგისტრირდა 34,758 18 წლამდე ასაკის ბავშვი. ასევე, პირველად რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობა, სადაც ერთი ბავშვი მაინც არის, 20,368-ს შეადგენს.[944]

ამასთანავე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების სახელმწიფო ქვეპროგრამაში ჩაერთო 4161 ოჯახი.[945]

აქვე, შესწავლილი საქმეები კვლავაც ცხადყოფს, რომ ცენტრალური პროგრამების გარდა, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახები მუნიციპალურ დონეზეც ჩართულნი არიან სხვადასხვა სოციალურ პროგრამაში. მიუხედავად ამ დახმარებებისა, სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქვეყანაში მოქმედი მიზნობრივი სოციალური დაცვის ცენტრალური და მუნიციპალური პროგრამები სრულფასოვნად ვერ პასუხობს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებებს, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ბავშვების კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, განვითარებასა და სიცოცხლეს. გარდა ამისა, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, გამოწვევად რჩება მშობლებისა და მათზე მზრუნველი პირების უნარ-ჩვევების განვითარება, ოჯახების დამოუკიდებელი ცხოვრების

[944] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენციები №SSA 2 25 00096025 - 30/01/2025 და №SSA 2 25 00137902 - 06/02/2025.
[945] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია, NSCA 6 25 00240529 - 05/03/2025.

ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვა და ეფექტიანი სოციალური მუშაობის წარმართვა.[946]

22.5. სახელმწიფო და ალტერნატიულ ზრუნვის სისტემაში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა

2024 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 33 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, მათ შორის, 4 სპეციალიზებული დაწესებულება.[947] ასევე, მოქმედებს თბილისის ბავშვთა სახლი, თვითმმართველ ქალაქს დაქვემდებარებული ცენტრი[948] და საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული სააღმზრდელო დაწესებულება.

2024 წლის მონაცემებით, სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფებოდა 1558 ბავშვი,[949] მათ შორის, მინდობით აღზრდის პროგრამაში – 1272 არასრულწლოვანი. გასული წლის განმავლობაში სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში განთავსდა 222 არასრულწლოვანი, აქედან მინდობით აღზრდაში - 151 ბავშვი, ხოლო ბიოლოგიურ ოჯახში სრულწლოვნების მიღწევის საფუძვლით დაბრუნდა: მინდობით აღზრდის ქვეპროგრამიდან – 62, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან – 40, ხოლო 18-21 წლის ახალგაზრდების მხარდაჭერის სერვისებში ჩაერთო 17 ბენეფიციარი. ამასთანავე, ჯამში, რეინტეგრაციის ქვეპროგრამით სარგებლობდა 514 ბავშვი, ხოლო რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამიდან 9 კვლავ განთავსდა სახელმწიფო ზრუნვაში.[950] საყურადღებოა, რომ 54 არასრულწლოვანს მიენიჭა გასაშვილებელი სტატუსი.

სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვის ოჯახიდან განცალკევების ძირითადი საფუძველია ბავშვის მიმართ ძალადობა და უგულებელყოფა (97,31%), და სხვა

---

[946] სახალხო დამცველს გაცემული აქვს რეკომენდაცია, რომლის თანახმად, მუნიციპალურ დონეზე აუცილებელია ერთგვაროვანი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების დროულ გამოვლენას, მათი საჭიროებების შეფასებას და შესაბამისი ადგილობრივი პროგრამების შეთავაზებას. ამასთანავე, უნდა განისაზღვროს მუშაობის ეფექტიანობის შეფასების მკაფიო კრიტერიუმები. ეს საკითხები ასახულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში, „2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 295, გვ. 296, ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x > [ბოლოს ნანახია: 26/02/2025]. ეს საკითხი ასახულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში, „2023 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, გვ. 40, ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/R8w8i > [ბოლოს ნანახია: 20/03/2025].

[947] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 6 25 00240529 - 05/03/2025.

[948] აღნიშნული წარმოადგენს მცირე საოჯახო ტიპის სახლს, რომელიც ექვემდებარება თვითმმართველი ქალაქის მერიას.

[949]მათ შორის, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში ჩაირიცხა 30 არასრულწლოვანი. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 6 25 00240529 - 05/03/2025.

[950] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 6 25 00240529 - 05/03/2025.

გარემოება (2,69%).[951] სახალხო დამცველის შეფასებით, ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევების თავიდან ასარიდებლად, კვლავ აშკარაა ოჯახის გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისების გაფართოების აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს ამ გამოწვევაზე და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს,[952] არსებული სერვისები და სპეციალისტების ჩართულობა ვერ უქმნის მშობლებს იმგვარ პირობებს, რაც სათანადო მხარდაჭერის შემთხვევაში შესაძლებელს გახდიდა, დაძლევადი საფუძვლით, არ მომხდარიყო ბავშვების ოჯახიდან განცალკევება..

22.5.1. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

2024 წელს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების უფლებების დაცვა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად დარჩა. პრობლემები გამოიკვეთა ბავშვებისთვის უსაფრთხო და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნის კუთხით, სადაც მათთვის მისაწვდომი იქნებოდა მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის ხარისხიანი სერვისები.

სახალხო დამცველის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებმა ცხადყო,[953] რომ განსაკუთრებით პრობლემურია რთული ქცევისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის სათანადო, ინტეგრირებული და მეცნიერულად გამყარებულ მიდგომებზე დაფუძნებული სერვისების ნაკლებობა ან არარსებობა, გეოგრაფიული მიუწვდომლობის გათვალისწინებით.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, განსაკუთრებული გამოწვევაა ადიქციის თავიდან არიდება, მართვა და დაძლევა. ამ კუთხით კი, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი პროგრამების არარსებობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვას.

სისტემური პრობლემაა აღმზრდელთა პროფესიული გადაწვა, შედეგად კი, კადრების გადინება. ასევე, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის რთულია ახალი, კვალიფიციური კადრების მოზიდვა, რაც მომსახურების ხარისხზე უარყოფითად აისახება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვებს კვლავაც არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. შესაბამისად, ამ დაწესებულებებში

---

[951]სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია, №SCA 1 25 00228023 - 28/02/2025.

[952] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი“, გვ. 276, გვ. 278, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/OF9xa > [ბოლოს ნანახია: 28/02/2025]. ასევე, იხ. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება“. 2023 წელი, გვ. 45, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://shorturl.at/vlfft > [ბოლოს ნანახია: 28/02/2025].

[953] სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტმა მონიტორინგი განახორციელა 24 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, 8 დაწესებულებაში მონიტორინგი ჩატარდა პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან ერთად.

უსაფრთხო, ბავშვების მხარდამჭერი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად, აუცილებელია ჰოლისტური და განგრძობითი ღონისძიებების გატარება.

22.5.2. ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

2024 წელს, პანსიონში ცხოვრობდა 8 არასრულწლოვანი,[954] რომელთაგან 7 საჯარო სკოლაში სწავლობდა, ხოლო ერთი ემზადებოდა სწავლის უმაღლეს საფეხურზე გასაგრძელებლად.[955]

ბავშვების შეფასებით, ისინი დაწესებულებაში თავს უსაფრთხოდ გრძნობენ. მიუხედავად ამისა, იკვეთება მათი ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საჭიროება, რომელიც არ არის განგრძობითი. ბავშვების გადმოცემით, ბოლო წლებში, ისინი უზრუნველყოფილნი არიან საბაზო საჭიროებებით, აქვთ დასვენების მეტი შესაძლებლობა, პირადი სივრცე,[956] დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების პროცესიც გაძლიერდა. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ დაწესებულების ფიზიკური გარემო კვლავ ვერ ქმნის ოჯახური გარემოს მსგავს პირობებს.

აღსანიშნავია, რომ გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა, 57 ბავშვის სახელით შეტანილი საჩივრის განხილვის შედეგად, ნინოწმინდის პანსიონთან დაკავშირებით არაერთი სერიოზული დარღვევა დაადგინა და საქართველოს ხელისუფლებას ბენეფიციარებისთვის ბოდიშის მოხდა, კომპენსაციის გაცემა, რეაბილიტაცია, ხელახალი შეფასება და ძალადობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება დაევალა.[957]

ბავშვებისთვის კომპენსაციის გაცემის პროცედურებში ჩაერთო დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო, არასამთავრობო ორგანიზაცია "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის და სერვისის მიმწოდებლი. აღნიშნულ პროცესში, მეურვეობა მზრუნველობის ორგანოს პასუხისმგებლობას წარმოადგენდა, რომ ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები წინასწარ შეხვედროდნენ ბავშვებს, შეეფასებინათ მათი ემოციური მდგომარეობა, განემარტათ მიმდინარე პროცესების შესახებ, რის შემდგომაც არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატებს შესაძლებლობა ექნებოდათ გასაუბრებოდნენ ბავშვებს, კომპენსაციასთან დაკავშირებული პროცედურების თაობაზე, წარმომადგენლობის განსასაზღვრად და შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებების წარსამართად.

---

[954] სახალხო დამცველის აპარატმა 2024 წელსაც განახორციელა დაწესებულებაში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი.

[955] ბავშვებს დამატებით უტარდებათ მეცადინეობა ელექტრონული ფორმატით, თუმცა ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე, ზოგიერთ ბავშვს დამატებითი ჩართულობა სჭირდება.

[956] მიუხედავად ამისა, კვლავ იკვეთება პირადი სივრცის დაცვისა და უზრუნველყოფის საჭიროება.

[957] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ბავშვის უფლებათა კომიტეტი. (2024). *ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებით ოქმის საფუძველზე კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეტყობინების პროცედურების შესახებ, კომუნიკაცია № 144/2021.* CRC/C/96/D/144/2021. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/4blkZ9R > [ბოლოს ნანახია: 27/02/25].

აღნიშნულ პროცესში, მეურვეობა მზრუნველობის ორგანოს გეგმის შესაბამისად, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები წინასწარ უნდა შეხვედროდნენ ბავშვებს, შეეფასებინათ მათი ემოციური მდგომარეობა, განემარტათ მიმდინარე პროცესების შესახებ, რის შემდგომაც არასამთავრობო ორგანიზაციის ადვოკატებს შესაძლებლობა ექნებოდათ გასაუბრებოდნენ ბავშვებს, კომპენსაციასთან დაკავშირებული პროცედურების თაობაზე, წარმომადგენლობის განსასაზღვრად და შემდგომი სამართლებრივი ღონისძიებების წარსამართად.[958]

22.5.3. დედათა და ბავშვთა სახელმწიფო თავშესაფრების ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა

2024 წლის მდგომარეობით, „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, ქვეყანაში ფუნქციონირებდა 7 თავშესაფარი, რომლითაც ისარგებლა 71 დედამ და 118 ბავშვმა, ხოლო საანგარიშო პერიოდში ჩარიცხულ პირთა რაოდენობამ 66 შეადგინა.[959]

ქვეპროგრამასთან დაკავშირებულ გამოწვევათაგან საყურადღებოა ბენეფიციართა პირადი მოხმარების ნივთებით ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად უზრუნველყოფა. ასევე, აღსანიშნავია, რომ სერვისი სათანადოდ კვლავ ვერ უზრუნველყოფს ბიოლოგიური ოჯახის გრძელვადიან მხარდაჭერასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის სათანადო მომზადებას. უცვლელად რჩება დამატებითი ადამიანური რესურსის, ძიძის კადრის საჭიროება, რაც დედებს განათლების მიღებისა და დასაქმების უფრო მოქნილ და მეტ შესაძლებლობას მისცემდა. საყურადღებო გამოწვევაა სერვისით მოსარგებლე დედების მშობლის უნარ-ჩვევების გაძლიერება.

22.5.4. ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა

გასული წლების მსგავსად, არაერთ მწვავე პრობლემასთანაა დაკავშირებული ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა.


2024 წელს, „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში ჯამში ირიცხებოდა 163 არასრულწლოვანი, რომელთაგან 126-მა ისარგებლა დღის ცენტრის, ხოლო 37-მა - სადღეღამისო თავშესაფრის მომსახურებით. საანგარიშო წელს აღნიშნულ სერვისში ჩაირიცხა 54 ბავშვი, ხოლო პროგრამით მოსარგებლე 2 არასრულწლოვანი განთავსდა სახელმწიფო ზრუნვაში. ამასთანავე, ბავშვთა დახმარების ცხელ ხაზზე - „111“ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების შესახებ, 76 შეტყობინება შევიდა, ხოლო მობილურმა ჯგუფებმა კონტაქტი დაამყარეს 412 ბავშვთან.[960]

[958]მოცემულ ეტაპზე, სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს იმის შეფასებას თუ რამდენად ეფექტიანად, სრულყოფილად და ბავშვზე მორგებული ფორმით დაიწყო და მიმდინარეობს სრული პროცესი.

[959] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 6 25 00240529 - 05/03/2025.

[960] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 5 25 00224111 - 05/03/2025.

ცხრილი № 8[961]



„მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში ჯამში ფუნქციონირებს 5 დღის ცენტრი და 4 თავშესაფარი. აქვე, დღის ცენტრებისა და თავშესაფრების რაოდენობის შემცირების სამწუხარო ტენდენციის პარალელურად, აღსანიშნავია 2024 წელს ქუთაისში მეორე მობილური ჯგუფის დამატება. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ აჭარის რეგიონში მწვავე საჭიროების მიუხედავად, მიუსაფარი ბავშვებისთვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სადღეღამისო თავშესაფარი ჯერაც არ გახსნილა, აღარც დღის ცენტრი ფუნქციონირებს.

სახალხო დამცველის მოკვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კვლავ მწირია ქვეპროგრამის რესურსები, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ბავშვების არასრულწლოვნებისა და თანამშრომელთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის საკითხი. იკვეთება ფსიქიკური ჯანმრთელობის, ადიქციის მართვისა და პრევენციის სერვისების დანერგვისა და ქვეპროგრამაში ჩართული ბავშვების საჭიროებებზე მორგების აუცილებლობაც.

სადღეღამისო თავშესაფრით მოსარგებლე ბავშვების ნაწილი, თვეობით ან წლობით ირიცხება აღნიშნულ სერვისში. შესაბამისად, ქვეპროგრამა იძენს ინსტიტუციურ ხასიათს და ეწინააღმდეგება ბავშვების საუკეთესო ინტერესებს, მაშინ, როდესაც მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული ტრანზიტული სერვისის მიწოდებას.

22.6 კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა


გამოწვევად რჩება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ინფორმირებული მონაწილეობა და მათი დაცვის

[961] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 275, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x [ბოლოს ნანახია: 26/02/2025]; ასევე, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №SCA 5 25 00224111 - 05/03/2025.

გარანტიების ეფექტიანი დანერგვა. სახალხო დამცველის წინადადების[962] მიუხედავად, ბავშვების მოწმის სტატუსით გამოკითხვისას ადვოკატის მონაწილეობა ამჟამადაც არ არის სავალდებულო ხასიათის. ამით წარმოიშობა ისეთი შემთხვევების რისკები, როდესაც ბავშვთან ადვოკატის ჩართვა, მხოლოდ მას შემდეგ ხდება, როდესაც ბავშვი უკვე პირველადი, მოწმის სახით გამოკითხვისას სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებას აღიარებს და ბრალი წარედგინება.[963]

პრობლემად რჩება სახელმწიფო უწყებებში ბავშვის უფლებების, დაცვის მექანიზმებისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის შესახებ ბავშვზე მორგებული მასალების სიმწირე და გარკვეულ შემთხვევებში, არარსებობა.

ცხრილი №9



ქვეყანაში არ არსებობს ბავშვთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის პრევენციის ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც მულტიდისციპლინური მიდგომით, განგრძობითად იმუშავებდა არა მხოლოდ ბავშვებთან, არამედ ოჯახებთან და არასრულწლოვნის უახლოეს გარემოცვასთან. ამ საკითხზე კიდევ უფრო უარყოფითად აისახება ოჯახების გაძლიერებაზე, მშობელთა მხარდაჭერაზე, სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული სერვისების სიმწირე. ასევე, გამოწვევად რჩება ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობა, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, შემდგომ, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, პოლიტიკის განსაზღვრა და კოორდინირებული მოქმედებების განხორციელება.

წინადადებები საქართველოს პარლამენტს:

[962] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი“, გვ. 295, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3EXdB8x > [ბოლოს ნანახია: 26/02/2025].

[963] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა“.

- განიხილოს საკანონმდებლო ცვლილებები, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ არსებული სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- შეიქმნას დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული უწყებათაშორისი მექანიზმი, რომელიც შეიმუშავებს 14 წლამდე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ბავშვებისთვის დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმას;
- დაინერგოს ბავშვებთან ინტერდისციპლინური, განგრძობითი და ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული ინტერვენციის სერვისი, რომელიც მიმართული იქნება როგორც ბავშვებზე, ისე მათ ოჯახებსა და უახლოეს გარემოცვაზე, როგორც 14 წლამდე, ასევე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ბავშვებისთვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- დაინერგოს და გაძლიერდეს ბავშვებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის, ადიქციის დაძლევის და სარეაბილიტაციო მომსახურებები – შეიქმნას ბავშვზე მორგებული, რეგიონული და თემზე დაფუძნებული სერვისები, მათ შორის, კრიზისული ინტერვენციის, ადიქციის მართვის, პრევენციისა და რეაბილიტაციის პროგრამები, რაც იქნება მისაწვდომი, კონფიდენციალური და კულტურულად მგრძნობიარე, ბავშვთა საჭიროებებზე სათანადოდ გადამზადებული სპეციალისტებით;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, აჭარის რეგიონში ამოქმედდეს 24-საათიანი თავშესაფარი და დღის ცენტრი.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- გადამზადდნენ საჯარო სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მასწავლებლები ბავშვთა გამოხატვის თავისუფლებისა და მისი რეალიზების თაობაზე, ასევე, ამ პროცესში ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- აწარმოოს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისა და გამოძიების დაწყების შესახებ სტატისტიკა, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების, სავარაუდო ძალადობაგანცდილი ბავშვების ასაკისა და სქესის მიხედვით.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- გაიზარდოს მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში დასაქმებული სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა. ამასთან ერთად, დაინერგოს პროფესიონალთა გადინების პრევენციის მექანიზმი;
- ნინოწმინდის პანსიონში მცხოვრები ბავშვებისთვის უზრუნველყოფილ იქნას ოჯახურ გარემოსთან მიმსგავსებული საცხოვრებელი პირობები.

23. ხანდაზმულ პირთა უფლებები

მსოფლიოში დაბერების სწრაფი ტემპით მიმდინარეობის პარალელურად[964], სულ უფრო იზრდება ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვისა და რეალიზაციის მნიშვნელობა, შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატისთვის, ხანდაზმულთა უფლებების დაცვა, წლებია, პრიორიტეტული მნიშვნელობის საკითხია.

მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაბერებასთან დაკავშირებული გამოწვევები საერთაშორისო, მათ შორის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღის წესრიგში, ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. გაერო აქტიურად ეწევა ხანდაზმულთა ღირსეული და ჯანსაღი დაბერების წინაშე არსებული საკითხების აქტუალიზაციას. გაეროს დაბერების შესახებ ღია სამუშაო ჯგუფის (OEWG) სესიებზე[965] წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია ხანდაზმულთა უფლებების ხელშეწყობის მიზნით სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო მექანიზმის შექმნის თაობაზე. ამ კუთხით, სამუშაო ჯგუფის საბოლოო, მე-14 სესია, გარდამტეხი მნიშვნელობის იყო. სამოქალაქო საზოგადოების და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების აქტიური ადვოკატირების და დისკუსიების შედეგად, დაარსების შემდეგ პირველად, 2010 წელს, OEWG-მ კონსენსუსის საფუძველზე მიიღო რეკომენდაციები, რითაც გაეროს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა განიხილონ - სხვა შესაძლებლობებთან ერთად - კონვენციის მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს ხანდაზმულთათვის უფლებების აღიარებას და რეალიზაციას.[966]

ევროპის საბჭოს სოციალური ქარტიის, საქართველოს მიერ არარატიფიცირებულ მუხლებს შორის კვლავ რჩება ხანდაზმულ პირთა სოციალური უზრუნველყოფის უფლება.[967]

საქართველოში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში, გასულ წელთან შედარებით, 2024 წლის მონაცემებით, 15.6%-დან 16.2%-მდე გაიზარდა.[968] რაოდენობის ზრდასთან ერთად, საგულისხმოა, რომ მაღალია ხანდაზმულ პირთა სოციალურად დაუცველთა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა მაჩვენებელი.[969] ამის გამო, ქვეყანაში ხანდაზმულები მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან.

---

[964] გაეროს მოსახლეობის ფონდი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია:< http://bit.ly/3CqlKjT > [28.01.2025].

[965] გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ დაარსებული OEWG-ის მანდატია: შეაფასოს ხანდაზმულთათვის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩარჩო, გამოავლინოს ხარვეზები და შეიმუშაოს ზომები ამ ხარვეზების შესავსებად, ახალი ინსტრუმენტების მიზანშეწონილობის ჩათვლით.

[966] გაეროს დაბერების შესახებ ღია სამუშაო ჯგუფის (OEWG) მე-14 სესიის ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/40ZTizF> [28.01.2025].

[967] ევროპის სოციალური ქარტია, მუხლი 23.

[968]ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე: <https://bit.ly/40I8yQs>[29.01.2025].

[969] სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკა სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია ასაკის ნიშნით 2024 წლის მონაცემებით, 60+ მოსახლეობა - 28 434 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4aKKmBw>[03.02.2025].

23.1.ხანდაზმულთა სადღეღამისო დაწესებულებების მონიტორინგის გამოწვევები

სახალხო დამცველი 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში[970] მიუთითებდა, რომ ხანდაზმულთა სადღეღამისო კერძო დაწესებულებებში არ ხორციელდებოდა სახელმწიფო ზედამხედველობა, რის შედეგადაც, მსგავსი ტიპის დაწესებულებებში, მაღალია უფლებების დარღვევის რისკი. ასევე, არ არსებობდა მათი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი და არც სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტების შესრულება იყო მათთვის სავალდებულო, რაც განაპირობებს ასეთ დაწესებულებებში ხანდაზმულთა ზრუნვის თვითნებურად და არსებული რესურსების ფარგლებში წარმართვას. საანგარიშო პერიოდში, ზემოაღნიშნული გამოწვევის მხრივ, მდგომარეობა არ შეცვლილა. ამ დრომდე არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია[971] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიმართ, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან კოორდინაციით, იმ დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, რომლებიც ფუნქციონირებენ ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსებით/თანადაფინანსებით.

სახალხო დამცველის აპარატისთვის გასულ წელს ცნობილი გახდა კერძო დაწესებულებებში ხანდაზმულთა სავარაუდო უფლებების დარღვევის ორი ფაქტის შესახებ. თუმცა, სახალხო დამცველის მიმართვაზე, როგორც, სსიპ ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსგან,[972] ისე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან[973] გვეცნობა, რომ მოკლებულნი არიან შესაძლებლობას განახორციელონ მონიტორინგი, შეაფასონ ორგანიზაციის საქმიანობის სტანდარტებთან შესაბამისობა და ხანდაზმულებისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხი ხანდაზმულთა იმ კერძო დაწესებულებებში, რომელიც „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში დარეგისტრირებული არ არის მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციად და ხანდაზმული პირები სერვისს პირადი/კერძო დაფინანსებით იღებენ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ხანდაზმულთა კერძო დაწესებულებების რეგულირების და ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმების შექმნის საჭიროებას.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატისთვის საანგარიშო პერიოდში ცნობილი გახდა, რომ ქვეყანაში არსებობს ე. წ. პალიატიური ჰოსპისები (სადაც ძირითადად თვითმოვლის უნარის არმქონე პირები, მათ შორის, ხანდაზმულები იმყოფებიან). აპარატს ეცნობა ერთ-ერთ ასეთ ადგილას შესაძლო უფლებადარღვევების თაობაზე. საკითხის მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ამ ტიპის დაწესებულებების მონიტორინგს სახელმწიფო არ

[970] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WMoe4d> [31.02.2025].
[971] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში. გვ. 282 ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/40Kktxb>[03.01.2025].
[972] წერილი №SCA 0 25 00069308, 23.01.2025წ.
[973] წერილი MOH 52500118107, 03.02.2025წ.

ატარებს, კერძოდ, ვინაიდან პალიატიური ჰოსპისი არ წარმოადგენს სამედიცინო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებას, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმოს ზემოაღნიშნული დაწესებულება.[974] შესაბამისად, ხანდაზმულთა კერძო დაწესებულებების მსგავსად, მნიშვნელოვანია ამ ტიპის დაწესებულებების სათანადო რეგულირება/ზედამხედველობა შესაძლო უფლებადარღვევების თავიდან ასარიდებლად, გამოსავლენად და მათზე რეაგირების მიზნით.

იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო რეგულირებას დაქვემდებარებული პანსიონატებისა და სათემო ორგანიზაციების მონიტორინგის შედეგები[975] ასევე ავლენს მრავალ მნიშვნელოვან ხარვეზს მომსახურების ხარისხისა და უფლებების დაცვის კუთხით, კერძო დაწესებულებებში ასეთი მონიტორინგის ჩატარება კიდევ უფრო საჭიროა, რადგან ზემოაღნიშნული დაწესებულებებისგან განსხვავებით, კერძო დაწესებულებებში დადგენილი სტანდარტების დაუცველად ხდება ზრუნვის სერვისის მიწოდება და მინდობილია პერსონალისა და დაწესებულების ხელმძღვანელობის კეთილსინდისიერებაზე, რაც ხანდაზმულთა უფლებების დარღვევის დამატებით რისკებს წარმოშობს. გარდა ამისა, რადგან საქართველოში სახელმწიფო დაფინანსების გარეშე მოქმედ კერძო თუ სხვა სახის ხანდაზმულთა დაწესებულებებში მაღალი მოწყვლადობის ხანდაზმულები ხვდებიან, შესაბამისად, რეზიდენტულ დაწესებულებებში მათი უფლებების დარღვევის პოტენციურად მაღალი რისკების გამო, საკითხის მიმართ ჩნდება საჯარო ინტერესის საფუძველი და ამ დაწესებულებებში ადამიანის უფლებებზე ზედამხედველობის სახელმწიფო მექანიზმების გავრცელების საჭიროებაც.[976]

სახალხო დამცველის შეფასებით, პრობლემურია, როგორც რეგულირების და მონიტორინგის სისტემის არქონა, ასევე, ისიც, რომ სახელმწიფო არ აგროვებს ამ დაწესებულებების შესახებ ინფორმაციას, ვინაიდან სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ეს დაწესებულებები დარეგისტრირებულები არ არიან სერვის-პროვაიდერ ორგანიზაციებად.[977] შესაბამისად, არ არსებობს დოკუმენტური მონაცემები რეგულირების გარეშე მოქმედი დაწესებულებების, მათი ტიპების, მომსახურებების და იქ განთავსებულ ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ.[978]

---

[974] სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 18. 07.2024 წ. წერილი REG 4 24 00772846.

[975] ხანდაზმულთა დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიში, 2022, თბილისი, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022112212420949871.pdf> [13.02.2025]; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გურიის და იმერეთის ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიში, 2021, თბილისი, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022042015574993801.pdf> [13.02.2025].

[976] "საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ხანდაზმულთა რეზიდენტული დაწესებულებების მონიტორინგის მეთოდოლოგია". ა. დათეშიძე.

[977] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი №SCA 5 25 00147531, 10.02.2025 წ.

[978] "საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ხანდაზმულთა რეზიდენტული დაწესებულებების მონიტორინგის მეთოდოლოგია". ა. დათეშიძე.

23.2.ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა

- ძალადობა სადღეღამისო დაწესებულებებში

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ხანდაზმულთა ზრუნვის დაწესებულებებში ჩატარებული შემოწმებებისა და გავრცელებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა ხანდაზმულთა სადღეღამისო დაწესებულებებში ხანდაზმულთა მიმართ შესაძლო ძალადობის და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, რამაც გამოკვეთა სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან საკითხის შეფასების საჭიროება. ეს საკითხი აქტუალურია საერთაშორისო დონეზეც, კერძოდ, 2023 წელს ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა „ხანდაზმულ ადამიანებზე ძალადობისა და მათი უგულებელყოფის შესახებ" ანგარიში მოამზადა.[979] ანგარიშში გამოკვლეულია ძალადობის სხვადასხვა გამოვლინება ხანდაზმულ ასაკში და განხილულია პრევენციისა და დაცვის ზომები.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) ხანდაზმულთა მიმართ ძალადობას და შეურაცხყოფას განმარტავს „სათანადო ქმედების განუხორციელებლობის ერთჯერად ან განმეორებით შემთხვევებად, რომლებიც ხანდაზმულ პირს აყენებს ზიანს და რასაც ადგილი აქვს იმგვარ ურთიერთობებში, სადაც არის ნდობის მოლოდინი".[980] ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა შეიძლება გამოიხატებოდეს სხვადასხვა ფორმით - ფიზიკური, სიტყვიერი, ფსიქოლოგიური/ემოციური, სექსუალური და ფინანსური. ძალადობა ასევე შეიძლება გამოიხატებოდეს უგულებელყოფაში.

ძალადობა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებაა და გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმებით.[981] აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის გავრცელებული ფორმაა ხანდაზმულთა უგულებელყოფა, რაც გულისხმობს ხანდაზმულის ძირითადი საჭიროებების, როგორიცაა საკვების, წყლის, თავშესაფრის, ტანსაცმლის, ჰიგიენის და აუცილებელი სამედიცინო დახმარების გაუთვალისწინებლობას, თუმცა საქართველოს კანონმდებლობაში ხანდაზმულ პირთა უგულებელყოფის შესაბამისი რეგულირება არ არსებობს.

ხანგრძლივი ზრუნვის დაწესებულებებში ხანდაზმულთა მომსახურების ერთ-ერთი მინიმალური სტანდარტია ხანდაზმულთა ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვა. კერძოდ, „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური

[979] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3WIg3FS> [30.01.2025].

[980] იხ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გლობალური პასუხი ხანდაზმულთა ძალადობასა და უგულებელყოფაზე: პირველადი ჯანდაცვის შესაძლებლობების განვითარება პრობლემასთან გასამკლავებლად მსოფლიოში: მთავარი ანგარიში (ჟენევა: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2008) <https://bit.ly/4aNcELF>[31.01.2025].

[981] მაგ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 126-ე მუხლი, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი; 126^1 მუხლი, ოჯახში ძალადობა, 144^3-ე მუხლი პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

სტანდარტების"[982] მე-10 სტანდარტის მიხედვით, ყველა ბენეფიციარი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის ძალადობისგან (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური) და იძულებისაგან. ამასთანავე, მათ უნდა ჰქონდეთ მომსახურებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობა.

ადმინისტრაცია უნდა აწარმოებდეს სპეციალურ ჟურნალს, სადაც აღნუსხული იქნება ძალადობის ყველა ფაქტი, განცხადება და მათ საპასუხოდ გატარებული ღონისძიებები. ბენეფიციარებს უნდა მიეწოდებოდეთ ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებული მომსახურება, რომლის დროსაც მომსახურების მიმღები დაცულია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციისგან, ასევე, მიკერძოებული ან უარყოფითი დამოკიდებულებისა თუ ქმედებისაგან, რამაც შეიძლება თავი იჩინოს მომსახურების მიწოდებისას მომსახურების მიმწოდებლისგან, სხვა ბენეფიციარისგან ან სხვა პირისგან. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია სერვისის მიმწოდებელი სრულად იყოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მხრიდან ინფორმირებული ბენეფიციარის ძალადობასთან დაკავშირებული წარსული გამოცდილების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2021, 2022, 2023 წლებში ჩატარებული მონიტორინგების შედეგების გაანალიზების და განზოგადების შედეგად, გამოვლინდა, რომ

- ხანდაზმულთა ზრუნვის დაწესებულებების უმეტეს ნაწილში არ იყო უზრუნველყოფილი ,,სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების", მათ შორის, ძალადობის სტანდარტის აღსრულება
- სერვისის მიმწოდებლები ვერ ასრულებენ ბენეფიციარების ძალადობისაგან დაცვის ვალდებულებას. სათანადოდ არ ხორციელდება ძალადობის გამოვლენის, შეფასებისა და საჭირო რეაგირების ღონისძიებები. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა ფარული იყოს, რაც შეუძლებელს ხდის მის გამოვლენას
- ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემას წარმოადგენს ხანდაზმულთა ზრუნვის პროცესში ჩართული პირების გადამზადება ძალადობის ფაქტის აღმოჩენისა თუ მართვის თაობაზე. დაწესებულებების მომვლელებს და პერსონალს, ძირითად შემთხვევაში, არ აქვთ გავლილი მომზადება ხანდაზმულთა ზრუნვის, სტრესის, რთული ქცევისა და ძალადობის მართვის საკითხებში. შედეგად, ვერ უმკლავდებიან ბენეფიციარების რთულ და ძალადობრივ ქცევას, ვერ ახდენენ ფაქტების სამედიცინო და სამართლებრივ შეფასებას და შემთხვევის სათანადოდ პროტოკოლირებას. ისინი უმეტესად „გამშველებლის" პოზიციაში იმყოფებიან, ზოგჯერ, კი თავადვე ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი.

[982] სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის №01-54/ნ ბრძანება.

- **ხანდაზმულთა მიმართ ოჯახში ძალადობა**

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გვხვდება და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული და განგრძობითი ხასიათი და სპეციფიკური ბუნება, რადგან ჩადენილია ოჯახის წევრის ან წევრების მიერ ოჯახის სხვა წევრის/ების მიმართ.[983] როგორც ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი მიუთითებს, ზოგადად ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევები ხშირია და ოჯახის ინსტიტუტის განუზომლად მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძალადობის შემთხვევების უმეტესი ნაწილი გამოუვლენელია.[984] სწორედ ამიტომ, ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის ფაქტების დროული გამოვლენა, ოჯახში ძალადობის თავიდან არიდება და ძალადობის მსხვერპლ ხანდაზმულ პირთა რეაბილიტაცია ხანდაზმულთა დაცვისთვის მნიშვნელოვანი საკითხია.

ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობაზე რეაგირებისას, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლის უსაფრთხოების დასაცავად და ძალადობის განმეორების თავიდან ასაცილებლად, გამოიცემა შემაკავებელი ორდერი, რომლით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაშიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების, როგორც გამოყენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების, სტატისტიკის მიხედვით,[985] 2024 წლის განმავლობაში, 61+ ასაკის 298 მამრობითი და 860 მდედრობითი მსხვერპლია გამოვლენილი, ამასთანავე, 21 მდედრობითი 61+ ასაკის მსხვერპლია გამოვლენილი სქესის ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკით.

რეკომენდაცია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ხანდაზმულთა 24-საათიანი მომსახურების განმახორციელებელი ყველა ტიპის დაწესებულებითვის (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა) მომსახურების მინიმალური სტანდარტების დადგენის და აღნიშნული სტანდარტების შესრულებაზე ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით მოამზადოს საკანონმდებლო წინადადება და წარუდგინოს საქართველოს მთავრობას.

[983] შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი: <https://bit.ly/3Q4yoZY>[04.02.2025].
[984] ხანდაზმულ პირთა უფლებების საკითხებზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში „ხანდაზმულთა მიერ ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის შესახებ", 2018 წ. <https://bit.ly/4hJR3Ge> [04.02.2025].
[985] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42G3D51>[04.02.2025].

24. ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

24.1. შესავალი

წინამდებარე თავში მიმოხილულია 2024 წელს ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული რიგი გამოწვევები, რომლებიც, სამწუხაროდ, წლებია, არ კარგავს აქტუალობას. მიგნებები, რომლებსაც წარმოგიდგენთ, ეყრდნობა, ერთი მხრივ, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესაბამისი დაწესებულებებისგან მიღებული, 2024 წლის მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის ანალიზს, მეორე მხრივ კი, სამი რეგიონის 15 მუნიციპალიტეტში[986] სკოლამდელი აღზრდის, ზოგადი განათლებისა და სამედიცინო დაწესებულებებში, ასევე ორ პენიტენციურ[987] დაწესებულებასა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებულ შეხვედრებს.

ინფორმაციის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ენობრივი და ინფორმაციული ბარიერები კვლავ ის უმთავრესი საკითხებია, რომლებიც არაერთი მიმართულებით აბრკოლებთ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს.

სამწუხაროდ, 2023 წლისგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში არ გაზრდილა იმ სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების დაწესებულებების რიცხვი, სადაც ბილინგვური განათლების პროგრამა მოქმედებს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელსაც გაგრძელდა სახელმწიფო ენის სწავლების გასაუმჯობესებლად რიგი სასწავლო რესურსების განახლება და ბილინგვური განათლების სპეციალისტების გადამზადება. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სრული სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ენის სწავლება გაძლიერდეს როგორც სკოლამდელი განათლების, ისე ზოგადი განათლების ეტაპზე. ასევე, აუცილებელია გაიზარდოს ბილინგვური განათლების დანერგვის გეოგრაფიული არეალი, შემუშავდეს საჭირო ორენოვანი სახელმძღვანელოები და სხვ.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია მეტი პოპულარიზაცია გაეწიოს სახელმწიფო ენის სწავლების იმ პროგრამას, რომელიც ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის არის ხელმისაწვდომი და რომელსაც სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა უზრუნველყოფს. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინფორმირება ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების ხელშეწყობის პროგრამებთან და სხვა საჯარო სერვისებთან, ისე ხელმისაწვდომ მედიაპროდუქტებთან დაკავშირებით.

[986] მარნეულის მუნიციპალიტეტი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, დმანისის მუნიციპალიტეტი, წალკის მუნიციპალიტეტი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, რუსთავის მუნიციპალიტეტი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, ასპინძის მუნიციპალიტეტი, თელავის მუნიციპალიტეტი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი.

[987] №6 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; №8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.

ეროვნული უმცირესობების სრულყოფილი სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად, ასევე მნიშვნელოვანია მათი კულტურის დაცვა და პოპულარიზაცია.[988] თუმცა, სამწუხაროდ, სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების რიცხვი კვლავ დაბალია. კვლავ პრობლემურია ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, რომლებიც მრავალი წელია საჭიროებენ გამაგრებით და სარეაბილიტაციო სამუშაოებს. მათ შორის, საგულისხმოა აზერბაიჯანული დრამატული თეატრი, რომლის რეაბილიტაცია, სამწუხაროდ, არც 2024 წელს განხორციელებულა. თუმცა, ამ ნაწილში დადებითად უნდა აღინიშნოს თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამშენებლო სამუშაოების დასრულება.[989] ასევე საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად გრძელვადიანი გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

24.2. ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა

24.2.1. საკონსულტაციო მექანიზმები

საგულისხმოა, რომ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია, რომლის წევრი, სხვა არაერთ ქვეყანასთან ერთად, საქართველოცაა, წევრ სახელმწიფოებს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების ეფექტიანი მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნას ავალდებულებს. ეს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებსა და უმრავლესობას შორის რეალური თანასწორობის წახალისებას გულისხმობს.[990] ამ მიზნით ქვეყანაში უნდა არსებობდეს ისეთი პლატფორმა, რომელთანაც ხელისუფლება ვალდებული იქნება გაიაროს კონსულტაცია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთათვის საჭირბოროტო საკითხებზე. აუცილებელია ასეთ საკონსულტაციო მექანიზმს ნათლად განსაზღვრული სამართლებრივი სტატუსი და მდგრადი ფინანსური მხარდაჭერა ჰქონდეს. საკონსულტაციო ორგანოსთან თანამშრომლობის, კონსულტაციის ვალდებულება კანონმდებლობაში უნდა იყოს გაწერილი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი ჩართულობა კი, რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს.[991] საკონსულტაციო ორგანოები

---

[988] „მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, უზრუნველყოს სტაბილური, მდგრადი, გრძელვადიანი საბაზო დაფინანსება, რაც აუცილებელია ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა კულტურისა და იდენტობის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის, მათ შორის, მოსახერხებელი შენობის გამოყოფის გზით და განსაკუთრებული აქცენტით რიცხობრივად პატარა უმცირესობებზე“ (ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოს შესახებ, მიღებული 2024 წლის 7 თებერვალს), ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/4th-op-georgia-summary-ge/1680b08a33 >, გვ. 12.

[989] მიმდინარეობს თეატრის დიდი და მცირე სცენების და დარბაზების აღჭურვის პროცესი (საქართველოს კულტურის სამინისტროს 2025 წლის 6 თებერვლის წერილი N00004984).

[990] ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის (FCNM) განმარტებითი ბარათი, სტრასბურგი, 1995, პარა. 80.

[991] ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის (FCNM) მრჩეველთა კომიტეტი, საქართველოზე მესამე მონიტორინგის ანგარიში, 2019, პარა. 133.

სამთავრობო ორგანოებსა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს შორის დიალოგის მთავარ არხად უნდა ჩამოყალიბდეს.[992]

პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ საქართველოში მოქმედი საკონსულტაციო მექანიზმების ფარგლებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის არის სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი წუხილი და ინტერესები. მაგალითისათვის, მისასალმებელია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან თანამშრომლობა. რეგიონულ დონეზე ასევე მნიშვნელოვანია ქვემო ქართლისა და კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებთან ჩამოყალიბებული საკონსულტაციო (სათათბირო) საბჭოების საქმიანობა, რომლებიც შეხვედრების ფარგლებში განიხილავენ სხვადასხვა საკითხს ეთნიკურ უმცირესობათა თემების ინსტიტუციურად გასაძლიერებლად, მათი პოლიტიკური ჩართულობის გასაზრდელად და სამოქალაქო მონაწილეობის გასაუმჯობესებლად, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში თან სდევს შესაბამისი ადვოკატირება.

მართალია, ზემოაღნიშნული დადებითი გამოცდილებები მნიშვნელოვანია, მაგრამ საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, მოქმედი საკონსულტაციო მექანიზმები ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მიერ დადგენილ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. საკონსულტაციო ორგანოებთან თანამშრომლობის, კონსულტაციის ვალდებულება კანონმდებლობაში გაწერილი არ არის. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკონსულტაციო ორგანოების ჩართულობა რეგულარულ ხასიათს არ ატარებს და სხვ. შესაბამისად, საკონსულტაციო მექანიზმების საქმიანობას საქართველოში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოსთან ინსტიტუციონალიზებული დიალოგის ფორმა არ აქვს, და, შესაბამისად, მექანიზმების გასაძლიერებლად საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. საკონსულტაციო მექანიზმების გაძლიერებისკენ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტიც, საქართველოს მეცხრე და მეათე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შეფასების საფუძველზე გამოცემულ დასკვნაში.[993] საგულისხმოა, რომ 2024 წლის 7 თებერვალს საქართველოს შესახებ მიღებულ მოსაზრებაში ეროვნულ უმცირეობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტმა ხელისუფლებას მოუწოდა, მკაფიოდ განსაზღვროს სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს, ასევე ადგილობრივი საკონსულტაციო საბჭოების როლი და უფლებამოსილებანი, და სავალდებულო გახადოს ამ საბჭოებთან კონსულტაცია.[994]

[992] ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი, 1999, პარა. 12.

[993] UN Human Rights Committee, Concluding observations on the combined ninth and tenth periodic reports of Georgia, 13 December 2022, para. 12.

[994] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოს შესახებ, მიღებული 2024 წლის 7 თებერვალს, ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/4th-op-georgia-summary-ge/1680b08a33 >, გვ. 13.

24.2.2. ეროვნული უმცირესობების დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა

გასული წლების მსგავსად, საქართველოს მთავრობა არ აწარმოებს სტატისტიკას საჯარო სამსახურში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ.[995] მართალია, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საჯარო მოხელეების ეთნიკური მიკუთვნებულობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების გარკვეული პრაქტიკა არსებობს, თუმცა ცენტრალურ დონეზე ამგვარი მონაცემები არ გროვდება. ქვეყნის მასშტაბით საჯარო მოხელეთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მონაცემების შეგროვების ერთიანი პრაქტიკის დანერგვა და სანდო სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აუცილებელია ეროვნული უმცირესობების ჩართულობის ხარისხის შესასწავლად.[996] საგულისხმოა, რომ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტმა 2024 წლის 7 თებერვალს საქართველოს შესახებ გამოცემულ მოსაზრებაში ხელისუფლების ორგანოებს მოუწოდა, მონაცემთა დაცვის ევროპული სტანდარტის შესაბამისად შეაგროვონ დისეგრეგირებული მონაცემები ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, განსაკუთრებით დასაქმების კუთხით.[997]

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის გარდა) ეროვნული უმცირესობები კვლავ ძალიან იშვიათად, ან/და ძირითადად არ არიან წარმოდგენილნი. ამის შესახებ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის საქართველოს მეხუთე პერიოდული ანგარიშის შეფასების საფუძველზე გაცემულ დასკვნაშიც არის მითითებული.[998]

გასული წლების მსგავსად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ თვითმმართველობებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის მაჩვენებელი კვლავ დაბალია. ეროვნული უმცირესობების პროპორციული წარმომადგენლობის დაცულობის თვალსაზრისით გამონაკლისია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი.[999] სამწუხაროდ, უარყოფითი ტენდენციები კვლავ ვლინდება ეროვნული უმცირესობებით

[995] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 14 თებერვლის წერილი № GOV 8 25 00003813.

[996] „ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში“, პი ემ სი კვლევითი ცენტრი, 2022, 5, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/z7syu8 > [ბოლოს ნანახია 02.03.2025].

[997] ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრება საქართველოს შესახებ, მიღებული 2024 წლის 7 თებერვალს, ხელმისაწვდომია: < https://rm.coe.int/4th-op-georgia-summary-ge/1680b08a33 >, გვ. 13.

[998] UN Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, 13 September 2022, para. 51.

[999] ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების 93% ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელია (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 30 იანვრის წერილი №122-1222503022).

დასახლებულ არაერთ მუნიციპალიტეტში, მათ შორის, ახალციხის,[1000] ბოლნისისა[1001] და დმანისის[1002] მუნიციპალიტეტებში.

რაც შეეხება ეროვნული უმცირესობების დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკას, 2024 წელს ეროვნული უმცირესობების დასაქმების ხელშეწყობის კონკრეტული პროგრამები არ განხორციელებულა. ქვეყანაში მოქმედებს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა,[1003] რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია ქვეპროგრამა, რომელიც სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზეა ორიენტირებული. ამ ქვეპროგრამის ბენეფიციარებად, მათ შორის, განსაზღვრულნი არიან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების საჭიროებებზე აქცენტი არ კეთდება. ამ საჭიროებებში, მათ შორის, მოიაზრება ენობრივი ბარიერის კუთხით არსებული გამოწვევების აღმოფხვრა, რაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობაზე ახდენს გავლენას.

მართალია, სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, ქართული ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში აძლევს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო ენის შესწავლის შესაძლებლობას, თუმცა, ეს პროგრამა ვერ უზრუნველყოფს პროფესიის სახელმწიფო ენაზე დაუფლების შესაძლებლობას, რაც საბოლოოდ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობაზე ახდენს გავლენას. ეროვნული უმცირესობების დასაქმების ხელშესაწყობად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, გადაიდგას ნაბიჯები სამუშაოს მაძიებელთა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, და მეორე მხრივ, დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ ინფორმაციის უკეთ მისაწოდებლად. 2024 წელს, ამ სერვისების შესახებ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით გარკვეული აქტივობები განხორციელდა, თუმცა არასაკმარისი რაოდენობით, და აქვე, აღსანიშნავია აქტივობების განხორციელების შეზღუდული გეოგრაფიული არეალი. მისასალმებელია, რომ რუსთავისა და ახალციხის რეგიონულ სერვისცენტრებში დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეა ხელმისაწვდომი. სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დასახელებულ სერვისცენტრებში დასაქმებულნი არიან

[1000] ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების მხოლოდ 13%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 14 თებერვლის წერილი №12-1225045154), მაშინ, როცა ახალციხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 35.2% ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია.

[1001] ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების მხოლოდ 14%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 20 თებერვლის წერილი №106-10625051108), მაშინ, როცა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 69.1% ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია.

[1002] დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების მხოლოდ 24%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 31 იანვრის წერილი №108-1082503167), მაშინ, როცა დმანისის მუნიციპალიტეტის 66.9% ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია.

[1003] „დასაქმების ხელშეწყობის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 თებერვლის დადგენილება №46.

კონსულტანტები ეროვნული უმცირესობების თემიდან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მშობლიურ ენაზე უწევენ მოსახლეობას კონსულტირებას. მათ მშობლიურ ენაზე მიეწოდებათ ისეთი მომსახურებები, როგორიცაა ვებპორტალზე - worknet.gov.ge რეგისტრაციაში დახმარება და პროფილირება, ინდივიდუალური კონსულტაცია, კარიერის დაგეგმვა, პროფესიული ორიენტაცია და შესაბამისი სასწავლო-საგანმანათლებლო კურსის შერჩევა.[1004]

ამასთანავე, ასევე აღსანიშნავია, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ე.წ. 1+4 პროგრამის) ბენეფიციარებისთვის საჯარო სამსახურებში გათვალისწინებულია სტაჟირება. მისასალმებელია, რომ 2024 წლიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით სტაჟირება ანაზღაურებადი გახდა.[1005] თუმცა, სამწუხაროდ, 1+4 სტაჟირების პროგრამის ეფექტიანობა შეზღუდულია, ვინაიდან სტაჟირების მოთხოვნები მიმღები დაწესებულებების მიმართ მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული. მონაწილეებისთვის ასევე არ არის განსაზღვრული სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები. დანერგილი არ არის შეფასების ინსტრუმენტები. საგულისხმოა ისიც, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმით აქტივობის სახით განსაზღვრული იყო ე.წ. 1+4 საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების კვლევა და კვლევის ანგარიშის მომზადება, რომლის შესრულების ვადად 2023 წლის მეოთხე კვარტალი იყო განსაზღვრული. მართალია, სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიწყო ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის საშეღავათო პოლიტიკის (ე.წ. „1+4 ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამისა“ და „1+4 სტაჟირების პროგრამის“) შედეგებისა და ზეგავლენის შესწავლა პროგრამების ბენეფიციართა დასაქმებისა და შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით,[1006] თუმცა, კვლევა ჯერაც არ დასრულებულა. მნიშვნელოვანია, რომ 2023 წელს დაწყებული კვლევა დროულად და ეფექტიანად დასრულდეს და მომზადდეს კვლევის ანგარიში.

24.3. წვდომა საჯარო სერვისებზე

სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, საჯარო სერვისებზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა წვდომა კვლავ დაკავშირებულია ისეთ დაბრკოლებებთან, როგორებიცაა ენობრივი ბარიერი, მომსახურების გამწევ დაწესებულებებში მათი მშობლიური ენის მცოდნე პირების არასაკმარისი რაოდენობა და ფინანსური ბარიერი. კვლავ უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ეროვნული ჯგუფებისთვის გასაგებ ენაზე სახელმწიფო პროგრამებისა და საჯარო სერვისების შესახებ სათანადო ინფორმირება. ასევე პრობლემურია ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალური პროგრამების თაობაზეც, თუმცა კი, ეს პროგრამები სწორედ ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. ასევე პრობლემურია სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ პროგრამებზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა წვდომის საკითხიც. კერძოდ, ენობრივი ბარიერიდან გამომდინარე, ეროვნული უმცირესობების

[1004] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 14 თებერვლის წერილი № GOV 8 25 00003813.
[1005] იქვე.
[1006] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2025 წლის 14 თებერვლის წერილი № GOV 8 25 00003813.

წარმომადგენლები ვერ ახერხებენ განაცხადის ქართულ ენაზე მომზადებას, რაც აფერხებს მათ სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობას.

ეროვნული უმცირესობებით ყველაზე კომპაქტურად დასახლებული 6 მუნიციპალიტეტიდან, მხოლოდ დმანისისა[1007] და ახალქალაქის[1008] მუნიციპალიტეტების ვებგვერდები ითარგმნება ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე. რაც შეეხება სოციალურ ქსელებს, ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე ინფორმაცია მხოლოდ ახალქალაქის,[1009] ნინოწმინდის[1010] მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ ქსელში თავსდება.

დადებითი სიახლეა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მიერ 2024 წელს ეროვნული უმცირესობების ენებზე 35 საკანონმდებლო აქტის თარგმნა და ვებგვერდზე განთავსება. მათგან 26 ითარგმნა აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, ხოლო 9 - აფხაზურ, ოსურ და სომხურ ენებზე.[1011]

ენობრივი ბარიერი მნიშვნელოვან წინაღობას ქმნის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხითაც. ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტების ნაწილში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალი ფლობს ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენას (აზერბაიჯანულ ან სომხურ ენას), თუმცა ზოგადი ტენდენციის სახით ვლინდება, რომ ენის ბარიერი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას მნიშვნელოვან წინაღობებს ჰქმნის. მაგალითისათვის, ასპინძის მუნიციპალიტეტში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებაში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ პაციენტებთან კომუნიკაციის მიზნით ხშირად უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის რესურსსაც კი იყენებენ. თელავის მუნიციპალიტეტში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებაში კი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ სამედიცინო დაწესებულებების თანამშრომლებმა არ იციან აზერბაიჯანული ენა, შესაბამისად, უჭირთ ეროვნულ უმცირესობებთან კომუნიკაცია. შედარებით უკეთესი ვითარებაა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. ამ მუნიციპალიტეტში მოქმედი სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლების განმარტებით, მათთან დასაქმებულნი არიან აზერბაიჯანულენოვანი თანამშრომლები, მათ შორის, პრაქტიკანტები და ექიმები და, რადგან, ყოველდღიურ ცვლაში, სულ მცირე, 3-4 აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე პირი იმყოფება, მათთვის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან კომუნიკაციაც ნაკლებად პრობლემურია.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ენის ბარიერის აღმოფხვრასთან ერთად,

[1007] ვებგვერდი ითარგმნება აზერბაიჯანულ ენაზე.
[1008] ვებგვერდი ითარგმნება სომხურ ენაზე.
[1009] სომხურ ენაზე (ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 12 თებერვლის წერილი №116-1162504370).
[1010] სომხურ ენაზე (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 30 იანვრის წერილი №122-1222503022).
[1011] სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს 2025 წლის 18 თებერვლის წერილი №15/გ-63.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების აღმოფხვრა, რომლებიც უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ინფორმირებას. თავის მხრივ, ინფორმაციული ბარიერები უშუალოდ არის დაკავშირებული ენის ბარიერთან, ვინაიდან, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებთან დაკავშირებული ინფორმაცია, სამედიცინო პერსონალისა თუ მოსახლეობისთვის მიწოდებული საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები თუ ტრენინგები, ძირითადად მხოლოდ ქართულ ენაზეა ხელმისაწვდომი.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ არაერთი მუნიციპალიტეტის მერიისგან გამოთხოვილი ინფორმაციით ვლინდება, რომ იმ მუნიციპალიტეტების შემთხვევაშიც კი, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის დაცვის სერვისებთან დაკავშირებული გარკვეული საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარების გამოცდილება, პრობლემურია მათი არარეგულარული ხასიათი, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილის მოცვა და ასევე ვიწრო გეოგრაფიული არეალი. ინფორმირების ნაკლებობა, მათ შორის, ვლინდება, ერთი მხრივ, ზოგადად მისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების შესახებ ინფორმაციის არქონაში, ხოლო, მეორე მხრივ, იმაზე ინფორმირების ნაკლებობაშიც, თუ ჯანმრთელობის დაცვის რომელი სერვისი ფინანსდება სახელმწიფო ან მუნიციპალურ დონეზე და სხვ.

24.4. განათლების უფლება

24.4.1. ადრეული და სკოლამდელი განათლება

სახალხო დამცველი, წლებია, აღნიშნავს, რომ ბილინგვური განათლება ეროვნულ უმცირესობათა სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციის აუცილებელი საფუძველია. სახალხო დამცველი 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიესალმა იმ ფაქტს, რომ, 2022 წელთან შედარებით, 14-ით გაიზარდა იმ სკოლამდელი დაწესებულებების რიცხვი, სადაც ბილინგვური სწავლების მოდელია დანერგილი. თუმცა, სამწუხაროდ, დადებითი დინამიკა საანგარიშო პერიოდში არ გაგრძელებულა. კერძოდ, არ გაზრდილა იმ სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა, სადაც ამგვარი მოდელია დანერგილი. 2024 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოში არის 65 არაქართულენოვანი ჯგუფებით დაკომპლექტებული საჯარო სკოლამდელი დაწესებულება, რომელთაგან ბილინგვური პროგრამა მხოლოდ 34 ბაღში ხორციელდება.[1012]

2024 წელს, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედ სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარებულმა შეხვედრებმა ბილინგვური განათლების დანერგვის პროცესში არაერთი გამოწვევა გამოავლინა. არაერთგვაროვანია სკოლამდელი დაწესებულებების პრაქტიკა, რაც, მათ შორის, შესაბამისი კადრების დეფიციტითაც არის გამოწვეული.

ადრეული და სკოლამდელი განათლების კონტექსტში ასევე პრობლემურია შესაბამისი დაწესებულებების ტერიტორიული მისაწვდომობა. ამაზე მიანიშნებს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული სოფლების ნაწილში ბაღების არარსებობა. მაგალითად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობის მოსახლეობით

[1012] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149.

დასახლებულ 39 სოფელსა და დაბაში მხოლოდ 1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ფუნქციონირებს. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები არ არის. წალკის მუნიციპალიტეტში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღი და ორი შერეული ბაღი ფუნქციონირებს.[1013] რაც შეეხება კახეთის რეგიონს, საანგარიშო პერიოდში ეთნიკურად დასახლებულ პუნქტებში ჯამში მხოლოდ 18 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა,[1014] რაც კახეთის რეგიონში ეროვნული უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიული ერთეულების რაოდენობას არ შეესაბამება.

24.4.2. ზოგადი განათლება

სახალხო დამცველი 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიესალმა იმ ფაქტს, რომ 2023 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ სასწავლო დაწესებულებების რიცხვი, სადაც დანერგილია ბილინგვური სწავლება.[1015] კერძოდ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის პროგრამაში ჩართული იყო 184 საჯარო სკოლა,[1016] მაშინ, როცა 2022-2023 სასწავლო წელს ამ პროგრამაში ჩართული სკოლების რიცხვი 41-ს შეადგენდა.[1017] მაგრამ, საგულისხმოა, რომ 2024-2025 სასწავლო წელს დადებითი დინამიკა არ შენარჩუნებულა. კერძოდ, 2024-2025 სასწავლო წელს ბილინგვური განათლების მოდელში ჩართულია 169 საჯარო სკოლა.[1018] ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ჯამში 290 არაქართულენოვანი სკოლა/სექტორია.[1019]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედ ზოგადი განათლების დაწესებულებებში ჩატარებულმა შეხვედრებმა ბილინგვური განათლების დანერგვის პროცესში არაერთი გამოწვევა გამოავლინა. არაერთგვაროვანია სკოლების პრაქტიკა, რაც, მათ შორის, შესაბამისი კადრების დეფიციტით არის გამოწვეული. სკოლების მიხედვით განსხვავებულია კონსულტანტი მასწავლებლებისა და ბილინგვური განათლების სპეციალისტების დასაქმების პრაქტიკა. გამოწვევად რჩება წვდომა მასწავლებლის და მოსწავლის ორენოვან სახელმძღვანელოებზე, ორენოვანი დამხმარე რესურსების შემუშავება და სხვ.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან გასაუბრებისას, როგორც ბილინგვური განათლების სპეციალისტები, ისე იმ საგნის პედაგოგები, რომლებთან ერთადაც ისინი ორენოვან გაკვეთილს ატარებენ, აღნიშნავდნენ, რომ მნიშვნელოვანია ბილინგვური

[1013] ქვემო ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 2025 წლის 14 თებერვლის წერილი №01/146.
[1014] კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 2025 წლის 13 თებერვლის წერილი №01/101.
[1015] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, 311.
[1016] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 26 თებერვლის წერილი № MED 1 24 0000210043.
[1017] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №1230000119028).
[1018] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149.
[1019] იქვე.

განათლების არსი, მიღწევის გზა და სხვა თავისებურებები არა მხოლოდ ბილინგვური განათლების სპეციალისტებისთვის იყოს ამომწურავად ხელმისაწვდომი, არამედ სხვა პედაგოგებისთვისაც. მასწავლებლების უმეტესობა აღნიშნავდა, რომ, მართალია, ბილინგვური განათლების სპეციალისტები ყოველკვირეულად იღებენ შესაბამის ინსტრუქციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და უტარდებათ ყოველკვირეული ქოუჩინგი, თუმცა, საგნის პედაგოგებს, რომლებთან ერთადაც ბილინგვური განათლების სპეციალისტები ატარებენ გაკვეთილებს, არ აქვთ არანაირი პლატფორმა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით უკუკავშირისთვის ან კითხვებზე პასუხის მისაღებად. ბილინგვური სწავლების არსისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია უმეტეს შემთხვევებში მხოლოდ ერთჯერადად, სკოლის დირექტორის მხრიდან მიეწოდათ. მართალია, ბილინგვური განათლების სპეციალისტები საგნის პედაგოგებთან თანამშრომლობენ და მათ საჭირო ინფორმაციასაც აწვდიან, თუმცა, სასწავლო პროცესის მოქნილობისა და უფრო მეტი ეფექტიანობისათვის, მნიშვნელოვანია საგნის პედაგოგებს ჰქონდეთ ამომწურავი ინფორმაცია როგორც ბილინგვური განათლების სპეციალისტის, ისე თავიანთი როლის შესახებ და ა.შ. ამის საჭიროება კიდევ უფრო ნათლად იკვეთება იმ მასწავლებლების შემთხვევაში, რომლებიც ან საერთოდ არ ფლობენ ქართულ ენას, ან უჭირთ კომუნიკაცია და, ამავე დროს, ბილინგვური განათლების სპეციალისტი არ ფლობს ეთნიკური უმცირესობის ენას.

როგორც აღინიშნა, სკოლებში სხვადასხვა რაოდენობის ბლინგვური განათლების სპეციალისტია[1020] დასაქმებული. კერძოდ, საანგარიშო პერიოდისთვის 169 სკოლაში, რომელიც ბილინგვური განათლების პროგრამაშია ჩართული, ჯამში 323 ბილინგვური განათლების სპეციალისტია დასაქმებული.[1021] არის ისეთი სკოლები, რომლებიც, მართალია, ჩართულია ბილინგვური განათლების პროგრამაში, თუმცა, საანგარიშო პერიოდში ბილინგვური განათლების სპეციალისტი დასაქმებული არ ყოფილა და ეს შტატი ვაკანტური იყო. ჯამში იმ 169 სკოლიდან, რომელიც საანგარიშო პერიოდში ბილინგვური განათლების პროგრამაში იყო ჩართული, ბილინგვური განათლების სპეციალისტის შტატი ვაკანტური იყო 14 სკოლაში.[1022]

[1020] ბილინგვური განათლების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები მოიაზრებს: შესაბამისი საგნის სტანდარტის რევიზიის პროცესში მონაწილეობა (ბილინგვური პერსპექტივიდან); სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საგნობრივი რესურსების შექმნა; თითოეული სასწავლო ერთეულისთვის საგნობრივი ცნებების, საკითხების, დავალებების, აქტივობების, სავარჯიშოების, დამხმარე რესურსების (ტექსტები, ვიდეოები, ილუსტრაციები და სხვ.) და შეფასების ინსტრუმენტების განსაზღვრა (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 იანვრის წერილი № MES 1 24 0000081209).

[1021] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149.

[1022] მაგ., ასეთია ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალავერის №2 (აზერბაიჯანულენოვანი სკოლა), ასევე, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაზაქლოს საჯარო სკოლა (აზერბაიჯანულენოვანი), დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კიზილაჯლოს საჯარო სკოლა (აზერბაიჯანულენოვანი), წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ არსარვანის საჯარო სკოლა (აზერბაიჯანულენოვანი), ქალაქ მარნეულის №4 საჯარო სკოლა (რუსულენოვანი), ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კიროვაკანის საჯარო სკოლა (სომხურენოვანი), ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოლავერდის საჯარო სკოლა (სომხურენოვანი) და სხვ. (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149).

არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში ქართული ენის სწავლების ხელშესაწყობად, ბილინგვური განათლების სპეციალისტების საქმიანობასთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსულტანტი მასწავლებლების[1023] როლიც. კონსულტანტი მასწავლებლის ფუნქცია, აგრეთვე მოიცავს ქართულენოვანი არაფორმალური აქტივობების განხორციელებას. 2024 წელს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში მივლენილი იყო[1024] ჯამში 144 კონსულტანტი მასწავლებელი.[1025] წინა წლების მსგავსად, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მივლენილი მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებელთა დინამიკა თანაფარდობაში არ არის ამ რეგიონების არაქართულენოვან სკოლებთან/სექტორებთან. მაგალითად, საგულისხმოა, რომ 2024 წელს, კახეთის რეგიონის მხოლოდ 3 სკოლაში იყვნენ მივლენილნი[1026] კონსულტანტი მასწავლებლები, თუმცა რეგიონში 14 არაქართულენოვანი სკოლა/სექტორია.[1027] რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, ამ რეგიონში კონსულტანტი მასწავლებლები მხოლოდ 33 სკოლაში იყვნენ მივლენილნი,[1028] მაშინ, როცა რეგიონში 108 არაქართულენოვანი სკოლა/სექტორია.[1029] ქვემო ქართლში კონსულტანტი მასწავლებლები 89 სკოლაში იყვნენ მივლენილნი,[1030] მაშინ როცა რეგიონში 138 არაქართულენოვანი სკოლა/სექტორია.[1031] უნდა აღინიშნოს, რომ სკოლებში ბილინგვური განათლების სპეციალისტების დეფიციტის ფონზე (მაგალითად, არის სკოლები, სადაც მუშაობს მხოლოდ 1 ბილინგვური განათლების სპეციალისტი), კონსულტანტი მასწავლებლების

[1023] კონსულტანტ-მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები მოიაზრებს შემდეგს: ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი; ხელი შეუწყოს არაფორმალურ სწავლებას (სკოლაში საგნობრივი წრის შექმნა, დამატებითი გაკვეთილების ჩატარება, შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და ღონისძიებების ორგანიზება), დახმარება გაუწიოს ადგილობრივ მასწავლებლებს და იზრუნოს მათ პროფესიულ განვითარებაზე და სხვ. (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 იანვრის წერილი № MES 1 24 0000081209).

[1024] კონსულტანტ-მასწავლებლების მივლენა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „არაქართულენოვანი სკოლების მხარდამჭერი“ ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება. ქვეპროგრამის მიზანია ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა; ასევე, არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობა სახელმწიფო ენის გაძლიერების გზით და სკოლის ბაზაზე არაფორმალური სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 29 იანვრის წერილი № MES 1 24 0000081209).

[1025] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149.

[1026] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 9 25 0000145610.

[1027] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149.

[1028] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 9 25 0000145610.

[1029] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149.

[1030] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 9 25 0000145610.

[1031] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149.

საქმიანობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გამოწვევაა კონსულტანტი მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების სიმწირე.

საგულისხმოა, რომ ამჯერად ბილინგვური განათლების მიდგომა დაწყებით საფეხურზე ხუთ საგანში ინერგება (მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება, სახვითი ხელოვნება და ჩვენი საქართველო). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2024 წელს ამ საგნებში სასწავლო რესურსები განახლდა, ასევე შემუშავდა მეთოდიკური გზამკვლევი, შეფასების რუბრიკები.[1032] თუმცა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომ ბილინგვური სახელმძღვანელოები, მათ შორის, მასწავლებელთა ორენოვანი დამხმარე სახელმძღვანელოები, ბილინგვური განათლების პროგრამაში ჩართული სკოლებისთვის ხუთივე საგანში ხელმისაწვდომი არ არის.

ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოქმედ ზოგადი განათლების დაწესებულებებში ჩატარებული შეხვედრების ფარგლებში, ბილინგვური განათლების კონტექსტში მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოავლინეს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ბილინგვური განათლების სპეციალისტებმა კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვეს შემუშავებულ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. მასწავლებლები სახელმძღვანელოების გამარტივების აუცილებლობაზე მიუთითებდნენ. დამატებით, ასევე აღნიშნავდნენ, რომ ორენოვანი საგაკვეთილო პროცესის ფარგლებში, რადგანაც საგაკვეთილო დროის გაყოფა უწევთ ბილინგვური განათლების სპეციალისტებთან, ზოგიერთ შემთხვევაში, სასწავლო რესურსის სირთულის გამოც, ხშირად ეროვნული სასწავლო პროგრამის გავლას ვერ ასწრებენ წლის განმავლობაში, რაც, მათი შეფასებით, მოსწავლეებში ამცირებს საგნის ცოდნის ხარისხს.

ზოგადი განათლების კონტექსტში, დამატებით აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, გასული წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით წარმართვის საკითხი. აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები საქართველოს აზერბაიჯანისგან გადმოეცემა საჩუქრად, ხოლო სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები - სომხეთისგან.

სკოლების საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მნიშვნელობასთან ერთად, ასევე საგულისხმოა, რომ სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები ზოგიერთ შემთხვევაში მოძველებულია, რამდენიმე წლის წინ არის გამოშვებული. აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები, მართალია, მოძველებული არ არის, თუმცა, როგორც ამ საგნის პედაგოგები აღნიშნავენ, სწავლებისას პრობლემები წარმოიქმნება აზერბაიჯანის განსხვავებული განათლების სისტემის ჭრილში. კერძოდ, პირველი კლასის სახელმძღვანელო ანბანით არ იწყება, რადგან,

[1032] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149.

საქართველოსგან განსხვავებით, აზერბაიჯანში მოსწავლეები პირველ კლასამდე წინარე მოსამზადებელ პერიოდს გადიან. რაც შეეხება რუსული ენისა და ლიტერატურის წიგნებს, ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია ამ საგნის წლების წინ მოსკოვში გამოშვებული წიგნებით სწავლების პრაქტიკა. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ამავე საგნის პედაგოგების მითითებით, ისინი იყენებენ რუსული ენის, როგორც მეორე უცხო ენის შემსწავლელ სახელმძღვანელოს.

24.4.3. მცირერიცხოვანი ეთნოსებისთვის მშობლიური ენის სწავლება

მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირსობების მშობლიური ენა 2015 წლიდან ისწავლება. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოების შექმნა და შესაბამისი ენების პედაგოგების მომზადება, გასული წლების მსგავსად, კვლავ სისტემური პრობლემაა.

24.4.4. სახელმწიფო ენის სწავლება

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საქართველოს მეხუთე პერიოდული ანგარიშის შეფასების საფუძველზე გამოცემულ დასკვნაში, სხვა საკითხებთან ერთად, მითითებულია ქართული ენის სწავლების გაძლიერების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით უმცირესობათა იმ ჯგუფებში, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ენის შესწავლაზე ან ცხოვრობენ მოშორებულ სოფლებში.[1033]

საგულისხმოა, რომ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ახორციელებს ქართული ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამას. ენის შესწავლა ხელმისაწვდომია როგორც ოთხ რეგიონში მდებარე 12 რეგიონულ ცენტრში,[1034] ისე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მობილური ჯგუფების საშუალებით[1035] ან ონლაინ/დისტანციურ რეჟიმში.[1036]

მისასალმებელია, რომ 2023 წელთან შედარებით, 2024 წელს მობილური ჯგუფი 36 ახალ ლოკაციაზე დაემატა.[1037] მიუხედავად ამისა, მობილური ჯგუფების გეოგრაფიული არეალი

[1033] UN Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, 13 September 2022, para. 51.

[1034] რეგიონული ცენტრები მდებარეობს: ახალქალაქში, ბოლნისში, გარდაბანში, ლამბალოში, დმანისში, წალკაში, მარნეულში, ნინოწმინდაში, ლაგოდეხში, ახმეტაში, ახალციხესა და ქუთაისში (სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2025 წლის 11 თებერვლის წერილი № MES 8 25 0000131614).

[1035] მობილური ჯგუფები იქმნება კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში ბენეფიციართა მომართვიანობის საფუძველზე. მობილური ჯგუფის ჩამოყალიბებისთვის ბენეფიციართა აუცილებელი მინიმალური რაოდენობაა 5 მსმენელი. ბენეფიციართა უფრო მცირე რაოდენობის შემთხვევაში, სკოლა ითვალისწინებს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საკითხს თუ რამდენად შესაძლებელია მათთვის მომსახურების გაწევა უახლოესი რეგიონული სასწავლო ცენტრის ან მობილური ჯგუფის მეშვეობით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მობილური ჯგუფი ფორმირდება მინიმუმ 3 მსმენელის პირობებში. (სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2025 წლის 11 თებერვლის წერილი N MES 8 25 0000131614).

[1036] (სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2025 წლის 11 თებერვლის წერილი N MES 8 25 0000131614).

[1037] იქვე.

ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიულ ერთეულებს სრულად კვლავ არ მოიცავს. 2024 წელს, 2023 წლის მსგავსად, მობილური ჯგუფების საშუალებით სახელმწიფო ენა არ ისწავლებოდა თელავისა[1038] და თეთრიწყაროს[1039] მუნიციპალიტეტებში, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, მობილური ჯგუფები ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მხოლოდ რამდენიმე სოფელში იყო მივლენილი.

მართალია, მობილური ჯგუფები ბენეფიციართა მოთხოვნით იქმნება, მაგრამ საამისოდ, მათი მოქმედების გეოგრაფიული არეალის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია საზოგადოებას სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია აქტიურად და ინტენსიურად მიეწოდებოდეს. ის, რომ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტებისა და სოფლების ნაწილში მოსახლეობას მობილური ჯგუფების საშუალებით სახელმწიფო ენის შესწავლის სურვილი არ გამოუთქვამს, შესაძლოა, სწორედ არასაკმარისი ინფორმირებულობით აიხსნებოდეს. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, მართალია, გარკვეულ აქტივობებს ახორციელებს, თუმცა, 2024 წლის მონაცემების საფუძველზე იკვეთება,[1040] რომ მწირია როგორც ამ აქტივობების რიცხვი, ისე მათი განხორციელების გეოგრაფიული არეალი.

ამასთანავე, 2024 წელს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში განხორციელებული ვიზიტებიდანაც ირკვევა, რომ, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული მუნიციპალიტეტებისა და სოფლების მოსახლეობის ნაწილი სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის საქმიანობისა და შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, ხოლო იმ შემთხვევებში, სადაც მოსახლეობის ნაწილმა იცოდა სკოლის რეგიონული ცენტრების შესახებ, აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო ენის მობილური ჯგუფების საშუალებით სწავლის შესაძლებლობაზე ინფორმაცია არ ჰქონია.

24.4.5. უმაღლესი განათლება

2024 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და ოსური ენის ტესტის საფუძველზე ჯამში 1483 აბიტურიენტი ჩაირიცხა.[1041] მათგან

[1038] თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 38 721 ადამიანია, მათი 12.8% აზერბაიჯანელია. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, გვ. 149-150).

[1039] თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 21 127 ადამიანია, მათი 7.3% აზერბაიჯანელია, ხოლო ასევე 7.3% - სომეხი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, გვ. 333 – 334).

[1040] სსიპ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2025 წლის 11 თებერვლის წერილი № MES 8 25 0000131614).

[1041] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 13 თებერვლის წერილი № MES 2 25 0000149.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სომხურენოვანი ტესტით ჩაირიცხა 423 აბიტურიენტი, აზერბაიჯანულენოვანი ტესტით - 1055, ხოლო ოსური ენის ტესტით - 5. 1483 აბიტურიენტიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტი 26%-მა მოიპოვა. ეს მაჩვენებელი 2023 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.[1042] მისასალმებელია, რომ 2024 წელს გაორმაგდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ზოგადი უნარების ტესტების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება, რასთან დაკავშირებითაც სახალხო დამცველი წლების განმავლობაში გასცემდა რეკომენდაციას. ამ დადებითი სიახლის შედეგად დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა გაიზარდა. მნიშვნელოვანია, სტუდენტების დასაფინანსებლად თანხის გამოყოფისა და გაზრდის პრაქტიკა მომდევნო სასწავლო წლებშიც შენარჩუნდეს.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ, 2023 წლის მსგავსად, 2024 წელს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ჩატარებულმა შეხვედრებმა ამჯერადაც აჩვენა, რომ მოსახლეობის ნაწილს პროგრამაზე ჩარიცხვის გზებთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩასარიცხად აუცილებელი და სავალდებულო არ არის აბიტურიენტებს დამთავრებული ჰქონდეთ აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი სკოლა/სექტორი, საზოგადოების ნაწილს ამ საკითხთან დაკავშირებით მცდარი ინფორმაცია აქვს. მათი აზრით, ქართულენოვან სკოლაში/სექტორში სწავლის შემთხვევაში, აბიტურიენტები ამ პროგრამაზე ჩარიცხვას ვერ შეძლებენ.[1043] ეს, როგორც აზერბაიჯანულენოვან, ისე სომხურენოვან თემში, ამ პროგრამის შესახებ ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული მუშაობის გააქტიურების საჭიროებაზე მიუთითებს.

24.5. მედიის ხელმისაწვდომობა

2024 წელს, წინა წლების მსგავსად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს პირველი არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვების, „მოამბე 21:00 საათზე“, სინქრონულ თარგმანს აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე, რომლის ნახვა ტელევიზორის მეშვეობით არის შესაძლებელი.[1044] გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ყოველდღიურად ოთხ საინფორმაციო გამოშვებას ამზადებს, რომლებიც პირველი არხის ვებვერდზეა ხელმისაწვდომი. ამასთანავე, ეს საინფორმაციო გამოშვებები ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ტელევიზიებს უსასყიდლოდ გადაეცემა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ეროვნული უმცირესობებისთვის წარმოებული პროდუქტის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით გადადგმული ნაბიჯების

[1042] 2023 წელს 1628 აბიტურიენტიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტი მხოლოდ 12%-მა მოიპოვა (საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2024, 317).

[1043] ამაზე ყურადღება გამახვილებულია საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიშში, „ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლა“, 2022, გვ. 55.

[1044] 21:00 საათიანი „მოამბის“ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სინქრონული თარგმანი და, შესაბამისად, ამ საინფორმაციო გამოშვების პირდაპირ ეთერში ყურება სეტ-ტოპ ბოქსების, ასევე, ენის შეცვლის ფუნქციის მქონე ტელევიზორების მეშვეობით არის შესაძლებელი.

მიუხედავად, მისი პოპულარიზაცია კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მედიის ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის, მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისათვის, რადგან მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში. შესაბამისად, ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე ზუსტი მედიაპროდუქტის ხელმისაწვდომობა და ამ პროდუქტის თაობაზე ცნობადობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ პროცესებში აქტიური და ეფექტიანი ჩართულობისთვის კრიტიკულად აუცილებელია. მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით გაწეული საქმიანობა იყოს განგრძობადი და სისტემური.

აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების მიერ ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში ჩატარებული სამუშაო შეხვედრების ფარგლებში გამოვლინდა, მოსახლეობის ნაწილისთვის ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ ან მთლიანად უცნობია ან მხოლოდ ნაწილობრივ არის ცნობილი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში გაუწიოს ეროვნული უმცირესობების ენებზე მთავარ საინფორმაციო და ანალიტიკურ გამოშვებებს პოპულარიზაცია, რაც, მათ შორის, გულისხმობს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, თუ როგორ შეძლონ 21:00-იანი მოამბის სინქრონული თარგმანის ნახვა, ასევე, რა ტიპის საინფორმაციო თუ ანალიტიკური გამოშვებებია ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდზე და ა.შ. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განაგრძოს რეგიონულ ტელევიზიებთან თანამშრომლობა, რაც მომზადებული პროდუქტის მათთვის უსასყიდლოდ გადაცემას გულისხმობს. ამის პარალელურად, აუცილებელია, სხვა საქმიანობებთან ერთად, რეგიონულ ტელევიზიებთან თანამშრომლობის ფარგლებში ხელმისაწვდომი შესაძლებლობების პოპულარიზაციის მიზნით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის რა ტიპის სატელევიზიო პროდუქტი გადაეცემათ რეგიონულ მაუწყებლებს უსასყიდლოდ.

24.6. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა

ის პატიმრები, რომლებიც საკმარისად არ ფლობენ ქართულ ენას, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებისას განსაკუთრებულად მოწყვლად მდგომარეობაში არიან. სახალხო დამცველის აპარატის მიერ პენიტენციური დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციიდან ვლინდება, რომ დაწესებულებებში არაერთი პატიმარია, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული და რომლებიც საკომუნიკაციო დონეზეც კი არ ფლობენ სახელმწიფო ენას.[1045] ენობრივი ბარიერი მათ ხელს უშლით სრულყოფილად ისარგებლონ

[1045] მაგ., 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, №2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული იყო 171 ბრალდებული/მსჯავრდებული, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული, აქედან მხოლოდ 48 ბრალდებული/მსჯავრდებული ფლობდა ქართულ ენას საკომუნიკაციო დონეზე (№2 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №36570/01). №14 პენიტენციურ დაწესებულებაში, სულ განთავსებული იყო 89 მსჯავრდებული, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული. მათგან ქართული ენა საკომუნიკაციო დონეზე იცის მხოლოდ 26-მა მსჯავრდებულმა (№14 პენიტენციური დაწესებულების

პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სერვისებით. კერძოდ, ენობრივი ბარიერი პატიმრებს, მათ შორის, აფერხებთ ინფორმაცია მიიღონ საკუთარი უფლება-მოვალეობების, გასაჩივრების მექანიზმის, დისციპლინური სამართალწარმოების წესების, სამედიცინო მომსახურების გაწევის ორგანიზების, სარეაბილიტაციო აქტივობების შესახებ და ა.შ.

საგულისხმოა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში შტატით არ არის დასაქმებული თარჯიმანი. თუმცა, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ შესაბამის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მოთხოვნის შემთხვევაში პენიტენციურ დაწესებულებას ემსახურება სხვადასხვა ენის თარჯიმანი.[1046] პენიტენციური კოდექსი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებში შეუძლია პატიმარს სათარჯიმნო მომსახურების მოთხოვნა - მაგალითისათვის, საჩივრის შეტანისას ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელმაც არ იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, არ ესმის სამართალწარმოების ენა, უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით[1047] და სხვ.[1048] დამატებით თარჯიმნის მომსახურების მოთხოვნის შესაძლებლობის შესახებ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებშია გაწერილი.[1049] სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტებიდან ვლინდება, რომ პატიმრებისთვის თარჯიმნის მომსახურების სარგებლობის შესახებ დეტალური ინფორმაცია უცნობია.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში (კორპუსების სართულებზე, სატელეფონო საუბრების ოთახებში და ა.შ.) რამდენიმე ენაზე, მათ შორის, სომხურად და აზერბაიჯანულად არის გამოკრული ინფორმაცია პატიმრის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ასევე ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა დაწესებულების[1050] ცხელი ხაზის ნომრები. მართალია, პატიმრებისთვის ამ ინფორმაციის ამ სახით მიწოდება მნიშვნელოვანია, თუმცა, ასევე აუცილებელია იგი მათ ბუკლეტების სახითაც გადაეცეთ.

2025 წლის 6 თებერვლის წერილი №33706/01). №15 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული შეადგენდა 140-ს, მათგან საკომუნიკაციო დონეზე ქართული ენა იცოდა 30 მსჯავრდებულმა (№15 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №36874/01). №17 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული იყო 428 მსჯავრდებული, რომელთა მშობლიური ენაც არ იყო ქართული და მათგან, მინიმუმ, საკომუნიკაციო დონეზე ქართულ ენას ფლობდა 305 მსჯავრდებული (№17 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 6 თებერვლის წერილი №33810/01) და ა.შ.

[1046] №2 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №36570/01.

[1047] საქართველოს პენიტენციური კოდექსის 103-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[1048] დაწესებულებაში მიღების დროს ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაუყოვნებლივ, წერილობით, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა გააცნონ მისი უფლებები და მოვალეობები, მის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, მის მიერ ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები, აგრეთვე მის მიმართ წაყენებული სხვა მოთხოვნები (საქართველოს პენიტენციური კოდექსის 47-ე მუხლის მე-5 ნაწილი, ასევე 55-ე მუხლის მე-2 ნაწილი). დისციპლინური დარღვევის ჩადენაში მხილებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს უფლება ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუ არ ესმის სამართალწარმოების ენა (საქართველოს პენიტენციური კოდექსის 73-ე მუხლი) და სხვ.

[1049] მაგ., №2 პენიტენციური დაწესებულების დებულების 34.1 ჩანაწერი, სადაც მითითებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო ენის არცოდნის შემთხვევაში, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

[1050] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის, საქართველოს სახალხო დამცველის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის.

სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია პატიმრებისთვის ბუკლეტების სახით ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ხელმისაწვდომი არ არის. №8 პენიტენციურ დაწესებულებაშიც კი, სადაც, მართალია, დაწესებულების შემთხვევის ადმინისტრატორებმა, ბუკლეტი პატიმართა უფლება-მოვალეობების შესახებ, 10 სხვადასხვა ენაზე წარმოადგინეს, იგი არ მოიპოვებოდა არც დაწესებულების ბიბლიოთეკაში და არც გამოკითხულ პატიმრებს ჰქონდათ.[1051]

პატიმრების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიღმა, ზოგიერთ პენიტენციურ დაწესებულებაში რამდენიმე ენაზე თარგმნილი სხვა დოკუმენტებიც არის ხელმისაწვდომი. მაგალითად, №2 პენიტენციურ დაწესებულებაში აზერბაიჯანულ ენაზე ხელმისაწვდომია მაღაზიის მენიუ, პატიმრის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები და სხვ.[1052] №8 პენიტენციურ დაწესებულებაში შემუშავებული და დაბეჭდილია რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა და სამედიცინო მომსახურების შესახებ ბროშურები „მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, მომსახურებები“, რომლებიც ქართულის გარდა ხუთ ენაზე, მათ შორის, აზერბაიჯანულად და სომხურად არის ხელმისაწვდომი.[1053] ანალოგიური ბროშურა ხელმისაწვდომია №15 პენიტენციურ დაწესებულებაშიც.[1054] მაგრამ ამგვარი მაგალითები, სამწუხაროდ, გამონაკლისია და პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობაში ზემოხსენებული ინფორმაცია პატიმრებისთვის ამ ფორმით ხელმისაწვდომი არ არის. ამ ნაწილში დამატებით აღსანიშნავია, რომ პენიტენციური დაწესებულებების განმარტებით, ბრალდებულებს/მსჯავდებულებს, რომლებიც არ ფლობენ ქართულ ენას, სარეაბილიტაციო აქტივობების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ სოციალური მუშაკის მიერ, თარჯიმნის მეშვეობით ზეპირსიტყვიერად მიეწოდებათ.[1055] თუმცა, სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ფარგლებში გამოვლინდა, რომ პატიმრების ნაწილი ან საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას შესაძლო სარეაბილიტაციო აქტივობების შესახებ, ან სრულყოფილად არ აქვს ამ საკითხზე ინფორმაცია.

პატიმრებისთვის ენობრივი და თანმდევი ინფორმაციული ბარიერების აღმოფხვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ქართული ენის შემსწავლელი კურსების პოპულარიზაციაა. 2024 წლის განმავლობაში №2 პენიტენციურ დაწესებულებაში ქართული ენის შემსწავლელი კურსი 6-მა მსჯავრდებულმა გაიარა.[1056] ასევე საგულისხმოა, რომ 2025 წლის თებერვლის მონაცემებით, №16 პენიტენციურ დაწესებულებაში ქართული ენის შემსწავლელი კურსი ამჟამადაც მიმდინარეობს და მასში ჩართულია 13 მსჯავრდებული.[1057] სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში საანგარიშო პერიოდში ქართული ენის შემსწავლელი კურსი არ მიმდინარეობდა. მართალია, სასწავლო პროგრამაში ჩართვა

[1051] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2024, გვ. 23.
[1052] №2 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №36570/01.
[1053] №8 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №36660/01.
[1054] №15 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №36874/01.
[1055] №5 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №36548/01; №3 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №37053/01; 8)5) №14 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 6 თებერვლის წერილი №33706/01.
[1056] №2 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №36570/01.
[1057] №16 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 13 თებერვლის წერილი №40811/30.

მსჯავრდებულის საჭიროების განსაზღვრის და მისი სურვილის გათვალისწინებით ხდება,[1058] თუმცა ქართული ენის ცოდნის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია პატიმრებს ქართული ენის შემსწავლელი კურსის შესახებ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე პერიოდულად მიეწოდებოდეთ როგორც ინდივიდუალურად, ისე ინფორმირების სხვა ისეთი ზოგადი ფორმებით, როგორებიცაა ინფორმაციის საცხოვრებელი კორპუსების კედლებზე გამოკვრა, ბუკლეტების დამზადება და გავრცელება და სხვ.

ზემოაღნიშნულის გარდა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პატიმრების უფლებრივი მდგომარეობის დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან აცილების გეგმა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- 2025-2026 სასწავლო წლისთვის გაიზარდოს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების, ასევე ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სამუშაოს მაძიებლების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად განახორციელოს მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული აქტივობები;
- ეროვნული უმცირესობებისთვის, აღმასრულებელი ხელისულების დონეზე შექმნას ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმი, რომელსაც ექნება ნათლად განსაზღვრული სამართლებრივი სტატუსი, მდგრადი ფინანსური მხარდაჭერა და რომელთან კონსულტაციის ვალდებულებაც კანონმდებლობაში იქნება გაწერილი;
- მიიღოს სამართლებრივი აქტი, რომლითაც განისაზღვრება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსთან კონსულტაციის ვალდებულება ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც, შესაძლოა, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვასა და სამოქალაქო ინტეგრაციაზე ახდენდეს გავლენას;
- შემუშავდეს გრძელვადიანი გეგმა კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებში ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად;
- აწარმოოს სტატისტიკა საჯარო სამსახურში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ, სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიაში გაითვალისწინოს თვითიდენტიფიკაციის, ნებაყოფლობითობის და ანონიმურობის პრინციპები.

[1058] №12 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 12 თებერვლის წერილი №39770/27.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში გააფართოოს სკოლამდელი ბილინგვური პროგრამების დაფარვის არეალი;
- იმ სკოლებში, სადაც სწავლა მიმდინარეობს ეროვნული უმცირესობების ენაზე, დაინერგოს ბილინგვური სწავლების მოდელი; შემუშავდეს ბილინგვური სწავლებისთვის საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოები; მომზადდნენ/გადამზადდნენ ორენოვანი პედაგოგები;
- საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად, დაიწყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება;
- უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, აგრეთვე, პედაგოგთა გადამზადება;
- ბილინგვური პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, განახორციელოს სტუდენტური და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები ქვეყნის ფარგლებს შიგნით;

საქართველოს კულტურის მინისტრს:

- ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას;
- უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია და შეუდგეს ამ ძეგლების კონსერვაციას ან/და რესტავრაციას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში, ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების გზით, რეგულარულად, სამედიცინო პერსონალის მაქსიმალური ჩართულობით უზრუნველყოს მათი ინფორმირება სახელმწიფოში მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის თითოეული სერვისის შესახებ;
- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში, ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების გზით, რეგულარულად, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მაქსიმალური ჩართულობით უზრუნველყოს საყოველთაო

ჯანდაცვის პროგრამის შესახებ, ასევე, ვაქცინაციასთან (მათ შორის, გეგმურ და ადამიანის პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციასთან) და „დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის პოპულარიზაცია.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას:

- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაცია და გააფართოოს ამ პროგრამის განხორციელების, მათ შორის, მობილური ჯგუფების საქმიანობის გეოგრაფიული არეალი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- ცენტრის საქმიანობის გეოგრაფიული არეალისა და ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი პროგრამების ფარგლებში გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა გაიზარდოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში.

საზოგადოებრივ მაუწყებელს:

- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში გააძლიეროს ეროვნული უმცირესობების ენებზე მთავარი საინფორმაციო და ანალიტიკური გამოშვებების პოპულარიზაცია აუდიტორიის გასაზრდელად;
- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული მედიაპროდუქტების (მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული მედიაპროდუქტების) ხელმისაწვდომობას ტრანსლაციის ყველა არსებული საშუალებით, აგრეთვე უზრუნველყოს ამ საქმიანობის პოპულარიზაცია.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს:

- მკაფიოდ განსაზღვროს მიმღები დაწესებულებების მიმართ 1+4 სტაჟირების პროგრამის მოთხოვნები, ასევე, პროგრამის მონაწილეებისათვის სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები, დანერგოს შეფასების ინსტრუმენტები და ახალგაზრდების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

პენიტენციური დაწესებულებების დირექტორებს:

- უზუნველყონ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი პატიმრებისთვის ქართული ენის შემსწავლელი კურსის შესახებ ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე (სომხურად, აზერბაიჯანულად) მიწოდება ინდივიდუალურად - სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე მომზადებული ბუკლეტების გადაცემით, ასევე ამგვარი შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოიკრას პენიტენციური დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსების კედლებზე;

- სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმოს პატიმრის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, პატიმრის მიერ ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები, ასევე რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა და სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაცია; თარგმნილი ინფორმაცია განთავსდეს პენიტენციური დაწესებულებების ბიბლიოთეკაში, გამოიკრას დაწესებულების კორპუსის სართულებზე, გასეირნების სივრცეებთან, შეხვედრის ადგილას, სატელეფონო საუბრების ოთახებში;
- პატიმრის მიმართ მოსამსახურეთა მოპყრობის წესები, პატიმრის მიერ ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესები, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების წესები, პატიმრის უფლება-მოვალეობები, ასევე რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისა და სამედიცინო მომსახურების შესახებ ინფორმაცია მომზადდეს ბუკლეტების სახით სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე და გადაეცეს ყველა იმ პატიმარს, რომლისთვისაც სომხური და აზერბაიჯანული არის საკომუნიკაციო ენა და რომელიც არ ფლობს/სათანადოდ არ ფლობს ქართულ ენას;
- შემუშავდეს გრძელვადიანი გეგმა პატიმრებს შორის ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს:

- უზრუნველყონ სკოლამდელი განათლებისა და სასკოლო მზაობის პროგრამების ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში.

საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების ხარისხის და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, უზრუნველყონ პედაგოგთა, მათ შორის, არაქართულენოვან პედაგოგთა გადამზადება, სასწავლო რესურსების შექმნა და მიწოდება;
- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის მისაწვდომობა ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენაზე;
- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ნორმატიული აქტების (მათ შორის, სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების) მისაწვდომობა მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენაზე.

25. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

2024 წლის ბოლოს მონაცემებით, საქართველოში 299 172 იძულებით გადაადგილებული პირი და 96 130 დევნილი ოჯახია რეგისტრირებული. მათგან, 48 640 ოჯახი გრძელვადიანად არის განსახლებული,[1059] 43 792 ოჯახს კი გრძელვადიანი განსახლების სხვადასხვა პროგრამის[1060] ფარგლებში შევსებული აქვს განაცხადი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნით. ხოლო, 385 ოჯახზე გაცემულია ადმინისტრაციული დაპირება, პირველივე შესაძლებლობისთანავე საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე.[1061] საანგარიშო წელს მცირედით შემცირდა გრძელვადიანად განსახლებული ოჯახების რაოდენობა,[1062] საგულისხმოა ისიც, რომ 2024 წელს არცერთი ე.წ. ნგრევადი ობიექტი არ დახურულა. ამასთანავე, 2025 წლის ბოლომდე დაგეგმილმა დევნილთა მასშტაბური განსახლების ვადამ, თბილისში, ზუგდიდში, რუსთავსა და ბორჯომში 2026 წლამდე გადაიწია. ასევე, არ შეცვლილა დევნილი ოჯახებისათვის გათვალისწინებული ქირის ოდენობა - 300 ლარი. კვლავაც გამოწვევად რჩება ე.წ. სოფლად სახლის განსახლების პროგრამაში ჩასართავად გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება.

25.1. დევნილთა განსახლება

საანგარიშო პერიოდში გრძელვადიანი განსახლების სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში სულ 2022 ოჯახი განსახლდა,[1063] ხოლო ქირით უზრუნველყოფილი იყო 1 176 ოჯახი.[1064] ქირისათვის გამოყოფილი 300 ლარიანი თანხის სიმცირეზე საქართველოს სახალხო

[1059]სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 24 იანვრის № IDP 2 25 00076289 წერილი.

[1060] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 21 იანვრის № IDP 7 25 00057311 წერილის მიხედვით, 35 347 ოჯახს მიმართული აქვს ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში განსახლების მოთხოვნით, ხოლო, 8 445 ოჯახს ე.წ. სოფლად სახლის შესყიდვის პროგრამით სარგებლობის მოთხოვნით.

[1061] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 16 იანვრის № IDP 2 25 00033457 წერილი.

[1062] 2024 წელს საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 2 022 ოჯახი, მაშინ როდესაც, 2023 წელს გრძელვადიანად განსახლდა 2 278 ოჯახი. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 324.

[1063] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 4 თებერვლის № IDP 7 25 00120400 წერილის მიხედვით, ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში ადმინისტრაციული დაპირების მქონე 262 ოჯახი განსახლდა; 1358 ოჯახს კერძო საცხოვრებლის შესყიდვის პროგრამის ფარგლებში ეთქვა თანხმობა საცხოვრებლის შესყიდვაზე; 49 ოჯახს ადმინისტრაციული დაპირების ფარგლებში შეუსყიდეს საცხოვრებელი ფართი; გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევერაში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) მიერ დაფინანსებული და ლტოლვილთა დანიის საბჭოს (DRC) მიერ განხორციელებული პროექტის - „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის“, ფარგლებში აშენებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებში განსახლდა 2 დევნილი ოჯახი და მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართები დაუკანონდა (საკუთრებაში გადაეცა) 351 დევნილ ოჯახს (ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტები).

[1064] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 16 იანვრის № IDP 7 25 00029934 წერილი.

დამცველი გასულ საპარალამენტო ანგარიშშიც მიუთითებდა,[1065] თუმცა მდგომარეობა 1 წლის შემდეგაც უცვლელია. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსა[1066] და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს[1067] ინფორმაციით, საკითხზე მიმდინარეობს მსჯელობა და მომზადებულია შესაბამის ნორმატიულ აქტში შესატანი ცვლილებების პროექტიც. იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ მაღალია გრძელვადიანი განსახლების მსურველი ოჯახების რაოდენობა და კვლავაც დიდია ამ 300 ლარიანი ლიმიტის გაზრდის საჭიროება, მნიშვნელოვანია, შემჭიდროებულ ვადებში დამტკიცდეს შესაბამისი ცვლილებები და გაიზარდოს დადგენილი ლიმიტი.

ჯერ კიდევ 2023 წელს, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ განაცხადა, რომ 2025 წლისათვის საქართველოს რამდენიმე ქალაქში (თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავსა და ბორჯომში) ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში დევნილთა გრძელვადიან განსახლებას გეგმავდა.[1068] ამ მიზნით 2023 წლის ბოლოს განაცხადების მიღებაც კი დაიწყო და ჯამში 35 347-მა ოჯახმა წარადგინა მოთხოვნა.[1069] თუმცა, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისათვის მოწოდებული ინფორმაციით,[1070] 2025 წელს მხოლოდ ქუთაისში იქნება შესაძლებელი დევნილთა გრძელვადიანი განსახლება ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში.[1071] დანარჩენ ქალაქებში კი, გრძელვადიანი განსახლების პროცესი 2026 წელს განხორციელდება. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განსხვავებულ ინფორმაციას ვხვდებით. ამ ინფორმაციის მიხედვით, თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავსა და ბორჯომში დევნილთა გრძელვადიანი განსახლება 2025 წელს განხორციელდება.[1072] თავის მხრივ, ოჯახებს, რომლებმაც ჯერ კიდევ 2023 წელს შეავსეს განაცხადები საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნით, შეექმნათ მოლოდინი, რომ მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი 2025 წელს განიხილებოდა. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ

[1065] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 324.

[1066] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 16 იანვრის №IDP 4 25 00035484 წერილი.

[1067] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 17 იანვრის № MOH 1 25 00043043 წერილი.

[1068] ხელმისაწვდომია: <https://moh.gov.ge/viewnews.php?lang=1&uid=202312250904554743980745> [11.03.2025].

[1069] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 28 იანვრის №IDP 0 25 00084530 წერილი.

[1070] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 16 იანვრის №IDP 4 25 00035484 წერილის თანახმად, 2025 წელს დაგეგმილია, შევსებული განაცხადებისა და მინიჭებული ქულების საფუძველზე იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი განსახლება ქუთაისში მდებარე ახალაშენებულ საცხოვრებელ კორპუსებში; თბილისში, თვალჭრელიძის ქ. №2-6-ში მშენებლობის დასრულების ვადა - 15.04.2026 წ.; ზუგდიდში მშენებლობის დასრულების ვადა - 12.02.2026 წ.; რუსთავში მშენებლობის დასრულების ვადა - 11.02.2026 წ.; ბორჯომში მშენებლობის დასრულების ვადა - 03.10.2025 წ.

[1071] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 16 იანვრის №IDP 4 25 00035484 წერილი.

[1072] ხელმისაწვდომია: <https://idp.moh.gov.ge/news.php?lang=1&id=20241022131707731309009 1> და <https://idp.moh.gov.ge/news.php?lang=1&id=20240829141216883508250 1> [11.03.2025].

ისედაც გაჭიანურებული გრძელვადიანი განსახლების პირობებში სააგენტომ ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს მშენებლობის დროულად დასასრულებლად, ამავე დროს, მოახდინოს დევნილი ოჯახების ინფორმირება მიმდინარე მშენებლობებთან და მისი დასრულების დამაბრკოლებელ მიზეზებსა თუ დასრულების სავარაუდო თარიღებთან დაკავშირებით.

გრძელვადიანი განსახლების ეტაპზე, წლებია, გამოწვევად რჩება ე. წ. სოფლად სახლის პროგრამაში განსახლების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება. როგორც სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციიდან[1073] ირკვევა, 2024 წელს, განსახლების პროგრამის ფარგლებში, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ 2022-2024 წლებში განსახლების მოთხოვნით რეგისტრირებული განაცხადები განიხილა (სულ შეიძინეს 1 358 საცხოვრებელი), რაც ნიშნავს, რომ საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნით მიმართვიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ზოგჯერ 2 წელი სჭირდება. პროცესის გაჭიანურება დამატებით პრობლემებს წარმოშობს მაშინ, როდესაც დევნილ ოჯახს მოძიებული აქვს შესასყიდი საცხოვრებელი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მესაკუთრემ, ის, შესაძლოა, გაასხვისოს.

25.2.სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება

გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში საქართველოს სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებდა ნგრევადი ობიექტების დახურვის ნელ ტემპს და მცირე ოდენობას,[1074] თუმცა განსაკუთრებით პრობლემურია საანგარიშო წლის მონაცემები, რომლის მიხედვითაც არცერთი ე. წ. ნგრევადი ობიექტი არ დახურულა და ამასთანავე, არცერთი ე. წ. ნგრევად ობიექტში მცხოვრები ოჯახი არ განსახლებულა.[1075] ამდენად, 2024 წლის ბოლოს მონაცემებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი შენობების რაოდენობა უცვლელია. კერძოდ, 2024 წელსაც 29 ე. წ. ნგრევადი ობიექტი იყო და ასეთ ობიექტებში ჯამში 491 ოჯახი ცხოვრობდა. მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს ისიც, რომ 2024 წლის განმავლობაში ე. წ. ნგრევად ობიექტში ცხოვრების გამო, არცერთი დევნილი ოჯახი არ ყოფილა ქირით უზრუნველყოფილი.[1076] მართალია, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ყველა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტის დახურვა 2025 წლის ბოლომდე ჰქონდა გადაწყვეტილი[1077], თუმცა იმ

[1073] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 21 თებერვლის №IDP 9 25 00202537 წერილი.

[1074] 2022 წელს 8 ე.წ. ნგრევადი ობიექტი დაიხურა. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 300. 2023 წელს 4 ე.წ. ნგრევადი ობიექტი დაიხურა. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 325.

[1075] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის იანვრის 4 თებერვლის № IDP 7 25 00120400 წერილი.

[1076] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 16 იანვრის № IDP 7 25 00029934 წერილი.

[1077] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2024 წლის 30 იანვრის IDP 4 24 00108961 წერილი.

პირობებში, როდესაც საანგარიშო წელს არცერთი ასეთი ობიექტი არ დახურულა, და თან, 2025 წელს ვერც დაგეგმილი მშენებლობების უმრავლესობა დასრულდება, ეჭვქვეშ დგება სააგენტოს გადაწყვეტილების დროულად აღსრულება.

რეკომენდაციები

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- კვარტალში ერთხელ უზრუნველყოს დევნილი ოჯახების ინფორმირება შესაბამის ვებგვერდზე ინფორმაციის განახლებით ან სხვა ფორმით, თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავსა და ბორჯომში მიმდინარე მშენებლობისა და მშენებლობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
- გამოიყენოს ყველა ბერკეტი თბილისში, ზუგდიდში, რუსთავსა და ბორჯომში სამშენებლო სამუშაოების დროულად დასასრულებლად და შემდგომში დევნილთა გრძელვადიანად განსასახლებლად;
- გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, ე.წ. ნგრევად ობიექტებში მცხოვრები დევნილები უზრუნველყოს უსაფრთხო საცხოვრებლით.

26.ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა

2024 წლის ბოლოს არსებული მონაცემებით, საგრძნობლად არის გაზრდილი სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა - მათი რიცხვი 12 058-ს უტოლდება.[1078] რეგისტრირებული ოჯახებიდან სულ 4 489 ოჯახია საცხოვრებლით უზრუნველყოფილი.[1079]

მისასალმებელია, რომ საანგარიშო წელს უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფილი ოჯახების ჯამური რაოდენობა გაიზარდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ გეოლოგიური პროცესები დინამიკურია, როგორც განსახლების, ისე პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროების მქონე ოჯახების რიცხვიც, წლიდან წლამდე იზრდება. ამასთანავე, ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტების მხრიდან პრევენციული ღონისძიებების გატარებას კვლავაც არათანმიმდევრული ხასიათი აქვს, რაც, საბოლოო ჯამში ზრდის ოჯახების განსახლების გადაუდებელი აუცილებლობის საჭიროებასაც. სამწუხაროდ, არც 2024 წელს გაზრდილა თითოეული დაზარალებული ოჯახისათვის საცხოვრებლის შესასყიდად გათვალისწინებული ფინანსების ლიმიტი, ასევე არ დასრულებულა 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი.[1080]

26.1.ეკომიგრანტთა განსახლება

2024 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც სტიქიით დაზარალების გამო სახელმწიფომ საცხოვრებელი შეუსყიდა. კერძოდ, საანგარიშო წელს 531[1081] ეკომიგრანტ ოჯახს შეუსყიდეს საცხოვრებელი სახლი.[1082] თუმცა, საანგარიშო წელს, განსახლებულთა შორის არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებმაც საცხოვრებლით უზრუნველყოფა 2014-2024 წლებში მოითხოვეს. შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში, განაცხადის რეგისტრაციიდან გადაწყვეტილების საბოლოოდ მიღებამდე 10 წელი გავიდა. მაშინ როდესაც, საქმე ეხება ოჯახებს, რომლებიც სტიქიის შედეგად დაზარალების გამო აღმოჩნდნენ განსახლების საჭიროების წინაშე, მნიშვნელოვანია, მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცილებლად, გადაწყვეტილება დროულად მიიღებოდეს. უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის

[1078] 2022 წელს 8 731, ხოლო, 2023 წელს 9 326 ოჯახი იყო რეგისტრირებული. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 – 2023 წლების საპარლამენტო ანგარიშები. გვ. 303 და გვ. 327.

[1079] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 17 იანვრის № IDP 1 25 00000001 წერილი.

[1080] საკუთრებაში გადაცემის პროცესი 2016 წელს დაიწყო და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებული 1062 ოჯახიდან უძრავი ქონება საკუთრებაში გადაცემული აქვს 675 ოჯახს.

[1081] 2023 წელს 376 ოჯახს შეუსყიდეს. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ. 327.

[1082] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის 17 იანვრის № IDP 1 25 00000001 და აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 29 იანვრის № 05/407 წერილების მიხედვით, 392 საცხოვრებელი სახლი შეიძინა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, ხოლო 139 საცხოვრებელი სახლი აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

სააგენტოს მხრიდან ქირით უზრუნველყოფილი ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა და მაშინ როცა მათი რიცხვი 2023 წელს 14-ს შეადგენდა, 2024 წელს ქირით უზრუნველყოფილი ოჯახების რიცხვმა 98-ს მიაღწია, რაც დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს.[1083]

სააგენტოსთან ერთად, ქირით უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ზოგიერთი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტშიც,[1084] რაც გრძელვადიანი განსახლების პროცესის გაჭიანურების პირობებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ოჯახებისათვის, უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად.

2024 წელს, განსხვავებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისაგან, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მცხოვრები ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებლების შესასყიდი მაქსიმალური ლიმიტი არ გაზრდილა. კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებს საცხოვრებლის შესაძენად 50 000 ლარი გამოეყოფათ, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ამ მიზნით კვლავ 30 000 ლარია გათვალისწინებული. ლიმიტის გადახედვის საჭიროებაზე საქართველოს სახალხო დამცველი გასული წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობდა,[1085] თუმცა, ამ მიმართულებით, 1 წლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინფორმაციით, ამ საკითხზე მიმდინარეობს მსჯელობა. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამ საკითხის ირგვლივ გადაწყვეტილების დროულად მიღება მნიშვნელოვანია.

26.2.ეკომიგრაციის პრევენცია

2024 წელს, სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გეოლოგიური პროცესების პრევენციული ღონისძიებების გატარების თაობაზე სულ 2 896 ოჯახზე გასცა რეკომენდაცია,[1086] რაც მაღალ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. თავის მხრივ, პრევენციული ღონისძიებების გატარება, მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებში შედის.[1087] თუმცა 2024 წელსაც, გასული წლების მსგავსად, დაბალი იყო მუნიციპალიტეტების მხრიდან პრევენციულ ღონისძიებებზე ზრუნვა და ამ დრომდე მცირეა იმ მუნიციპალიტეტების ჩამონათვალი, რომლებსაც გეოლოგიური პროცესების თავიდან არიდება პრიორიტეტულ ამოცანად აქვთ დასახული.[1088] შესაბამისად, მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ვერ ასრულებს გაცემულ რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების თაობაზე, რასაც სხვადასხვა გამომწვევი მიზეზი აქვს, თუმცა, თავად მუნიციპალიტეტები, უმეტესად ბიუჯეტის სიმცირეზე ან/და თანხების არარსებობაზე მიუთითებენ.[1089] ამასთანავე, ზოგიერთ

[1083] 2023 წელს მხოლოდ 14-მა ოჯახმა ისარგებლა ქირით. იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში. გვ. 327.

[1084] წყალტუბოს, ადიგენის, ცაგერის, ჭიათურის, ხაშურის, ლენტეხის, ზუგდიდის, ხულოს, საგარეჯოსა და ხობის მუნიციპალიტეტები.

[1085] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში, გვ. 328.

[1086] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 31 იანვრის №21/679 წერილი.

[1087] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი.

[1088] მესტიის, ხელვაჩაურის, ხულოს, ვანის მუნიციპალიტეტები.

[1089] თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 20 იანვრის №28-282502039; ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 27 იანვრის №96-96250271, ხონის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 21 თებერვლის №60-602505210 და საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 13 თებერვლის №70-7025044001 წერილები.

შემთხვევაში, სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებით შემოიფარგლებიან, რაც ასევე უდავოდ მნიშვნელოვანია. მაგრამ გეოლოგიური პროცესების გახშირების ფონზე, რასაც სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების გაზრდილი რაოდენობაც მოწმობს, ოჯახების იძულებით გადაადგილების, უარეს შემთხვევაში კი, სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის თავიდან ასარიდებლად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ინდივიდუალურად (ოჯახებთან მიმართებით) სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების გატარებას, ისე სისტემურად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. აქვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მხოლოდ დაზიანებული საცხოვრებელი სახლის შესაკეთებლად დაფინანსების გამოყოფის პრაქტიკა,[1090] ხშირ შემთხვევაში გრძელვადიან პერიოდში არაეფექტიანია. ვინაიდან, დაზიანების გამომწვევი პრობლემა გადაუჭრელია, რის გამოც რჩება სტიქიური მოვლენებიდან მომდინარე საფრთხე და საცხოვრებლის განმეორებით დაზიანების რისკიც.

საქართველოს სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ბიულეტენებსა თუ ინდივიდუალურ დასკვნებში გაცემული რეკომენდაციების აღსრულების საკითხის მეთვალყურეობა. საზედამხედველო ან/და უკუკავშირის შეტყობინების მექანიზმის/ვალდებულების არარსებობის პირობებში, რეკომენდაციები უმეტესწილად შეუსრულებელი რჩება. საბოლოო ჯამში, ეს, შესაძლოა, იწვევდეს მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას. ამდენად, გეოლოგიური პროცესების გაურესების თავიდან აცილების მიზნით, უმნიშვნელოვანესია, დაიწყოს სისტემური მუშაობა გეოლოგიური პროცესების სამართავად/პრევენციისათვის ეფექტიანი ღონისძიებების გრძელვადიანად დასაგეგმად და გასატარებლად. მათ შორის, განისაზღვროს უწყება/ორგანო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ბიულეტენებსა თუ ინდივიდუალურ დასკვნებში გაცემული რეკომენდაციების აღსრულების საკითხს. გარდა ამისა, შესაძლოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტებს ეთხოვოთ, შესაბამისი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება, მით უფრო, როდესაც რამდენიმე მუნიციპალიტეტმა თავად გამოთქვა ინფორმაციის მიწოდების მზაობა, სააგენტოს მხრიდან ამგვარი მოთხოვნის შემთხვევაში.[1091] თავის მხრივ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოც მიუთითებს მათი ინფორმირების საჭიროებაზე.[1092] კომუნიკაციის ეს ფორმა გაზრდიდა უწყებების მუშაობის ეფექტიანობას ამ მიმართულებით.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

[1090] ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის 2025 წლის 20 იანვრის № 110-1102502027, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის 13 თებერვლის № 62-622504464 წერილები.

[1091] ბაღდათის მუნიციპალიტეტის 20 იანვრის № 66-662502062; ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 6 თებერვლის № 128-1282503782; ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 10 თებერვლის №12-122504189 წერილები.

[1092] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 31 იანვრის №21/679 წერილი.

- არსებული საბაზრო ფასების მხედველობაში მიღების საფუძველზე, გაიზარდოს ეკომიგრანტთა საცხოვრებლის სახლის შესასყიდად დაწესებული ინდივიდუალური ლიმიტი.

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს:

- გეოლოგიური დასკვნის ადრესატებს მიეთითოთ პრევენციული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში მათთვის ინფორმაციის მიწოდების საჭიროებაზე;
- 2025 წელს დასრულდეს 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერებს:

- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიეწოდოთ ინფორმაცია გატარებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

27.თავშესაფრის მაძიებელთა, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და მიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა

27.1.შესავალი

იძულებით ადგილნაცვალ პირთა რიცხვი მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება. 2024 წლის მონაცემებით, 122 მილიონზე მეტი ასეთი პირია. მათგან, 46 მილიონამდე საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელია.[1093] 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, საქართველოში 1253 საერთაშორისო დაცვის მქონე პირი ცხოვრობს, რომელთაგან 437-ს მინიჭებული აქვს ლტოლვილის, ხოლო 816-ს - ჰუმანიტარული სტატუსი.[1094] საქართველოში საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა უმრავლესობა უკრაინისა და რუსეთის მოქალაქეები არიან.[1095] 2024 წელს, გასულ საანგარიშო წელთან შედარებით, გაიზარდა თავშესაფრის მოთხოვნის მაჩვენებელი და 1 641 პირმა მოითხოვა საერთაშორისო დაცვა,[1096] მათგან 17-მა სახელმწიფო საზღვარზე.[1097] თავშესაფრის მაძიებელთა უმრავლესობა თურქეთის, ირანის, პაკისტანის, უკრაინის, ინდოეთისა და რუსეთის მოქალაქეები არიან.[1098]

2024 წელს, გასულ საანგარიშო წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საერთაშორისო დაცვის თაობაზე განხილული საქმეების რაოდენობა.[1099] კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტმა თავშესაფრის 1 533 საქმე განიხილა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი გადაწყვეტილებების მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. კერძოდ, განხილული საქმეებიდან, საერთაშორისო დაცვაზე უარი 1 418 პირს ეთქვა. მხოლოდ 104-ს მიენიჭა ჰუმანიტარული სტატუსი (6.78 %), ხოლო, 11-ს - ლტოლვილის სტატუსი (0.72 %).[1100] უარყოფითი გადაწყვეტილების საფუძველი ძირითადად იყო შესაბამისი მიზეზების არქონა - 1338 პირის შემთხვევაში, უსაფრთხოება - 75 პირის შემთხვევაში, ხოლო 3 შემთხვევაში - პირის სხვა ქვეყნის მიერ ლტოლვილად აღიარება. იმ პირთა შორის, რომლებსაც საერთაშორისო დაცვაზე უარი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული არგუმენტით ეთქვათ, სირიის, უკრაინის, იემენის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების[1101] მოქალაქეები არიან.

კვლავაც არ დამტკიცებულა იმიგრანტთა ინტეგრაციის „ერთიანი მიდგომების დოკუმენტი“. მდგომარეობა არც ინტეგრაციის პროგრამების შესახებ ბენეფიციარების ინფორმირების თვალსაზრისით გაუმჯობესებულა. სოციალურ ქსელში ისევ არ ახლდება

[1093] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://www.unhcr.org/refugee-statistics/ > [21.01.2025].
[1094] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 27 იანვრის № MIA . 9 25 00214910 წერილი.
[1095]უკრაინის რესპუბლიკის 465 მოქალაქეს მინიჭებული აქვს ჰუმანიტარული სტატუსი, ხოლო რუსეთის ფედერაციის 147 მოქალაქეს - ლტოლვილის სტატუსი.
[1096] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://info.police.ge/page?id=863 > [21.01.2025].
[1097] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 27 იანვრის № MIA . 9 25 00214910 წერილი.
[1098] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://www.unhcr.org/refugee-statistics/ > [21.01.2025].
[1099] 2023 წელს 654 საქმე განიხილეს, საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 331.
[1100] მაგ., European Union Agency for Asylum-ის მონაცემებით, EU+ ქვეყნებში 2024 წლის პირველ ნახევარში დადებითი გადაწყვეტილების მაჩვენებელი იყო 46%. ხელმისაწვდომია: <https://euaa.europa.eu/publications/latest-asylum-trends-mid-year-review-2024 > [31.01.2025].
[1101] ავღანეთი, ბელარუსი, ერითრეა, იემენი, ირანი, პაკისტანი, ტაჯიკეთი.

ინფორმაცია საინტეგრაციო პროგრამებსა თუ აქტივობებზე.[1102] ასევე, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია (ინტეგრაციის პროგრამების თაობაზე) ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე,[1103] რაც ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას.

27.2.უცხოელთა საქართველოში შემოსვლა და მათი ქვეყნიდან გაძევება

საქართველოს სახალხო დამცველი, წლებია, თავშესაფრის მაძიებელთა და მიგრანტთა უფლებებს სახელმწიფო საზღვრის კვეთის კონტექსტშიც შეისწავლის. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არის გამოწვევები. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 2024 წელსაც იღებდა განცხადება/საჩივრებს, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის კვეთისას წარმოქმნილ პრობლემებს უკავშირდებოდა.

გასული წლების მსგავსად, პრობლემურია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის გამოყენების პრაქტიკა. ხსენებული რეგულაციით, უცხოელს უარი საქართველოში შემოსვლაზე, შესაძლოა, „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების“ საფუძვლით ეთქვას. ჩანაწერი არ მიუთითებს რომელიმე სხვა საკანონმდებლო ნორმაზე, რასაც საქართველოს სახალხო დამცველი გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში პრობლემურად აფასებდა[1104] და აღნიშნავდა, რომ ვინაიდან ნორმა მითითებითია და ცალკე არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, მისი გამოყენებისთვის უნდა არსებობდეს კანონით განსაზღვრული კონკრეტული შემთხვევა, როდესაც უცხოელი პირი საზღვრის გადმოკვეთის შეზღუდვას დაექვემდებარება. ასევე, მნიშვნელოვანია, უცხოელს, სახელმწიფო ინტერესის დაუზიანებლად, განემარტოს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის თქმის საფუძველი. 2024 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი განცხადება/საჩივარი მიიღო, სადაც განმცხადებლებს სწორედ ზემოხსენებული საფუძვლით ეთქვათ უარი საქართველოში შემოსვლაზე. საანგარიშო წელს საქართველოს სახალხო დამცველმა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევა დაადგინა და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როდესაც საქართველოში მოქმედი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის გამოყენებით ეთქვათ.[1105] საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ბინადრობის ნებართვის მქონე პირის საქართველოში შემოსვლის საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია, სრულყოფილად გამოიკვლიონ

[1102] ინფორმაცია ხელმისაწვდომია:< https://www.facebook.com/IntegrationCenterGeorgia/ >[27.01.2025].
[1103]ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://idp.moh.gov.ge/mainlist.php?lang=1&uid=20230108180412683592299 8> [27.01.2025].
[1104] მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 331; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 422-423.
[1105] ზ.ს.-ს; ა.ქ.- ს; ა.ქ.-ს; ა.ქ.-ს საქმე.

საქართველოში შემოსვლის დამაბრკოლებელი გარემოებები და ისე მიიღონ გადაწყვეტილება, რათა არ დაირღვეს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება.

საანგარიშო პერიოდში ცალკეული განმცხადებლები[1106] თავშესაფრის პროცედურებზე წვდომის შეზღუდვაზე მიუთითებდნენ და აცხადებდნენ, რომ მიუხედავად საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისა, უარი ეთქვათ თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრაციასა და საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე. ამასთანავე, საანგარიშო წელს გავრცელდა ინფორმაცია,[1107] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ასევე მიიღო განცხადებები[1108], სადაც უცხოელები შეყოვნების პერიოდში (უკან გაბრუნებამდე) პირადი საკომუნიკაციო საშუალებების (მობილური ტელეფონი, ლეპტოპი) ჩამორთმევაზე მიუთითებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს შეყოვნების პერიოდში საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობის აკრძალვას. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, წარმოდგენილ საჩივრების ფარგლებში ვერ მოხერხდა მითითებული ინფორმაციების (როგორც თავშესაფრის პროცედურებზე წვდომის შეზღუდვა, ასევე პირადი საკომუნიკაციო საშუალებების შეყოვნების პერიოდში ჩამორთმევა) ობიექტურად გადამოწმება ვიდეო-ჩანაწერების სრულყოფილად არარსებობის გამო. თუმცა ის, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატშიც შემოვიდა მსგავსი შინაარსის საჩივარები, ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოუდგენია საწინააღმდეგო დასაბუთებული პოზიცია/მტკიცებულება, გარდა ფაქტის უარყოფისა, შესაძლოა, საკითხის პრობლემურობაზე მიუთითებდეს.

გამოწვევაა სრულფასოვანი მონაცემთა ბაზების არარსებობაც. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2024 წელს საქართველოში 4 884 346 უცხო ქვეყნის მოქალაქე შემოვიდა (24 საათი და მეტი).[1109] სამწუხაროდ, სამინისტრო არ ამუშავებს მონაცემებს უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების შესახებ,[1110] მათ შორის, არ არსებობს მონაცემები, რამდენ უცხოელს შეეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ არ აწარმოებს იმ უცხოელების სტატისტიკას, რომლებსაც, უკან გაბრუნებამდე, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში სპეციალური შეჩერების ოთახებში ერთ დღეზე მეტი ვადით უწევთ მოთავსება. საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ამ სახის სტატისტიკის წარმოება მნიშვნელოვანია პრაქტიკაში მისი გამოყენების ინტენსივობის შესაფასებლად.

2024 წელს, ასევე არ შემუშავებულა სახელმძღვანელო ან მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფო საზღვრის კვეთის დროს ინსპექტირებისას უცხოელთან ინტერვიუს

[1106] ი. მ.; ა. მ.; ს. შ.-სა და სხვ.
[1107] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://www.amerikiskhma.com/a/czech-journalist-denied-entry-to-georgia/7835633.html> [27.01.2025].
[1108] ი. ა. ხ.- სა და დ. ს- საქმე;
[1109] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/page?id=862&parent_id=94> [13.03.2025].
[1110] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 10 მარტის № MIA 8 25 00698986 წერილი.

წარმართვას დაარეგულირებდა.[1111] საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამგვარი დოკუმენტის არსებობას, რომელიც ერთიანი სტანდარტების დაცვით გაითვალისწინებს ინტერვიუს ჩატარების ტექნიკას და მხედველობაში მიიღებს ასაკობრივ, გენდერულ, შშმ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს.

საანგარიშო წელს თითქმის გაორმაგდა საქართველოდან გაძევებულ უცხოელთა რიცხვი. 2024 წელს საქართველოდან 363 უცხო ქვეყნის მოქალაქე გააძევეს,[1112] მაშინ როდესაც 2023 წელს მათი რიცხვი 190 იყო.[1113]

27.3.ინტეგრაცია

2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელმაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ჩამოაყალიბა სახელმწიფოს ხედვა, უცხოელთა ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 2021 წელს იყო გათვალისწინებული იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ „ერთიანი მიდგომის დოკუმენტის“ შემუშავება. თუმცა სამუშაო ვერსია მხოლოდ 2023 წელს შეიქმნა და ამ დრომდე არ არის დამტკიცებული. საანგარიშო წელს ინტეგრაციის კონცეფციის დოკუმენტი დაინტერესებულ მხარეებთან ერთად განიხილეს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსეს. ამ დროისათვის, დაგეგმილია შემუშავებული დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მთავრობისთვის წარდგენა, შემდგომში მის დასამტკიცებლად.[1114]

2024 წელს, ინტეგრაციის პროგრამებს რამდენიმე ახალი მიმართულება დაემატა. კერძოდ, აქამდე მოქმედ სერვისებს დაემატა სხვადასხვა საინტეგრაციო აქტივობის, ასევე სპორტის, შემოქმედებითი და შემეცნებითი კურსების დაფინანსება 18 წლამდე საერთაშორისო დაცვის მქონე პირებისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის. ინტეგრაციის ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ კურსებში (ქართული ენის კურსი, სამოქალაქო განათლების კურსი და სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსი) ჩართულ ბენეფიციარებს კვლავ უნაზღაურდებათ ინტერნეტის საფასური. ხოლო, პირისპირ სწავლების შემთხვევაში, მათ უფინანსდებათ ტრანსპორტირების ხარჯები.[1115] ისევ მოქმედებს სამედიცინო საჭიროების დაფინანსების პროგრამაც.[1116] საინტეგრაციო პროგრამების გაფართოება უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია ბენეფიციარებისათვის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა პლატფორმიდან, მათ შორის, სოციალურ ქსელში ინფორმაციის განახლებით თუ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს

[1111] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 3 თებერვლის № MIA 2 25 00294429 წერილი.
[1112] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/page?id=863&parent_id=258> [21.01.2025].
[1113] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://info.police.ge/page?id=768&parent_id=258> [21.01.2025].
[1114] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2025 წლის 18 იანვრის № MOH 8 25 00043112 წერილი.
[1115] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის იანვრის 23 № IDP 4 25 00068749 წერილის მიხედვით, საანგარიშო წელს 120 მსმენელი ჰყავდა ქართული ენის კურსებს, სამოქალაქო განათლების კურსებს - 11, სოციალურ-კულტურული ცნობიერების ამაღლების კურსს - 20.
[1116] 2024 წელს სამედიცინო საჭიროების დაფინანსებით 27-მა პირმა ისარგებლა.

მიერ, ვებგვერდზე ინფორმაციის ბენეფიციართათვის გასაგებ ენაზე თარგმნით. გასული საანგარიშო წლის მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ დონორული მხარდაჭერით შემუშავებულია საკომუნიკაციო პლატფორმა და იგეგმება მისი ამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ბენეფიციარებისათვის სრულყოფილი და ამასთანავე განახლებული ინფორმაციის მიწოდებას.[1117] საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკომუნიკაციო პლატფორმის დროულად ამუშავებას, რათა ხელი შეეწყოს ინტეგრაციის პროცესს.

ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია დასაქმება. შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა - worknet.gov.ge-ზე რეგისტრაცია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის არის შესაძლებელი.[1118] საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები და საქართველოში კანონიერ საფუძველზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები კი, როგორც სპეციალური სტატუსის მქონე ბენეფიციარები, მხოლოდ სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის მიმართვის შემთხვევაში რეგისტრირდებიან სისტემაში.[1119] მსგავსი მოწესრიგების პირობებში, მნიშვნელოვანია საინფორმაციო კამპანიის წარმოება და ბენეფიციარებისათვის ინფორმაციის მიწოდება, დასაქმების პორტალისა და, მიმართვის შემთხვევაში, რეგისტრაციის შესაძლებლობის შესახებ, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა - worknet.gov.ge მხოლოდ ქართულ ენაზეა და სპეციალურად მიმართვის გარეშე დარეგისტრირება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ. გარდა ამისა, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო არ აწარმოებს სტატისტიკას იმის შესახებ, თუ სამუშაოს მაძიებლად რეგისტრირებული პირებიდან რამდენია ლტოლვილის ან ჰუმანიტარულის სტატუსის, თავშესაფრის მაძიებელი ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი. სააგენტოს არც ამ პროგრამის მეშვეობით დასაქმებულ უცხოელ პირთა შესახებ აქვს სტატისტიკური მონაცემები.[1120] ამდენად, უცნობია, როგორია დაინტერესება და რამდენად მაღალია დასაქმების მაჩვენებელი ამ პირებში. ინტეგრაციის, კერძოდ კი დასაქმების მაჩვენებლის შესაფასებლად, საქართველოს სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია ამ ტიპის სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.

გარდა ცენტრალურ დონეზე ინტეგრაციისა, მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ხელი მიუწვდებოდეთ ადგილობრივ დონეზე მუნიციპალურ სერვისებზე. საანგარიშო წელს მხოლოდ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია გასცემდა დაფინანსებას მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისათვის, მწვავე გადაუდებელი შემთხვევების მკურნალობისათვის.[1121]

[1117] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2025 წლის იანვრის 23 № IDP 4 25 00068749 წერილი.

[1118] „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მესამე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

[1119] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 თებერვლის №46 დადგენილება „დასაქმების ხელშეწყობის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

[1120] სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს 2024 წლის 29 იანვრის № SESA 7 24 00100602 წერილი.

[1121] ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის 2025 წლის 22 იანვრის № 86-862502293 წერილი.

ინტეგრაციის პროგრამებზე ხელმისაწვდომობისათვის, მნიშვნელოვანი ასპექტია შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების არსებობა. ამ პრობლემის წინაშე ის არგაძევებას დაქვემდებარებული პირები დგანან, რომელთა გაძევებაც ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვის საფუძველზე ვერ ხორციელდება (ხსენებული პირები არ ფლობენ რაიმე საიდენტიფიკაციო დოკუმენტს საქართველოში). საკითხი ამ დრომდე არ მოწესრიგებულა,[1122] რაც ამ კატეგორიის პირებზე უარყოფითად აისახება.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, დაამუშაოს საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ სტატისტიკური მონაცემები და მიუთითოს ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი;
- აწარმოოს სტატისტიკა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში, უკან გაბრუნებამდე, სპეციალური შეჩერების/დაკავების ოთახებში ერთ დღეზე მეტი ვადით მოთავსებული უცხოელების რაოდენობისა და მათი მოთავსების ხანგრძლივობის შესახებ;
- საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელების სახელმწიფო საზღვარზე შემოსვლის საკითხის გადაწყვეტის დროს, იხელმძღვანელოს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების სტანდარტების დაცვით.

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს:

- უზრუნველყოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაზე -worknet.gov.ge ინფორმაციის სხვადასხვა ენაზე გავრცელება;
- დაამუშაოს სტატისტიკური მონაცემები შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაზე - worknet.gov.ge რეგისტრირებული/დასაქმებული/დასაქმების შეთავაზების მქონე პირების მოქალაქეობისა და საქართველოში მათი სტატუსის (ჰუმანიტარული სტატუსის/ლტოლვილის სტატუსის/თავშესაფრის მაძიებლის/საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის) მიხედვით.

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- ინფორმაცია ინტეგრაციის პროგრამების თაობაზე, გაავრცელოს სოციალური ქსელისა და ვებგვერდის საშუალებით, რამდენიმე ენაზე;
- ამუშავდეს ინტეგრაციის საკომუნიკაციო პლატფორმა.

[1122] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 27 იანვრის № MIA 9 25 00219690 წერილი.

28.ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში

28.1.შესავალი

2024 წელს პრევენციული ვიზიტები განხორციელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების 8 სამხედრო ნაწილში[1123] და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის 2 ობიექტზე.[1124] ვიზიტების მიზანი იყო ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების უფლებრივი მდგომარეობის წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტის გამოყენებით შესწავლა.

28.2.არასათანადო მოპყრობისგან დაცვა

სამხედრო ნაწილებში ვიზიტების დროს სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს არ მიუღია ინფორმაცია ზემდგომი ან სხვა სამხედრო მოსამსახურის მხრიდან სამხედრო მოსამსახურის მიმართ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის შესახებ. თუმცა, გასული წლების მსგავსად, რიგ სამხედრო ნაწილებში კვლავ სისტემურ პრობლემად რჩება სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური დასჯის პრაქტიკა.[1125] რაც შეეხება კოლექტიურ დასჯას, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები აცხადებდნენ, რომ თავდაცვის ძალების საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში, პირველადი სამხედრო მოსამზადებელი კურსის, ე.წ. „კარანტინის" გავლის პერიოდში, გარდა ინდივიდუალური არაფორმალური დასჯისა, მიმართავდნენ კოლექტიურ დასჯასაც პრინციპით - „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის". მათივე განმარტებით, სამხედრო ნაწილებში, არაფორმალური სასჯელის სახედ გამოიყენება რიგგარეშე ფიზიკური დატვირთვა (აზიდვები, ბუქნები, სირბილი - რაც არ არის გათვალისწინებული სასწავლო პროგრამით

[1123] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მხარდამჭერი ცენტრი „კრწანისი"; ამავე სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია (კოჯორი); თავდაცვის ძალების უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი; თავდაცვის ძალების სპეციალური ოპერაციების სარდლობის სპეციალური ოპერაციების ბატალიონი (თბილისი); თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზა; თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონი; თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის საჰაერო თავდაცვის პირველი რადიოლოკაციური ბატალიონი; თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადის კავშირგაბმულობის ასეული.

[1124] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის მთავარი სამმართველო; თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დასავლეთ ბატალიონი.

[1125] ზემოთ მითითებული პრაქტიკა ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს (შემდგომში - კომიტეტი), სადაც აღნიშნულია, რომ სამხედრო მოსამსახურის მიმართ დისციპლინური სახდელის დაკისრების საკითხი უნდა განიხილებოდეს მხოლოდ დისციპლინური წარმოების ფარგლებში და გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში, მას შეიძლება დაეკისროს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული დისციპლინური სახდელი. დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურეების კოლექტიური და არაფორმალური დასჯის პრაქტიკა, მათ შორის, არასამუშაო საათებში სამხედრო ნაწილის დატოვების უფლების არაგონივრული შეზღუდვა და იძულებითი შრომა.

და არ არის წვრთნის ნაწილი), რომელსაც სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. სახალხო დამცველის შეფასებით, ამგვარი დასჯა ქმნის არასათანადო მოპყრობის რისკებს, ვინაიდან, კონკრეტულ შემთხვევაში, სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური შესაძლებლობების, მისი სუბიექტური აღქმის, ფიზიკური აქტივობის სირთულის და ფორმის გათვალისწინებით, ასეთი სასჯელის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს იმაზე მეტი სტრესი და ტანჯვა, ვიდრე ეს დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან და მიაღწიოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მინიმალურ ზღვარს.[1126]

სამხედრო მოსამსახურის ხშირი დაგვიანების გამო, სამხედრო ნაწილში თვითნებურად, რამდენიმე საათით, მისი ნების საწინააღმდეგოდ დაყოვნების პრაქტიკა გამოიკვეთა თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მხარდამჭერ ცენტრში, „კრწანისი“ და თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზაზე.

რაც შეეხება თავდაცვის ძალებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის ინფორმირებას თავდაცვის ძალების წევრების ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე, მიუხედავად სახალხო დამცველის მიერ წინა წლებში გაცემული რეკომენდაციებისა, ორი სამხედრო ნაწილის გარდა[1127] სამხედრო მოსამსახურეები კვლავ არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარ უფლებებსა და გასაჩივრების პროცედურებზე.

28.3.საცხოვრებელი და სამუშაო პირობები

მისასალმებელია, რომ საანგარიშო პერიოდში თავდაცვის ძალებში განხორციელებული პრევენციული ვიზიტების დროს, არცერთ სამხედრო ნაწილში[1128] არ გამოვლენილა მწვავე ინფრასტრუქტურული გამოწვევები. თუმცა თვალსაჩინო იყო ცალკეული ინფრასტრუქტურული პრობლემები, კერძოდ, საცხოვრებელ საკნებში სავენტილაციო სისტემის გაუმართაობა.[1129] გარდა ამისა, საცხოვრებელ ოთახებში ფანჯრები არ იყო

[1126] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, CHEMBER v. RUSSIA (7188/03), პარა. 49. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-87354,%22]} > [ბოლოს ნანახია: 26.02.2025]. ასევე იხ.: Lyalyakin v. Russia.

[1127] წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიისა, სადაც სამხედრო მოსამსახურეები აღნიშნავდნენ, რომ სამხედრო ნაწილის იურისტი მათ ხშირად ხვდებოდა და უტარებდა მეცადინეობებს საკუთარ უფლებებზე, ასევე გასაჩივრების მექანიზმსა და პროცედურებზე, რაც დადასტურებული ჰქონდათ შესაბამის უწყისზე ხელის მოწერით.
სამხედრო მოსამსახურეების უფლებების შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო მხოლოდ 2 სამხედრო ნაწილში: სპეციალური ოპერაციების სარდლობის სპეციალური ოპერაციების ბატალიონის საშტაბო ასეულში და წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიაში - ბაზის ხელმძღვანელი პირების ინდივიდუალური გადაწყვეტილებით.

[1128] ეხება იმ კონკრეტულ ბაზებს, სადაც 2024 წლის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პრევენციული ვიზიტები.

[1129] თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი, ამავე სარდლობის მხარდამჭერი ცენტრის, „კრწანისი“, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების მე-2 ასეულის საცხოვრებელი ყაზარმა; თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის საჰაერო თავდაცვის პირველი რადიოლოკაციური ბატალიონი; თავდაცვის ძალების ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის შეიარაღებისა

აღჭურვილი მწერებისგან დამცავი ბადეებით და სამხედრო მოსამსახურეები აღნიშნავდნენ, რომ ზაფხულის პერიოდში მწერები აწუხებდათ.[1130]

უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში, ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს ხელით უწევდათ ტანსაცმლის და სამხედრო უნიფორმის რეცხვა. სარეცხი მანქანების გამოყენება მხოლოდ სამხედრო ნაწილში დამრჩენი პირადი შემადგენლობისთვის იყო გათვალისწინებული, და არა წვევამდელებისთვის.

სახალხო დამცველი მიესალმება რიგი ინფრასტრუქტურული გამოწვევების აღმოფხვრას და იმედოვნებს, რომ თითოეული სამხედრო მოსამსახურე მომავალშიც უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი და სამუშაო პირობებით.

28.4.კვება და სასმელი წყალი

საქართველოს თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი არიან სამჯერადი კვებით. გამოკითხულ სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა კმაყოფილი იყო საკვების ხარისხით, ულუფის ოდენობით და საკვების დამატების შესაძლებლობით. მათი განმარტებით, საკვების მომზადებისას არ არსებობს რელიგიური და ეთნიკური თავისებურებების გათვალისწინების მოთხოვნა,[1131] მაგრამ საკვები საკმაოდ მრავალფეროვანია და არჩევანი ყოველთვის არის.

რაც შეეხება სასმელ წყალს, თავდაცვის ძალების ყველა ზემოაღნიშნულ სამხედრო ნაწილს იგი უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებოდა.

თუმცა, ზოგიერთ სამხედრო ნაწილში[1132] საერთოდ არ იყო წყლის დისპენსერი და სამხედრო მოსამსახურეები სასმელ წყალს ერთჯერადი ბოთლებით იღებდნენ ონკანებიდან.

28.5.სახანძრო უსაფრთხოება

მონახულებული სამხედრო ნაწილების უმეტესობაში,[1133] გამოკითხული სამხედრო მოსამსახურეები არ იყვნენ ინფორმირებულები სახანძრო უსაფრთხოების წესების

და ტექნიკის სარემონტო ბაზა; თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სველი წერტილები.

[1130] თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონი; თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მხარდამჭერი ცენტრის, „კრწანისი“, მე-2 ასეული.

[1131] უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში წვევამდელებმა აღნიშნეს, რომ კვირაში ერთი დღე მხოლოდ ღორის ხორცია და სხვა სახის ხორცის ალტერნატივა არ აქვთ, მაგრამ მთლიანობაში საკვები მრავალფეროვანია და კმაყოფილები არიან.

[1132] უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრი; აღმოსავლეთის სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონი; სამხედრო წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მხარდამჭერი ცენტრის, „კრწანისი“, ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების მე-2 ასეული.

[1133] სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ შესაბამისი სწავლება გავლილი ჰქონდათ: თავდაცვის ძალების სამხედრო წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის მხარდამჭერი ცენტრის,

შესახებ, არ ჰქონდათ გავლილი როგორც შესაბამისი, თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლება არც პირველადი სამხედრო მომზადების კურსის გავლის პერიოდში და არც კონკრეტულ ქვედანაყოფებში ჩარიცხვის შემდეგ. ასევე, არ იცნობდნენ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმას და უმეტეს მათგანს არ ჰქონდა ინფორმაცია ამგვარი გეგმის არსებობაზე.[1134]

28.6.სამედიცინო მომსახურება

საქართველოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხულ პირად შემადგენლობას პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად შეუძლია მიმართოს სამხედრო ნაწილის სამედიცინო პუნქტს/ლაზარეთს.[1135] ადგილზე შესაბამისი მომსახურების გაწევის შესაძლებლობის არქონის ან გადაუდებელ შემთხვევებში, ისინი სამედიცინო პუნქტის/ლაზარეთის სამედიცინო დახმარების მანქანით, ე.წ. „ამბულანსით" გადაჰყავთ სამხედრო ჰოსპიტალში ან უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში. გეგმური სამედიცინო მომსახურების მისაღებად კი, პროვაიდერ კლინიკებში, დაზღვევით შეუძლიათ სამედიცინო მომსახურების მიღება.

წინა წლების მგავსად, 2024 წელსაც პრობლემური იყო სამედიცინო პუნქტებსა და ლაზარეთებში არსებული ვაკანსიების შევსების საკითხი, რაც კიდევ უფრო ზრდის სამედიცინო პერსონალის დატვირთულობას. აქვე, საყურადღებოა სამედიცინო პერსონალის გადამზადება და მათთვის პროფესიული ტრენინგების ორგანიზება. მართალია, სამედიცინო პერსონალი მუდმივად დადის სამხედრო სწავლებებზე, მაგრამ მათ პროფესიული ტრენინგები 2024 წელს არ ჩატარებიათ.

28.7.ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

სამხედრო მოსამსახურეებს კვლავ არ უნაზღაურდებათ 50 პროცენტით ტრანსპორტირების და კომუნალური ხარჯები, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.[1136]

ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისთვის, ზოგადად უზრუნველყოფილი იყო საინფორმაციო საშუალებებზე ხელმისაწვდომობა.[1137] განსხვავებული მდგომარეობა იყო უფროსი სერჟანტი ზაზა ფერაძის სახელობის საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრში, სადაც წვევამდელები აღნიშნავდნენ, რომ სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში

„კრწანისი", და ამავე სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიის სამხედრო მოსამსახურეებს. მათი გადმოცემით, სახანძრო-სამაშველო ჯგუფის წევრებიც დადიოდნენ პერიოდულად და ყოველთვის გადიოდნენ შესაბამის ინსტრუქტაჟს.

[1134] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 აგვისტოს №519 დადგენილება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ", მუხლი 113.

[1135] სამედიცინო ნაწილები/ლაზარეთი უზრუნველყოფილია პირველადი დახმარების მედიკამენტებით, ასევე არის ტკივილგამაყუჩებელი და გაციების საწინააღმდეგო მედიკამენტების მარაგი.

[1136] საქართველოს თადაცვის კოდექსი, მუხლი 32 - სამხედრო მოსამსახურის უფლება და პრივილეგია.

[1137] საცხოვრებელ საცხოვრებელ/საკლასო ოთახებში განთავსებული იყო ტელევიზორები. ასევე სარგებლობდნენ პირადი მობილური ტელეფონებით, ამისთვის განკუთვნილ დროს - 19:00 საათიდან 21:00 საათამდე.

იმყოფებოდნენ, რადგან მათთვის ხელმიუწვდომელი იყო ნებისმიერი საინფორმაციო საშუალება,[1138] მათ შორის, პირადი მობილური ტელეფონებიც. ტელეფონით სარგებლობა შეეძლოთ კვირაში მხოლოდ 1 დღე, 1 საათით, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, ვერ უზრუნველყოფს წვევამდელების სათანადო კონტაქტს გარე სამყაროსთან.

28.8.თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი

სამხედრო პოლიცია არის საქართველოს თავდაცვის ძალების სპეციალური სამართალდამცავი სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შემავალი სტრუქტურული ერთეულები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებენ ქვედანაყოფისთვის დადგენილ ფუნქციებს და ამოცანებს.

სამხედრო პოლიციის ოპერატიული უზრუნველყოფისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, განახორციელოს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა სისხლის სამართლის დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და დისციპლინური გადაცდომების გამოსავლენად, თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად; ასევე, სამინისტროს სისტემაში სისხლის სამართლის დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და დისციპლინური გადაცდომის გამოსავლენად, თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად, ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, პროგნოზირება და შესაბამისი პრევენციული ზომების გატარება.[1139]

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს თავდაცვის ძალების რიგ ქვედანაყოფებში კვლავ გამოწვევად რჩება არაფორმალური და კოლექტიური სასჯელები. სახალხო დამცველი მრავალი წელია რეკომენდაციით მიმართავს თავდაცვის სამინისტროს და მოუწოდებს, რომ თავდაცვის ძალებში სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა გაატაროს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები, სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო და კოლექტიური სასჯელების გამოყენების პრაქტიკა.

საანგარიშო პერიოდში სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფებში[1140] განხორციელებული პრევენციული ვიზიტების ფარგლებში, გავესაუბრეთ ქვედანაყოფების თანამშრომლებს და ხელმძღვანელ პირებს, გავეცანით დოკუმენტაციას. ასევე, დავინტერესდით, აქვთ თუ არა შემუშავებული რაიმე სახის სახელმძღვანელო ინსტრუმენტი, რომლის მიხედვითაც ავლენენ სამხედრო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ შესაძლო

[1138] არ ჰქონდათ ტელევიზია/რადიო/ინტერნეტი.

[1139] თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის №7 ბრძანება. მუხლი 6.

[1140] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმის და გურიის მთავარი სამმართველო; თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის დასავლეთ ბატალიონი. ასევე, ვესაუბრეთ სამხედრო ნაწილებში მივლინებით მყოფ სამხედრო პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში ახორციელებენ მორიგეობას და ზედამხედველობას კონკრეტულ სამხედრო ნაწილებში.

არასაწესდებო და კოლექტიური დასჯის ფაქტებს და მიმართავენ შესაბამის პრევენციულ ზომებს. ასევე, აქვთ თუ არა სწავლება/ტრეინინგი გავლილი ამ მიმართულებით.

ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ სამხედრო პოლიციის თანამშრომლებისთვის არ არის შემუშავებული არანაირი სახელმძღვანელო ინსტრუმენტი. მათი განმარტებით, პრევენცია მხოლოდ გასაუბრებაში გამოიხატება; არ ხდება სამხედრო ნაწილების სისტემური შემოწმება, რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ხელმძღვანელი პირებისგან კონკრეტული დირექტივა არ მიუღიათ; ასევე, არ გაუვლიათ სწავლება ამ მიმართულებით.[1141]

სახალხო დამცველის შეფასებით, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ასეთი სახით საქმიანობა არ არის ეფექტიანი და საკმარისი სამხედრო ნაწილებში შესაძლო არასაწესდებო და კოლექტიური დასჯის ფაქტების გამოსავლენად და აღმოსაფხვრელად.

რეკომენდაციები

თავდაცვის მინისტრს:

- თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა შეიმუშაოს შესაბამისი სახელმძღვანელო ინსტრუმენტი, უზრუნველყოს შესაბამისი სწავლება თანამშრომლებისთვის და სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება, ასევე კოლექტიური დასჯის პრაქტიკა;
- უზრუნველყოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის ინფორმირება შეიარაღებული ძალების წევრების ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე; ამ მიზნით, სამხედრო ნაწილის იურისტის უფლება-მოვალეობებში მკაფიოდ გაიწეროს და დაევალოს, არანაკლებ თვეში ერთხელ ჩაატაროს ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები სამხედრო მოსამსახურეებთან; ასევე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე (რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირების გარეშე) შექმნილი ბროშურის სახით მიეწოდოს სამხედრო მოსამსახურეებს და გამოეკრას მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში;
- თავდაცვის ძალების სამხედრო ნაწილებში დროულად გამოასწორონ არსებული ინფრასტრუქტურული გამოწვევები და გააუმჯობესონ სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები; თითოეული სამხედრო ნაწილი უზრუნველყონ ყველა საჭირო ინვენტარით;

[1141] სამხედრო ნაწილში მივლენილი სამხედრო პოლიციის თანამშრომლების განმარტებით, მათ არ აქვთ სამხედრო მოსამსახურეების მიმართ ე.წ. „ჩასაფრებული“ პოზიცია და ცდილობენ შეინარჩუნონ ისეთი მეგობრული და „ოჯახური“ ურთიერთობა, როგორიც ახლა აქვთ ჯართან; სამხედრო მოსამსახურეებთან კომუნიკაცია კი შემოიფარგლება მათთან მოსაწევ ადგილას გასაუბრებით იმის შესახებ, არღვევს თუ არა ვინმე მათ უფლებებს.

- თავდაცვის ძალების შესაბამისმა სამსახურმა უზრუნველყოს სამხედრო ნაწილებისთვის საკმარისი რაოდენობის წყლის დისპენსერებით მომარაგება;
- თავდაცვის ძალების სტრუქტურაში შემავალი სამხედრო ნაწილების მეთაურებს (შესაბამისი თანამდებობის პირებს) დაევალოთ, უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირადი შემადგენლობის მიერ სახანძრო უსაფრთხოების კურსის გავლა არსებული სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად;
- 2025 წელს თავდაცვის ძალებში გაგრძელდეს მუშაობა სამედიცინო პერსონალის დასაინტერესებლად და მოსაზიდად;
- 2025 წელს, კალენდარული წლის ბოლომდე, პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს სამხედრო ნაწილებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 50%;
- თავდაცვის ძალებში ჩარიცხულ პირად შემადგენლობაზე გავრცელდეს კანონმდებლობით[1142] დადგენილი შეღავათები ტრანსპორტირების და კომუნალური ხარჯების გადახდისას;
- ყველა სამხედრო ნაწილში თანაბრად უზრუნველყონ სამხედრო მოსამსახურეებისთვის გარე სამყაროსთან კონტაქტი და საინფორმაციო საშუალებებზე წვდომა.

[1142] თავდაცვის კოდექსი, მუხლი 32 - სამხედრო მოსამსახურის უფლება და პრივილეგია.

29. ადამიანის უფლებათა სწავლება

29.1.შესავალი

სამწუხაროა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმაში უფლებრივი საკითხების სწავლების გაფართოებისკენ მიმართული აქტივობები მხოლოდ ზოგად განათლებას მიემართება.[1143] შესაბამისად, გამოწვევად რჩება პოლიტიკის დოკუმენტებში ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხების ფრაგმენტული ინტეგრირება.[1144] სახალხო დამცველი კვლავ მიუთითებს, რომ ეს მიდგომა გაურკვეველს ტოვებს სახელმწიფოს ხედვას ფორმალური განათლების სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა სწავლების თაობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ გასულ წელს არ გამოცხადებულა გრიფირების კონკურსი და საგნის, „მე და საზოგადოება“, სწავლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო კვლავ მოძველებულია.

დადებითად უნდა შეფასდეს სასკოლო სახელმძღვანელოების შეთანხმებისას, მასალის შეფასების პროცესში, სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული ექსპერტების ჩართვა. აღსანიშნავია ისიც, რომ სამინისტრომ, სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, ასევე შეცვალა სასკოლო სახელმძღვანელოების შეთანხმების წესი.

პროფესიულ და სკოლამდელ საფეხურზე ადამიანის უფლებათა სწავლების სათანადო ინტეგრირება კვლავ მზარდი გამოწვევაა, რადგან ადამიანის უფლებათა სწავლების ხარისხი, ამ მიმართულებით, არსებითად ჯერაც არ გაუმჯობესებულა.

2024 წელს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის 773 საგანმანათლებლო შეხვედრა გამართეს. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა შესახებ საგანმანათლებლო მანდატის ფარგლებში, ბავშვის უფლებებს დაეთმო 173, გენდერს და ქალთა უფლებებს - 85, ხოლო თანასწორობის უფლებას - 57 შეხვედრა. განსაკუთრებული აქტიურობით მიმდინარეობდა რეგიონებში მოსახლეობასა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან სახალხო დამცველისა და მისი წარმომადგენლების შეხვედრები, სადაც 669 საგანმანათლებლო და საინფორმაციო შეხვედრა შედგა, მათ შორის, მოწყვლად ჯგუფებთან.

29.2.ადამიანის უფლებათა სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა

2024 წელს დამტკიცდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ახალი დოკუმენტი, რომელიც ქმნის სათანადო ნორმატიულ საფუძველს ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის.[1145] თუმცა, კვლავ აქტუალურია განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიასა და ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გამოვლენილი პრობლემები, დოკუმენტში

[1143] „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №528 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მიზანი 13, პრიორიტეტები 13.1.1.-13.1.6.

[1144] შეად. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 344-345 https://shorturl.at/fJfVF [20/01/2025].

[1145] „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 ივნისის №4261-XIVმს-Xმპ დადგენილების პრეამბულა, „ე“ ქვეპუნქტი.

სტრატეგიულ პრიორიტეტად არ არის გამოყოფილი ადამიანის უფლებათა სწავლება.[1146] სამოქმედო გეგმა კი არ მიუთითებს, რომ ზოგადი განათლების სისტემის გარდა, ფორმალური განათლების სხვა საფეხურებზე ადამიანის უფლებათა სწავლების ინტეგრირება სახელმწიფოს ამოცანაა.[1147]

ამავე დროს, განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიაში, ადამიანის უფლებათა სწავლება მინიმალურადაა ნახსენები, ხოლო სამოქმედო გეგმა, ფორმალური განათლების არცერთ ეტაპზე არ მოიცავს ადამიანის უფლებათა სწავლების კომპონენტებს.[1148]

სახალხო დამცველი კვლავ აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართ არასისტემური სახელმწიფო პოლიტიკა და მიდგომები ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა სწავლების ჭრილში საგანმანათლებლო სისტემის ჰომოგენურ განვითარებას. ამ კონტექსტში, აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტებს კვლავ არ დაუმტკიცებიათ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნორმატიული აქტები.[1149]

29.3.სკოლამდელი განათლება

29.3.1.ადამიანის უფლებები აღმზრდელის საგანმანათლებლო პროგრამაში

საქართველოს სახალხო დამცველმა 2023 წელს დაადგინა, რომ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი არ მოიცავს ადამიანის უფლებათა/ბავშვის უფლებების შესახებ მოდულს.[1150] აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ამ თემების შესახებ დოკუმენტში დამოუკიდებელი მოდულის ინტეგრირების წინადადებით მიმართა.[1151]

[1146] შეად. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 344-345 https://shorturl.at/fJfVF [20/01/2025]; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, თბილისი, 2022, გვ. 336-337 https://shorturl.at/lOrYh [20/01/2025].

[1147] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 344-345 https://shorturl.at/fJfVF [20/01/2025]; „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024 – 2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №528 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მიზანი 13, პრიორიტეტები 13.1.1.-13.1.6.

[1148] „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022 – 2030 და მისი 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს №446 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

[1149] ნორმატიული აქტები არ შეუმუშავებიათ დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს.

[1150] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 345-346 https://shorturl.at/fJfVF [20/01/2025].

[1151] სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ბავშვის უფლებათა შესახებ ცოდნის ინტეგრირების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 5 სექტემბრის 17-1/8855 წინადადება. https://shorturl.at/uPHeD [20/01/2025].

სამწუხაროდ, სამინისტროს მზაობის მიუხედავად, 2024 წელს დოკუმენტში არ შესულა ცვლილებები.[1152] ამდენად, პროფესიულ სტუდენტებს, პროგრამის ფარგლებში, კვლავ არ ეძლევათ ბავშვის უფლებების/ადამიანის უფლებათა შესახებ შინაარსობრივი ცოდნის მიღების შესაძლებლობა.[1153] გარდა ამისა, პროგრამის განმახორციელებელი საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციით, უმრავლეს შემთხვევაში, პროგრამის მონაწილე პროფესიულ მასწავლებლებს არ გაუვლიათ ტრენინგები ადამიანის უფლებათა საკითხებზე.[1154]

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ საგანგებოდ მიუთითებს, რომ, მართალია, სკოლამდელ განათლებაში აღმზრდელს დამხმარე როლი აკისრია, თუმცა, ამის მიუხედავად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მისი განათლება პასუხობდეს ბავშვთა საგანმანათლებლო პერსონალისთვის ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო სტანდარტებს.[1155]

29.3.2.ადამიანის უფლებათა განგრძობადი ტრენინგები საგანმანათლებლო პერსონალისთვის

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პერსონალისთვის ადამიანის უფლებათა საკითხებზე ტრენინგების სისტემური ჩატარება კრიტიკულად აუცილებელია.[1156]

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი სწორედ მუნიციპალიტეტებს აკისრებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდებისა და ისეთი სისტემის შექმნის ვალდებულებას, სადაც ბავშვის განათლების უფლება უზრუნველყოფილია.[1157] ამ ვალდებულებათა შესასრულებლად მუნიციპალიტეტებს ენიჭებათ საჭიროებათა განსაზღვრისა და ბიუჯეტის სათანადოდ დაგეგმვის უფლებამოსილებაც.[1158]

[1152] „აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის 192/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართი 2, მოდული 22.

[1153] შეად. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 345-346 https://shorturl.at/fJfVF [20/01/2025].

[1154] ადამიანის უფლებათა თემატიკაზე ტრენინგები გაიარეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის პროგრამის, „აღმზრდელი“, სტუდენტებმა, სსიპ. ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ამავე პროგრამის სტუდენტებმა, იხ. 2025 წლის 27 თებერვლის 2038/25 წერილი, 2025 წლის 24 თებერვლის 1950/25 წერილი.

[1155]სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების აღმზრდელის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ბავშვის უფლებათა შესახებ ცოდნის ინტეგრირების თაობაზე საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 5 სექტემბრის 17-1/8855 წინადადება. 4 https://shorturl.at/uPHeD [20/01/2025].

[1156] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General Comment No. 7 (2005): Implementing Child Rights in Early Childhood, 20 September 2006, CRC/C/GC/7/Rev.1, პარა. 33, 41.

[1157] „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[1158] იქვე, მე-10 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

საგანმანათლებლო რესურსების შექმნის ნაწილში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უფლებამოსილება მხოლოდ კანონში კონკრეტულად ჩამოთვლილი რესურსების შექმნით ამოიწურება.[1159]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ ყველა მუნიციპალიტეტში შეისწავლა ხსენებული პერსონალისთვის ადამიანის უფლებათა ტრენინგების ჩატარების პრაქტიკა.

აღმოჩნდა, რომ 2024 წლის განმავლობაში, ბავშვთა მიმართ ძალადობის, ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითადი პრინციპების, რეფერირების პროცედურებისა და სხვა უფლებრივ თემატიკაზე, ტრენინგები მხოლოდ 25 მუნიციპალიტეტში დასაქმებულ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პერსონალს ჩაუტარდა.[1160] ამავე დროს, მხოლოდ 11 მუნიციპალიტეტში შეიქმნა შინაარსობრივი ან მეთოდოლოგიური რესურსი ადამიანის უფლებათა სწავლებისთვის.[1161] სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორთა კვალიფიკაციის 5 წელიწადში ერთხელ გადამოწმების ვალდებულების მიუხედავად, 2024 წელს ეს ვალდებულება მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში შესრულდა.[1162]

29.4. ზოგადი განათლება

29.4.1. სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესი

2024 წელს არ გამოცხადებულა სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი და შესაბამისად, არ შემდგარა რეცენზირების პროცესი.[1163] საგანი „მე და საზოგადოება“ კვლავ მოძველებული, 2018 წელს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით ისწავლება, რაც არ

[1159] იქვე, მუხლი 8.

[1160] 2025 წლის 31 იანვრის 1072/25 წერილი, 2025 წლის 31 იანვრის 1061/25 წერილი, 2025 წლის 29 იანვრის 943/25 წერილი, 2025 წლის 5 თებერვლის 1246/25 წერილი, 2025 წლის 4 თებერვლის 1241/25 წერილი, 2025 წლის 4 თებერვლის 1235/25 წერილი. 2025 წლის 3 თებერვლის 1182/25 წერილი, 2025 წლის 6 თებერვლის 1323/25 წერილი, 2025 წლის 6 თებერვლის 1311/25 წერილი, 2025 წლის 6 თებერვლის 1305/25 წერილი, 2025 წლის 11 თებერვლის 1515/25 წერილი, 2025 წლის 10 თებერვლის 1492/25 წერილი. 2025 წლის 10 თებერვლის 1438/25 წერილი. 2025 წლის 7 თებერვლის 1424/25 წერილი, 2025 წლის 17 თებერვლის 1712/25 წერილი, 2025 წლის 17 თებერვლის 1690/25 წერილი. 2025 წლის 14 თებერვლის 1645/25 წერილი, 2025 წლის 13 თებერვლის 1621/25 წერილი, 2025 წლის 13 თებერვლის 1599/25 წერილი, 2025 წლის 13 თებერვლის 1596/25 წერილი, 2025 წლის 18 თებერვლის 1733/25 წერილი, 2025 წლის 19 თებერვლის 1807/25 წერილი, 2025 წლის 24 თებერვლის 1958/25 წერილი, 2025 წლის 24 თებერვლის 1924/25 წერილი.

[1161] 2025 წლის 7 თებერვლის 1379/25 წერილი; 2025 წლის 31 იანვრის 1072/25 წერილი, 2025 წლის 6 თებერვლის 1311/25 წერილი, 2025 წლის 11 თებერვლის 1515/25 წერილი, 2025 წლის 10 თებერვლის 1438/25 წერილი, 2025 წლის 17 თებერვლის 1712/25 წერილი, 2025 წლის 14 თებერვლის 1645/25 წერილი; 2025 წლის 13 თებერვლის 1597/25 წერილი.

[1162] 2025 წლის 7 თებერვლის 1379/25 წერილი.

[1163] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 12 დეკემბრის MES 8 24 0001602099 წერილი.

შეესაბამება ადამიანის უფლებათა სწავლების სტანდარტებს და აფერხებს ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების რეალიზებას.[1164]

მართალია, მასწავლებლებს უფლება აქვთ ზემოხსენებული საგნის თემების სწავლებისას გამოიყენონ ნებისმიერი დამხმარე რესურსი, მათ შორის, გზამკვლევები თუმცა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების როლი სასწავლო პროცესში კვლავ უმნიშვნელოვანესია.[1165]

სამინისტროს განმარტებით, გრიფირების კონკურსის გამოუცხადებლობა, სხვა მიზეზებს შორის, გამოწვეული იყო საგნის სტანდარტების ცვლილებითაც.[1166] სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესის სათანადოდ განსახორციელებლად, უმნიშვნელოვანესია, რომ იგი წარიმართოს განახლებული და გრიფმინიჭებული, ან სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოებით, რადგან ამ შემთხვევაში, სახელმძღვანელოების ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან თავსებადობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ ფასდება.[1167]

29.4.2. სასკოლო სახელმძღვანელოების შეთანხმების პროცესის ხარვეზები

გრიფირებული მასალების პარალელურად, ან მათ ნაცვლად, სკოლა ვალდებულია სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოებით ასწავლოს.[1168] მისასალმებელია, რომ სახელმძღვანელოს შეთანხმების წესში სახალხო დამცველის მიერ 2023 წელს გამოვლენილი ხარვეზები აღმოიფხვრა.[1169] კერძოდ, სახელმძღვანელოს შეფასების კრიტერიუმებში, შინაარსობრივი რეცენზირების მსგავსად გაიწერა უფლებრივი კომპონენტები და ისინი „სხვა სპეციალისტის" ფუნქციური დატვირთვის ნაწილად განისაზღვრა.[1170]

თუმცა, გამოწვევად რჩება, რომ შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის წევრებისთვის შემუშავებული არ არის განგრძობადი, სავალდებულო ტრენინგ-პროგრამა ადამიანის უფლებებში. ამავე დროს, შესაფასებელ მასალაზე ჯგუფის წევრთა კომენტარები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ხიარდებოდა და არა ერთიანი სხდომის

[1164] UN Committee on the Rights of the Child (CRC), General comment No. 1 (2001), Article 29 (1),The aims of education, CRC/GC/2001/1, 17 April 2001, პარა. 18 https://shorturl.at/r1rzb [20/01/2025]; „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტი.

[1165] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 12 დეკემბრის MES 8 24 0001602099 წერილი; „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტი.

[1166] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 12 დეკემბრის MES 8 24 0001602099 წერილი.

[1167] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების რეცენზირების პროცესის გაუმჯობესების თაობაზე" საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 1 ნოემბრის №17-1/10739 წინადადება, 1.

[1168] „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტი.

[1169] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, თბილისი, 2023, გვ. 349-350 https://shorturl.at/fJfVF [20/01/2025].

[1170] „სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 16 აპრილის MES 7 24 0000436094 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული კრიტერიუმები, კრიტერიუმი 8-10, 12, 13.

ფარგლებში.[1171] შესაბამისად, არც შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის სხდომის აუდიო-ვიდეო ოქმი იწარმოებოდა.[1172]

ვინაიდან ზემოხსენებული პროცესი, ამ თვალსაზრისით, სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესის მსგავსია, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საგნობრივი ჯგუფის წევრთა ღირებულებების ადამიანის უფლებათა პრინციპებთან თავსებადობის შესაფასებლად, ასევე, შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის დასკვნების სათანადოდ გასაჩივრებისთვის, სხდომების აუდიო-ვიდეო ოქმის წარმოება აუცილებელია. ეს ასპექტი წარმოაჩენს შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის წევრთა შერჩევის სისტემის თავსებადობასაც ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან.

29.5. პროფესიული განათლება

„პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონი ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის უნარის გამომუშავებას განათლების მიზნად არ ადგენს, თუმცა, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ადამიანის უფლებათა სწავლება ამ სფეროში მნიშვნელოვანია[1173] და ეს სახელმწიფოს მიერ განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიის სამოქმედო გეგმაშია განმტკიცებული.[1174] კერძოდ, ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხებს დამოუკიდებელი მოდული „მოქალაქეობა" აერთიანებს, რომელიც ხსენებული გეგმის თანახმად, ყველა პროფესიულ პროგრამაზე უნდა დაინერგოს.[1175]

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა სწავლების კომპონენტი საშუალო პროფესიულ პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების ფარგლებშიც არის გათვალისწინებული.[1176] თუმცა, ამ მიზნით შექმნილი მოდულის ანალიზი მიუთითებს, რომ კურსის განმავლობაში დასამუშავებელ სამიზნე

[1171] საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 12 დეკემბრის MES 8 24 0001602099 წერილი.
[1172] იქვე.
[1173] „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მეორე მუხლი; 6 Recommendation CM/Rec(2010)7 of the Committee of Ministers to Member States on the Council of Europe Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education Adopted on 11 May 2010, პარა. 6 იხ. https://rb.gy/ox19l [20/01/2025]; Appendix to Recommendation CM/Rec(2012)13 of the Committee of Ministers to member States on ensuring quality education Adopted on 12 December 2012, პარა. 3, 6(d) https://rb.gy/tuj8l [20/01/2025]; Recommendation on High-Quality Early Childhood Education and Care Systems adopted by Council of the EU on 22 May 2019, 2019/C 189/02, რეკომენდაციის სარეზოლუციო ნაწილი, პარა. 3 (b), რეკომენდაციის დანართი, პარა. 3. https://rb.gy/3i67u [20/01/2020]; Recommendation on vocational education and training (VET) for sustainable competitiveness, social fairness and resilience adopted by Council of the EU on 24 November 2020, 2020/C 417/01, რეკომენდაციის დანართი, პარა. 1. https://rb.gy/ayqz2 [23/08/2023]; United Nations Declaration on Human Rights Education and Training adopted on 02 November 2011, A/C.3/66/L.65 მეორე მუხლის მესამე პუნქტი. https://rb.gy/v6j2m [20/01/2025]
[1174] „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022 – 2030 და მისი 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს 446-ე დადგენილებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმა, 13.1.7.
[1175] იქვე.
[1176] „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს 170/ნ პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მესამე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

ცნებაში არ არის ადამიანის უფლებები, ხოლო თემატიკა არ გამოყოფს ბავშვის უფლებებს/ ადამიანის უფლებებს ან რომელიმე კონკრეტულ უფლებრივ მიმართულებას.[1177]

სახალხო დამცველის შეფასებით, ეს ხელს არ უწყობს ფორმალური განათლების სისტემაში ადამიანის უფლებათა სწავლების უწყვეტობას და დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას.

29.6. უმაღლესი განათლება

2024 წელს დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით მიიღეს დაწყებითი მასწავლებლის განათლების, მასწავლებლის მომზადების პროგრამისა და საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებელი.[1178] მნიშვნელოვანია, საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლის მაგალითზე შეფასდეს დოკუმენტებში ადამიანის უფლებათა ინტეგრირების დონე.

29.6.1. პედაგოგიურ ფაკულტეტებზე ადამიანის უფლებათა სწავლების ხარისხის კვლევა

სახალხო დამცველმა მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე, მასწავლებლის განათლების 300 კრედიტიან პროგრამასა და განათლების მეცნიერებების/ადმინისტრირების პროგრამებში ადამიანის უფლებათა ინტეგრირების შესაფასებლად კვლევა დაიწყო. კვლევის ფარგლებში, ფოკუს-ჯგუფებსა და ინტერვიუებში მონაწილეობა მიიღო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა 73-მა პერსონალმა და 312-მა კურსდამთავრებულმა.

ადამიანის უფლებათა სწავლების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მასწავლებელთათვის ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის მიწოდება არა მხოლოდ განათლების უფლების რეალიზების კრიტიკული ნაწილია, არამედ აუცილებელია, რომ ამ კუთხით გამოყენებული სასწავლო ლიტერატურა მუდმივად გადაიხედებოდეს და ახლდებოდეს.[1179]

[1177] იქვე, მოდული 22.

[1178] „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 5 დეკემბრის №1646651 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 ნოემბრის MES 7 24 0001477052 ბრძანების დანართი.

„მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 30 მაისის №597510 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 ნოემბრის MES 8 24 0001477053 ბრძანებით დამტკიცებული დანართი; „ზოგადი განათლების საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის MES 5 24 0001633146 ბრძანებით დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებელი.

[1179] Draft plan of action for the second phase (2010-2014) of the World Programme for Human Rights Education adopted on July 27th 2010, para. 28. https://shorturl.at/fXIuG [05/03/2025]; Guide on Human Rights Curriculum in Teacher Education, p. 41 https://shorturl.at/lX3Q2 [05/03/2025].

კვლევის ფარგლებში მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამების მიმოხილვამ აჩვენა, რომ უფლებრივი კომპონენტი ინტეგრირებულია პროგრამაზე არსებულ ისეთ საგნებში, როგორიცაა: „ინკლუზიური განათლება“, „მულტიკულტურული განათლება“, „განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლები“.[1180] ყველა ეს საგანი სავალდებულოა. თუმცა, მათი სწავლებისთვის გათვალისწინებული ლიტერატურა ყველა შემთხვევაში მოძველებულია. მეტიც, მინიმალურია ისეთი დისციპლინის არსებობაც, რომელიც სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების თავისებურებებს ასახავს და ციფრული მოქალაქეობის კომპონენტს აერთიანებს.

მასწავლებლის განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ მათში უფრო მეტია ისეთი სავალდებულო საგნის რაოდენობა, სადაც უფლებრივი ნაწილია ინტეგრირებული, თუმცა, მასწავლებლის მომზადების პროგრამების მსგავსად, ლიტერატურა მოძველებულია.[1181] იდენტური პრობლემა განათლების მეცნიერებების/ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამების შეფასების დროსაც გამოიკვეთა, თუმცა, ამ შემთხვევაში, მისი მასშტაბი გაცილებით მცირეა, უფლებრივი კომპონენტის ინტეგრირების დონე კი - მეტად მრავალფეროვანი.

პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ კურსდამთავრებულთა 25%-ს არ შეუძლია ამოიცნოს ადამიანის უფლებათა დარღვევები და ჰქონდეს მათზე სათანადო რეაგირება. ხოლო, პროგრამების განხორციელებისას ადამიანის უფლებათა კომპონენტი მოაზრებულია საგაკვეთილო პროცესის მართვისას კონფლიქტების თავიდან აცილების საშუალებად და არა მოსწავლეთათვის ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის გადასაცემად. ამავე დროს, კურსდამთავრებულთა 30% მიუთითებს, რომ პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული დავალებების შესრულება არ დასჭირვებია. კვლევა მიმდინარეა და მის შედეგებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განაგრძობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობას.

29.6.2. მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლები

საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის განათლების დარგობრივი მახასიათებლის ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტში ადამიანის უფლებათა ნაწილი ისეა ინტეგრირებული, რომ პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებას არ დაეკისროს სტუდენტის მიერ, მაგალითად, ბავშვის უფლებათა ცოდნის ფაქტობრივი ასპექტის შემოწმების ვალდებულება.

სასწავლო პროცესის შეფასების ნაწილში საერთოდ არ არის ინტეგრირებული კურსდამთავრებულში ადამიანის უფლებათა ჭრილით სწავლის შედეგის შეფასების

[1180] მაგ., იხ. 2024 წლის 16 დეკემბრის 8793/2024 წერილის დანართი; 2024 წლის 20 დეკემბრის 8997/2024 წერილის დანართი.
[1181] მაგ., იხ. იქვე.

ცოდნა.[1182] მეტიც, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში არ არის მითითებული, რომ იგი აღიარებს ადამიანის უფლებათა პატივისცემის მნიშვნელობას პოზიტიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს ფორმირებაში.[1183]

მსგავსი გამოწვევების წინაშე დგას მასწავლებლის მომზადების პროგრამისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები.[1184]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დოკუმენტის ცოდნისა და გაცნობიერების კომპონენტში აუცილებელია დაემატოს მითითება, რომ კურსდამთავრებული აღწერს და მსჯელობს ადამიანის უფლებათა/ბავშვის უფლებათა ძირითად პრინციპებზე. ამავე დროს, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების ნაწილში დაემატოს ადამიანის უფლებათა კომპონენტი იმგვარად, რომ კურსდამთავრებულმა ადამიანის უფლებათა პრინციპების გამოყენება შეძლოს როგორც დაგეგმვის, ისე წარმართვისა და შეფასების ნაწილში. ამასთანავე, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში, პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების ასპექტში, დაემატოს, რომ კურსდამთავრებული აღიარებს ადამიანის უფლებათა პრინციპების მნიშვნელობას პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების პროცესში.

რეკომენდაციები

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- შევიდეს ცვლილება „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მოდულში „მოქალაქეობა“ და განისაზღვროს შემდეგი:
    - სწავლის შედეგად დადგინდეს, რომ სტუდენტი აცნობიერებს ადამიანის უფლებათა არსს და მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში;
    - სამიზნე ცნებების, „ძალაუფლების“ კომპონენტსა და მოდულის თემებს შორის დაემატოს ადამიანის უფლებები

[1182] იქვე, გვ. 8-9, 10, 12.
[1183] იქვე, გვ. 12.
[1184] „მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 30 მაისის №597510 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 ნოემბრის MES 8 24 0001477053 ბრძანებით დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებელი, გვ. 7. პარა. 1.1; 1.2; გვ. 8, პარა. 4.1; გვ. 9-10.

„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 5 დეკემბრის №1646651 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 ნოემბრის MES 7 24 0001477052 ბრძანებით დამტკიცებული დარგობრივი მახასიათებელი, გვ. 9, გვ. 11, გვ. 13.

- უზრუნველყოს გრიფირების გამოცხადება საგნისთვის, „მე და საზოგადოება“, სახელმძღვანელოს შესარჩევად, ან უზრუნველყოს მისი შეთანხმება დადგენილი წესით;
- სასკოლო სახელმძღვანელოს შეთანხმების პროცესში უზრუნველყოს:
    - ადამიანის უფლებათა საკითხებზე განგრძობადი, სავალდებულო ტრენინგ-პროგრამების შემუშავება და ჩატარება შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის ყველა წევრისთვის;
    - აწარმოოს შემფასებელთა საგნობრივი ჯგუფის სხდომების აუდიო-ვიდეო ოქმი.

სსიპ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- შევიდეს ცვლილებები:
    - „ზოგადი განათლების საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 დეკემბრის MES 5 24 0001633146 ბრძანებით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელში;
    - „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 5 დეკემბრის №1646651 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 ნოემბრის MES 7 24 0001477052 ბრძანებით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელში; და
    - „მასწავლებლის მომზადების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 30 მაისის №597510 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 17 ნოემბრის MES 8 24 0001477053 ბრძანებით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელში.

ცვლილებათა შედეგად განისაზღვროს შემდეგი:

- ცოდნისა გაცნობიერების კომპონენტში დაემატოს მითითება, რომ კურსდამთავრებული აღწერს და მსჯელობს ადამიანის უფლებათა/ბავშვის უფლებათა ძირითად პრინციპებზე;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების ნაწილს დაემატოს ადამიანის უფლებათა კომპონენტი იმგვარად, რომ კურსდამთავრებულმა ადამიანის უფლებათა პრინციპების გამოყენება შეძლოს როგორც დაგეგმვის, ისე წარმართვისა და შეფასების ნაწილში;

- პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში, პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების ასპექტში, დაემატოს, რომ კურსდამთავრებული აღიარებს ადამიანის უფლებათა პრინციპების მნიშვნელობას პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების პროცესში.

30.სახალხო დამცველის რეკომენდაციების და მათ საფუძველზე პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა

შესავალი

წინამდებარე თავი, გასული წლების ანგარიშებისგან განსხვავებით, შეცვლილი სტრუქტურით არის წარმოდგენილი. იგი ორი ქვეთავისგან შედგება: პირველი ქვეთავი ეთმობა საქართველოს პარლამენტის მიერ 2023 წლის 1 ნოემბერს მიღებული დადგენილებით სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე უწყებების მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობას, ხოლო მეორე ქვეთავში ასახულია იმ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, რომლებიც პარლამენტის დადგენილების[1185] მიღმა დარჩა ან არსებითად სახეცვლილი ფორმულირებით აისახა დადგენილებაში.

სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშის განხილვის საფუძველზე საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას და დადგენილებით დავალებებს აძლევს სახელმწიფო უწყებებს სახალხო დამცველის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესასრულებლად. საყურადღებოა, რომ სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ყველაზე ძლიერი მექანიზმი მათი პარლამენტის დადგენილებაში ასახვაა. შესაბამისად, ამ გზით პარლამენტი ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე საპარლამენტო ზედამხედველობას იმ საჯარო უწყებებისა და თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებზეც გასცემს დავალებებს. ეს პროცესი, ამავე დროს, ზრდის სახალხო დამცველის საქმიანობის ეფექტიანობას. ამ პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი პარლამენტის დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულებას ყოველწლიურად აფასებს სპეციალურ ანგარიშში. შესაბამისად, პირველი ქვეთავის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, „საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ“.[1186]

30.1. საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის დადგენილებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარება

30.1.1. რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელი

სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე პარლამენტმა 2023 წლის დადგენილებაში სხვადასხვა ცენტრალური, ავტონომიური თუ მუნიციპალური უწყების მიმართ 277 დავალება გასცა (მათ შორის, 19 დავალება მუნიციპალიტეტის ორგანოებს, ხოლო 1 დავალება საჯარო უწყებათა ყველა თანამდებობის პირს

[1185] იგულისხმება პარლამენტის 2024 წლის 27 ივნისის დადგენილება, რომელიც ეფუძნება სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშს. დავალებების შესასრულებლად დადგენილების ადრესატ უწყებებს განსაზღვრული ჰქონდათ 2025 წლის 1 მარტი.

[1186]სპეციალური ანგარიში „საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბერის №3600-XIIმს-Xმპ დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2024112817320540383.pdf [06.02.2025].


მიემართებოდა). უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების რაოდენობა, პირდაპირპროპორციულად არ ეფუძნება სახალხო დამცველის ანგარიშის ამავე რაოდენობის რეკომენდაციებს და, შესაბამისად, არ ასახავს პარლამენტის მიერ რეკომენდაციების გაზიარების რაოდენობრივ მაჩვენებელს.

სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებლის სრული სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:		
სრულად გაიზიარა	208	74,29%
ნაწილობრივ გაიზიარა	30	10,71%
არ გაიზიარა	22	7,86%
არსებითი ცვლილებების გამო არ ითვლება გაზიარებულად	20	7,14%

საგულისხმოა, რომ პარლამენტმა სრულად გაიზიარა სახალხო დამცველის მიერ მუნიციპალური ორგანოების მიმართ გაცემული რეკომენდაციები, ხოლო არსებითი ან ნაწილობრივი ცვლილება შეეხო ავტონომიური რესპუბლიკის და ცენტრალური სახელისუფლებლო ორგანოების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს.

როგორც ზემოთ ცხრილშია ნაჩვენები პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის 22 რეკომენდაცია, ხოლო არსებითად შეცვალა 20. არგაზიარებულ და არსებითად შეცვლილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა კი შემდეგნაირია: 2 რეკომენდაცია სრულად შესრულდა, 2 ნაწილობრივ, 35 რეკომენდაცია არ შესრულებულა, ხოლო 3 რეკომენდაციის შესრულება ვერ შეფასდა, რადგან უწყებას არ წარმოუდგენია შესაბამისი ინფორმაცია.

შედარებისთვის, 2020-2023 წლების პარლამენტის დადგენილებებში პარლამენტის მიერ სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის რეკომენდაციების სრულად და ნაწილობრივ გაზიარების პროცენტული მაჩვენებლის ჯამი შემდეგნაირად გამოიყურება:



30.1.2.დავალებების შესრულების ზოგადი მდგომარეობა

სახალხო დამცველის აპარატმა შეაფასა პარლამენტის დადგენილებით მხოლოდ ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიმართ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა. ჯამურად, სახელმწიფო უწყებების მიმართ პარლამენტმა 258 დავალება გასცა. სახალხო დამცველის შეფასებით, გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. კერძოდ, სრულად შესრულდა დავალებების მხოლოდ 19%, ნაწილობრივ შესრულდა 24% და შეუსრულებლად ფასდება 34%.

დავალებების შესრულების მდგომარეობა დეტალურად, რაოდენობრივად შემდეგნაირად გამოიყურება:

შესრულდა	49	19%
ნაწილობრივ შესრულდა	61	24%
არ შესრულდა	89	34%
უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო შეუძლებელია შეფასდეს	12	5%
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	20	8%
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა	24	9%
არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის არც ერთი რეკომენდაციიდან / დუბლირებული დავალება / დაკარგა რელევანტურობა	3	1%
ჯამი	258	

30.1.3. შესრულების მდგომარეობა უწყებების მიხედვით

წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული მონაცემები ჩაშლილად, უწყებების მიხედვით.

საქართველოს მთავრობა	
შესრულდა	3
ნაწილობრივ შესრულდა	3
ჯამი	6

იუსტიციის სამინისტრო	
შესრულდა	4
ნაწილობრივ შესრულდა	12
არ შესრულდა	23
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	5
დაკარგა რელევანტურობა	1
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	9
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	2
სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის საფუძვლით დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას	1
ჯამი	57

საქართველოს პროკურატურა	
შესრულდა	2
ნაწილობრივ შესრულდა	3
არ შესრულდა	1
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	1
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	1
ჯამი	8

შინაგან საქმეთა სამინისტრო	
შესრულდა	15
ნაწილობრივ შესრულდა	3
არ შესრულდა	6
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	7
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	2
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	3
ჯამი	36

საქართველოს უსაფრთხოების სამსახური	
შესრულდა	1
არ შესრულდა	1

რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით შეუძლებელია შეფასდეს დავალების შესრულების მდგომარეობა	1
ჯამი	3

თავდაცვის სამინისტრო	
შესრულდა	2
ნაწილობრივ შესრულდა	1
არ შესრულდა	3
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	1
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	3
ჯამი	10

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	
შესრულდა	7
ნაწილობრივ შესრულდა	21
არ შესრულდა	39
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	3
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	6
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ შეფასდა	1
ჯამი	77

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	
შესრულდა	6
ნაწილობრივ შესრულდა	13
არ შესრულდა	11
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების გამო, არ ექვემდებარება შეფასებას	2
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობა	1
ობიექტური გარემოების საფუძვლით ვერ ფასდება	2
დუბლირებული დავალება	1
ჯამი	36

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
შესრულდა	1
სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო დავალების შესრულების მდგომარეობა არ ექვემდებარება შეფასებას	1
დავალება არ გამომდინარეობს სახალხო დამცველის რეკომენდაციიდან	1
ჯამი	3

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

შესრულდა	1
ნაწილობრივ შესრულდა	2
რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით დავალება არ ექვემდებარება შეფასებას	1
ჯამი	4

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	
შესრულდა	1
ნაწილობრივ შესრულდა	1
რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა	1
ჯამი	3

სხვა უწყებები	შესრულების მდგომარეობა
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	ორივე დავალება შესრულდა
სპეციალური საგამოძიებო სამსახური	გაცემული 1 დავალება შესრულდა
საზოგადოებრივი მაუწყებელი	2 დავალებიდან 1 შესრულდა, ხოლო 1 ნაწილობრივ შესრულდა
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო	2 დავალებიდან 1 შესრულდა, ხოლო 1 დავალება რეკომენდაციის არსებითი ცვლილების საფუძვლით არ დაექვემდებარა შეფასებას
სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო	გაცემული 1 დავალება არ შესრულებულა
თანამდებობის პირები	გაცემული 1 დავალება ობიექტური გარემოების საფუძვლით არ ექვემდებარება შეფასებას
ფსიქიატრიული დაწესებულებები	2 დავალებიდან 1 ნაწილობრივ, ხოლო 1 არ შესრულებულა
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს	გაცემული 1 დავალება ვერ შეფასდა რელევანტური ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით
საგარეო საქმეთა სამინისტრო	3 დავალებიდან ყველა შესრულდა

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ მოუწოდებს სახელმწიფო უწყებებს გააცნობიერონ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მნიშვნელობა, ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს გააძლიეროს საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული მის ხელთ არსებული მაკონტროლებელი მექანიზმის პრაქტიკაში გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს პარლამენტის მიერ გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობა.

30.2.პარლამენტის 2024 წლის დადგენილების მიღმა დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

საქართველოს პარლამენტმა სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშის საფუძველზე მიიღო 2024 წლის 27 ივნისის დადგენილება, რომელშიც მიხედულებისამებრ გაიზიარა სახალხო დამცველის ანგარიშის რეკომენდაციები და მათ შესასრულებლად სახელმწიფო უწყებებს დავალებები მისცა. მათ შესასრულებლად უწყებებს დადგენილებითვე განესაზღვრათ ვადად 2025 წლის 1 მარტი. შესაბამისად, დადგენილებით გაცემული დავალებების შესრულების მდგომარეობაზე შეფასებას სახალხო დამცველი 2025 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოადგენს. თუმცა წინამდებარე ქვეთავში მიმოვიხილავთ სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშის იმ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას, რომლებიც პარლამენტმა არ გაიზიარა 2024 წლის პარლამენტის დადგენილებაში.

სახალხო დამცველმა 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშში საერთო ჯამში 301 რეკომენდაცია გასცა. მათგან 12 რეკომენდაცია მიემართებოდა მხოლოდ მუნიციპალურ ორგანოებს, 287 მხოლოდ ცენტრალურ სახელისუფლებლო, ხოლო 2 როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანოებს. საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით ამ რეკომენდაციების დაახლოებით 74,42% გაიზიარა (მათგან დაახლოებით 12% კი ნაწილობრივ არის გაზიარებული)[1187] და მათი შესრულების უზრუნველსაყოფად 270 დავალება გასცა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის დადგენილებით გაცემული ცალკეული დავალებები არ ასახავს სახალხო დამცველის წლიური ანგარიშის რეკომენდაციების მიზანს და ფორმულირების კუთხით არსებითად ცვლის მათ შინაარსს, რის გამოც სახალხო დამცველის აპარატი არ მიიჩნევს მსგავსი სახის დავალებებს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარებად.

რაც შეეხება სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშის იმ რეკომენდაციებს, რომლებიც პარლამენტმა არ გაიზიარა 2024 წლის დადგენილებაში და არ ასახა დავალებების სახით, ასეთია სახალხო დამცველის მიერ გაცემული 44 რეკომენდაცია.[1188] ასევე, დამატებით, 32 რეკომენდაცია ფორმულირების თვალსაზრისით არსებითად შეცვალა პარლამენტმა. ორივე კატეგორიის რეკომენდაციები, ისინიც, რომლებიც არ აისახა დადგენილებაში და ისინიც, რომლებიც არსებითად შეიცვალა, სახელმწიფო უწყებებს მიემართებოდა. გამონაკლისია მხოლოდ 1 შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტის მიმართ გაცემული რეკომენდაცია საერთოდ არ მოხვდა პარლამენტის დადგენილებაში.

დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ არგაზიარებისა და არსებითი ცვლილებების მაჩვენებელი 2024 წელს გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, 2023 წლის დადგენილებით, პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის 2022 წლის

[1187] დაზუსტებული მონაცემები აისახება სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, პარლამენტის 2024 წლის 27 ივნისის №4332-XIVმს-Xმპ დადგენილების აღსრულების თაობაზე.

[1188] აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი რეკომენდაცია მოიცავდა მრავალ ადრესატ უწყებას. ზოგიერთ შემთხვევაში პარლამენტი ადრესატთაგან მხოლოდ ნაწილ უწყებებს ავალებდა დავალების შესრულებას. წინამდებარე სტატისტიკაში კი შეყვანილია მხოლოდ ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც საკანონმდებლო ორგანომ არცერთი ადრესატის მიმართ არ გაიზიარა.

საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციების 15%, ხოლო 2024 წლის პარლამენტის დადგენილებით ამ მაჩვენებელმა 25%-ს გადააჭარბა.[1189]

რაც შეეხება პარლამენტის დადგენილებით არ გაზიარებული ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას, მონაცემები ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი:

	შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ	ობიექტური გარემოება	ჯამში
რეკომენდაციები, რომლებიც პარლამენტმა დადგენილებაში არ ასახა	1	32	3	8	44
რეკომენდაციები, რომლებიც არსებითად შეიცვალა		31		1	32

[1189] საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 1 ნოემბრის №3600-XIIIმს-Xმპ დადგენილებაში ასახული დავალებების შესრულების მდოგმარეობის შესახებ, გვ. 5.

დანართი - სახალხო დამცველის და აპარატის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული ვიზიტები

სახალხო დამცველი, როგორც პირადად, ასევე აპარატის თანამშრომლების მეშვეობით, პროაქტიულად სხვადასხვა რეგიონებში, დაწესებულებებსა თუ სამიზნე ჯგუფებთან ახორციელებდა შეხვედრებს.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2024 წლის განმავლობაში სახალხო დამცველისა და აპარატის წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული შეხვედრების თაობაზე შესაბამისი აქტივობების ტიპის მიხედვით. აღნიშნული სია არ არის ამომწურავი და სახალხო დამცველის შეხვედრების კუთხით მხოლოდ საქმიანობის ძირითად ნაწილს მოიცავს.

სახალხო დამცველის მიერ განხორციელებული შეხვედრები	
სამიზნე ჯგუფები	შეხვედრების რაოდენობა
პენიტენციურ დაწესებულებებში და დროებითი მოთავსების იზოლატორებში განთავსებული პირები	15
დიპლომატებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრები	37[1190]
სამთავრობო უწყებები და მათი წარმომადგენლები	5
პროტესტის მონაწილეები	22
რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობა	33[1191]
ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საბჭოები	4
ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტები და ადმინისტრაცია	6
შშმ პირთა სათემო ორგანიზაციების საცხოვრისების ბენეფიციარები	2

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შეხვედრები:

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიმართულება	
დაწესებულება	დაწესებულებებში ვიზიტების რაოდენობა
პენიტენციური დაწესებულება	464
ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	21
დროებითი მოთავსების იზოლატორი	81
შსს პოლიციის სამმართველოები	3
კლინიკა ვივამედი	5
სხვა კლინიკები	8

[1190] მათ შორის 5 განხორციელდა ქვეყნის გარეთ.
[1191] აღნიშნულიდან 12 შეხვედრა გაიმართა საოკუპაციო ხაზის გარშემო მცხოვრებ მოქალაქეებთან.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიმართულება	
დაწესებულება	დაწესებულებებში ვიზიტების რაოდენობა
პენიტენციური დაწესებულება	17
პოლიციის სამმართველო/დეპარტამენტი	14
შშმპ პანსიონატი	13
თავდაცვის ძალების ობიექტები	13
ფსიქიატრიული დაწესებულება	11
დროებითი მოთავსების იზოლატორი	11
ბავშვთა სახლი	8
მიგრაციის ცენტრი (თბილისი)	2
ექსპერტიზის ბიურო (მონიტორინგი)	1

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მიმართულება	
დაწესებულება	დაწესებულებებში ვიზიტების რაოდენობა
ფსიქიატრიული დაწესებულებები	17
შშმ პირთა პანსიონატები	4
შშმ პირთა სათემო ორგანიზაციები (მცირე საოჯახო ტიპის სახლები და თავშესაფრები)	29

ბავშვთა უფლებრივი მიმართულება	
დაწესებულება	დაწესებულებებში ვიზიტების რაოდენობა
სააღმზრდელო დაწესებულება	25[1192]
დედათა და ბავშვთა თავშესაფარი	8

გენდერული თანასწორობის მიმართულება	
დაწესებულება	დაწესებულებებში ვიზიტების რაოდენობა
ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები	9[1193]
კრიზისული ცენტრი	8
პენიტენციური დაწესებულება	1

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების მიმართულება[1194]

[1192] მათგან, 8 დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდა პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან ერთად
[1193] ამ მონაცემში შედის, როგორც პირველადი, ასევე განმეორებითი მონიტორინგი.
[1194] მონიტორინგი/შეხვედრები ჩატარდა 19 მუნიციპალიტეტში

დაწესებულების ტიპი/ შეხვედრის ადრესატი	დაწესებულებებში ვიზიტების რაოდენობა / შეხვედრების რაოდენობა
სოფლის ამბულატორიების მონიტორინგი	16
შეხვედრა სოფელში მცხოვრებ მოსახლეობასთან	35

ეროვნული უმცირესობების მიმართულება[1195]	
დაწესებულება	დაწესებულებებში ვიზიტების რაოდენობა
საჯარო სკოლა	15
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	9
სამედიცინო დაწესებულება	16
სოფლის ამბულატორიის ექიმები და ექთნები	14
პენიტენციური დაწესებულება	2[1196]

რელიგიური უმცირესობების მიმართულება[1197]	
დაწესებულება	დაწესებულებებში ვიზიტების რაოდენობა
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია	1
მედია ორგანიზაციები	2
სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები	3
რელიგიურ ორგანიზაციებთან შეხვედრა	15

2024 წლის განმავლობაში, აპარატის დეპარტამენტები სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებდნენ ცნობიერების ამაღლების კამპანიების მიმართულებითაც. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში აღბეჭდილია დეპარტამენტების წარმომადგენლების მიერ ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა შესაბამისი სამიზნე აუდიტორიების მიხედვით.

სამიზნე ჯგუფები	აქტივობათა რაოდენობა
თანასწორობის მიმართულება[1198]	
კერძო დაწესებულებების წარმომადგენლები	6

[1195] შეხვედრები გაიმართა 15 მუნიციპალიტეტში.
[1196] აღნიშნული 2 ვიზიტი განხორციელდა პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან ერთად.
[1197] შეხვედრები გაიმართა 17 მუნიციპალიტეტში.
[1198] გარდა უცხო ქვეყნების დელეგაციებისა, საინფორმაციო შეხვედრას დაესწრო ჯამში 364 პირი

სტუდენტები	3
სკოლის მოსწავლეები	4
მასწავლებელი	1
ეთნიკური და რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები	1
უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები და ადვოკატთა ასოციაციის წევრები	1
უცხო ქვეყნის დელეგაციები	3
ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულება[1199]	
საჯარო სკოლების ბავშვები	17
კერძო სკოლების ბავშვები	3
შეხვედრა ბავშვებთან ახალგაზრდულ ცენტრებში და კერძო დაწესებულებებში	3
შეხვედრა მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან საზოგადოებრივ ცენტრში	1
მცირე ტიპის საოჯახო სახლებში მცხოვრები ბავშვები	1
შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულება	
შშმ პირები და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები	2
შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭო	3
ქალთა უფლებრივი მდგომარეობა	
ეთნიკური უმცირესობებისა და სოფლად მცხოვრები ქალები	2
რეგიონებში მცხოვრები დევნილი ქალებიდა არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციები	10
სტუდენტები	2
სამცხე-ჯავახეთის არასამთავრობო ორგანიზაციები	1
პროკურატურის, შსს-სა და სასამართლოს წარმომადგენლები	2
სკოლის მოსწავლეები	1
ეთნიკური უმცირესობის ქალები	1
პროკურატურის თანამშრომლები	1
ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულება[1200]	
საჯარო სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები	9
პროფესიული კოლეჯების სტუდენტები	2
ოკუპირებულ ტერიტორიებზე უფლებრივი მდგომარეობის მიმართულება	
ოკუპირებულ ტერიტორიების მომიჯნავედ მცხოვრები მოსახლეობა	6

[1199] შეხვედრებმა მოიცვა ჯამში 462 ბავშვი და ერთი კერძო დაწესებულების 19 პედაგოგი.
[1200] შეხვედრები ჩატარდა 5 მუნიციპალიტეტში